

საისტორიო მეცნიერების სამსახურში

პროფესორ ოთარ ჯანელიძის 70 წლისთავისადმი
მიძღვნილი სამეცნიერო კრებული

IN SERVICE TO HISTORICAL SCIENCE

The collection dedicated to the 70th anniversary
of professor Otar Janelidze



თბილისი / Tbilisi
2024

კრებული ეძღვნება ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ოთარ ჯანელიძის დაბადებიდან 70 წლისთავს. მასში შესულია მისალმებები იუბილარისადმი, მეცნიერის ბიობიბლიოგრაფია და საიუბილეო საერთაშორისო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები.

გამოცემა განკუთვნილია როგორც სპეციალისტების, ისე ისტორიით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისათვის.

რედაქტორი: **პაატა სურგულაძე**
ისტორიის დოქტორი, პროფესორი

The Collection is dedicated to the 70th anniversary of the birth of Doctor of Historical Sciences, Professor Otar Janelidze. The volume includes congratulations to the Jubilee, the bibliography of the scholar and the papers presented at the international anniversary conference.

The publication is aimed for the experts in the field as well as for general public.

Editor: **Paata Surguladze**
Doctor of History, professor

ISBN 978-9941-9903-2-8


© საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2024

© ოთარ ჯანელიძე, 2024

**მისაღმეგები
იუბილარს**

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
პრეზიდენტის, აკადემიკოს როინ მეტრეველის მილოცვა
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს,
პროფესორ ოთარ ჯანალიძეს
დაბადებიდან 70 წლისთავის გამო**

ბატონო ოთარ,



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სახელით, გულითადად გილოცავთ დაბადების 70 წლისთავის იუბილეს.

საკუთარი გამოცდილებით მინდა მოგახსენოთ, რომ 70 წელი ისტორიკოსისათვის მხოლოდ შემოქმედებითი სიმწიფის ხანა და ახალი მეცნიერული შესაძლებლობების გამოვლენის პერიოდია.

თქვენ საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორიის აღიარებული მკვლევარი ბრძანდებით და მნიშვნელოვანი წვლილი გაქვთ შეტანილი ქართულ ისტორიოგრაფიაში. თქვენი ნაშრომები ეძღვნება საქართველოს ამ პერიოდის ისტორიის არაერთი

კარდინალური პრობლემის შესწავლას.

თქვენ პროფესორის რანგში უშურველად უზიარებთ ცოდნასა და გამოცდილებას სხვადასხვა უნივერსიტეტის სამივე საფეხურის სტუდენტებს და ამით მნიშვნელოვანი წვლილი შეგაქვთ, როგორც ჩვენი მომავალი თაობის აღზრდაში, ისე ისტორიკოსთა კვალიფიციური სამეცნიერო კადრების მომზადებაში.

კარგად არის ცნობილი თქვენი საზოგადოებრივი საქმიანობა, – შინაარსიანი საჯარო ლექციებით, რადიო თუ სატელევიზიო გადაცემებში მონაწილეობით, აქტიურად ეწევი ჩვენი ქვეყნის ისტორიის პოპულარიზაციას.

ცალკე უნდა აღინიშნოს თქვენი ძალისხმევა ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ისტორიის კვლევაში. თქვენ ბრძანდებით გიორგი მაჩაბლის ფონდის პრეზიდენტი და რედაქტორობთ სამეცნიერო ჟურნალს „ქართული ემიგრაცია“, რომელიც სპეციალისტთა და მკითხველი საზოგადოების მონონებით სარგებლობს.


სასარგებლო საქმიანობას ეწევი საქართველოს ისტორიის მასწავლებელთა ასოციაციაში და ვითარცა ისტორიის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენერი, ხელს უწყობთ ჩვენ პედაგოგებს პროფესიულ დაოსტატებაში.

თქვენ ბრძანდებით პოლონელ და ქართველ, რუმინელ და ქართველ ისტორიკოსთა საერთაშორისო კომისიების წევრი და უცხოელ კოლეგებთან ერთად წარმატებით იკვლევთ ამ ქვეყნებთან საქართველოს ურთიერთობის მნიშვნელოვან მოვლენებს.


ბატონო ოთარ, დაბადებიდან 70 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით და ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობისათვის, მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი მიიღო გადაწყვეტილება, დაგაჯილდოვოთ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სიგელით.

კიდევ ერთხელ გილოცავთ, გისურვებთ დღეგრძელობას და დიდ შემოქმედებით გამარჯვებებს ქართული ისტორიული მეცნიერების საკეთილდღეოდ.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის პრეზიდენტი,
აკადემიკოსი
როინ მეტრეველი



საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტი



მოხარული ვარ, რომ მეძლევა შესაძლებლობა, გამოვხატო უდიდესი პატივისცემა ღვანდემოსილი ქართველი მეცნიერის, პროფესორ ოთარ ჯანელიძის მიმართ.

ბატონი ოთარი თავისი მოღვაწეობით გამოჩენილი პიროვნებაა. მრავალწლიანი პედაგოგიური საქმიანობის პარალელურად, ხაზგასასმელია პროფესორ ოთარ ჯანელიძის ნაყოფიერი სამეცნიერო საქმიანობა. მნიშვნელოვანი და საინტერესო საამბოები მისი კვლევები და უკრძელ კვლევა. მისი ნაშრომები უდიდესი ხარისხისაა და უკრძელ კვლევა. მისი ნაშრომები უდიდესი ხარისხისაა და უკრძელ კვლევა. მისი ნაშრომები უდიდესი ხარისხისაა და უკრძელ კვლევა.

ბატონი ოთარი არის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის პრემიის ლაურეატი, 180-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის 10-ზე მეტი მონოგრაფიის, საქართველოს ისტორიაში სასკოლო და საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოების ავტორი და თანაავტორი. მისი სამეცნიერო პუბლიკაციები დაბეჭდილია გერმანულ, ინგლისურ, ბულგარულ, რუსულ, ფრანგულ და უკრაინულ ენებზე. მას თავისი საქმიანობით უდიდესი წვლილი შეაქვს მეცნიერების განვითარებაში. ამ მიზნის მიღწევა უზარმაზარ ძალისხმევას, მეცნიერების უსაზღვრო სიყვარულსა და ერთგულებას მოითხოვს.


მსურს მაგლობა გადავუხადო პროფესორ ოთარ ჯანელიძეს არაერთი თაობის აღზრდისათვის, გულისხმიერებისა და ყოველდღიური დაუღალავი შრომისათვის. ვულოცავ იუბილესა და ვუსურვებ, კიდევ დიდხანს იყოს საყვარელი საქმისა და ქვეყნის სამსახურში.

ბატონო ოთარ, ფასდაუდებელია წვლილი, რომელიც თქვენი ღირსეული მოღვაწეობით მეცნიერების განვითარებაში შეგაქვთ. თქვენს მიერ სასახელოდ განვლილი ცხოვრების გზა, ავტორიტეტი და აღიარება ჩვენი ქვეყნისთვის განუყოფელი დიდი ღვანდისა და დასტურებაა.

პატივისცემით,

საქართველოს პარლამენტის განათლებისა და
მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარე
გივი მიქიანიძე

საქართველოს ეროვნული მუზეუმი



ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს ეროვნული მუზეუმის უფროს მეცნიერ თანამშრომელს, პროფესორ ოთარ ჯანელიძეს დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა. 70 წელი ისტორიკოსისათვის შემოქმედებითი სიმწიფის ასაკი და იმავდროულად, განვლილი გზისათვის თვალის გადავლების, მისი შეჯამების პერიოდიცაა.

ბატონო ოთარ, თქვენ ქართულ ისტორიოგრაფიას საყურადღებო გამოკვლევები შესძინეთ, მათ შორის, საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორიის, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის, ქართული ემიგრაციის ისტორიის სფეროში. აღსანიშნავია, რომ თქვენი სამეცნიერო პუბლიკაციების გარკვეული ნაწილი დაბეჭდილია ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ და სხვა ენებზე, რაც აფართოებს უცხოელი მკითხველის თვალსაწიერს საქართველოს შესახებ.

მისასალმებელია, რომ თქვენი მეცნიერული კვლევა-ძიებების შედეგები ფართოდაა ინტეგრირებული სასწავლო კურსებში, რომლებსაც თქვენ წარმატებით უძღვებით ქვეყნის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. ამასთან, თქვენ ბრძანდებით საუნივერსიტეტო და სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორი და თანაავტორიც, რითაც წვლილი შეგაქვთ მომავალი თაობის აღზრდის საქმეში.


თქვენი ცხოვრების გარკვეული ეტაპი დაკავშირებულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან. თქვენი კონცეფციითა და კურატორობით მუზეუმში მოეწყო ექსპოზიციები: „მეორე მსოფლიო ომი და საქართველო“; „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა - 100“; „ქართული პარლამენტარიზმის 100 წელი - საქართველოს დამფუძნებელი კრება“ და „სვანეთის - ხალდეს აჯანყება 1875-1876“. მუზეუმის გიდები დიდი ინტერესით ისმენენ ლექციებს, რომლებსაც თქვენ მათთვის პერიოდულად მართავთ.

ჩემთვის სასიამოვნო იყო, დამენერა შესავალი სიტყვა ქართულ და ინგლისურ ენებზე მუზეუმის ეგიდით გამოცემული თქვენი წიგნისათვის „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. 1918-1921“, რომელმაც მოწონება ჩვენი ქვეყნის გარდა, უცხოეთშიც დაიმსახურა.

ბატონო ოთარ, პირადად ჩემი და საქართველოს ეროვნული მუზეუმის სახელით გილოცავთ იუბილეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, ნაყოფიერ შემოქმედებით საქმიანობასა და ახალ წარმატებებს.

დავით ლორთქიფანიძე
საქართველოს ეროვნული მუზეუმის
გენერალური დირექტორი.
აკადემიკოსი

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორ ოთარ ჯანელიძეს



გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, სტუდენტებისა და ადმინისტრაციის სახელით, ცნობილ ქართველ მეცნიერს, ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორს, ბატონ ოთარ ჯანელიძეს ვულოცავთ 70 წლის იუბილეს.

ბატონი ოთარი წლების განმავლობაში იღწვის ქართული განათლებისა და მეცნიერების განვითარებისათვის. სხვადასხვა დროს იგი მუშაობდა არაერთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე განათლებისა და მეცნიერების სფეროებში, მათ შორის, არის საქართველოს ეროვნული მუზეუმის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარი.

ბატონი ოთარი წარმატებით ეწევა სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას, იკვლევს საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორიის პრობლემებს, ქართული კულტურის, საზოგადოებრივი აზროვნების, ემიგრაციის, საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობათა საკითხებს.

განუზომელია მისი წვლილი ქართულ-პოლონური ურთიერთობების კვლევისა და განვითარების საქმეში. იგი გახლავთ პოლონეთ-საქართველოს ისტორიკოსთა კომისიის წევრი და სწორედ ამ რანგში განახორციელა ქართულ-პოლონური ურთიერთობების, ქართული ემიგრაციისა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობათა საკითხებთან დაკავშირებული არაერთი საინტერესო გამოკვლევა.


კიდევ ერთხელ ვულოცავთ ბატონ ოთარს საიუბილეო თარიღს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, წარმატებებს და ქართული განათლებისა და მეცნიერების განვითარებისთვის დიდხანს მოღვაწეობის შესაძლებლობას.

პატივისცემით,

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა
და ახალგაზრდობის სამინისტრო
/უმადლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები/
სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რექტორი
ალექსანდრე მღებრიშვილი

თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი



ბატონო ოთარ,
 ნება მიბოძეთ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელთა სახელით, გულითადად მოგილოცოთ დაბადებიდან 70 წლისთავის იუბილე და გისურვოთ ჯანმრთელობა, სიკეთე და შემოქმედებითი წარმატებები.

თქვენი წვლილი საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის შესწავლის საქმეში ფასდაუდებელია; თქვენი მონოგრაფიები, სამეცნიერო სტატიები თუ დოკუმენტური კრებულები ამდინდრებს ჩვენს ცოდნას საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს პერიოდებზე. სწორედ თქვენი თავდაუზოგავი შრომის შედეგად საქართველოს დაუბრუნდა მრავალი დოკუმენტი, რომელიც

ევროპის არქივებში ინახებოდა.

ყოველმხრივ მისაბაძია თქვენი პედაგოგიური მოღვაწეობა; უშურველად გასცემთ მდიდარ ცოდნასა და გამოცდილებას, რათა აღზარდოთ ღირსეული მოქალაქეები და მაღალკვალიფიციური მკვლევრები.

გვსურს, დაგიდასტუროთ დიდი პატივისცემა და თქვენს საიუბილეო დღეს კვლავ გისურვოთ წინსვლა და გამარჯვება.

პატივისცემით,
 დირექტორი
დავით ქვიციანი

დავით ქვიციანი

სსიპ საქართველოს ეროვნული არქივი

ბატონ ოთარ ჯანელიძეს



ბატონო ოთარ, იუბილეს გილოცავთ!

შეუფასებელია თქვენი სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობა. თქვენი კვლევები საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორიის პრობლემების, ქართული კულტურის, საზოგადოებრივი აზროვნების, ემიგრაციის, საქართველოს ეროვნული-დემოკრატიული პარტიის ისტორიის შესახებ უმნიშვნელოვანესი წყაროა ისტორიკოსებისთვის როგორც საქართველოში, ისე საერთაშორისო წრეებში.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია თქვენი პედაგოგიური მოღვაწეობა, სასკოლო და საუნივერსიტეტო დონეზე საქართველოს ისტორიის შესწავლაში შეტანილი წვლილი.

სასიხარულოა, რომ თქვენ საქართველოს ეროვნული არქივის მკვლევარი და დიდი მეგობარი ბრძანდებით. ეროვნულ საარქივო ფონდში დაცული დოკუმენტები არაერთხელ გამხდარა თქვენი კვლევის საგანი, ხოლო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდის მასალის დამუშავებაში თქვენი წვლილი უმნიშვნელოვანესია.

საქართველოს ეროვნული არქივი უერთდება სამეცნიერო წრეებისა და საზოგადოების განწყობას და გულწრფელად გილოცავთ 70 წლის იუბილეს. გისურვებთ ჯანმრთელობასა და მხნეობას, წარმატებებს ქართული ისტორიოგრაფიის სამსახურში.

პატივისცემით,
გენერალური დირექტორი
თეონა იაშვილი

პროფესორი ოთარ ჯანელიძე - 70



2024 წლის 24 მაისს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ოთარ ჯანელიძეს დაბადებიდან 70 წელი უსრულდება. თვალი რომ გადავავლოთ იუბილარის სამეცნიერო, საზოგადოებრივ თუ პედაგოგიურ მოღვაწეობას, მარტივად შევნიშნავთ, რომ ეს წლები ღვაწლმოსილი მეცნიერის ცხოვრებაში იყო და არის უაღრესად ნაყოფიერი, წინსვლისა და მომავალი თაობის წარმატება-განვითარებაზე ორიენტირებული.

ფართო და აქტუალურმა სამეცნიერო-კვლევითმა საქმიანობამ, ბატონ ოთარს სახელი დაუმკვიდრა ქართულ და საერთაშორისო სამეცნიერო ასპარეზზე. მისმა არაერთმა მონოგრაფიამ გააცნო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ცხოვრების სხვადასხვა ასპექტი მკითხველ აუდი-

ტორიას და გაუღვივა მისწრაფება ქართველ და უცხოენოვან საზოგადოებას, რათა მეტი ინტერესით მისდგომოდნენ ჩვენი მეცნიერების საისტორიო დისციპლინებს.

პროფესორ ოთარ ჯანელიძის სამეცნიერო პუბლიკაციები დაბეჭდილია გერმანულ, ინგლისურ, ფრანგულ, ბულგარულ, თურქულ, რუსულ და უკრაინულ ენებზე. მკვლევარს საერთაშორისო აღიარება მოუტანა პროფესორ ნოდარ ასათიანთან ერთად შექმნილმა ნიგნმა „History of Georgia“ (2009) და აშშ-ში გამოცემულმა მონოგრაფიამ „Essays from the History of Georgia. XIX-XXI Centuries, New York, 2021, Nova Science Publishers“.

ბატონი ოთარი აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან, რის შედეგადაც ბიბლიოთეკამ არაერთი მნიშვნელოვანი სამეცნიერო კრებული, პუბლიკაცია თუ სტატია გამოსცა. მას დიდი წვლილი მიუძღვის ბიბლიოთეკის სამეცნიერო მიმართულების განვითარებაშიც. შემთხვევითი არ არის, რომ 2023 წელს პროფესორ ოთარ ჯანელიძეს „ბიბლიოთეკარების ერთგული მკითხველის“ სტატუსი მიენიჭა.

პირადად ჩემთვის მისი სამეცნიერო თუ საზოგადოებრივი მოღვაწეობა უდავოდ სამაგალითოა. ბატონ ოთართან არაერთ სამეცნიერო პროექტში მონაწილეობა დიდი გამოცდილების მომტანი იყო და მომავალშიც უდიდესი სიამოვნებით გავაგრძელებ მასთან თანამშრომლობას.


ეროვნული ბიბლიოთეკის სახელით, ვულოცავთ პროფესორ ოთარ ჯანელიძეს 70-ე საიუბილეო თარიღს და ვუსურვებთ დღევარძელობას, ჯანმრთელობას და მრავალ სამეცნიერო თუ საზოგადო წარმატებას ჩვენი ქვეყნის და მეცნიერების საკეთილდღეოდ.

მირიან ხოსიტაშვილი
საქართველოს პარლამენტის ეროვნული
ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოადგილე,
ეთნოლოგიის დოქტორი.



კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა პროექტის ცენტრი

იუბილარი ისტორიკოსი



ცნობილი ქართველი ისტორიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ოთარ ჯანელიძე იუბილარია, – მას 70 წელი შეუსრულდა. მკვლევარმა თავისი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი XIX საუკუნისა და XX საუკუნის პირველი მეოთხედის ქართული სინამდვილის კვლევას მიუძღვნა, რაც უაღრესად საგულისხმო და საშური საქმეა. საშური, იმდენად, რამდენადაც სულ რაღაც სამი ათეული წელია, რაც ისტორიკოსებს მიეცათ საშუალება, პოლიტიკური წნეხის, „დავალებების“ გარეშე, ობიექტურად შეისწავლონ, იკვლიონ ეს მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესო პერიოდი ჩვენი ქვეყნის ისტორიისა.

საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ სწორედ ამ პერიოდის საქართველოს ისტორიის საქართველოს ისტორიის ბევრი საქართველოს ისტორიის ბევრი საკითხი მრუდედ იყო წარმოდგენილი, მეტიც – გაკაბული და

ყალბებული! და ეს გასაგებია – 1920-იანი წლებიდან ჩვენი ისტორიოგრაფია, საბჭოური პოლიტიკური სისტემის ტყვეობაში იმყოფებოდა და ისტორიკოსები ხშირად იძულებული იყვნენ, მიეჩქმალათ რეალური ფაქტები, თვალი დაეხუჭათ მათზე და სრულიად საპირისპირო რამ ეწერათ!

ისტორია პოლიტიკური, იდეოლოგიზირებული „დაკვეთა-შეკვეთებისაგან“ არასდროს ყოფილა თავისუფალი (არც დღეს!), მითუმეტეს, როცა საქმე ეხება თანამედროვე ისტორიას ან, ახლო წარსულისას. კომუნისტური წნეხის პირობებში მცხოვრებ და მომუშავე ისტორიკოსებს ნუ დაფუარგავთ დამსახურებას ჩვენი ისტორიოგრაფიის წინაშე, ხელალებით ნუ ვუარყოფთ მათ ღვაწლს ჩვენი ისტორიის კვლევის საქმეში, ნუ გადავვარდებით მეორე უაღრესად მძიმე დღეებში (ამის მაგალითი დღეს ბევრი გვაქვს!). ის, მაინც და ვფასობთ, რომ მათ აღზარდეს ქართველ ისტორიკოსთა მთელი თაობა, რომელიც, დღეს წარმატებით იკვლევს ახალი და უახლესი ისტორიის საკვანძო პრობლემებს, ახალი (მანამდე მათი მასწავლებლებისთვის მიუწვდომელი) წყაროები შემოაქვს სამეცნიერო მიმოქცევაში, ცდილობს ობიექტურად გააშუქოს არც თუ შორეული წარსულის დაფარული და ტაბუადღებული მოვლენები და წარმოგვიდგინოს ამ მოვლენებში მონაწილე მოღვაწეთა ისტორიული პორტრეტები.


ისტორიკოსთა სწორედ ამ თაობის გამორჩეული წარმომადგენელია შესანიშნავი მეცნიერი და მოქალაქე, პროფესორი ოთარ ჯანელიძე. დღეს, უკვე თამამად შეიძლება ლაპარაკი იმაზე, რომ მან არა გარკვეული ან თუნდაც, სერიოზული, არამედ, დიდი წვლილი შეიტანა XIX და XX საუკუნეების საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეში.

გასული საუკუნის პირველ ოცნლეულში არსებული ქართული პოლიტიკური პარტიების ისტორიისა და მათი პროგრამების კვლევა, ამ პროგრამების სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის კარდინალური საკითხების დამუშავება, სპირიდონ კედიას პოლიტიკური პორტრეტის გამოკვეთა, გიორგი მაჩაბელის მემკვიდრეობის შესწავლა, ნიკო ნიკოლაძისა თუ ივანე ჯავახიშვილის ბიოგრაფიათა უცნობი ასპექტების გაშუქება, საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორიის ორიგინალური სახელმძღვანელოს შექმნა, საქართველოს რუსეთთან ურთიერთობის პრობლემების ახლებურად გააზრება, დიდ ქართველ მენარმეთა და ქველმოქმედთა ღვაწლის წარმოჩენა, თანავტორობთან ერთად, საქართველოში ბიზნეს საქმიანობის ჩასახვისა და განვითარებისათვის თვალის მიდევნება, 1918-1921 წლებში საქართველოს დედაქალაქის მრავალფეროვანი ცხოვრების საინტერესო ასახვა და სხვ. დაკავშირებულია ამ შესანიშნავი მკვლევრის სახელთან.

დარწმუნებული ვარ, რომ ოთარ ჯანელიძე კიდევ, არაერთი ნაშრომით გაამდიდრებს ქართულ ისტორიოგრაფიას, წარსულზე ობიექტურ ინფორმაციას მიაწვდის მკითხველს და გამოამზეურებს დღემდე ჩვენთვის უცნობ, ბევრ საინტერესო ფურცელს ჩვენი ისტორიისა.


ვულოცავ ოთარ ჯანელიძეს 70 წლისთავს და უპირველეს ყოვლისა ვუსურვებ ჯანმრთელობას, რადგან ჯანმრთელობა, საწინდარია მისი, როგორც მეცნიერის კიდევ ბევრი წარმატებისა!

სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა
ეროვნული ცენტრის დირექტორი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ზაალ (ზაზა) აბაშიძე



წმინდა ანდრიას ქართული უნივერსიტეტი

ოთარ ჯანელიძის იუბილესთვის



პროფესორი ოთარ ჯანელიძე შესანიშნავი ქართველი ისტორიკოსების იმ პლეადის წარმომადგენელია, ვინც ჩვენში ამ მეცნიერების ფუძემდებლებიდან, დიდი ივანე ჯავახიშვილისგან იმემკვიდრევა ქვეშარიტი ისტორიკოსის პროფესიონალიზმი და, რაც ყველაზე მთავარია, ამ პროფესიის ადამიანის მისია ჩვენი ქვეყნისთვის.

ბატონი ოთარის მოღვაწეობაში, ისტორიის მიხედვით გააზრებასა და გადმოცემაში მიუდგომელი მეცნიერული ობიექტურობა შერწყმულია ეთიკურ და დიდ ადამიანურ ღირებულებებთან. ის ისეთი ჰუმანიტარი მეცნიერია, რომლის შინაგან პიროვნულ ბუნებაშია მაღალი ჰუმანური კულტურა.

ოთარ ჯანელიძის მრავალრიცხოვანი შრომები სწორედ ამ ნანამძღვრებსა და პოსტულატებზე აგებული ტექსტებია. მათში საქართველოს ისტორიის ყოველი ეპოქა, ყოველი მონაკვეთი გააზრებულია საერთაშორისო პერსპექტივაში, განხილულია, როგორც მსოფლიო ისტორიის ერთერთი მნიშვნელოვანი მოვლენა და ორგანული ნაწილი.

მე მრავალჯერ მომისმენია მისი საჯარო გამოსვლები სამეცნიერო სიმპოზიუმებზე, ვორქშოპებზე, სხვადასხვა სახის დებატებზე და დისკუსიებზე: უნდა ვაღიარო, რომ ყოველთვის უჩვენებია საჯარო სიტყვისა და აკადემიურობის ნიმუში, მისი გამოსვლა ყოველთვის არის სხვებს შორის ერთერთი ყველაზე შთამბეჭდავი და დასამახსოვრებელი სიტყვა. გამოვყოფდი ამ შემოქმედი კაცის მთავარ პროფესიულ მახასიეთებელს – ის არის ისტორიკოს-ნარატორი; საუკეთესო მთხრობელი, რომელიც დრამატურგის ოსტატობით აგებს ნათხრობს და ამგვარად ახდენს წარსული ხდომილების რესტავრაციას ანმყოში; და ეს წარსულის ისეთი „განმყობა“, რომელიც მომავლისთვის არის ძალზე ღირებული. მისგან მოთხრობილი საქართველოს „ამბავი“ (ბერძნული სიტყვა ისტორია – Ιστορία – ქართულად „ამბავადაც“ ითარგმნება), უნდა ითქვას, ყველას ყურადღებას (მათ შორის საერთაშორისო ინსტანციებისაც) იმსახურებს, ვისაც აინტერესებს საქართველოს (და კავკასიის რეგიონის) ბედი.

ბატონ ოთარს დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა. ვულოცავ მას ამ ღირსახსოვარ საიუბილეო თარიღს და ვუსურვებ შემდგომ დიდ წარმატებებს.

ირაკლი ბრაჭული
წმინდა ანდრიას ქართული უნივერსიტეტის რექტორი,
ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი.

საკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საკართველო
G E O R G I A
საქართველოს იურიდიული უნივერსიტეტი
საკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW -
AKAKI TSERETELI STATE UNIVERSITY

4000, საქართველო, ქართლ, თბილისი, ჭავჭავაძის ქ. 109B
ტელ: (+995 431) 24 57 84; (+995 431) 24 38 33;
ელ. ფოსტა: info@tsu.edu.ge

30, Same Mind St., 4000, Tbilisi, Georgia
Tel.: (+995 431) 24 57 84; (+995 431) 24 38 33;
E-mail: info@tsu.edu.ge

MES 5 23 0001648178

05/12/2023

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი
კულტურული მემკვიდრეობის დაცვით
პროექტის **ოთარ ჯანელიძე**

ოთარ ჯანელიძე - მართალი სიტყვის ისტორიის ოსტატ-შემოქმედი

იუბილეს ვიდეოც ბატონ ოთარ ჯანელიძეს, მართალი სიტყვის ისტორიის ოსტატ-შემოქმედს!
ანა მარტივი რეჟიმის და იდეოლოგიის ზეობის ხანაში დაბადებულმა და აღზრდილმა ადამიანმა უშიშრად წერო სიმართლე; ანა მარტივი ვერ დააჩნიოს კვალი ეპოქამ.
ბატონმა ოთარმა შეძლო!
იგი პირუთვნელია საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორიის პრობლემების, ქართული კულტურის, საზოგადოებრივი ამოცანების, ეთნიკური, საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობათა საკითხების კვლევაში. აღნიშნულის დეტალური მისი ნაშრომები, მონოგრაფიები.
განსაკუთრებული პოპულარულია სინამდვილის!
როგორ არ უნდა ამხელა მართალი საქართველო-რუსეთის ურთიერთობათა ისტორიის?
არ შეიძლება არ გაეცნო თანამედროვეობის დიდი ნიკო ნიკოლაძის ბიოგრაფიიდან ამოვსებული ფურცლების შესახებ!
საქართველო არა, რომ ადვილად ვიხილო განვითარების გრძელ გზაზე შექმნილი აქვს საკვირო კულტურული ფაქტობები, მხოლოდ მითების დახმარებით სისტემა და რომ ეს სისტემა უნდა იყოს იმპერტივი მართვის მქონე.
როგორ მოხერხდა ეს? კვლევის დასაბუთება!
ანუ ბატონი ოთარის მართლად მოქმედი კალმით და არა დისტანციურად დაწერილი, იმპერტივი იტორია ვიხილო მათგან.
მისი მოთხრობილი ისტორია დროის და სართლის კლასიკური მაგალითია.
ბატონი ოთარის პირველი კვილინდისიერების მაგალითია. მისი ბიოგრაფია ვაჟა-ფშაველას, რომელსაც საქართველომ უნდა ვედავოთ საქართველოს.

ოთარ ჯანელიძე - მართალი სიტყვის, ისტორიის ოსტატ-შემოქმედი

იუბილეს ვიდეოც ბატონ ოთარ ჯანელიძეს, მართალი სიტყვის, ისტორიის ოსტატ-შემოქმედს!

ანა მარტივი რეჟიმის და იდეოლოგიის ზეობის ხანაში დაბადებულმა და აღზრდილმა ადამიანმა უშიშრად წერო სიმართლე; ანა მარტივი ვერ დააჩნიოს კვალი ეპოქამ.

ბატონმა ოთარმა შეძლო!

იგი პირუთვნელია საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორიის პრობლემების, ქართული კულტურის, საზოგადოებრივი აზროვნების, ემიგრაციის, საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობათა საკითხების კვლევაში. აღნიშნულის დასტურია მისი ნაშრომები, მონოგრაფიები. განა შეიძლება პოლიტიკა სინამდვილის; როგორ არ უნდა ასწავლო სიმართლე საქართველო-რუსეთის ურთიერთობათა ისტორიის; როგორ შეიძლება არ გაეცნო თანამედროვეობას დიდი ნიკო ნიკოლაძის ბიოგრაფიიდან ამოვსებული ფურცლების შესახებ...

საკამათო არაა, რომ ყველა ეთნოსს განვითარების გრძელ გზაზე შექმნილი აქვს საკუთარი კულტურული ფასეულობები, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სისტემა და რომ ეს სისტემა უნდა იყოს ობიექტური მართვის მექანიზმი. როგორ მოახერხა? ე. წ. „ქცევის დიალოგითა“.

ანუ მას გარემოს მოსალოდნელ, უარყოფითი რეაქციის საპასუხოდ აქვს ისეთი დაგეგმილი ქმედება, რომელსაც ვეღარ უპირისპირდება ორგანიზაცია, თუ მთლად სისტემა. ანუ ბატონი ოთარის მართლად მთქმელი კალმით და არა დისტანციურებით დაწერილი, ობიექტური ისტორია ვიხილო მათგან.

მისი მოთხრობილი ისტორია ფიქრის და საზრისის კლასიკური ნიმუშია.

ბატონი ოთარის პიროვნება კეთილსინდისიერების მაგალითია. მისი ბიოგრაფია გვამცნობს, რომ საზოგადო საქმესთან ერთად ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

არ იქნება სადავო თუ ვიტყვით, რომ ბატონ ოთართან ურთიერთობა არა მხოლოდ ბავშვის და სტუდენტის, არამედ ზრდასრული ადამიანის მეტად სრულყოფასაც უზრუნველყოფს. მასთან მეგობრობა ის საშუალებაა, რომელიც განსაზღვრავს შენ უშეცდომო ორიენტირებას, გაპოვნინებს და არ გაკარგვინებს სანდო და ერთგული კოლეგის ადგილს.

ბატონი ოთარ ჯანელიძის საზოგადოებისადმი დამოკიდებულებას ჰქვია პო-
ზიტიური, სურვილიანი, რომ გექიროს მოვლენათა სწორი მართვის, ცხოვრების
ანალიზის გასაღები.

კიდევ ერთხელ გილოცავ ბატონო ოთარ! არ მოგაკლოთ ლოცვა უფლისგან
და დღეგრძელობა კაცისგან.


მრავალჯამიერ!

შალვა კირთაძე

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი



ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი



ოთარ ჯანელიძე – 70
გამორჩეულ ისტორიკოსს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ოთარ ჯანელიძეს დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა.

ბატონო ოთარ, თქვენ მრავალწლიანი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობით დიდი წვლილი შეიტანეთ მომავალი თაობის აღზრდისა და საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეში. წლებია ნაყოფიერად იკვლევთ საქართველოს ახალ და თანამედროვე ისტორიის პრობლემებს. დიდა თქვენი ინტერესი ქართული კულტურის, საზოგადოებრივი აზრის, ემიგრაციის, საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობათა საკითხებისადმი. თქვენი კვლევის შედეგები ასახულია ქართულ და უცხოურ ენებზე გამოქვეყნებულ 130-ზე მეტ ნაშრომში, რომელთა შორის არის 12 მონოგრაფია, თქვენი ავტორიბითა და თანაავტორიბით გამოცემული საქართველოს ისტორიის საკვლო და სასწავლებლო სახელმძღვანელოები. აქ მინდა გავხსენო პროფესორ ნოდარ ასათიანის ერთად გამოქვეყნებული წიგნი - „History of Georgia“ (2009), და ასევე ამერიკის შერთიერულ შტატებში გამოცემული მონოგრაფია - „Essays from the History of Georgia. XIX-XXI Centuries (New-York, 2021)“, რომელიც საერთაშორისო აღიარებულია.


ბატონო ოთარ, საზოგადოების თქვენ გონივრით, როგორც კურსდამკრთველი „ქართული ემიგრაციის“ რედაქტორის, საქართველოს ეროვნული მეზობლის საქმეების საქმის წევრის, ცხოვრებითა და კვლევით საქართველოს საისტორიო საზოგადოების წევრის, ევროპის ისტორიის მასწავლებლის ასოციაციის „ევროკლიოს“ უცხოურ და ა. შ. ბატონო ოთარ, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სახელმწიფო უნივერსიტეტის 70 წლის იუბილეს და გისურვებთ ახალ სამეცნიერო წარმატებებს ჩვენი ქვეყნის ისტორიის კვლევის საქმეში.

ბატონო ოთარ, საზოგადოება თქვენ გიცნობთ, როგორც ჟურნალ „ქართული ემიგრაციის“ რედაქტორს, საქართველოს ეროვნული მეზობლის სამეცნიერო საბჭოს წევრს, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების წევრს, ევროპის ისტორიის მასწავლებელთა ასოციაციის „ევროკლიოს“ ექსპერტს და ა. შ.


ბატონო ოთარ, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით გილოცავთ 70 წლის იუბილეს და გისურვებთ ახალ სამეცნიერო წარმატებებს ჩვენი ქვეყნის ისტორიის კვლევის საქმეში.

პატივისცემით,

მერაბ ხალვაში
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი



სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი



მაქვს პატივი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით, 70 წლის იუბილურ მიულოცო ცნობილ ისტორიკოსს, მეცნიერს, ღირსეული ოჯახის თავკაცს, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ქართველ მამულიშვილს, პროფესორ ოთარ ჯანელიძეს.

მისი სამეცნიერო მემკვიდრეობა მოიცავს ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულის (ძირითადად XIX-XX საუკუნეები) არაერთი აქტუალური პრობლემის კვლევას და მათ საფუძველზე შექმნილი მონოგრაფიები ფართოდაა ცნობილი როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე, - მის ფარგლებს გარეთაც.

იუბილარი მეცნიერი ჩვენი უნივერსიტეტის მეგობარი და ერთგული მხარდამჭერია.


ბატონო ოთარ, კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ 70 წლის იუბილეს, გისურვებთ

ჯანმრთელობასა და ახალ სამეცნიერო მიღწევებს.

ზურაბ ხონელიძე
 პროფესორი, რექტორი,
 საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.
 საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი.

კავკასიის უნივერსიტეტი

ბატონ ოთარ ჯანელიძეს



ბატონო ოთარ,
მაქვს პატივი, პირადად ჩემი და კავკასიის უნივერსიტეტის სახელით, მოგილოცოთ და-ბადებიდან 70 წლის იუბილე.



თქვენმა ნაყოფიერმა სამეცნიერო, საზოგადოებრივმა და პედაგოგიურმა საქმიანობამ უდაოდ დაიმსახურა აღიარება კოლეგებისა და სტუდენტების მხრიდან.

თქვენი, როგორც მეცნიერისა და მკვლევარის, მასწავლებლის ცხოვრება განუყრელად არის დაკავშირებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შესწავლასთან. ფასდაუდებელია თქვენი წვლილი ისტორიული მეცნიერების განვითარებაში, იმ ფასეულობებისა და ღირებულებების გაცოცხლებაში, რომელიც დღეს ესოდენ აქტუალურია ჩვენი ქვეყნისა და საზოგადოების ევროპული მომავლისთვის. თქვენი საქმიანობით აჩვენებთ

სამშობლოს ღირსეული სამსახურის შესანიშნავი მაგალითი.
გვახარებს, რომ უღვევი ენერჯითა და მაღალი პროფესიონალიზმით აძლიერებთ ეროვნულ საისტორიო მეცნიერებას. დარწმუნებული ვართ, რომ თქვენი პროფესიული გამოცდილება, ცოდნა და შემოქმედებითი პოტენციალი კვლავაც იტყვის თავის სათქმელს, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.
გილოცავთ! გისურვებთ ჯანმრთელობას, კეთილდღეობას და შემდგომ წარმატებებს სამეცნიერო, პედაგოგიურ და სასაზოგადოებრივ საქმიანობაში.

კახა შენგელია
კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტი

გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“


 ლიტერატურული საქართველო „Literaturni Sakartvelo“ (Literary Georgia)	
№ 20	თბილისი, 2013 წელი
<p>გვაქვს პატივი, სახელოვანი იუბილე მღვდლოვით ჩვენს ძვირფას მკითხველსა და ერთგულ ავტორს, ბატონ ოთარ ჯანელიძეს, რომელსაც „ლიტერატურული საქართველოს“ მკითხველები იცნობენ როგორც საუკეთესო ისტორიკოსსა და ღირსეულ მოქალაქეს.</p> <p>მასი ჩვენ ვუბარებთ ვეგა იმ თვისებას, რომელიც ბატონ ჯანელიძეს და ვაფასებთ ერთგული საბჭოთაო მეცნიერების აღიარებულ წარმომადგენლებს. ეს გახლავთ მაღალი პროფესიონალიზმი, სანდობა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა. გილოცავთ, ბატონო ოთარ, იუბილეს. გისურვებთ კანონიერებასა და სულიერ სიმშენვეს. ველით იქვენს ახალ-ახალ სამეცნიერო მოღვაწეს.</p>	
პატივისცემით - გაზეთი „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარი რედაქტორი	
	ივანე ამირხანაშვილი
	25.11.2013
	
მისი: საქართველო, თბილისი, ჯანდუკაძის ქ. ტელ: +995 599-11-54-86; +995 032-293-49-77 Address: Georgia, Tbilisi, Zandukeli str. 1 Tel: +995 599-11-54-86; +995 032-293-49-77	

გვაქვს პატივი, სახელოვანი იუბილე მღვდლოვით ჩვენს ძვირფას მკითხველსა და ერთგულ ავტორს, ბატონ ოთარ ჯანელიძეს, რომელსაც „ლიტერატურული საქართველოს“ მკითხველები იცნობენ, როგორც საუკეთესო ისტორიკოსსა და ღირსეულ მოქალაქეს.


მასში ჩვენ ვხედავთ ყველა იმ თვისებას, რისთვისაც პატივის ვცემთ და ვაფასებთ ქართული საისტორიო მეცნიერების აღიარებულ წარმომადგენლებს. ეს გახლავთ მაღალი პროფესიონალიზმი, სანდობა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა.

გილოცავთ, ბატონო ოთარ, იუბილეს. გისურვებთ ჯანმრთელობასა და სულიერ სიმშენვეს. ველით თქვენს ახალ-ახალ სამეცნიერო მიღწევებს.

პატივისცემით,
 გაზეთი „ლიტერატურული საქართველოს“
 მთავარი რედაქტორი
ივანე ამირხანაშვილი



ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება



ბატონო ოთარ,
ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება გულით გლოვავთ დაბადებიდან 70 წლის იუბილეს.

თქვენი ხანგრძლივი შემოქმედებით მოღვაწეობა გამოჩენილია საქართველოს საისტორიო მეცნიერებისათვის არა ერთი საყურადღებო და ღირსეული ნაშრომით. თქვენ საქართველოს XIX-XX საუკუნეების ისტორიის ერთ-ერთი ავტორიტეტული მკვლევარი ხართ და თქვენი პუბლიკაციები საქართველოს ისტორიის კარდინალურ საკითხებზე უკვე დიდი ხანია აღიარებულია როგორც ჩვენთან, ისე საზღვარგარეთ.

დიდა თქვენი დამსახურება ისტორიკოსთა ახალგაზრდა თაობის აღზრდისა და პროფესიული დარტყმის საქმეში. ასევე, წაყოფიერია თქვენი მრავალწლიანი საქმიანობა საქართველოს სხვადას-


ხვა უმაღლეს სასწავლებელში, რასაც მკაფიოდ ცხადყოფს ის დამსახურებული ავტორიტეტი, რომლითაც სარგებლობთ აკადემიურ წრეებსა თუ სტუდენტ-ახალგაზრდობაში.

თქვენ წარმატებით თანამშრომლობთ რესპუბლიკის დიდ პროფესიულ გაერთიანებასთან, როგორცაა ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება და აქტიურად მონაწილეობთ მის ფორუმებში.

ამ თქვენთვის უაღრესად მნიშვნელოვან დღეს, ქართველი ისტორიკოსების სახელით, გისურვებთ ჯანმრთელობას და ახალ შემოქმედებით წარმატებებს.

ოთარ ყორდანია,
პროფესორი,
ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის
საისტორიო საზოგადოების თავმჯდომარე

საზრანგეთში ქართველთა ისტორიული სათვისტომო



ბატონ ოთარ ჯანელიძეს
პარიზი, 1 იანვარი 2024 წ.

ძვირფასო და პატივცემულო ბატონო ოთარ,

თქვენი 70 წლის მომავალ იუბილესთან დაკავშირებით, საზრანგეთში ქართველთა ისტორიული სათვისტომო მიესალმება ისტორიკოსის ოთარ ჯანელიძის მიერ გაწეულ ღირსშესანიშნავ მოღვაწეობას.

ჩვენი ასოციაცია განსაკუთრებით მიესალმება იმ მნიშვნელოვან შრომას, რომელიც ბატონმა ოთარ ჯანელიძემ მიუძღვნა საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდის ისტორიას. ჩვენ მივესალმებით იმ კავშირებს, რომლებიც მან შეძლო დაემყარებინა ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციასთან და მის შთამომავლებთან.


ვუსურვებთ მას კიდევ მრავალი წლის მანძილზე გააგრძელოს ეს ისტორიული საქმე, რომელიც ფუნდამენტურია მომავალი თაობებისთვის.

ჩემი ღრმა პატივისცემით და გულწრფელი მეგობრობით,

ოთარ ზურაბიშვილი, თავმჯდომარე

ო. ზურაბიშვილი

საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი



საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი

GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

მობარული ვარ, რომ საშუალება მომეცა ბატონ ითარ ჯანელიძეს მუშაობა 70 წლის იუბილე და ჯუჯუაი უანშიოლობა, ბეჯინერება, დიდხანს სიცოცხლე და წარმატებული სამეცნიერო, კვლევითი საქმიანობა.

საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდისთვის (რონდელის ფონდისთვის) დიდი პატივია ითანამშრომლო იმდენი წარმატებული ავტორიტეტის მქონე მეცნიერთან და საგანმანათლებლო სფეროს გამოჩენულ წარმომადგენელთან, როგორც პროფესორ ითარ ჯანელიძეს. ჩვენი რამდენიმეწლიანი თანამშრომლობა ნაყოფიერი და წარმატებულია და შეიძლება ითქვას, უკვე მჭიდროდ შეერთდნენ ჩვენი გზები.

ბატონ ითარი კვლევების აქტუალუ და ხალისით მომართულობა ჩვენი პროექტებს თუ ღონისძიებებს მისი ავტორიტეტი არაერთი სატყუარ გამოხდენდა ახალგაზრდობისთვის განკუთვნილ ჯიშინში „ჩვენი საქმე“ და პროექტში „რუსეთის უცხანსია კავკასიაში და საქართველო“. ამ ელექტრონულ გამოცემაში მისი ინტერვიუთი შექმნა არა ახალი რუბრიკა: საქართველოს პირველი რესპუბლიკა და დასავლური საქმე“ და საქართველოს პირველი რესპუბლიკის პოლიტიკური ელიტი“, მაღალი სატყუარო დონეზე მისი მუშა დაწვეული კრიტიკული დანერგო, ლინიური სტატეგია წყობილდა არა მხოლოდ აქმის საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის დურაღება, არამედ ჩვენი დღეინდელისთვის დიფერენციალური უბიკება. ბატონ ითარი ასევე მხირად ყოფილა მომხმენელი თუ მომწოდებელი სედასადა დიკუკასია და ვებინში, როგორც საქართველოს ისტორიის, კერძოდ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდის სეკივალური კვლევისთვის შექმნილი და კიდევ ერთხელ მიუბნებენ დიდ ხალხობის კვლევითობის – მხირად თანამშრომლობა ჩვენივე მაღალ სატყუარ და სასიამოვნოა.

ეკა მეტრეველი

ე. მეტრეველი

„რონდელის ფონდი“ პრეზიდენტი

თბილისი, შიო შიდაძის ქუჩა, 0108, საქართველო. ტელ: (995 32) 247 35 55; ფაქსი: (995 32) 298 52 65; info@gfis.org www.gfis.org

3a Shio Chidaze Street, Tbilisi 0108, Georgia. Tel: (995 32) 247 35 55; Fax: (995 32) 298 52 65; info@gfis.org; www.gfis.org

მობარული ვარ, რომ საშუალება მომეცა ბატონ ითარ ჯანელიძეს მივულოცო 70 წლის იუბილე და ვუსურვო ჯანმრთელობა, ბედნიერება, დიდხანს სიცოცხლე და ნაყოფიერი და წარმატებული სამეცნიერო, კვლევითი საქმიანობა.

საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდისთვის (რონდელის ფონდისთვის) დიდი პატივია, ითანამშრომლო ისეთ საერთაშორისო ავტორიტეტის მქონე მეცნიერთან და საგანმანათლებლო სფეროს გამორჩეულ წარმომადგენელთან, როგორც პროფესორი ითარ ჯანელიძეა. ჩვენი რამდენიმეწლიანი თანამშრომლობა ნაყოფიერი და წარმატებულია და, შეიძლება ითქვას, უკვე მჭიდროდ მეგობრობაშიც გადაიზარდა.


ბატონი ითარი ყოველთვის აქტიურად და ხალისით მონაწილეობს ჩვენს პროექტებსა თუ ღონისძიებებში, მისი ავტორობით არაერთი სტატია გამოქვეყნდა ახალგაზრდობისათვის განკუთვნილ ჟურნალში „ჩემი სამყარო“ და პროექტში „რუსეთის ექსპანსია კავკასიაში და საქართველო“. ამ ელექტრონულ გამოცემაში მისი ინიციატივით შეიქმნა ორი ახალი რუბრიკა: „საქართველოს პირველი რესპუბლიკა და დასავლური სამყარო“ და „საქართველოს პირველი რესპუბლიკის პოლიტიკური ელიტი“. მაღალი სამეცნიერო ღირებულების მქონე, დახვეწილი ქართულით დანერგილი, ლაკონიური სტატეგია მკითხველს არა მხოლოდ აცნობს საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის ფურცლებს, არამედ ჩვენს დღევანდელობაზე დაფიქრებისკენაც უბიძგებს. ბატონი ითარი ასევე ხშირად ყოფილა მომხმენებელი თუ მონაწილე სხვადასხვა დისკუსიასა და ვებინარში, როგორც საქართველოს ისტორიის, კერძოდ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდის სპეციალისტი.

აქვე ვისარგებლებ შემთხვევით და კიდევ ერთხელ მოვახსენებ დიდ მადლობას ყველაფრისთვის – მასთან თანამშრომლობა ჩვენთვის ძალიან საპატიო და სასიამოვნოა.

ეკა მეტრეველი
„რონდელის ფონდი“ პრეზიდენტი

ე. მეტრეველი

ბრიგოლ ლორთქიფანიძის საზოგადოება



ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ოთარ ჯანელიძეს

ბატონო ოთარ, გრიგოლ ლორთქიფანიძის საზოგადოების სახელით, გილოცავთ დაბადების 70 წლისთავის იუბილეს.

ისტორიკოსს თავისის სამეცნიერო პოტენციალის სრულად გამოსავლენად დიდი ცოდნისა და სამეცნიერო გამოცდილების დაგროვება სჭირდება. აქედან გამომდინარე, 70 წელი ისტორიკოსისათვის დაოსტატებისა და შემოქმედებითი სიმწიფის ასაკია. ამასთან, ეს ის პერიოდია, როდესაც მეცნიერის გარეგანი გზა უფრო მეტად და კვლევითი მუშაობის სფეროში უფრო მეტად უნდა იქცეოს.

თქვენი ნაყოფიერი კვლევა-ძიებითი საქმიანობით მნიშვნელოვანი წვლილი

შეგაქვთ ქართულ საისტორიო მეცნიერებაში. თქვენი მონოგრაფიები, რომლებშიც შესწავლილია საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორიის პრობლემები, კარგა ხანია საყოველთაო აღიარებით სარგებლობს.

დასაფასებელია თქვენი პედაგოგიური მოღვაწეობა, როგორც მომავალი თაობის აღზრდაში, ისე ისტორიკოსთა კვალიფიციური კადრების მომზადებაში.

გრიგოლ ლორთქიფანიძის საზოგადოება განსაკუთრებით აფასებს თქვენს წვლილს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის კვლევისა და პოპულარიზაციის საქმეში, რომელზე თქვენ არაერთი პუბლიკაცია მოუხვეწით ქართულ თუ უცხო ენებზე. თქვენ ასევე, როგორც სამეცნიერო ჟურნალ „ქართული ემიგრაციის“ რედაქტორი, დიდ ძალისხმევას ახმარებთ ჩვენი ემიგრაციის ისტორიის სიღრმისეულ შესწავლასა და წარმოჩენას.

ცალკე უნდა აღინიშნოს თქვენი საქმიანობა ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნასა და ისტორიის მასწავლებელთა პროფესიულ დაოსტატებაში.

გრიგოლ ლორთქიფანიძის საზოგადოება, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი წევრიც თქვენ ბრძანდებით, კმაყოფილებით აღნიშნავს და მიესალმება თქვენს სამეცნიერო-პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობას, რაც კარგადაა ცნობილი ჩვენს ქვეყანაში და დამსახურებული ავტორიტეტიც მოგიხვეჭათ.

გვახარებს, რომ თქვენ, როგორც პოლონელ და ქართველ, რუმინელ და ქა-

რთველ ისტორიკოსთა საერთაშორისო კომისიების წევრმა, სამეცნიერო მოხსენებებითა თუ სტატიებით ღირსეულად წარმოაჩინეთ ქართული საისტორიო სკოლა სხვადასხვა დონის სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებზე.


კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ დაბადების 70 წლისთავს, გისურვებთ დღეგრძელობას და ახალ მიღწევებს შემოქმედებით ცხოვრებაში.

პაატა სურგულაძე

გრიგოლ ლორთქიფანიძის საზოგადოების პრეზიდენტი,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის პრეზიდენტის მრჩეველი,
ისტორიის აკადემიური დოქტორი



ისტორიის მასწავლებელთა საქართველოს ასოციაცია



ისტორიის მასწავლებელთა საქართველოს ასოციაცია ულოცავს ბატონ ოთარ ჯანელიძეს საიუბილეო თარიღს - დაბადების 70 წლისთავს და უსურვებს ჯანმრთელობას და შემოქმედებით წინსვლას.

ბატონი ოთარი ჩვენი ასოციაციის დაარსებიდან, 1997 წლიდან, მისი აქტიური წვლილი, მხარდამხმარი და მეგობარია. იგი ხშირად მონაწილეობს ასოციაციის მიერ დაგეგმილ და განხორციელებულ სხვადასხვა ღონისძიებაში. პირველ რიგში, ისტორიის მასწავლებლებს პროფესიულ ზრდაში ეხმარება და თავის ცოდნას უშუალოდ უზიარებს მათ. მისი ლექციები და მოხსენებები მეცნიერული სიღრმითა და ეპოქის მრავალმხრივი ცოდნით გამოირჩევა.


ისტორიის მასწავლებელთა საქართველოს ასოციაცია პერიოდულად აწვდის კონფერენციებს ისტორიულ ადგილებში, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ბატონი ოთარი ამ გასულითი ღონისძიებებში ყოველთვის სასურველი სტუმარია, რადგან მათ მონაწილე მასწავლებლებს აგრეთვე აწვდის დეტალურ ინფორმაციას და ამოწურავდა საუბრის კონკრეტულ შედეგებს.

2015 წელს პროფესორმა ოთარ ჯანელიძემ მონაწილეობა მიიღო ჩვენს ასოციაციასთან არსებულ „ნორჩ ისტორიკოსთა სკოლის“ დაფუძნებაში. მას შემდეგ მან არაერთი საინტერესო ლექცია ჩაუტარა მოსწავლეებს სხვადასხვა ისტორიულ თემაზე, გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებზე. ბატონი ოთარის მონაწილეობის საფუძველზე ჩვენმა მოსწავლეებმა ქართულ ვიკიპედიაში ათეულობით სტატია ატვირთეს საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორიის საკითხებზე. განსაკუთრებით პოპულარული აღმოჩნდა სტატიები ქართული ენის და მეცნიერების შესახებ.

ისტორიის მასწავლებელთა საქართველოს ასოციაცია იმედოვნებს, რომ კვლავაც გაგრძელდება ჩვენი და ბატონი ოთარ ჯანელიძის წარმატებითი თანამშრომლობა.

ნანა ციხისთავი, ისტორიის დოქტორი, ახალი უმაღლესი სასწავლებელი – ნიუენისა და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი
ისტორიის მასწავლებელთა საქართველოს ასოციაციის პრეზიდენტი

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მნიგნობართა ასოციაცია



ბატონ ოთარ ჯანელიძეს

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მნიგნობართა ასოციაციისათვის დიდი პატივია მოგილოცოთ 70 წლის იუბილე.

ჩვენთვის საამაყოა, რომ ასეთი მაღალი რანგისა და კვალიფიკაციის მეცნიერი მრავალი წელია ჩვენი ორგანიზაციის აქტიური მხარდამჭერი. თქვენი ნაყოფიერი სამეცნიერო კვლევითი და პედაგოგიური საქმიანობის მიუხედავად, თქვენ ახერხებთ იყოთ ასოციაციასთან ასოცირებული პოლიტიკური წიგნის პროპაგანდის სექციის ხელმძღვანელი, ასევე მნიგნობართა ასოციაციის რესპუბლიკური გამგეობის წევრი.

თქვენი ერთგულება, შრომისმოყვარეობა და თავმდაბლობა გვაძლავს სტიმულს, რომ ჩვენი ერთობლივი საქმიანობა კვლავაც წარმატებით წარგვსრულით.

როგორც მკვლევარი და მეცნიერი მკითხველუბისა და კოლეგების ჭეშმარიტ პატივისცემის იმსახურებთ. ეს კი ამ გზაზე ფრიალი სამკალია თქვენისთანა მეცნიერისათვის.

დაე, პირუთენელი ისტორიული ჭეშმარიტებისათვის დიდხანს გაეჭრას თქვენს კალამს.

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მნიგნობართა ასოციაციის რესპუბლიკური გამგეობის თავმჯდომარე მანანა გვასალაია

მ. გვასალაია

მიტროპოლიტი დანიელი


ღვთისა და მამულის ერთგულ შვილს, საქართველოს ისტორიის დაუღალავ მსახურს ბატონ ოთარ ჯანელიძეს ვულოცავ საიუბილეო თარიღს ქრისტესმეორე სიყვარულით მუდმივად დასული

ღვთისა და მამულის ერთგულ შვილს, საქართველოს ისტორიის დაუღალავ მსახურს ბატონ ოთარ ჯანელიძეს ვულოცავ საიუბილეო თარიღს.

ქრისტესმეორე სიყვარულით,
მიტროპოლიტი დანიელი

მუდმივად დასული

შიდრა ბელელი აივსება



ეს ერთგვარი მარტვილობაა, სიცოცხლის შენირვაა საქმისადმი. და არ არსებობს იმაზე დიდი გამბედაობა, იმაზე დიდი გამძლეობა, როცა მთელ შენს წუთისოფელს იმ გზას მიუძღვნინ, რომელ გზაზეც უფალმა დაგაყენა, რომელი სავალიც უფალმა მოგიჩინა. რამდენი ცდუნება ჩაგივლის გვერდით, ბევრი ცხოვრებისეული ნეტარება შემოგაციცინებს, რამდენ რამეს დააკლებ საკუთარ თავს და ოჯახსაც... შენ კი მაინც ჯიუტად მიუყვები იმ გზას, რომელიც იცი, ნამდვილად შენია და ბედნიერებას განიჭებს იმის განცდა, რომ ცხოვრების წლები არ გაგიფლანგავს, იმ ცდუნებებისთვის არ გადაგიყოლებია, რაზეც ბევრს წასძლია სულმა. ისინი უკეთესად არიან, შედარებით ბედნიერად ცხოვრობენ, თითქოს რაღაც დააგროვეს, მაგრამ ეს შენ არ გალევებს, თუმცა ხანდახან

გაკრთება აზრი, იქნებ ამ გზით არ უნდა მევლო, იქნებ სხვა გზა ჯობდა ამერჩია, უფრო იოლი, უფრო უზრუნველი, მაგრამ ეს ოთარ ჯანელიძის გზა არ იქნებოდა.

ბევრჯერ მითქვამს, ჩემი სტუდენტებისთვის, ადამიანის ცხოვრება სინამდვილეში ორი ნაწილისგან შედგება, აქედან პირველი ღვთის ჩანაფიქრის ამოცნობაა შენში, საკუთარი თავის ძიება, მეორე ნაწილი კი – ცხოვრების დარჩენილი წლების შენი აღმოჩენილი თავის განვითარება და ღვთიური ენერჯის კონკრეტულ შედეგად ქცევა. მაშინ ხვდები, რომ ტყუილა არ გიცხოვრია, ცხოვრების დაისის ჟამს, როცა წუთისოფლის დაღლილი, სისხლისფერი მზე ჩადის და დაისლამე დგება, სულაც აღარ გღრნის ფიქრი, ნეტავ რისთვის ვიცხოვრე?

ქართულ ენაში, ჩვენს ღვთივკურთხეულ, ენაში არსებობს სიტყვა „მოსავალი“, რომელიც მხოლოდ მოწიულ ჭირნახულს ან მოდღვევებული, მწიფე ყანის აღსარ აღიხმის „მოსავალი“ ადრის გაზრდილად ფორმირებულ გასული გზა. ნათესაო მწიფე ვაჭარებისა. ხოლო კერძოდ, შენთვის მრავალწლოვანი ნაყოფის მოსავალი დასრულებული ოთარ ჯანელიძის ბეტი ზღაპრულად გადარწმუნებული ქართული ისტორიოგრაფიაში, რომელიც შენი მთავარი მუშაობის თემაა. ხელზე საგონებელი წამების ადრის ათეულობით შენს შემდეგ დღეს არა წამისი ცუდის ენაზე და არც შენ, მაგრამ ოთარ ჯანელიძის თვის შესანიშნავი ხელობა, კვლევის მისწრაფებით, ღრმადი და ფრთხილ დასწრებით ნაწილად სწორად შეძენა ჩათვლის. სადაცაა რომ ჩვენს დროულ ზეგონს ათეულობით სანთლებში აღიჭრის სხვადასხვა კონკრეტული საზღვრის მდებარეობა დასაბუთებს, რაზეც მშობის მისი მონათლული ბრძოლა სურათისი სიმბოლეზა, თუ სადმეორე კონკრეტული საქმიანობა. ჩვენდა თუ არა მის წესისიუ წამის, მოთხლები მისი წარსის წალოლი თიგარის ქართული დიდი და მოხიბლილ მუშაობის ზეგ შენს „მუშაობა“ ათარ

საამაყო, რომ ჩვენს ღირსეულ მეცნიერს არამხოლოდ საქართველოში აღიარებს სამეცნიერო საზოგადოება, არამედ ქვეყნის საზღვრებს მიღმაც ღირსულად აფასებენ, რასაც მოწმობს მისი მონაწილეობა არაერთ საერთაშორისო

სიმპოზიუმში, თუ სამეცნიერო კომისიათა საქმიანობაში. ჩახედავ თუ არა მის ნებისმიერ ნაშრომს, მოიხიბლები მისი წყაროს წყალივით თავანკარა ქართულით, დინჯი და მოზომილი მსჯელობით. ბევრ მწერალს „შეშურდება“ ოთარ ჯანელიძის ენა და სტილი, რომელიც თითოეულ მის ნაშრომს მხატვრული ნაწარმოებებით ერთი ამოსუნთქვით წაგაკითხებს. ბატონი ოთარი წლებია გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოღვაწეობს, როგორც ჰუმანიტარული მიმართულების წამყვანი პროფესორი, ლექტორი, რომლის ლექციებიც ანდამატივით იზიდავს სტუდენტებს. ის აკადემიური საბჭოს წევრიც გახლავთ და თუ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტს ბოლო წლებში არაერთი წარმატება უზემია, მასში ოთარ ჯანელიძის დიდი დამსახურებაც გახლავთ. მე ბედნიერი ვარ, რომ აღიარებული მეცნიერი გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში რექტორის პოზიციაზე ჩემი საქმიანობის დროს მოვიწვიეთ საქართველოს ისტორიის ახალი და უახლესი პერიოდის სალექციო კურსის წასაკითხად. კაცი, რომელსაც მხოლოდ მისი ნაშრომებით და ტელეარხ „საქართველოს“ ეთერში გასული არაერთი დუკუმენტიური ფილმიდან (ფილმები ეძღვნებოდა ჩვენი ქვეყნის ისტორიის სხვადასხვა პერიოდს, ასევე გამოჩენილ მოღვაწეებს) ვიცნობდი, პირადად გავიცანი სოფელ ხოვლეში, დიდი ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმში, რომელიც იმ დღეს სამეცნიერო კონფერენციას მასპინძლობდა. აქედან დაიწყო ჩვენი მეგობრობა.

ბატონი ოთარისგან მე ბევრი რამ ვისწავლე, მისი სამეცნიერო გამოცდილება ფასდაუდებელია ახალი თაობის ისტორიკოსებისთვის და მემამაყება, რომ ის ჩემი რამდენიმე წიგნის რედაქტორი ან რეცენზენტი გახლავთ.

ზემოთ სიტყვა „მოსავალი“ ვახსენე. მდიდარი კაცია ბატონი ოთარი, დიდი სამეცნიერო მოსავლის პატრონი, თუმცა მოსავლის დაბინავებამდე ჯერ დიდი დროა და დარწმუნებული ვარ, მისი „ბელელი“ უღეველ საგზლად ექცევა ჩვენს სამეცნიერო საზოგადოებას, ახალ თაობებს. მის სიტყვას ოქროს ფასი აქვს ქართულ ისტორიოგრაფიაში და აქ გადაჭარბებულს არაფერს ვამბობ. გამოჩენილ ქართველ ისტორიკოსს, საზოგადო მოღვაწეს, ღირსეული ოჯახის მამას, კოლეგას და გულმართალ მეგობარს, მინდა, ვუსურვო დღეგრძელობა და ბედნიერება. გაფასებთ, გვიყვარხართ, გვეამაყებით, ბატონო ოთარ!

საქართველოს პარლამენტის წევრი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
გიორგი სოსიაშვილი



საიუზილო მილოცვა


Profesorowi Otari Janelidze, znakomitemu historykowi i wyjątkowo sympatycznemu człowiekowi, mojemu koledze z Polsko-Gruzińskiej Komisji Historyków, w związku ze wspólnym jubileuszem składam najlepsze życzenia: dalszych wielu sukcesów naukowych, rodzinnego szczęścia, zdrowia, pogody ducha, a także częstych przyjazdów do Polski, gdzie Go zawsze oczekujemy i chętnie gościmy.

Prof. dr hab. Wojciech Materski
Zakład Europy Środkowo-Wschodniej i
Badań Postawieckich
Instytut Studiów Politycznych Polskiej
Akademii Nauk


ცნობილ ქართველ მეცნიერს, გამო-
რჩეულად კეთილშობილ კაცს, პროფესორ
ოთარ ჯანელიძეს დაბადებიდან 70 წელი
შეუსრულდა.

ვულოცავ შესანიშნავ ისტორიკოსს,
ჩემს ძვირფას მეგობარსა და კოლეგას
პოლონეთ-საქართველოს ისტორიკოსთა
საერთაშორისო კომისიიდან ამ მშვენიერ
იუბილეს: ვუსურვებ შემდგომ მრავალ სა-
მეცნიერო წარმატებას, ოჯახურ ბედნიე-
რებას, ჯანმრთელობას, კარგ განწყობას,
ასევე ხშირ ვიზიტებს პოლონეთში, სადაც
მას ყოველთვის ველით და სიამოვნებით
მივესალმებით.

პროფესორი, დოქტორი **ვოიცეხ მატერსკი**
ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისა და
პოსტსაბჭოთა კვლევების დეპარტამენტი.
პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის პოლიტიკური
კვლევების ინსტიტუტი



პარიზი. 31 დეკემბერი 2023 წ.
Othar Pataridze
32 rue Paul Sallou
22700 Perros Guirec
France
otharpataridze@orange.fr



ვერთდები და მხურვალედ მივესალმები საიუბილეო კონფერენციას, რომელიც ეძღვნება ჩემი მეგობრის ოთარ ჯანელიძის დაბადების 70 წლისთავს!

აქ გამოვთქვამ ჩემს აღტაცებას მისი შეუწრებელი ღვაწლისათვის, რომელიც მან გამოიჩინა ქართული პოლიტიკურ ცხოვრების ისტორიის კვლევასა და გაშუქებაში.

მსურს აგრეთვე მადლობა გადავუხადო ჩემს ისტორიკოს მეგობრებს, რომლებიც აგრძელებენ კვლევებს ჩვენი წინაპრების ხანრიდლი და დაუღალავი ბრძოლის შესახებ სამშობლოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის!


თავისუფლებისათვის!

ოთარ ჯანელიძეს ვუსურვებ ახალ წარმატებებს და ნაყოფიერ კვლევით საქმიანობას.

ოთარ პატარიძე
საფრანგეთში მყოფ ქართველ ლტოლვითა სათვისტომოს
სათვისტომოს
თავმჯდომარე 1987 -1991 წლებში

ოთარ პატარიძე

აზერბაიჯანის მეგობარი



ქართველ ისტორიკოსთა შორის ბევრი მეგობარი მყავს. ისინი გულითადები და სტუმართმოყვარეები არიან. ერთ-ერთი მათგანია ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ოთარ ჯანელიძე. როდესაც ოთარ ჯანელიძეს ვახსენებთ, თვალწინ გვიდგას საქართველოს ისტორიის კარდინალურ პრობლემათა მისეული კვლევები, მათ შორის: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საშინაო და საგარეო პოლიტიკა 1918-1921 წლებში; საქართველოს ურთიერთობა კავკასიის სახელმწიფოებთან; ისტორიული ასპექტები ქართული დიასპორისა, რომელიც იძულებული გახდა საზღვარგარეთ ეცხოვრა 1921 წლის ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ; ქართული კულტურის ისტორია და ა. შ. მისი ნაშრომები ღირებული წყაროა. იუბი-

ლარის არაერთ წიგნში მთავარ იდეად აზერბაიჯანელ და ქართველ ხალხებს შორის მეგობრობა და კეთილგანწყობილი მეზობლობაა წარმოდგენილი. მისი კალამი ემსახურება ჩვენი ქვეყნებისა და ხალხების მეგობრობას.

ოთარ ჯანელიძესთან ერთად მივიღე მონაწილეობა საქართველოსა და თურქეთში რამდენიმე სამეცნიერო კონფერენციაში. ის ასევე მოხსენებით გამოვიდა ბაქოში ჩვენ მიერ ორგანიზებულ სიმპოზიუმებზე. მისი პრეზენტაციები ყოველთვის დიდი ინტერესით იყო მიღებული.

ოთარს აზერბაიჯანის დიდ მეგობრად ვთვლი. არასოდეს დამავიწყდება, რომ იგი იყო ერთ-ერთი იმ მრავალ ქართველ მეგობართაგან, ვინც აზერბაიჯანს 44-დღიან სამამულო ომში გამარჯვება მიულოცა. მაგრამ მე არ მინდა ამ საკითხში ვალში დავრჩე. მოუთმენლად ველოდები იმ დღეს, როცა ასეთივე მილოცვას გავუგზავნი ოთარს და ჩემს სხვა ქართველ მეგობრებს. და მე მტკიცედ მჯერა, რომ ეს მომავალი დადგება.

ჩემს ძვირფას და გულწრფელ მეგობარს ოთარ ჯანელიძეს 70 წელი შეუსრულდა.

ვუსურვებ მას დიდხანს და ჯანმრთელ ცხოვრებას, ასევე წარმატებებს სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობაში.

დაბადების დღეს გილოცავ, ოთარ!

MUSA KHANIMLI
09.10.2023

მუსა ქასიმლი,
აზერბაიჯანის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის (ANAS)
წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი,
ANAS-ის კავკასიის კვლევების ინსტიტუტის
გენერალური დირექტორი

რამდენიმე სიტყვა პროფესორ, დოქტორ ოთარ ჯანელიძეზე

A Few Words About Prof. Dr. Otar JANELIDZE


Prof. Dr. Otar JANELIDZE is one of the most important historians of Georgia's recent history. I have known him since 2017. We attended many scientific meetings held in Turkey, Georgia and Azerbaijan. That he is a competent scientist in his field has been confirmed by other colleagues present at the meetings. We learned a lot about recent Georgian history and Turkish-Georgian relations from his publications.

Prof. Dr. Otar JANELIDZE has a guiding personality for his colleagues. He would express his comments on the issues discussed in the meetings we held together, based on sources, and he was happy to share these sources with his colleagues. These constructive criticisms show how self-confident he is in his field of work. Sharing the information and documents he has with his colleagues is the proof of how constructive a scientist he is.

Prof. Dr. Otar JANELIDZE is also a scientist with a diplomatic side. He has high representation ability. In the various meetings we held together, he managed to give very calm and scientifically based answers to those who put forward different views from him.

One of the most important problems of the Georgian academy is that the studies are not translated into foreign languages. The lack of sufficient number of institutions teaching Georgian in the world has made Georgian one of the less known languages. Therefore, international academic circles have little idea about the views of Georgian scientists. This situation also applies to the works of Prof. Dr. Otar JANELIDZE. Since the papers in the symposiums we organized were translated from Georgian to Turkish, we had the opportunity to see how valuable a scientist he was. However, the number of people who do not have this opportunity is quite high. I see great benefit in translating the works into other languages of competent scientists such as Prof. Dr. Otar JANELIDZE.

I am very happy to participate with an article in this book prepared for Prof. Dr. Otar JANELIDZE's 70th birthday. May he continue to produce for his country, nation and humanity in the most productive age of his life. I wish him a life full of health, peace and happiness.



Prof. Dr. Ibrahim Tulliglis

პროფესორი ოთარ ჯანელიძე საქართველოს უახლესი ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მკვლევარია. მას 2017 წლიდან ვიცნობ. ბევრ სამეცნიერო შეხვედრაში მივიღეთ მონაწილეობა თურქეთში, საქართველოსა და აზერბაიჯანში. ბატონი ოთარი რომ თავის დარგში კომპეტენტური მეცნიერია, შეხვედრებზე დამსწრე სხვა კოლეგებმაც დაადასტურეს. მისი პუბლიკაციებიდან ბევრი რამ გავიგეთ საქართველოს თანამედროვე ისტორიისა და თურქულ-ქართული ურთიერთობების შესახებ.


პროფესორი ოთარ ჯანელიძე მენტორია თავისი ახალგაზრდა კოლეგებისათვის. ჩვენს მიერ გამართული შეხვედრებისას განხილულ საკითხებზე იგი კომენტარს მუდამ პირველწყაროებზე დაყრდნობით

გამოთქვამდა და სიამოვნებით უზიარებდა ამ წყაროებს კოლეგა ისტორიკოსებს. ეს ფაქტი გვიჩვენებს, როგორი თავდაჯერებულია ის საკუთარ თავსა და სამუშაო სფეროში. კოლეგებისათვის მის ხელთ არსებული ინფორმაციისა და დოკუმენტების გაზიარება იმის მკაფიო დასტურია, რამდენად კონსტრუქციული მეცნიერია იგი.

პროფესორ ოთარ ჯანელიძეს დიპლომატიური მხარე და მაღალი რეპრეზენტატიული უნარიც გამოარჩევს. ჩვენ საერთო ფორუმებზე ის ახერხებდა ძალიან მშვიდი და მეცნიერულად არგუმენტირებული პასუხების გაცემას მათთვის, ვინც მისგან განსხვავებულ შეხედულებებს გამოთქვამდა.


ქართველ მეცნიერთა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა ისაა, რომ მათი კვლევები არ ითარგმნება უცხო ენებზე. მსოფლიოში იმ დანესებულებათა არასაკმარისმა რაოდენობამ, სადაც ქართული ენა ისწავლება, ქართული ერთ-ერთ ნაკლებად ცნობილ ენად აქცია. ამიტომ, საერთაშორისო აკადემიურ წრეებს მცირე წარმოდგენა აქვთ ქართველი მეცნიერების შეხედულებებზე. ეს მდგომარეობა ასევე ეხება პროფესორ ოთარ ჯანელიძის გამოკვლევებსაც. ვინაიდან ჩვენს მიერ ორგანიზებულ სიმპოზიუმებზე მოხსენებები ითარგმნებოდა ქართულიდან თურქულზე, ჩვენ გვექონდა შესაძლებლობა გვენახა, რამდენად ღირებული მეცნიერია ბატონი ოთარი. თუმცა, საკმაოდ დიდია იმ ადამიანთა რიცხვი, ვინც ამ შესაძლებლობას მოკლებულია. მე დიდად სასარგებლოდ მიმაჩნია პროფესორ ოთარ ჯანელიძის მსგავსი პატივცემული ქართველი მეცნიერების ნაშრომების სხვა ენებზე თარგმნა.

ძალიან მიხარია, რომ ვმონაწილეობ პროფესორ ოთარ ჯანელიძის 70 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციასა და კრებულში სამეცნიერო სტატიით. დაე, ბატონმა ოთარმა განაგრძოს თავისი ქვეყნის, ერისა და კაცობრიობისთვის შრომა თავისი ცხოვრების ყველაზე ნაყოფიერ ასაკში. ვუსურვებ მას ჯანმრთელობას, მშვიდობასა და ბედნიერებას.



პროფესორი, დოქტორი **იბრაჰიმ თელიოღლუ**

მილოცვა პროფესორ ოთარ ჯანელიძეს



საქართველოში მრავალი მეცნიერი მყავს, რომელთა უმჯობესობა პუნქტურული პროფესორის მემკვიდრეობაა. მათ შორისაა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ოთარ ჯანელიძე. მას დიდი ხანია ვიცნობ, ვერ თავისი სამეცნიერო გამოკვლევებით, ხოლო შემდეგ ერთობლივ საერთაშორისო ფორუმებში მონაწილეობით, კერძოდ, ვარშავა და საქართველოში გამართულ სამეცნიერო კონფერენციებზე.

პროფესორ ოთარ ჯანელიძეს დიდი დამსახურება მიუძღვის ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე. მისი მონოგრაფიები აღიარებულია სპეციალისტთა მიერ, როგორც საქართველოში, ისე უცხოეთის სამეცნიერო წიგნებში.

ბატონ ოთარს დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა.

ვულოცავ ცნობილ ისტორიკოსს ამ იუბილეს და ვუსურვებ შემდგომ წაყოფიერ მოღვაწეობას ისტორიული მეცნიერების სამსახურში.

ჰიროტაკე მადეა

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორი,
ტოკიოს მეტროპოლიტენის უნივერსიტეტის პროფესორი

ლიტერატორის თვალით

ლიტერატორის თვალით

თუ ადამიანი საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიით დაინტერესდება, მან უნდა იცნოს ვერცხვით ითარჯუნების სხვა, ლიტერატორის თვალთა დასახლებული ნივთები, საზოგადოებრივი, რაღაც უნდა, თვისი პოეტური ნივთები აქვს, მაგრამ აქ, ბევრი მარჯობა გამო, ბატონი ითარჯუნის თვალთა დასახლებული ნივთები, რომელიც იმ წელს აღნიშნული მანდა დაფიქრ, რომელიც გამოიწვია მანქანის წყვილიდან, ბატონის მანდაზე რომელიც მოქცეულია ეპიზოდების გამოხატულებაში ეკუთვნის.

ითარჯუნის „ნიკოლაძის“ გამაგებებელი ინტერესით ითარჯუნის მუშაობა არ დაგვიწყობს იმ აქტივურობის გამოხატულება, რომელიც ახალი თვალთა დასახლებული „დიდი სამოქმედო“ მანქანისგან რაღაც წინა ქვესაფენის ქვეშ სახეისწორი გასული საკუთრი 20-იანი წლების პოლიტიკურ ცხოვრებაში (მსამოქმედო აღნიშნა, რომ ბატონი ითარჯუნის თვალთა დასახლებული ნივთები, რომელიც ჩვენ დღეს წინასწარ გვჩვენდება).

ითარჯუნის ნაშრომთა ახალი უკვე მხინდა „ისტორიული ნაწილი“ გვიჩვენებს ბატონის ის კრეატიული მიდგომა, რაც მისთვის საერთოდ დამახასიათებელია. არის კიდევ ერთი მომენტი, რომელიც ითარჯუნის ცხოვრებაში „მეორეული“ ინტერესს განსაზღვრავს – ესაა ბატონის სპეციფიკური ნაწილი ნიქი – ისტორიული სიუჟეტებისა და კოლიზიების დასახლებული ნივთები.

რაც ჩვენ თვის მხარეს, უკანა რეალ-ქართული უთარჯუნის – სურსათის თუ კამათის ერთი მხრივით თვის იყო ამიტომაც, არ გავიწყდება, რომ უკვე ახალ ეპოქაში, პრინციპულად ახალ კონცეფციებზე აგებული ნაშრომთა ამ სფეროში სწორედ ბატონი ითარჯუნის მონიჭება იყო – „მარჯვები საქართველო“ უთარჯუნის ისტორიული „ქ. რაღაც უნდა, პრინციპული სახელი არის ის, რომ კვლევის პროცესში გაერთიანდა და მანვე უთარჯუნის არსებითი ისტორიული ფაქტი და განიჭება გამოიხატა. არსებობს ითარჯუნის სფეროში კუთხე მუხადმუხლი და ეს ისტორიული ეპოქები სულ სხვაგვარად დასახლებს და შეესაბამებს ახალი თვისის მკითხველს გასული საუკუნის ისტორიული რეალისა.

ასეთვე ნივთები თვალთა დასახლებული საქართველოს უახლესი ისტორია, მისი კვლევა დრამატული მოვლენები, მოულოდნელი და მუხადმუხლი დამოუკიდებლობა, ამ დრამის მიუხედავად პრინციპული განხილვისთვის – ის თვება, რომელიც იგი რაღაც ამბივალენტური განხილვის ვეგეტა –

თუ ადამიანი საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიით დაინტერესდება, ნამდვილად ვერ აუვლის გვერდს ითარჯუნის ჯანელიძის სახელს. ლიტერატორის თვალთა დასახლებული ნივთები ბიოგრაფიას, საზოგადოებრივ, რაღაც თქმა უნდა, თვისი პრეფერენციები აქვს, მაგრამ აქ, ბევრი მიზეზის გამო, ბატონი ითარჯუნის იუბილესთან დაკავშირებული წერილი სწორედ იმ წვლილის აღნიშვნით მიიწვია და ვინცოც, რომელიც გამოიჩინა მეცნიერს ნიკო ნიკოლაძის ბიოგრაფიის მანდაზე ჩრდილში მოქცეული ეპიზოდების გამოხატულებაში ეკუთვნის.

ითარჯუნის „ნიკოლაძის“ განსაკუთრებული ინტერესით იკითხება. შეუძლებელია არ დაგამახსოვრდეთ ის აქამდე უცნობი ეპიზოდები, რომლებიც ახალი თვალთა დასახლებული „დიდი სამოქმედო“ მნიშვნელოვან როლს ჩვენს ქვეყნისათვის ესოდენ საბედისწერო გასული საუკუნის 20-იანი წლების პოლიტიკურ ცხოვრებაში (მსამოქმედო აღნიშნა, რომ ბატონი ითარჯუნის ერთ-ერთი იმ ნივთის რედაქტორი გახლდით, რომელიც ჩვენს დიდი ნიშნავარს ეძღვნებოდა).

ითარჯუნის ნაშრომთა ახალი უკვე მხინდა „ისტორიული ნაწილი“ გვიჩვენებს ბატონის ის კრეატიული მიდგომა, რაც მისთვის საერთოდ დამახასიათებელია. არის კიდევ ერთი მომენტი, რომელიც ითარჯუნის ცხოვრებაში „მეორეული“ ინტერესს განსაზღვრავს – ესაა ბატონის სპეციფიკური ნაწილი ნიქი – ისტორიული სიუჟეტებისა და კოლიზიების დასახლებული ნივთები.

ითარჯუნის ნაშრომთა ახალი უკვე მხინდა „ისტორიული ნაწილი“ გვიჩვენებს ბატონის ის კრეატიული მიდგომა, რაც მისთვის საერთოდ დამახასიათებელია. არის კიდევ ერთი მომენტი, რომელიც ითარჯუნის ცხოვრებაში „მეორეული“ ინტერესს განსაზღვრავს – ესაა ბატონის სპეციფიკური ნაწილი ნიქი – ისტორიული სიუჟეტებისა და კოლიზიების დასახლებული ნივთები.

ითარჯუნის ნაშრომთა ახალი უკვე მხინდა „ისტორიული ნაწილი“ გვიჩვენებს ბატონის ის კრეატიული მიდგომა, რაც მისთვის საერთოდ დამახასიათებელია. არის კიდევ ერთი მომენტი, რომელიც ითარჯუნის ცხოვრებაში „მეორეული“ ინტერესს განსაზღვრავს – ესაა ბატონის სპეციფიკური ნაწილი ნიქი – ისტორიული სიუჟეტებისა და კოლიზიების დასახლებული ნივთები.

ზაზა აბზიანიძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი



საქართველოს განახლებული ისტორიის შამოქამედი

საქართველოს განახლებული ისტორიის წყაროები

მრავალი წლის წინათ ითარ ჯანელიძე ერთ ერთი პირველი მუშა საქართველოს ისტორიის იური დუბის წყაროებს – ერთი მხრივ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის და მეორე მხრივ საქართველოს პოლიტიკური ემიგრაციის განმარტებითა და შესწავლით. ითარ ჯანელიძის აქტიური მონაწილეობით იქმნებოდა და იწმუნა საქართველოს განახლებული ისტორია. ახალი მანაქლი იქნება მისი დატრეული თუ ამოხეული თუაქციები. დღეს საქართველოს უახლესი ისტორიის დანტრეული ერთი ერთი მუშავეტი გვეყვება ვერ აუღლის მის მრავალფეროვან პუბლიკაციებს – წიგნებს თუ სტატიებს – ამ განახლებული ისტორიის მრავალ საკითხზე.

ბუნებრივად, ვერ მე ავუარე ვერდი და მერე მე უთხოვითა ითარ ჯანელიძისმან მუშაობისში ვადაზრდა. ქართულ მრავალს იქმნე დიქციონარული ანტიური ჩემი მანაქლისა თუ ვახლავლის პირველი სტატიები და რედაქციის სწორედ პროფესორ ითარ ჯანელიძის, რაც მე დიდი ჯალაყვი მიმანია. და ამ ფრწევ განაკურთხებით სარტყეობა, რომ მან – თავად ჩემი გამოკვლევების რედაქტორმა – თავისი მანაქლის რედაქტორად ამირია და სარედაქტორად მანდი აქმნე მეორედ მუშაველი ქართული ხარტყის თვითუ მუშაველი სოლიდური წიგნები „ზუბალაშვილები, დავით სარაჯიშვილი, აკაკი ხოშტარია, მიტროფანე ლალიძე და სხვანი...“ და საქმისი საქართველო“ (1801-1921). რთულყო პროფესორ ლალიძის დეპუტატთან თანავეტობით ვახლავ.

პირველ წლებს წინასტყეობზე ერთის და იქმნე ერთ ფრამგმენტი მინდა მიგონის, რთულყო კარვად წინასტყე, რამდენი იყო ამ ასპარეზზე საქმელი, რთორუ იტარ და ივანე ჯანელიძისი და რა ხარტოზობა შინაში, მოხლადი ქართული ისტორიისთვის ბოლო 30-35 წლის განმავლობაში.

„პოლიტიკური კატაკლიზმების გამო მოხდა ისე, რომ ჩვენი ძველესი უახლესი ისტორიის არტიური მნიშვნელოვანი პლასტი წლების მანაქლზე საუღადლოდ იყო დატრული“ და ახლად ვახლავით ჩემს ცოდნაში ამ ხარტვის ამოხევის. დატრეულად და ისიც ვახლავთვლად, ვახლავთვლად თოივის ბოლო XX საუღადურ საქართველოს სინამდვილედან ათწლებლების განმავლობაში ამოხეული იყო ქართული პოლიტიკური ციკრაციის მრავალფეროვანი, წინასტყეობებით ასევე ისტორია ურთოვლად – დღეს ეს აუღალათვის ამკარა. – წინასტყეობები იქნება ძველეს წინაქლის თუ მუშაველი თუაქციების და მთავლის ვახლავთ.

დღეს უღე ვთხოვს თამად ითარ, რომ ძველეს წინაქლისა თუ ამქმის სრულყოფილი შეუყვანა და მთავლის ვახლავთში დიდად ვახლავთ ისარ ჯანელიძის სამეცნიერო მოღვაწეობა, მისი წიგნები, მისი სტატიები, მისი საჯარი გამოხელები, მისი ლექციები, მისი რედაქტორებით გამოხეული ჟურნალი.

ამ კურსზე დიდად უნდა ითარ, რაგ რამდისმის ურეცხობებზე ქართული ციკრაციის ისტორიისა და ევროპისის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

მრავალი წლის წინათ ითარ ჯანელიძე ერთ-ერთი პირველი შეემა საქართველოს ისტორიის თეთრი ლაქების შეფერადებას – ერთი მხრივ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის და მეორე მხრივ საქართველოს პოლიტიკური ემიგრაციის ისტორიის გამომზეურებითა და შესწავლით. ითარ ჯანელიძის აქტიური მონაწილეობით იქმნებოდა და იქმნება საქართველოს განახლებული ისტორია, ახალი მასალებით იესება მისი და-კარგული თუ ამოხეული ფურცლები. დღეს საქართველოს უახლესი ისტორიით დაინტერესებული ვერც ერთი მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის მის მრავალფეროვან პუბლიკაციებს – წიგნებსა თუ სტატიებს – ამ განახლებული ისტორიის მრავალ საკითხზე.

ბუნებრივად, ვერც მე ავუარე გვერდი და მე რე და მე რე ეს ურთიერთობა ითარ ჯანელიძისთან მეგობრობაში გადაიზარდა.

ქართულ ემიგრაციის თემაზე დანერული არაერთი ჩემი ნაშრომისა თუ გამოკვლევის პირველი მკითხველი და რედაქტორი სწორედ პროფესორი ითარ ჯანელიძეა, რაც მე დიდი პატივი და მიმანია. და ამ ფონზე განსაკუთრებით საინტერესოა, რომ მან – თავად ჩემი გამოკვლევების რედაქტორმა – თავისი ნაშრომების რედაქტორად ამირჩია და სარედაქტორად მანდო აქამდე მცირედ შესწავლილი, ქართული ბიზნესის თემაზე შექმნილი სოლიდური წიგნები „ზუბალაშვილები, დავით სარაჯიშვილი, აკაკი ხოშტარია, მიტროფანე ლალიძე და სხვანი...“ და „საქმიანი საქართველო“ (1801-1921)“, რომელიც პროფესორ ალექსანდრე დაუშვილთან თანავეტობით გამოსცა.

პირველ წიგნს ჩემი წინასტყევაობაც ერთვის და იქიდან ერთ ფრამგმენტი მიინდა მოვიხმო, რომელიც კარვად წარმოაჩინეს, რამდენი იყო ამ ასპარეზზე სამკალი, როგორც იტყოდა ივანე ჯანელიძისი და რა სერიოზული შრომა მოელოდათ ქართველ ისტორიკოსებს ბოლო 30-35 წლის განმავლობაში:

„პოლიტიკური კატაკლიზმების გამო მოხდა ისე, რომ ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიის არაერთი მნიშვნელოვანი პლასტი ნლების მანაქლზე საუღლდა-გულოდ იყო დაფარული და ახლად ვცდილობთ ჩვენს ცოდნაში ამ ხარტვის ამოხევისას. ცალმხრივად, და ისიც დამახინჯებულად, გვასწავლეს თითქმის მთელი XX საუკუნე. საქართველოს სინამდვილიდან ათწლებლების განმავლობაში ამოგლეჯილი იყო ქართული პოლიტიკური ემიგრაციის მრავალფეროვანი, წინა-აღმდეგობებით აღსავსე ისტორია, ურომლისოდაც – დღეს ეს ყველასათვის ამკარაა, – წარმოდგენილი იქნება ქვეყნის წარსულისა თუ ანმყოს სრულყოფილი შეფასება და მომავლის გააზრება“.

დღეს უკვე შეიძლება თამამად ითქვას, რომ ქვეყნის წარსულისა თუ ანმყოს სრულყოფილი შეფასებასა და მომავლის გააზრებაში დიდად გვეხმარება ითარ

ჯანელიძის სამეცნიერო მოღვაწეობა, მისი წიგნები, მისი სტატიები, მისი საჯარო გამოსვლები, მისი ლექციები, მისი რედაქტორობით გამოშვებული ჟურნალი.

ამ ჟურნალზე ცალკე უნდა ითქვას: როცა რობაქიძის უნივერსიტეტში ქართული ემიგრაციის ისტორიისა და გეოგრაფიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ჩამოვყალიბეთ, ოთარ ჯანელიძე იმ პერიოდში რედაქტორობდა ჟურნალს „ქართული ემიგრაცია“, რომელიც გიორგი მაჩაბლის ფონდის ეგვიტით გამოდიოდა. ჩვენ გადაწყვიტეთ, რომ ეს ჟურნალი ფონდისა და ჩვენი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გამოცემა ყოფილიყო და მას შემდეგ ჟურნალი „ქართული ემიგრაცია“ ერთადერთი სპეციალიზებული ქართული სამეცნიერო პერიოდული ორგანოა, რომელიც ქართულ ემიგრაციის საკითხებს შეისწავლის და რომელმაც მალე მოიხვეჭა პოპულარობა არა მარტო სამეცნიერო წრეებში, არამედ ფართო მკითხველ საზოგადოებაში. და ეს ყველაფერი, პირველ ყოვლისა, მისი რედაქტორის, პროფესორ ოთარ ჯანელიძის დამსახურებაა. მე თავად ვარ მოწმე, როგორ აგროვებს იგი ჟურნალისთვის საკადრის მასალებს არა მარტო საქართველოში, არამედ უცხოეთშიც, მე თავად ვარ მოწმე, რამდენს ცდილობს იგი, ჟურნალის გარშემო შემოკრებილ სპეციალისტებთან ერთად, ქართული ემიგრაციის ისტორია საქართველოს ისტორიის ნაწილად აქციოს. მან კარგად იცის, ამ აქამდე ცალ-ცალკე, მაგრამ ერთმანეთის პარალელურად განფენილი სინამდვილის გაერთიანების მნიშვნელობა. ოთარ ჯანელიძე და მის გარშემო შემოკრებილ მეცნიერთა გუნდი სრულიად სამართლიანად თვლის, რომ საქართველოს დღევანდელი არცთუ სახარბიელო მდგომარეობა მნიშვნელოვანწილად იმითაც შეიძლება იყოს გამოწვეული, რომ მაღალი დონის ხელმძღვანელები, პოლიტიკის წარმმართველები არ იცნობენ ან ზედაპირულად იცნობენ იმ ქვეყანას და იმ ხალხს, რომელთა ლიდერობაც მათ მოენდოთ. მკითხველი ადვილად დარწმუნდება ამაში, თუ წაიკითხავს ოთარ ჯანელიძის ნაშრომებს, თუ წაიკითხავს მისი ხელმძღვანელობით გამოსულ ჟურნალის ნომრებს, თუ მოისმენს მის ლექციებს. იგივე შეიძლება ითქვას ახალგაზრდებზე, რომელთა რიცხვი უკვე, სამწუხაროდ, მილიონია და მეტიც!

ამ საიუბილეო მილოცვის ბოლოს ისიც მინდა დავამატო, რომ ჩემი მეცნიერული აქტიურობა დიდწილად ჩემი მეგობრის - ოთარ ჯანელიძის დამსახურებაა. ჟურნალ „ქართულ ემიგრაციაზე“ რომ არაფერი ვთქვათ, რომლის რედაქციის ნევრიც ვარ, ოთარ ჯანელიძეს არ გამოორჩება არც ერთი სამეცნიერო ღონისძიება, არც ერთი გამოცემა, სადაც მე და სხვა არაერთ კოლეგას მონაწილეობის მიღება არ შესთავაზოს და მონაწილეობისათვის არ შეაგულიანოს.


მისი ამ შეთავაზების, შეგულიანებისა თუ ნახალისების შედეგია ერთი ჩემი გამოკვლევა ქართული ემიგრაციის ისტორიიდან, რომელიც მის ამ საიუბილეო კრებულში იბეჭდება. იმის მიუხედავად, რომ ტექსტის მოცულობა იმაზე მეტი გამოვიდა, ვიდრე თავიდან ვვარაუდობდი, მე შევეცადე იგი ისეთი გამოსულიყო, როგორც ამას ოთარ ჯანელიძის სახელოვანი იუბილე იმსახურებდა.

პაატა ნაცვლიშვილი

გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის
ქართული ემიგრაციის ისტორიისა და გეოგრაფიის
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი,
პროფესორი



ბატონო ოთარ,



თქვენი საიუბილეო დღესთან დაკავშირებით, მსურს ამ წერილის მეშვეობით გამოვხატო ჩემი უდიდესი პატივისცემა და მადლიერება იმ ფასდაუდებელი გავლენისთვის, რაც თქვენ მოახდინეთ ჩემზე, ჯერ როგორც ისტორიის მასწავლებელმა, შემდეგ კი როგორც მეცნიერმა, მკვლევარმა და უშუალო ურთიერთობაში კი მეგობარმა.

საქმისადმი, სწავლებისადმი თქვენმა ერთგულებამ და ჩვენი ქვეყნის ისტორიის, ისტორიულ ფიგურათა ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ თქვენმა გატაცებამ, პირუთვნელმა, ფაქიზი სიფრთხილის დამოკიდებულებამ ჩემში რამდენადმე გაზარდა თქვენდამი პატივისცემა და წარმოადგინა, თუ როგორი უნდა იყოს პროფესიონალი, კეთილსინდისიერი მეცნიერი.

თქვენი საიუბილეო დღესთან დაკავშირებით, მსურს ამ წერილის მეშვეობით გამოვხატო ჩემი უდიდესი პატივისცემა და მადლიერება იმ ფასდაუდებელი გავლენისთვის, რაც თქვენ მოახდინეთ ჩემზე, ჯერ როგორც ისტორიის მასწავლებელმა, შემდეგ კი როგორც მენეჯერმა, მკვლევარმა და უშუალო ურთიერთობაში კი მეგობარმა.

თქვენი სწავლების მეთოდი, სტუდენტებისადმი დამოკიდებულება, ის, რომ ყველა სტუდენტისთვის ღია და ხელმისაწვდომი იყო, ამ დროისათვის ინოვაციური და ერთობ დასაფასებელი იყო. ამ გადასახედიდან დიდი მადლიერებითა და სითბოთ ვიხსენებ თქვენს თანადგომას, თქვენს კეთილ რჩევებს. თქვენ ქმნიდით ახალგაზრდებში კრიტიკული აზროვნების განვითარებისთვის საუკეთესო გარემოს.

თქვენი სწავლების მეთოდი, სტუდენტებისადმი დამოკიდებულება, ის, რომ ყველა სტუდენტისთვის ღია და ხელმისაწვდომი იყო, ამ დროისათვის ინოვაციური და ერთობ დასაფასებელი იყო. ამ გადასახედიდან დიდი მადლიერებითა და სითბოთ ვიხსენებ თქვენს თანადგომას, თქვენს კეთილ რჩევებს. თქვენ ქმნიდით ახალგაზრდებში კრიტიკული აზროვნების განვითარებისთვის საუკეთესო გარემოს.

თქვენი სწავლების მეთოდი, სტუდენტებისადმი დამოკიდებულება, ის, რომ ყველა სტუდენტისთვის ღია და ხელმისაწვდომი იყო, ამ დროისათვის ინოვაციური და ერთობ დასაფასებელი იყო. ამ გადასახედიდან დიდი მადლიერებითა და სითბოთ ვიხსენებ თქვენს თანადგომას, თქვენს კეთილ რჩევებს. თქვენ ქმნიდით ახალგაზრდებში კრიტიკული აზროვნების განვითარებისთვის საუკეთესო გარემოს.

თქვენი სწავლების მეთოდი, სტუდენტებისადმი დამოკიდებულება, ის, რომ ყველა სტუდენტისთვის ღია და ხელმისაწვდომი იყო, ამ დროისათვის ინოვაციური და ერთობ დასაფასებელი იყო. ამ გადასახედიდან დიდი მადლიერებითა და სითბოთ ვიხსენებ თქვენს თანადგომას, თქვენს კეთილ რჩევებს. თქვენ ქმნიდით ახალგაზრდებში კრიტიკული აზროვნების განვითარებისთვის საუკეთესო გარემოს.


ჩემთვის, როგორც ელჩისთვის, დიდი პატივი და სიამოვნება იყო თქვენთან ერთად პარიზის აღმოსავლურ ენათა და კულტურათა ეროვნულ ინსტიტუტში საერთაშორისო კონფერენციის მოწყობა. განსაკუთრებით სიმბოლური იყო ლევილის ქართულ მამულში თქვენი ბოლოდროინდელი წიგნების პრეზენტაცია საქართველოს პირველი რესპუბლიკის ისტორიისა და მისი ფუძემდებელი მამულის მოღვაწეობის შესახებ, რომელთა უმრავლესობა ლევილის ქართველ მამულიშვილთა პანთეონში განისვენებს.

ჩემთვის ძალიან ძვირფასო, კეთილდღეობიანი მეცნიერო და უბრალოდ არაჩვეულებრივო ადამიანო, ბატონო ოთარ, გულწრფელი სურვილებით ვუერთდები მოლოცვებს და კიდევ მრავალი წლის განმავლობაში გეკეთებინოთ, თქვენებურად კარგად ის საქმე, რომლისადმი სიყვარული და ერთგულება თქვენი ცხოვრების მთავარი მიზანია.


მთელი ჩემი პატივისცემით და გულწრფელი მადლიერებით,

გოჩა ჯავახიშვილი

საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საფრანგეთის რესპუბლიკასა და
მონაკოში;
იუნესკოში საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი



**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს,
პროფესორ ოთარ ჯანელიძეს**



ბატონო ოთარ,
მოგესალმებით და ჯანელიძეების საგვარულო კავშირის სახელით, გილოცავთ 70 წლის იუბილეს. თქვენი ძალისხმევით, მალე განსრულდება წიგნი ჩვენი გვარის -ჯანელიძეების შესახებ, რომლის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელიც თავად ბრძანდებით.

გისურვებთ ჯანმრთელობას, უფლის წყალობას, დიდხანს სიცოცხლესა და წარმატებებს პროფესიულ საქმიანობაში.

გვარის წინამძღვრული,
დეკანოზი მათე ჯანელიძე

მ. ჯანელიძე

ოთარ ჭანელიძის
ცხოვრება
და საქმიანობა



აღიარება მხოლოდ შრომით მოდის...
(პროფესორ ოთარ ჯანელიძის დაბადებიდან
70 წლისთავის გამო)

პროფესორ ოთარ ჯანელიძესთან მრავალი წლის შემოქმედებითი ურთიერთობა მაკავშირებს, მეგობრობაც, დიდი ურთიერთპატივისცემაც... ამ წლების მანძილზე ღრმად გავიცანი მის „სამზარეულოს“, შეხედულებებს, მისწრაფებებს და, მგონი მოვიპოვე უფლება ამ მისთვის მნიშვნელოვან, საეტაპო ჟამს მეც გამოვთქვა ჩემი შეხედულებები, სურვილები, გრძნობა-განწყობილებები... ეს საჭიროც არის და აუცილებელიც... აღიარება ხომ დიდი და ხანგრძლივი შრომით მოდის და ამ შრომის ზოგიერთ ეტაპზე მისი საქმიანობის თანამონაწილე თუ თვითმხილველი მეც ვიყავი...

მართლია, უკვე ძალიან დიდი ხანია ოთარ ჯანელიძეს ვიცნობ, მაგრამ სანამ მეგობრები გავხვდებოდით, ქართველი ისტორიკოსების „ნავსაყუდელში“ – სახელმწიფო ეროვნული არქივისა და ბიბლიოთეკების დარბაზებში მყავდა შემჩნეული ეს მეტად გულმოდგინედ მომუშავე, საქმეში თავდადებული, შრომაში – გამორჩეული, ურთიერთობებში – დასაფასებელი ღირსეული ახალგაზრდა კაცი.

ის ყოველთვის მოდიოდა ჩუმად... ხმაურის გარეშე, მხოლოდ შრომით, მხოლოდ საქმისადმი შესაშური ენერჯით...

ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული ჩვენი იუბილარი, ამ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მდიდარი ტრადიციების საუკეთესო მახასიათებლებით გამორჩეული იყო მუდამ და ეს ყველაფერში ჩანდა...

იმ პერიოდში, როცა ოთარ ჯანელიძეს პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ მისი პუბლიკაციები წამეკითხა, მხოლოდ მკვლევრის სიბეჯითე და საქმისადმი დამოკიდებულება მხიბლავდა და, მეც თვითონ არაზარმაცს, მისადმი გამორჩეულად კეთილგანწყობილს მხდიდა...

მოგვიანებით გავიგე, რომ იმჟამად თბილისში უაღრესად ავტორიტეტული, ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის კათედრაზე, ჩემთვის სათაყვანებელი პიროვნების – პროფესორ ნოდარ ასათიანის კათედრის წევრი და მისი ერთგული თანაგუნდელი ყოფილა. მანამდე კი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის წარჩინებით დასრულება 1978 წელს, იქვე ასპირანტურის გავლა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ აკაკი სურგულაძის ხელმძღვანელობით, წარმატებით დაცული საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „უკრაინის უნივერსიტეტების ქართველი სტუდენტობა რუსეთის სამი რევოლუციის პერიოდში“ (1986 წ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი), სადოქტორო დისერტაცია „საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. 1917-1923 წწ.“ (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1999 წ.) და პროფესორად არჩევა თსუ-ს დიდი სამეცნიერო საბჭოს მიერ (2002 წ.).

ჩვენი გზები მალევე გადაიკვეთა - ერთ მშვენიერ დღეს, ჩემთვის ძვირფას სამეცნიერო დაწესებულებაში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში, სადაც მე უკვე დიდი ხანია ვმუშაობდი, ოთარ ჯანელიძე გადმოვიდა სამუშაოდ და მოგვიანებით ერთობლივ პროექტებშიც მოგვინია მონაწილეობა. აი, მაშინ კი დაიწყო ინტენსიური საქმიანობა, კოლეგიური ურთიერთობა, დამეგობრებისაკენ მიმავალი საინტერესო გზა...

ოთარ ჯანელიძესთან რამდენიმე ათეული წლის თანამშრომლობა უკვე მაძლევს უფლებას, დღეს შევაფასო მისი განვლილი გზა, საქმისადმი დამოკიდებულება და, რაც მთავარია, შევცხო და განვიხილო მისი, როგორც მკვლევრისა და მეცნიერის შემოქმედებითი პალიტრა, რომელიც იმდენად ფართო და მრავალფეროვანია, რომ უკვე სპეციალურ მონოგრაფიულ შესწავლას საჭიროებს. ამ პატარა წერილში მხოლოდ რამდენიმე შტრიხს წარმოვაჩენ - რაც დავინახე, გავაანალიზე და მინდა სხვებსაც გავუზიარო.

საოცარი პროფესიონალიზმი - ეს ოთარ ჯანელიძის მთავარი და ძირითადი დამახასიათებელი თვისებაა. უნივერსიტეტში სწავლის წლებმა, ჩინებულ ქართველ ისტორიკოსებთან მჭიდრო ურთიერთობამ, საკუთარ თავზე პერმანენტულმა მუშაობამ წლების განმავლობაში ჩვენი იუბილარი თავისი საქმის უბადლო სპეციალისტად ჩამოაყალიბა, რასაც დღეს უკვე ქართული საისტორიო საზოგადოება ერთხმად აღიარებს.

შრომისუნარიანობა - შემოქმედებითი საქმიანობის მრავალი წლის განმავლობაში ოთარ ჯანელიძემ დაინტერესულ მკითხველს შესთავაზა 180-მდე სამეცნიერო სტატია, ოცზე მეტი წიგნი და მონოგრაფია, რომელთაგან ბევრი ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენია. ყველაფერი ეს მიღწეულია უდიდესი რუდუნებით, საკუთარი შემოქმედებითი შრომის შედეგად.

კოლეგიალობა - კოლექტიურ პროექტებში ორგანული და მრავალმხრივ საყურადღებო მუშაობა, თანამოაზრეებთან უკონფლიქტო, საინტერესო და მიზანმიმართული საქმიანობა მისი პიროვნების თვალსაჩინო მახასიათებელია და ის ამითაც არის გამორჩეული.

კომუნიკაბელურობა - იშვიათად მოიძებნება საქართველოში XIX-XX საუკუნეების ისტორიის პრობლემებზე მომუშავე მკვლევარი, რომელსაც ოთარ ჯანელიძე არ იცნობდეს, არ წაეკითხოს მისი პუბლიკაციები, არ ჰქონდეს კეთილი დამოკიდებულება და აქედან გამომდინარე - მუდამ იყოს „დამაკავშირებელი ხიდი“ ქართველი ისტორიკოსების სხვადასხვა თაობასა თუ წარმომადგენელს შორის.

პედაგოგიური ნიჭი - ოთარ ჯანელიძე ნაყოფიერ სამეცნიერო მუშაობას მჭიდროდ უხამებს უმაღლეს სასწავლებლებში პედაგოგიურ-აღმზრდელი საქმიანობას და ახალგაზრდა თაობებს (სტუდენტებს, ასპირანტებს, მაგისტრანტებს, დოქტორანტებს) გადასცემს იმ უდიდეს ცოდნას და გამოცდილებას, რაც წლების რუდუნებით დააგროვა და სხვისთვის ეს ცოდნა არასოდეს ენანება.

მოქალაქეობრივი პოზიცია - არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ ოთარ ჯანელიძე ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ქმედითი მონაწილეა და გამოირჩევა მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით. მეცნიერის მოქალაქეობრივი პოზიცია

კარგად ჩანს სხვადასხვა წლებში პერიოდული პრესის ორგანოებისათვის მიცემულ მის ინტერვიუებში, საჯარო გამოსვლებსა თუ დისკუსიებში. მათში იკვეთება პირუთვნელობა, სალი და გონიერი აზრი, ეროვნული და სახელმწიფოებრივი სულისკვეთება. ამ მხრივ შეიძლება დავასახელოთ ოთარ ჯანელიძის ღია წერილი სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისადმი საქართველოდან 1989 წლის 9 აპრილს თბილისში დატრიალებულ ტრაგედიასთან დაკავშირებით, რომელშიც ვკითხულობთ: „საქართველოს ახლა უმძიმესი დღეები უდგას. გამოიყენეთ დეპუტატის სიტყვის ძალა. დასვით თქვენს პირველსავე ყრილობაზე თბილისის სისხლიანი აქციის საკითხი და მოითხოვეთ კონკრეტული პასუხი. მთელ ქვეყანას აუწყეთ სრული სიმართლე 9 აპრილის უღმობელი ანგარიშსწორების ირგვლივ. ნუ იქნებით მთხოვნელნი, იყავით ბრალმდებელნი! ...გახსოვდეთ, რომ სრულიად საქართველოს ერთი დიდი გულისთქმა, ნატვრა და ოცნება აქვს: ეს არის მისი რეალური სუვერენიტეტი! ...ამიტომაც თქვენი უპირველესი ზრუნვაც მის მიღწევასა და ხორცშესხმას უნდა მოხმარდეს“.¹

1991 წლის დასაწყისში, როდესაც ფართო დემოკრატიული გზით სულ რამდენიმე თვის არჩეული იყო საქართველოს უზენაესი საბჭო, მას არა მხოლოდ კრემლის შემოტევებისა და შიდა სეპარატისტული მოძრაობის მოგერიება უწევდა, არამედ საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური ძალების თავდასხმებთან გამკლავებაც. შექმნილ რთულ ვითარებაში, ოთარ ჯანელიძე პრესის ფურცლებიდან მოუწოდებდა, რომ ვიდრე არჩევნებში კანონიერად გამარჯვებულ ბლოკს „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“ და მის ხელისუფლებას არ დაუკარგავს ნდობის ვოტუმი, ქვეყნის სრული დამოუკიდებლობის მისაღწევად, აუცილებელია პარლამენტსგარეთ დარჩენილი ყველა პარტია ჩამოყალიბდეს კონსტრუქციულ ოპოზიციად და იმოქმედოს „მემარცხენე ბლოკიზმის“ ტაქტიკით, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთმანეთს კი არ დავესიოთ, არამედ „ცალ-ცალკე ვიაროთ და ერთად ვურტყათ“,² ხოლო ვისაც უნდა „ვურტყათ“ და და რა იგულისხმებოდა ამაში, მაშინ ყველასათვის კარგად იყო ცნობილი.

საგულისხმოა, რომ თავისი კრიტიკული და პირუთვნელი აზრის გამოთქმას ოთარ ჯანელიძე არც მომდევნო ხელისუფალთა მიმართ მორიდებია, ოღონდ არა ჩასაფრებული, არამედ კეთილმოსურნე კაცის პოზიციიდან.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის სამწლიანი პერიოდისადმი მიძღვნილი ოთარ ჯანელიძის წიგნი „26 მაისიდან 25 თებერვლისაკენ“, 1990 წელს, მაშინ გამოიცა, „როდესაც კომუნისტური იმპერია ჯერაც არ დაშლილიყო და თავისუფლებისაკენ ეროვნულ მისწრაფებას უხეში ძალით ახშობდა. საბჭოთა სინამდვილეში ეს პირველი წიგნი იყო, რომელშიც სიმართლით აისახა მანამდე გაყალბებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორია, ობიექტურად გაშუქდა ქართული სახელმწიფოებრი-

1 ო. ჯანელიძე, იმპერატიული მანდატი ანუ ღია წერილი საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატებს საქართველოდან, გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1989 წ., 16 მაისი.

2 ო. ჯანელიძე, წარსული გაკვეთილად. ცალ-ცალკე და ერთად, გაზეთი „ახალგაზრდა ივერიელი“, 1991 წ., 17 იანვარი.

ობის აღდგენისა და დაცემის მიზეზები. ამგვარი ნაშრომის გამოცემა მაშინ სრულიადაც არ იყო ურისკო და მაღალ მოქალაქეობრივ გამბედაობასაც მოითხოვდა“.³

პრინციპული და შეურიგებელია ოთარ ჯანელიძის დამოკიდებულება საქართველოს წარსულის გამყალბებელთა წინააღმდეგ, რასაც ცხადყოფს მეცნიერის გამოხმაურებები აფხაზეთისა თუ ე. წ. სამხრეთ ოსეთის ისტორიის შესახებ გამოცემულ ტენდენციურ ნაშრომებზე.⁴

სამეცნიერო თუ პედაგოგიურ მუშაობაში განვლილმა ათწლეულებმა პროფესორ ოთარ ჯანელიძის უკვე დიდი ხანია ჩამოუყალიბა მეცნიერული ხელნერაც – ისტორიზმის საყოველთაოდ გაზიარებული პრინციპები, ობიექტურობა, ფაქტებისა და მოვლენების მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა, მოვლენების აღქმის დროს მკაცრი ბალანსირება, კვლევის თანამედროვე მეთოდების ღრმა ცოდნა... სწორედ ასეთი „სამზარეულო“ ქმნის და აყალიბებს იმ სამეცნიერო პროდუქციას „ოთარჯანელიძისაეულად“, ანუ დღეს ქართველ ისტორიკოსებში გამორჩეულობით აღიარებულ ხელნერის პროდუქტად რომ არის ჩათვლილი.

წარსულის ადრეული ეპოქებისაგან განსხვავებით, თანამედროვე ისტორიაში გაცილებით ნაკლებია შანსი, მკვლევარმა მიაგნოს ახალ, გამოუქვეყნებელ და სრულიად უცნობ პირველწყაროს. ამის მიუხედავად, ოთარ ჯანელიძისთან მიმართებით მახსენდება ის მიერ სიახლის აღმოჩენის სამი საგულისხმო შემთხვევა, რომლებიც დიდ ისტორიულ პიროვნებებს – ილია ჭავჭავაძეს, ნიკო ნიკოლაძესა და ივანე ჯავახიშვილს უკავშირდება. 1. ჩვენმა იუბილარმა მიაკვლია ეროვნული და დემოკრატიული მოძრაობის ბეჭდურ პროგრამას, რომელიც 1905-1906 წლებში ილია ჭავჭავაძის მონაწილეობით არის შედგენილი;⁵ 2. მეცნიერმა მოიძია საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტთან ივანე ჯავახიშვილის ურთიერთობის წარმომჩენი საარქივო ცნობა, რომლის თანახმად, ქართველი სწავლული და თბილისის უნივერსიტეტის მომავალი მესაძირკვლე 1916 წელს, სტოკჰოლმში, საქართველოს საკითხზე მოსალაპარაკებლად, ფარულად შეხვედრია შვედეთში გერმანიის ელჩს⁶ და 3. ოთარ ჯანელიძემ აღმოაჩინა ნიკო ნიკოლაძისათვის მინიჭებული თამარ მეფის ორდენი და ამ ჯილდოს გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტი.⁷

პროფესორ ოთარ ჯანელიძის სამეცნიერო მიღწევებს მე ამჯერად რამდენიმე ჯგუფში გავაერთიანებდი: 1. მონოგრაფიები და გამოკვლევები; 2. კოლექტი-

3 გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 2014 წ., 23 მაისი - 5 ივნისი.

4 ო. ჯანელიძე, პოსტსაბჭოთა სინამდვილის ორი დისკურსი: წარსულის პოლიტიზება და ისტორიის ინსტრუმენტალიზაცია, თბ., 2014 და სხვ.

5 აღმოჩნდა მნიშვნელოვანი დოკუმენტი (ინტერვიუ ოთარ ჯანელიძისთან), გაზეთი „კავკასიონი“, 1995 წ., 4 თებერვალი.

6 ო. ჯანელიძე, ივანე ჯავახიშვილი (ბიოგრაფიის მივინყებული ფურცლები), თბ., 1996, გვ. 9-12.

7 ო. ჯანელიძე, თამარ მეფის ორდენის კავალერი: უცნობი ფურცელი ნიკო ნიკოლაძის ბიოგრაფიიდან, ჟურნალი „ომეგა“, თბ., 2003, N8, გვ.78-83.

ური პროექტები, 3. პერსონალიები და 4. განმაზოგადებელი ნაშრომები; 5. სახელმძღვანელოები.

მონოგრაფიები – ასეთი „პროდუქტი“ იუბილარს თავის „კალათაში“ საკმაოდ ბევრი აქვს, უპირველეს ყოვლისა ეს – მისი სადისერტაციო ნაშრომებია, რომლებმაც თავიდანვე საფუძველი ჩაუყარეს კოლეგების შეხედულებებს მის შემოქმედებით შესაძლებლობებზე. ძალიან ბევრი შეიძლება მათზე საუბარი, მაგრამ აქ მხოლოდ ერთს გამოვყოფ – მის სადოქტორო ნაშრომს, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში მზადდებოდა და მოგვიანებით ცალკე წიგნადაც გამოქვეყნდა. მონოგრაფიას გამოსვლისთანავე უწოდეს „ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენი“⁸ და ის სპეციალისტებისათვის თავიდანვე გახდა სამაგიდო...

წიგნში ღრმად და ყოველმხრივ იყო შესწავლილი საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიული განვითარების გზა – ქართველ ინტელექტუელთა ელიტური ნაწილის პოლიტიკური მოღვაწეობის საინტერესო და მიზანმიმართული საქმიანობა. ეს პოლიტიკური პარტია აერთიანებდა საქართველოს ინტელიგენციის ისეთ წარმომადგენლებს, როგორც იყვნენ: ნიკო ნიკოლაძე, ექვთიმე თაყაიშვილი, ვასილ ბარნოვი, ნიკო ლორთქიფანიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, გერონტი ქიქოძე და სხვები. ამ პარტიას თავიდანვე არ წყალობდა საბჭოთა ისტორიოგრაფია, რის გამოც მას არც არავინ სწავლობდა. ამიტომაც ოთარ ჯანელიძის განსაკუთრებული დამსახურებაა ის, რომ მან საქართველოს ეროვნულ არქივში, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის, გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმის ფონდებსა და სხვადასხვა წიგნსაცავებში დაუნჯებული საისტორიო თუ ლიტერატურული წყაროები გამოავლინა, კრიტიკულად გაიაზრა და ერთ დიდ სერიოზულ გამოკვლევად ჩამოაყალიბა.

მონოგრაფიაში ნაჩვენებია ქართველი ეროვნულ-დემოკრატების თეორიული და პრაქტიკული საქმიანობის თითქმის სრული სპექტრი, განსაკუთრებით საქართველოს პირველი რესპუბლიკის პერიოდში, როცა მათი ოპოზიციური თვალთახედვა ბევრჯერ დაეხმარა ქვეყანას ურთულესი პრობლემების გადაჭრის საქმეში. ავტორი სპეციალურად ჩერდება მათ საქმიანობაზე საქართველოს ეროვნულ საბჭოსა და პარლამენტში, საქართველოს დამფუძნებელ კრებაში, აშუქებს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ბრძოლას საბჭოური რეჟიმის წინააღმდეგ 1921-1923 წლებში და სხვ. წიგნში უამრავი საარქივო და მემუარული მასალის მოხმობით აღდგენილია ამ პარტიის საქმიანობის მრავალი დეტალი, ყველა ღირებული შედეგი. სწორედ ამიტომ, ნაშრომმა თავიდანვე მიიქცია სპეციალისტთა ყურადღება და მის ავტორს დამსახურებული აღიარებაც მოუტანა. წიგნი მართლაც რომ მაგალითად გვესახება პოლიტიკური პარტიების ისტორიის შესასწავლად. ამ ნაშრომის რეცენზიაში პროფესორი ალექსანდრე ბენდიანიშვილი მიუთითებდა: „ოთარ ჯანელიძემ ახალი კრიტერიუმების საფუძველზე შეაფასა

8 ა. დაუშვილი, ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენი, აღმანახი „კლიო“, #18, თბ., 2003.

ფაქტები, მოვლენები, პიროვნებები, მთლიანად ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მოღვაწეობა და თავისი კუთვნილი ადგილი მიუჩინა მას საზოგადოებრივ პოლიტიკურ ცხოვრებაში“.

ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას და მის მეთაურებს ოთარ ჯანელიძე შემდეგშიც არაერთხელ მიუბრუნდება თავის შემოქმედებაში და ღირსეული ნაშრომებსაც არა ერთს მიუძღვნის, მათ შორის აღსანიშნავია მონოგრაფია „სპირიდონ კედია. პოლიტიკური პორტრეტი“.

სპირიდონ კედია არაორდინალური პიროვნება იყო, ის დღესაც ყველასაგან ცალსახად მოწონებული და დაფასებული არ არის, მაგრამ ისტორიკოსი ვალდებულია ღრმად და ყოველმხრივ შეისწავლოს ქართველი პოლიტიკური ლიდერის საქმიანობა, რომელ იდეურ მიმართულებასაც უნდა ეკუთვნოდეს ის, რადგან „საქართველოს არ ჰყავს შვილი დასაკარგავი!“

აი, როგორ ასაბუთებს ამ საინტერესო, მაგრამ წინააღმდეგობრივი პოლიტიკური მოღვაწის ბიოგრაფიის მეცნიერული შესწავლის აუცილებლობას ოთარ ჯანელიძე: „სამწუხაროდ, ჟამთა უკუღმართობამ ზოგი... თავის დროზე ცნობილი მოღვაწე მშობლიურ მიწა-წყალს მოსწყვიტა და უცხოეთში გადახვეწილი დასავიწყებლად გაიმეტა. ერთი ამგვარი პიროვნებაა სპირიდონ კედია, – კაცი, რომელსაც ბედმა წილად ილია ჭავჭავაძის პოლიტიკური მემკვიდრის – საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მეთაურობა არგუნა და ამით საქართველოს ახალ ისტორიაში თვალსაჩინო ადგილი დაუმკვიდრა“.⁹

ამ პიროვნების პოლიტიკური ბიოგრაფიაზე მუშაობის პროცესში მეცნიერმა მრავალ საინტერესო მასალას და ისტორიულ ფაქტს მიაკვლია და არა მარტო საქართველოში... მოგვიანებით ოთარ ჯანელიძე პარიზშიც ჩავიდა, საიდანაც სპირიდონ კედიას პირადი არქივის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტები ჩამოიტანა, გულდასმით დაამუშავა, მოზრდილ კრებულად შეკრა და საყურადღებო შესავალი წერილისა და კომენტარების დართვით, საისტორიო საზოგადოებას წარუდგინა. ახლადგამოვლენილ მასალებში არის სპირიდონ კედიას მიმონერა ისეთ ცნობილ პიროვნებებთან, როგორებიც იყვნენ ექვთიმე თაყაიშვილი, ქაქუცა ჩოლოყაშვილი, მიხაკო წერეთელი, გიორგი მაჩაბელი და სხვ. კრებულში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ფუძემდებლური დოკუმენტები, პრეზიდენტის სხდომათა ოქმები, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის სხდომების ოქმები და ბევრი სხვა მნიშვნელოვანი მასალაა შესული.¹⁰

ნაშრომს ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის შესახებ დიდი ინტერესი და ფართო გამომხაურება მოჰყვა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ქართულ ემიგრაციაშიც. სპირიდონ კედიას ქალიშვილმა თეო კედიამ ოთარ ჯანელიძეს ასეთი შინაარსის წერილი გამოუგზავნა: „გრძობამორეული ვკითხულობ თქვენს წიგნს. ...ეს ჩემთვის უძვირფასესი საჩუქარია, რისთვისაც დიდი მადლობელი ვარ. თქვენი წყალობით უხვად ვეცნობი ძვირფასი მამაჩემის მოღვაწეობის ფართო სპექტრს,

9 ო. ჯანელიძე, სპირიდონ კედია (პოლიტიკური პორტრეტი), თბ., 2002.

10 სპირიდონ კედია, მასალები პირადი არქივიდან, შესავალი წერილი, შენიშვნები და კომენტარები დაურთო ოთარ ჯანელიძემ, თბ., 2007.

რომელიც ანათებს მის მსოფლმხედველობას. ეჭვგარეშეა, რომ ეს ყველაფერი კარგად ვიცოდით, მაგრამ ასე რეალურად გადაშლილ სურათს დღემდე მოკლებული ვიყავი. პირნათლად ემსახურებით ბატონო ოთარ, ისტორიის სიმართლეს, მის სინამდვილეს და ამისათვის არასა ზოგავთ. ამოდენა შრომამ, ურიცხვი არქივების ხილვამ და საბოლოოდ თქვენმა ცოდნამ ძირფესვიანად ამოკენჭა მამაჩემის გზა-ნაბიჯები, ამიტომაც ასე გულმოდგინეთ, ფეხდაფეხ მისდევთ მის კვალს“.¹¹

აი, რას წერდა ხსენებული ნაშრომის შესახებ პარიზში მცხოვრები ჩვენი თანამემამულე, ჟურნალ „ჩვენი“ რედაქტორი და ერთ-ერთი უკანასკნელი ეროვნულ-დემოკრატი მოღვაწე საფრანგეთში მიხეილ ქავთარაძე: „წიგნი „სპირიდონ კედია“ არის არა მხოლოდ ამ დიდი პიროვნების პოლიტიკური პორტრეტი, არამედ ესაა იმ ეპოქის ისტორია, რომელშიც მოუხდა ცხოვრება სპირიდონს. ეს წიგნი ერთ-ერთი საუკეთესო კრებულია საქართველოს ახალი ისტორიის ამსახველი ფაქტებისა, რაც ავტორის დიდი დამსახურებაა“.¹²

მწერალ როსტომ ჩხეიძის შეფასებით კი, „ოთარ ჯანელიძის წიგნი „სპირიდონ კედია. პოლიტიკური პორტრეტი“ სწორედ იმის ნიმუშია, თუ როგორ უნდა ინერებოდეს ღირსეულ პიროვნებაზე, და საერთოდ ისტორიაზე, – ყოველგვარი მრისხანებისა და მიკერძოების გარეშე, სრულიად ობიექტურად. ...ეს არის არა მარტო პიროვნების, არამედ ეპოქის პორტრეტი“.¹³

რამდენიმე მონოგრაფიული ნაშრომი მიუძღვნა ოთარ ჯანელიძემ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიასა და ამ დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს ცალკეულ მესვეურებს. ვრცელ გამოკვლევაში „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ნარკვევები“,¹⁴ გაშუქებულია 1918-1921 წლების საქართველოს სინამდვილის არაერთი კარდინალური საკითხი, ხოლო სხვა წიგნში, საარქივო მასალების საფუძველზე, განხილულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი, კოალიციური მთავრობის თავმჯდომარის ნოე რამიშვილის მოღვაწეობა პრემიერის რანგში.¹⁵

მეცნიერის კვალიფიკაციის აღიარებას მონიშნავს, რომ ოთარ ჯანელიძის სპეციალური ნაშრომი, რომელიც საქართველოს პირველი რესპუბლიკის 100 წლისთავისათვის მომზადდა, ქართულ და ინგლისურ ენებზე საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მხარდაჭერით გამოიცა.¹⁶

კოლექტიური პროექტები ოთარ ჯანელიძის საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა. სხვადასხვა დროს მას ჰქონდა შოთა რუსთაველის ეროვ-

11 გაზეთი „ჩვენი მწერლობა“, 2004 წ., 23-29 იანვარი.

12 გაზეთი „ჩვენი მწერლობა“, 2004 წ., 23-29 იანვარი.

13 გაზეთი „ჩვენი მწერლობა“, 2003 წ., 18-24 აპრილი.

14 ო. ჯანელიძე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ნარკვევები, თბ., 2018.

15 ო. ჯანელიძე, ნოე რამიშვილი – საქართველოს პირველი რესპუბლიკის პირველი პრემიერი, თბ., 2015.

16 ო. ჯანელიძე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 1918-1921, თბ., 2018; O. Janelidze, The Democratic Republic of Georgia 1918-1921, Tbilisi, 2018.

ნული სამეცნიერო ფონდის,¹⁷ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის,¹⁸ ქალაქ თბილისის მერიის,¹⁹ შპს „ალტერნატიული მედიასაშუალებებისა“²⁰ და სხვა დონორი ორგანიზაციების გრანტები, რომლებშიც მთლიანად გამოვლინდა მისი ორგანიზატორული, ასევე, შემოქმედებითი თანამშრომლობის უნარი, კოლეგებთან დამოკიდებულების მაღალი კულტურა და უკვე არაერთხელ აღნიშნული – მაღალი პროფესიონალიზმი.

ერთ-ერთ ასეთ კოლექტიურ პროექტზე მომუშავე მეცნიერთა მთავარი მიზანი იყო „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ორსაუკუნოვანი ისტორიის ობიექტური წარმოჩენა, ტრაგიკული წარსულის მეცნიერული გააზრება, დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინება“.²¹

ამ ფუნდამენტურ ნაშრომში ოთარ ჯანელიძემ შეისწავლა და რელიეფურად წარმოაჩინა რუსული კოლონიალიზმის არსი. მან უდიდესი ფაქტოლოგიური მასალის ანალიზის საფუძველზე დაასაბუთა, რომ „რუსული კოლონიალიზმის მთავარი განმსაზღვრელი ნიშანი მეზობელი ტერიტორიების ხარჯზე იმპერიის საზღვრების განვრცობა იყო“.²² ეს თვისება ერთნაირად იყო დამახასიათებელი როგორც რომანოვების იმპერიისათვის, ისე საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმისთვისაც. ამ გამოკვლევამ თავიდანვე მიიქცია სპეციალისტების ყურადღება და მას ჰქონდა კარგი შეფასება.

უდავოდ საეტაპო მნიშვნელობისა იყო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დაფინანსებით შესრულებული კაპიტალური ნაშრომი – „კავკასიის ისტორია“, რომელსაც აკადემიკოსი როინ მეტრეველი ხელმძღვანელობდა და რომელმაც უკვე მოიპოვა აღიარება. 1600-მდე გვერდის შემცველი ეს ორტომეული აერთიანებს ისტორიკოსების როინ მეტრეველის, გიორგი ჭეიშვილის, ვალერი ვაშაკიძის, ჯონი კვიციანის, ლელა მიქიაშვილის, ოთარ ჯანელიძის, ვახტანგ გურულისა და ალექსანდრე დაუშვილის მრავალნიანი კვლევა-ძიებითი მუშაობის შედეგებს. პროფესორმა ოთარ ჯანელიძემ ამ პროექტში დაამუშავა კავკასიის ისტორიის უმნიშვნელოვანესი პერიოდი – XIX საუკუნე – კავკასიაში რუსეთის შემოსვლა და დამკვიდრება, კავკასიის ხალხების დაპყრობისა და დამორჩილების პროცესი, რუსული მმართველობის სისტემის დამკვიდრება, ხა-

17 ა. ბენდიანიშვილი, ა. დაუშვილი, მ. სამსონაძე, ხ. ქოქრაშვილი, დ. ჭუმბურიძე, ო. ჯანელიძე, რუსული კოლონიალიზმი საქართველოში, თბ., 2008; ლიბერალიზმის ეპოქა ქართულ ლიტერატურაში, თბ., 2015; საქართველოს დამფუძნებელი კრება (ქართული პარლამენტარიზმის გამოცდილება), თბ., 2022.

18 კავკასიის ისტორია, ტ. 1-2 (მთავარი რედაქტორი აკად. რ. მეტრეველი), თბ., 2023.

19 ო. ჯანელიძე, ა. დაუშვილი, მ. ხოსიტაშვილი, თავისუფალი საქართველოს დედაქალაქი. თბილისი 1918-1921 წლებში თბ., 2019; ო. ჯანელიძე, მ. ხოსიტაშვილი, ლ. თაქთაქიშვილი, ბეჭდვითი სიტყვა თბილისში 1918-1921 წწ. თბ., 2020.

20 ო. ჯანელიძე, ზუბალაშვილები, დავით სარაჯიშვილი, აკაკი ხოშტარია, მიტროფანე ლალიძე და სხვანი, თბ., 2021; ო. ჯანელიძე, ა. დაუშვილი, საქმიანი საქართველო 1801-1921, თბ., 2022.

21 ა. ბენდიანიშვილი, ა. დაუშვილი, მ. სამსონაძე, ხ. ქოქრაშვილი, დ. ჭუმბურიძე, ო. ჯანელიძე, რუსული კოლონიალიზმი საქართველოში, თბ., 2008, გვ. 10.

22 იქვე, გვ. 487.

ნგრძლივი კავკასიური ომები და ა. შ. ავტორმა სოციალურ-პოლიტიკური განვითარების თავისებურებები მჭიდროდ დაუკავშირა საკვლევ პერიოდში კულტურული განვითარების ახალ ეტაპს, რამაც კავკასიის ბევრ ხალხში უზრუნველყო პროგრესიც და მნიშვნელოვანი განვითარებაც.

ოთარ ჯანელიძის თაოსნობითა და ხელმძღვანელობით, მკლევართა სხვადასხვა ჯგუფმა გაიმარჯვა თბილისი მერიის მიერ გამოცხადებულ კონკურსში „შემოქმედებითი თბილისი“ და გამოსცა ორი მეტად მნიშვნელოვანი ნაშრომი სახელწოდებით: 1. „თავისუფალი საქართველოს დედაქალაქი. თბილისი 1918-1921 წლებში“²³ და 2. „ბეჭდვითი სიტყვა 1918-1921 წლების თბილისში“.²⁴

პირველ ნიგნში გაშუქებულია 1918-1921 წლების თბილისის სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება, ასევე აღწერილია მისი შემოქმედებითი განვითარების სინამდვილე, ნაჩვენებია თბილისის ყოველდღიურობა და სხვ. მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა თვითმმართველობის ორგანოს – თბილისის საქალაქო საბჭოს, მისი გამგეობისა და ქალაქის თავის მოღვაწეობის ისტორიის წარმოჩენას. მეორე ნიგნის მთავარ თემას საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის პერიოდში თბილისში გაშლილი საგამომცემლო საქმიანობა, აქაური ბიბლიოთეკები, სტამბები, გამომცემლობები და მათი ნაბეჭდი პროდუქცია, ნიგნები, პერიოდული და სხვა გამოცემები წარმოადგენს.

მეტად საინტერესო მუშაობას ეწევა საზოგადოება „ალტერნატიული მედია საშუალება“, რომლის საქმიანობის ერთი მიმართულება საქართველოს ეკონომიკის სხვადასხვა ასპექტის შესწავლის, ცნობილ ქართველ ბიზნესმენ-ქველმოქმედთა ცხოვრება-მოღვაწეობის საფუძვლიანი კვლევებისათვის ხელისშეწყობაცაა. პროფესორმა ოთარ ჯანელიძემამ ორგანიზაციის მიერ დაფინანსებულ რამდენიმე პროექტში მიიღო მონაწილეობა. მე ამჯერად მხოლოდ ერთ საყურადღებო ნაშრომს განვიხილავ, რომლის შექმნის, მომზადების პერიპეტიები ჩემთვის კარგად არის ცნობილი. ეს არის „საქმიანი საქართველო 1801-1921 წწ.“

ნაშრომის დაფინანსებისას დამკვეთი მკაფიოდ აყალიბებდა თავის ინტერესს: „ვინ იცის, რა იქნება ხვალ, რა ძვრები და რყევები გველოდება კვლავაც. თუმცა გართულებებმა არ უნდა შეგვაფერხოს, რომ მოვიკვლიოთ ჩვენი წარსულის ამსახველი წყაროები, დოკუმენტები და მასალები და შევქმნათ ქვეყნის მიუკერძოებელი ისტორია. სხვანაირად დრო არ გვინდობს, ინფორმაცია იკარგება, რასაც უარყოფითი გავლენა აქვს საზოგადოების ცნობიერებასა და კულტურაზე“.²⁵

ამ პროექტის ერთ-ერთი ასპექტი საქართველოში კაპიტალიზმის გენეზისის საკითხების ახლებურად დამუშავებასაც ითვალისწინებდა, – პრობლემისა, რომელიც საბჭოთა ისტორიოგრაფიის უსაყვარლესი თემა იყო ათწლეულების

23 ო. ჯანელიძე, მ. ხოსიტაშვილი, ა. დაუშვილი, თავისუფალი საქართველოს დედაქალაქი. თბილისი 1918-1921 წლებში /The Capital of free Georgia. Tbilisi in 1918-1921/, ქართულ და ინგლისურ ენებზე, თბ., 2019.

24 ო. ჯანელიძე, მ. ხოსიტაშვილი, ლ. თაქთაქიშვილი, ბეჭდვითი სიტყვა თბილისში. 1918-1921 წწ. თბ., 2020.

25 ო. ჯანელიძე, ა. დაუშვილი, საქმიანი საქართველო 1801-1921, თბ., 2022, გვ.10-11.

მანძილზე. მასზე მუშაობდნენ ისტორიკოსები, ეკონომისტები, ფილოსოფოსები, ეთნოლოგებიც კი. შემორჩენილია თვალსაჩინო ქართველი ისტორიკოსების (ა. კიკვიძის, გრ. მარგინის, პ. გუგუშვილის, დ. გოგოლაძის, მ. სამსონაძისა და სხვათა) სქელტანიანი მონოგრაფიები, რომლებიც კლასობრივი მიდგომით, მარქსიზ-ლენინიზმის მეთოდოლოგიით სწავლობდნენ კაპიტალიზმის განვითარების თავისებურებებს საქართველოში – იმასაც კი ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ საქართველოში კაპიტალიზმის ნიშნები XVIII საუკუნის ბოლოს უკვე იყო შესამჩნევი.

ჩვენ კი შევეცადეთ სტერეოტიპების გარეშე შეგვესწავლა საქართველოში ბურჟუაზიული ურთიერთობების შემოღწევისა და დანერგვის რთული და წინააღმდეგობრივი გზა, ასევე, ამ პროცესით გამოწვეული ცვლილებები, როგორც სოციალური სინამდვილის გარდაქმნის, ისე ეკონომიკური, პოლიტიკური თუ კულტურული ცხოვრების ფონზე.

მონოგრაფიის ავტორებმა სერიოზული წყაროთმცოდნეობითი ძიების საფუძვლზე, არსებული ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობის კრიტიკული გააზრებით, მიზნად დავისახეთ სრულიად ახალი ხედვა შეგვეთავაზებინა მკითხველი საზოგადოებისათვის: გვეჩვენებინა საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიული პრობლემები, რუსეთის იმპერიის ეკონომიკური მახასიათებლები და საქართველოს სინამდვილე იმ დროინდელი მსოფლიოს განვითარების ფონზე; წარმოგვეჩინა ეკონომიკური განვითარების მთავარი დარგები, სააქციო საზოგადოებები, განხორციელებული (ფოთი-თბილისი-ბაქოს სარკინიგზო მაგისტრალი, სურამის გვირაბი და სხვ.) და ვერშემდგარი (ტრანსკავკასიური საუღელტეხილო რკინიგზა და სხვ.) მასშტაბური პროექტები, სოციალური კონფლიქტები, კაპიტალისტური განვითარების თავისებურებები საქართველოში და ა.შ.

პროფესორ ოთარ ჯანელიძის შემოქმედებითი პალიტრის გამორჩეული მიმართულება – ეს **პერსონალიზია**. ამ კუთხით მას ჩატარებული აქვს უდიდესი საკლევადიებო სამუშაო და შედეგებიც თვალსაჩინოა – მეცნიერმა ფართო მკითხველ საზოგადოებას შესთავაზა საკუთარი ინტერპრეტაციით დანახული დიდი ივანე ჯავახიშვილის,²⁶ ნიკო ნიკოლაძის,²⁷ ნოე რამიშვილის,²⁸ ძმები ზუბალაშვილების, დავით სარაჯიშვილის, აკაკი ხოშტარას, მიტროფანე ლალიძის,²⁹ ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის და ამერიკაში პარფიუმერიის ერთ-ერთი პიონერის, წარმატებული ბიზნესმენის გიორგი მაჩაბლის შემოქმედებითი ცხოვრებისა და საქმიანობის ამსახველი გამოკვლევები³⁰ და სხვ.

26 ო. ჯანელიძე, ივანე ჯავახიშვილი (ბიოგრაფიის მივიწყებული ფურცლები), თბ., 1996; მისივე, ივანე ჯავახიშვილის კვლდაკვალ, თბ., 2018,

27 ო. ჯანელიძე, ნიკო ნიკოლაძე, თბ., 1998; მისივე, უკანასკნელი თერგდალეული, თბ., 2010.

28 ო. ჯანელიძე, ნოე რამიშვილი (საქართველოს პირველი რეპუბლიკის პირველი პრემიერი), თბ., 2015.

29 ო. ჯანელიძე, ზუბალაშვილები, დავით სარაჯიშვილი, აკაკი ხოშტარია, მიტროფანე ლალიძე და სხვანი, თბ., 2021.

30 რ. დაუშვილი, ო. ჯანელიძე, გიორგი მაჩაბელი/Giorgi Matcabelli/(ქართულ და ინგლისურ ენებზე), თბ., 2019.

განსაკუთრებული რუდუნებით ხატავს ოთარ ჯანელიძე დიდი ქართველი მამულიშვილის ნიკო ნიკოლაძის პორტრეტს: „გამორჩეული კაცი იყო ნიკო ნიკოლაძე, მასშტაბური, ორიგინალურად მოაზროვნე... ჭაბუკობიდან აღსასრულამდე ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა. ყველა საქმეს, რომელსაც კი ხელი მოჰკიდა, შთამბეჭდავი, დიდი და წარუშლელი კვალი დააჩნია“.³¹

უკვე სხვა ნაშრომში კი მკვლევარი ასეთ შეფასებას აძლევს ნიკო ნიკოლაძის კოლოსალურ დამსახურებას საქართველოსა და ქართველი ხალხის წინაშე: „ნიკო ნიკოლაძემ უდიდესი მემკვიდრეობა დატოვა თავისი ნააზრევისა და პუბლიკაციების სახით. მისი შემოქმედება არსებული სინამდვილის უბადლო აღქმაზე, ერისა და ქვეყნის წინაშე მდგარ პრობლემათა სიღრმისეულ ანალიზზე, დიდ ცოდნასა და მდიდარ ცხოვრებისეულ გამოცდილებაზეა დაფუძნებული“.³²

ზუსტი და მოხდენილი შეფასებაა, ვერაფერს დაამატებ...

არ შეიძლება არ შევეხოთ და სათანადოდ არ შევავასოთ ოთარ ჯანელიძის **განმაზოგადებელი ნაშრომები**. მრავალი ათეული წლის მანძილზე საქართველოს ახალ და უახლესი ისტორიის პრობლემების სიღრმისეულმა კვლევამ მას მისცა უფლება და საშუალება, რომ არა მარტო ცალკეული პრობლემა თუ პიროვნება შეესწავლა ღრმად და ყოველმხრივ, არამედ საკუთარი ხედვები, დასკვნები და პრობლემების საკუთარი ინტერპრეტაცია გაეზიარებინა საზოგადოებისათვის, უპირველეს ყოვლისა – ქართველი ახალგაზრდებისათვის. ოთარ ჯანელიძემ მკითხველ საზოგადოებას შესთავაზა საქართველოს XIX საუკუნის საკუთარი ინტერპრეტაცია,³³ ხოლო სულ რამდენიმე წელში მკითხველმა მიიღო XIX და XX საუკუნეების ისტორიის ახლებური გააზრება,³⁴ რაც მთლიანად მისი კვლევის შედეგებს ეფუძნებოდა და გამოირჩეოდა ორიგინალობით და საკითხებისადმი მიდგომის დაბალანსებული პოზიციებით. ამ ნაშრომებში ავტორი აყალიბებს თავის გაგებას საქართველოს ისტორიის ურთულეს საკითხებზე, წარმოაჩენს ისტორიის „თეთრი ლაქების“ საკუთარ ინტერპრეტაციას, აკეთებს საყურადღებო და, ხშირ შემთხვევაში, გასათვალისწინებულ დასკვნებს.

2013 წელს ოთარ ჯანელიძემ ზაზა აბაშიძესა და მიხელ ბახტაძესთან ერთად გამოსცა პოპულარული ნაშრომი „საქართველო და ქართველები“. ფართო მკითხველისათვის განკუთვნილი ამ წიგნისადმი განსაკუთრებულ ინტერესს ისიც ცხადყოფს, რომ იგი უკვე მესამედ დაისტამბა, რაც უჩვეულოა თანამედროვე სინამდვილეში.

ოთარ ჯანელიძის განმაზოგადებელი **სახელმძღვანელოები** განსაკუთრებით ღირებულია საქართველოს სტრუქტურული და მოსწავლე ახალგაზრდობისათვის, რომლებიც დღეს კი არიან განებივრებულნი საქართველოს ისტორიის ათასგვარი რესურსით, მაგრამ ყველა მათგანი, განსხვავებით ჩვენი იუბილარის წიგნებისაგან, არ არის ობიექტური და ბოლომდე სანდო. საგულისხმოა რომ პროფესო-

31 ო. ჯანელიძე, ნიკო ნიკოლაძე (ბიოგრაფიიდან ამოხეული ფურცლები, თბ., 1998, გვ. 3.

32 ო. ჯანელიძე, უკანასკნელი თერგდალეული, თბ., 2010, გვ. 48.

33 ო. ჯანელიძე, საქართველოს ისტორია XIX საუკუნე, თბ., 2005.

34 ო. ჯანელიძე, საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია, თბ., 2009.

რი ოთარ ჯანელიძე არის ისეთი გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოების თანაავტორი, როგორებიცაა: „საქართველოს ისტორია IX კლასი. მოსწავლის წიგნი, თბილისი, 2012, გამომცემლობა „კლიო“; „ისტორია, VIII კლასი, მოსწავლის წიგნი, თბილისი, 2012, გამომცემლობა „კლიო“ და „საქართველოს ისტორია. მოსწავლის წიგნი, თბილისი, 2023, გამომცემლობა „დიოგენე“.

პროფესორმა ოთარ ჯანელიძემ მეცნიერებაში გზა გაუკაფა და „დააფრთიანა“ ისტორიკოსთა ახალგაზრდა თაობის არა ერთი წარმომადგენელი, ის არის სამეცნიერო საბჭოების წევრი, მაღალკვალიფიციური ოპონენტი და მომავალ მკვლევართა აღმზრდელ-დამკვალიანებელი მეცნიერი.

საგულისხმოა, რომ ოთარ ჯანელიძეს თვითონაც გამოარჩევს თავის მასწავლებლებისა და უფროსი კოლეგებისადმი მადლიერება და გულისხმიერი დამოკიდებულება. ამის დასტურად გამოდგება მის მიერ პროფესორების ლევან თოიძის, მიხეილ გაფრინდაშვილისა და პროკოფი რატიანის მეცნიერული ღვაწლის პირუთვნელი შეფასება. ოთარ ჯანელიძემ დიდი შრომა მოახდინა პროფესორ მიხეილ გაფრინდაშვილის ხელნაწერი ნაშრომის რედაქტირებას, რომელიც მეცნიერის გარდაცვალების შემდეგ გამოიცა სქელტანიანი წიგნის სახით.³⁵ ოთარ ჯანელიძეს უკავშირდება ასევე, ლევან თოიძის პირად არქივში მკვლევრის გამოუქვეყნებელი ნაშრომის მოძიება, მისი სათანადო კონდიციაში მოყვანა და წიგნად დასტამბვა.³⁶

ოთარ ჯანელიძემ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ აკაკი სურგულაძის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საინტერესო მოხსენება წარმოადგინა მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში გამართულ საიუბილეო საღამოზე. მოხსენებაში, რომელიც ცალკე წარკვევდაც დაიბეჭდა,³⁷ წარმოჩენილია აკაკი სურგულაძის განვლილი გზა, მისი საისტორიო ნააზრევი და პორტრეტული შტრიხები.

პროფესორ ოთარ ჯანელიძის შემოქმედებითი საქმიანობის კიდევ ერთი სფერო საქართველოს ეროვნულ მუზეუმს უკავშირდება, სადაც მას ისტორიისა და ეთნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის პოზიცია უკავია. საინტერესო და სასარგებლოა მეცნიერის ლექციების ციკლი მუზეუმის გიდებისათვის, რომელიც პერიოდულად იმართება. ოთარ ჯანელიძის კონსულტაციითა და კურატორობით მუზეუმში მოეწყო არაერთი გამოფენა, მათ შორის: „მეორე მსოფლიო ომი და საქართველო“; „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა - 100“; „ქართული პარლამენტარიზმის 100 წელი - საქართველოს დამფუძნებელი კრება“; „სვანეთის - ხალდეს აჯანყება 1875-1876“. აღსანიშნავია, რომ საქართველოს პირველი რესპუბლიკის საუკუნოვანი იუბილესადმი მიძღვნილი ექსპოზიცია იყო მოძრავი გამოფენა და მუზეუმის გარდა, გაიმართა თელავის, გორისა და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტებშიც.

35 მ. გაფრინდაშვილი, ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორია, თბ., 2002.

36 ლ. თოიძე, ბრძოლა ბათუმისათვის, თბ., 2011.

37 ო. ჯანელიძე, აკაკი სურგულაძე - მეცნიერი და მოღვაწე (დაბადებიდან 100 წლისთავისათვის), თბ., 2013.

ოთარ ჯანელიძის აქტიური მონაწილეობით საქართველოს პარლამენტში შეიქმნა ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ქართული პარლამენტარიზმის მუზეუმი.

ცალკე აღნიშვნას იმსახურებს პროფესორ ჯანელიძის მონაწილეობა ადგილობრივ თუ საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმებში, კონფერენციებსა და დისკუსიებში. იგი არის პოლონეთ-საქართველოსა და რუმინეთ-საქართველოს ისტორიკოსთა საერთაშორისო კომისიების წევრი, ბევრჯერ გამოსულა საინტერესო მოხსენებებით პარიზში, ვარშავაში, ბაქოში, სამსუნში, ანკარასა და საზღვარგარეთის სხვა ქალაქებში და მიუღია დადებითი გამოხმაურება. მისი სამეცნიერო პუბლიკაციები დაბეჭდილია უცხოეთის არაერთ სოლიდურ სამეცნიერო კრებულსა თუ ჟურნალში გერმანულ, ინგლისურ, ფრანგულ, ბულგარულ, თურქულ, რუსულ და უკრაინულ ენებზე.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ოთარ ჯანელიძის შემოქმედებითი თანამშრომლობა ამერიკის შეერთებული შტატების გამომცემლობა „ნოვა“-სთან, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურის პუბლიკაციით, მსოფლიო საიუნივერსიტეტო ბიბლიოთეკების მომარაგებით არის დაკავებული. ბოლო წლებში „ნოვამ“ ინგლისურ ენაზე გამოსცა ჩვენი იუბილარის მონოგრაფია, რომელშიც საქართველოს XIX-XXI საუკუნის ისტორიის აქტუალური პრობლემებია შესწავლილი.³⁸ ამავე გამომცემლობამ სხვადასხვა დროს გამოაქვეყნა ნაშრომები, რომლებშიც შესულია ოთარ ჯანელიძის სტატიები მიძღვნილი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხებისადმი და ა. შ.

From the History of Administrative-Territorial Arrangement of Georgia (The Autonomy of 'Muslim Georgia'), Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Humanities, Institute of Georgian History Proceedings III, Tbilisi, 2011, p. 311-333.

Georgian-German project for the liberation of Georgia during the First World War and Giorgi Machabeli, 'Georgian Emigration', Tbilisi, 2011, II, p.4-25.

Memoirs of General von Cress and the Georgian Reality of 1918-1921, Journal 'Annals', Tbilisi, 2011, # 7, p. 248-271.

Neighborhood Policy of the Democratic Republic of Georgia and the Constituent Assembly, in the collection - the Constituent Assembly of Georgia. Experience of Parliamentarism, Tbilisi, 2011, Akhali Azri Publishing House, p. 57-72.

The Issue of Batumi in the Russian-Turkish Negotiations and the 1921 Moscow Treaty, in the book - The Struggle for Batumi. March 18-20, 1921, Tbilisi, 2011, Akhali Azri Publishing House, p. 70-93.

Where the fate of Batumi was Decided, in the book - Fight for Batumi. March 18-20, 1921, Tbilisi, 2011, Akhali Azri Publishing House, p. 120-138.

Georgian Army and Liberation of Batumi, in the book - Fight for Batumi. March 18-20, 1921, Tbilisi, 2011, Akhali Azri Publishing House, p. 139-155.

2010

Boks

The last Tergdaleuli: Niko Nikoladze. Tbilisi, 2010, Universal Publishing House, 51 p. ISBN 978-9941-17-147-5

Articles

The Ossetian Question in the Democratic Republic of Georgia (1918-1921), in the book - Some Questions of the History of Ossetians, Shida Kartli, Tbilisi, 2010, Universal Publishing House, p. 366-381.

How the South Ossetian Autonomous Region was Created (New Archival Materials), in the book - Some Questions of the History of Ossetians, Shida kartli, Tbilisi, 2010, Universal Publishing House, p. 382-394.

Conquest or voluntary joining? Journal 'Annals', Tbilisi, 2010, # 6, p. 66-105.

Where the fate of Batumi was Decided, the Russia-Georgia War of February-March 1921: Fight for Batumi, Scientific Conference, Batumi. 2010 March 20, Batumi, 2010, Batumi State University, Institute of Political Sciences, p. 16.

2009

Books

New and modern history of Georgia. From the beginning of the XIX century until today, Tbilisi, 2009, Universal Publishing House, 248 p.
ISBN 978-9941-12-545-4

History of Georgia, Tbilisi, 2009, Publishing house Petite, 488 p. (Co-author) (in English).
ISBN 978-9941-9063-6-7

Articles

Western factor in the first half of the XVIII century in Georgia, in the collection - Sulkhan-Saba Orbeliani and Georgian Europeanism. Literature, Culture, Consciousness, Tbilisi, 2009, p. 203-215.

I Follow white Stories. `National histories of post-Soviet space. This is a flight downhill! Collection. M., 2009, Friedrich Naumann Publishing House, AIRO-XXI, p. 244-264. (Co-author)(in Russian).

Constituent Assembly and the Political Spectrum of Georgia, Journal `Annals', Tbilisi, 2009, # 4, p. 67-90.

The Russia-Georgia War of 1921 and the Social-Democratic Government of Georgia, in Collection - The Russia-Georgia War of 1921: Results and Lessons, Tbilisi, 2009, Institute of Political Sciences, p. 15-22.

The Issue of Georgian Unity in the Context of Georgian-Russian Relations, Scientific Conference `Iverian Unity Treatise: Past and Present', December 4, 2009: Conference Proceedings, Tbilisi, 2009, Neker Publishing, pp. 52-68.

2008

Articles

Ilia Chavchavadze's Way, Journal „Annals', Tbilisi, 2008, # 2, p. 5-18.

Georgian National-Democratic Party, in the Book - Programs of the Georgian Political Party. 1906-1921, Collection I, Tbilisi, 2008, p. 5-13.

The Party of Radical-Democratic Peasants of Georgia, in the Book - Programs of the Political Party of Georgia. 1906-1921, Collection I, Tbilisi, 2008, p. 39-47.

Disregarding May 26 is the Ignorance of the Deeds of Ancestors, in the book - The day of Independence: May 26 or April 9? Tbilisi, 2008, Akhali Azri Publishing House, p. 7-9.

Georgia and the Russian Army, in the book – Essays on the History of Russian Colonial Policy in Georgia, II, Tbilisi, 2008, Universal Publishing House, p. 66-85.

The Russian Red Army Attack on the Democratic Republic of Georgia in the Spring of 1920 and the Georgian Political Spectrum, in Collection - Russia and Georgia: Lessons of Aggression, Tbilisi, 2008, Akhali Azri Publishing House, p. 43-58.

Temporary Administrative Unit (History and Modernity), in the Collection - Tskhinvali Region (2004-2007), To Stop Separatism and Russian Aggression, Tbilisi, 2008, Akhali Azri Publishing House, p. 5-16.

How the South Ossetian Autonomous District was Created, Journal `Annals', Tbilisi, 2008, # 3, p. 569-584.

Attempt to Return Russia to Georgia for the Third Time. In the Collection - Russia, Regional Conflicts and the Use of Military Force, Tbilisi, 2008, p. 12-30.

The Issue of Muslim Georgia in the Democratic Republic of Georgia, in Collection - Democratic Republic of Georgia (1918-1921): Experience of State-Building, Tbilisi, 2008, p. 38-48.

Transcaucasian Seim and Georgian Political Thought, Collection - South Caucasian Cooperation: Transcaucasian Seim (1918), Tbilisi, 2008, Institute of Political Sciences, p. 14-22.

Russia's South Caucasus Interests and Georgia, in Collection - Georgia: Problems of Democratic Development and Modern Challenges, Tbilisi, 2008, Akhali Azri Publishing House, p. 18-32.

The Essence of Russian Colonialism, in the book - Russian Colonialism in Georgia, Tbilisi, 2008, Universal Publishing House, p. 486-535.

2007

Books

Spiridon Kedia: Materials from Personal Archive, Introductory Letter, Notes and Comments Attached by Otari Janelidze, Tbilisi, 2007, Bona Causa Publishing House, 332 p.
ISBN 978-9941-0-0211-3

Articles

The Ossetian Issue in the Democratic Republic of Georgia, `Ethnopolitics': Analytical Journal, Tbilisi, 2007, N1, pp.3-14.

Two Russias (Myth and Reality), in the book - Essays on the History of Russian Colonial Policy in Georgia, I, Tbilisi, 2007, p. 4-17.

Deceived Hope, Journal `Literaturnaia Gruzia', Tbilisi, 2007, No. 1-6, p. 174-182. (In Russian).

2005

Books

History of Georgia, XIX century. Handbook for Non-Specialized Faculty Students, Tbilisi, 2005, Institute of History and Ethnology, 212 p.
ISBN 99940-0-173-6

Articles

Materials for the History of Georgian Emigration, Journal `Saistorio shtudiebi', Tbilisi, 2005, Vol. 6, p. 123-139.

Formation of National-Democratic Worldview in Georgia, Journal `Moambe', 2005, # 1, p. 21-26.

On the Nature of the Relations Between Georgia and Germany in 1918, Georgica, Aachen, 2005, # 28, p. 69-77 (In Germany).

2004

Articles

From the Epistolary Legacy of the National Democrats: Petre Surguladze's Letters to Sandro Shanshiashvili, `Literatura da chelovneba', Tbilisi, 2004, N1, pp. 181-195.

2003

Articles

`Great enthusiasm is born from great deeds' (Spiridon Kedia and the establishment of the Newspaper `Georgia'), Journal `Tsiskari', Tbilisi, 2003. N1-2, p.134-138.

Cavalier of the Order of Queen Tamara: Unknown sheet from the biography of Niko Nikoladze , `Omega', Tbilisi, 2003. N8. p. 78-83.

Niko Nikoladze Member of the Constituent Assembly, in the Book - Niko Nikoladze - 160. Jubilee Collection, Tbilisi, 2003, Neker Publishing House, p. 95-101.

From the History of Georgian-North Caucasian relations,` Journal `Saistorio shtudiebi', Tbilisi, 2003, t. 4, p.122-134.

The Georgian Question in St. Petersburg, Journal `Literaturnaia Gruzia', Tbilisi, 2003, # 1-3, p. 41-59 (In Russian).

The Idea of Caucasian Unity, Journal `Literaturnaia Gruzia', Tbilisi, 2003, # 4-6, p. 114-123 (In Russian)

2002

Books

Spiridon Kedia: Political. Portrait, Tbilisi, 2002, Iv. Javakhishvili Institute of History and Ethnology, 262 p.
J 75/2002

Essays on the History of the Georgian National-Democratic Party, Tbilisi, 2002, Publishing House `Science', 535 p.
ISBN 99928-962-0-5

Articles

Issues of Education and Culture in the Constituent Assembly of the Republic of Georgia, The Questions of the History and Theory of Culture, Tbilisi, 2002, N11, pp.71-79.

'Let them leave alive...': [Last days of Noe Zhordania's reign in Georgia], Journal 'Omega'. Tbilisi, 2002. N4, p.46-49.

2001

Articles

Georgian Church and Political Parties in the First Twentieth Century, Journal 'Saistorio shtudiebi', Tbilisi, 2001, vol. 2, p. 126-138.

2000

Books

Shot Freedom, Tbilisi, 2000, Iv. Javakhishvili Institute of History and Ethnology, 156 p. J 34/2000

Articles

Svanetian anti-Soviet Uprising of 1921-1922, 'Kavkasiis macne', Tbilisi, 2000, N. 2, p. 149-155.

From the History of the Georgian Emigrant press (Magazine "Free Georgia"), Journal 'Saistorio shtudiebi', Tbilisi, 2000, Vol. 1, p. 176-188.

When was the Georgian National Democratic Party founded? Journal, 'Saistorio Moambe', Tbilisi, 2000-2001. - N73-74, pp.53-57.

1999

Books

At the head of the National Democratic Party of Georgia, Tbilisi, 1999, 38 p.

Articles

'Klede' magazine and Georgian reality, in the collection - Cultural History Issues, Tbilisi, 1999, N VII, p. 17-25.

For the history of 'Eri', Journal 'Ena, targmani, literatura', Tbilisi, 1999, N 2, p. 23-31.

1998

Books

Niko Nikoladze (Pages torn out from the Biography), I. Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi, 1998, 72 p. ISBN 5-511-0089508

Articles

Ekvtime Takaishvili on the political stage, Journal 'Literatura da chelovneba', Tbilisi, 1998, N 2, p. 132-144.

1924 Uprising in Documents, Almanac 'Klio', Tbilisi, 1998, N 2, p. 123-129.

German pages in the history of Georgia, Journal `Tsiskari', Tbilisi, 1998, N 2, p. 128-130.

1997

Articles

"If we had help, we would have won": 1924 uprising and Georgian political emigration, Journal `Mnatobi', Tbilisi, 1997, N 11-12, p. 191-199.

From the history of Georgian journalism: `Georgian thought', Journal "Literaturnaia Gruzia", Tbilisi, 1997, N 7-12, p. 237-243. (In Rus.)

1996

Books

Ivane Javakhishvili. Forgotten pages of the biographer, Tbilisi, `Nike' publishing house, 1996, p. 32.

1990

Books

From May 26 to February 25, Tbilisi, "Codna" Publishing House, 72 p.

1989

Articles

National History in the service of the Future, Journal `Saqartvelos Communisti', Tbilisi, 1989, N 12, p. 56-57.

1987

Articles

The story of one Photograph, Journal `Drosha', Tbilisi, 1987, N 3, p. 6-7.

1985

Articles

From the past of a great Actor. Akaki Khorava at Kyiv University, Journal `Sabchota chelovneba', Tbilisi, 1985, N 6, p. 36-39.

1984

Articles

A role Ukrainian Universities have in the development of Georgian Science and Culture, Materials of the 4th Republican Conference of Young scientists-historians, Tbilisi, 1984, p. 108-111.

Taras Shevchenko and Georgian students in Ukraine, Journal `literaturnaia Gruzia', Tbilisi, 1984, N 3, p. 197-205. (In Rus.)

1983

Articles

Karl Marx and Georgian studenthood, Journal `Georgian Communisti', Tbilisi, 1983, N 9, p. 66-68.

1982

Articles

Medical students of Novorossiia University, Journal 'Sabchota medicina', 1982, N2, p. 67-68.

From the history of sending 183 Students as Soldiers, Journal 'History, Social Studies, Geography at School', Tbilisi, 1982, N 2, p. 23-33.

Associations of Georgian students in Ukraine, Reports of the III Republican Conference of Young Scientists, Tbilisi, 1982, p. 32-33.

Pre-revolutionary publications of Georgian students, Journal 'literaturnaia Gruzia', Tbilisi, 1982, N4, p. 189-195. (In Russian).

1981

Articles

Vasil Petriashvili - Rector of Novorossiia University, Journal 'Gantiadi', Kutaisi, 1981, N 6, p. 183-186.

Akaki Tsereteli and the Georgian studentship of Novorossiia University, Current issues of history. Proceedings of the A. Pushkin Pedagogical Institute, vol. 9, Tbilisi, 1981, p. 153-161.

Odessa Council of Workers' Deputies and Georgian Studentship of Novorossiia University, Proceedings of the III Republican Conference of Young Scientists, Tbilisi, 1981, p. 87-90.

1980

Articles

Georgian studentship of Novorossiia University in the social-political movement (60-90s of the XIX century, Materials of the II Republican Conference of Young Scientists in the Social Sciences, Tbilisi, 1980, p. 45-46.

**პროფესორ ითარ ჯანელიძის
70 წლისთავისადმი მიძღვნილ
საერთაშორისო სამეცნიერო
კონფერენციასზე წაკითხული
მოსხმენებები**

პროფესორ ოთარ ჯანელიძის
70 წლისთავისადმი მიძღვნილი
საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის
პროგრამა



International Scientific Conference dedicated to
Professor Otar Janelidze's 70th birthday

PROGRAM

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და 1918-1921 წლების სამხედრო მოქმედებები

1918 წლის 26 იანვარს გაიხსნა თბილისის უნივერსიტეტი და 30 იანვარს ივანე ჯავახიშვილმა პირველი ლექცია წაიკითხა. იმავე დღეს ოსმალეთი მესამე არმიის სარდალმა ვეჰიბ-ფაშამ შეატყობინა გენერლებს: პრუჟევალსკისა და ოდიშელიძეს, რომ მუსლიმთა დაცვის მიზნით, იძულებულია წინ წამოწიოს რამდენიმე სამხედრო შენაერთი. ამავე დროს აღნიშნავს, რომ ერზინჯანის დროებითი საზავო შეთანხმება, სადემარკაციო ხაზის განმსაზღვრელი დოკუმენტის გარდა, რუსეთის ჯარების მიერ ფრონტის დატოვების გამო, თავისთავად კარგავს ძალას.¹ ეს ფაქტობრივად ოსმალთა შეტევის დაწყებას ნიშნავდა. მათ მალევე დაიკავეს: ტრაპიზონი, ერზინჯანი, არზრუმი, მიადგნენ არდაგანსა და ხოფას.

ასეთ რეალობაში, 3 მარტს შეიკრიბა უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო და განიხილა ფრონტზე შექმნილი მდგომარეობა. საბჭომ დაადგინა: შექმნილი ვითარების გამო სწავლა არ შეწყდება, მაგრამ მოხალისეებს უფლება ექნებათ ფრონტზე წავიდნენ. ამ დროს უნივერსიტეტში 369 სტუდენტი და 89 თავისუფალი მსმენელი სწავლობდა. წავიდა თუ არა მათგან ვინმე მოხალისედ ჩვენთვის უცნობია.

1918 წლის ნოემბერ-დეკემბერში მიმდინარეობდა სომხეთ-საქართველოს ომი. ჩვენს მიერ შესწავლილ დოკუმენტებში არ არის ინფორმაცია, მონაწილეობდნენ თუ არა უნივერსიტეტის სტუდენტები ამ ომში. არც ის ჩანს, გამოხატა თუ არა უნივერსიტეტმა რაიმე სახით საკუთარი დამოკიდებულება ამ ომისადმი. რაც შეეხება თვით უნივერსიტეტის მესაძირკვლეს, პროფესორ ივანე ჯავახიშვილს, იმდროინდელი პრესის ცნობით, მას უნივერსიტეტის პირველ აუდიტორიაში წაუკითხავს საჯარო ლექცია თემაზე „ქართველ-სომეხთა შორის სადაო ადგილების ეკონომიური და სტრატეგიული მნიშვნელობა“, რომელიც ღრმა მეცნიერული ანალიზზე ყოფილა დაფუძნებული.² ვფიქრობ ამ მიმართულებით კვლევამ შესაძლოა ახალი, დამატებითი ინფორმაცია გამოავლინოს.

1919 წლის იანვარში უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა და თანამშრომლებმა ომის საჭიროებისთვის გადარიცხეს 1145 მანეთი და 50 კაპიკი³. „ომის საჭიროებისათვის“, – ასეა დასათაურებული სტატია გაზეთში, თუმცა, სავარაუდოდ, აქ იგულისხმება თანხის გადარიცხვა თავდაცვის ფონდში. მიუხედავად იმისა, რომ უშუალოდ 1919 წლის იანვარში საქართველოს რესპუბლიკა

1 Документы и материалы по внешней политике закавказия и Грузии. Тифлис. 1919, с.47-49.

2 გაზეთი „კლდე“, 1918 წ., 21 დეკემბერი; ჯანელიძე ო., ივანე ჯავახიშვილი. ბიოგრაფიის მივიწყებული ფურცლები, თბ., 1991, გვ. 19.

3 თბილისში ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასი იყო 5070 მანეთი, განათლების მუშაკის – 4710, ხელოვნების მუშაკის – 6000, რკინიგზის მუშის – 2630, მშენებლის – 3330. თბილისში მცხოვრები მუშა-მოსამსახურის ოთხსულიანი ოჯახის საშუალო ხარჯი იყო 6423 მანეთი (ჯავახიშვილი ნ., ხელფასები და ფასები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921) ენციკლოპედიური ლექსიკონი“. 2018, გვ. 531).

აქტიურ სამხედრო მოქმედებებს აღარ აწარმოებდა, თავდაცვის ფონდი აქტიუ-
ალობას არ კარგავდა. შემწირველთა შორის იყვნენ: ივანე ჯავახიშვილი - 60
მანეთი, ვ. მოსეშვილი - 60, ი. ა. ყიფშიძე - 60, ე. ს. ახვლედიანი - 45, ფილიპე
გოგიჩაიშვილი - 60, ექვთიმე თაყაიშვილი - 50, შალვა ნუცუბიძე - 50, დიმიტრი
უზნაძე - 50, აკაკი შანიძე - 63, კორნელი კეკელიძე - 45, ა. რაზმაძე - 45, ა. მ.
ნათიშვილი - 50, სოლომონ ქურდიანი - 45, იუსტინე აბულაძე - 25, ილია ყიფში-
ძე - 25, ელ. ჯამბაკურ-ორბელიანი - 25, ვანდა ლამბაშიძე - 25, დავით ყიფშიძე
- 25, ლეონ მელიქსეთბეგი - 25, ანდრეა ბენაშვილი - 45, არჩილ ხარაძე - 35,
შენობის მეთვალყურე ანტონ თვალჭრელიძე - 30, ასისტენტი ზაქარია ყანჩავე-
ლი - 25, ნინო ციციშვილი - 25, მდივან-მწიგნობარი ვლადიმერ გეგეჭკორი - 30,
თანაშემწე ალექსანდრე გრძელიშვილი - 25, ხაზინადარი ივანე გველესიანი - 25,
ნიგნთსაცავის გამგის თანაშემწე ყიფიანი - 22 მ. 50 კაპ., გიორგი ბაქრაძე - 15,
ფოტოგრაფიის კაბინეტის გამგე კ[...]. უნე თ. - 25, ასისტენტი ნიკოლაძე თამარ
- 25.

1920 წლის აპრილის ბოლოს საქართველოში აზერბაიჯანის მხრიდან შემოჭ-
რა სცადეს XI წითელი არმიის ნაწილებმა. მათ წინააღმდეგ ბრძოლაში დაიღუპა
უნივერსიტეტის სტუდენტი, მოხალისე სერგო თვარაძე. ყურნალში „თეატრი და
ცხოვრება“ დაიბეჭდა მისი სურათი და შემდეგი ინფორმაცია: „სერგო ივანეს
ძე თვარაძე, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი, მოკლული ადერბეიჯა-
ნთან ბრძოლის დროს მაისის 5, წითელი ხიდის გაღმა“.⁴ ამ ინფორმაციაში ერთი
უზუსტობაა, სერგო თვარაძე დაიღუპა 11 მაისს.

1921 წლის 12 თებერვალს დაიწყო რუსეთ-საქართველოს ომი. 16 თებერვალს
წითელი ხიდიდან შემოიჭრა მე-11 არმიის ძირითადი ძალა. იმავე დღეს უნივე-
რსიტეტის პროფესორთა საბჭომ მიმართა ხელისუფლებას - „დამფუძნებელი
კრების პრეზიდიუმთან არსებულ თავდაცვის კომიტეტს. პატივი გვაქვს წე-
რილობით გაცნობოთ ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა
საბჭოს დადგენილება, მიღებული სასწრაფოდ მოწვეულს საგანგებო სხდო-
მაზე 16 თებერვალს 1921 წელს ფრონტზე შექმნილი მდგომარეობის გამო;
ა. ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები, დოცენტები, ლექტო-
რები, ასისტენტები და საზოგადოდ სამეცნიერო-სასწავლო ნაწილის პირადი
შემადგენლობის წევრები მზად არიან ყველანი, მთელი თავისი ცოდნა, გამოც-
დილება და სიცოცხლე შესწირონ საფრთხეში მყოფის ძვირფასი სამშობლოს
თავისუფლების დაცვის საქმეს და სთხოვენ კომიტეტს, რათა მათი გონებრი-
ვი თუ ფიზიკური ძალა გამოიყენოს ისე, როგორც მას საუმჯობესოდ მიაჩნია
სამშობლოს დაცვის მიზნებისთვის. ბ. უნივერსიტეტის სამათემატიკო-საბუნე-
ბისმეტყველო ფაკულტეტის ლაბორატორიებისა და სამკურნალო ფაკულტეტის
კლინიკების კარები ღიაა ომის საჭიროებისათვის. ამასთანავე გაახლებთ აქვე
დართულ სიას უნივერსიტეტის სამეცნიერო-სასწავლო ნაწილის პირადი შემა-
დგენლობისა. რექტორი, პროფ /ივ. ჯავახიშვილი/ საბჭოს მდივანი პროფ /ა. შა-
ნიძე/“.⁵

საყოველთაოდ ცნობილია სიტყვა, რომლითაც ივანე ჯავახიშვილმა მიმართა
უნივერსიტეტის ეზოში შეკრებილ სტუდენტებს და სამშობლოს დაცვისკენ მო-

4 ყურნალი „თეატრი და ცხოვრება“ 1920, 26 მაისი, V, №18.

5 მაცაბერიძე მ., უნივერსიტეტი 1921 წლის თებერვალში, თბ., 2014, გვ. 34.

უნოდა. ალექსანდრე ბარამიძის მოგონების თანახმად, „თბილი მზიანი დღე იყო. მიტინგზე პირველი სიტყვა წარმოთქვა დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგმა, ე. ი. მოადგილემ, ალექსანდრე ლომთათიძემ... ლომთათიძის შემდეგ სიტყვით გამოვიდა უნივერსიტეტის რექტორი, რომელიც ძლიერ ლელავდა. მან გაბზარული ხმით ბრძანა: „მე ვეთანხმები მთავრობის წარმომადგენელს, რომ ჩვენს ქვეყანას უკიდურესი გასაჭირის დღეები დაუდგა. მე მოვუნოდე ჩვენს სტუდენტობას, ვისაც კი უნარი შესწევს, თავი გამოიდოს სამშობლოსათვის. მართალია, გვაკლია იარაღი, გვაკლია საომარი აღჭურვილობა, გვაკლია სურსათ-სანოვარე, გვაკლია ბევრი სხვა რამეც, მაგრამ ჩვენს ბრძენ ხალხს უთქვამს, – აქ ბატონმა რექტორმა ხმას აუწია და მკაფიოდ წარმოთქვა, – „ვაჟკაცსა გული რკინისა, აბჯარი თუნდა ხისაო“. ჩვენი ეროვნული კულტურის თეთრი ტაძარი გზას დაულოცავს ყველას, ვინც ბრძოლის ველისაკენ გაეშურებაო, – დაასრულა სიტყვა ცრემლმორეულმა რექტორმა“.⁶

სტუდენტები მოხალისეებად ეწერებოდნენ. ალექსანდრე ბარამიძე იგონებდა, „მიტინგი რომ დამთავრდა (კარგი დრო იყო გასული), სტუდენტობის დიდი ნაწილი იმ დღესვე ჩაენერა მოხალისე მეომრებად და ფრონტზე გაემგზავრა. ფრონტიც აქვე იყო, თბილისის მისადგომებთან. იარაღის ტარების უცოდინარნი (მათ შორის მეც) სანიტრებად გაგვამწესეს. ჩვენს სანიტარულ რაზმში იყო კიდევ ორი სტუდენტი – ერთი ჩემი სკოლის ამხანაგი, მედიკოსი სტუდენტი გიორგი თურმანიძე და იოსებ ყაუხჩიშვილი, მგონი ისტორიკოსი, შემდგომ პოლიგრაფიის დარგის მუშაკი. ჩვენც დაუყოვნებლად გაგვგზავნეს ფრონტზე და სადგომად მიგვიჩინეს სადგური ვაზიანი. მონყალების დად ჩაენერა ჩემი თანაკურსელი სტუდენტი მარო მაცაშვილი, მშვენიერი გარეგნობის პატრონი და ყოველმხრივ მომხიბლავი ადამიანი. მარო მაცაშვილი, მისი ამხანაგი ქეთო ლამბაშიძე და მე ერთად ვმეცადინეობდით და ვემზადებოდით გამოცდების ჩასაბარებლად საქართველოს ისტორიაში (ივანე ჯავახიშვილთან) და, აი, თავზე დაგვატყდა საბედისწერო თებერვალი. მარო დაიღუპა კოჯორში. სხვათა შორის, კოჯორ-ტაბახმელას სექტორის ბრძოლებში მონაწილეობდა ბოტანიკოსი სტუდენტი ნიკო კეცხოველი (შემდგომ ცნობილი მეცნიერი და უნივერსიტეტის რექტორი). ნიკო კეცხოველი ხელში დაიჭრა კიდეც. ჩემი უფროსი ძმა, ბენო ბარამიძე, სტუდენტი ისტორიკოსი, არტილერისტი იყო და სოლანლულის ფრონტზე იმყოფებოდა“.⁷

ყველამ იცის მარო მაცაშვილის ისტორია. გაზეთი „საქართველო“ იუნყებოდა, „კოჯორის ფრონტზე მტრის ყუმბარით დაიღუპა საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს თავმჯდომარის კოტე მაცაშვილის ქალიშვილი მარო მაცაშვილი, 19 წლისა, რომელიც მონყალების დათ იყო ჩანერილი ერთ-ერთ რაზმში“.⁸

შედარებით ნაკლებადაა ცნობილი ამ ომში ფრონტზე მოხალისედ წასული და დაღუპული სხვა სტუდენტების ისტორია.

ნიკოლოზ კალანდარიშვილი დაიღუპა 19 თებერვალს დილით. იბრძოდა მეორე საარტილერიო დივიზიონის მეორე ბატარეაში. მასთან ერთად დაიღუპა კაპიტანი მიხეილ გრიგოლის ძე თუმანიშვილი.⁹ ნიკოლოზ კალანდარიშვილი

6 მაცაბერიძე მ., უნივერსიტეტი 1921 წლის თებერვალში, თბ., 2014, გვ. 36-37.

7 მაცაბერიძე მ., უნივერსიტეტი 1921 წლის თებერვალში, თბ., 2014, გვ. 38.

8 გაზ. „საქართველო“, 1921 წ., 22 თებერვალი.

9 გაზ. „საქართველო“, 1921 წ., 22 თებერვალი; გაზ. „ერთობა“, 1921 წ., 22 თებერვალი.

დაკრძალეს სამხედრო ტაძრის ეზოში 23 თებერვალს, 12 საათზე.¹⁰ 2020 წლის 15 მაისს თბილისის საკრებულომ ტაბახმელაში ველის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ ორ შესახვევს ნიკოლოზ კალანდარიშვილის სახელი უწოდა (განკარგულება №113). თუმცა რატომღაც ნიკოლოზ კალანდარიშვილი იუნკერად მიიჩნიეს.¹¹ YouTube-ზე არის ვეტერანთა დეპარტამენტის მიერ შექმნილი მოკლე, 3 წუთიანი სიუჟეტი (ატვირთულია 2021 წლის 25 თებერვალს),¹² სადაც ნიკოლოზ კალანდარიშვილზე საუბრობს ბატონი ზაზა შენგელია (ნიკოლოზ კალანდარიშვილი ყოფილა მისი ბაბუის ძმა) და აღნიშნავს, რომ ნიკოლოზი იყო სასულიერო სემინარიის სტუდენტი და დაიღუპა კოჯრის ფრონტზე მონაწილეობის დის, მარო მაცაშვილის ხელში. გაზეთ „საქართველოში“ აღნიშნულია: „მეორე საარტილერიო დივიზიონის მეორე ბატარეის უფროსი აფიცრები და ჯარისკაცები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ქართულ საზოგადოებას, რომ 19 თებერვალს დილით მტერთან ბრძოლაში გმირულად დაიღუპნენ კაპიტანი მიხეილ გრიგოლის ძე თუმანიშვილი და მოხალისე ჯარისკაცი – სტუდენტი ნიკოლოზ კალანდარიშვილი“. გაზეთ „ერთობაში“ გამოქვეყნებულ ორ სამგლოვიარო განცხადებაში ვკითხულობთ: „თფილისის მაზრის ერობის გამგეობა მწუხარებით აცხადებს, რომ 19 თებერვალს გმირული სიკვდილით, გამოგვაკლდა ძვირფასი თანამოსამსახურე სტუდენტი-ჯარისკაცი ნიკოლოზ კალანდარიშვილი“; „თფილისის სამაზრო ერობის მუშა მოსამსახურეთა პროფეს. კავშირი ღრმა მწუხარებას განიცდის ამხანაგ ნიკოლოზ კალანდარიშვილის გმირულად დაღუპვის გამო“. სტუდენტი, ვფიქრობ, უფრო უნივერსიტეტის სტუდენტს უნდა ნიშნავდეს. ერობის გამგეობაში და მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირში თანამშრომლობაც, სავარაუდოდ, უფრო უნივერსიტეტის სტუდენტისგან არის მოსალოდნელი, ვიდრე სასულიერო სემინარიის სტუდენტისგან. 19 თებერვალს დილით ბრძოლა იყო სოლანლულის ფრონტზეც და ცოტა მოგვიანებით დაიწყო კოჯორშიც. ასე რომ, ნიკოლოზ კალანდარიშვილი შესაძლოა მართლაც დაღუპულიყო კოჯორში.

პავლე ბემქენაძე იბრძოდა მეშვიდე ათასეულში.¹³ „დაღუპვამდე რამდენიმე

10 გაზეთ „ერთობა“, 1921 წ., 23 თებერვალი. „ღრმათ დამწუხრებული მშობლები: ნატალია ირაკლის ასული და დეკანოზი არისტარხო ნიკოლოზის ძე, და ზოია და ძმა ირაკლი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ საყვარელი სტუდენტის მოხალისე ჯარისკაცის ნიკოლოზ (კოლია) კალანდარიშვილის სამშობლოსათვის გმირულად სიკვდილს. პანაშვიდები ყოველდღე მიხეილის საავადმყოფოში 1 საათზე. ცხედარი გამოსვენებული იქნება მიხეილის საავადმყოფოს ტაძრიდან დღეს, 23 თებერვალს დილის 10 საათზე და დაკრძალულ იქნება თფ. სამხედრო სობოროში“; „მამიდა ეპისტიმა ნიკოლოზის ასული და ანტიპ ათანასეს ძე ბაბილუები, ბიძია ბიკტორ ნიკოლოზის ძე და ბიცოლა ოლიმპიადა, ბიძები: კონსტანტინე და სიმონი და ბიცოლა ნინა კალანდარიშვილი, კვიროსი ქავჭარაძე და თამარ დოლაბერიზის ასული მწოხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ საყვარელ და დაუფიქრებელ სტუდენტ ნიკოლოზ (კოლია) კალანდარიშვილის ბრძოლის ველზე გმირულად დაღუპვას.“

11 Tbsakrebulo.gov.ge/uploads/a.saxeldeba2020/7.PDF

12 <https://www.youtube.com/watch?v=qqezkp99fk0>

13 გაზეთ „საქართველო“, 1921 წ., 23 თებერვალი. „მეშვიდე ათასეულში მყოფი ქუთაისის მოწაფეთა მოხალისეთა რაზმი ღმა მწუხარებას გამოსთქვამენ სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის პალიკო ბემქენაძის გარდაცვალების გამო“; ფრონტზე მყოფი დამცემი ბატალიონის ჯარისკაცები ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას ძვირფასი ამხანაგის პავლე (პალიკო) ბემქენაძის ფრონტზე გმირულად დაღუპვას. დამცემ ბატალიონის

ხნით ადრე, მარო მაცაშვილი უნახავს ქრისტიანე (ჩიტო) შარაშიძეს, რომელიც დამფუძნებელი კრების წევრებთან ერთად კოჯრის ფრონტის დასათვალისწინებლად მიდიოდა: „მარო მაცაშვილი მუხლებზე დაყრდნობილი ფეხზე ჭრილობას უხვევდა სტუდენტი ბეშქენაძეს. მითხრა – ქალბატონო ჩიტო, პოსტზე ვდგავარო“.¹⁴ პავლე ბეშქენაძე სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის წევრი იყო. „როგორც პარტიის წევრი, იგი საუკეთესო აქტიური მებრძოლი იყო. ქუთაისის ახალგაზრდობის სული და გული, როგორც თანამგრძობთა ისე მოწინააღმდეგეთა... არა ერთი და ორი მოხსენება ნაუკითხავს პალიკოს „ჩვენი სოციალური მსოფლმხედველობის“ შესახებ და როგორც მისი მოხსენება, ისე კამათიც, არასოდეს ასცდენია საგნის სიღრმეს და პარტიულ კინკლაობად არ გამხდარა. შეუდარებელი იყო პალიკო, როგორც ორგანიზატორი. მოწაფეთა კონფერენციამ სამართლიანად აღნიშნა, რომ ისეთი მომქმედი კომიტეტი, როგორიც იყო დასავლეთ საქართველოს სოც-ფედ. კომიტეტი, არ ახსოვს ჩვენი ორგანიზაციის ისტორიასო და ამ კომიტეტის თავმჯდომარე იყო პალიკო“.¹⁵ ბრძოლის ველზე დაცემული სტუდენტი მშობლიურ ქუთაისში გადაასვენეს მეგობრებმა.

ექვთიმე თაყაიშვილი წერს: „ჭუგო შუხარდს მიწერ-მოწერა ჰქონდა ახლად განსვენებულ ქართველების მეგობართან არტურ ლეისტთან და სულ იმას სთხოვდა, ვინმე ქართველი მოსწავლე გამოგზავნეთ გრაცში უმაღლესი სწავლის მისაღებად, რომ ქართული ენის კვლევის დროს გამომადგესო. მართლაცდა ლეისტმა და მე კიდევ ვავგზავნეთ ერთი ჩემი ყოფილი მოწაფე, კარგი და ნიჭიერი ყმანვილი ბეშქენაძე. მისთვის სტიპენდიის მიწოდება პატივცემულმა მარიამ ვახტანგის ასულმა ჯამბაკურ-ორბელიანისამ იკისრა. ბეშქენაძე ეხმარებოდა შუხარდს, მაგრამ შუხარდი არ იყო მანდამანინც კმაყოფილი ამ ახალგაზრდათი. ბეშქენაძე იყო გატაცებული ლიტერატურის და ფილოსოფიის შესწავლით, შუხარდს კი უნდოდა, ის ლინგვისტი გაეხადა. შუხარდი ლეისტს სწერდა: ბეშქენაძე საუცხოო ყმანვილია, მაგრამ ჩემი ცდა, რომ მას ენათა მეცნიერება შევავარო, ამოდ რჩებაო. მე რომ ლინგვისტიკაზე ველაპარაკებო, ის ფილოსოფიაზე და ლიტერატურაზე მიწყებს ბაასსო. ძალად სულიერი მიმართულების შეცვლა, რასაკვირველია, ძნელია“.¹⁶ არის თუ არა ეს 1921 წელს დაღუპული პავლე ბეშქენაძე, დაზუსტებით ძნელი სათქმელია. ექვთიმე თაყაიშვილისა და არტურ ლაისტის „ყოფილი მოსწავლე“, ალბათ, სტუდენტი იყო. სტუდენტი ექვთიმე თაყაიშვილს ეყოლებოდა, ცხადია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. უნივერსიტეტში ერთდროულად ერთი და იმავე გვარის მქონე ორი სტუდენტის სწავლა შესაძლებელია, თუმცა ნაკლებად სავარაუდო მგონია. თუ საუბარია 1921 წელს დაღუპულ პავლე ბეშქენაძეზე, მაშინ გამოდის რომ, ის ჯერ წავიდა შუხარტთან ავსტრიაში, გრაცის უნივერსიტეტში და შემდეგ უკან დაბრუნდა საქართველოში.

ჯარისკაცთა მონდობილობით შოთა ბანაგაძე“ (გაზ. „ერთობა“ – სოსო მანაგაძე, დათიკონ ქვარიანი და მიშა არეშიძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ვერაგ მტერთან ბრძოლაში გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე ძვირფასი ამხ. სტუდენტი პავლე ბეშქენაძე“).

14 მაცაბერიძე მ., უნივერსიტეტი 1921 წლის თებერვალში, თბ., 2014, გვ. 44.

15 მაცაბერიძე მ., უნივერსიტეტი 1921 წლის თებერვალში, თბ., 2014, გვ. 47, 50.

16 თაყაიშვილი ე., ემიგრანტული ნაშრომები. დამსახურებული პროფესორის პეტრე მელიქიშვილის გარდაცვალების გამო. ქართული ემიგრანტული ლიტერატურა. დაბრუნება I, თბ., 1991.

სტუდენტი კონსტანტინე (კოტე) კვიცარიძე დაღუპულთა შორის საკუთარმა ძმამ, ახალგაზრდა ექიმმა შიო კვიცარიძემ ამოიცნო. იმ დროს შექმნილი ვითარების გამო, კოტე ქუთაისში ვერ გადასვენეს და ვერის სასაფლაოზე (დღევანდელი ვერის ბაღი) დაკრძალეს.¹⁷ გაზეთი „სოციალისტ-ფედერალისტი“ იუწყებოდა: „ძმები გრიგოლ, ბაგრატ და შიო პოლიევქტოს ძე კვიცარიძეები ამით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებსა და ნაცნობთ რომ აპრილის 10-ს, კვირას, 2 ს. ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში გადახდით იქნება ორმოცი დღის პანაშვიდი მათი დაუვინყარი ძმის, სტუდენტ გვარდიელის კონსტანტინე (კოტე) პოლიევქტოს ძე კვიცარიძის საფლავზე – მისი სულის მოსახსენებლად“.¹⁸

ფრონტზე დაღუპულ სტუდენტთა შორის მოიხსენიება გიორგი (გიო) გამყრელიძე,¹⁹ თუმცა ამის დამადასტურებელი ინფორმაცია ჩვენ ვერ ვნახეთ.

მოხალისედ წასული სტუდენტი გაბრიელ გეხტმანი, დაიღუპა თბილისის მისადგომებთან წითელ არმიასთან ომში 1921 წლის 18-19 თებერვალს მიმდინარე ბრძოლებისას. ზოგიერთი ცნობით, გეხტმანი იუნკერი იყო, რაც დოკუმენტურად არ დასტურდება.²⁰

ერთ-ერთ ინტერნეტ წყაროში ფრონტზე დაღუპულ სტუდენტთა შორის დასახელებულია გიორგი ნაკაშიძე.²¹ ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ გიორგი ნაკაშიძე 1921 წლის 16 თებერვალს სიტყვით გამოვიდა უნივერსიტეტში გამართულ მიტინგზე. როგორც მალხაზ მაცაბერიძის წიგნში მოტანილ ალექსანდრე ბარამიძის მოგონებაში წერია, „გიორგი ნაკაშიძე, რომელმაც სიტყვა წარმოთქვა 16 თებერვლის მიტინგზე, იყო ჩემი უფროსი და უახლოესი მეგობარი. იგი 1922 წელს უნივერსიტეტის სტუდენტთა დიდ ჯგუფთან ერთად საბჭოთა ხელისუფლებამ გააძევა სამშობლოდან. სწავლობდა ვარშავასა და პრაღაში. საბოლოოდ დაემკვიდრა ამერიკის შეერთებულ შტატებში. იყო კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი“.²²

ინტერნეტში ვრცელდება ინფორმაცია, რომ 1921 წელს ფრონტზე იბრძოდა უნივერსიტეტის პროფესორი რობერტ ბლეიკი. ამის დამადასტურებელი ინფორმაცია მე არ მინახავს. სამაგიეროდ არსებობს ცნობა, რომ რობერტ ბლეიკი 1920 წელს დაბრუნდა ჰარვარდში²³ და ასეთ შემთხვევაში, ცხადია, 1921 წელს თბილისში ვერ იქნებოდა.

მოხალისედ წასული სტუდენტები მონაწილეობდნენ ბათუმისათვის ბრძოლა-

17 <https://civil.ge/ka/archives/323273>

18 გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი“, 1921 წ., 9 აპრილი.

19 <http://www.tavisupali.ge/siakhleebi/1158-gamofenis-gakhsna-thsu-1921-tslis-thebervalmartshi.html?lang=ka-GE>

20 ჯანელიძე ო., ახალი მასალა ქართული სამხედრო სკოლის ისტორიისათვის, ჟურნ. „ქართული ემიგრაცია“, 2016, N 4 (7), გვ. 196-212

21 <https://netgazeti.ge/news/522698/>

22 მაცაბერიძე მ., უნივერსიტეტი 1921 წლის თებერვალში, თბ., 2014, გვ. 36

23 ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. II. 1977, გვ. 428;

http://encyklopedia.naukowy.pl/Robert_Pierpont_Blake; https://pl.wikipedia.org/wiki/Robert_Pierpont_Blake; https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A2_%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%98%E1%83%99%E1%83%98

შიც. ქემალისტებთან შეტაკებაში დაიღუპნენ: შოთა ვადაჭკორია, შალვა ტურაბელიძე და კირილე ცომაია.²⁴

1918-1921 წლებში თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობის დაცვაში. ვფიქრობ, შემდგომი მუშაობა სხვა ფაქტებსაც გამოავლენს და შეავსებს არსებულ ინფორმაციას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

Mikheil Bakhtadze

TBILISI STATE UNIVERSITY AND MILITARY ACTIONS OF 1918-1921

Summary

In 1918-1921, the Republic of Georgia often had to get involved in military operations. Tbilisi State University professors and students, as part of the Georgian society, provided their share of assistance to the armed forces. In January 1919, university professors transferred 1145 manats to the defense fund. At the end of April 1920, units of the XI Red Army tried to invade Georgia from Azerbaijan. University student, volunteer Sergo Tvaradze was killed in the fight against them. On February 12, 1921, the Russian-Georgian war began. On February 16, the council of professors of the university appealed to the government. University professors, docents, lecturers, assistants and members of the staff of the public scientific-educational department are all ready to sacrifice all their knowledge, experience and life to the cause of protecting the freedom of the dear motherland. The doors of the laboratories of the Faculty of Mathematics and Natural Sciences of the University and the clinics of the Medical Faculty are open for the needs of the war. University students went to the front as volunteers. Students died fighting with the enemy: Maro Makashwili, Nikoloz Kalandarishwili, Pawle Beshkenadze, Konstantine Kwicaridze, Gabriel Gechtman, Shota Wadachkoria, Shalva Turabelidze, Kirile Comaia. Further work will reveal other facts and supplement the existing information regarding the mentioned issue.

24 მაცაბერძე მ., უნივერსიტეტი 1921 წლის თებერვალში, თბ., 2014, გვ. 52-53.

რელიგიის თავისუფლების საკითხი ბალტიის ქვეყნებში

(პოსტსაბჭოთა პერიოდი)

შესავალი

გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპზე მსოფლიოში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურმა პროცესებმა, მათ შორის მოსახლეობის მიგრაციის სფეროში, გააქტიურა ისეთი საკითხები, როგორცაა: ადამიანთა უფლებების დაცვა, ტერორისტული საფრთხეები და სხვა, სადაც ამ პრობლემებში ხშირად ერთ-ერთ და მთავარ ფაქტორს რელიგია და რელიგიათაშორისი ურთიერთობები წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებული თემების შესწავლა, რელიგიათაშორისი ურთიერთობების სწორი რეგულაციისათვის სხვადასხვა გამოცდილების გააზრება და სასურველი მაგალითის/გამოცდილების შედეგების გათვალისწინება.

პრობლემის აქტუალობიდან გამომდინარე, ნაშრომის კვლევის საკითხად შევარჩიეთ ბალტიის ქვეყნების – ლატვიის, ლიეტუვისა და ესტონეთის მაგალითი, რომლებიც ევროკავშირისა და ნატოს წევრები არიან და ამ ორგანიზაციების სტანდარტით არსებული ვითარება მისაღებია, ე.ი. დემოკრატიასთან შესაბამისობაშია.

ნაშრომის მიზანია, ბალტიის სამივე რესპუბლიკის ოფიციალური მასალების შესწავლის, სხვადასხვა ასპექტის მიმოხილვისა და ანალიზის საფუძველზე, ისტორიზმის მეთოდის გამოყენებით, წარმოადგინოს ამ ქვეყნებში რელიგიისა და რწმენის თავისუფლებასთან დაკავშირებული მდგომარეობის სამართლებრივი, პოლიტიკური, რელიგიური განათლების სწორად წარმართვის საკითხი პოსტსაბჭოთა პერიოდში.

რელიგიის თავისუფლების საკითხი ბალტიის ქვეყნებში

თანამედროვე სეკულარულ სამყაროში, გლობალიზაციის პირობებში, რელიგიის თავისუფლების საკითხი მნიშვნელოვანია, შესაბამისად, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მიღებულია არაერთი დოკუმენტი რელიგიისა და რწმენის თავისუფლებაზე, რაც წარმოდგენას გვიქმნის ამა თუ იმ სახელმწიფოს წინაშე არსებული გამოწვევების, და ასევე ამ გამოწვევების დასაძლევად დასახული გზებისა და აუცილებელი ქმედებების შესახებ.

პირველ რიგში, ვფიქრობთ, საჭიროა ხსენებული ქვეყნების რელიგიის პოლიტიკის გაცნობა, რადგან იგი საინტერესო და მნიშვნელოვანია მრავალრელიგიური და მრავალეთნიკური სხვადასხვა, მათ შორის ჩვენი ქვეყნისთვისაც. საკითხი საინტერესოა პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებისათვის, ვინაიდან მათში აღნიშნული მიმართებით კვლევები მხოლოდ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ დაიწყო. სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთობაში ახალი სამართლებრივი ფორმების დამკვიდრებასთან ერთად, ეს იქნება დამატებითი შესაძლებლობა, ხელი შეეწყოს რელიგიისა და რწმენის თავისუფლების საკითხისადმი რელიგიური ორგანიზაციებისა და საზოგადოების ცნობიერების

ამაღლებას.¹ საკითხის თვალნათლივ წარმოდგენისათვის, განვიხილავთ ლატვიის, ლიეტუვისა და ესტონეთის პარლამენტების მიერ მიღებულ კანონებს რელიგიური ორგანიზაციების შესახებ.

ლატვიის შემთხვევა

ლატვიის რესპუბლიკის კანონი რელიგიური ორგანიზაციების შესახებ პარლამენტის მიერ 1995 წლის 7 სექტემბერს იქნა მიღებული და მოიცავს 20 მუხლს, სადაც განმარტებულია, რომ კანონი შეესაბამება ქვეყნის კონსტიტუციას, ასევე რელიგიის სფეროში ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით დადებულ საერთაშორისო შეთანხმებას, არეგულირებს საზოგადოებრივ ურთიერთობებს, რომელიც წარმოიშვა რწმენის თავისუფლების განხორციელებისა და რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობასთან დაკავშირებით. აღნიშნული კანონის მიზანია უზრუნველყოს ლატვიის მოსახლეობის რელიგიის თავისუფლება, რომელიც მოიცავს საკუთარი რელიგიური აზრის თავისუფლად გამოხატვის უფლებას ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად მოექცნენ ან არ მოექცნენ რომელიმე რელიგიაზე, თავისუფლად შეიცვალონ რელიგია ან შესარულონ რელიგიური მოქმედებები, ასევე გამოხატონ თავიანთი რელიგიური მრწამსი, ძალაში მყოფი საკანონმდებლო აქტების შესაბამისად.²

ეს კანონი ეხება რელიგიური ორგანიზაციების კონცეფციას, მოსახლეობის თანასწორობას მათი რელიგიური შეხედულებების მიუხედავად, სახელწიფოსა და რელიგიური ორგანიზაციების ურთიერთობის საფუძვლებს, სადაც აღსანიშნავია რელიგიური საქმეების საბჭოს საქმიანობა, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს და გააუმჯობესოს სახელმწიფოსა და რელიგიური ორგანიზაციების კოორდინაცია (1996 წელს შეიქმნა), რელიგიურ ორგანიზაციებსა და განათლებას, რელიგიური ორგანიზაციის დაფუძნების პროცედურას, რელიგიური ორგანიზაციების დაწესებულებებს, მათ რეგისტრაციას (ახლადდაარსებული სამრევლო 10 წლის განმავლობაში ყოველწლიურად ხელახლად რეგისტრირდება), მარეგისტრირებელ დაწესებულებაში წარსადგენი დოკუმენტების ნუსხას, რეგისტრში შესატან ინფორმაციას, რელიგიური ორგანიზაციების სადამფუძნებლო დოკუმენტს (წესდებას), რელიგიური ორგანიზაციების უფლებებს და მათ როგორც ზოგად საქმიანობას ისე ეკონომიკურ და სამეწარმეო საქმიანობას, მათ ქონებას, ლიკვიდაციასა და რეორგანიზაციას, რელიგიური ორგანიზაციისა და მისი დაწესებულებების საქმიანობის შეწყვეტის საფუძვლებსა და შედეგებს, გარდამავალ დებულებებს.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ლატვია არის მულტიდენომინაციული/მულტიკონფესიური ქრისტიანული ქვეყანა. მოსახლეობის უმეტესობა ლუთერანები (ეთნიკური ლატვიელები, ცენტრალური და დასავლეთ ლატვიიდან) არიან და შეადგენენ მთლიანი მოსახლეობის დაახლოებით 25-35 პროცენტს. სიდიდით მეორე სარწმუნოება, რომელიც კათოლიკეები – მთლიანი მოსახლეობის 20-25%-ს აღწევს. ესენი

1 სერია – რელიგია და სამართალი III ტომი, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო (მთავარი რედაქტორი ზ. ვაშაყმაძე), თბ., 2017, გვ. 5, <https://religion.gov.ge/publikaciebi/seria-religia-da-samartali-iii-tomi>.

2 Legirel, Legislation on religious activities and religious bodies, Law on religious organisations of 7 September 1995, as amended, <https://www.legirel.cnrs.fr/spip.php?article385&lang=fr>,

უპირატესად აღმოსავლეთ ლატვიელები და მიგრანტები, ზოგი სამხრეთ ლატვიელი, ასევე ლატვიის პოლონური და ლიტვიელი უმცირესობები არიან; შემდეგი მოდის რუსული მართლმადიდებლური სარწმუნოება, რომელსაც ლატვიის მცხოვრებთა 18-22 პროცენტი აღიარებს, - ძირითადად რუსი, უკრაინელი და ბელორუსი უმცირესობები; ძველ მორწმუნეებს მიეკუთვნებიან ლატვიის მე-4 სარწმუნოების წარმომადგენლები - 1,7%-ით, რომლებიც რუსული მართლმადიდებლობის ძველი ფორმის აღმსარებლები არიან, რის გამოც დევნილობაში იმყოფებიან ლატვიაში (ძველი მორწმუნეების ტრადიციული ხის ეკლესია ფუნქციონირებს რიგამიც); არსებობს ბევრი პატარა, ძირითადად პროტესტანტული ქრისტიანული კონფესია, რომლებიც ერთად ლატვიის მოსახლეობის 1,5%-2,5%-ია; ლატვიაში არსებობს ღვთისმოსავთა მიმართულებაც, რომელიც აცხადებს, რომ აღადგინა ლატვიის წინაქრისტიანული წარმართული რწმენა. ეს ყველაზე დიდი არაქრისტიანული სარწმუნოებაა, - დაახლოებით 700 მიმდევარით, რომლებიც ცნობილია როგორც დიევტურიები (Dievturis) (სულ 0,035%); აღსანიშნავია, რომ ებრაულ სარწმუნოებას ლატვიაში დიდი ისტორია აქვს, მაგრამ ახლა მას მთელი მოსახლეობის მხოლოდ 0,025% მიმდევარი ჰყავს; რაც შეეხება ისლამს, ლატვიაში მთელი მოსახლეობის ყველაზე დაბალი წილია ევროპაში (0,05%) და არის იმ რამდენიმე ქვეყანას შორის, რომლებსაც არ აქვთ მეჩეთი; ათეიზმი ლატვიაში ძირითადად საბჭოთა ოკუპაციის პროდუქტია, რომელიც ერთ დროს დიდად პოპულარულიც იყო, საერთო ჯამში, ლატვიის მოსახლეობის 18 პროცენტი ახლა არარელიგიურია.³

ლიეტუვის შემთხვევა

ლიეტუვის რესპუბლიკის კანონი რელიგიურ თემებისა და გაერთიანებების შესახებ მიღებულია 1995 წლის 4 ოქტომბერს და მიზნად ისახავს რელიგიურ თემებს, ასოციაციებსა და სახელმწიფოს შორის სამართლებრივი ურთიერთობების ჩამოყალიბებს, ასევე, ლიეტუვის კონსტიტუციით, სხვა კანონებითა და საერთაშორისო შეთანხმებებით გარანტირებული რელიგიის თავისუფლების იმპლემენტაციას.⁴

კანონი ეხება მთელ რიგ საკითხებს, კერძოდ რელიგიის თავისუფლებას, ინდივიდების თანასწორობას აღმსარებლობისდა მიუხედავად, განმარტავს ისეთ ასპექტებს, როგორცაა რელიგიური თემები, ასოციაციები და ცენტრები; აღნიშნულია, რომ სახელმწიფო აღიარებს არსებულ ცხრა ტრადიციულ რელიგიურ თემსა და ასოციაციას, რომლებიც წარმოადგენენ ქვეყნის ისტორიულ, სულიერ და სოციალურ მემკვიდრეობას, ესენია: რომაულ-კათოლიკური (85.9 %), რუსული მართლმადიდებლური (4.6 %), ძველ მორწმუნეთა (სტაროვერები (0.9 %), ევანგელურ-ლუთერული (0.7 %), რეფორმირებული ევანგელური (0.2 %), ბერძნულ-კათოლიკური, მუსლიმური (სუნიტური) და ყარაიტული (ყარაიტები წარმომავლობით არიან ყირიმიდან და დამკვიდრდნენ ლიეტუვაში გვიან შუა საუკუნეებში).

3 Religions of Latvia, 2023, Religions (Faiths) In Latvia: Extensive Guide, Religions of Latvia, <https://www.onlatvia.com/topics/culture-of-latvia/religions-in-latvia>,

4 REPUBLIC OF LITHUANIA, 1995, LAW ON RELIGIOUS COMMUNITIES AND ASSOCIATIONS, 4 October 1995 No I-1057, (As last amended on 22 December 2009 - No XI-601), Vilnius, <https://e-seimas.lrs.lt/portal/legalAct/lt/TAD/TAIS.385299?jfwid=16j6tpgu6w>

კანონი ეხება სხვა რელიგიური ასოციაციების აღიარების წესს, საყურადღებოა, რომ რელიგიურ ასოციაციებს შეუძლიათ მოითხოვონ აღიარება პირველად დარეგისტრირების მომენტიდან 25 წლიანი პერიოდის გასვლის შემდგომ, თუკი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, ხელახალი მოთხოვნა შესაძლებელია უარის თქმის მომენტიდან მხოლოდ 10-წლიანი ვადის გასვლის შემდგომ (აღიარების საკითხს განიხილავს ლიეტუვის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო – სეიმი, იუსტიციის სამინისტროდან მიღებული დასკვნის შემდგომ); განხილულია სახელმწიფოსა და რელიგიურ თემებსა და ასოციაციებს შორის ურთიერთობის ძირითადი პრინციპები; რელიგიური რიტუალების შესრულების თავისუფლება; ტრადიციული რელიგიური თემებისა და გაერთიანებების სამართლებრივი სტატუსის ფორმულირება; სხვა რელიგიური თემებისა და გაერთიანებებისათვის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭება; რელიგიური თემის ან გაერთიანების წესდებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის რეგისტრაციაზე უარი; რელიგიური თემების, გაერთიანებებისა და ცენტრების ქონებრივი უფლებები; საგანმანათლებლო, საქველმოქმედო და სამონყალო საქმიანობა; ეკონომიკური და საგამომცემლო საქმიანობა; ასევე მათში დასაქმებული პირების გადასახადებით დაბეგვრა; შრომითი ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირება; სოციალური კეთილდღეობა და სოციალური უზრუნველყოფა; საერთაშორისო თანამშრომლობა რელიგიურ თემებსა და გაერთიანებებს შორის; რელიგიური თემის, გაერთიანების ან ცენტრის საქმიანობის შეჩერება ან შეწყვეტა.

21-ე საუკუნის გლობალიზებულ სამყაროში ცოტას თუ გააკვირვებს მრავალრელიგიური ქალაქები. თუმცა, ლიეტუვაში მრავალრელიგიური ატმოსფერო მრავალსაუკუნოვანია. მე-19 საუკუნეში ვილნიუსს ჰქონდა 10-ზე მეტი სხვადასხვა რელიგიის ტაძარი, მათ შორის არაქრისტიანულიც. ლიეტუვა აღმოსავლეთისა და დასავლეთის უნიკალური გზაჯვარედინია იმით, რომ აქ შეგიძლიათ ნახოთ მრავალი განსხვავებული სარწმუნოების მრავალსაუკუნოვანი მემკვიდრეობა.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ (1990 წ.) სახელმწიფო ათეიზმი შეიცვალა რელიგიური თავისუფლებით. ამასთან, გაიზარდა ახალი თუ უცხოური რელიგიური მოძრაობების მიმდევართა რიცხვი, მაგრამ ისინი ერთად რჩებიან 1%-ზე ნაკლები. აქედან 0,5% ეკუთვნის სხვადასხვა მცირე ქრისტიანულ სარწმუნოებას.

ლიეტუვა, როგორც აღვნიშნეთ, აღიარებს რელიგიურ თავისუფლებას. ტრადიციულ რელიგიურ დაწესებულებებს ისე ექცევიან, როგორც ნებისმიერ კულტურულ დაწესებულებას.

ესტონეთის შემთხვევა

ესტონეთმა კანონი ეკლესიებისა და სამრევლოების შესახებ 2002 წელს მიიღო და მისი მიზანია კონსტიტუციით გათვალისწინებული რელიგიის თავისუფლების საყოველთაო უფლების დაცვით, განისაზღვროს ეკლესიების, სამრევლოების, სამრევლოთა გაერთიანების, მონასტრებისა და რელიგიური საზოგადოების წევრობის პროცედურები და მათი საქმიანობის რეგულირება.⁵ კანონი ეხება რელიგიურ გაერთიანებებს, მათ ძირითად საქმიანობას; რელიგიურ საზოგადოებას;

5 OSCE/ODIHR database of legal reviews and legislation, 2002, Churches and Congregations Act of Estonia (2002, as amended 2004), Churches and Congregations Act, Passed 12 February 2002, <https://legislationline.org/taxonomy/term/13868>,

პასიური სამართლებრივ უფლებას; რეგისტრირებულ ოფისს; სახელწოდებას; კანონის მეორე თავი ეხება რელიგიის და აღმსარებლობის თავისუფლებას, სადაც შედის ინდივიდის უფლებები; რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება განსაზღვრავს, რომ პირებს, რომლებიც იმყოფებიან სამედიცინო და საგანმანათლებლო დაწესებულებებში, საპატიმროებებში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებსა და სამხედრო ძალებში, აქვთ უფლება, თავისუფლად შეასრულონ რელიგიური რიტუალები თუ არ არღვევენ საჯარო წესრიგს, დაწესებულების შინაგანანებს და არ უქმნიან საფრთხეს სხვის ჯანმრთელობას. რელიგიურ გაერთიანებებს არ აქვთ უფლება საგანმანათლებლო და სამედიცინო დაწესებულების, საპატიმროს და სამხედრო ძალების უფროსთა ნებართვის გარეშე აღასრულონ რელიგიური რიტუალები და რელიგიური მომსახურება; აღსანიშნავია, რომ განხილულია ბავშვების განევრიანების წესი სამრევლოებში. მესამე თავი „რელიგიური გაერთიანების დაფუძნება და რეორგანიზაცია“ მოიცავს: რელიგიური გაერთიანების დაფუძნებას; რელიგიური გაერთიანების წესდებას; რეესტრში რეგისტრაციის წესს, რეესტრში საქმის წარმოების შეჩერებასა და უარს რეგისტრაციაზე; რეესტრში ინფორმაციის შეტანასა და ცვლილებებს; რელიგიური გაერთიანებების შერწყმას, გამოყოფას და ლიკვიდაციას. მეოთხე თავი „რელიგიური გაერთიანების რეგისტრაცია“ ეხება რეგისტრაციის წესს (რელიგიური გაერთიანება რეესტრში რეგისტრირდება როგორც არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი და მასზე ვრცელდება ყველა ის დებულება, რაც შეეხება არასამეწარმეო იურიდიულ პირებს, თუ ამ აქტით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული); შეზღუდვები, რომელიც ეხება საჯარო ინფორმაციას; რელიგიური ორგანიზაციის რეგისტრაციის მოწმობა (რელიგიური გაერთიანების რეგისტრაციის მოწმობას გასცემს იუსტიციის სამინისტრო); მმართველთა საბჭო და სასულიერო პირები (რელიგიური გაერთიანების სასულიერო პირი შეიძლება იყოს პირი, რომელსაც უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ადგილობრივი მთავრობის არჩევნებში. სხვა მოთხოვნები შეიძლება დაადგინოს რელიგიურმა ასოციაციამ. რელიგიური ასოციაციის მმართველ ჯგუფს შეუძლია, პრეზიდენტი მოიწვიოს ესტონეთის ფარგლებს გარედან და მისცეს მუშაობისა და ბინადრობის უფლება, უცხოელთა ბინადრობისა და სხვა კანონმდებლობის საფუძველზე) განსაზღვრავენ სასულიერო პირის პროფესიულ ჩაცმულობას; პროფესიულ საიდუმლოებას; მმართველთა საბჭო (ეკლესიას, სამრევლოსა და სამრევლოთა გაერთიანებას უფლება აქვს, ჰყავდეს მმართველთა საბჭო. მმართველთა საჭოს წევრთა მინიმუმი და მაქსიმუმი განსაზღვრულია წესდებით. მმართველთა ჯგუფის წევრთა სულ მცირე, ნახევარი უნდა იყოს ესტონეთში, დანარჩენი ნაწილი – ევროპის ეკონომიკურ არეალში ან შვეიცარიაში. ამ აქტის მიხედვით, მონასტრის უმაღლესი წარმომადგენელი იგულისხმება მონასტრის მმართველად) პასუხისმგებელია მმართველთა საბჭოს წარმომადგენლობით უფლებასა და პასუხისმგებლობაზე. კანონის მეხუთე თავი „რელიგიური გაერთიანების აქტივები“ მოიცავს საკუთრების უფლებებს და ვალდებულებებს, ამ მხრივ ძალიან ბევრ საინტერესო საკითხს აერთიანებს, კერძოდ: რელიგიურ ასოციაციებს უფლება აქვთ, დაანესონ გადასახადი რელიგიური რიტუალებისათვის და მიიღონ შემონირულობები გარკვეული მიზნებისათვის; განკარგონ წლიური ანგარიშები; მათზე ზედამხედველობა; აქტივების განაწილების წესი. მეექვსე თავი გარდამავალ დებულებებს შეიცავს და ეხება ამ აქტის გავრცელე-

ბას რელიგიურ ასოციაციებზე; რეესტრში რეგისტრაციის განცხადება; რეესტრის ჩანაწერები; გაუქმება (ის რელიგიური გაერთიანება, რომელიც დარეგისტრირებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ და არ შეუტანია განცხადება რეესტრში 2005 წლის 1-ელ იანვრამდე ან განცხადება გააკეთა დაგვიანებით, ექვემდებარება გაუქმებას) და შეტყობინებას.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ რელიგიის საკითხებზე, რელიგიის თავისუფლებაზე მსჯელობა ესტონეთში აქტუალურია. შესაბამისად, არაერთ ნაშრომშია გაშუქებული რელიგიური თავისუფლების პრინციპები, რელიგიური თემების უფლებებისა და სახელმეკრულებო ვალდებულებების შესახებ, პოლიტიკასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში რელიგიის გავლენაზე მოქმედი სამართლებრივი პარამეტრებით.⁶ მნიშვნელოვანია აღნიშნული საკითხების სამართლებრივი მიმართულებით შესწავლა/განხილვა რელიგიის შესახებ ისეთ კონკრეტულ სფეროებში, როგორცაა ეკლესიის დაფინანსება, შრომა და დასაქმება, ქორწინება და საოჯახო სამართალი. შესაბამისი კანონმდებლობისა და სამართლებრივი დოქტრინის მკაფიო და ყოვლისმომცველი მიმოხილვებიდან ჩანს, რომ რელიგიის თავისუფლება მნიშვნელოვანი აქტუალური საკითხია, რომლისკენაც მიმართულია არამარტო სახელმწიფო პოლიტიკა, არამედ საზოგადოების ფართო სპექტრი.

მნიშვნელოვანია ასევე, რომ ნაშრომზე მუშაობისას გამოიკვეთა მათი დამოკიდებულება და ინტერესი სხვადასხვა თემების მიმართ, დაწყებული რელიგიური განვითარებით ძველ მახლობელ აღმოსავლეთში, რელიგიურობის დინამიკამდე თანამედროვე საზოგადოებაში, რელიგიის როლით შუა საუკუნეების იაპონიაში, ისევე როგორც ციმბირის ხალხებში.⁷ ვფიქრობთ მთლიანობაში ეს საინტერესოა რელიგიის ყველა მკვლევრისთვის.

რელიგიური განათლების საკითხი ბალტიის ქვეყნებში

თანამედროვე გლობალურ სამყაროში, განათლებაა მთავარი მექანიზმი, რომლის საშუალებითაც შეგვიძლება უზრუნველვყოთ ისეთი საზოგადოების ჩამოყალიბება, რომელიც ტოლერანტული იქნება სხვა რელიგიურ აღმსარებელთა მიმართ და არ დაუშვებს ამ ნიადაგზე შულს. ამისათვის აუცილებელია საშუალო სკოლიდან მოზარდი დაეუფლოს რელიგიური განათლების სანყისებს, კერძოდ, ცოდნას რელიგიის შესახებ, ინფორმაციას ცალკეულ ერებში რელიგიების არსებობისა და მათი კულტურული თანაცხოვრების შესახებ და სხვ. ამასთან, სკოლა ვალდებულია მისცეს ბავშვს რელიგიური აღზრდა, მისი პიროვნული ზრდისთვის, საზოგადოებრივი განვითარებისათვის, იმისათვის, რომ მოემზადოს ცხოვრების გამონვევების დასაძლევად, რადგან მათ ცხოვრება მრავალფეროვან/მულტირელიგიურ გარემოებებში უნევთ და რომ ჰქონდეთ სხვა რელიგიებისა და კულტურების მიმღებლობა და კრიტიკული აზროვნება.

საკითხისადმი ინტერესს ზრდის ის ფაქტი, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ ეკლესია გამოყო განათლების პროცესისგან, დახურა რელიგიური სკოლები, ამოიღო რელიგიური შინაარსი სასწავლო გეგმიდან და აკრძალა ჯგუფური კატექეზია. შესაბამისად, ამ რესპუბლიკებთთვის მხოლოდ სახელმწიფოებრივი და-

6 Kiviorg M., *Religion and Law in Estonia*, Wallingford, United Kingdom, 2016.

7 Peedu I., *Estonian Study of Religion: A Reader*, Tartu, 2019.

მოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ გახდა შესაძლებელი პრობლემის დასმა და მასზე მჯელობა, რომელთაგან რამოდენიმე ძირითად საკითხს განვიხილავთ.

ლატვიის შემთხვევა

საყურადღებოა, რომ ლატვიაში სახელმწიფო სასწავლებლებში რელიგიური განათლება მეორე მსოფლიო ომამდე დაშვებული იყო. 1919 და 1934 წლების საგანმანათლებლო კანონები მოიცავდა დებულებებს კონფესიური რელიგიის კლასებისთვის, როგორც დანყებით, ისე საშუალო სკოლებში.⁸

რელიგიის საგნის გაკვეთილები ლატვიის საჯარო სკოლებში ხელახლა აღდგა 1991 წელს, დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე. კანონი რელიგიური ორგანიზაციების შესახებ, რომელიც უზრუნველყოფდა რელიგიის, სინდისის თავისუფლებას, ბავშვებს აძლევდა უფლებას აერჩევანი გაეკეთებინათ რელიგიისა და ეთიკის საგანს შორის ან ესწავლათ ორივე.

ლატვიის რესპუბლიკის 1995 წლის 7 სექტემბრის „რელიგიური ორგანიზაციების შესახებ“ კანონის მე-6 მუხლი „რელიგიური ორგანიზაციები და განათლება“ (1996 წლის 17 ივნისის, 1998 წლის 19 თებერვლის ცვლილებებით) მოიცავს საკმაოდ საინტერესო და საყურადღებო 5 პუნქტს, კერძოდ:

ყველას აქვს უფლება, დაეუფლოს რელიგიურ სწავლებებს ინდივიდუალურად ან რელიგიური ორგანიზაციების სასწავლო დაწესებულებების მეშვეობით;

ქრისტიანული სარწმუნოების სწავლებანი, შესაძლებელია, ისწავლებოდეს სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების სკოლებში იმ პირობისათვის, რომლებმაც წერილობით გამოხატეს სურვილი, შეიძინონ ეს ცოდნა. არასრულწლოვნებმა, მშობლებთან ან მეურვესთან წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, უნდა წარმოადგინონ განცხადება ქრისტიანული სარწმუნოების სწავლებათა შესწავლის სურვილის შესახებ. 14 წლამდე არასრულწლოვანთა შემთხვევაში, მშობელთა ან მეურვემ მისის სახელით უნდა წარადგინოს განცხადება;

ქრისტიანული სარწმუნოების სწავლება წარმოებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამის მიხედვით, ევანგელურ-ლუთერული, რომაულ-კათოლიკური, მართლადიდებლური, ძველმორწმუნე და ბაპტისტური კონფესიის მასწავლებლების მიერ იმ შემთხვევაში, თუ სკოლაში სულ მცირე 10 მოსწავლე გამოთქვამს სურვილს, შეიძინოს შესაბამისი კონფესიური განათლება. მასწავლებლები შეიძლება წარდგენილ იქნენ დენომინაციების მიერ, ხოლო მათ ატესტაციას უზრუნველყოფს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების მმართველობის ქვეშ არსებულ ეროვნული უმცირესობების სკოლებს, მოსწავლეების ან ან მათი მშობლების ან მეურვეების სურვილის შემთხვევაში, შეუძლიათ უზრუნველყონ შესაბამისი და ეროვნული უმცირესობისათვის დამახასიათებელი რელიგიური სწავლება, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი პროცედურების დაცვით.

ქრისტიანული რწმენისა და ეთიკის სწავლებანი ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. როგორც ვხედავთ, ლატვიაში მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციის თანახმად რელიგიური გაერთიანებები სახელმწიფოსგან გამოყოფილია,

8 Rabolds R., The State and the Church, Riga , 2000, p.251

ქრისტიანული სწავლება სახელმწიფოს მიერ ფინანსდება.⁹

მთელი რიგი მასალის შესწავლის ანალიზით დასტურდება, რომ საკითხი რელიგიური განათლების განვითარების შესახებ ლატვიის საჯარო განათლების სისტემაში მნიშვნელოვანია და იგი შედგება სამი ნაწილისაგან. პირველი ნაწილი ეხება პოსტსაბჭოთა საზოგადოების სოციალურ კონტექსტს და მის გავლენას რელიგიური განათლების განვითარებაზე. მეორე ნაწილი აღწერს საჯარო სკოლებში რელიგიური განათლების ოთხ მიდგომას, რომლებიც გაჩნდა ლატვიაში ბოლო ათწლეულების განმავლობაში: კონფესიური მიდგომა, ეკუმენური ქრისტიანული მიდგომა, მსოფლიო რელიგიების მიდგომა და ქრისტიანული ეთიკის მიდგომა.¹⁰ მესამე ნაწილი ფაქტობრივად აანალიზებს მიდგომების სიმრავლის ამჟამინდელი ეტაპის პრობლემებსა და შესაძლებლობებს.

ლიეტუვის შემთხვევა

რელიგიური სწავლება ლიეტუვაში ხორციელდება 1995 წლის 4 ოქტომბერს მიღებული კანონით რელიგიურ თემებისა და გაერთიანებების შესახებ. სადაც, კერძოდ მეცხრე მუხლში აღნიშნულია, რომ რელიგიური სწავლება შესაძლებელია განხორციელდეს სალოცავ სახლებში, სახელმწიფო და არასახელმწიფო საგანმანათლებლო და სასწავლო დაწესებულებებში, ისევე, როგორც სხვა ადგილებში.

ტრადიციული და სხვა, სახელმწიფოს მიერ აღიარებული, რელიგიის სწავლება შესაძლებელია განხორციელდეს სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებებში, მოსწავლეთა მშობლებისა და მეურვეების მოთხოვნის საფუძველზე. აქვე დავძენთ, რომ კანონის მიხედვით, სახელმწიფო აღიარებს განათლების სამინისტროში სასწავლო პროგრამის რეგისტრაციას განათლების მიმცემი პირების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენის შემდგომ.

აღსანიშნავია, რომ სტუდენტებისთვის მეცადინეობები, რელიგიური სწავლება მათი ოჯახის ან ნათესავების მიერ აღიარებული რელიგიის მიხედვით ტარდება. ამასთან, სახელმწიფო სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში რელიგიური განათლების წესი რეგულირდება განათლების შესახებ კანონმდებლობით.

მეთოთხმეტე მუხლის მიხედვით – „განათლება, ქველმოქმედება და მოწყალება: რელიგიური თემები, ასოციაციები და ცენტრები“ – რელიგიურ თემებს, გაერთიანებებსა და ცენტრებს უფლება აქვთ დადგინონ წესით შექმნიან და ჰქონდეთ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, აგრეთვე სასწავლო, განათლებისა და კულტურის სხვა დაწესებულებები, სასწავლო და მოსამზადებელ დაწესებულებები სასულიერო პირებისა და რელიგიის ინსტრუქტორების მოსამზადებლად, კანონებითა და სხვა ნორმატიული აქტებით დადგინილი წესის მიხედვით.

ტრადიციული და სხვა რელიგიური თემების საგანმანათლებლო დაწესებულებები, იურიდიული პირის უფლებების მქონე გაერთიანებები და ცენტრები და

9 Legirel, Legislation on religious activities and religious bodies, Law on religious organisations of 7 September 1995, as amended, <https://www.legirel.cnrs.fr/spip.php?article385&lang=fr>,

10 Filipson A., TIME OF UNCERTAIN CONVERSATIONS: RELIGIOUS EDUCATION IN PUBLIC SCHOOLS OF THE POST-SOVIET LATVIA, RELIGIOUS EDUCATION, The official journal of the Religious Education Association, 2011.

ასეთი რელიგიური თემების სკოლები, გაერთიანებები და ცენტრები, რომლებიც ახორციელებენ სახელმწიფოს მიერ დადგენილ განათლებას, იღებენ ფინანსურ და სხვა სახის დახმარებას სახელმწიფო და ადგილობრივი სახელმწიფო ბიუჯეტებიდან, კანონებითა და სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით.

ტრადიციული რელიგიური თემებისა და გაერთიანებების საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც უზრუნველყოფენ სახელმწიფოს მიერ დადგენილ სტანდარტულ ზოგად განათლებას, იღებენ ფინანსურ მხარდაჭერას მთავრობისგან ან მის მიერ უფლებამოსილ სხვა დაწესებულებიდან, განსაზღვრული ბრძანებით, ბიუჯეტის აქტივების იმავე ოდენობის მინიჭებით, როგორც კორესპონდენტის ტიპის (დონის) მიხედვით. საგანმანათლებლო დაწესებულებების ქონების ოდენობა განისაზღვრება ბავშვის, სკოლის მოსწავლის საკორესპონდენტო ტიპის (დონის) საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის განკუთვნილი ხარჯის მიხედვით.

ყველა რელიგიურ საზოგადოებას, ასოციაციასა და ცენტრს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ქველმოქმედებაში, მოწყალეობასთან დაკავშირებულ საქმიანობაში და შექმნას სამედიცინო დაწესებულებები, ასევე საქველმოქმედო დაწესებულებები და ორგანიზაციები.¹¹

საჭიროა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირის დროს ლიეტუვაში რელიგიური განათლება ამოღებული იყო განათლების სისტემიდან: საბჭოთა მთავრობამ გამოყო ეკლესია სახელმწიფოსგან, დაიხურა მოქმედი კათოლიკური სკოლები და გამორიცხა რელიგიის გაკვეთილები სასწავლო გეგმიდან. 1976 წელს გაფართოვდა ახალი რეგულაციები რელიგიური თემებისთვის და შემოღებულ იქნა კიდევ უფრო დიდი აკრძალვები.

აქვე დავძენთ, რომ 1988 წელს სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მიხედვით გორბაჩოვის წინაშე წარდგენილ სხვა მოთხოვნებს შორის იყო რელიგიის საკითხი. 1988 წლის 23 მაისს პანავეჟისის ეპარქიის მღვდლებმა მიმართვა გაუგზავნეს გორბაჩოვს, რომელშიც ითხოვდნენ „არ შეეზღუდათ ბავშვების მომზადება ზიარებისთვის და დაეშვათ რელიგიური განათლება“ (ასეთი მიმართვა სხვადასხვა ადგილებიდან არაერთი იყო).

ამ კონტექსტში რელიგიის თავისუფლების იდეა ლიეტუვის დამოუკიდებლობის კონცეფციის განუყოფელი ნაწილი გახდა. ლიეტუვის გამოღვიძების პერიოდში, კარგი ხარისხის რელიგიური განათლება მნიშვნელოვან საკითხსა და თავისუფლების ერთ-ერთი მთავარ პირობას წარმოადგენდა. რელიგიური განათლების აღდგენის იდეა განსაკუთრებით მისასაღმებელი იყო ქრისტიანულ საზოგადოებასა და ეკლესიის წარმომადგენლებში. რელიგიური გაკვეთილების ინტეგრაცია განათლების პროცესში წარმოადგენდა ლიეტუვის სკოლების საბჭოთა იდეოლოგიისგან გათავისუფლების ერთ-ერთ ყველაზე ნათელ ნიშანს.

1989 წლის 29 ნოემბერს სსრკ განათლების მინისტრმა და ლიეტუველმა კარდინალმა ხელი მოაწერეს ერთობლივ განცხადებას, რომელიც მრევლს სამრევლო სკოლების დაარსების უფლებას აძლევს. სკოლებს დაევაღათ, მშობლების მოთხოვნის შემთხვევაში, უზრუნველყონ ფართი სახელმწიფო სკოლებში სა-

11 Law on the confessions and religious communities in 1995, REPUBLIC OF LITHUANIA LAW ON RELIGIOUS COMMUNITIES AND ASSOCIATIONS OF THE REPUBLIC OF LITHUANIA, <http://licodu.cois.it/?p=1199&lang=en>

მრევლო სკოლებისთვის და შექმნან ხელსაყრელი პირობები რელიგიის სწავლებისთვის. დოკუმენტში ნათქვამია, რომ ეპისკოპოსთა კონფერენციას უნდა დაენიშნა რელიგიის მასწავლებლები, განეხილა რელიგიური განათლების სასწავლო გეგმები და პერსონალის საკითხები და ეცნობებინა განათლების სამინისტროსათვის მათი შესახებ.

ხსენებულმა დოკუმენტმა საფუძველი ჩაუყარა სკოლებში რელიგიური განათლების ლეგიტიმაციას. ამ პერიოდის რელიგიური გამოხატვის მკვლევრები აღნიშნავენ, რომ სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან შედარებით, რელიგიის გაკვეთილების სწავლების კუთხით, ლიეტუვაში ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწიეს.

1991 წლის გაზაფხულზე კი ლიეტუვის უმაღლესმა საბჭომ დაიწყო განათლების შესახებ კანონის პროექტის განხილვა. მიუხედავად იმისა, რომ სკოლებში უკვე ისწავლებოდა რელიგია, ამ საკითხმა ინტენსიური დისკუსია გამოიწვია. განათლების შესახებ ახალმა კანონმა, რომელიც მიღებულ იქნა 1991 წლის 25 ივნისს, განამტკიცა რელიგიის გაკვეთილების სამართლებრივი სტატუსი: კანონში ნათქვამია, რომ მოსწავლეებს, რომლებიც არ ესწრებოდნენ რელიგიის გაკვეთილებს, პარალელურად ასწავლიდნენ სხვა საგნებს – მორალურ ან სამოქალაქო განათლებას. ამასთან, რელიგიას ასწავლიდნენ რელიგიური ხელისუფლების მიერ უფლებამოსილი პირები. ეს მიდგომა არსებითად არ შეცვლილა განათლების შესახებ კანონში შემდგომი ცვლილებებით.

აქვე დავძენთ, რომ საერთოდ, ბალტიის ქვეყნებში რელიგიის სწავლების ხელახალი დანერგვის მიმოხილვა ცხადყოფს, რომ ანალოგიური დებულებები იქნა შეტანილი ლატვიის განათლების შესახებ კანონში 1998 წელს; 1996 წელს კი ესტონელ მშობლებს მიენიჭათ კანონიერი უფლება, მიმართონ სკოლის ადმინისტრაციას შვილების რელიგიური განათლების მოთხოვნით, თუმცა სკოლები არ იყვნენ ვალდებული დაეკმაყოფილებინათ მათი მოთხოვნა.

რელიგიური განათლების კანონიერი უფლება ოფიციალურად დამკვიდრდა ლიეტუვის კონსტიტუციაში 1992 წელს. კონსტიტუცია მშობლებსა და აღმზრდელ მშობლებს ანიჭებს შეუზღუდავ უფლებას, აღზარდონ თავიანთი შვილები მათი რწმენის შესაბამისად.

კონსტიტუციაში ნათქვამია, რომ ლიეტუვაში არ არსებობს ოფიციალური/სახელმწიფო რელიგია, მაგრამ სახელმწიფო აღიარებს ტრადიციულ ეკლესიებსა და რელიგიურ ორგანიზაციებს. სახელმწიფოს მიერ აღიარებულ ეკლესიებს და რელიგიურ ორგანიზაციებს ენიჭებათ კანონიერი უფლებები და შეუძლიათ თავისუფლად გამოიყენონ თავიანთი მრწამსი, ჩაატარონ ღვთისმსახურება და ჰქონდეთ სალოცავი სახლები, საქველმოქმედო დაწესებულებები და სკოლები სასულიერო პირების მომზადებისთვის.

ფაქტების შესწავლა-ანალიზით დასტურდება, რომ ლიეტუვაში 1980-იანი წლების ბოლოს და 1990-იანი წლების დასაწყისში დაიწყო რელიგიურ განათლებაზე მსჯელობა, რომელიც მნიშვნელოვანია კათოლიკე მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის. თუმცა რელიგიური განათლების განხორციელებას არ გააჩნდა როგორც საკანონმდებლო, ისე პრაქტიკული საფუძველი.

აღსანიშნავია, რომ კათოლიკური ეკლესიის ჩართვა ქვეყნის განათლების პროცესში საბოლოოდ გამყარდა 2000 წელს საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირების შემდეგ, კერძოდ წმიდა საყდარსა და ლიეტუვის რესპუბლიკას შორის განათლებისა და კულტურის სფეროში თანამშრომლობის ხელშეკრულების შემდეგ.

აქვე დავძენთ, რომ 21-ე საუკუნის დასაწყისში ლიეტუვაში რელიგიურ განათლებას ჰქონდა სამართლებრივი საფუძველი და მტკიცე სტატუსი განათლების სისტემაში და შეიქმნა (ნაწილობრივ ხელახლა) კათოლიკური სკოლების ქსელი.¹²

ესტონეთის შემთხვევა

ესტონეთს ხშირად მიიჩნევენ ევროპის ყველაზე სეკულარულ ქვეყნად. აქ რელიგიის, როგორც კულტურული ფენომენის მიმართ გულგრილობა არაერთი მეცნიერის მიერ ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის დასაწყისში არის ნახსენები.¹³

რელიგიური განათლება ესტონეთში არის ნებაყოფლობითი, თუმცა არჩევითი და არა სავალდებულო კურსი.

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ მიღებულ ესტონეთის 1991 წლის კონსტიტუციაში მკაფიოდ არ არის ნახსენები რელიგიური განათლება. 1992 წელს მიღებულ ესტონეთის განათლების კანონში კი მხოლოდ ერთგანაა აღნიშნული, რომ განათლების ფუნდამენტური პრინციპები ეფუძნება საყოველთაო და ეროვნული ფასეულობების აღიარებას, პიროვნების რელიგიის და სინდისის თავისუფლებას.¹⁴ აქვე დავძენთ, რომ ზოგიერთი მეცნიერის მიერ ხსენებული 1992 წლის განათლების კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი, სადაც ნათქვამი იყო – „ღვთის სჯულის შესწავლა, ისევე, როგორც მისი სწავლება, ნებაყოფლობითია“,¹⁵ – 2010 წელს ამოღებულია კანონიდან.

თავისი პირველი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის პერიოდში (1918-1940) ესტონეთი იყო ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, სადაც დაინერგა არაკონფესიური რელიგიური განათლების მოდელი. 1920 წლის კონსტიტუციის თანახმად, რომელშიც ჩამოყალიბებულია სახელმწიფოსა და რელიგიის გამიჯვნის პრინციპი, მკაფიოდ განსხვავდება რელიგიური განათლება სკოლებში და რელიგიური სწავლება ეკლესიებში. როდესაც საბჭოთა კავშირმა ესტონეთის ოკუპაცია მოახდინა 1940 წელს, სკოლებში რელიგიური განათლება აიკრძალა. სასწავლებლებში რელიგიური სწავლების ყველა ფორმა აღიკვეთა და მის ნაცვლად დაინერგა სამეცნიერო ათეიზმის კურსი.

1990-იანი წლების დასაწყისში, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, კი რელიგიური განათლება შესახებ დისკუსიები კვლავ დაიწყო.

1991 წელს აღდგა ტარტუს უნივერსიტეტის სასულიერო ფაკულტეტი და შემოღებულ იქნა თეოლოგიის სწავლება კერძო სკოლებში.

ესტონური განათლების სტანდარტი ჩამოყალიბებულია ეროვნული სასწავ-

12 Juškienė V., Restitution of Religious Education in Lithuania, BALTIC ASSOCIATION OF HISTORIANS OF PEDAGOGY, Pedagogy and Educational Sciences in the Post-Soviet Baltic States, 1990-2004, Riga 2020, pp. 60-69.

13 Rimmel A., Religion, Interrupted? Observations on Religious Indifference in Estonia, In book: Religious Indifference New Perspectives from Studies on Secularization and Nonreligion, 2017,

14 Riigi Republic of Estonia Education Act. <https://www.riigiteataja.ee/en/eli/524042014002/consolide>,

15 მათეშვილი ლ., სეკულარული სახელმწიფო და რელიგიური საგნების სწავლების საკითხები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, სადოქტორო დისერტაცია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2017, გვ. 115.

ვლო გეგმებით, რომელიც ეფუძნება ტრადიციას. 2010 წელს მიიღეს ახალი ეროვნული სასწავლო გეგმები, რომლებიც გამოიყენება სკოლების განვითარებისთვის. ეროვნულ სასწავლო გეგმებში რელიგიური განათლებაც შედიოდა როგორც არჩევითი საგანი. შესაბამისი საგნობრივი სილაბუსები ეფუძნება კონტექსტუალური მიდგომის მოდელს. რელიგიური სწავლების საგნობრივი სილაბუსი საბაზო სკოლებისთვის განსაზღვრავს სამ კურსს: „ჩვეულებები, ისტორიები და ღირებულებები“ – პირველ ეტაპზე, „ღირებულებები და არჩევანი“ – მეორე ეტაპზე, ხოლო „ერთი სამყარო, განსხვავებული რელიგიები“ – სწავლის მესამე ეტაპზე. საშუალო სკოლების სილაბუსი მოიცავს ორ 35-საათიან კურსს: „კაცობრიობა და რელიგია“ და „ესტონეთის რელიგიური ლანდშაფტი“.

სკოლები აკონკრეტებენ, რომ საგანი რეკლამის გარეშე იძლევა სხვადასხვა რელიგიის გაცნობის შესაძლებლობას, რომლის მიზანია საზოგადოებაში, კულტურაში რელიგიის როლის გააზრების გაუმჯობესება. საგნობრივი სილაბუსების ზოგადი პრინციპები განსაზღვრავს, რომ:

- 1) ძირითადი პრინციპი არის რელიგიისა და აზრის თავისუფლების აღიარება;
- 2) მოსწავლეები არ მოელიან ამა თუ იმ კონკრეტული მსოფლმხედველობის ნორმად მიღებას;
- 3) სტუდენტები არ არიან ორიენტირებულნი რომელიმე კონკრეტული რელიგიის მისაღებად;
- 4) სხვადასხვა რელიგიისა და მსოფლმხედველობის შესწავლა ეფუძნება „დაბალანსებულ მეცნიერულ მიდგომას“;
- 5) საგანი არ შეიძლება განიხილებოდეს, როგორც რეკლამირება რომელიმე კონკრეტული ეკლესიის, კრების ან სხვა რელიგიების ასოციაციის.¹⁶

წარმოდგენილი ოფიციალური მონაცემები მეტყველებენ რელიგიის თავისუფლების მაღალ ხარისხზე ესტონეთში.

დასკვნა

განხილული მასალებიდან ირკვევა, რომ რელიგიის თავისუფლების საკითხზე მსჯელობა ლატვიაში, ლიეტუვასა და ესტონეთში დღემდე აქტიუალურია. ბალტიის სამივე ქვეყნის კონსტიტუცია აცხადებს, რომ არ არსებობს სახელმწიფო რელიგია და იცავს პიროვნების რელიგიურ თავისუფლებას. ამავდროულად, კრძალავს რელიგიური სიძულვილის, ძალადობის ან დისკრიმინაციის გაღვივებას. კანონი ადგენს რელიგიური გაერთიანებებისა და რელიგიური საზოგადოებების რეგისტრაციას და არეგულირებს მათ საქმიანობას. არარეგისტრირებული რელიგიური გაერთიანებები თავისუფალნი არიან რელიგიური აქტივობების განხორციელებაში. მთელი რიგი მასალების შესწავლა-ანალიზი ადასტურებს, რომ თანამედროვე ეტაპზეც საბაზო სკოლებში არსებობს გამოწვევები, კერძოდ, რელიგიური განათლების სახელმძღვანელოებთან მიმართებით. არსებული შედეგებით შეიძლება დავასკვნათ, რომ რელიგიური განათლების სფეროში, მართალია, აღიარებულია „მრავალრწმენის“ რელიგიური განათლების იდეა, რომელიც ქმნის პირობებს კულტურათაშორისი, რელიგიათაშორისი კომუნიკაციის

16 Silja Härm, 2022, Religious Education in Estonian General Education Schools, <https://irene-project.isevenezia.it/wp-content/uploads/2022/11/Religious-Education-in-Estonian-General-Education-Schools-Silja-Harm-EELK-UI.pdf>

სა და კრიტიკული დებატებისთვის, მაგრამ ეს მოთხოვნა სასურველია ფართოდ დაინერგოს სახელმძღვანელოებში. მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს დიალოგი სხვადასხვა რელიგიური და არარელიგიური წარმომავლობის მოსწავლეებს შორის, რათა ასწავლოს მათ ტოლერანტობისა და პატივისცემის პრინციპები განსხვავებული მრწამსის მქონე ადამიანების მიმართ, განუვითაროს მოზარდებს სააზროვნო უნარები. თუმცა, საერთო ზოგადი სურათით დასტურდება, რომ კანონით განსაზღვრული რელიგიური სწავლებაც დემოკრატიის პრინციპებითაა წარმოდგენილი და არ შეიცავს არანაირი შეზღუდვის ან ზეწოლის ნიშნებს.

Manana Darchashvili

The Issue of Religious Freedom in the Baltic Countries (in the post-Soviet Period)

Summary

Certain thoughts that have existed for decades in various circles of society that religion would lose its importance or disappear from the main spheres of society's life that religions would take more tolerant, enlightening, and philosophical forms, and faith would no longer be the driving force for people's unification and political activity, was not justified. No regime has succeeded in banishing religion from public life, despite severe persecution. On the contrary, religion often acts as an important factor even in several political processes. We have to admit that even in the space of the former Soviet Union, where it was believed that the religious factor was insignificant, and despite decades of persecution and the introduction of atheism, destroyed, empty churches and mosques, religion took an important place again in the post-Soviet period. Moreover, often a wide circle of politicians use the religious factor in their rhetoric. Therefore, the study of the issue of religious freedom on the example of the Baltic countries, which are members of the European Union and North Atlantic Treaty Organization, is relevant and interesting, both for the countries of the post-Soviet space that want to join these organizations and for other countries as well, because the freedom of religion is one of the important indicators of democracy in the country.

The paper aims to present the reality of the Baltic states, the existing legislation on freedom of religion, the relations between the state and religious organizations, and various aspects related to the freedom of religious organizations, based on the study and analysis of existing official documents and secondary sources. Due to its relevance, the mentioned topic has a general, public nature. In the Baltic countries, in the post-Soviet period, during the formation of a new political reality, several requirements. For instance, there were identified for the introduction of freedom of religion, were amended legislations. All these were good practices for other countries (including Georgia) for the establishment of a coherent state policy of freedom of religion, for the issues of freedom of religion and belief of religious organizations, and last but not least to raise public awareness.

საქართველოს კოლმეურნეთა დახმარება ფრონტსა და ოკუპანტებისაგან განთავისუფლებულ რაიონებს

საბჭოთა ისტორიოგრაფია II მსოფლიო ომის პრობლემებზე მსჯელობისას, მუდამ განსაკუთრებით ამახვილებდა ყურადღებას იმ ფაქტებზე, რომ ომის დაწყებისთანავე საქართველოს რიგით მოქალაქეებში მასობრივად გავრცელდა სხვადასხვა პატრიოტული ინიციატივა, რომელთა მიზანი იყო ფრონტისათვის საყოველთაო დახმარება: მატერიალური რესურსებით, ფინანსური თანხებით, კვების პროდუქტებით, თბილი ტანსაცმელით და ა.შ. ეს ფაქტი აუცილებლად „საბჭოთა ადამიანების მაღალ მოქალაქეობრივ პოზიციას“, „საბჭოთა პატრიოტიზმს“ უკავშირდებოდა.

პოსტსაბჭოთა ისტორიოგრაფიაში უკვე გაჩნდა კრიტიკული მოსაზრება ყველა ამ „პატრიოტულ ინიციატივის“ წარმოშობა-განვითარებაზე, პარტიული და ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან აქტიურ ზეგავლენაზე „სოციალისტური შეჯიბრებების“ ინიცირებისას და სხვ. ავტორები ამ შემთხვევაში განსაკუთრებით გამოკვეთდნენ იძულების მომენტებს. უდავოა, ალბათ ეს ფაქტორიც არ უნდა იყოს გამორიცხული – ომის უმძიმეს პირობებში ძალიან ძნელი იქნებოდა რიგითი ადამიანების მხრიდან ქველმოქმედება, მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსების გაღება და ა.შ., მაგრამ არც მოსახლეობის გარკვეული კატეგორიის მხრიდან „საბჭოთა ადამიანების მაღალ მოქალაქეობრივი პოზიცია“, „საბჭოთა პატრიოტიზმის“ გამოვლენის კონკრეტული ფაქტები უნდა გამოვრიცხოთ, რადგან ასეთი მაგალითები ძალიან ბევრია. ერთი რამ უდავოდ უნდა გვახსოვდეს – ომის წინა წლებში სტალინურმა პროპაგანდამ მოსახლეობის დიდი უმრავლესობის შეგნებაში მთავრობის პოლიტიკის მხარდაჭერის ტენდენცია განავითარა და ხელი შეუწყო საბჭოთა საგარეო პოლიტიკური კურსის მხარდაჭერას, რამაც ომის წლებში საკმაოდ თვალსაჩინო და მნიშვნელოვანი შედეგი მოიტანა.

ეს მხარდაჭერა, მრავალი პატრიოტული ინიციატივა სხვადასხვა ფორმით ვლინდებოდა. რა თქმა უნდა, ყველაფრის ინიციატორები, საქმის წამომწყებნი კომუნისტები და კომკავშირლები იყვნენ – მათ წესდებით ევალებოდათ ყველგან და ყოველთვის ყოფილიყვნენ ბრძოლის პირველ ფლანგზე, გამოეჩინათ ინიციატივა, რიგითი მოსახლეობისათვის აუცილებლად მისაბაძი ყოფილიყვნენ. ხოლო მათ ამ საქმიანობას (თვისებას) განსაკუთრებით ფასი დაედო II მსოფლიო ომის წლებში, რისი დავინყება და იგნორირება არ შეიძლება. ამასთან, ჩვენ ვუშვებთ, პარალელურად რიგითი „საბჭოთა მოქალაქის“ აქტივობებსაც, რაც ნამდვილად იყო, ვლინდებოდა სხვადასხვა ფორმით და ესეც, უდავოდ, დასაფასებელია.

უპირველეს ყოვლისა, ომის პირველსავე დღეებიდან, იყო აშკარად დიდი ფინანსური დახმარება საბჭოთა საზოგადოების ყველა ფენიდან. ჩვენი აზრით, ყველაზე მეტად „პატრიოტიზმის გამოვლენის“ ეს ფორმა შეიძლება დაექვემდებარა პარტიულ და ადმინისტრაციულ ზენოლას, რასაც იმჟამად „ახსნა-განმარტებითი მუშაობა“ ერქვა. ომის დაწყების შემდეგ საბჭოთა სახელმწიფომ თავისი ფინანსური რესურსების შესავსებად გამოუშვა სახელმწიფო სესხის ახალი ობლიგაციები – მათ რეალიზებას საკავშირო თუ რესპუბლიკური პარტიული პრესა ინტენსიურ პროპაგანდას უწევდა, რომ სახელმწიფო სესხის ეს ახალი ობლიგაციები სწრაფად გავრცელებულიყო საბჭოთა მოქალაქეთა შორის. ამ შემთხვევაში კი ისიც უნდა

გავითვალისწინოთ, რომ იმჟამად თავისუფალი ფინანსური სახსრები, სხვა სოციალურ კატეგორიებთან შედარებით, ჰქონდათ კოლმეურნეებს (რა თქმა უნდა საკარმიდამო ნაკვეთებიდან მიღებული მოსავლის რეალიზაციის შედეგად), აქედან გამომდინარე, მათ შორის უფრო რეალური იყო ამ აუცილებელი თანხების მობილიზება. ამიტომაც კოლმეურნეობების თავმჯდომარეებს, პარტიულ ორგანიზაციების მდივნებსა, ბრიგადირებს და აქტივისტებს დაევალათ „ახსნა-განმარტებითი მუშაობების წარმოება“, რომ მოგროვილიყო მნიშვნელოვანი თანხები თავდაცვის ფონდში გადასარიცხად. ფინანსური თანხების მობილიზებამ მასობრივი ხასიათი მიიღო. მაგალითად, ცაგერის რაიონის კოლმეურნეობა „პროგრესის“ საერთო კრებამ სახელმწიფო სამხედრო სესხის კოლმეურნეებზე გავრცელების საკითხი განიხილა უკვე 1942 წლის 14 აპრილს. კრებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ კოლმეურნეობის საერთო თანხიდან 2000 მანეთი გამოეყოთ სამხედრო სესხის ობლიგაციების შესაძენად. კრებაზე, ასევე, გამოითქვა სურვილი, რომ კოლმეურნეობას დამატებით შეეტანა 3-4 კვირის შრომადღე სახელმწიფო ობლიგაციის შეძენის ფონდში.¹

პროფესორი შოთა ვადაჭკორია, რომელმაც უკვე პოსტსაბჭოთა პერიოდში დეტალურად შეისწავლა ლანჩხუთის რაიონის სოფლის მშრომელების საქმიანობა II მსოფლიო ომის პერიოდში, ხაზგასმით აღნიშნავს ლანჩხუთელების დიდ პატრიოტულ შემართებას სახელმწიფო სამხედრო სესხის რეალიზების დროს. მისი მტკიცებით, საკითხი სპეციალურად დამუშავდა რაიკომის ბიუროს 1942 წლის 28 მარტის სხდომაზე და მიიღეს სპეციალური დადგენილება სახელმწიფო სესხის რაიონის მოსახლეობაში, მათ შორის კოლმეურნეებში, დროული რეალიზების შესახებ: „სახელმწიფო სამხედრო სესხზე ხელმოსანერად რაიონში დაწყებულმა მოძრაობამ ფართო ხასიათი მიიღო. ჭანჭათის კოლმეურნეობის მშრომელები, სონია ნულაძის ინიციატივით, პირველები გამოეხმაურნენ ამ ნაშრომს. მან თავდაცვის ფონდში 800 მანეთი შეიტანა. მის მაგალითს მიბაძეს იმავე კოლმეურნეობის წევრებმა: გოგუცა ტოროტაძემ, პროკოფი ნულაძემ, შ. ცინცაძემ და სხვებმა. ერთი დღის განმავლობაში ჭანჭათის კოლმეურნეობაში ხელმონერილმა თანხამ 75 700 მანეთი შეადგინა“.²

მკვლევარი იმასაც ასაბუთებს, რომ სახელმწიფო სესხის ხელმონერამ ლანჩხუთის რაიონის ჯურუყვეთის, აცანის, გვიმბალაურის, მამათის, ლესის, სუფსის და სხვა კოლმეურნეობებში წარმატებით ჩაიარა და ლანჩხუთის რაიონში 1942 წლის ბოლოს სახელმწიფო სესხის ობლიგაცია მოსახლეობამ შეიძინა 3 640 500 მანეთის ღირებულების, რაც მომავალ წელს საგრძნობლად გაიზარდა და უკვე შეადგინა 4 455 000 მანეთი.

ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის კოლმეურნეებმა შეიძინეს 80 ათასი მანეთის ღირებულების სახელმწიფო სესხის ობლიგაცია და იმავე დღესვე ხაზინაში შეიტანეს 60 000 მანეთი.³

როგორც საბჭოთა ისტორიოგრაფია შენიშნავდა, საქართველოს მოსახლეობის, მათ შორის კოლმეურნეების პატრიოტული შემართება იმდენად მაღალი იყო, რომ მარტო 1942 წლის იანვრისათვის ქვეყნის თავდაცვის ფონდში უკვე შეტანილი იყო 40,8 მილიონი მანეთი, 3,5 კილოგრამი ოქრო და პლატინა, 363

1 ჩარკვიანი ა., ცაგერის რაიონის კოლმეურნეობა „პროგრესის“ ისტორია, თბ., 1987, გვ. 19.

2 ვადაჭკორია შ., ლანჩხუთის რაიონი ომის წლებში (1941-1945), თბ., 2003, გვ. 110.

3 ჩარკვიანი ა., ანთიმოზ როგავა, თბ., 1981, გვ. 10.

კილოგრამი ვერცხლი, 9 982 მანეთის ვალუტა და ძვირფასი ნივთები, აგრეთვე 3 510 კგ. ხორცი, 316 ცენტნერი რძის პროდუქტები, 20,4 ათასი ცალი კვერცხი, 893 ტონა მარცვლეული და ა.შ.⁴

თავდაცვის ფონდში მატერიალური რესურსების მობილიზაცია მთელი ომის პერიოდში ინტენსიურად გრძელდებოდა და ამ საქმეშიც ქართველმა კოლმეურნეებმა თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს.

პარალელურად ამისა, საქართველოში, ისევე როგორც სხვა არაოკუპირებულ საბჭოთა რესპუბლიკებში, გავრცელდა ახალი თაოსნობა, რომ კოლმეურნეებს, თავიანთი დანაზოგით, შეეძინათ და ფრონტისათვის საჩუქრად გადაეცათ ტანკები, თვითმფრინავები და სხვა აუცილებელი სამხედრო ტექნიკა. საქართველოს კოლმეურნეებმა გადაწყვიტეს შეექმნათ სატანკო კოლონა „საქართველოს კოლმეურნე“. ეს ინიციატივა ბევრმა კოლმეურნემ გაითავისა და მნიშვნელოვანი თანხებიც გაიღო ამ მიზნის სარეალიზაციოდ. როგორც დოკუმენტურად დასტურდება, 1943 წლისთვის ამ მიზნით საქართველოს კოლმეურნეებმა შეაგროვეს 110 მილიონი მანეთი.⁵ სამთავრობო დოკუმენტში მითითებულია, რომ ამ პატრიოტული ინიციატივის ხორცშესხმაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ზუგდიდის რაიონის მშრომელებმა (5 მილიონი მანეთი), გურჯაანის რაიონმა (4,5 მილიონი მანეთი), მახარაძის რაიონმა (4 მილიონი მანეთზე მეტი), წითელი წყაროს რაიონის მშრომელებმა (4 მილიონი მანეთი). სატანკო კოლონის მშენებლობაში სამ-სამი მილიონი მანეთით დაეხმარნენ საქართველოს სოფლის მშრომელებს გორის, ლაგოდეხის, წალკის, ახალციხის კოლმეურნეები და ა.შ.

ლანჩხუთის რაიონის კოლმეურნეობებში სატანკო კოლონისათვის თანხის შეგროვების საკითხი საკოლმეურნეო კრებებზე განიხილეს და მხარდაჭერის რეზოლუციები გამოიტანეს. როგორც ჩანს, ამ მიმართულებით პირველი პრაქტიკული ნაბიჯი რაიონში სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ გადადგა, რომლის წევრებმა სპეციალურ ფონდში 160 000 მანეთი შეიტანეს. მათ გამოეხმაურნენ ქვემო შუხუთის კოლმეურნეები (63 000 მანეთით), ხიდმაღალას მშრომელები (53 000 მანეთით) და სხვები. საერთო ჯამში ლანჩხუთის რაიონმა 1942-1944 წლებში სატანკო კოლონა „საქართველოს კოლმეურნის“ შესაქმნელად გადარიცხა 4 352 667 მანეთი.⁶

გამორჩეულად უნდა აღინიშნოს საქართველოში საკოლმეურნეო მშენებლობის დამსახურებული მუშაკის, ზემო ქედის კოლმეურნეობის ლეგენდარული თავმჯდომარის კობა ჩოხელის თაოსნობის შესახებ – მისმა კოლმეურნეობამ ფრონტისათვის დამოუკიდებლად შეიძინა ტანკი და ის საჩუქრად გადასცა სახელმწიფოს. ამის გამო მოსკოვიდან მოვიდა დეპეშა „საქართველოს სსრ წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. კობა ხარსილის ძე ჩოხელს. მხურვალედ მოგესალმებით და დიდად გმადლობით თქვენი კოლმეურნეობის ყველა წევრს და პირადად თქვენ წითელი არმიისადმი დახმარებისათვის. გისურვებთ თქვენს საქმიანობაში შემდგომ წარმატებებს. ი. ბ. სტალინი“.⁷

4 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 8, თბ., 1980, გვ. 105.

5 საქართველოს შსს არქივი, II განყოფილება, ფონდი 14, ანან. 16, საქ. 308 ბ, ფურც. 1.

6 ვადაჭკორია შ., დასახ. ნაშრომი, გვ. 111.

7 ქვათაძე ე., საბახტარაშვილი ვ., ზემო ქედის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის

საკუთარი დანაზოგით – 40 000 მანეთით შეიძინა ტანკი და საბჭოთა მეზრძოლებს გაუგზავნა იგოეთელმა კოლმეურნე ქალმა, სტახანოველმა მარო ჩადუნელმა. ასეთი მაგალითები ერთეული არ არის.

მოგვიანებით დაიწყო მოძრაობა თვითმფრინავების ესკადრილია „საბჭოთა საქართველოს“ შესაძენად ასევე კოლმეურნეთა შორის პატრიოტული ინიციატივის საფუძველზე. როგორც ჩანს, ეს თაოსნობა ლანჩხუთის კოლმეურნეთა შორის სწრაფად გავრცელდა, მოკლე დროში მოხერხდა დიდი ფინანსური თანხების მობილიზება. ამას ხელს უწყობდა პარტიული პრესა, პოლიტიკური აგიტაცია და პროპაგანდა, ამ მიზნით პარტიული ორგანიზაციებისა და აქტივის საქმიანობის განსაკუთრებული ინტენსიფიკაცია. ლანჩხუთის რაიონში ამ თაოსნობაში უკვე კონკრეტული კოლმეურნეებიც იღებდნენ აქტიურ მონაწილეობას – არის ფაქტები, რომ ლანჩხუთელმა ელისე გუჯაბიძემ 13 ათასი მანეთი შეიტანა ესკადრილის შექმნის ფონდში, ლეო დარჩიამ – 13 000 მანეთი, ირ. მოისწრაფიშვილმა – 12 500 მანეთი, აბესალომ გოგუამ 12 000 მანეთი და ა.შ.⁸

ამ ინიციატივას საქართველოში ბევრი კოლმეურნე გამოეხმაურა. სულ მალე ფრონტზე გაიგზავნა ესკადრილია „საბჭოთა საქართველო“, რომლის შექმნაში საქართველოს კოლმეურნეების დამსახურება ძირითადი და განმსაზღვრელი იყო.

ომის პირველივე დღეებიდან საქართველოს კოლმეურნეთა შორის, ასევე, გავრცელდა პატრიოტული ინიციატივა, გაეგზავნათ ფრონტებზე მეზრძოლი ჯარისკაცებისათვის საჩუქრები – თბილი ტანსაცმელი, თვითნაკეთი ხელთათმანები, შარფები, სვიტერები, კვების პროდუქტები: ხილი, ჩურჩხელები, გოზინაყი და ა.შ. ამ პატრიოტული ინიციატივის სათავეში საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი იდგა, რომელმაც 1941 წლის 7 სექტემბერს დაამტკიცა დადგენილება „წითელი არმიისათვის თბილი ტანსაცმელისა და თეთრეული შეგროვების შესახებ“. ამ დადგენილების რეალიზებაზე პასუხისმგებელი იყო საქ. კპ (ბ) ცეკას მდივანი შეროზია. დადგენილების გამოქვეყნებისთანავე ის სამოქმედოდ გაიხადეს პარტიულმა და კომკავშირელმა აქტივისტებმა, რომლებიც მოსახლეობაში ფართო საგანმანათლებლო და პოლიტ-აღმზრდელობით მუშაობას ეწეოდნენ.

ამ თაოსნობამ საყოველთაოდ მოიცვა ქართული სოფელი. სოფელ დიღმის კოლმეურნეებმა უკვე 1941 წლის სექტემბრის დასაწყისში ფრონტზე გააგზავნეს საკარმიდამო ნაკვეთებზე მონეული 500 კილოგრამი ყურძენი, 6000 კილოგრამი ხილი და ბოსტნეული.⁹

ლანჩხუთის რაიონშიც ამ გადაწყვეტილებას გულისხმიერად მოეკიდნენ და უკვე 1942 წლის თებერვლამდე რაიონის კოლმეურნეობებმა, მთელმა მოსახლეობამ სამი მილიონი მანეთის თბილი თეთრეული და სხვა ტანსაცმელი შეაგროვა. დოკუმენტურად დასტურდება, რომ ლანჩხუთელებმა ფრონტებზე გააგზავნეს: 1 444 ცალი „ტელეგრაფიკა“, 1 036 წყვილი საცვალი, 1 436 წყვილი ნაბდისა და ქერის ჩექმა, 1 825 ცალი ტილოს პირსახოცი, 311 ცალი დაბამბული შარვალი, 152 წყვილი ხელთათმანი, 319 წყვილი წინდა, 100 ცალი ტყავის ქურქი, 103 ცალი თბილისი ქუდი და ა.შ.¹⁰

ისტორია, თბ., 1981, გვ.61-62.

8 ვადაჭკორია შ., დასახ. ნაშრომი, გვ. 112.

9 სონლულაშვილი ა., სოფელი დიღომი საუკუნეთა კვალდაკვალ, თბ., 1995, გვ. 67.

10 ვადაჭკორია შ., დასახ. ნაშრომი, გვ. 115.

მსგავსი მაგალითი ძალიან ბევრია. ნოდარ დუმბაძემ თავის გენიალურ „მე, ბებია, ილიკო და ილარიონში“ ჩინებულად წარმოსახა რიგითი გურული კოლმეურნის ბინაში ჩატარებული „სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის“ შემდეგ კოლმეურნეთა ქმედება წითელი არმიის ჯარისკაცებისათვის საჩუქრების შესაგროვებლად. იმედს გამოვთქვამ, რომ ეს პასაჟი გულწრფელი და რეალისტურია, ამიტომაც ისტორიკოსისათვის სანდო და მისაღები უნდა იყოს. შეიძლება ითქვას, რომ მთელი ხანგრძლივი ომის განმავლობაში არ შეწყვეტილა საქართველოდან ფრონტისათვის საჩუქრების, თბილი წინდების, ხილისა და ჩურჩხელების მიწოდება.

ასეთ „შინაურ საჩუქრებს“ დიდი სიხარული მოჰქონდა ფრონტზე, როგორც ქართველი, ისე არაქართველი მეზობლებისათვის, რადგან გრძობდნენ ხალხის მხარდაჭერასა და მზრუნველობას. მეტად საინტერესო ეპიზოდს აღწერს ცნობილი გენერალი, სტალინგრადის ომის მონაწილე ნიკოლოზ თავართქილაძე. სტალინგრადის გმირული ბრძოლის შემდეგ მასთან ამერიკელი გენერალი და ჟურნალისტი სტუმრობდნენ. გადანყდა ამერიკელებისათვის მეგობრული ვახშმის შეთავაზება, მით უფრო, რომ სამხედრო ნაწილში საქართველოდან გულუხვი ამანათები იყო მისული. სუფრის სიუხვითა და ეგზოტიკურობით აღფრთოვანებულმა ამერიკელმა გენერალმა იკითხა: „ერთი მითხარით, ბატონო გენერალო, ჩვენ ეხლა არაოფიციალურ შეხვედრაზე ვართ, მოდი გულახდილნი ვიყოთ, – იხუმრა თავის მხრივ ამერიკელმა, – საიდან გაჩნდა, აი ეს საჭმელები აქ, ფრონტის წინა ხაზზე? ეს ოჯახში დამზადებულსა ჰგავს, – თქვა ამერიკელმა და მიუთითა კავკასიურ საჭმელებზე, ჩურჩხელებზე და ხმელ ხილზე.

– ბატონო გენერალო, ჩვენი ხალხი გვანებიერებს ასე – საჩუქრებს გვიგზავნიან საქართველოდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, ყაზახეთიდან...“¹¹

მხედართუფროსის ეს მოგონება კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ქართველი მშრომელების უანგარო დახმარებას ფრონტისათვის უდიდესი მორალური და დიდ ფსიქოლოგიურ მნიშვნელობა ჰქონდა და ამ საქმიანობისადმი, ჩვენი აზრით, ზედმეტად ჰიპერკრიტიკული დამოკიდებულება დაუშვებელი და მიუღებელია.

ფრონტისადმი დახმარების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება გახდა ომის წლებში ფრონტზე წასული ჯარისკაცების ოჯახებისადმი მზრუნველობა, შეძლებისამებრ, ქმედითი დახმარების აღმოჩენა, სურსათ-სანოვაგით უზრუნველყოფა. დაობლებული ოჯახებისათვის მორალური და მატერიალური თანადგომის დადასტურება. ეს თაოსნობა საქართველოს თითქმის ყველა კოლმეურნეობაში გავრცელდა, საიდანაც ფრონტებზე გაემგზავრნენ წვევამდელები თუ რეზერვისტები. ეს თაოსნობა ითვალისწინებდა ოჯახის მარჩენალის ფრონტზე ყოფნის პერიოდში მისი ოჯახისათვის შეძლებისამებრ მზრუნველობას, კოლმეურნის ოჯახთან კონტაქტებს, მათი საყოფაცხოვრებო პრობლემების დადგენას და მათ ლიკვიდაციას. პროფესორ ავთანდილ სონლულაშვილის კვლევებით, სოფელ დიდმის კოლმეურნეობაში 22 ფრონტელის ოჯახმა მიიღო დახმარება შემთხვევით – ზამთრისათვის.¹²

11 თავართქილაძე ნ., იყო ასეთი დღეები, თბ., 1959, გვ. 80.

12 სონლულაშვილი ა., დასახ. ნაშრომი, გვ. 67.

მკვლევარი ა. ჩარკვიანი დადებითად მიიჩნევს ცაგერის რაიონის კოლმეურნეობა „პროგრესის“ ხელმძღვანელობის საქმიანობას, სოფლიდან ფრონტზე წასული მებრძოლების ოჯახებისათვის დახმარების ორგანიზებას. ის აღნიშნავს, რომ კოლმეურნეობიდან ფრონტზე წასული მებრძოლების ოჯახებს – მარგარიტა მდივანს, ნინა მდივანს, კალე გოგიძეს, საშა მუშკუდიანს და სხვებს საცხოვრებელი ბინები შეუკეთეს, ზამთრისათვის სათბობის მობილიზებაში დაეხმარნენ და ა.შ.¹³

ლანჩხუთის რაიონში ამ თაოსნობას ხელმძღვანელობდა პარტიის რაიონული კომიტეტი. პროფესორი შ. ვადაჭკორია აქვეყნებს რაიკომის დადგენილებას, სადაც ხაზგასმულია შემდეგი: „ყოველდღიურ მზრუნველობას სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო საჭიროების დასაკმაყოფილებლად უდიდესი სამხედრო-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს და იგი წითელ არმიასზე ჩვენი მზრუნველობის ნახევარს შეადგენს“. რაიონში დასახმარებლად აღრიცხვაზე აიყვანეს 2536 სამხედრო მოსამსახურის ოჯახი. მომავალ წელს მათი რიცხვი თითქმის გაორმაგდა. დახმარების პაკეტი გულისხმობდა საჭირო ფინანსურ სუბსიდიებს (პენსიები, ფინანსური სარგობები). როგორც დოკუმენტურად მტკიცდება, მარტო ლანჩხუთის რაიონში 1943 წლის დასასრულს 199 850 მანეთის დახმარება მიიღო 2346 ოჯახმა, ხოლო პენსიას იღებდა 175 ოჯახი, რაშიც გაიხარჯა 15 783 მანეთი.¹⁴ მსგავსი ფაქტები ერთეული არ არის.

საქართველოს ბევრ კოლმეურნეობაში გავრცელდა სპეციალურად ფრონტის საჭიროებისათვის მიწის განსაკუთრებული ფართობების გამოყოფის, მათი საგულდაგულო დამუშავებისა და მოწეული ჭირნახულის ფრონტზე გაგზავნის პატრიოტული ინიციატივა. ასეთი თაოსნობაც ბევრია – ზემო ქედის კოლმეურნეობაში ამ მიზნით გამოყვეს სახნავ-სათესის გარკვეული რაოდენობა, საიდანაც აღებულ მოსავალს სისტემატურად აგზავნიდნენ ფრონტზე.¹⁵

ო. მანჯგალაძე თავის საკანდიდატო დისერტაციაში წერს, რომ ამ ამოცანის შესასრულებლად საქართველოში მარტო 1941 წელა 2 ათასი ჰექტარზე დაითესა საშემოდგომო ხორბალი. მკვლევარი ჩამოთვლის კონკრეტულ რაიონებს, სადაც კოლმეურნეებმა განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი: წითელ წყაროს რაიონში ამ მიზნით დაითესა 350 ჰა, თეთრინწყაროს რაიონში – 200 ჰა, ლაგოდეხის რაიონში – 145 ჰექტარი, გურჯაანის რაიონში – 45 ჰა. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქის კოლმეურნეებმა თავდაცვის ფონდისათვის სპეციალურად დათესეს 584 ჰა. როგორც მკვლევარი გვიმტკიცებს, ეს იყო გამორჩეულად მაღალი ხარისხის მიწის ნაკვეთები, რომლებსაც კოლმეურნეები განსაკუთრებით მზრუნველობდნენ და მიღებული მთელი მოსავალი ფრონტზე იგზავნებოდა.

უდავოდ, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და, როგორც დასტურდება, პარტიული ხელმძღვანელებისაგან მოდიოდა დავალება-მოწოდებაც, რომ არაოკუპირებული საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელები დახმარებოდნენ დროებით ოკუპირებულ საბჭოთა რესპუბლიკების კოლმეურნეებს მეურნეობის აღდგენის პროცესში, მიეწოდებინათ მათთვის სათესლე ხორბალი, საქონელი,

13 ჩარკვიანი ა., დასახ. ნაშრომი, გვ. 24.

14 ვადაჭკორია შ., დასახ. ნაშრომი, გვ. 116.

15 ქვათაძე ე., საბახტარაშვილი ვ., დასახ. ნაშრომი, გვ. 60.

ფრინველი, სასოფლო ინვენტარი. 1943 წლის 23 იანვარს საბჭოთა მთავრობამ და საკ. კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს ერთობლივი დადგენილება, რომლის მიზანი იყო, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნებოდა, დახმარებოდნენ გერმანელების ოკუპაციისაგან განთავისუფლებულ რაიონებს, როგორც მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობის სექტორის აღდგენაში, გამოეყოთ ამ მიზნით რესურსები, ფინანსები. დადგენილება საგანგებოდ გამოყოფდა სასოფლო-სამეურნეო სექტორს, რადგან ოკუპირებულ რაიონებში განსაკუთრებით დაზარალებულნი კოლმეურნეობები – მათ დაკარგეს ქონების მნიშვნელოვანი ნაწილი, ბევრ კოლმეურნეობას თუ საბჭოთა მეურნეობას ცხოვრება თავიდან უნდა დაეწყო.

ეს, თავისი მნიშვნელობით უაღრესად საჭირო და გადაუდებელი დადგენილება, საკმაოდ ძნელი შესასრულებელი აღმოჩნდა და ის ადგილობრივი მატერიალური რესურსების უკიდურეს მობილიზებას საჭიროებდა, რადგან ომის წლებში ყველა რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო ცხოვრება მაინც გამოირჩეოდა სერიოზული პრობლემებით, დაძაბული შრომითი გრაფიკით, გადაუწყვეტი დეფიციტით.

მიუხედავად სიძნელებისა, როგორც ჩანს, საქართველოს კოლმეურნეობმა მაინც გაიღეს მნიშვნელოვანი მატერიალური რესურსი, რომ დახმარებოდნენ თავის ნაცნობ თუ უცნობ მეგობრებს აღედგინათ სოფლის მეურნეობა გამანადგურებელი ომის შემდეგ. არის ცნობა, რომ ზემოქედებმა განთავისუფლებული რაიონის კოლმეურნეების დასახმარებლად გამოჰყვეს 50 სული ცხვარი და 10 ძროხა.

ლანჩხუთელმა კოლმეურნეობმა 50 ჰექტარზე სხვადასხვა მარცვლეული კულტურა დათესეს და მიღებული მოსავალი მთლიანად გაუგზავნეს ოკუპაციისაგან განთავისუფლებულ რაიონებს.¹⁶

აფხაზეთის კოლმეურნეობმა ოკუპაციისაგან განთავისუფლებული რაიონებისათვის არა მარტო დათესეს გასაგზავნი ხორბალი 314, 2 ჰექტარზე, არამედ შეარჩიეს და გააგზავნეს 124 ძროხა, 251 თხა, 412 ცხვარი, 67 ღორი.¹⁷ იგივე წყარო მიუთითებს, რომ 1944 წელს აჭარელმა კოლმეურნეობმა, განსაკუთრებით ხულოსა და ქედის რაიონებიდან, დომბასელ მშრომელებს გაუგზავნეს 5 ტონა კარტოფილი, 4 000 კგ. თამბაქო, 2,5 ტონა ხილი, 800 კგ. კაკალი.

მკვლევარი ო. მანჯგალაძე აქვეყნებს თითქმის სრულყოფილ სიას, თუ რომელი სასოფლო-სამეურნეო რაიონი როდის და რამდენს უგზავნიდა ოკუპაციისაგან განთავისუფლებულ რაიონებს. მართალია, რაოდენობა ზოგჯერ შეიძლება ერთობ მოკრძალებულიც კი იყო, მაგრამ ომის მძიმე წლებშიც საქართველოს სოფელიც უამრავ პრობლემასა და დეფიციტს განიცდიდა და მიუხედავად ამისა, განეული მეგობრული დახმარება – უდავოდ ღირსეულია და დასაფასებელი. სწორედ ზემოთ დასახელებულ სიაში მოტანილია ციფრები, თუ როგორ დაეხმარა განთავისუფლებულ რაიონებს ასპინძის რაიონის ხიზაბავრას კოლმეურნეობა, რომელმაც ახლადგანთავისუფლებულ რაიონებში გააგზავნა 3 მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, 25 ცხვარი, 3 ღორი. სულ ასპინძის რაიონმა 1943 წელს რუს,

16 ვადაჭკორია შ., დასახ. ნაშრომი, გვ. 120.

17 საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 288, საქ. 4560, ფურც. 3.

უკრაინელ, ბელორუსს კოლმეურნეებს გაუგზავნა 134 მსხვილფეხა რქოსანი, 293 ცხვარი, 4 ღორი.¹⁸

ო. მანჯგალაძის მიერ მოტანილ სიაში მითითებულია, რომ გორის რაიონის სოფელ კარალეთის კოლმეურნეობამ დახმარების ფონდში გააგზავნა: 2 ღორი, 5 ცხვარი, 50 ქათამი. ყველა მსგავს მაგალითს, რა თქმა უნდა, ვერ შევეხებით, მაგრამ ოფიციალურად დასტურდება, რომ 1944 წელს მარტო კრასნოდარის მხარის კოლმეურნეების დასახმარებლად საქართველოს კოლმეურნეებმა გააგზავნეს 200 ბულა-მწარმოებელი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეებმა ჩრდილო ოსეთში გაუგზავნეს 29 ბულა-მწარმოებელი და ა.შ.

საყურადღებოა, რომ მახარაძის რაიონის სოფელ შრომას კოლმეურნეებმა, სანამ უკრაინელ მეგობრებს მეგობრულ დახმარებას გენიჩესკში გაუგზავნიდნენ, მოანწყვეს დიდი მიტინგი, რომლის რეპორტაჟი დაბეჭდეს როგორც ქართულმა, ისე უკრაინულმა გაზეთებმა. ქართველი კოლმეურნეები მიმართავდნენ უკრაინელ მეგობრებს: „... ჩვენ ვიცით, რომ თქვენი კოლმეურნეობა, თქვენი სახლები დანგრეულია, ქონება გავერანებული მუხთალი მტრის მიერ. ჩვენ გადავწყვიტეთ შეძლებისამებრ დაგეხმაროთ დანგრეული მეურნეობის აღდგენაში“.¹⁹

როგორც ჩანს, ინფორმაცია სოფელ შრომაში გამართულ მიტინგსა და ქართველი კოლმეურნეების მიერ უკრაინაში გაგზავნილ დახმარებაზე წაიკითხა ფრონტზე მყოფმა უკრაინელმა მებრძოლმა გრიგორი ლინჩეკომ, რომელმაც ასეთი შინაარსის წერილი გამოუგზავნა გაზეთ „ზარია ვოსტოკას“: „როცა გაზეთში წავიკითხე თქვენი წერილი უკრაინელი კოლმეურნეებისადმი, მე დამეუფლა გრძნობა აღელვებისა და სიამაყისა. ჩემთვის ისევე ძვირფასია მზიური საქართველო, როგორც მშობლიური უკრაინა, მე ისევე ვაფასებ დიდ პოეტს შოთა რუსთაველს, როგორც მშობლიურ ტარას შევჩენკოს... უკრაინა არასოდეს დაივიწყებს თქვენს სიტბოსა და მეგობრულ დახმარებას...“

ეს ჭეშმარიტი მეგობრობითა და ურთიერთპატივისცემით გამთბარი სიტყვებია და მათ გულწრფელობაში ეჭვის შეტანა, მხოლოდ საბჭოთა პროპაგანდის საქმიანობად მისი წარმოდგენა – დაუშვებელი მკრეხელობაა.

გერმანელთა ოკუპაციისაგან განთავისუფლებული რაიონების კოლმეურნეებს, უანგარო შეწევნის გარდა, საქართველოდან მიწოდებოდათ სხვა სახის დახმარებაც – საბჭოთა სახელწიფომ გამოყო გარკვეული თანხა, რომ რიგითი კოლმეურნეებისაგან შეეძინათ და განთავისუფლებულ რაიონებში გაეგზავნათ როგორც მსხვილფეხა, ისე წვრილფეხა საქონელი. საქართველოს მიწსახკომომმა 1944 წლის 4 იანვარს გამოსცა სპეციალური ბრძანება „გერმანული ოკუპაციისაგან განთავისუფლებული რაიონების კოლმეურნეობებზე მისასყიდი საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში და კოლმეურნეებისაგან საქონლის შესყიდვის ორგანიზაციის შესახებ“. შემუშავდა სპეციალური გეგმა და დაიწეს ინდივიდუალური წესით კოლმეურნეებისაგან საქონლის შექცენა და განთავისუფლებულ რაიონებში მათი გაგზავნა.

18 Манджгаладзе О., Помощь Грузинской ССР в восстановлении нарушенного хозяйства освобожденных фашистской оккупации районов в годы Великой Отечественной Войны Советского Союза, Диссертационная работа на соискание ученой степени кандидата исторических наук (На правах рукописи). Тб., 1989, с. 124.

19 Газ. „Заря Востока“, 11 ноября, 1944 г.

ბრძანების რეალიზების პროცესში სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცდა პასუხისმგებელი პირები და ვეტერინართა ჯგუფები – ჯანმრთელი საქონლის შესარჩევად და სავეტერინარო ზედამხედველობის განსახორციელებლად.

არის ცნობა, რომ ამ ბრძანების სარეალიზაციოდ ლანჩხუთელმა კოლმეურნეებმა უზრუნველყვეს საბჭოთა კავშირის დასავლეთ რაიონებში ყოველწლიურად 350 სული პირუტყვის შესყიდვა, ადგილზე ჩაყვანა და ადგილზე კვალიფიციური სასოფლო-სამეურნეო დარგის სპეციალისტების მივლინებაც.²⁰

საქართველომ განთავისუფლებული რაიონების კოლმეურნეებისათვის დასახმარებლად ივალდებულა 15 ათასი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, 300 ცხენის, 5 ათასი ცხვრისა და თხის, 3 ათასი ღორის, 3 ათასი ხარის შეძენა და დანიშნულების ადგილებზე გაგზავნა. ნიშანდობლივია, რომ ამ დიდი დავალების აღსრულება საქართველოს კოლმეურნეობებს დაევალათ. სწორედ კოლმეურნეობებში უნდა შეესყიდათ 8 660 მსხვილფეხა რქოსანი საქონელი, მათ შორის 1800 ძროხა, 2 ათასი ცხვარი და თხა, 3 ათასი ღორი და ა.შ.²¹

ამრიგად, წარმოდგენილი დოკუმენტური მასალა და რიგი ქართველი ისტორიკოსის ნაშრომი დაბეჯითებით მიუთითებს, რომ საქართველოს კოლმეურნეებმა II მსოფლიო ომის წლებში გაიღეს უდიდესი მატერიალური რესურსი, გამოიჩინეს ადამიანური გულმონწყალება და ქველმოქმედება ომისაგან საშინლად დაზარალებული უკრაინის, ბელორუსიის, ჩრდილოეთ კავკასიის კოლმეურნეების მიმართ, რაც თანამედროვე მსოფლმხედველობითი ცვლილებების მიუხედავად, მაინც შესაქები და დასაფასებელია. და რაც მთავარია, ამ დახმარებამ, გარკვეულწილად, შეიტანა თავისი მოკრძალებული წვლილი ანტიფაშისტური კოალიციის ქვეყნების ძალისხმევაში ფაშიზმის საფრთხის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის დროს.

Alexander Daushvili

The Assistance of the Georgian Collective Farmers to the Fronts and the Areas Freed from the Occupiers

Summary

Documentary material presented in the article and excerpts from the scientific works of a number of Georgian historians indicate that during World War II, the Georgian collective farmers provided the greatest material resources, showed human kindness and charity towards the collective farmers of Ukraine, Belarus, and the North Caucasus, who were terribly affected by the war. Despite the changes in modern Georgian historiography and the worldview of society as a whole, this fact is still commendable and appreciated. Most importantly, this aid, to some extent, made its modest contribution to the joint efforts of the countries of the anti-fascist coalition against the threat of fascism.

20 ვადაჭკორია შ., დასახ. ნაშრომი, გვ. 120.

21 Манджгаладзе О., დასახ. ნაშრომი, გვ.135.

ქართული ემიგრაციის პირველი ტალღის განსახლება და საქმიანობა საფრანგეთში (1921-1939)

პირველმა მსოფლიო ომმა, რუსეთში ბოლშევიკურმა გადატრიალებამ, რუსეთის მიერ შუა აზიისა და სამხრეთ კავკასიის ოკუპაციამ ლტოლვილთა საკითხი ერთა ლიგის წინაშე მთელი სიმწვავით დასვა. ამ პრობლემის გადასაწყვეტად 1921 წლის ზაფხულში ჟენევის კონფერენციაზე შეიქმნა „ლტოლვილთა კომისარიატი“, დაწესდა სპეციალური ე. წ. „ნანსენის პასპორტები“ და ერთი ქვეყნიდან მეორეში სამუშაოდ გადასასვლელად თანხა გამოიყო. „შრომის საერთაშორისო ბიურომ“ სამსახური ბევრს უშოვა.¹ 1921 წლის საქართველოს ოკუპაციის გამო სტამბოლში თავმოყრილ ქართველ ლტოლვილებისათვის უმუშევრობა მაინც პრობლემად რჩებოდა, რადგან ლტოლვილთა შორის შავი მუშები ცოტანი იყვნენ. 400 ქართველის დახმარება ითავეს ერთა ლიგამ, „ერთა ლიგის ლტოლვილთა დამხმარე ამერიკულმა კომიტეტმა“ კომისარ ჯინსონის მეთაურობით და „შრომის საერთაშორისო ბიურომ“ ალბერტ ტომასის ხელმძღვანელობით. 1921 წლის ბოლოს საქართველოს საელჩომ სამოქალაქო ომის ალში გახვეული სტამბოლიდან ევროპაში ლტოლვილთა გაყვანა და კონტრაქტებით ევროპის ქვეყნებში დასაქმება მათი საშუალებით დაიწყო.² საკონსულოსა და აკაკი ხოშტარიას „თურქულ-სპარსული ბანკის“ თანამშრომელთა გარდა, სტამბოლსა და თურქეთის სხვა ქალაქებში ლტოლვილი ქართველები კიდევ მრავლად დარჩნენ.³

მთავრობის, დამფუძნებელი კრების წევრები და პოლიტიკოსთა დიდი ნაწილი საფრანგეთმა მიიღო, 80-მდე სამხედრო, ოჯახებით, მათ შორის 30 იუნკერი – პოლონეთმა. 1922 წელს მათ დაემატა საბერძნეთის სამხედრო სკოლაში გაგზავნილი 20 იუნკერი, რომლებიც საბერძნეთში სამხედრო გადატრიალების შემდეგ პოლონეთში გადავიდნენ.⁴

საქართველოში საოკუპაციო რეჟიმის დამყარების გამო უკან ველარ დაბრუნდნენ დიპლომატები, საელჩოებისა და საკონსულოების წევრები, ეკონომიკური მრჩეველები, „რუსეთ-სპარსეთის სანავთობო ამხანაგობისა“ და შავი ქვის მრეწველი საზოგადოების „ჩემოს“ თანამშრომლები, დამოუკიდებლობის დროს მთავრობის მიერ უცხოეთში გაგზავნილი თუ საკუთარი ინიციატივით სასწავლებლად ან სტაჟირებისათვის წასული სტუდენტები, ხელოვანები და სხვადასხვა დარგის სპეციალისტები. 1922 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ, საერთაშორისო საზოგადოების ზენოლით, მეტეხის ციხიდან 62 ინტელიგენტი და პოლიტიკური პატიმარი გაათავისუფლა და საზღვარგარეთ გაასახლა.⁵ ციხიდან გათავი-

1 უცხოეთის მიმოხილვა. საერთაშორისო შრომის ბიურო. ჟურნ. „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, 1926, N7, გვ. 4.

2 ლტოლვილთა პრობლემები, ჟურნ. „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, 1929, N44, გვ. 7-9.

3 საჭირობოროტო საკითხები (ემიგრაციის საყურადღებოდ), ჟურნ. „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, 1930, N54, გვ. 9-11.

4 მათიკაშვილი ნ., კვალიაშვილი მ., იუნკრები, თბ. 1990, გვ. 34.

5 ნოზაძე ვ., საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებიდან ქართველ საზოგადო მოღვაწეთა გაძევება, ჟურნ. „კავკასიონი“, პარიზი, 1972-73, N16-17, გვ. 57-94.

სუფლებულ პატიმართა ნაწილი, ანტისაბჭოთა პარტიათა თვალსაჩინო წევრები – 30-მდე კაცი საბჭოთა მთავრობამ 1923 წლის 10 თებერვალს კვლავ დააპატიმრა და საზღვარგარეთ გაასახლა.⁶ ისინი, ვინც გადაურჩნენ საზღვარგარეთ გასახლებას, დახვრეტას, დამკომის სამხედრო ცენტრის განადგურების შემდეგ, უცხოეთში გაიხიზნენ. ისინი ძირითადად საფრანგეთმა, გერმანიამ და ჩეხოსლოვაკიამ შეიფარა.

1924 წლის აგვისტოში ქართველ პატრიოტთა მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მოწყობილი აჯანყების დამარცხებისა და რეპრესიების გამო თურქეთს, ირანს და მანჯურიას მეორე დიდი ნაკადი მიანყდა. ხოფადან სტამბოლში ლტოლვილების მიღებაზე ზრუნავდნენ ქართველ კათოლიკეთა მონასტერი, სტამბოლის ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე, ლტოლვილთა კომიტეტი, საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები და საკონსულოს თანამშრომლები, რომლებიც ვიზების მიღების შემდეგ მათ ევროპაში გზავნიდნენ.⁷ კოლექტივიზაციამ და მიწების ჩამორთმევამ 1929-1930 წლებში მესხეთიდან და საქართველოს სხვა კუთხეებიდან მასიური ემიგრაცია გამოიწვია.⁸ ისინი ჩაკეტილ საზღვარზე საიდუმლოდ გადასვლას ახერხებდნენ.

საზღვარგარეთ წასვლა ძნელად, თუმცა ოფიციალური გზითაც შეიძლებოდა – ოფიციალური ან სამუშაო ვიზიტით, სასწავლებლად, სამკურნალოდ და ა.შ. წასულთა ნაწილი შემდეგ ემიგრაციაში რჩებოდა. ასე რომ, 1921-1930 წლებში ახალი რეჟიმის გამო სხვადასხვა ასაკის, პროფესიისა და პარტიული კუთვნილების მრავალმა ქართველმა განსხვავებული გზებით დატოვა სამშობლო და საქართველოს ოკუპაციამდე წასულ და უცხოეთის ქვეყნებში გაფანტულ ემიგრაციას შეუერთდა. ქართული ემიგრაციის პირველ ტალღას სწორედ ისინი შეადგენენ.

ქართული ემიგრაციის პირველი ტალღის განსახლების არეალი მეორე მსოფლიო ომამდე სამ კონტინენტს მოიცავდა და სოციალური თუ პროფესიული შემადგენლობით ძალზე ჭრელი იყო. პროფესიული წარმატების მიღწევა რთული აღმოჩნდა, რასაც ხელს უშლიდა ისიც, რომ ლტოლვილთა უმეტესობამ დაიტოვა საქართველოს პასპორტი, მოქალაქეობა და არ მილო იმ ქვეყნების ქვემეგრდობა, რომელშიც ცხოვრება მოუწიათ.

ევროპაში ქართველ ემიგრანტთა ყველაზე დიდი რიცხვი საფრანგეთში აღმოჩნდა. ისინი მთელი ქვეყნის ინდუსტრიულ რეგიონებში იყვნენ მიმოფანტული. სადაც კომპაქტურად ცხოვრობდნენ, ყველგან შექმნეს ქართული სათვისტომოები და ასოციაციები. ურთიერთობა დაამყარეს ერთმანეთთან და სხვა ქვეყნებში მცხოვრებ ქართველებთან.

პარიზში სათვისტომოში 1922-1935 წლებში 700-დან 1000-მდე ქართველი იყო გაერთიანებული. მეორე მსოფლიო ომამდე სათვისტომოს ხელმძღვანელობდნენ ეროვნულ-დემოკრატი გიორგი ჟურული (1922-1926) და ექიმი ვახტანგ ლამბაშიძე (1927-1946).

6 ქავთარაძე მ., 1923 წ. ციხიდან გასახლება. სპირიდონ კედია, ჟურნ. „ივერია“, პარიზი, 1979, N22 გვ. 1.

7 ამირეჯიბი შ., მოგონებანი, ემიგრაციაში, ტ. II, თბ. 1998, გვ. 173-182.

8 შოთა ბერეჟიანის მოგონებები – რუსუდან დაუშვილის პუბლიკაცია. ჟურნ. „ქართული ემიგრაცია“, N5 (8), 2018-2019, გვ. 118.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ საფრანგეთს მუშახელი აკლდა და ამიტომ ფრანგები უცხოელებს დაუბრკოლებლად უშვებდნენ ქვეყანაში. თუმცა ომის შემდგომ მძიმე წლებში პროფესიის მიხედვით ყველას დაკმაყოფილება სასურველი სამუშაოთი შეუძლებელი აღმოჩნდა. ქართველი მამაკაცები ფიზიკურად შრომობდნენ, მუშაობდნენ მაღაროებში, რკინიგზაზე, პარიზში „რიპოლის საღებავების“, „პეტი პარის“ მედიკამენტების, საკონდიტრო, გრანვილში „დიორის“ ქიმიურ, ლოტარინგიაში „კნუტარის“ მეტეროლოგიურ და სხვა პროფილის ფაბრიკა-ქარხნებში, ასრულებდნენ დღიურ ან შემთხვევით სამუშაოებს, მუშაობდნენ ტაქსის, კერძო პირების ან დაწესებულებათა მძღოლებად. იყვნენ მეზღვეები, სასტუმროებში, ოჯახებში დამლაგებლები, მომსახურეები, მაღაზიებში პროდუქტების დამხარისხებლები, გამყიდველები და ა. შ. ნაწილმა წვრილი ბიზნესიც წამოიწყო: გახსნეს სასადილოები, ლამის რესტორნები, წვრილმანი პროდუქტებისა და ნივთების დუქნები, სამაწვინეები. საქართველოს ყოფილი მთავარსარდალი გიორგი კვინიტაძე პირველი იყო, ვინც ხელი მანვნის დამზადებას მიჰყვო.⁹ მას შემდეგ ბევრმა მიბაძა. პატარა სამაწვინეებში ყველსაც ამზადებდნენ. მართალია, სამაწვინეებს დიდი ფული არ მოჰქონდა, მაგრამ გაჭირვებული ქართული ემიგრაციისათვის ეს მაინც ხელსაყრელი ბიზნესი აღმოჩნდა.

ქართველთა პატარა ჯგუფი დასაქმდა გიორგი მაჩაბლის მიერ ამერიკაში დაარსებული პარფიუმერული ფირმის „პრინცი მაჩაბლის“ მაღაზიაში პარიზში და წარმოების ფრანგულ ფილიალში პარიზთან ახლოს სოფელ კლამარში, რომელსაც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი სპირიდონ კედია ხელმძღვანელობდა.¹⁰

ქართველი ქალები ყოველდღიური საზრუნავისა და საოჯახო საქმეების შემდეგ გვიან ღამემდე მუშაობდნენ სახლში მოტანილ შეკვეთებზე – ქსოვდნენ, კერავდნენ, ქარგავდნენ და ოჯახებს ასე ეხმარებოდნენ. პირველი ასეთი შეკვეთები მათ სტამბოლში მიიღეს, სადაც პირველ მსოფლიო ომში ოთხი გამარჯვებული ქვეყნის – ინგლის-საფრანგეთ-იტალია-იაპონიის კომისრები და მისიები წარმართავდნენ დამარცხებული ოსმალეთის უკვე დაშლილი იმპერიის საქმეებს. სწორედ ამ მისიებში მომსახურეთა ცოლებისათვის კერავდნენ და ქარგავდნენ მაქმანებიან თეთრეულს, რაც შემდეგ ევროპაშიც გააგრძელეს.¹¹ ქართველმა ემიგრანტმა ქალებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ახალფენადგმულ ფრანგულ სამოდელო ბიზნესში, როგორც მოდელებმა და მოდელიორებმა.

ლტოლვილთა უმეტესობა პარიზსა და მის შემოგარენში – ლინასში, არპაჟონში, შატუში, ბიანკურში, დაბა ლევილში დასახლდა. მთავრობისა და პოლიტიკოსთა ნაწილი 1922 წელს შექმნილ ლევილის მამულში არსებულ რამდენიმე ნაგებობაში და ორსართულიან შატოში დაბინავდა, თავს პოლონეთის მთავრობის სუბსიდიითა და მიწათმოქმედებით ირჩენდა. შატოსა და დაბაში მცხოვრებ ემიგრანტთა ნაწილს პირადი მოხმარების გარდა, კომისიონერებისათვის საპიკულე კიტრი, გოგრა, ჟოლო, მოცხარი, ბალი და სხვა ხილი თუ ბალჩეული მოჰყავდა.

9 მაღლაკელიძე შ., მოგონებები, თბ., 2012, გვ. 133-124.

10 ჯანელიძე ო., სპირიდონ კედია, პოლიტიკური პორტრეტი, თბ., 2002, გვ. 14.

11 დაუშვილი რ., ინტერვიუ ზეინაბ კედიასთან: „ფიქრებდით, რომ ასეთი დღე დადგებოდა“, გაზ. „თბილისი“, 2004, N93, გვ. 6-7.

კომისიონერები შემდეგ მათ არპაჟონისა და მონლერის ბაზარში ყიდდნენ და საფასურს ქართველებს მხოლოდ სეზონის ბოლოს უხდიდნენ.¹²

ლტოლვილთა უმეტესობა ნაქირავებ ბინებში ან იაფფასიან სასტუმროების ნომრებში ცხოვრობდა, ამიტომ ყველა ცდილობდა ლევილის შატოში მოხვედრას, თუმცა იქ თავისუფალი ოთახის დაკავება მობინადრეს გარდაცვალების ან აბონდანის მოხუცთა სახლში გადასვლისა და საქართველოს ყოფილი მთავრობის თანხმობის შემდეგ იყო შესაძლებელი.¹³ საკუთარი სახლის ან ბინის შეძენა ძალიან ცოტამ თუ მოახერხა. გარდაცვლილებისათვის განსასვენებლად ადგილები შეიძინეს მონბელიარის, აბონდანის, ასევე ლევილის სასაფლაოზე, სადაც 1930-იანი წლების ბოლოს გადაასვენეს სხვადასხვა სასაფლაოებზე დაკრძალული ქართველები.

პარიზის შემდეგ ყველაზე მეტი ქართველი ფრანშ-კონტში – დუს დეპარტამენტში ცხოვრობდა – სოშო-ოდენკურში და მის შემოგარენში (მონბელიარი, აბონდანი, ვალენტინე). მამაკაცთა უმეტესობა საავტომობილო სფეროში – „პეჟოს“, „სიტროენისა“ და „ფორდის“ ფირმის საფრანგეთის განყოფილება „სიმკა-კრეისლერის“ ქარხნებში კონტრაქტებით მუშაობდა. 1920-იან წლებში ძალიან გაიზარდა მოთხოვნილება და შეკვეთები მანქანებზე, განსაკუთრებით „პეჟოზე“, რომელსაც ქარხნები ჰქონდა ოდენკურში, სოშოში, შალინკურში, ბოლიოში, პერ-ბლანში, შესაბამისად, გაიზარდა მოთხოვნა მუშახელზეც.¹⁴

ოდენკურში „პეჟოს“ გარდა „სიტროენის“ ქარხანაც იყო. მაგრამ ქართველებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა „პეჟოს“ ფირმა. მის მფლობელ პეჟოსთან, ქართველ ემიგრანტებს, ქაქუცა ჩოლოყაშვილის თხოვნით, თელიკო ნიკოლაძის მეუღლემ, პოლკოვნიკმა ლუი კოკემ უშუამდგომლა. 1924 წლის ბოლოს შეფიცულების ერთი ნაწილი, – 20 კაცი გრანვილში, ლა-მანშის სრუტის მახლობლად მდებარე „დიორის“ ქიმიურ საწარმოში გაგზავნეს სამუშაოდ. ქარხანაში მძიმე შრომითი პირობები იყო. მუშაობდნენ კვირაში 6 დღეს. ყველანი ერთ პანსიონში ცხოვრობდნენ და მათი ხელფასი ძლივს ფარავდა პანსიონისა და ჭამა-სმის ხარჯებს. ქაქუცას თხოვნით, კოკემ შეფიცულები „პეჟოს“ ქარხანაში მოაწყო, სადაც „დიორის“ ქარხანაზე უკეთესი პირობები და ანაზღაურება იყო. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩმა საფრანგეთში, მერე კი სრულუფლებიანმა მინისტრმა აკაკი ჩხენკელმა ქაქუცას სთხოვა, რომ სხვებიც მოეწყო ქარხანაში, ჩოლოყაშვილმაც შეასრულა თხოვნა. სანამ შეფიცულები დიორის ქარხნიდან გათავისუფლდნენ და ოდენკურში ჩავიდნენ, სოციალ-დემოკრატების 50-კაციანმა ჯგუფმა მუშაობა დაიწყო პეჟოს საავტომობილო ქარხანაში.¹⁵ ქარხნის ადმინისტრაციასთან ქართველებს კარგი დამოკიდებულება ჰქონდათ ასოციაციის წყალობით, რომელსაც წლების განმავლობაში სოციალ-დემოკრატი ვლადიმერ ბაქრაძე ხელმძღვანელობდა და რომელიც ქართველებს სამუშაოზე მონყობაში ეხმარებოდა. მოგვიანებით ასოციაციამ

12 ხაბულიანი ვ., უსამშობლოდ დარჩენილი ქართველები, თბ., 2013, გვ. 52.

13 იქვე, გვ. 68-71.

14 შოთა ბერეჟიანის მოგონებები – რუსუდან დაუშვილის პუბლიკაცია, ჟურნ. „ქართული ემიგრაცია“, N5 (8), 2018-2019, გვ. 118.

15 სულხანიშვილი ალ., მოგონებანი შეფიცულთა რაზმზე, 1922-1924, სან-ფრანცისკო, 1981, გვ. 5-6.

ოდენკურიდან 4 კილომეტრის დაშორებით, სოშოში გადაინაცვლა, სადაც პეჟომ ახალი ქარხნები გახსნა და ქართველი მუშები იქ გადაიყვანა. სოშო-ოდენკურში 60-მდე ქართველი მუშაობდა. პარტიული სიჭრელის მიუხედავად, მათ გაერთიანება შეძლეს; ფული შეაგროვეს, ნაწილი ისესხეს, სახლი შეიძინეს, გაადიდეს და გაანყვეს. შენობას უცხოელებიც ქირაობდნენ კრებების, კონცერტების, მეჯლისების ჩასატარებლად. ააგეს ბიბლიოთეკა-სამკითხველოც, მონბელიარის სასაფლაოზე იყიდეს ადგილი და ქართველთა საფლავები ლამაზად მოანყვეს.¹⁶ ევროპულ ქართულ სათვისტომოებს შორის სამაგალითოდ სწორედ სოშო-ოდენკურის სათვისტომო ითვლებოდა.

სამწუხაროდ, შეფიცულებსა და სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფს შორის თავიდანვე ცუდი ურთიერთობა დამყარდა და ბოლოს კონფლიქტშიც გადაიზარდა, რის შედეგადაც დაიღუპა 3 ქართველი, 2 - ციხეში მოხვდა. საქმეში ადგილობრივი პოლიცია ჩაერია და შემდგომი გართულების თავიდან ასაცილებლად, ერთ-ერთი ჯგუფის ოდენკურიდან წასვლა მოითხოვა. ევგენი გეგეჭკორის და შალვა ამირეჯობის თხოვნით, უმცირესობაში მყოფმა რაზმელებმა ოდენკური დატოვეს.¹⁷ ამ ე. წ. „ოდენკურის საქმემ“ შეფიცულები უმუშევარი დატოვა. 1925 წელს ქაქუცამ მისი მეგობრის, პოლკოვნიკ ალექსანდრე (ალიკ) ამილახვრის ფინანსური მხარდაჭერით, პარიზთან ახლოს, ვიროფლეიში დიდი, ეზოიანი სახლი შეიძინა და შეფიცულები რომ არ დაფანტულიყვნენ, ერთად შეასახლა. თავად პარიზში დაბინავდა. მერე კი, როგორც ალექსანდრე კარგარეთელი წერს: „დაიწყო ჩვენი დუხჭირი ცხოვრება საფრანგეთში. გაჭირვებულებმა დავიწყეთ სამუშაოს ძებნა. ზოგი სხვა და სხვა საფრანგეთის ქალაქებში გავიფანტენით. „დუხჭირი“ ემიგრანტულ ყოფისგან თავდახსნის კარგი საშუალება აღმოჩნდა ტაქსი, რომელსაც საზიაროდ 2 კაცი ქირაობდა და ერთმანეთს ცვლიდნენ. თანხის დაგროვების მერე მანქანას გამოისყიდინდნენ და ერთად უვლიდნენ“.¹⁸

ქართველთა ნაწილი ნორმანდიაში, ორნის რკინის მაღაროებში მუშაობდა. იქაც შექმნეს სათვისტომო პოეტ სტეფანე კასრადის ხელმძღვანელობით.¹⁹ სამუშაო პირობები ორნშიც მძიმე იყო, თუმცა ანაზღაურება - მაღალი. აუცილებელი ერთწლიანი კონტრაქტის მერე ეს სამუშაო ბევრმა დატოვა. ნაწილი რამდენიმე წლით კიდევ დარჩა, სანამ 1929 წელს დაწყებულმა „დიდმა დეპრესიამ“ არ შეაჩერა მაღაროების მუშაობა.²⁰

ქართველები მცირე ჯგუფებად ცხოვრობდნენ საფრანგეთის სხვა სოფლებსა და ქალაქებშიც (ბორდო, ნანსი, კრეზო, ლიონი, ტულუზა, ბანიო, გრენობლი, პონტემარი, მარსელი) და სხვადასხვა საქმიანობას ეწეოდნენ.

ქართველ ემიგრანტთა დასაქმების კიდევ ერთი ასპარეზი „უცხოური ლეგიონი“ იყო. ჯერ კიდევ 1731 წელს საფრანგეთში დაარსებული ამ სახელწოდების სამხედრო შენაერთი მონაწილეობდა პლანეტის თითქმის ყველა მნიშვნელოვან სამხედრო ოპერაციაში. ლეგიონში იღებდნენ 18-40 წლის უცხოელ მამაკაცებს.

16 ქართული კოლონიები, სოშო-ოდენკური. ჟურნ. „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, 1934, N105, გვ. 10-13.

17 სულხანიშვილი ალ., მოგონებანი შეფიცულთა რაზმზე, გვ. 7-12.

18 კარგარეთელი ალ., ქაქუცა ჩოლოყაშვილი, პარიზი, 1981, გვ. 26-27.

19 ორნის რკინის მაღაროები. ჟურნ. „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, 1929, N39, გვ. 16.

20 გედევანიშვილი არ., თავგანწირულნი, თბ., 1996, გვ. 121-122.

5-წლიანი კონტრაქტის დამთავრების შემდეგ, ლეგიონერი საფრანგეთის მოქალაქე ხდებოდა. ხელფასიც მაღალი იყო. ქართველ ლტოლვილ სამხედროთაგან ბევრმა მიაშურა უცხოურ ლეგიონს, ნაწილმა ოფიცრის მაღალ ჩინსაც მიაღწია და მალე გაითქვა სახელი, როგორც საუკეთესო მეომარმა. 1928 წლიდან, საფრანგეთის სამხედრო სამინისტროს დადგენილებით, ქვეყანაში მცხოვრები ჯარში გასაწვევი ასაკის უცხოელი ლტოლვილები, მათ შორის ქართველებიც, ვალდებულნი იყვნენ მოეხადათ სამხედრო სამსახური. ბევრმა სამსახურის მოხდა უცხოურ ლეგიონში, ქართველ ოფიცერთა გარემოში არჩია. უცხოური ლეგიონის ოფიცერთაგან დიდი პატივისცემით სარგებლობდნენ სენ-მიქსენის სამხედრო სკოლის 5 კურსდამთავრებული ყოფილი იუნკრები: ივანე ვაჩნაძე, გიორგი ოდიშელიძე, ნიკოლოზ (კუკური) თოხაძე, ალექსანდრ ჯინჭარაძე, ალექსანდრე კინწურაშვილი, სენ-სირის სახელგანთქმული სამხედრო სკოლის კურსდამთავრებულები: დიმიტრი (ბაზორკა), კონსტანტინე და ნიკოლოზ ამილახვრები, ალექსი ჩხენკელი, ირაკლი და მერაბ ჯორჯაძეები, ლეო (ლულუ) კერესელიძე, დავით შალიკაშვილი, ალექსანდრე ბერაძე, ირაკლი ჯაფარიძე და სხვები.²¹

1929-1933 წლების მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა ე. წ. „დიდმა დეპრესიამ“ ქართველ ემიგრანტებსაც მძიმე დარტყმა მიაყენა. განსაკუთრებით გაუჭირდა ქართველობას საფრანგეთში, სადაც კრიზისის სიმწვავე ყველაზე მეტად იგრძნობდა. ფაბრიკა-ქარხნებისა და საწარმოების დახურვის ან წარმოების უკიდურესად შემცირების გამო, ბევრმა სამსახური დაკარგა და ისედაც გაჭირვებული, უმწეო მდგომარეობაში ჩავარდა. შედარებით უკეთეს პირობებში იყვნენ გერმანიაში მცხოვრები ქართველები, რომლებიც დახმარებას გერმანელთა თანაბრად იღებდნენ, რითაც მათ არსებობის საშუალება ჰქონდათ, ამიტომ „პეჟოს“ ქარხნებში მომუშავე ქართველები სოშო-ოდენკურიდან გერმანიაში გადავიდნენ.²²

ქართველები მუხლჩაუხრელად შრომობდნენ, ქმნიდნენ ოჯახებს, ზრდიდნენ შვილებს, აძლევდნენ კარგ განათლებას, გაჭირვებული ყოფიდან თავდასახსნელად, ხშირად შავ სამუშაოსაც არ ერიდებოდნენ. მიუხედავად ამისა, მაინც ახერხებდნენ ეაქტიურათ საზოგადოებრივ ასპარეზზე. ამუშავდა რამდენიმე ქართული სტამბა პარიზსა და ვალენტიანეში, სადაც დაიბეჭდა არაერთი ჟურნალ-გაზეთი და წიგნი. აღნიშნავდნენ დღესასწაულებსა და მნიშვნელოვანი თარიღებს – შობა-ახალ წელს, ნინოობას, 26 მაისს, საერთო კავკასიურ დღეობებს. ზეიმობდნენ მეგობარი ერებისა და საფრანგეთის ეროვნულ დღესასწაულებს. აღინიშნებოდა სამგლოვიარო და ტრაგიკული თარიღები – 1924 წლის აგვისტოს აჯანყების დამარცხებისა და საქართველოს ოკუპაციის წლისთავები. იხდიდნენ ცალკეულ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეთა პანაშვიდებსა და ხსოვნის დღეებს. მნიშვნელოვანია ქართველი მწერლების – ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას საიუბილეო თარიღების, მათდამი მიძღვნილი ხსოვნის დღეების ჩატარება, გარდაცვალებიდან მრგვალი თარიღების აღნიშვნა. განსაკუთრებული მოვლენა იყო შოთა რუსთაველის 750 წლის იუბილე 1937 წელს. 1928 წლის აღნიშნეს თბილისის უნივერსიტეტის დაარსების 10 წლისთავიც.

21 დაუშვილი რ., ქართველი ემიგრანტები უცხოურ ლეგიონში, ჟურნ. „ქართული ემიგრაცია“, N1, 2013, გვ. 9-18.

22 შოთა ბერეჟიანის მოგონებები, გვ. 120.

ქართული ემიგრაციის კონსოლიდაციაში განსაკუთრებული როლი პარიზში ნმ. ნინოს სახელობის ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ, მისმა პირველმა მოძღვარმა დეკანოზმა გრიგოლ ფერაძემ და მის მიერ დაარსებულმა ქართულმა ჟურნალმა „ჯვარი ვაზისამ“ შეასრულა. ემიგრაციისათვის ქართული მენტალიტეტის შესანარჩუნებლად მნიშვნელოვანი იყო მრავალი ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო და საქველმოქმედო-დამხმარე ორგანიზაციის დაარსება და ა. შ. ყველა ეს საკითხზე საუბარი გვაქვს წიგნში და ამაზე აღარ შევჩერდებით.²³

ყველა იმ ქალაქში, სადაც კომპაქტურად ცხოვრობდნენ ქართველები, იქმნებოდა „ქალთა კომიტეტები“, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართული საქველმოქმედო და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში, იცავდნენ ქართულ ადათ-წესებს, სამშობლოს ხატს უნარჩუნებდნენ ახალ თაობას და ყველგან ქმნიდნენ „პატარა საქართველოებს“. სათვისტომოს გამგეობასთან ერთად, ზრუნავდნენ ახალჩასულების ადაპტაციაზე, დაბინავებაზე, დასაქმებაზე, ეხმარებოდნენ მორალურად და მატერიალურად. როგორც წესი, კვირას ნმ. ნინოს ეკლესიაში წირვის შემდეგ, ოჯახები მარტოხელებს ეპატიჟებოდნენ ქართულ სადილზე, რომ ერთმანეთთან ურთიერთობით შეემსუბუქებინათ ემიგრანტობის სიმძიმე და ბავშვებსაც ქართველთა წრეში ეტრიალათ.

შეიქმნა პროფესიულ პრინციპზე დამყარებული გაერთიანებებიც, რომლებიც ცდილობდნენ ევროპულ გამოცდილებაზე დაყრდნობით ემიგრაციაში პროფესიული კადრების აღზრდას და დასაქმებას.²⁴ ქართველმა ემიგრანტებმა აითვისეს ახალ პროფესიები და მძიმე ემიგრანტული ყოფისა და „ლტოლვილის“ სტატუსის მიუხედავად, წარმატებას ბევრ სფეროში მიაღწიეს.

ქართული ემიგრაციიდან საფრანგეთში ცნობილი იყვნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ყოფილი მთავრობისა და საელჩოს წევრები, პოლიტიკოსები: ნოე ჟორდანიას, ევგენი გეგეჭკორი, კარლო ჩხეიძე, ნოე რამიშვილი, კონსტანტინე კანდელაკი, რაჟდენ არსენიძე, სამსონ ფირცხალავა, ივანე ზურაბიშვილი, სპირიდონ კეღია, გიორგი გვაზავა, ელისე პატარიძე, ალექსანდრე ასათიანი და სხვები. ასევე: ზემოთჩამოთვლილი ფრანგული უცხოური ლეგიონის ქართველი ოფიცრები, დიპლომატები – პარიზში საქართველოს მთავრობის ლეგაციის ხელმძღვანელი აკაკი ჩხენკელი, ლეგაციის მთავარი მრჩეველი, ისტორიკოსი ზურაბ ავალიშვილი, „ლტოლვილთა ოფისის“ ხელმძღვანელი სოსიპატრე ასათიანი და მდივანი, დიპლომატი ალექსი მდივანი; პარიზის ქართული სათვისტომოს პირველი თავმჯდომარე გიორგი ჟურული და სხვები.

პროფესიულ ასპარეზზე სახელი გაითქვეს და ფრანგული საზოგადოებისთვის ცნობილი გახდნენ: მხატვრები – ფელიქს ვარლამიშვილი (ვარლა), ვერა ფალავა, მიხეილ ბილანიშვილი, ვანო ენუქიძე, მსახიობი – მარიამ ალიხანაშვილი (მარია მერიკო), ოპერის მომღერალი მიხეილ ნანობაშვილი (მიშელ დარიალი); ბალერინები – თამარ თუმანიშვილი და ეთერ ფალავა, ბალერინა და მოდელიორი – თამარ გამსახურდია-კობი; მოდელიორები: მერი წერეთელი, ნინო მხეიძე, ანა ჭავჭავაძე-ვორონცოვ-დაშკოვა; შანელისა და ლანვინის მოდელი, მოქანდაკე რუსუდან მდივანი-სერტი; შანელის მოდელები: მერი შერვაშიძე-ერისთავი, მისი

23 დაუშვილი რ., ქართული ემიგრაცია 1921-1939 წლებში, თბ., 2007, გვ. 145-179.

24 იქვე, გვ. 138-144.

და თამარ შერვაშიძე-ზარნეკაუ, რიმა ერისთავი, მელიტა ჩოლოყაშვილი, მისი ქალიშვილი ლილია ზელინსკაია; კომპოზიტორები ირაკლი და ილია ჯაბადარები, პიანისტები – მარიამ ჭავჭავაძე, ნინო მაღალაშვილი, ეთერ რუხაძე, თეო კედია; ქართულ-კავკასიური სტამბის დამაარსებელი დავით ხელაძე, „სიმკა-კრისლერის“ დეპარტამენტს ხელმძღვანელი, ინჟინერი ლევან ზურაბიშვილი; ექიმები: ვახტანგ ღამბაშიძე, გიორგი ჭაჭიაშვილი, იაკობ ხოჭოლავა, ოთარ ზურაბიშვილი; დიდი მეცნიერი და ქართული საგანძურის მცველი ექვთიმე თაყაიშვილი, საფრანგეთის „უკვდავთა“ აკადემიის მუდმივი მდივანი სოვეტოლოგი – ელენ ზურაბიშვილი-კარერ-დ'ანკოს, სტრასბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი მიხეილ მუსხელიშვილი, საფრანგეთის წარმომადგენელი UMO-ში ნიუ-იორკში – კლოდ კემულარია და მრავალი სხვა.

ამდენად, დიდი ძალისხმევით, ურთიერთთანადგომის, საფრანგეთის ხელისუფლებისა და საზოგადოების მხარდაჭერის წყალობით პირველი ტალღის ქართულმა ემიგრაციამ გადალახა ემიგრანტული გაჭირვების სირთულეები, მოახერხა უცხო გარემოში ადაპტაცია და წარმატების მიღწევა. მეორე მსოფლიო ომამდე ქართულ ემიგრაციას თავისი ცხოვრებითა და საქმიანობით საპატიო და ღირსეული პოზიციები ეკავა საფრანგეთში არსებულ მრავალრიცხოვან დიასპორებს შორის, მისი წევრები კი პატივისცემით სარგებლობდნენ არა მხოლოდ მეგობარ ერთა, არამედ ფრანგულ საზოგადოებაში.

Rusudan Daushvili

Settlement and activities of the first wave of Georgian emigration in France (1921-1939)

Summary

The article talks about the settlement and activities of Georgian emigrants in France. The first wave was made up of Georgians who found themselves in exile as a result of the occupation of Georgia in 1921, the defeat of the rebellion against the Soviet government in August 1924, collectivization and land confiscation in 1929-30: members of the government, the founding assembly, politicians, scientists, artists, students.

The largest number of Georgian refugees in Europe took refuge in France. Most of them settled in Paris and its surroundings, and the former government settled in the Leville estate and chateau purchased in 1922. The Georgian community of Paris united about 1000 members. After Paris, the largest number of Georgians lived in Socho-Odenkur and its surroundings and worked in “Peugeot”, “Citroen”, “And simka-Chrysler” car factories. Georgians lived in small groups in other cities of France. The military flocked to the Foreign Legion and many made a name for themselves as the best warriors. Men worked in mines, railways, factories, shops; In hotels, in families,

as drivers, gardeners, etc. Some of them also started small businesses: they opened canteens, restaurants, grocery stores, and small shops. After household chores, Georgian women worked on orders brought home: they knitted, sewed, and embroidered. "Women's committees" participated in public affairs, protected Georgian customs, preserved the image of the motherland for the new generation, and created "little Georgias" everywhere.

Despite the hardships, the emigrants came out for "Georgian affairs". In 1932, the Orthodox Church named after Saint Nino was founded in Paris. Many magazines, newspapers, and books were printed in Georgian printing houses; Many cultural-educational, charitable, and professional organizations were created. They celebrated holidays, mourning, and tragic dates, and paid for the anniversaries and funerals of Georgian political and public figures, and writers. Despite the difficult emigrant status and "refugee" status, as most of them left their Georgian passports and did not receive French citizenship, some Georgians achieved success in the professional arena as well.

მეცნიერული სამართლიანობის აღდგენის ერთი ფაქტისათვის ტიპინოლოგიურ დისპალანსთან მიმართებით

წინამდებარე სტატია ერთი კონკრეტული ტერმინოლოგიური პრობლემის მოგვარების საკითხს ეხება, რომელიც მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან გაჩნდა ქართულ სამეცნიერო სივრცეში და შეიცვალა XVIII საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისიდან (გიულდენშტედტიდან) მანამდე არსებული ვითარება ეთნონიმ „თუშებისა“ და მათი ენობრივი ერთეულების სახელწოდებებთან მიმართებით. კერძოდ, ტერმინი „თუშური ენა“ შეიცვალა ტერმინებით: „ნოვათუშური ენა“ // „ბაცბური ენა“ // „ნოვური ენა“, ხოლო ქართული სალიტერატურო ენის ჩალმათუშურ დიალექტს განეკუთვნა ტერმინი „თუშური კილო“.

ტერმინოლოგიური უხერხულობა წარმოშვა ტომისა და თემის აღმნიშვნელი ეთნონიმების არათანაზომიერმა განაწილებამ ენობრივი მონაცემების სახელდებაში. ნოვათუშმა თემმა ეს ფაქტი შეურაცხყოფად, ეთნიკური ღირსების შელახვად, უფრო მეტიც, ქართველობის წართმევად აღიქვა, რამდენადაც ტომის აღმნიშვნელი ტერმინი „თუში“ მათთვის ქართველობის მთავარი მაიდენტიფიცირებელია.

პრობლემა აქტუალობას დღესაც არ კარგავს, უფრო მეტიც, ის კარგა ხანია, გასცდა სამეცნიერო დისკურსს და ხალხთა (ნოვათუშებსა და ჩალმათუშებს) შორის დაპირისპირების ფორმები მიიღო. იმპერიული „დაყავი და იბატონე“ პოლიტიკის გათვალისწინებასთან ერთად, რთულია ახლა, ვიმსჯელოთ რომელიმე ექსტრალინგვისტურ მიზეზსა თუ მიზანზე, რომელიც შეიძლება დამატებით საფუძვლად დასდებოდა ამ ტერმინოლოგიური წესრიგის დარღვევას საბჭოთა ეპოქაში, მაგრამ ფაქტია, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში XX საუკუნის 50-იან წლებამდე დამკვიდრებული ენის აღმნიშვნელი ტერმინები წმინდა ლინგვისტიკისა და ასევე ეთნოლინგვისტიკის, ანუ ენისა და ეთნიკურობის ურთიერთმართების კონცეფციიდან გადაიხედა. კერძოდ, რადგანაც თითოეული მათგანი სხვადასხვა ენობრივი მონაცემია, რაც იმ პერიოდისთვის ცალსახად ნიშნავდა მათ სხვადასხვა ეთნოსთან ასოცირებას, ამიტომ მათ განსხვავებული სახელეებიც უნდა რქმეოდათ.

საკითხის ასე გადაწყვეტა მაშინ სრულად თანხვდებოდა ეთნიკურობის, ეთნიკური იდენტობის, ენისა და ეთნიკურობის ურთიერთმართების შესახებ თანადროულ სამეცნიერო ცოდნას. კერძოდ, თეორიული სისტემა, რომელიც მეცნიერებაში მე-20 საუკუნის 70-იან წლებამდე დომინირებდა (და შემდეგაც გარკვეული დროის განმავლობაში გავლენას ახდენდა მეცნიერულ აზრზე) და ცნობილია, როგორც „პრიმორდიალიზმი“, ეთნიკურობას განიხილავდა, როგორც მემკვიდრეობითს, გენეტიკურად განპირობებულს, ფიქსირებულს, სტატიკურ მონაცემს, რომელიც უცვლელად გადაეცემა თაობიდან თაობას და, მაშასადამე, მისი შეცვლა დაუშვებელია.¹ როგორც ბიერი აფასებს, პრიმორდიალისტი-

1 Yang, Ph. Q. From Ethnic Studies: Issues and Approaches. New York University Press, 2000, pp. 42-43.

ბისტვის ეთნიკურობები იბადება „სოციოლოგიურად ცნობილი მსგავსებების გარშემო“, როგორცაა ნათესაობა. ისინი ფიქსირდება ჩამოყალიბების შემდეგ და ფორმირდება სხვა მეზობელ ეთნოსებთან კონფლიქტების შედეგად მათი არსებობის ისტორიის მანძილზე.²

ამ სკოლის წარმომადგენლები თვლიდნენ, რომ ეთნიკური ჯგუფის წევრებს აქვთ ჯგუფური ცნობიერება. იგი ვითარდება მათი ენიდან, კულტურიდან, ტრადიციებიდან, ისტორიიდან და დროთა განმავლობაში ძლიერდება მითებისა და სიმბოლოების საშუალებით, რომლებიც ნარჩუნდება თაობათაშორისი გადაცემის გზით.³ პრიმორდიალისტთა იდეურ წინაპრებს – გერმანელ ფილოსოფოსებსაც სწამდათ, რომ ეთნიკურობა უცვლელი რჩება ისტორიის მანძილზე, რამდენადაც ეთნიკური ჯგუფის უნიკალური იდენტობები და ცხოვრებისეული გამოცდილებები ჩაშენებულია მათ სასაუბრო ენაში. მათი აზრით, ხალხი გაიფანტა რა სხვადასხვა ტერიტორიაზე და შექმნა განსხვავებული ტომები და ერები, მათ განავითარეს განსხვავებული ენები, რომლებშიც აისახა მათი გამორჩეული ცხოვრებისეული სიტუაციები.⁴

ამრიგად, ენა, რომელიც ეთნიკურობის ერთ-ერთ (და არა ერთადერთ) ძლიერ მახასიათებელს შეადგენს, ცალსახად იყო დაკავშირებული ეთნიკურ იდენტობასთან. ამ მეცნიერული ჩარჩოს გათვალისწინებით, მარტივად აიხსნება ის ტერმინოლოგიური ჩარევა, რომელიც ზემოთ ხსენებულ პერიოდში (XX საუკუნის 50-იან წლებში) განხორციელდა.

1970-იანი წლებიდან მეცნიერებაში ვითარდება ეთნიკურობის ახალი ხედვა – რომ ის შეპირობებულია არა წინაპრებით, გენეტიკით, არამედ კონსტრუქციულია, შენებადია და, მაშასადამე, შეიძლება შეიცვალოს დროის განმავლობაში და იყოს რეაქცია ცვლად სოციალურ გარემოზე. ეს სკოლა, რომელსაც სამეცნიერო ლიტერატურაში „კონსტრუქტივიზმის“ სახელით მოიხსენიებენ, ძირითად ყურადღებას ამახვილებდა ეთნიკურობის სოციალურ კონსტრუქციაზე, მოძრავ ეთნიკურ საზღვრებსა და სოციალურ გარემოზე.

კონსტრუქტივისტების იდეური წინაპრები იყვნენ ინგლისელი და ფრანგი ფილოსოფოსები, რომლებიც აცხადებდნენ, რომ ეთნიკური იდენტობები კვლავ და კვლავ აიგება და ფორმირდება სოციალური და პოლიტიკური ფაქტორების თანახმად. მაგალითად, ინგლისური ენა შედეგია სხვადასხვა ხალხის (კელტების, დანიელების, რომაელების) ლინგვისტური გავლენებისა, რომლებიც შეიჭრნენ და დამკვიდრდნენ ქვეყანაში.⁵ უფრო მეტიც, კონსტრუქტივისტები ადასტურებენ, რომ შეცდომაა იმის მტკიცება, თითქოს ეთნიკური ჯგუფის წევრებს გათავისებული აქვთ „ერთადერთი სოციალური გამოცდილება“.⁶

2 Bayar, M. Reconsidering primordialism: an alternative approach to the study of ethnicity // *Ethnic and Racial Studies*. 2009, №9(32), p. 1643.

3 Jesse, N. G. and Kristen P. W. *Ethnic Conflict: A Systematic Approach to Cases of Conflict*. Washington: CQ Press, 2011, p. 10.

4 Dawisha, A. "Nation and Nationalism: Historical Antecedents to Contemporary Debates." *International Studies Review*. 2002, p. 17.

5 Dawisha, A. "Nation and Nationalism: Historical Antecedents to Contemporary Debates." *International Studies Review*. 2002, p. 10.

6 Cerulo, K. A. "Identity Construction: New Issues and New Directions." *Annual Review of Sociology*. JSTOR, 1997, 23, p. 387.

ამის ნაცვლად, ისინი ამტკიცებენ, რომ ეთნიკური ჯგუფები სოციალური კონსტრუქციაა, რაც ნიშნავს, რომ ისინი განუწყვეტლივ ფორმირდება გაბატონებულ კულტურულ ნორმებზე დაყრდნობით. მაგალითად, 1992 წელს ბრიტანეთში მცხოვრები მოსახლეობის 31% თავს ინგლისელად თვლიდა, თუმცა ათ წელზე ნაკლები ხნის შემდეგ ეს რიცხვი 41%-მდე გაიზარდა, მიუხედავად იმისა, რომ განსაკუთრებული პროგრესი შობადობისა და მიგრაციების კუთხით ქვეყნის ტერიტორიაზე არ შეიმჩნეოდა.⁷ ბრიტანეთში ინგლისელების რაოდენობის მატება განპირობებული იყო იმ ადამიანთა რიცხვის ზრდით, რომლებიც თავს ინგლისელებად მიიჩნევდნენ.

კონსტრუქტივისტები ასევე ადასტურებენ, რომ ინდივიდები შეიძლება ერთზე მეტ ეთნიკურ ჯგუფს მიეკუთვნებოდნენ. მაგალითად, ჩანდრამ ერთი ეთნიკური ჯგუფის კვლევის დროს შეამჩნია, რომ მასში იყო რამდენიმე კულტურული ნაკადი და, შესაბამისად, მისი წევრების იდენტობა იყო ნაზავი.⁸ ეთნიკური ჯგუფის თითოეული თაობა არის წინა თაობის შეცვლილი ვერსია, რადგან ჯგუფმა შეიძლება განიცადოს ცვლილებები სხვებთან ინტეგრაციის შედეგად.⁹ ეთნიკური საზღვრები შეიძლება შეიცვალოს სხვადასხვა გზით: ზოგიერთი ჯგუფი შეიძლება გაერთიანდეს სხვებთან და შექმნას ახალი ეთნიკური ჯგუფი, ზოგი კი უბრალოდ გაიყოს და დაბადოს ახალი ჯგუფები ძველის სიკვდილის გარეშე.¹⁰

უილიამ იენსიმ (William Yancey¹¹) და მისმა თანამოაზრეებმა განავითარეს „ნარმოქმნილი ეთნიკურობის“ პერსპექტივა. მათ ეთნიკურობა განიხილეს, როგორც „ნარმოქმნილი ფენომენი“, შექმნილი სტრუქტურული პირობებით. XX ს-ის ამერიკაში იტალიელი, ებრაელი და პოლონელი ემიგრანტების გამოცდილებაზე დაყრდნობით, მათ აჩვენეს, რომ ეთნიკური საზოგადოებების, კულტურისა და იდენტობების ფორმაცია და განვითარება განისაზღვრებოდა სტრუქტურული პირობებით, რომელიც მჭიდროდ იყო ასოცირებული მასპინძელი საზოგადოების საქმიანობასთან და ეთნიკური ჯგუფების პოზიციებთან ამ საზოგადოებაში.

შემდეგ და შემდეგ სოციოლინგვისტებიც აღარ უარყოფდნენ, რომ ეთნიკური იდენტობა შეიძლება შეიცვალოს დროისა და კონტექსტის მიხედვით.

ცხადია, პრიმორდიალისტებსაც და კონსტრუქტივისტებსაც ჰყავთ კრიტიკოსები. პირველებს ბრალს სდებენ ეთნიკურობაზე პოლიტიკური და სოციალური გავლენების უარყოფაში, ხოლო მეორეებს იმაში, რომ მათ თეორიაში არ არის პასუხი კითხვებზე: რატომ ინარჩუნებს ზოგიერთი ეთნიკური ჯგუფი მდგრადობას დროის დიდი პერიოდის განმავლობაში, თუნდაც პოლიტიკური და სოციალური ცვლილებების პირობებში, და ასევე მაშინაც, როდესაც ეთნიკურ იდენტობებს ჯგუფის წევრებისთვის მხოლოდ ზიანი მოაქვთ და არა სარგებელი.¹²

7 Chandra, K. (ed.). *Constructivist Theories of Ethnic Politics*. Oxford University Press, 2012, p. 4.

8 Chandra, K. "Cumulative Findings in the Study of Ethnic Politics." *APSA-CP 12.1*, 2001, pp. 7-11.

9 Allahar, A.L. *The Politics of Ethnic Identity Construction // Identity*. № 1(3). 2001.

10 Horowitz, D. *Ethnic groups in conflict*. - 2nd edition. University of California Press, Berkeley, CA, 2000, p. 720.

11 Yancey, W. L., Ericksen, E. P., and Juliani, R. N. *Emergent Ethnicity: A Review and Reformulation*, in: *American Sociological Review*. Vol. 41, No 3 (June). American Sociological Association. 1976, pp. 391-403.

12 Jesse, N. G. and Kristen P. W. *Ethnic Conflict: A Systematic Approach to Cases of Conflict*. Washington: CQ Press, 2011, p. 12.

ამ სკოლის წარმომადგენლებს აკრიტიკებდნენ იმიტომაც, რომ ისინი ყურადღებას არ ამახვილებდნენ ეთნიკური იდენტობის ცვლილების სიჩქარესა და სიხშირეზე. მათი არგუმენტების ერთი წყება ვარაუდობს, რომ ცვლილება იღებს „მონაცვლეობითი წონასწორობის“ ფორმას ცვლილებების იშვიათი მომენტებით, რასაც მოჰყვება სტაბილურობის უფრო ხანგრძლივი მონაკვეთები. სხვები ამტკიცებენ, რომ ეთნიკური იდენტობები მუდმივი არასტაბილურობის მდგომარეობაშია.

მესამე თეორიას – ინსტრუმენტალიზმს – ეთნიკურობა ესმის, როგორც ინსტრუმენტი, რომელსაც ადამიანები იყენებენ თავიანთი მიზნების მისაღწევად, რამდენადაც ხალხს, რომელიც იზიარებს საერთო მახასიათებლებს, უფრო ეფექტურად შეუძლია ორგანიზება და მობილიზება პოლიტიკაზე გავლენის მოსახდენად, საჭირო რესურსებზე ან სახელმწიფო სერვისებზე წვდომის მოსაპოვებლად. ამით აიხსნება მათი მცდელობები პოლიტიკურ პოზიციებზე საკუთარი ჯგუფის წევრების არჩევის მიზნით.¹³

ამ თეორიულ სკოლასაც გამოუჩნდნენ იდეური მონინალმდეგეები, რომლებიც მის სხვადასხვა ნაკლს ასახელებენ. ყურადღებას ისინი ხშირად ეთნიკურ კონფლიქტებზე ამახვილებენ. ბევრ მეცნიერს სწამს, რომ ამ კონფლიქტების ასახსნელად საუკეთესო გზაა იდეების გამოყენება პრიმორდიალიზმისა და კონსტრუქტივიზმის თეორიებიდან. მაგალითად, ვან ევერა ეთანხმება მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ეთნიკურობა სოციალურად აიგება, თუმცა, მისი აზრით, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მეცნიერებმა მისი სტატიკური ხასიათი უარყონ. მიუხედავად იმისა, რომ ეთნიკური იდენტობები ყალიბდება დროის გარკვეულ მომენტში, მათი ჩამოყალიბების შემდეგ წარმოუდგენლად რთულია მათი რეკონსტრუქცია.¹⁴ ამის არგუმენტად დავიშას მოჰყავს კომუნისტების მაგალითი, რომლებმაც ვერ შეძლეს ახალი ეროვნული იდენტობების შექმნა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მყოფი ეთნიკური ჯგუფებისგან.¹⁵

ზოგიერთ ნაშრომში შეინიშნება სამივე თეორიის იდეების გაერთიანების სურვილიც ეთნიკურობის უკეთ გასაგებად. უნდა აღვნიშნოთ, რომ თავად „ეთნიკურობის“ ცნებას ზოგიერთი მეცნიერი განიხილავს, როგორც უფრო მეტს, ვიდრე შეიძლება გადმოსცეს სიტყვამ „მღვრიე“, რადგანაც შედეგადად თანაბრად „მღვრიე“ ნაწილებისაგან, როგორც არის კულტურა, ენა, ეროვნება, რელიგია და ა. შ. ჰეილმა 2008 წელს განაცხადა: „ჩვენ ვართ ეთნიკურობის გაგების დასაწყის ფაზაში“, რითაც ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ამ ფენომენის არსი ბოლომდე არ არის ამოხსნილი.¹⁶

მეცნიერთა ნაწილი ეთნიკური იდენტობის ხასიათს (ცვალებადია თუ არა ის) ჯგუფის შესახებ არსებულ დოკუმენტურ წყაროებს უკავშირებს. მათი აზრით, იმ ჯგუფების იდენტობა უფრო მარტივად შეიძლება შეიცვალოს, ვის შესახებ

13 Chandra, K. *Why Ethnic Parties Succeed / Patronage and Ethnic Head Counts in India*. Cambridge University Press, 2004, p. 6.

14 Van Evera, Stephen. "Primordialism Lives!" *APSA-CP*. 2001, p. 20.

15 Dawisha, A. "Nation and Nationalism: Historical Antecedents to Contemporary Debates." *International Studies Review*, 2002, p. 4.

16 Hale, H. *The Foundations of Ethnic Politics: Separatism of States and Nations in Eurasia and the World // The Journal of Politics*, 2008, pp. 260-262.

ბაც წერილობითი წყაროები არ მოიპოვება, ვიდრე იმ ჯგუფებისა, ვის შესახებაც არსებობს ისტორიული ჩანაწერები. ვან ევერას მოსაზრებით, იმის გათვალისწინებით, რომ დღევანდელი ეთნიკური ჯგუფების უმეტესობას მოეპოვება ჩანაწერები თავიანთი ჯგუფის ისტორიის შესახებ, მათ წევრებს უნდა ჰქონდეთ ერთიანი გაგება იმაზე, თუ საიდან მოდიან და რას ნიშნავს მათი იდენტობა. ამ ჩანაწერების საშუალებით მათი მომავალი თაობებიც ინარჩუნებენ ცოდნას თავიანთი ეთნიკურობის შესახებ. მეცნიერი ამ ფაქტორით ხსნის ბევრი ევრაზიული იდენტობის გაქრობას, როგორებიც იყვნენ ხეთები, შუმერები, ბაბილონელები, ფინიკიელები და სხვები. ამის საპირისპიროდ, არ არსებობს ისტორიული წყაროების მქონე ევრაზიული იდენტობები, რომლებიც გაქრა.¹⁷ ერთგვაროვანი გაგება იმისა, თუ რას ნიშნავს, იყო კონკრეტული ეთნიკური ჯგუფის ნაწილი, მის წევრებს ეხმარება ლოიალური გრძნობის გაძლიერებაში და ხელს უშლის მათ შორის კავშირის მარტივად განწყვეტას. ნებისმიერი ადამიანი, რომელიც თავს რომელიმე ჯგუფის წევრად თვლის, თავს უფრო დაცულად გრძნობს მის შიგნით.¹⁸

ილიაზარიანმა ეთნიკურობის სამივე თეორია შეამოწმა სამ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში - აზერბაიჯანში, საქართველოსა და მოლდოვაში - ეთნიკური კონფლიქტების კვლევის პროცესში და დაასკვნა, რომ, მიუხედავად ეთნიკური ელიტების მიერ პრიმორდიალისტური იდეების პერიოდული გამოყენებისა ეთნიკურ ჯგუფებს შორის კონფლიქტების გამართლების მიზნით, ამ თეორიამ ყველაზე ნაკლებად ახსნა ეთნიკური კონფლიქტების მიზეზები. ეს იმიტომ, რომ აღნიშნული თეორია არ აღიარებს ეთნიკურ ჯგუფებს შორის კონფლიქტის დონეების ცვალებადობას დროის განმავლობაში. მაგალითად, ის ვერ ხსნის, რატომ არ არსებობდა სერიოზული კონფლიქტები ეთნიკურ სომხებსა და ეთნიკურ აზერბაიჯანელებს შორის მე-20 საუკუნემდე, ან რატომ შეძლეს ქართველებმა და ოსებმა ერთმანეთთან მშვიდობიანი თანაცხოვრება უმეტესი პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იყვნენ და ასევე ვერ ასაბუთებს, რატომ შეადგენდა ქორწინება ეთნოლინგვ სლავებსა და ეთნიკურ მოლდოველებს შორის რეგიონში არსებული ქორწინებების მეზუთედს მათ შორის ძალადობის დაწყებამდე.¹⁹

მეორე მხრივ, კონსტრუქტივისტულმა და ინსტრუმენტალისტურმა თეორიებმა ზუსტად ახსნა ზოგიერთი ფაქტორი, რამაც გამოიწვია ეთნიკური კონფლიქტები ხსენებულ რესპუბლიკებში, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ თითოეული სკოლის თეორიული ახსნა არასრულია, ეთნიკურ ჯგუფებს შორის კონფლიქტების მიზეზების ახსნის საუკეთესო გზა ინსტრუმენტალისტური და კონსტრუქტივისტული იდეების გაერთიანება აღმოჩნდა. კერძოდ, ეთნიკური კონფლიქტები აღნიშნულ სახელმწიფოებში მოხდა მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენებისა და შეთანხმებების შედეგად, რომლებმაც შეცვალეს სოციალური

17 Van Evera, Stephen. "Primordialism Lives!" APSA-CR. 2001, p. 20.

18 Jesse, N. G. and Kristen P. W. Ethnic Conflict: A Systematic Approach to Cases of Conflict. Washington: CQ Press, 2011, p. 12.

19 Yeghiazaryan, L. Which of the three main ethnic conflict theories best explains the Ethnic violence in the post-soviet states of Azerbaijan, Georgia, and Moldova? Comparative Politics Section B, California State Polytechnic University, 2018, p. 61.

და პოლიტიკური ნორმები ამ საზოგადოებებში და შექმნეს გარემო, სადაც ეთნიკურ ჯგუფებს, თავიანთ ელიტებთან ერთად, შეეძლოთ თავიანთი ეთნიკური იდენტობა იარაღად გამოეყენებინათ საკუთარი კონფლიქტური მიზნების მისაღწევად (იქვე).

მაგალითად, რუსეთის 1917 წლის რევოლუციამ, საქართველოს ბოლშევიკური მთავრობის უნარობამ და ე.წ. სამხრეთ ოსეთის სახალხო საბჭოს თანხმობამ, რომ მათ ჰქონოდათ ავტონომიური ტერიტორია, რომელიც შემდგომ ავტონომიის მინიჭების საფუძველიც გახდებოდა, სტალინის „გათიშე და იბატონე“ პოლიტიკამ და „სამხრეთ ოსეთისთვის“ არსებითი ავტონომიის გადაცემამ საბჭოთა ხელისუფლების მიერ, სომხების გენოციდმა, ახალმა „აზერბაიჯანულმა“ ნაციონალისტურმა განწყობილებამ, რომელიც საბჭოთა მმართველობის დროს დამკვიდრდა, მოლდოვა-რუმინეთის ურთიერთობამ, ამჟამინდელი ტერიტორიის სამწლიანმა რუმინულმა ანექსიამ, სტალინის რუსიფიკატორულმა რეჟიმმა, გორბაჩოვის საჯაროობის პოლიტიკამ და „პერესტროიკამ“, შემდგომში კი საბჭოთა კავშირის დაშლამ შეცვალა სოციალური და პოლიტიკური ნორმები სამივე ქვეყანაში და შექმნა ხელშემწყობი გარემო ეთნიკური კონფლიქტებისთვის. როდესაც განსხვავებული ეთნიკური ჯგუფები მობილიზდნენ იმ იმედით, რომ განეხორციელებინათ თავიანთი ინტერესები, მათი კონფლიქტური მიზნები აისახა მრავალრიცხოვან კონფლიქტურ შეტაკებებში.²⁰

დებატები ეთნიკურობის შესახებ არ წყდება არც თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში. კვლავ კამათის საგანია კითხვა: რატომ შეიცვალა ზოგიერთმა ჯგუფმა ეთნიკური იდენტობა მაშინ, როცა სხვებმა შეინარჩუნეს? სახელდება სხვადასხვა მიზეზი თითოეულის მხარდასაჭერად, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ერებსა და ეთნიკურ ჯგუფებს შორის ინტეგრაციის მაღალი ხარისხი თანამედროვე ეტაპზე ადასტურებს კონსტრუქტივიზმის თეორიის უპირატესობასა და მის სამეცნიერო სიცოცხლისუნარიანობას.²¹

ანუ, მეცნიერების გაფართოებული საზღვრებიდან ეთნიკურობა გაიგება, არა როგორც თანდაყოლილი თვისება, არამედ როგორც სოციალური კონსტრუქცია, რომელზეც გავლენას ახდენს სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური თუ კულტურული ფაქტორი (მიგრაციები, ასიმილაცია, რასობრივი ქორწინებები, პოლიტიკური საზღვრების შეცვლა, სოციალური მოძრაობები და სხვ.) და ცვლის მას დროის განმავლობაში.

ცხადია, რომ წოვათუშთა ენის სახელდებისას XX საუკუნის 50-იან წლებში არ იქნა გათვალისწინებული არც საქართველოსთან ზიარი ისტორია და კულტურა, არც ზიარი გეოგრაფიული და სოციალური კავშირები და ძირითადი აქცენტი გაკეთდა ენაზე, როგორც ეთნიკურობის უმთავრეს მარკერზე. შიდათემობრივი კონფლიქტი ნოვებსა და ჩალმებს შორის ეთნიკურობის შესახებ „დაყავი და იბატონე“ იმპერიულმა პოლიტიკამ და იმ დროისთვის არსებულმა თეორიულმა კონცეფციამ (პრიმორდიალიზმმა) წაახალისა.

20 Yeghiazaryan, L. Which of the three main ethnic conflict theories best explains the Ethnic violence in the post-soviet states of Azerbaijan, Georgia, and Moldova? Comparative Politics Section B, California State Polytechnic University, 2018, p. 61.

21 Kaliyev, D.S., Ventsel, Aimar. Theories of Ethnicity, Nationality, and Ethnic Identity, University of Tartu, 2021, p. 112.

ეთნიკური იდენტობა რთული და მრავალმხრივი ფენომენია, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ ენას, არამედ გაზიარებულ კულტურულ პრაქტიკებს, ისტორიულ გამოცდილებას, გეოგრაფიულ თუ სოციალურ კავშირებს. ამ მახასიათებლების მიხედვით, ნოვათუშები საქართველოს განუყრელ ნაწილს წარმოადგენენ. სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა, ხშირად ურთიერთგამომრიცხავი, შეხედულებაა გამოთქმული მათი წარმომავლობის შესახებ. ეს შეხედულებები შეიძლება ორ ჯგუფად გავყოთ. პირველი მოსაზრების მიხედვით, ნოვათუშები ქისტ-ლლიღებს მიეკუთვნებიან. ამ შეხედულებას იზიარებენ: რ. ერისთავი, ი. ცისკარიშვილი, მ. მაჩაბელი, ვ. ითონიშვილი, ალ. ხახანაშვილი, ს. მაკალათია, თ. პაპუაშვილი, გ. მელიქიშვილი, თ. უთურგაიძე, ვ. ლაგაზიძე, ა. შიფნერი, ი. იაკოვლევი, ე. ვაიდენბაუმი, ი. გიულდენშტედტი, ა. ზისერმანი, ჰ. კლაპროთი და სხვები, ხოლო მეორე მოსაზრების მიხედვით, ისინი ქართულ ეთნოსის ნაწილს შეადგენენ, ენა კი მიჩნეულია ნარევი ქისტ-ლლიღთა ტომების წარმომადგენლებთან ხანგრძლივი მეზობლობის შედეგად. ამ შეხედულების ავტორები ნოვათუშებს, როგორც ქართველთა ეთნოსოციალური ორგანიზმის განუყოფელ ნაწილს, თუშთა ტომის ერთ-ერთ თემად განიხილავენ. ამ მოსაზრებას იცავენ: ვახუშტი ბაგრატიონი, ივ. ჯავახიშვილი, ლ. შარაშიძე, გ. ყორანაშვილი, ლ. ტუხაშვილი, ჯ. კაშია და სხვები. ისიც აღსანიშნავია, რომ ხშირად ცალკეული მკვლევარებიც განიცდიან მერყეობას და სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულ სტატიებსა თუ მონოგრაფიებში ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებებს აყალიბებენ (ა. შანიძე, ვ. ელანიძე, ა. შავხელიშვილი).

ასეთი მერყეობა მწირი ისტორიული დოკუმენტებით აიხსნება, რომლებზე დაყრდნობითაც, დანამდვილებით ვერაფერ არკვევს, ისინი ისტორიული პირობების შედეგად მოხდნენ ამ კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალში – მთათუშეთში, თუ თავიდანვე აქ ცხოვრობდნენ და საქართველოს აბორიგენულ მოსახლეობას წარმოადგენდნენ, როგორც ამაზეა მინიშნებული ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში: „პირველყოფილი თემური ნყობილების დროს, როცა ჯერ კიდევ ჩამოყალიბებული არ იყო ერი, როგორც ერთიანი ორგანიზმი, იმ ტერიტორიაზე, რომელსაც შემდეგ აღმოსავლეთ საქართველო დაერქვა, დაღესტნურ-ვაინახური ტომებიც მოსახლეობდნენ, რომლებიც გარკვეული დროის მანძილზე დამოუკიდებელ ეთნიკურ-კულტურულ სახეს ინარჩუნებდნენ.“²²

ჩვენი სტატიის მიზანს არ წარმოადგენს ნოვათუშების წარმომავლობის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის დანვრის მიმოხილვა, ამიტომ მხოლოდ არსებით მომენტებზე გავამახვილებთ ყურადღებას.

გიორგი მელიქიშვილის აზრით, ჩრდილო-კავკასიური და ადიღეურ-ჩაჩნურ-ლეკური მოდგმის ტომები ძველ დროშივე, ძირითადად, კავკასიონის ჩრდილოეთით მდებარე ქვეყანაში ცხოვრობდნენ და საკმაოდ დიდ ტერიტორიას ფლობდნენ. ზოგიერთი მეცნიერი მათ გადასახლებას ვარაუდობდა კავკასიის სამხრეთით მდებარე ადგილებიდან, მაგრამ არქეოლოგიური მასალა ამ მოსაზრებას მხარს არ უჭერს.²³ კავკასიონის ჩრდილოეთი მხარის გარდა, ეს ტომები უძველეს ხანებშივე გავრცელებულნი ჩანან სამხრეთ კავკასიის მთელ რიგ რა-

22 ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 10, თბ., 1986, გვ. 459.

23 მელიქიშვილი გ., ურარტუ: სამეცნიერო-პოპულარული ნარკვევი ქართველი ხალხის ისტორიიდან, თბ., 1951, გვ. 130.

იონებსა და კიდევ უფრო სამხრეთით. მეცნიერი ვარაუდობს, რომ კავკასიონის აქეთა მხარეს ეს ჩრდილო-კავკასიელი ტომები სწორედ ჩრდილო კავკასიიდან გადმოსროლილნი უნდა იყვნენ სხვადასხვა დროს. „კავკასიონის იქითა მხარე სისტემატურად ისროდა სამხრეთით ხალხთა ასეთ ტალღებს“.²⁴

ეს ხდებოდა როგორც დიდი, ისე შედარებით მცირე მასშტაბებით. წერილობითი წყაროებიც ადასტურებს ჩ. წ.-მდე VIII ს-იდან მოყოლებული კავკასიონის იქითა მხრიდან ხალხთა მრავალი ასეთი ტალღის გადმოსროლას. ამ ფაქტს ადგილი ჰქონია უფრო ადრეც. ხალხთა მნიშვნელოვანი ნაკადი უნდა გადმოსროლილიყო II ათასწლეულის შუა ხანებში ჩ. წ.-მდე. „წოვების ჩაჩნური ტომის სახელს I ათასწლეულის პირველ ნახევარში, ასურეთისა და ურარტუს ხანაში, ვხვდებით ამიერკავკასიის სამხრეთით, ჩრდილო მესოპოტამიის ერთ-ერთი ქვეყნის სახელად (ურარტული წარწერების „ცო-ფანი“, სომხური წყაროების „წოფ“).²⁵

ჩრდილო კავკასიიდან გადმოსული ეს ტომები ალაგ-ალაგ სახლდებოდნენ ამიერკავკასიის, კერძოდ, საქართველოს ტერიტორიაზეც. „შემდეგში ყველა ისინი ამა თუ იმ ქართველ ტომში გაითქვიფნენ და გაქართველდნენ“.²⁶

სერგი მაკალათია წოვათუშების მოსულობის შესახებ წერს: „როდის გადმოსახლდნენ წოვები თუშეთში, ამის დადგენა ძნელია. მხოლოდ წოვათაში ნასოფლარ წაროს აკლდამებიდან ამოღებული ნივთების შედარებითი შესწავლიდან ირკვევა, რომ საშუალო საუკუნეებში, დაახლოებით მე-8-9 საუკუნეებიდან, სოფელი წარო დასახლებული ყოფილა“.²⁷ იგი ფიქრობს, რომ წოვათუშები ღლილვეთიდან ამ დროს უნდა გადმოსახლებულიყვნენ.

მეცნიერთა ნაწილის აზრით, წოვათუშები ქართულ ეთნოსს განეკუთვნებიან, რომლებმაც ენა მეზობელი ჩეჩნური წარმოშობის ხალხისგან ისწავლეს. ვახუშტი ბატონიშვილი ასე აღწერს თუშეთის ეთნიკურ შემადგენლობას: „ხოლო რომელნი არიან (თუშნი) მხარეთა ქისტთა და ღლილვთა, უწყიან ენანი უფროს მათნი. განა ფარსმანის ხევისანი სარწმუნოებით და ენით შერეულნი არიან, ვითარცა ქისტნი“,²⁸ „ხოლო თუშნი და დიდონი უკეთუ არიან ნილნი ლეკოსისა, არამედ შემდგომად მეფეთა ქართველთა დაპყრობილნი და მოხარკენი მათნი“.²⁹ წოვათის თემი თუშეთის დასავლეთ ნაწილს ქმნიდა, რომელიც ისტორიულ-ეთნოგრაფიულად პირიქით, გომენრისა და ჩაღმის თემების მსგავსად ადგილობრივ ქართველ მთიელებს განეკუთვნებოდა.³⁰

24 მელიქიშვილი გ., ურარტუ: სამეცნიერო-პოპულარული ნარკვევი ქართველი ხალხის ისტორიიდან, თბ., 1951, გვ. 130-131.

25 მელიქიშვილი გ., ურარტუ: სამეცნიერო-პოპულარული ნარკვევი ქართველი ხალხის ისტორიიდან, თბ., 1951, გვ. 131-132.

26 მელიქიშვილი გ., ურარტუ: სამეცნიერო-პოპულარული ნარკვევი ქართველი ხალხის ისტორიიდან, თბ., 1951, გვ. 132.

27 მაკალათია ს., თუშეთი, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება, ტფ., 1933, გვ. 17.

28 ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941, გვ. 104.

29 ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941, გვ. 168.

30 ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941, გვ. 104-105.

წოვათუშების ქართველობას ასაბუთებს ლ. შარაშიძეც: „შეგვიძლია გარკვევით აღვნიშნოთ, რომ წოვა-თუშები არიან ადგილობრივი, ავტოქტონური წარმოშობის ქართველური ჯგუფი, წინააღმდეგ იმ მოსაზრებისა, რომელიც მათ გაქართველებულ ქისტურ ტომადა სთვლის“.³¹

შარაშიძის დასკვნა ეფუძნება 1951 წელს ანთროპოლოგთა მიერ მოწყობილი ექსპედიციის კვლევის შედეგებს, რომელმაც არ დაადასტურა ზემო აღვანში მცხოვრებ წოვათუშთა და პანკისის ხეობაში მცხოვრებ ქისტთა „გენეტიკური ურთიერთდამოკიდებულება“.³² ექსპედიციის შედეგად დადგინდა, რომ „წოვა-თუშები, რომლებიც ენობრივად ქისტებს უკავშირდებიან, ანთროპოლოგიურად განსხვავდებიან მათგან და ახლოს დგანან რიგ ქართველურ ჯგუფებთან: ჩალმა-თუშებთან, მოხევეებთან, ფშავლებთან, ხევსურებთან, მთიულებთან, გუდამაყრელებთან და სხვ. მათი მსგავსება ქართველურ ჯგუფებთან, პირველ რიგში, ჩალმა-თუშებთან გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ წოვა-თუშების ჯგუფი არ წარმოადგენს ქისტებისა და ჩალმა-თუშების ასიმილაციის შედეგს.“³³

უნმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ 2010 წლის 20 ივლისს ომალოს ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში საკვირაო ქადაგებაში თუშებს ასე მიმართა: „მინდა გითხრათ, რომ მთელი საქართველო ამაყობს თქვენი, თქვენ მიძიე კლიმატურ პირობებში ცხოვრობთ აქ, შეინარჩუნეთ ეს მიწა-წყალი და ამით საქართველოს მთლიანობა დაიცავით! ხევში არის სიმღერა – „თუშებმა უთხრეს თუშებსაო, გადვიდეთ ხევის მთაზედაო, იქ რომ შიოლას აქებენ, იმას მიუხდეთ კარზედაო...“ ზოგიერთი მეცნიერი ჰყოფს თუშებსა და წოვა თუშებს. სინამდვილეში ეს ერთი ხალხია, ჩვენ ყველანი ქართველები ვართ: წოვათუშები, ისევე როგორც თუშები, არიან ქრისტიანები და იცავენ ჩვენს კულტურას, ჩვენს ენას, ჩვენს მიწა-წყალს. დიდია ამ მხარის დამსახურება სოფლის მეურნეობის, განსაკუთრებით კი მეცხვარეობის განვითარებაში“.³⁴

უნდა აღინიშნოს, რომ ძველი და შუა საუკუნეების ისტორიული წყაროები თუშეთისა და თუშების შესახებ ინფორმაციის მოწოდებისას არასდროს აკონკრეტებენ, რომელ თემზეა საუბარი, წოვებზე თუ ჩალმებზე; როდესაც საუბარია თუშებზე, ზოგადად, საუბარია მის შემადგენლობაში შემავალ ყველა თემზე. ასე რომ, წოვების ისტორია მთლიანად თუშების ისტორიაშია ჩანსულ-ჩადულაბებული.³⁵

წოვათუში საზოგადოების წევრი, ენათმეცნიერი არსენ ბერთლანი სამართლიანად შენიშნავს: „წოვების ისტორია... თავად წოვებმაც არ იციან და არც შეიძლება იცოდნენ, რადგან ის არც ოდეს იწერებოდა. ასეთ პირობებში შეი-

31 შარაშიძე ლ., წოვათუშების ანთროპოლოგიისათვის, საქ. სსრ მეცნ. აკად. ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის შრომები, ტ. VIII, თბ., 1960, გვ. 273.

32 შარაშიძე ლ., წოვათუშების ანთროპოლოგიისათვის, საქ. სსრ მეცნ. აკად. ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის შრომები, ტ. VIII, თბ., 1960, გვ. 273.

33 შარაშიძე ლ., წოვათუშების ანთროპოლოგიისათვის, საქ. სსრ მეცნ. აკად. ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის შრომები, ტ. VIII, თბ., 1960, გვ. 272.

34 ილია II. საკვირაო ქადაგება, 20.07.2010: www.orthodoxy.ge/patriarqi/qadagebebi/.../20-07-2010.htm.

35 გიგაშვილი ქ., წოვათუშების თანამედროვე ეთნო-სოციოლინგვისტური პროფილი, თბ., 2014, გვ. 72-73.

ძლება ვილაპარაკოთ ვარაუდოგრაფიის, მაგრამ არა ისტორიოგრაფიის (ან ეთნოგრაფიის) სახელით“.³⁶ ნოვათუშების წარმომავლობის საკითხისადმი არაერთგვაროვანმა და თვითონ ამ ჯგუფისადმი გულსატკენმა დამოკიდებულებამ, როგორც მეცნიერი შენიშნავს, გამოიწვია „ნოვების ფსიქოლოგიური ნგრევა, მათი ქართული თვითშეგნების შერყვნა, უხეშად ილახება რა მთელი თემის თავმოყვარეობა და უფლებები: მაღალი პატრიოტიზმით ოდესღაც დიდად თავმომნონე ნოვა დღეს, გაოგნებულია რა მისდამი ამგვარი დამოკიდებულებით, ლამის ორჭოფობს უკვე, ცნოსლა თუ არა თავი თუშად, ქართველად, ქრისტიანად“.³⁷ სამეცნიერო სივრცეში ნოვათუშთა და ჩალმათუშთა ეროვნული ერთეულების სახელდებისას ტერმინოლოგიური ბალანსის აღსადგენად, მან მარტივი სქემა შესთავაზა საზოგადოებას: ეროვნება – ტომი – თემი, სხვაგვარად: ეროვნებით ნოვებიც და ჩალმებიც ქართველები არიან, ტომობრივად – თუშები, ხოლო თემობრივად – ნოვები და ჩალმები. შესაბამისად, ბატონი არსენის აზრით, ტერმინოლოგიური ბალანსი აღდგებოდა, თუ ტომის აღმნიშვნელი ეთნონიმი („თუში“) თანაბრად იქნებოდა წარმოდგენილი ორივე ენობრივი მონაცემის დასახელებაში, კერძოდ:

„თუშური ენა“ და „თუშური კილო“, ან:

„ნოვათუშური ენა“ და „ჩალმათუშური კილო.“

თუშების ნოვებად და ჩალმებად მოხსენიების პირველი ნიმუში ჩნდება XVII საუკუნის II ნახევრიდან. „არჩილიანში“ ვკითხულობთ: „ერთობით თუშებისათვის, ნოვას და ჩალმებისათვის“.³⁸ ამ ფაქტმა ვ. ელანიძეს აფიქრებინა, რომ ნოვები თუშეთში სწორედ ამ პერიოდიდან (XVII საუკუნის II ნახევრიდან) უნდა ჩამოსახლებულიყვნენ,³⁹ მაგრამ ხელალებით ამის მტკიცება, მეცნიერული თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, გაჭირდება. ამ ფაქტს მეორე ახსნაც შეიძლება ჰქონდეს: თუშეთში შემავალ თემებს ზიარი ისტორია, ყოფა, ზნე-ჩვეულებები, რელიგია, კულტურა, გეოგრაფიული საზღვრები და სატომო ტერმინი „თუში“ აერთიანებდა.⁴⁰

ნოვათუშების ისტორიას ვიცნობთ მხოლოდ ქართულ გარემოში. ვინ და როგორები იყვნენ ისინი მრავალი ათეული საუკუნის წინ, ანუ იმ წარსულში, რომელიც ბურუსით არის მოცული, არ ვიცით. საქმეს უთუოდ აძნელებს ის გარემოება, რომ ნოვათუშების სახელით ცნობილი სხვა ეთნოსი, თუ ეთნიკური ჯგუფი მთელ პლანეტაზე სხვაგან არსად მოიძებნება, გარდა საქართველოსი. თუ დავუშვებთ, რომ ნოვათუშების წინაპრები – ნახური წარმომომის დამოუკიდებელი ეთნოსი (ან ეთნიკური ჯგუფი) – თუშეთში ჩამოსულები არიან, დადასტურებით შეგვიძლია იმის თქმა, რომ მას შემდეგ ისინი ქართველ ხალხთან საერთო პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ და რელიგიურ

36 ბერთლანი ა., ნოვათის ნისლები (ხანდაზმული ნაფიქრალი); სათქმელი პირველი: პატარა ხატი დიდ ეკლესიაში (ტერმინოლოგიური წესრიგისთვის ქვეყანაში), თბ., 2009, გვ. 112.

37 ბერთლანი ა., ნოვათის ნისლები (ხანდაზმული ნაფიქრალი); სათქმელი პირველი: პატარა ხატი დიდ ეკლესიაში (ტერმინოლოგიური წესრიგისთვის ქვეყანაში), თბ., 2009, გვ. 59.

38 არჩილიანი. ტ. I, აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1936, გვ. 205.

39 ელანიძე ვ., კახეთის ისტორიის პრობლემური საკითხები, თბ., 2006.

40 გიგაშვილი ქ., ნოვათუშების თანამედროვე ეთნო-სოციოლინგვისტური პროფილი, თბ., 2014, გვ. 73.

სივრცეს იყოფენ. შესაბამისად, ამ პარამეტრების გათვალისწინებით, მოცემულ ისტორიულ დროში ისინი ველარ ჩაითვლებიან ცალკე, ქართველი ხალხისაგან დამოუკიდებელ, ეთნოსად. ასე რომ, ნოვათუშები მოსულები არიან, თუ ადგილობრივები, ამას დღეს არსებითი მნიშვნელობა აღარა აქვს მათი ეთნიკურობის გასარკვევად.⁴¹

ნოვათუშები, ერის პოლიტიკური მნიშვნელობის გათვალისწინებით, საუკუნეებია, ქართველები არიან, რამდენადაც ისინი საქართველოს მოქალაქეებს წარმოადგენენ. ამას მშვენივრად გრძნობდა თუშეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ერთ-ერთი თვალსაჩინო მკვლევარი ვალერიან ითონიშვილი. მიუხედავად თავისი შეხედულებისა ნოვათუშების ვაინახურ ტომებთან ნათესაური კავშირის შესახებ, ის წერდა: „ქართული ენა მათთვის ისევე მშობლიურია, როგორც ყველა სხვა კუთხის ქართველისათვის. ჩვენ აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ იმის შესახებ, რომ ნოვათუშები ორენოვანი ქართველები არიან“.⁴²

ერის ეთნიკური მნიშვნელობითაც ნოვათუშები ასევე საუკუნეებია, ქართველებს ეკუთვნიან: ისინი განიხილებიან მხოლოდ ქართული ეთნოსის შემადგენლობაში.

და ბოლოს, ნოვათუშური საფრთხეში მყოფი ენაა. რამდენიმე ათეული წლის შემდეგ სამეცნიერო საზოგადოება უცილობლად დადგება იმ ფაქტის წინაშე, როდესაც ენაც აღარ დარჩება შორეულ, სავარაუდო ეთნიკურობასთან კავშირში და იმ დროისთვის ეს ადამიანები ენობრივადაც აღიარებულნი იქნებიან ქართველებად.

ეთნიკური იდენტობის საკითხთან ძალიან მჭიდრო კავშირშია თვითიდენტიფიკაცია – რომელ ხალხთან, ისტორიასთან და კულტურასთან ახდენს ჯგუფი თვითგამოხატვას, ვის ნაწილად მიაჩნია თავი. ნოვათუშები თავს ქართველებად მიიჩნევენ. ზიარ ისტორიას, კულტურას, გეოგრაფიულ თუ სოციალურ კავშირებსაც რომ თავი დავანებოთ, მათი თვითიდენტიფიკაცია უნდა იქნეს დაცული, როგორც მათი იდენტობის განსაზღვრის ძირითადი კრიტერიუმი. ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა, მოახდინოს იდენტიფიცირება იმ ეთნიკურ ჯგუფთან, რომელთანაც ყველაზე მჭიდრო კავშირში გრძნობს თავს.

რაც შეეხება სამართლებრივ მხარეს: მართალია, საერთაშორისო სამართალში არ მოიაზრება კონკრეტული მუხლი, რომელიც პირდაპირ ეხება ეთნოსის (ეთნიკურობის) და ენის თვითიდენტიფიკაციის საკითხებს, მაგრამ ის ყურადღებას ამახვილებს ადამიანის უფლებებზე, დისკრიმინაციის აკრძალვაზე, თვითგამორკვევასთან დაკავშირებულ პრინციპებზე, რაც, ჩვენი აზრით, ქმნის ჩარჩოს ენობრივი თემებისადმი მოპყრობისთვის.

თვითგამორკვევის პრინციპი არის სწორედ საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური ნორმა. ეს საშუალებას აძლევს ადამიანებს განსაზღვრონ თავიანთი პოლიტიკური სტატუსი, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარება. მიუხედავად იმისა, რომ ეს მუხლი, ძირითადად, პოლიტიკური კონცეფციაა, მას შეუძლია გავლენა მოახდინოს ეთნიკურ იდენტობაზე, როდესაც საქმე თვითგამორკვევას ეხება.

41 გიგაშვილი ქ., ნოვათუშების თანამედროვე ეთნო-სოციოლინგვისტური პროფილი, თბ., 2014, გვ. 89.

42 ითონიშვილი ვ., თუშეთი და თუშები, თბ., 2012, გვ. 242.

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის 27-ე მუხლი ირიბად მხარს უჭერს ეთნიკური და ლინგვისტური ჯგუფების უფლებებს თვითიდენტიფიკაციაში.⁴³

იუნესკოს კონვენცია, მართალია, კონკრეტულად არ არის ორიენტირებული თვითიდენტიფიკაციაზე, მაგრამ ის ხელს უწყობს ინდივიდებისა და თემების უფლებას შეინარჩუნონ, დაიცვან და განავითარონ თავიანთი კულტურული თვითგამორკვევა.

ასე რომ, თანამედროვე ჰუმანიტარულ მეცნიერებას ეჭვი არ შეაქვს ეთნიკურობის ცვალებად ხასიათში და, შესაბამისად, ველარ ხედავს მის უცილობელ ბმას გენეტიკასთან და მემკვიდრეობასთან, აღიარებს, რომ დროთა განმავლობაში, სხვადასხვა გარე ფაქტორის გამო, ეთნიკურობასა და ენას შორის შესაძლებელია კავშირი განწყდეს.

უცილობლად მეცნიერული აზრის პრიმატი დაედო საფუძვლად ენციკლოპედია „საქართველოს“ IV ტომში⁴⁴ „თუშური ენის“ ცალკე ერთეულად გატანას, რომელსაც ახლავს განმარტება: „იხ. წოვათუშური ენა.“ აღნიშნული ჩანაწერი ტერმინოლოგიური ბალანსის აღდგენის მცდელობად გვესახება. მართალია, დაგვიანებულმა, მაგრამ საზოგადოებისთვის სიკეთის მომტანმა ამ მეცნიერულმა ჩარევამ უეჭველად უნდა აღადგინოს საუკუნეობრივი ჰარმონია წოვებსა და ჩაღმებს შორის ურთიერთობებში, რომელიც სწორედ ტერმინოლოგიური ჩარევის შედეგად დაირღვა. მათი დაპირისპირება ხშირად საშიშ ფორმებსაც იღებს. ყველა დაგვერწმუნება, ვინც ერთხელ მაინც ყოფილა მათ საერთო შეკრებაზე.

მეცნიერული თეორიის საფუძველზე აღმოცენებული დაპირისპირება ისევ მეცნიერების დახმარებით უნდა გადაწყდეს. წინამდებარე სტატია ემსახურება მკითხველი საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდას ტერმინოლოგიური ბალანსის აღდგენის მცდელობის ფაქტთან დაკავშირებით.

43 International Covenant on Civil and Political Rights. 1967. United Nations. https://treaties.un.org/doc/treaties/1976/03/19760323%2006-17%20am/ch_iv_04.pdf, p. 13.

44 ენციკლოპედია „საქართველო“, ტ. IV, თბ., 2018.

For Restoration of One Fact of Scientific Justice Regarding the Terminological Imbalance

Summary

The present article deals with the issue of solving one specific terminological problem, which appeared in the Georgian scientific space from the 50s of the 20th century and changed the existing situation from the beginning of the 70s of the 18th century in relation to the names of the ethnonym “Tushes” and their linguistic units, namely, the term “Tush language” was replaced by the terms: “Tsovatush language” // “Bats language” // “Tsova language,” and the term “Tush dialect” was assigned to the Chaghmatush dialect of the Georgian literary language.

The terminological inconvenience was caused by the unequal distribution of ethnonyms denoting tribe and community in the names of linguistic units. The Tsovatush community perceived this fact as an insult, a violation of ethnic dignity, and moreover, as a deprivation of Georgianness, as the term “Tush” denoting the tribe is the main identifier of Georgianness for them.

32 თურქეთის არქივებში დაცული დოკუმენტები საქართველოს შესახებ (რეზიუმირებული კატალოგი), დოკუმენტები მოიძიეს, დაამუშავეს და ქართულ ენაზე რეზიუმეები დაურთეს მ. მახარაძემ, ზ. შაშიკაძემ, ალ. კაშიამ, ტ. I, ნ. 2, თბ., 2022, გვ. 354.

33 ქათიბ ჩელების ცნობით, ანაკლიის მშენებლობაში მონაწილეობა სამეგრელოსაც ევალებოდა: „როდესაც სოხუმის მახლობლად ანაკლიის ციხეს აშენებდნენ, მეგრის ხანი ბეჟან დადიანი მოვიდა და ურმებით სამსახური გაუწია“ (ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თურქულიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო გ. ალასანიამ, თბ., 2013, გვ. 125).

34 ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 883.

35 ხორავა ბ., ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა (XV-XVIII სს.), გვ. 128.

36 Пайчадзе Г. Г., Русско-грузинские политические отношения в первой половине XVIII века, Тб., 1977, с. 79.

37 ჩხატარაიშვილი ქ., დასავლეთი საქართველო XVIII ს. პირველ ნახევარში, წგნ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 8 ტომად, ტ. 4, საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე, ტომის რედაქტორი მ. დუმბაძე, თბ., 1973, გვ. 475.

38 ილდიზთაშ მ., საქართველო და ქართველები ოსმალურ საარქივო დოკუმენტებში, მთარგმნელები: გ. გუნიავა, ირ. ართმელაძე, სტამბოლი, 2021, გვ. 179; M. Yıldıztaş Osmanlı Arşiv Kayıtlarında Gürcistan ve Gürcüler, İstanbul, 2021, s. 179.

ასახელებს და ამიტომაც მისი იდენტიფიცირება რთულია. თუმცა, დოკუმენტში სავსებით ნათელია, რომ ის საკმაოდ ძლიერ ლაშქარს ფლობს, რადგან ფოთიდან 100 ასკერი მიაშველეს სოხუმს. ვინაიდან „მირზახანი“ იგივეა, რაც „მირზაყანი“/ „მურზაყანი“ და გვაქვს ცნობა მის ძღვევამოსილებაზე, ის საძარცვავად გამოსული ლაშქრის წინამძღოლი არაა. სავსებით დასაშვებად მიგვაჩნია, რომ ოსმალური წყაროს „მირზახანი“ სამურზაყანოს მფლობელი მურზაყან შარვაშიძე იყოს, მით უფრო, რომ დოკუმენტის გაცემის თარიღი და მურზაყან შარვაშიძის ზეობის პერიოდი ერთმანეთთან თანხვედრაშია. როგორც ჩანს, ის ბეჟან დადიანის მიერ გაცემულ სამხედრო დავალებას ასრულებდა და მიზნად ისახავდა, აფხაზეთის მფლობელებთან ერთად, სოხუმის ციხის სახმელეთო და საზღვაო ალყით, ამ ტერიტორიებიდან ოსმალთა განდევნას. როგორც ჩანს, სწორედ ამ მოვლენას ეხება მეორე დოკუმენტი (1727 წლის 10 ივლისი), სადაც სოხუმის ციხის ოსმალური გარნიზონის მცველთა გაძლიერებასა და პროვიანტით მათ მონარაგებაზეა საუბარი.³⁹

ამდენად, მურზაყან შარვაშიძე ენგურ-ლალიძის შუამდინარეთის, რომელსაც, მისსავე სიცოცხლეში „სამურზაყანო“ ეწოდა, გამორჩეული პოლიტიკური მოღვაწე იყო. მის სახელს რეგიონში აღმშენებლობითი საქმიანობა უკავშირდება. ბოლო დრომდე, მურზაყანის შესახებ მხოლოდ ერთი საბუთი გვქონდა. თუმცა, რამდენიმე წლის წინ პირველად გამოქვეყნებული ოსმალური საბუთიდან დგინდება, რომ მურზაყან შარვაშიძე ნამდვილად ისტორიული პიროვნებაა და, ამასთან ერთად, ის საკმაოდ ძლიერი ფიგურა იყო, რომლის შესახებაც ცნობები სულთნის კარსაც ჰქონდა.

Kakha Kvashilava

For the Biography of Murzakan Sharvashidze

Summary

By the end of the second half of the 17th century, Abkhazian princes were able to significantly narrow Dadiani and pass the border to Enguri. This site belonged to the youngest representative of the Sharvashidze family, Qvapu. Soon, in 1704 he died. He was succeeded by Murzakan, after whom the Ghalidzga-Enguri interfluvium was named, and we know him now as “Samurzakano”. Murzakan Sharvashidze was an outstanding political figure. His political and economic activities were related to the reconstruction of the region. Until recently, we had only one document about him. However, in 2021, an Ottoman document was published, from which it is established that Murzakan Sharvashidze existed and, at the same time, he was a rather powerful figure, about whom even the Sultan’s court had information.

³⁹ ოსმალური დოკუმენტური წყაროები აფხაზეთისა და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის შესახებ, გვ. 74.

თეატინები აღმოსავლეთ საქართველოში

(თეატინების გორის მისიის ისტორიიდან)

1622 წელს, პაპმა გრიგოლ XV-მ (1621-1623) ცნობილი იტალიელი მოგზაურის, ისტორიკოსის და პოეტის პიეტრო დელა ვალეს¹ ინიციატივით, სამისიონერო საქმიანობის ხელმძღვანელობისათვის, დააარსა რომის კათოლიკური ეკლესიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული ორგანო – წმ. კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდე.² მისი საქმიანობის მიზნებს შორის უმთავრესი იყო კათოლიკობის პროპაგანდა და მისი გავრცელება აღმოსავლეთის ქვეყნების მოსახლეობაში. წმ. კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდე მოკლე ხანში კათოლიკე მისიონერების საქმიანობის მთავარ ხელმძღვანელ ცენტრად გადაიქცა. საქართველოში გამოგზავნილ მისიონერებს უნდა უზრუნველყოთ აგრეთვე, ამ ქვეყნის კავკასიასა და აღმოსავლეთის ქვეყნებში კათოლიკობის გავრცელების პლაცდარმად გამოყენება. ორდენი მიზნად ისახავდა რეფორმაციის წინააღმდეგ საბრძოლველად სამღვდელოების მომზადებას. თეატინები პაპისა და პროპაგანდა ფიდეს სრულ მორჩილებაში იყვნენ.

თეატინები სხვა მოგლახაკე ორდენების წევრებისაგან გამოირჩეოდნენ განსაკუთრებული ჩაცმულობით. ისინი ატარებდნენ შავ ანაფორასა და თეთრ წინდებს. არასოდეს თხოულობდნენ მონყალებას, შემოწირულობით, უფრო კი, საკუთარი შრომით ირჩენდნენ თავს. თეატინები გამოირჩეოდნენ, განათლებით, იყვნენ კარგი ხელოსნები, მისდევდნენ ფიქრობას, მხატვრობას, ოქრომჭედლობასა და სხვა ხელობებს. ყოველივე ამასთან ერთად, კარგი მკურნალებიც იყვნენ.³ ამ უკანასკნელის გამო ისინი სასურველი სტუმრებად ითვლებოდნენ საქართველოს მეფე-მთავართა და დიდებულთა კარზე. თეატინები თავიანთ სამშობლოში მალალ წოდებას განეკუთვნებოდნენ. „ეს პირობა სავალდებულო იყო და ორდენის წევრად ჩარიცხვისას სათანადო საბუთიც უნდა წარედგინა კანდიდატს“.⁴ სხვათა შორის, კანდიდატს კონგრეგაციისთვის წარსადგენად რეკომენდაციას აძლევდა რომში მცხოვრები თეატინების ორდენის გენერალი. თეატინებს თავიანთი წარმომადგენლები ჰყავდათ კათოლიკურ ცენტრებში.

1 პიეტრო დელა ვალეზე ვრცლად იხ. მამისთვალიშვილი ე., პიეტრო დელა ვალე – დიპლომატი და მოგზაური საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის პირველი მესამედი) / მისივე, საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, ტ. VI, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2022, 15-469.

2 პროპაგანდა ფიდე (ლათ. სრული დასახელება: (Sacra Congregatio de Propaganda Fide), რწმენის პროპაგანდის წმინდა კონგრეგაცია) – რომის კათოლიკური ეკლესიის სამისიონერო ორგანიზაცია. შეიქმნა რომის პაპის გრიგოლ XV-ს 1622 წლის 22 ივნისის ბულის საფუძველზე. 1988 წელს პაპმა იოანე პავლე II-მ მოახდინა კონგრეგაციის რეორგანიზაცია, რის შედეგადაც იგი გადაკეთდა ხალხთა ევანგელიზაციის კონგრეგაციად (Congregatio pro Gentium Evangelizatione) წმინდ კონგრეგაცია „დე პროპაგანდა ფიდეს“ შექმნის ისტორია იხ. პაპაშვილი მ., საქართველო-რომის ურთიერთობა VI-XX სს., თბ., 1995, 126-142.

3 კრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და აღბოძირი საქართველოს შესახებ / ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ, თბ., 1976, გვ. 11-12.

4 იქვე, გვ. 12.

რომიდან სხვადასხვა ქვეყნებში გაგზავნილ მისიონერებს, როგორც აღინიშნა, მთელი თავიანთი ცოდნა და ენერგია უნდა გამოეყენებინათ ადგილობრივ ხალხებში კათოლიკური სარწმუნოების გავრცელებისათვის. ამასთან ერთად, მათ ევალეობდათ საქართველოში შეეგროვებინათ სხვადასხვა სახის ინფორმაცია ქვეყნის ბუნებრივი პირობების, მოსახლეობის სულიერი და მატერიალური კულტურისა და პოლიტიკური ცხოვრების შესახებ. მათ მრავალფეროვანი ინფორმაცია უნდა გაეგზავნათ რომში. მისიონერების წინაშე დაყენებული მოთხოვნების შესახებ სანდო წყაროა საქართველოში მათი გამოგზავნის ინიციატორის პიეტრო დელა ვალეს მიერ მისიონერებისათვის მიცემული ერთ-ერთი ინსტრუქცია, რომელიც მათ ავალდებულებდა: „საქართველოში ჩასვლისთანავე, შეადგინეთ დეტალური და ზუსტი ინფორმაცია იქაური ხალხის ცხოვრების ყველა საკითხზე. აუცილებელია დაადგინოთ: მეფური სისხლის ყველა მთავრის, ასევე ქვეყანაში გამორჩენილი პიროვნების – კაცისა და ქალის, როგორც საეკლესიო, ისე საერო პიროვნების სახელი. ასევე სახელწოდება ქალაქებისა და მნიშვნელოვანი ადგილების, გზების, რომლებსაც უფრო მეტად ამჯობინებენ ვაჭრები და მოგზაურები. საჭიროა შეადგინოთ სია ჩვენი მეგობარი ქართველებისა და დაადგინოთ მათი კავშირები იმ ქვეყნებთან, რომლებთანაც საქართველოს ურთიერთობა აქვს; დააზუსტოთ, თუ რა საშუალებით და რა გზით ამყარებენ ისინი ურთიერთობას ამა თუ იმ ქვეყანასთან; ვისთან აქვთ ქართველებს დამოკიდებულება მტრული, საომარი ან მეგობრული; ვის ესაზღვრებიან ისინი და სხვა ათასი დეტალი, რომლებიც არ უნდა გამოგრჩეთ მხედველობიდან. ნუ დაიზარებთ, რომ ყოველივე ეს სისტემატურად შეგვატყობინოთ“.⁵

დელა ვალეს ქართველების სულიერად გადარჩენის საშუალებად კათოლიკობაზე მოქცევა მიაჩნდა. მან ამ საკითხზე თავისი მოსაზრებები პაპ ურბან VIII-ს წარუდგინა „მოხსენების“ სახით.⁶ პიეტრო დელა ვალეს აზრით, წარმატებისათვის აუცილებელი იყო მისიონერების მიერ ადგილობრივი მეფის მხარდაჭერის მოპოვება,⁷ ქართული ენის შესწავლა და ბოლო უნდა მოღებოდა იმ გულგრილობას, რომელიც რომმა გამოიჩინა საქართველოს მიმართ.⁸

პიეტრო დელა ვალე ვარაუდობდა, რომ იმ შემთხვევისათვის, თუ რომის პაპი გადანიწყვეტდა საქართველოსადმი დახმარებას და ამ მიზნით მისიონერებს გა-

5 ტაბალუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, ტ. III, თბ., 1987, გვ. 124-125.

6 Pietro della Valle, *Informazione della Georgia*. Data alla santita di Vostro Signore Papa Urbano VIII. Da Pietro della Valle il Pelegrino L'anno 1627 // *Relations alo divers Voyages Curieux. Qui ont n'ont Point este Publiques, qui ont on teste traduites d'Hacluyt, Premiere Partie*, (1-14). მოგზაურის პიეტრო დელა ვალეს მოხსენება საქართველოზედ პაპი ურბან მერვესადმი, 1567 წელს, 61-64; მამისთვალისიშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, ტ. VI, გვ. 115-119.

7 თამარაშვილი მ., ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე // რედაქცია გაუკეთა, წინასიტყვაობა დაურთეს და გამოსაცემად მოამზადეს ზაზა ალექსიძემ და ჯუმბერ ოდიშელმა, თბ., 1995, გვ. 553. რომს დიდი ხნის გამოცდილება ჰქონდა საქართველოში მისიონერების გამოგზავნისა და მისიების დაარსების მხრივ, ეს საკითხი კარგადაა შესწავლილი ქართულ ისტორიოგრაფიაში.

8 *Informazione della Georgia*. Data alla Santita di Nostro Sognore Papa Urbano VIII. Da Pioetro della Valle il Pelegrino l' anno 1627, 1-14; მოგზაურის პიეტრო დელა ვალეს მოხსენება საქართველოზედ პაპი ურბან მერვესადმი, 1567 წელს // მასალა საქართველოს ისტორიისათვის. თარგმანი ალექსანდრე ჭყონიასი // ივერია, 1879 წ., #3, p. 61.

გზავნიდა, მათ უნდა ესარგებლათ იმ სამი გზით, რომელთა ავკარგიანობაზე საკმაოდ ვრცლად ილაპარაკა ზემოთ დასახელებულ „მოსხენებაში“.⁹

პიეტრო დელა ვალეს მხედველობიდან არ გამორჩენია, თუ როგორ შეიძლება და რომსა და საქართველოს შორის მუდმივი, საიმედო და მოკლე გზით კავშირის განხორციელება, როგორც წერილების გაგზავნით, ისე ადამიანების გადაადგილებით. ეს გეგმა უნდა დამუშავებულიყო თეიმურაზ პირველთან კონსულტაციებით და შეთანხმებით. დელა ვალე არ წერს, მაგრამ ითვალისწინებს თეიმურაზის დიდ გავლენას მაშინდელ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებში და ზოგადად კავკასიაში. მისივე აზრით, საქართველოს შავი ზღვის იმ პორტში, საიდანაც მეტი გემები მიდიოდნენ ევროპაში, მისიონერებს უნდა ჰყოლოდათ თავიანთი კორესპონდენტი ან სხვა ნდობით აღჭურვილი პირი, რომელსაც გადაუგზავნიდნენ წერილებს. ამ მიზნით, ვალე ურჩევდა მისიონერებს, დასავლეთ საქართველოში დაბინავებულიყო ერთი რომელიმე მათგანი, რომელიც საჭიროების დროს დაუკავშირდებოდა დადიანსა და გურიელს. დელა ვალეს აზრით, საქართველოს შავი ზღვის ნავსადგურებიდან დასავლეთ ევროპასთან დაკავშირება შეიძლება კონსტანტინოპოლზე გავლით, სადაც, მისი თქმით, სისტემატურად ჩადიოდნენ ქართველები, როგორც კომერციული, ისე სხვა საქმეებისათვის. კონსტანტინოპოლში ყოველთვის იყვნენ კათოლიკე მისიონერები და იტალიელი სამოქალაქო პირები. რაც მთავარია, იქ იმყოფებოდა საფრანგეთის ელჩი, რომელსაც გადასცემდნენ საქართველოდან ჩატანილ, რომში გასაგზავნ წერილებს. მას ასევე შეეძლო რომიდან მიღებული წერილები განსაკუთრებული სიძნელების გარეშე გადაეგზავნა საქართველოში საზღვაო გზით. მთავარი იყო მას სცოდნოდა, სად უნდა გაეგზავნა ესა თუ ის წერილი, ე. ი. საქართველოს რომელ ნავსადგურში და რომელ ნდობით აღჭურვილ პიროვნებას უნდა გადასცემოდა.¹⁰

კათოლიკური აგიტაცია საქართველოში ინტენსიური გახდა XVII ს. I მეოთხედის ბოლოდან, როცა საქართველოში მოვიდნენ თეატინები. წინათ მოპოვებული ინფორმაცია საფუძველს აძლევდა რომს შორს მიმავალი მიზნები დაესახა. პაპ ურბან VIII-ის ბრძანებით, 1626 წ. სჯულის პროპაგანდის კონგრეგაციამ გადანიყვიტა საქართველოში გაეგზავნა ხუთი პატრი: პიეტრო ავიტაბილე, ჩელსო დიიგრო, ფრანჩესკო დ'აპრილე, ჯაკომო დი სტეფანო და ჯაკომო ფილომეა. შემდეგში მათი რიცხვი სამამდე შემცირდა, რადგან ოსმალთა სამფლობელოებზე ხუთი პატრის მოგზაურობა სახიფათოდ ჩათვალეს. შეირჩა სამი პატრი: პიეტრო ავიტაბილე (მასვე დაევალა წინამძღოლობა და გორის მისიონის ხელმძღვანელობა, რაც პიეტრო დელა ვალეს წარდგინებით მოხდა და რჩევებსაც აძლევდა¹¹),

9 იქვე, გვ. 61-64.

10 ტაბალუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, III, გვ. 124-125.

11 Viaggi di Pietro della Valle, il pellegrino descritti da lui medesimo in lettere familiari all' erudito suo amico Mario Schipano, divisi in tre parti cioè : La Turchia, La Persia, e l'India, colla vita dell'autore. Brighton: G. Gancia, 1843, Vol. II, p. 935, 937; მამისთვალისშვილი ე. პიეტრო დელა ვალე – დიპლომატი და მოგზაური საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის პირველი მესამედი) / მისივე, საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, VI, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2022, გვ. 444-445; პიეტრო ავიტაბილეს შესახებ იხ. პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოს შესახებ (XVII ს.) / შესავალი, თარგმანი და კომენტარები ბეჟან გიორგაძისა, თბ., 1977.

ფრანჩესკო დ'აპრილე და ჯაკომო დი სტეფანო. 1626 წლის 9 მაისის ბრძანებით, რომში სასწრაფოდ უნდა ჩასულიყო ავიტაბილე. მან შეასრულა ბრძანება, ჩავიდა რომში, სადაც მას გადაცეს ყველაფერი რაც საჭირო იყო მისიონერებისათვის საქართველოში. მას გადასცეს, აგრეთვე, 5 წერილი მეფე თემურაზის, იმერეთის მეფის, გურიისა და ოდიშის მთავრების და აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის სახელზე. ისინი იმავე წლის 23 ივლისს საქართველოსკენ გაემგზავრნენ, მივიდნენ ქ. მესინაში,¹² სადაც გაიცნეს ესპანეთისკენ მიმავალი თემურაზ I-ის ელჩი ნიკიფორე ირბახი (ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი)¹³ და უმასპინძლეს. 1627 წლის მარტში კონსტანტინოპოლში ჩასულ მისიონერებს საფრანგეთის ელჩმა სეზიმ რეკომენდაცია მისცა „თემურაზის ელჩის მაუროს წინაშე“.¹⁴ რა თქმა უნდა, მაურო – გიორგი სააკაძეა, მაგრამ იგი თემურაზის ელჩი კი არა, მისგან დევნილი იყო.

მგზავრობას მრავალი ხიფათი ახლდა. მათი ოსმალეთში ყოფნის დროს თურქებმა იეჭვეს, რომ ისინი ჯაშუშები იყვნენ, დააპატირეს, აწამეს და მათი სიკვდილით დასჯა გადაწყვიტეს. მისიონერები საფრანგეთის ელჩმა სეზიმ იხსნა სამი ათასი ოქროთი.¹⁵ ისინი გაანთავისუფლეს იმ პირობით, რომ უკან იტალიაში გაბრუნდებოდნენ. 1627 წლის 28 სექტემბერს მათ დატოვეს კონსტანტინოპოლი და ისევ მესინაში გადავიდნენ, სადაც დარჩა ავდემყოფი ჯოვანი ფილომია, ხოლო პიეტრო ავიტაბილემ და ჯაკომო დი სტეფანომ გადაწყვიტეს ალეპოს გზით, ბაბილონზე, ისფაჰანზე, თავრიზზე, აღინჯაზე და ერევანზე გავლით ჩასულიყვნენ საქართველოში. მათ დაისვენეს ალეპოში ფრანცისკანელებთან, ისფაჰანში კი ფეხშიშველ კარმელიტებთან და ავგუსტინელებთან, აღინჯაში სომხური წესის დომინიკანელებთან. ამ უკანასკნელებმა მათ მისცეს ორი მეგზური, რომლებმაც წაიყვანეს საქართველოში.

ირანის გზით საქართველოსკენ მიმავალი მისიონერები ადგილობრივმა მოხელეებმა დიდად შეავიწროვეს. თავდაპირველად მისიონერები ეჭვობდნენ, რომ სპარსელები მათ სიმდიდრეს აგულვებდნენ და ასე იმიტომ ექცეოდნენ. შემდეგ კი მიხვდნენ, რომ ისინი ნიკიფორე ირბახის მიერ სააკაძის სახელზე დაწერილ სარეკომენდაციო წერილს ეძებდნენ. ამასთან დაკავშირებით, XVII საუკუნის იტალიელი თეატინი ისტორიკოსი ბართოლომეო ფერო წერს: „ქართველი დესპანი – ნიკიფორე ირბახი ...ხსენებული მოურავის (გიორგი სააკაძის, – ე. მ.) ახლო ნათესავი, დარწმუნებული იყო, რომ კეთილ სამსახურს აღმოუჩენდა, როგორც პიეტრო ავიტაბილეს, ისე წმიდა მამებს, რომელთაც განზრახული ჰქონდათ საქართველოში წასვლა, როდესაც მოურავს წერილს სწერდა (და გადასცა პიეტრო ავიტაბილეს), რითაც მოურავთან რეკომენდაციას უწევდა წმიდა მამებს. ამ წერილს წმიდა მამები ინახავდნენ ყველაზე უძვირფასეს ნივთებს შორის და

12 თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 89.

13 ნიკიფორე ირბახის საეკლესიო, კულტურულ და პოლიტიკურ საქმიანობაზე იხ. მამისთვალისშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, II, თბ., 2011, გვ. 197-313, 633-656; მისივე: იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი. მესამე შევსებული გამოცემა, თბ., 2016, გვ. 119, 160, 170, 175-180, 189, 203, 208-210, 257, 262, 266-271, 293, 294, 297, 303, 304, 307, 384, 387. იქვე ბიბლიოგრაფია ნიკიფორე ირბახის შესახებ.

14 თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბ., 1902, გვ. 89.

15 იქვე.

მხოლოდ შემდგომში, როდესაც უკვე მეტად გვიან იყო, დარწმუნდნენ, რომ ეს წერილი, ურიისადმი ღვთის წერილის მსგავსად,¹⁶ თან სიკვდილს ატარებდა.¹⁷ ირანელმა მოხელეებმა წერილი ვერ იპოვეს და მისიონერები დალუპვას გადაურჩნენ. დგება კითხვა: თუ მისიონერებმა გიორგი სააკაძე კონსტანტინოპოლში ინახულეს, აუცილებლად შეიტყობდნენ ამ ცნობილი მხედართმთავრის სამშობლოდან გადახვეწის ამბავს. მაშინ რაში სჭირდებოდათ ნიკიფორეს მიერ სააკაძისათვის გაგზავნილი, მისიონერებისათვის მფარველობის თხოვნის სარეკომენდაციო ბარათი? რატომ იგდებდნენ თავს განსაცდელში? თუ ასეთი ბარათი მართლა არსებობდა, რის სინამდვილეში ეჭვის შეტანა ძნელია, მაშინ გამოდის, რომ საფრანგეთის ელჩმა რომ მისიონერებს „მაუროსთან“ რეკომენდაცია გაუწია, ის მოურავი გიორგი სააკაძე კი არა, არამედ სხვა ქართველი იყო.

სხვა ცნობით, ნიკიფორეს მისიონერთა სარეკომენდაციო წერილები მეფე თეიმურაზისათვის გაუგზავნია. მასში ნათქვამია, რომ ნიკიფორეს ნეაპოლში გაუგია საქართველოში მიმავალი ორი თეატინელი ბერის შესახებ და მან „მათ მისცა სარეკომენდაციო წერილები მეფისათვის, რომელიც მიიღებს რა ამ წერილებს მათ კარგ მიღებას აღმოუჩინს“.¹⁸ ეს ცნობა სიმართლეს არ უნდა შეეფერებოდეს. ბართოლემეო ფერო კომპეტენტური ისტორიკოსი იყო, მაგრამ უფრო სანდო არიან ის მისიონერები, რომლებიც ნიკიფორეს მესინაში შეხვდნენ და მისგან წერილი მიიღეს. ისინი არაფერს ამბობენ ნიკიფორეს მიერ მათთვის ამგვარი წერილის თუ წერილების გადაცემაზე. პიეტრო ავიტაბილე პირდაპირ და გარკვევით ამბობს, რომ ნიკიფორემ მათ სარეკომენდაციო წერილი მორავთან (მოურავთან), ანუ გიორგი სააკაძესთან გაატანა.¹⁹

თეიმურაზმა მისიონერები მიიღო საზეიმო ვითარებაში. მათ მეფეს მიართვეს რომის პაპის წერილი. მეფემ და პატრიარქმა კი გადასცეს სპარსულად დაწერილი პაპისა და წმ. კონგრეგაციისათვის განკუთვნილი წერილები. სპარსულად და არა ბერძნულად იმიტომ დაუწერიათ, რომ ბერძნები, როცა მეფის დავალებით წერდნენ წერილებს, შეგნებულად ამახინჯებდნენ მის სიტყვებს.²⁰ სამწუხაროდ, მისიონერები არაფერს ამბობენ, რა ბედი ეწია ნიკიფორე ირბახის მიერ თეიმურაზ მეფესთან თუ მეჭრამ (მოურავთან) გატანებულ სარეკომენდაციო ბარათს.

16 ბართოლემეო ფერო გულისხმობს ურია ხეთელის ცოლზე შეყვარებული დავით წინასწარმეტყველის მიერ იმავე ურიის ხელით მთავარსარდალთან გატანებულ წერილს, რომელშიც მეფე ითხოვდა წერილის მიმტანი ბრძოლის დროს ისეთ ადგილას დაეყენებინათ, რომ დალუპულიყო და ასეც მოხდა (2 მეფ. თ. 11-12).

17 *Istoria dele misioni de'Chierici Regolari, Teatini. Con la descrizione de'Regni, Provincie, Citta, Luoghi, Fede, Ritti e costume delle Genti ove andarono, e psarono li Missionarij. Con li viaggi pericolosi, Fatiche fattevi, e frutto raccolti per la Cattolika Rreligione. Del P. D. Bartolomeo Ferro Chierico Rergolare, Ferrareze. Divisa in tre parti, t. I, de'Quatro Regni della Giorgia: Iberia, Odisci, Guriel, Imereti. Roma, 1704, 90.* ციტირებულია: ტაბალუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, II, გვ. 82.

18 ტაბალუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, II, თბ., 1986, გვ. 148-149.

19 ნიკიფორე ირბახის მიერ მისიონერებისათვის მიცემული სარეკომენდაციო ბარათის მნიშვნელობის შესახებ ვრცლად იხ. მამისთვალისძევილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, II, გვ. 294-295.

20 იქვე, 274-275; თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 91.

* * *

თეატინების გორის მისიონის პირველი პრეფექტად, ჯერ კიდევ რომში დაინიშნა პიეტრო ავიტაბილე. ასე დაიწყო თეატინი მისიონერების მოღვაწეობა საქართველოში.²¹ თეატინთა მისიას შემდგომში შეემატნენ: არკანჯელო ლამბერტი, ჯუზეპე ჯუდიჩე, ანდრეა ბორომეო, კრისტოფორო კასტელი, კლემენტე გალანო, ჯუსტო პრატო, ჯუზეპე მარია ძამპი და სხვ.²²

აღმოსავლეთის ქვეყნებში რომის კათოლიკური ეკლესიის მიზნების განხორციელებისთვის, პაპმა ურბან VIII-მ (1623-1644) და პროპაგანდა ფიდეს კარდინალთა კოლეგიამ გადანყვიტეს უფრო ენერგიულად მოეკიდათ ხელი საქართველოში მისიონერული საქმიანობისათვის და მუდმივი მისია ჩამოეყალიბებინათ. ამის გაკეთება თეატინელთა ორდენს მიენდო.

პირველი თეატინელი მისიონერები პიეტრო ავიტაბილე და ჯაკომო დი სტეფანო საქართველოში 1626 წლის ივლისში გამოემგზავრნენ. იმავე წლის 14 დეკემბერს ისინი ქართლში მოვიდნენ და გორში დასახლდნენ. პროპაგანდა ფიდეს დავალებით მისიონერებს გარკვეული სამუშაო უნდა ჩატარებინათ მათი გამწესების ადგილებში. კერძოდ, მათ უნდა გაეთვალისწინებინათ, რომ ისინი არა მარტო სახარების მქადაგებლები იყვნენ, არამედ ასრულებდნენ კიდევ ერთ საპასუხისმგებლო დავალებას, ბევრი რამისთვის უნდა მიექციათ ყურადღება, ჩაენერათ და რომში გაეგზავნათ. არ უნდა დაზარებოდათ, ყურადღება მიექციათ და ჩაენერათ ყველაფერი, რაც შეეხებოდა ქართველების რელიგიას, ეთნოგრაფიას, კულტურას, პოლიტიკურ ცხოვრებას და ასევე ყველა სხვა საკითხზე რომში დეტალური ანგარიში გაეგზავნათ.²³

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ 1626 წლის 4 ივნისს პიეტრო ავიტაბილე და ჯაკომო დი სტეფანო უკვე გორში იყვნენ. მეფე თეიმურაზ I გორში არ დახვდათ, ერთი დღის სავალზე საფურცლეში (სოფ. ნატახტარი) იმყოფებოდა. პატრები ვიდრე საკუთარ საცხოვრებელს გაიჩენდნენ, მანამდე ავგუსტინელების სახლში მამა ამბროსიო დუმ ანჟუშსთან და მორჩილ ძმა პედრო სანტოსთან თვენახევრის განმავლობაში ცხოვრობდნენ.²⁴

პიეტრო ავიტაბილესა და ჯაკომო დი სტეფანოს გორში დამკვიდრების შემდეგ, პროპაგანდა ფიდემ გადანყვიტა საქართველოს მისია გაეფართოებინა. 1630 წლის 31 აგვისტოს წმიდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდემ საქართველოში გასაგზავნად ორი თეატინელი მისიონერი – არკანჯელო ლამბერტი და ნაპოლი და ჯუზეპე ჯუდიჩე მილანზე შეარჩია. მალე ისინი საქართველოში გამოემგზავრნენ. მისიონერები აღჭურვილი იყვნენ პაპ ურბან VIII-ის (1623-1644) 1630 წლის 21 ივნისით დათარიღებული წერილებით თეიმურაზ მეფესთან, კათალიკოს-პატრიარქ ზაქარია ჯორჯაძესთან (1623-1632) და მიტროპოლიტ ნიკიფორე ირბახთან.²⁵

21 პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე (XVII საუკუნე), 5-6; ტაბალუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, III, გვ. 80.

22 ტაბალუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, II, გვ. 216-217.

23 იქვე.

24 თარხნიშვილი მ., თეატინელი მოციქულები საქართველოში XVII საუკუნეში // საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან, IV-V, თბ., 1999, გვ. 370; ტაბალუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, III, გვ. 87.

25 ტაბალუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, III, გვ. 135.

მისიონერებს უპირველეს ყოვლისა მეფე თეიმურაზი უნდა მოენახულებინათ, გადაეცათ პაპის წერილი და ეთხოვათ მის ქვეყანაში ცხოვრებისა და მისიის შესრულების უფლება, უნდა გადაეცათ საჩუქრები.

გორში დაბინავებისთანავე პატრებმა ქართული ენის შესწავლა დაიწყეს, რათა ადგილობრივი მოსახლეობის მშობლიურ ენაზე ექადაგათ. ვიდრე ამ განზრახვას სისრულეში მოიყვანდნენ, მანამდე, ქადაგება დაიწყეს თათრული ენაზე.²⁶ თათრულ ენაში ალბათ, თურქულს გულისხმობდნენ, რომელსაც, როგორც XVII საუკუნის წერილობითი წყაროებიდან ჩანს, ყველაზე პირველად ქართულს დაეუფლა ჯაკომო დი სტეფანო.²⁷ ალბათ, ამ გარემოებამ ითამაშა გადამწყვეტი როლი მეფე თეიმურაზთან მის დაახლოებაში.

სწრაფად იზრდებოდა მოსახლეობაში მისიონერების სახელი და გავლენა საექიმო პრაქტიკით, ხალხისათვის ღვთისმსახურების სწავლებით, ბავშვებისა და მოზრდილთა მონათვლით, რაც გორში მყოფი ბერძენი სამღვდელოებისა და მთაწმინდაზე ბერძნებთან გაზრდილი ალავერდელის შურსა და გულისწყრომას იწვევდა. ამის გამო დაუწყეს მათ მისიონერებს მტრობა. ისინი მათზე ძვირს ლაპარაკობდნენ ხალხში და მეფის სასახლეშიც კი. მისიონერების მოწინააღმდეგენი ცილს სწამებდნენ რომის პაპს და ყველა ლათინს და ჩანაფიქრი ქონდათ ისინი გაძევებინათ საქართველოდან. განსაკუთრებით აქტიურობდა ერთი ბერძენი მონაზონი ფილიპე, რომელმაც სხვებს გადააჭარბა პაპზე ძვირის ლაპარაკით. მისიონერებმა შეურაცხყოფა ვეღარ აიტანეს და რამდენიმე ქართველი ეპისკოპოსის წინაშე საპაექროდ ბერძნები გამოიწვიეს. ავიტაბილემ ფილიპე ისე გაამტყუნა, რომ ამ უკანასკნელმა დააპირა პატრი ავიტაბილეს ჯოხით ცემა. ავიტაბილემ წინააღმდეგობის ნაცვლად ფილიპეს წინაშე დაიჩოქა, თავი მოუდრიკა და უთხრა: მაცხოვარი ასე გვიბრძანებსო. დიდად შერცხვენილი ბერძენი გაშორდა იქაურობას. „ყველა დამსწრეთ დიდად გაკიცხეს ფილიპეს ასეთი საქციელი, ხოლო შეაქეს პატრი ავიტაბილეს მოთმინება და მისი უსაზღვრო თავმდაბლობა. როცა ეს ამბავი შეიტყო თეიმურაზ მეფემ, მაშინვე დაიბარა ფილიპე, უსაყვედურა და სასტიკად აუკრძალა პაპსა და პატრებზე ცუდის ლაპარაკი“.²⁸

მეფე თეიმურაზის განწყობა მისიონერების მიმართ კიდევ უფრო კეთილი გახდა მას შემდეგ, როცა ევროპიდან დაბრუნდა მისი ელჩი ნიკიფორე ირბახი და მოუყვა, როგორ უზომო პატივი სცეს მას თეატინმა პატრებმა ევროპაში მოგზაურობი დროს. მეფემ 'მასთანვე ბრძანება გასცა, რომ ამას იქით, მათთვის უღუფა ეძლიათ. მასთან ფულითაც კარგად შეენია“. მეფის მიერ მიცემული ფული მისიონერებმა მოახმარეს გორში ეკლესიის „შემკობას“,²⁹ რომელსაც წმინდა პეტრეს ეკლესია უწოდეს.³⁰ ეს ეკლესია³¹ 1635 წლისათვის, როგორც ავიტაბილე წერდა,

26 თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 116.

27 კრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, გვ. 60.

28 თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 104.

29 იქვე, გვ. 105; 106.

30 იქვე, გვ. 105; 116.

31 კრისტოფორო დე კასტელის მიხედვით, ეს ეკლესია იყო მიძღვნილი მოციქულთა თავადისადმი, ე.ი. მოციქულ პეტრესადმი. კრისტოფორო დე კასტელი ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, გვ. 60.

„გასული ომების დროს დაინგრა“.³² როგორც ჩანს, თეატინებს გორში სხვა ტაძარ-რიც ჰქონებიათ, რომელსაც იმავე პატრის მიხედვით „ტრიუმფალური ეკლესია“ ერქვა: „იმავე საღამოს ღამის 3-დან 4-მდე ღვთის უსაზღვრო შემწყალებლობით ტრიუმფალურ ეკლესიაში შევიკრიბებით“, – წერს ავიტაბილე.³³

ბუნებრივია, მეფის განწყობამ მისიონერების მიმართ, კეთილისმყოფელი გავლენ მოახდინა ხალხის მათდამი დამოკიდებულებაზე. ამით ნახალისებულმა პატრებმა სხვა ახალი მისიონერები მოიწვიეს რომიდან. მისიონერების ჩამოსაყვანად და მეფისა და კათალიკოს ზაქარიას წერილების პაპთან და პროპაგანდაში წასაღებად თეიმურაზმა რომში თავის დესპანად გაგზავნა პიეტრო ავიტაბილე 1630 წლის 3 აგვისტოს.³⁴

საყურადრებოა, რომ ვიდრე ავიტაბილე რომში ჩავიდოდა, მანამდე, ჩვენთვის უცნობი წერილების საფუძველზე, მეფისა და კათალიკოსის თხოვნით, საქართველოში გამოგზავნეს კიდევ ორი – მისიონერი ჯუზეპე ჯუდიჩე და არკანჯელო ლამბერტი.³⁵

არ არის ცნობილი, როდის ჩავიდა პიეტრო ავიტაბილე დანიშნულების ადგილზე, მაგრამ თავის მოხსენებაში მან ძალიან მომხიბვლელ ფერებში დახტა თეიმურაზ მეფის მიერ მისიონერების მიღება: „თეიმურაზის ერთგულება რომის მამამთავრისადმი, ეგოდენია, – წერდა ავიტაბილე, – რომ, როცა, შეიტყო თავის სამეფოში მოსვლა მის მიერ წარგზავნილ მღვდლებისა ერის სულიერად აღზრდისათვის, გამოუთქმელის სიხარულით აღივსო და მიიღო იგინი დიდის პატივით“. თეიმურაზს კათოლიკური სარწმუნოებისადმი თავისი მიდრეკილება იმითი გამოუხატავს, რომ, როდესაც მეფესთან მყოფმა ბერძნებმა რომაელების ჩამოსვლის შესახებ გაიგეს, აღშფოთდნენ და უნდოდან მათი გაძევება. მეფემ დაიფარა პატრები და ბერძნებს, „ზოგს მათგანს ძრიელ დაემუქრა და ზოგიც დასაჯა; ერთხელ ისე გაცხარდა, რომ ხელი დაიდო ხმალზე და ამოძრობას უპირებდა, თანაც დაიძახა: მირჩევნია თქვენ ყველა აქ მყოფი ბერძნები ამოგწყვიტოთ, ვიდრე ერთი ამ მონაზონთაგანი გავდევნო ჩემი სამეფოდგანო. ბოლოს იმ ბერძნებს მწვალებლები უწოდა“. ავიტაბილეს დახასიათებით, თეიმურაზი ნიჭიერი და განსწავლული კაცი იყო; მან კარგად იცოდა ძველი და ახალი აღთქმა, საეკლესიო კრებათა დადგენილებები და წმიდა მამათა წერილები.³⁶

ავიტაბილემ კარდინალებსაც მოახსენა ყველაფერი და დაარწმუნა ისინი, რომ თეიმურაზი, დედოფალი, საქართველოს პატრიარქი და ქართველობის უმეტესობა „რომის ერთგული და მორჩილი არიო“. მისი რომში მიღწეული წარმატებე-

32 პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე (XVII საუკუნე), გვ. 28. ვფიქრობ, ავიტაბილე უნდა გულისხმობდეს თეიმურაზ I-ს თავდასხმას გორზე, როდესაც ის იბრძოდა როსტომის ქართლში გამეფების წინააღმდეგ. თეიმურაზმა გორის დაპყრობა სცადა, მაგრამ ვერ შეძლო. ცნობილი წყაროებიდან ირკვევა, რომ თეიმურაზმა გამაგრებულ ქალაქში ვერ შეაღწია. ქალაქის შიგნით რაიმე სერიოზული შეტაკება არ მომხდარა. მასზე წინ კი, 1628 წლიდან, როდესაც მისიონერები მოვიდნენ გორში, სხვა რომელიმე ბრძოლა 1635 წლამდე ცნობილი არ არის. ვრცლად იხ. მამისთვალისმვლილი ე., გორის ისტორია, I (მეორე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა), გვ. 103-105.

33 იქვე, გვ. 30.

34 თამარაშვილი მ., ისტორია კათალიკოსებისა ქართველთა შორის, გვ. 107.

35 იქვე, გვ. 111-112.

36 იქვე, გვ. 109-110.

ბიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ის, რომ ნება დართეს მისიონერებს არა მხოლოდ ლოცვები ეთქვათ, არამედ ლათინური წირვაც ქართულად ჰქონებოდათ. ვფიქრობ, აღნიშნული ნებართვა მოპოვებული იქნა ქართული ეკლესიისა და მრევლის მოთხოვნით, რაც რომის ეკლესიისა და მისიონერების ინტერესსაც ასახავდა: მათ ქართულ ენაზე წირვის ჩატარება დაეხმარებოდათ ლათინურ ენაზე ღვთისმსახურებით დაახლოებოდნენ მართლმადიდებელ ქართველთა გულებს.

ავიტაბილეს არც ის დავიწყებია, როგორ გასწირა თავი სარწმუნოებისათვის თეიმურაზის დედა ქეთევანმა. ამიტომ თავისი მოხსენებაში გამოთქვა იმედი, რომ დედის მაგალითითა და ზეციური მადლით განათლდება თეიმურაზ მეფე დატოვებს ცდომილების (მართლმადიდებლობის) გზას და თავის ერთან ერთად შეუერთდება რომის ეკლესიას. მისიონერს იმედს ისიც უძლიერებდა, რომ მისი აზრით, ქართველების უმეტესი ნაწილი „ძრიელ მიდრეკილია კათოლიკობისა და რომის წესებისადმი, ასე რომ, როდესაც ჩვენს ქადაგებას ისმენენ და წირვა-ლოცვას ესწრებიან, ცრემლ მორეულნი ყურად იღებენ ამ ეკლესიის წესებს და მისის სიყვარულით აღტაცებულნი არიან“.³⁷

ჯუზეპე ჯუდიჩე და არკანჯელო ლამბერტი გორში ჩამოვიდნენ 1631 წლის 12 მაისს, ორი დღე შეისვენე და მეფე თეიმურაზს ეწვივნენ სოფელ საფურცლეში,³⁸ გორიდან ერთი დღის სავალზე. მეფე თეიმურაზი ამ სოფელში ელოდებოდა იმერეთის ბატონიშვილ ალექსანდრეს, გიორგი III-ის უფროსი შვილს (მეფობდა 1639-1660 წლებში), რომლისთვისაც უნდა მიეთხოვებინა თავისი დაქვრივებული ქალი დარეჯანი, ზურაბ არაგვის ერისთავის ნაცოლარი. საფურცლეში თავი მოეყარა თავადაზნაურობას. აქ იმყოფებოდნენ კათალიკოსი ზაქარია, ეპისკოპოსები და მონასტრების წინამძღვრები.

მისიონერებმა, ჩვეულებისამებრ, მეფეს მიაართვეს საჩუქრები.³⁹ მეფემ მისიონერები სადილზე მიიპატიჟა. საინტერესოა როგორ იყვნენ სტუმრები განლაგებული სუფრასთან, რაშიც კარგად გამოჩნდა მეფის პატივისცემა მისიონერებისადმი: სუფრის თავში, მარჯვნივ მისიონერები დასვა, მარცხნივ ეპისკოპოსები. მეფემ სთხოვა მათ დარჩენილიყვნენ მისი ქალის ქორწინებამდე, მაგრამ მისიონერებმა არ ინებეს, გადასცეს პაპისა და პროპაგანდის წერილები და გორში დაბრუნდნენ.

მათ კათალიკოსსაც მიუტანეს პაპისა და პროპაგანდის წერილები და მიაართვეს საჩუქრები: საეპისკოპოსო ძვირფასი თვალ-მარგალიტით მოჭედილი მიტრა და ოქრომკერდის ძვირფასი ფილონი, მაგრამ ორივე ლათინური ფორმისა, რის გამოც კათალიკოსს ისინი არ გამოადგა და ისინი თეიმურაზ მეფეს მიაართვე.⁴⁰

37 იქვე, გვ. 111.

38 საფურცლე – ახლანდელი სოფელი ნატახტარის ძველი სახელწოდება.

39 საჩუქრები იყო: „ერთი შვენიერი სამზილიანი (? - ე. მ.) საათი, რომელიც ჩარექებსაც რეკდა, რავდენიმე მწვანე და ოქროცურვილი შუშის ჭურჭელი, ოთხი მშვენიერი ხატი, საუცხოვო სარკე, რავდენიმე კრიალოსანი და ორი წყვილი ხელთათმანი. მოგზაურს პეტრე დელლა-ვალლესაც გამოეტანებინა თეიმურაზისათვის სათავაზებლად ერთი მშვენიერი წმიდა გიორგის ხატი, აბრეშუმით და ოქროთი შემკული და ერთიც ძვირფასი კრიალოსანი დედოფლისათვის. ეგრეთვე დედოფალსაც მიაართვეს სარკე, მოქარგული ხელთათმანები და ბევრი სხვა და სხვა კრიალოსნები. შემდგომ ამისა წარსდგნენ მეფის წინაშე, რომელმაც, დიდებულითა თანადასწრებით, მიიღო დიდის სიხარულით და მადლობა მოახსენა საჩუქრებისათვის; ეგრეთვე დიდათ დაუმაძღლა, რომ ყოველგვარი შეწუხება გამოიარეს, რათა მის სამეფოში მოსულიყვნენ“. იქვე, 112.

40 იქვე, გვ. 113.

„პატრი პიეტრო ავიტაბილე ამ დროს ისევ იტალიაში იმყოფებოდა, მან შემოიარა თეატინთა მონასტრები, სურდა საქართველოში წამოეყვანა ახალი მისიონერები. მან შეკრიბა ექვსი მოძღვარი – პატრი იერონიმე კარაფა, პატრი ქრისტოფორო დე კასტელი, პატრი ჯუსტო პრატო, პატრი ანტონიო ჟარდინა, პატრი სერაფინო ფილენჯიერო, პატრი ვინჩენცო კარაფა, ორი მორჩილი ძმა – გაიტანო კორლიტო და მატეო ფლორინ. ისინი გორში ჩამოვიდნენ 1632 წლის 10 ივლისს. მათ ოსმალებმა ბევრი რამ წაართვეს, არზრუმში სომხები დაეხმარნენ, მათგან ცოტა ფულიც ისესხეს და თბილისისკენ მიმავალ ქარავანს გაჰყვნენ. გზაში პატრები ისევ სომხებმა გაძარცვეს, ასე, რომ ისინი სრულიად ცარიელნი მოვიდნენ გორში.

მეფის წინაშე წარმდგარმა ახალჩამოსულმა მისიონერებმა მას გადასცეს მცირეოდენ გადარჩენილი საჩუქრები და პაპისა და პროპაგანდის წერილები.⁴¹ ავიტაბილეს იტალიიდან დაბრუნების შემდეგ საგრძნობლად შეიცვალა მეფე თეიმურაზის დამოკიდებულება მისიონერებისადმი. ამ ცვლილებების მიზეზად მ. თამარაშვილი ასახელებს შემდეგს: ხალხში ხმა გავრცელებულა, რომ ავიტაბილემ დიდი ფული ჩამოიტანაო. თეიმურაზ მეფე ფულის დიდ ნაკლებობას განიცდიდა და პატრს შეუთვალა 10 ათასი სკუდი მასესხეო. პატრის პასუხი, ბუნებრივია უარყოფითი იყო, რამაც მეფესა და პატრებს შორის უსიამოვნება გამოიწვია. მეფესთან კარგ ურთიერთობაში მყოფმა ჯაკომო დი სტეფანომ მეფეს აუხსნა, რომ გავრცელებული ხმა არ შეეფერებოდა სიმართლეს. მეფემ ბოდიში მოუხადა პატრებს. „ამ შემთხვევამ მაინც კი სამწუხარო გავლენა იქონია თეიმურაზზედ, – წერდა მ. თამარაშვილი, – რადგან ცოტა არ იყოს, გული გაუგრილდა და ამის შემდგომ აღარ უცხადებდა იმ ერთგულებას, რომელიც აქამდე ბევრნაირის საქმით დაუმტკიცა“.⁴² საფიქრებელია, მეფესა და მისიონერებს შორის უკმაყოფილების მიზეზი ის უნდა ყოფილიყო, რომელიც მ. თარხნიშვილმა სხვა წყაროების საფუძველზე დაასახელა – წმ. კონგრეგაციის მიერ მისიონერებისათვის მკურნალობის უფლების ჩამორთმევა 1631 წლის 3 თებერვალს.⁴³ შეიძლება ერთ-ერთ მიზეზად ჩაითვალოს ისიც, რომ პაპი დაჟინებით მოითხოვდა თეიმურაზ მეფის მიერ კათოლიკური სარწმუნოების საქვეყნოდ აღიარებას.

ურბან VIII-ის საქართველოსთან ურთიერთობაში უმთავრეს ინტერესს წარმოადგენდა ამ ქვეყანაში პაპის პრიმატის აღიარება და კათოლიციზმის გავრცელება. პაპი მეფეს მოუწოდებს (1628 წ. 2 დეკემბერი), რომ რაც შეიძლება მალე შევიდეს „დედა რომის ელკესიის ნიაღში... ხოლო, როდესაც შენ ყველა წესის დაცვით აღიარებ ორთოდოქსულ სარწმუნოებას და საზეიმოდ განაცხადებ მორჩილებას, და ეს ცნობა ჩვენთან მოვა, მაშინ სამოქალაქო ხელისუფლება, რომელიც ყოვლისშემძლე მოსამართლის ჩაგონებით ახდენს მეფეების ტახტზე დასმას და სამფლობელოების გადანაწილებას, დაამტკიცებს შენს მონარქიულ მმართველობასაც პაპის საზეიმო ლოცვა-კურთხევით. შემდეგ შევეცდებით ძმურად განვანყოთ ქრისტიანი მეფეები, განსაკუთრებით დავიყოლიოთ შენთვის სასურველ მეგობრობაზე ესპანეთის მეფე“.⁴⁴ თეიმურაზისათვის ნათელი უნდა

41 იქვე, გვ. 116-117.

42 იქვე, გვ. 122-123.

43 თარხნიშვილი მ., თეატინელი მოციქულები საქართველოში XVII საუკუნეში, გვ. 381.

44 ტაბალუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, III, გვ. 199. ვრცლად იხ. მამისტვალისშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა სდა დიპლომატია, III, გვ. 306-308.

ყოფილიყო, რომ პაპი და მასთან ერთად კათოლიკური ქვეყნები, დახმარებას კი არ პირდებოდნენ, არამედ, ჯერ-ჯერობით მეფედაც კი არ თვლიდნენ. ისინი მას მეფედ მხოლოდ მაშინ აღიარებდნენ, როდესაც საზეიმოდ გამოაცხადებდა პაპისადმი მორჩილებას და მიიღებდა კათოლიკურ სარწმუნოებას.

1632 წელს თეიმურაზ I-ს შაჰ აბას I-ის ირანზე შურისძიების საშუალება მიეცა. მან ისარგებლა ირანის გაჭირვებული მდგომარეობით, ოსმალები უტევდნენ ირანს და ქართლ-კახეთის გაერთიანებული ლაშქრით, ლევან დადიანისა და იმერეთის მეფის, ალექსანდრეს შეწვევით, აიკლო ირანის სამფლობელოები აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. თეიმურაზს მიემხრო ყარაბაღის ბეგლარბეგი დაუდ-ხანი, წარმოშობით ქართველი – უნდილაძე.⁴⁵

ავიტაბილე მონათხრობის მიხედვით, თეიმურაზმა დიდ წარმატებას მიაღწია. ის და დაუდ-ხანი დიდი ნადავლით დაბრუნდნენ საქართველოში, დაუდ-ხანი გორში მოვიდა. მან დიდი ყურადღება გამოამჟღავნა კათოლიკე პატრების მიმართ. ავიტაბილეს ჩანაწერებიდან არ ჩანს, სად იმყოფებოდა თეიმურაზი. რამდენიმე ხნის შემდეგ მეფე თეიმურაზმა კვლავ შეკრიბა ჯარი, დაუდ-ხანიც მას შეუერთდა და განმეორებით აიკლეს შაჰის სამფლობელოები. მეორე ლაშქრობიდან მობრუნებული თეიმურაზი, დაუდ-ხანი და მათთან ერთად ავიტაბილეს, რომელიც ყარაბაღში დაუთ-ხანთან იმყოფებოდა თეატინელთა მისიის დასაარსებლად, გორში მოვიდნენ.⁴⁶ საფიქრებელია, რომ ფარსადან გორგიჯანიძის მიერ აღწერილი თეიმურაზის გორში მოსვლა და დიდი ზეიმი, ავიტაბილეს მიერ აღნიშნული მეორე ექსპედიციის შემდეგ უნდა მომხდარიყო.

დაუდ-ხანს გორში ეწვია ოსმალეთის სულთნის ელჩი. დაუდ-ხანსა და მის სტუმარს კათოლიკე პატრებმა უმასპინძლეს.⁴⁷ უნდა ვივარაუდოთ, რომ დაუდ-ხანი ოსმალეთის ელჩთან ანტიირანულ მოლაპარაკებას აწარმოებდა, მაგრამ როსტომ მეფის (1633-1658) ქართლში შემოსვლის გამო, იძულებული გახდა ოსმალეთში გაქცეულიყო.⁴⁸

განრისხებულმა შაჰ სეფიმ თეიმურაზი ტახტიდან გადაყენებულად გამოაცხადა და ქართლის სამეფო ირანში აღზრდილ, გამუსლიმებულ როსტომს⁴⁹ გადასცა. 1633 წ. დასაწყისში როსტომი დიდი ჯარით შემოვიდა ქართლში.⁵⁰ რო-

45 დაუდ-ხან უნდილაძეზე იხ. მამისთვალისძვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, ტ. VI, გვ. 333-348.

46 პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე (XVII ს.), გვ. 44.

47 დაუდ-ხანსა და გორის კათოლიკე მისიონერებს ურთიერთობა ადრეც ჰქონდათ. თეატინელთა მისიონის დაარსების მიზნით, ავიტაბილე სხვა ორ მისიონერთან ერთად დაუდ-ხანს განჯაში ეწვია. ტაბალუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, III, გვ. 183-184.

48 პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე (XVII ს.), გვ. 46, 50.

49 ხოსრო/ქაიხოსრო ბაგრატიონი, სიმონ I-ის ძმის, დავით/დაუდ-ხანის უკანონო შვილი.

50 როსტომის ქართლში შემოსვლისა და გამეფების სხვადასხვა თარიღია. ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა, რომ როსტომი ქართლში უნდა გამეფებულიყო 1632 ან 1633 წელს. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 270. პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე (XVII ს.), გვ. 26. შემდგომი დროის გამოკვლევებში კი უპირატესობა მიენიჭა 1632 წელს. სანდო უნდა იყოს ავიტაბილეს ცნობა, რომლის მიხედვით როსტომი ყიზილბაშთა ჯარით საქართველოში შემოვიდა 1633 წ. დასაწყისში. პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე (XVII ს.), გვ. 26. ავიტაბილე ხომ გორში დახვდა როსტომს.

სტომ მეფე და როსტომ-ხან სააკაძე გორში იმყოფებოდნენ 1633 წლის 31 მაისიდან 12 ივლისამდე.⁵¹

როსტომმა მაშინვე გამოამჟღავნა კათოლიკე პატრებისადმი კეთილგანწყობა. ყიზილბაშებმა თეატინელთა და ავგუსტინელების ეკლესიების გარდა, ყველა სხვა ეკლესია დაკეტეს. ქართველთა ის ეკლესიები, რომელიც სიმაგრეში იყო, მეჩეთებად, ხოლო სომხების ეკლესია ცხენების თავლად გადააქციეს. ქართული და სომხური ეკლესიები დაკეტილი იყო ოთხი თვის განმავლობაში.⁵² პატრებმა როსტომს მცირე საჩუქარი (იტალიიდან ჩამოტანილი მოოქრულ ჩარჩოში ჩასმული ერთი სარკე, მწვანე მინის ლარნაკი, ბუდე მაკრატლით და მოოქრული პატარა დანები) მიართვეს და კეთილი მოსვლა უსურვეს.⁵³ როსტომმა დიდი პატივით მიიღო ისინი, თეიმურაზის მიერ მინიჭებული ყველა პრივილეგია დაუმტკიცა და თავის მფარველობასაც დაპირდა.⁵⁴ მან ბრძანა, არავის შეეწუხებინა პატრები და მათი მონასტრების, ეკლესიების და სხვა ნაგებობათა აშენების სურვილიც გამოთქვა.⁵⁵

მეფის ასეთი განწყობილების მიუხედავად, ხალხმა იმდენად შეავიწროვა მისიონერები (ორჯერ ცეცხლიც კი ნაუკიდეს მათ სახლს), რომ სპეციალურად დაყენებულმა ჯარისკაცებმაც კი ვერ უზრუნველყვეს მათი უსაფრთხოება და პატრები იძულებული გახდნენ დროებით გორიდან გასულიყვნენ.⁵⁶ ავიტაბილე სხვაგანაც აღნიშნავს, რომ მდაბიო ხალხი კეთილი თვალთ არ უყურებდა პატრებს, „ნარჩინებულები“ კი დიდ პატივისცემას ამჟღავნებდნენ.⁵⁷

1633 წ. ზაფხულში ქალაქსა და მახლობელ სოფლებში დაბანაკებული ყიზილბაშთა თითქმის მთელი ჯარი დასაქმებული იყო გორისციხის აღდგენით. ავიტაბილე მწუხარებით აღნიშნავს: „ბევრი ავი რამ გადაგვხდა აგვისტოს თვემდე, სანამ ამ ქალაქში ციხეს ააშენებდნენ“-ო.⁵⁸

როსტომის მიერ გატარებულ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებათა შორის, ერთ-ერთი გორის ციხის აღდგენა იყო. მშენებლობას როსტომ-ხან სააკაძე ხელმძღვანელობდა. მშენებლობა ჯერ კიდევ დასრულებული არ იყო, რომ როსტომ-ხანმა პატრი ჯაკომო და ქრისტოფორო კასტელი გამოიძახა და ციხის სურათის დახატვა მოსთხოვა. დაკვეთა შეასრულა კასტელმა. როსტომ-ხანს ძლიერ მოეწონა ნახატი და მეორე დღესვე ირანის შაჰს გაუგზავნა.⁵⁹ საკმაოდ განსხვავებულ ვერსიას გვთავაზობს თვით კასტელი. კასტელი ამბობს: „8-ში როსტომ ხანთან მიმიყვანეს. მან მკითხა: შემეძლო თუ არა მისთვის ციხესიმაგრის სურათი გამეკეთებინა, რადგან სურდა, რომ იგი შემდეგში თავის ბატონთან შაჰთან, გაეგზავნა. ბოლოს დასძინა, რომ ჩემი დიდი მადლობელი იქნებოდა და

51 ვრცლად იხ. მამისთვალისვილი ე., გორის ისტორია, I, გვ. 98-102.

52 იქვე.

53 პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე (XVII ს.), გვ. 52.

54 თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 125.

55 პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე (XVII ს.), გვ. 52.

56 იქვე, გვ. 27.

57 იქვე, გვ. 53.

58 იქვე, გვ. 37.

59 იქვე, გვ. 56.

დამაჯილდოვებდა...“ კასტელმა გორისციხე დახატა „სპარსეთის ქალაქის ფურცელზე“, რომელიც იტალიურ 10 ფურცელს უდრიდა. ფრიად მნიშვნელოვანია მისიონერის ერთი ფრაზა: „როსტომ ხანს ქალაქზე დავუხატე ციხესიმაგრე, რომელიც შემდეგ უნდა აეგო“. ისე გამოდის, რომ გორის ციხე, რომელიც ნახატითაა ცნობილი, კასტელის გეგმით აიგო. როგორც იგი შემდეგ აღნიშნავდა, ნახატის გამო სპარსელები დიდი ყურადღებით ეპყრობოდნენ მისიონერების სამუშაოს.⁶⁰ კასტელმა ქალაქის გეგმაც შეადგინა და რომში გაგზავნა.⁶¹ 1642 წლის 12 ნოემბრის წერილში, რომელიც სამეგრელოდანაა გაგზავნილი, კასტელი წერდა, რომ როსტომ ხანმა ბრძანება გასცა კასტელის დაჯილდოვების შესახებ, მაგრამ მხატვარი უარს ამბობდა ჯილდოს მიღებაზე და ითხოვდა, რომ გაეთავისუფლებინათ ქრისტიანი ქალი, რომელიც ყიზილბაშებს ჰყავდათ შეპყრობილი. ამ ქალის შესახებ თვითონ კასტელი გადმოგვცემს შემდეგს: გორში „ჯარისკაცებს შეეპყროთ ერთი ქრისტიანი ეროვნებით სომეხი ქალი, მასთან სქესობრივი კავშირის დასაჭერად, ისევე როგორც ქართლის მთელ მხარეში სპარსელ მეომრებს არაერთხელ ჩაუდენიათ ბოროტებით აღსავსე სისაძაგლე“.⁶² კასტელმა თავის სახლში შეიფარა ქალი, მივიდა სარდალ როსტომ სააკაძესთან და სთხოვა ლტოლვილის დაცვა. სარდალმა შესაბამისი ბრძანება გასცა და ქალი საკუთარ სახლში დაბრუნდა.⁶³

უცოლო როსტომმა თავის კარისკაცების რჩევით, გადაწყვიტა ეთხოვა ლევან II დადიანის და მარიამი, სიმონ გურიელის ნაცოლარი. დადიანმა, სიხარულით მიიღო ეს წინადადება, მიუხედავად იმისა, რომ მარიამი ამ ქორწინების წინააღმდეგი იყო. როსტომი პატარძალს სურამში შეხვდა, გორში მობრუნდა, თან მოიყვანა სამეგრელოდან მოსული მრავალრიცხოვანი მაცრიონი. დედოფალს ავგუსტინელების ეკლესიის და თეატინების სამლოცველოს ნახვის სურვილი გამოუთქვამს.⁶⁴ ის დიდი ამალით ეწვია კათოლიკურ ეკლესიებს. საყურადღებოა, რომ გორში თეატინელთა და ავგუსტინელებს ეკლესიების გარდა, როგორც აღინიშნა, ქართული და სომხური ეკლესიები დაკეტილი იყო. სავარაუდოა, მისიონერებისა და მათი ეკლესიების დაცვის ბრძანება, როსტომს ირანიდან გამოატანეს.

მარიამზე განსაკუთრებული დადებითი შთაბეჭდილება მოახდინეს ჯუდიჩემ და ლამბერტმა. პატრებიც კმაყოფილნი დარჩნენ,⁶⁵ ალბათ, იმით, რომ დედოფალმა მათ მატერიალური დახმარება აღმოუჩინა.

როგორც ითქვა, მარიამს მრავალი დიდებული ახლდა ოდიშიდან და გურიიდან. დასავლეთ საქართველოდან მოსულმა სტუმრებმა მისიის პრეფექტს,

60 ლიჩინი ა., კრისტოფორო კასტელი და მისი მისია საქართველოში / თარგმანი და შენიშვნები მურმან პაპაშვილისა, თბ., 2009, გვ. 49.

61 თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა საქართველოში, გვ. 125. როგორც კასტელი გადმოგვცემს, ის ქართველი მესვეურებისაგან ხშირად ღებულობდა დავალებას, დაეხატა საფორტიფიკაციო ნაგებობები. ლიჩინი ა., კრისტოფორო კასტელი და მისი მისია საქართველოში, გვ. 127.

62 კრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და აღბოძი საქართველოს შესახებ, გვ. 71.

63 იქვე, გვ. 72.

64 პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე (XVII ს.), გვ. 52.

65 იქვე, გვ. 28.

ავიტაბილეს სთხოვეს მისიონერები გაეგზავნა გურიაში. ასე აღმოჩნდნენ კრისტოფორო კასტელი, ანდრია ჯარდინა და მორჩილი ძმა კლაუდიო გურიაში. 1635 წ. სექტემბერში გორში მოვიდა დომინიკელთა მორჩილი ძმა ჯოვანი და ლუკა, კაფას მისიონერი. მან მოიტანა წერილები და მცირეოდენი მოწყალება ვალებში ჩაფლული თეატინელი პატრებისათვის. ჯოვანი და ლუკას მოლაპარაკება ჰქონდა მისიონერ ანგოლისთან,⁶⁶ მაგრამ არ ვიცით, რა იყო მოლაპარაკების საგანი.

მისიონერების საწინააღმდეგო გამოსვლა მოხდა გორში 1634 წელს, როდესაც პატრებმა ერთ-ერთი მართლმადიდებელი ნასყიდა ლოპომანის (?) გაკათოლიკება მოინდომეს. გორელებმა დამნაშავეს დასჯა განიზრახეს და კათოლიკეთა ტაძარი დაანგრიეს.⁶⁷

რაც დრო გადიოდა, თეატინელი მისიონერების რიცხვი გორში მცირდებოდა. როგორც ზემოთ ითქვა, მათი ნაწილი გურიაში და სამეგრელოში გადავიდა: გურიაში – პატრი კრისტოფორო კასტელი, პატრი ჯარდინა და მორჩილი ძმა კლაუდიო, სამეგრელოში – პატრი ჯუდიჩე და პატრი ლამბერტი. ავიტაბილეს 1635 წლის ერთი რელაციიდან ვიგებთ, რომ 1634 წელს გორში მისიონერთა მთავარ რეზიდენციაში ჭირი გაჩნდა, რომელმაც რამდენიმე მისიონერი შეიწირა. ასე თანდათან გორის მისიონი საკმაოდ შემცირდა და ავიტაბილე იძულებული შეიქმნა იტალიიდან ახალი მისიონერები დაებარებინა. ის ჩავიდა ალექსოში საიდანაც იოლად შეიძლებოდა რომში წერილის გაგზავნაც და ფულადი დახმარების მიღებაც. „საქართველოს მისიონის გასაძლიერებლად წმ. კონგრეგაცია ფიდემ რვა მისიონერი გამოგზავნა. ესენი იყვნენ: ანტონიო კორერო, ვინჩენცო ჯილბერტი უმცროსი, ფრანჩესკო მარია მაჯო, მორჩილი ძმა ბონავენტურა ბოვიო, მორჩილი ძმა ემანუელე დ'არენა, მორჩილი ძმა ფრანჩესკო პისტოია და სამი მორჩილი ძმა ერისკაცებიდან“. მისიონერები ორ ჯგუფად დაჰყვეს, რადგან ამდენი ხალხის ერთად გაგზავნა საშიში იყო. ამას გარდა, შემდგომში შეიძლებოდა სხვა მისიონერების გაგზავნა, როგორც ქართლში, ისე სამეგრელოში. კორერო, ჯილბერტი, ვერიჩელი და ორი მორჩილი ძმა – ბოვიო და პისტოია კონსტანტინეპოლისაკენ გაემგზავრნენ. აქედან ისინი სამეგრელოში უნდა ჩასულიყვნენ. დანარჩენი სამი – გალანო, მაჯო და ემანუელე – ალექსო გზით ქართლში გაემგზავრნენ. ისინი ქალაქ ალექსოში მამა პიეტროს შეხვდნენ. აქედან ყველანი ჯერ არზრუმში გაემგზავრნენ, ხოლო 1637 წელს გორში მოვიდნენ“.⁶⁸

საბოლოოდ გორში ორი მღვდელი და ერთი მორჩილი ძმა დარჩა. შემდეგ ისინიც სამეგრელოში გადავიდნენ. ასე, რომ 1636 წლიდან გორში თეატინები აღარ იყვნენ. თეატინების მოღვაწეობა კიდევ რამდენიმე ხანს გაგრძელდა იმერეთში,

66 იქვე, გვ. 37.

67 იქვე, გვ. 63.

68 არკანჯელო ლამბერტი, წმინდა კოლხეთი / იტალიურიდან თარგმნა გიორგი ცქიტიშვილმა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, განმარტებები და საძიებლები დაურთო დავით მერკვილაძემ, თბ., 2020, გვ. 241; მ. თამარაშვილის მიხედვით, 1637 წელს გორში მოვიდა მხოლოდ ორი მისიონერი – ფრანჩესკო მაჯო და კლემენტე გალანო. მაგრამ არც ეს უკანასკნელი დარჩა დიდხანს, ჯერ სამეგრელოში გადავიდა, შემდეგ კონსტანტინოპოლში წავიდა, სადაც სომხების სკოლა დაარსა. თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 130.

სამეგრელოსა და გურიაში. მაგრამ, იმავე საუკუნის 60-იან წლებში მათი რიცხო-
ბრივად შემცირებისა და რომიდან ახალი მისიონერების გამოუგზავნელობის
გამო, თეატინები გადაშენდნენ.⁶⁹

Eldar Mamistvalishvili

From the History of the Mission of Theatines in Gori

Summary

1628, missionaries of two Catholic orders – Augustinians and Theatines came to Georgia (Gori). The article talks only about the Theatine missionaries, who made a name for themselves with their education and attitude towards Georgia: they left reports and books that bear utmost importance and are the most important historical source for the history of Georgia in the first half of the 17th century. They had quite good relations with the King of Kartli and Kakheti, Teimuraz the First, then with the King of Kartli, Rostom. They showed their serious attitude towards the country by the fact that majority of them started learning the Georgian language immediately upon their arrival and had achieved serious success. Pietro Avitabile, Cristoforo Castelli, Giuseppe Giudice, Arcangelo Lamberti, Clemente Galano, Giusto Prato, Giuseppe Maria Zampi and others. They treated the population without pay, were artists, builders. etc. Due to various diseases and unstable political situation, since 1636 there were not any more Theatines in Gori. They moved to Western Georgia and for some time worked in Imereti, Samegrelo and Guria.

69 თეატინელების გორში ყოფნისა და საქმიანობის შესახებ იხ. მამისთვალისშვილი ე., გორის იტორია, ტ. I, გვ. 405-420.

**ვარლამ ჩერქეზიშვილის დაბრუნება:
საქართველოში წაკითხული ლექციები**
(1917-1920 წლები)

„ვარლამი გაუსწორებელი ოპტიმისტი იყო. არ შემხვედრია ერთი ქართველიც, ვისაც ისე სწამდა საქართველოს მომავალი, როგორც მას. ეს იყო არა მარტო რწმენა, არამედ სარწმუნოება მისთვის“

აკაკი ჩხენკელი

შესავალი

1917-1921 წლებში ვარლამ ჩერქეზიშვილის საქმიანობა საქართველოში ფაქტობრივად შეუსწავლელია.¹ წინამდებარე სტატიის თემაზე, რომელიც საქართველოში მისი მოღვაწეობის მხოლოდ ნაწილს მოიცავს, გამოქვეყნებული მათქვს ორი წერილი.²

72 წლის ვარლამ ჩერქეზიშვილის საქართველოში დაბრუნება არ გავდა მისი მეგობრის პეტრე კროპოტკინის რუსეთში დაბრუნებას. რუსეთში ანარქისტები ჯერ კიდევ ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდნენ და თავიანთ სახელოვან და ხანდაზმულ ლიდერს საზეიმო დახვედრა მოუწყეს. საქართველოში ანარქისტები ფაქტობრივად აღარ იყვნენ, პოლიტიკურ ცხოვრებაში დომინირებდნენ სოციალ-დემოკრატები. ამ პარტიისთვის კი ვარლამ ჩერქეზიშვილი ძველ და სერიოზულ პოლიტიკურ მონიშნულად იქნა წარმოადგენდა.

გაზეთ „საქართველოს“ ჟურნალისტი ტიტე ტაბიძე³ აღნიშნავდა, რომ ვარლამ ჩერქეზიშვილს, ისევე როგორც მიხა ცხაკაიას, თავისუფლად შეეძლო პეტროგრადში დარჩენა. „რუსეთის უკაცური რევოლუციისთვის ზედმეტად საჭირონი იყვნენ ორივენი. დიდი ამბით იქმნა აღნიშნული სატახტო გაზეთში მათი ჩამოსვლა“. მაგრამ „ჩერქეზიშვილმა ჩამოსვლისთანავე წაიკითხა იქ ლექცია სრულიად არა მოდის კითხვაზე. „საქართველოს რუსეთთან დადებულ ხელშეკრულებაზე“ და პირველ შეძლებისთანავე საქართველოში ჩამოვიდა“. საქართველოში დაბრუნებულ ჩერქეზიშვილზე კი ტიტე ტაბიძე წერს: „აქ ბევრს არ გაუგია მისი ჩამოსვლა, არაფერ ცერემონიას არ ჰქონია ადგილი, დღესაც ჩუმად დადის ის, ჩვენში ყველა პროპაგანდისტს ჰგონია, რომ იმას მოაქვს რევოლუციის ბედი, ზოგიერთს დიდი სახელიც აქვს“.⁴

1 შეიძლება გამოვყოთ დიმიტრი შველიძის ნაშრომი „აი, ვინ იყო, ქართველნი, ვარლამ ჩერქეზიშვილი!“, თბ., 2021. გვ. 417-439.

2 მაცაბერიძე მ., ვარლამ ჩერქეზიშვილი 1917 წელს: საქართველოში დაბრუნება. ჟურნ. „პოლიტიკა“, 2023, N 1, გვ. 40-50; მაცაბერიძე მ., ვარლამ ჩერქეზიშვილის ლექციები ერთა ლიგაში საქართველოს შესვლის აუცილებლობის შესახებ. ჟურნ. „პოლიტიკა“, 2023, N 2, გვ. 78-84.

3 ტიტე ტაბიძე პოეტი ტიცვიან ტაბიძეა. იგი იმ დროს ჯერ კიდევ ტიტეს სახელს ატარებდა.

4 გაზ. „საქართველო“, 1917 წ., 22 (4) აგვისტო.

სოციალ-დემოკრატების მთავარი ორგანო გაზეთი „ერთობა“ ჩერქეზიშვილის საქართველოში ყოფნას აღნიშვნის ღირსად არ თვლიდა, ჩერქეზიშვილს უცხო პოლიტიკურ ძალის წარმომადგენლად მიიჩნევდნენ ეროვნულ-დემოკრატები, თუმცა მოკლე ინფორმაციის გარდა, ერთი სტატიაც (ტიტე ტაბიძის) გამოაქვეყნეს ვარლამ ჩერქეზიშვილის შესახებ. სოციალისტ-ფედერალისტების გაზეთი „სახალხო საქმე“ მიმდინარე ამბების ქრონიკაში ასევე ახსენებდა ვარლამ ჩერქეზიშვილს. ყველაზე მეტად ჩერქეზიშვილის საქმიანობით კი ქუთაისში გამომავალი გაზეთი „ჩვენი ქვეყანა“ დაინტერესდა. სწორედ ამ გაზეთმა გამოაქვეყნა ვარლამ ჩერქეზიშვილის მიერ ქუთაისში წაკითხული ორი ლექციის მოკლე შინაარსი, საიდანაც ჩვენთვის ცნობილი ხდება გამოჩენილი ქართველი ანარქისტის დამოკიდებულება მსოფლიოში და საქართველოში მიმდინარე მოვლენებისადმი.

ვარლამ ჩერქეზიშვილი, ცხადია, სოციალ-დემოკრატებსაც იცნობდა და ზოგიერთ მათგანთან პირადი ურთიერთობაც ჰქონდა, მაგალითად აკაკი ჩხენკელთან. ეს უკანასკნელი შემდგომ იხსენებდა 1910 წელს ლონდონში ვარლამ ჩერქეზიშვილთან გამართულ კამათს. მაშინ თურმე ვარლამი უმტკიცებდა, რომ „რუსეთის იმპერია ჩქარა დაინგრევა, როგორც ძველი რომის იმპერია და მაშინ საქართველო განთავისუფლდება“. აკაკი ჩხენკელს კი ამის არ სჯეროდა. მეორედ ვარლამ ჩერქეზიშვილი აკაკი ჩხენკელს 1920 წელს საქართველოში შეხვდა. როგორც აკაკი ჩხენკელი იგონებდა „შეხვედრის უმაღლესი თვალი თვალს გავუყარეთ და თავში ლონდონის კამათმა გაგვიელვა, ენა კი არ დაგვიძრავს: მე ვარლამის სახეში ვკითხულობდი გამარჯვებას, ის კი ჩემსაში დამარცხებას...“⁵

როგორ ცხოვრობდა ვარლამ ჩერქეზიშვილი დამოუკიდებელ საქართველოში

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ვარლამ ჩერქეზიშვილი და მისი მეუღლე ფრიდა რუპერტუსი ერთ პატარა სახლში ცხოვრობდნენ, ალექსეევკის ქუჩის მე-8 სახლში. თუ როგორ ცხოვრობდა ვარლამი საქართველოში, ამის შესახებ აკაკი ჩხენკელი იგონებდა: „მამა დავითის აღმართზე თქვენ დაინახავდით ერთ სოფლურ ქვიტკირის ოდას; მეორე სართულზე მიმავალი კიბე ფრთხილად უნდა აგველოთ, რომ არ დამტვრეულიყავით, და იქ იხილავდით ვარლამს და ქნფრიდას ორ ოთახში – მთელს სართულში მეტი არც იყო. ესეც ნათესავს ეთხოვებია მათთვის. მეტად უჭირდათ მათ ყოველ დღე ქალაქში დაშვება და ამოსვლა, ისინი ხომ აქაც თავის შრომით ირჩენდნენ თავს, თან სადილიც დაბლა უნდა ეჭამათ. ბევრი ეცადენ ბინის გამოცვლას, მეგობრებიც ეხმარებოდნენ, ვერას გახდნენ; ვარლამი შერჩა თავის ოდას სამშობლოს დამხობის შემდეგაც მთელი ერთი წელი“.⁶

აკაკი ჩხენკელის თქმით, ვარლამი საქართველოში გაცილებით უარესად ცხოვრობდა, ვიდრე ლონდონში, მაგრამ მას არასოდეს გამოუთქვამს პირადი საყვედური ვინმეს მიმართ ან რაიმეს თაობაზე, „მითქმა-მოთქმა და უკმაყოფი-

5 ჩხენკელი ა., ვარლამ ჩერქეზიშვილი. მოგონება, გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, 1938 წ., თებერვალი, N 143.

6 ჩხენკელი ა., ვარლამ ჩერქეზიშვილი. მოგონება, გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, 1938 წ., თებერვალი, N 143

ლება მმართველებზე მასზე არ მოქმედებდა“. ერთხელ აკაკი ჩხენკელისთვის უთქვამს: „ახალი სახელმწიფოა, ჯერ გამოუცდელი არიან, უნდა მოვითმინოთ; თავი და თავია გარეშე მტერმა არ გაგვსრისოს, თუ ამას გადაურჩით, თან და თან გამოსწორდება ყველაფერი“.

როგორი წარუდგა ქართულ საზოგადოებას ვარლამ ჩერქეზიშვილი

სანამ ვარლამ ჩერქეზიშვილის მიერ წაკითხული ლექციების შესახებ ვისაუბრებდეთ, მართებული იქნება აღვნიშნოთ, თუ როგორ გამოიყურებოდა ამ დროს და რა შთაბეჭდილებას ახდენდა საზოგადოებაზე ცნობილი ქართველი ანარქისტი.

1917 წლის 20 ივლისს (ახ. სტ. 2 აგვისტოს) ვარლამ ჩერქეზიშვილი ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების გაზეთ „საქართველოს“ რედაქციას ეწვია და ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა გაზეთის თანამშრომლებთან, პირველ რიგში რედაქტორთან გრ. ვეშაპელთან. მეორე დღეს – 1917 წლის 21(3) ივლისს გაზეთი „საქართველო“ იუწყებოდა: „ამ ჟამად თბილისში იმყოფება ცნობილი ანარქისტი ქართველი საზოგადო მოღვაწე ვარლამ ჩერქეზიშვილი, რომელიც აქამდე ინგლისში სცხოვრობდა. მსცოვანი მოღვაწე გუშინ ჩვენს რედაქციას ეწვია და ხანგრძლივი საუბარი იქონია რედაქციის წევრებთან ქართულ საკითხის შესახებ. ვარლამ ჩერქეზიშვილი აპირებს ამ საკითხის შესახებ ლექციათა მთელი რიგის წაკითხვას“.

ცნობილ რევოლუციონერთან ხანგრძლივი საუბარი არ აღმოჩნდა იმის ღირსი, რომ გაზეთს უფრო მეტი დაეწერა მისი შინაარსის შესახებ. როგორც ჩანს, რედაქტორმა გრ. ვეშაპელმა საკმარისად მიიჩნია მხოლოდ ზემოთ მოყვანილი მოკლე ინფორმაცია. ამის მიზეზი, ალბათ, პოლიტიკურ შეხედულებებში არსებული სხვაობა იყო. რედაქციის თანამშრომელმა ტიტე ტაბიძემ შემდეგ გაიხსენა კამათი მათ რედაქტორსა და სტუმარს შორის: „იმ დღეს ჩვენმა რედაქტორმა აიღო თავის თავზე ცუდი როლი სკეპტიკურად დაეხასიათებია საქართველოს დღევანდელი პოლიტიკური მდგომარეობა – მისი დასკვნა ძირიანად უარყოფდა ვარლამ ჩერქეზიშვილის შეხედულებას:

– როგორც უნდა იყოს, მე მძულს ოფიციალი ქეშმარიტება, ოფიციალი მთავრობა, მე ვებრძოლები სოც. დემოკრატებს, ისე როგორც ვებრძოდი ძველ მთავრობას... მისი ფიცხი ხმა გულისხმობს, რომ ამ ბრძოლას ექნება სიმწვავე“.⁷

სამწუხაროდ, ტიტე ტაბიძე არაფერს ამბობს თუ რაში მდგომარეობდა ან მათი რედაქტორის გრიგოლ ვეშაპელის „ცუდი სკეპტიციზმი“ ანდა ვარლამ ჩერქეზიშვილის ოპტიმიზმი საქართველოს მომავალთან დაკავშირებით. ეს ოპტიმიზმი ჩანს ჩერქეზიშვილის ლექციებში, როდესაც საქართველოს პოლიტიკურ პარტიებს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისკენ მიმართული ნაბიჯების გადადგმას ურჩევდა. ამ საუბრის დროს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე ერთ წელიწადზე ნაკლები რჩებოდა...

ვარლამ ჩერქეზიშვილმა რედაქციის თანამშრომლებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და ტიტე ტაბიძემ რამდენიმე ხნის შემდეგ, სექტემბრის დასაწყისში (ახალი სტილით) გამოაქვეყნა სტატია „ვარლამ ჩერქეზიშვილი და მისა ცხაკა-

7 გაზ. „საქართველო“, 1917 წ., 22 (4) აგვისტო.

ია“, სადაც იხსენებდა რედაქციაში ვარლამ ჩერქეზიშვილის სტუმრობას. ტიტე ტაბიძე აღნიშნავდა: „მე ერთხელ ვნახე ვარლამ ჩერქეზიშვილი ჩვენ რედაქციაში. პირველად მისი სახე ძალიან ნაცნობათ გეჩვენებათ. ამ სახის ხაზები და ნაკვთები, თითქო იმ მედალიონებიდან არი ბავშვობიდან რომ გვითვალისწინებია, ამ ნაკვთებს ვხედავდით ქართველ წმინდანების ხატებზე და იქვე მიხატულ მთავრების და მეფეების სურათებზე, ათასჯერ რომ გამოცხადდეს დეკრეტი ნოდებათა გათანაბნობის ამგვარი სახე ყოველთვის აჩვენებს თავის სიძველეს და ერთგვარ შერჩევას. მისი ხასიათიც ძველი ქართულია. ვარლამ ჩერქეზიშვილს წინამორბედები ბევრი ყავდა საქართველოში, ეს არის უტეხი და აჯანყებული სული ლიპარიტ ორბელიანის, ჩვენთვის ნაჩეკი“.

ტიტე ტაბიძე აღნიშნავს, რომ „სლავიანური სული მალე იღუბნება და ეჩვევა ტირილს“, მაგალითად გერცენის ნაწერებს ასახელებს. მისგან განსხვავებით „ვარლამ ჩერქეზიშვილს ვერ წარმოიდგენთ მტირალს. ის ლაპარაკობს მანიფესტის ენით, უფრო თავის თავს ელაპარაკება“.

ტიტე ტაბიძე განსაკუთრებით გამოყოფდა ვარლამ ჩერქეზიშვილის პატრიოტულ პოზიციას, რაც, ალბათ, ანარქისტის შესახებ მის ზოგად წარმოდგენაში ძნელად ჯდება: „ჩერქეზიშვილის სულში სცხოვრობს მთლიანი საქართველო. გძელი გზა უნდა მოეარა იმას, რომ მისულიყო პატრიოტიზმამდი და ამიტომ უფრო დასაფასებელია მისი პატრიოტიზმი, სულ რამდენიმე სტრიქონი უძღვნა ვ. ჩერქეზიშვილს, მისმა მოწაფემ Baton-მა⁸ – თავის წიგნის მიძღვნაში, მაგრამ ამ სტრიქონებიდანაც სჩანს რამდენი აღფრთოვანება შეუძლია გამოიწვიოს დიდებულმა მასწავლებელმა“.⁹

ტიტე ტაბიძემ არ იცოდა, რომ ვარლამ ჩერქეზიშვილი, განსხვავებით ბევრი ქართველი სოციალისტისაგან, არასოდეს ყოფილა თავის სამშობლოსადმი ნიჰილისტურად განწყობილი.

„ჭეშმარიტი ნაციონალისტი და ინტერნაციონალისტი“

1917 წლის 30 ივლისს გარდაიცვალა გიორგი ზდანოვიჩი, რომელსაც სოციალისტ-ფედერალისტები თავიანთი პარტიის ერთ-ერთ დამფუძნებლად მიიჩნევდნენ და დიდი პატივი მიაგეს მას. ფედერალისტთა გაზეთის „სახალხო საქმის“ რამდენიმე ნომერში მრავალი მასალა გამოქვეყნდა ზდანოვიჩის შესახებ, მათ შორის იყო ვარლამ ჩერქეზიშვილის მოკლე წერილიც, რომელიც „სახალხო საქმემ“ 1917 წლის 3 აგვისტოს დაბეჭდა. რედაქცია აღნიშნავდა: „პატივცემულმა ვარლამ ჩერქეზიშვილმა შემდეგი ცნობა გადმოგვცა განსვენებულ გ. ზდანოვიჩზე“.

თავის მოკლე სტატიას გიორგი ზდანოვიჩის შესახებ ვარლამ ჩერქეზიშვილი

⁸ Baton მიხაკო წერეთლის ფსევდონიმია. იგულისხმება მისი წიგნი „ერი და კაცობრიობა“ (თბ., 1910).

⁹ 1910 წელს გამოცემულ ნაშრომს „ერი და კაცობრიობა“ მიხაკო წერეთელმა შემდეგი მიძღვნა წარუმიძღვარა: „ძვირფას მასწავლებელს და მეგობარს ვარლამ ჩერქეზიშვილს, რომელმაც კაცობრიობის ოლიმპზედ თავისი პატარა საქართველოც სცნო ღირსად თავისუფალი ცხოვრებისა და მის წმინდა საკურთხეველზედ გულწრფელი მსხვერპლი შესწირა, უძღვის ამ წიგნს“.

შემდეგი სიტყვებით ამთავრებს: „მის არსებაში შედუღებული იყო ორი ტანჯული ერის სული – პოლონელის და ქართველის. იგი იყო ჭეშმარიტი ნაციონალისტი, მაგრამ იმავე დროს ჭეშმარიტი ინტერნაციონალისტი“. ¹⁰ გიორგი ზდანოვიჩის მიმართ ნათქვამი ეს სიტყვები თავისუფლად შეიძლება გამოვიყენოთ თავად ვარლამ ჩერქეზიშვილის მრწამსის დასახასიათებლად.

ვარლამ ჩერქეზიშვილის მიერ 1917 წელს წაკითხული ლექციები

საქართველოში დაბრუნებული ვარლამ ჩერქეზიშვილი, როგორც უკვე ითქვა, ლექციების წაკითხვას აპირებდა. იმდროინდელ ქართულ გაზეთებში მოიპოვება ინფორმაცია მის მიერ წაკითხული სამი ლექციის შესახებ. პირველი ორი ლექცია ვარლამ ჩერქეზიშვილმა ქუთაისში 12 და 13 ივლისს წაკითხა. ამ ლექციების მოკლე შინაარსი დაბეჭდა გაზეთმა „ჩვენი ქვეყანა“. ¹¹ (1917 NN 78 და 79). სწორედ ამ ანგარიშების მიხედვით შეიძლება გარკვეული წარმოდგენა შევიქმნათ თუ რა საკითხებზე საუბრობდა ვარლამ ჩერქეზიშვილი და როგორი იყო მისი პოზიცია.

ამ საგაზეთო პუბლიკაციების ავტორი თავს წარმოადგენს ფსევდონიმით „დამსწრე“. ხოლო მომხსენებელი დაახასიათა როგორც „გამოჩენილი ანარქისტი“, „რევოლუციის ვეტერანი და ნამდვილი მამულიშვილი“, „ახალგაზრდული სულით გამსჭვალული მოხუცი“. ვარლამ ჩერქეზიშვილმა ლექციები წაკითხა ქალაქის თეატრში, რუსულ ენაზე. თეატრის დარბაზი მსმენელებით იყო გაჭედილი.

ქუთაისის შემდეგ ვარლამ ჩერქეზიშვილი ლექციების წაკითხვას თბილისში აპირებდა. ამის თაობაზე მან განაცხადა გაზეთ „საქართველოს“ რედაქციაში სტუმრობის დროს 1917 წლის 20 ივლისს. გვაქვს მხოლოდ მოკლე ცნობა თბილისში წაკითხული ერთი ლექციის დღისა და თემის შესახებ. 3 აგვისტოს გაზეთი „ალიონი“ იუწყებოდა: „ინგლისიდან საქართველოში დაბრუნებული ვარ. ჩერქეზიშვილი რამდენიმე ლექციის წაკითხვას აპირებს. პირველი ლექცია წაკითხულ იქნება მარიამობისთვის 4-ს „ქართული კლუბის“ საზაფხულო ბინაზე შემდეგ თემაზე: „ევროპა ეხლანდელ მომენტში და საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა“.¹²

რუსეთის რევოლუციის პერსპექტივები

ვარლამ ჩერქეზიშვილის მიერ ქუთაისში წაკითხული პირველი ლექცია ეძღვნებოდა რუსეთის რევოლუციას. თუმცა, თავის მეორე ლექციის დასაწყისში ჩერქეზიშვილმა დამსწრეთ შეახსენა, რომ თავის პირველ ლექციაში „ის შეეცადა დაესახა ისტორიული განვითარება ბრძოლისა ადამიანის უფლებისათვის“. სამწუხაროდ, საგაზეთო ანგარიში მოკლე და ზედაპირულია. როგორც ანარქისტმა, რომლისთვისაც მთავარი პიროვნების თავისუფლება იყო და რევოლუცი-

¹⁰ ვარლამ ჩერქეზიშვილი გიორგი ზდანოვიჩის შესახებ. გაზ. „სახალხო საქმე“, 1917 წ., 3 აგვისტო.

¹¹ ვარლამ ჩერქეზიშვილის ლექცია. გაზ. „ჩვენი ქვეყანა“, 1917 წ., 14 ივლისი; ვარლამ ჩერქეზიშვილის მეორე ლექცია. გაზ. „ჩვენი ქვეყანა“, 1917 წ., 15 ივლისი.

¹² ინგლისიდან საქართველოში დაბრუნებული ვარ. ჩერქეზიშვილი. გაზ. „ალიონი“, 1917 წ., 3 აგვისტო.

აც პიროვნული თავისუფლების მისაღწევად იყო საჭირო, ბუნებრივია, ლექციის დროს ვარლამ ჩერქეზიშვილმა მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო პიროვნების თავისუფლების საკითხს. ჩერქეზიშვილის თქმით, „სადაც ეს არ არის, იქ არის სიღარიბე, სიბნელე და უვიცობა“. საგაზეთო ანგარიშში ასევე მოკლედ მოყვანილია ჩერქეზიშვილის სიტყვები: „სრული თავისუფლება პიროვნებისა უნდა გამოიხატებოდეს პოლიტიკურად, მოქალაქეობრივად, ეკონომიურად და აზროვნების მხრივ. თავისუფლება უნდა იქნეს კომუნალური, ოლქობრივი და ეროვნული თვითმმართველობისა“.

ჩერქეზიშვილს მხედველობიდან, რასაკვირველია, არ გამორჩენია ეროვნული თავისუფლების საკითხიც. მისი განცხადებით, რევოლუცია უკავშირდებოდა ეროვნული საკითხის გადაწყვეტას. საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციამ ეროვნული ჩაგვრისგან გაათავისუფლა ევროპის ბევრი ერი, „ეხლა ამნაირადვე თავისუფლდებიან პოლონეთი, ფინეთი და სხვებიც“. ასეა ნათქვამი საგაზეთო ანგარიშში – საქართველო არ ახსენა ჩერქეზიშვილმა თუ არ მოხვდა საგაზეთო ანგარიშში? ჩერქეზიშვილის ნათქვამი, რაზეც გაზეთი წერს, გასაგებია – რუსეთის რევოლუცია აყენებდა რუსეთის იმპერიაში შემავალი ჩაგრული ხალხების განთავისუფლების საკითხს და ჩერქეზიშვილისთვის აქ პირველ რიგში საქართველო იყო მნიშვნელოვანი. მაგრამ ამ საკითხს, პოლონეთისა და ფინეთისგან განსხვავებით, საქართველოში ლექციის წაკითხვის დროისათვის აქტიურად არ აყენებდნენ.

ჩერქეზიშვილის თქმით, რევოლუციის შედეგად რუსეთს შესაძლებლობა ქონდა შეერთებოდა თავისუფალ და რესპუბლიკურ ქვეყნებს; ჩერქეზიშვილი იმედს გამოთქვამდა, რომ რესპუბლიკური ქვეყნები იხსნიან კაცობრიობას და პიროვნებას „ცენტრალ სახელმწიფოების“, ანუ გერმანიისა და მისი მოკავშირეების „კლანჭებისაგან“. ასევე ვარაუდობდა, რომ რუსეთის რევოლუცია „მძლავრ ტალღებს“ გერმანიაშიც გადაისვრიდა და დაამხოდა ვილჰელმ II-ს. ამით დამთავრდა ლექცია.

როგორც საგაზეთო ანგარიშიდან ირკვევა, დამსწრეებმა ლექტორს რამდენიმე შეკითხვა დაუსვეს, რაზეც ჩერქეზიშვილი „იოლად და სხარტულად აძლევდა ყველას პასუხს“, თუმცა ასევე აღნიშნულია, რომ „სხვათა შორის ბევრმა უხერხული კითხვები დაუყენეს ლექტორს“. სამწუხაროდ, საგაზეთო ანგარიშში ამის შესახებ ბევრი არაფერია ნათქვამი. აღნიშნულია მხოლოდ, რომ ჩერქეზიშვილმა დაგმო „ბოლშევიკების ტაქტიკა და საქციელი და მოლაღატეები უწოდა მათ“. ჩერქეზიშვილმა არარეალურად მიიჩნია საუბარი სოციალისტური რევოლუციის შესახებ. რაც შეეხება პეტროგრადელ ანარქისტებს, ჩერქეზიშვილის თქმით, მათ მოქმედებას „ანარქიზმთან საერთო არაფერი ჰქონდა“.

ვარლამ ჩერქეზიშვილის ლექციამ სოციალ-დემოკრატები გაანაწყენა. ვიკტორ ნოზაძემ, რომელიც მაშინ ახალგაზრდა სოციალ-დემოკრატი იყო, ჩერქეზიშვილის კრიტიკას მთელი წერილი მიუძღვნა სათაურით „ჩამოსული იმპერიალისტი“.¹³ ვიკტორ ნოზაძის დახასიათებით, ვარლამ ჩერქეზიშვილს არ უთქვამს „არც ერთი ახალი სიტყვა, არც ერთი სალი აზრი“, ჩერქეზიშვილის ლექცია „ყველაზე უფრო სუსტი იყო“, ლექცია ისე დამთავრდა, რომ მსმენელებს ეგონათ, რომ ეს „შესავალი იყო ლექციისა“.

ვიკტორ ნოზაძის აზრით, მსოფლიო ომში დასაგმობი იყო ორივე მხარე და

13 ნოზაძე ვ., ჩამოსული იმპერიალისტი. ვაზ. „სოციალ-დემოკრატი“, 1917 წ., 14 ივლისი.

ვარლამ ჩერქეზიშვილის პოზიცია, რომ ომში უნდა გაემარჯვა ინგლის-საფრანგეთის კოალიციას, ნოზაძისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. „ჩვენ წინ იდგა ნამდვილი იმპერიალისტი, იმპერიალისტი სულით და გულით“, – ასეთი იყო ვიკტორ ნოზაძის შეფასება. ამგვარი რამის თქმა ცნობილ და დამსახურებულ ანარქისტზე კარგად მეტყველებს იმ დროს არსებულ პოლიტიკური დაპირისპირების სიმწვავესა და ხასიათზე.

„საქართველოს უფლებები ინტერნაციონალის მიხედვით“

ვარლამ ჩერქეზიშვილის მეორე ლექცია მთლიანად საქართველოს საკითხს დაეთმო. განხილულ იქნა „საქართველოს უფლებანი ინტერნაციონალის მიხედვით“. ჩერქეზიშვილის თქმით, პოლიტიკური თანასწორობა ცალმხრივი იქნება, სანამ ეკონომიკური თანასწორობა არ დამყარდება. ასეთი თანასწორობის იდეას „ფართო ასპარეზი საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ მოუპოვა“. ჩერქეზიშვილი ლექციაზე შეეხო იმ საკითხს, რასაც წლების მანძილზე ამტკიცებდა და ებრძოდა სოციალ-დემოკრატიას და მარქსისტებს. ჩერქეზიშვილმა აღნიშნა, რომ პოლიტიკური, ეკონომიკური და მოქალაქეობრივი თანასწორობის იდეა, კლასობრივი ბრძოლის იდეა საფრანგეთში აღმოცენდა და არა გერმანიაში. ინტერნაციონალი მარქსისა და გერმანელების მოგონილი კი არ არის, არამედ ფრანგებისა და ინგლისელების.

ჩერქეზიშვილი კვლავ შეეხო სოციალ-დემოკრატებსა და ანარქისტებს შორის არსებულ განსხვავებას. მან აღნიშნა, რომ სოციალ-დემოკრატებს „პარლამენტურის წესით (უმრავლესობის მოპოვებით) სურთ სოციალური რეფორმების მოხდენა“, სინდიკალისტები კი „უარყოფენ პარლამენტების გზით რეფორმების მოხდენას. ისინი ამ რეფორმებს „პირდაპირის მოქმედებით“ ახორციელებენ“.

ჩერქეზიშვილმა ბრალი დასდო სოციალ-დემოკრატებს, რომ დაარღვიეს ინტერნაციონალის დადგენილება, – ომის დაწყებისათვის საყოველთაო გაფიცვით ეპასუხათ. 1870-1871 წლების საფრანგეთ-პრუსიის ომის დროს „გერმანელი სოციალისტები მთავრობას ამოუდგნენ გვერდში და უარყვეს საყოველთაო გაფიცვა“. იგივე მოხდა მსოფლიო ომის დროსაც, როდესაც სოციალ-დემოკრატებმა „პროკლამაციებით მოისურვეს ომის მოსპობა და არა აქტიური გაფიცვებით“.

მეორე ლექცია, როგორც უკვე ითქვა, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენის პერსპექტივების განხილვას ეძღვნებოდა. აქ ჩერქეზიშვილი ჯერ ეროვნული საკითხისადმი ინტერნაციონალის დამოკიდებულებას შეეხო, შემდეგ კი ისაუბრა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის ბრძოლის ისტორიაზე.

ჩერქეზიშვილის თქმით, ინტერნაციონალის სტატუსში გარკვევით არის ნათქვამი, რომ „ყოველ ერს თავისუფალი არსებობის სრული უფლება ეძლევა“ და ამ მხრივ განსხვავება დიდ და პატარა ერებს შორის არ არსებობს. „ინტერნაციონალი იბრძვის ერთა უფლებრივ გათანასწორობისათვის და უარყოფს ერთი ერის მეორეზე ბატონობას“ და „ყოველი პროგრესიული ადამიანი ვალდებულია უზრუნველჰყოს თვითეული ერის უფლებები თავისუფალ არსებობისათვის“. ასევე „ყოველ ერსა აქვს უფლება მოსთხოვოს დიდ სახელმწიფოებს საერთაშორისო ხელშეკრულებათა პატივისცემა და შეუღლებულობა“.

ჩერქეზიშვილი მნიშვნელოვან რამეს ეუბნება მსმენელებს, რომ დროა ქა-

რთველმა სოციალისტებმა, – სოციალ-დემოკრატებმაც და ანარქისტებმაც საქართველოს სახელით ილაპარაკონ. ჩერქეზიშვილის განცხადებით, არ შეიძლება ვინმემ თქვას, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატი ან ანარქისტი ვარო, რადგანაც სოციალ-დემოკრატია და ანარქიზმი არ სცნობს იმპერიას. „საერთაშორისო კონგრესებზე ჩვენ ქართველებს, როგორც არსებულ ერს, სრული უფლება გვაქვს საკუთარი, ქართული წარმომადგენლები ვიყოლიოთ“. საგაზეთო ანგარიშის თანახმად, ამ სიტყვებმა შეკრებილთა „მქუხარე ტაშის ცემა და ვაშას ძახილი გამოიწვია“.

ჩერქეზიშვილი დაწვრილებით შეჩერდა 1783 წლის ტრაქტატზე და აღნიშნა, რომ ამ ხელშეკრულებით „საქართველო მოკავშირე არის რუსეთისა და არა მისი პროვინცია“. ჩერქეზიშვილის თქმით, ჰააგის კონგრესს წარედგინა ტრაქტატის საფუძველზე დაწერილი პეტიცია, რომელსაც ათასობით ქართველი აწერდა ხელს. ჰააგის კონგრესზე ყველა დელეგატი გაეცნო პეტიციის ტექსტს და გავლენა მოახდინა კონგრესის მუშაობაზე, მაგრამ პეტიცია არ განიხილეს, რადგანაც დღის წესრიგი წინასწარ იყო განსაზღვრული. მისი განხილვა მომდევნო კონგრესისთვის გადადეს, მაგრამ ეს კონგრესი, რიგი მიზეზების გამო, არ ჩატარებულა.

საქართველოს პეტიციის შესახებ ჰააგის საერთაშორისო კონფერენციაზე ვარლამ ჩერქეზიშვილს რამდენიმე თვის შემდეგ სთხოვეს სტატიის დაწერა.¹⁴

ევროპიდან მეორედ დაბრუნება და მოწოდება ერთა ლიგის შესახებ

შემდეგ ვარლამ ჩერქეზიშვილი ისევ გაემგზავრა დასავლეთ ევროპაში და იქ ყოფნის დროს ცდილობდა დახმარებოდა პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე ჩასულ საქართველოს დელეგაციას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იურიდიული აღიარების მიღწევის საქმეში.

1920 წლის დასაწყისში ვარლამ ჩერქეზიშვილი საქართველოში დაბრუნდა. უმთავრესი სიახლე, რის შესახებაც მას უნდოდა თანამემამულეებისთვის მოეთხრო, 1920 წლის 16 იანვარს პარიზში ოფიციალურად გახსნილი „ხალხთა ლიგის“ კონგრესი იყო. ამ საკითხზე მან რამდენიმე ლექცია წაიკითხა.¹⁵

1920 წლის 9 მარტს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მთავარი ორგანო „სახალხო საქმე“ იუწყებოდა: „ოთხშაბათს, მარტის 10-ს, საღამოს 7 ნახ. საათზე ჩვენს პარტიულ კლუბში მოხსენებას წაიკითხავს ევროპიდან ახლად დაბრუნებული ვარლამ ჩერქეზიშვილი შემდეგ თემაზე: „ევროპის დღევანდელი მდგომარეობა და ერთა ლიგა“. მოხსენებაზე შესვლა უფასოა“.

შემდეგი ორი მოხსენება ვარლამ ჩერქეზიშვილმა „ქართველ ქალთა საზოგადოების“ თხოვნით წაიკითხა. 1920 წლის 14 მარტს „სახალხო საქმე“ იუწყებოდა: „ქართველ ქალთა საზოგადოების თხოვნით ევროპიდან ახლად დაბრუნებული ცნობილი მოღვაწე ვარლამ ჩერქეზიშვილი ამ დღეებში მოხსენებას წაიკითხავს სამუსიკო საზოგადოების შენობაში. ბილეთები ამ თავითვე იყიდება „დარბაზში“. 21 მარტს იგივე გაზეთი აღნიშნავდა, რომ ვარლამ ჩერქეზიშვილი წაიკითხავდა

14 ვ. ჩერქეზიშვილის სტატია „საქართველოს პეტიცია საერთაშორისო კონფერენციისადმი ჰააგაში 1907 წ.“ გამოქვეყნდა ჟურნალში „პრომეთე“, 1918 წ., N 3.

15 ვარლამ ჩერქეზიშვილის მოხსენება. გაზ. „სახალხო საქმე“ 1920 წ., 9, 14 მარტი; ვარლამ ჩერქეზიშვილის ლექცია. გაზ. „სახალხო საქმე“ 1920 წ., 21 მარტი.

მორიგ ლექციას რუსულ ენაზე: „დღეს, საღამოს 7 1/2 საათზე კონსერვატორიის დარბაზში შესდგება მორიგი ლექცია ქართველ ქალთა საზოგადოებისა. ლექციას რუსულად წაიკითხავს ევროპიდან ახლად დაბრუნებული ცნობილი რევოლუციონერი და პოლიტიკური მოღვაწე ვარლამ ჩერქეზიშვილი“.

ეს მოკლე საგაზეთო განცხადებები არაფერს გვეუბნება ვარლამ ჩერქეზიშვილის ლექციების შინაარსის შესახებ. როგორც ერთ-ერთი განცხადებიდან ვგებულობთ, მთავარი თემა იმ დროს ევროპაში არსებული ვითარება და ახლადშექმნილი ერთა ლიგაა. ამ ვარაუდს ადასტურებს იმავე გაზეთში გამოქვეყნებული ვარლამ ჩერქეზიშვილის მიერ საქართველოს ერთა ლიგის საზოგადოებისათვის წარდგენილი მოხსენების მოკლე შინაარსი.

ვარლამ ჩერქეზიშვილი გამოყოფდა ერთა ლიგის სამომავლო საქმიანობის სამ ძირითად მიმართულებას: ა/ მილიტარიზმის მოსპობას, ბ/ საერთაშორისო ტრიბუნალის მეშვეობით სახელმწიფოებსა და ხალხებს შორის სადავო საქმეების გადაწყვეტას და გ/ მოქალაქეთა შრომის პირობების დაცვას. ვარლამ ჩერქეზიშვილი იმასაც აღნიშნავდა, რომ როგორც ნებისმიერ ახლად შექმნილ ორგანოს, ერთა ლიგის წესდებასაც სამომავლოდ დასჭირდებოდა „ცვლილებები და დაკვირვებული დამატებები“. ვარლამ ჩერქეზიშვილი იმედს გამოთქვამს, რომ „განათლებული კაცობრიობა შეკავშირებული ხალხთა ლიგით ადრე თუ მალე სამუდამოდ მოსპობს მილიტარიზმს და ომებს ბოლოს მოუღებს“.

ვარლამ ჩერქეზიშვილის მოხსენების დიდი ნაწილი ეთმობა იმის ჩვენებას, რომ ერთა ლიგის მიერ დასახული ამოცანები ემთხვევა პირველი ინტერნაციონალის მოთხოვნებს, ამიტომაც ევროპის სოციალისტური პარტიები არა მხოლოდ მხარს უჭერენ, არამედ ამ პარტიების წარმომადგენლები აქტიურად ერთვებიან ერთა ლიგის საქმიანობაში. ვარლამ ჩერქეზიშვილი ხაზს უსვამდა, რომ ერთა ლიგის განვითარება და მისი მომავალი დამოკიდებულია მისი მხარდამჭერი „საზოგადოებრივი აზრის შექმნაზე“.¹⁶ ვარლამ ჩერქეზიშვილის თქმით, დასავლეთის სახელმწიფოებში ყველგან იქმნებოდა „ხალხთა ლიგის საზოგადოებები“, რომელთა აქტიურ მუშაობაზე არის დამოკიდებული ერთა ლიგის მომავალი. ვარლამ ჩერქეზიშვილი სასურველად მიიჩნევდა, რომ საქართველოს ყველა კუთხეში შექმნილიყო ხალხთა ლიგის საზოგადოებები და როდესაც საქართველოს სახელმწიფო საერთაშორისოდ იქნებოდა აღიარებული, ხალხთა ლიგაში საქართველო შევიდოდა „მომზადებული აქტიური და სოლიდარული მუშაობისათვის საერთაშორისო განახლებულ ხალხთა ოჯახში“.

ასეთი საზოგადოება საქართველოში „ერთა ლიგის საქართველოს ასოციაციის“ სახელწოდებით 1919 წლის დეკემბერში მართლაც ჩამოყალიბდა (პრეზიდენტი ალექსანდრე ლომთათიძე). საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ საერთაშორისო აღიარებასაც მიაღწია, მაგრამ ერთა ლიგაში მისი განწევრიანება წარუმატებელი აღმოჩნდა. 1920 წლის დეკემბერში ერთა ლიგამ განიხილა საქართველოს წევრად მიღების საკითხი, მაგრამ ამისთვის საჭირო 14 ხმის ნაცვლად მხოლოდ 10 ხმა მიიღო...

16 ვ. ჩერქეზიშვილის მოხსენება საქართველოს ერთა ლიგის საზოგადოებისათვის. გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ., 13 ივნისი.

**Varlam Cherkhezishvili's Return to Georgia: Lectures Delivered in Georgia
(1917-1920)**

'Summary

The paper deals with the activities of a famous Georgian anarchist, Varlam Cherkhezishvili, delivered in 1917, when he was back to Georgia. At that time, anarchists were no longer around and the opponent political forces of anarchists dominated the political scene of Georgia. Due to these reasons, there are a few and only short notices on the figure of Varlam Cherkhezishvili. According to the available information, Varlam Cherkhezishvili delivered lectures in Tbilisi and Kutaisi on the international situation and on those challenges faced by the Georgian political figures. Varlam Cherkhezishvili supported the victory of the Entente Powers in the World War I. He considered that the Georgian political parties should become active in the direction of restoration of independence of Georgia.

In March, 1920, upon his return from the Western Europe, Varlam Cherkhezishvili delivered a cycle of lectures in Tbilisi on the League of Nations, which commenced on January 16, 1920. Varlam Cherkhezishvili stressed the importance of the League of Nations in the process of disarmament, imposing peace in the World and in the protection of the rights of workers; he particularly pointed out the common spirit of the socialist parties towards this organization. By that time, Georgia was not de jure recognized yet, thus Cherkhezishvili considered it as an absolute necessity to make the activities of the Society of the League of Nations more widespread in Georgia. This would pave the way for Georgia's eventual membership into the League of Nations.

ნაპოლეონი და მისი ხელისუფლება

ნაპოლეონის პიროვნება კაცობრიობის საქმიანობის სხვადასხვა ასპარეზზე მის ქმედებასთან დაკავშირებულ უამრავ კითხვას ბადებს. ჩვენ სწორედ კაცობრიობის ფაქტორს ვუსვამთ ხაზს, რადგანაც ამ პიროვნებამ, ლორდ როზბერის თქმით, ადამიანის გონებრივი და ენერჯის შესაძლებლობების ფარგლებს მიღმა შეძლო გასვლა.¹ ერთ-ერთ ასეთ საინტერესო და დამაფიქრებელ საკითხს მისი პოლიტიკური მრწამსი და შესაბამისად, მისი მმართველობის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები წარმოადგენს. რა მოხდა ისეთი, რომ ახალგაზრდა იაკობინელი ოფიცერი იმპერატორად იქცა? როგორი იყო იმ ძალაუფლების მახასიათებლები, რომელიც მან ჯერ როგორც პირველმა კონსულმა და მერე როგორც იმპერატორმა შეიძინა? რა გზები გაიარა მისმა ცნობიერებამ, სანამ ძლევამოსილი გენერალი იმპერატორის გვირგვინს დაიდგამდა? ჩვენ სწორედ ცნობიერებით მომენტს ვუსვამთ ხაზს, რადგან 18 ბრიუმერის სახელმწიფო გადატრიალება მხოლოდ ნაპოლეონის ჯარისკაცებს, მათ ხმლებსა და ხიშტებს არ ეყრდნობოდა. ხმლები და ხიშტები სხვა გენერლებსაც ჰქონდათ. მაგრამ ნაპოლეონს და მის წამოწყებას არა მხოლოდ ხმალი, არამედ მისი ხედვა, მიმდინარე მდგომარეობის მისეული გაცნობიერებაც უმაგრებდა ზურგს. როგორ მივიდა იგი აქამდე? დასაწყისი მართლაც საგანგებო და უნდა ითქვას გასაოცარიც კი იყო.

ჩვენ თუ მისი სიჭაბუკის წლებს ჩავვიხიებით, დავინახავთ, რომ იგი მგზნებარე რესპუბლიკელად წარმოჩნდება. „ევროპაში ცოტაა ისეთი მეფე, რომელიც დამხობას არ იმსახურებს“,² – ასეთ ჩანაწერს აკეთებს იგი თავის დღიურში. იგი აღშფოთებით უკუაგდება აზრს, რომლის თანახმად, ადამიანებს არ აქვთ უფლება გაილაშქრონ თავისი მონარქების წინააღმდეგ. მისი აზრით, ადამიანები თავისუფლებისათვის დაიბადნენ, მაგრამ „მათი უფლებები გათელეს, თავად ხალხი კი დაიმონეს“.³ ეს სიტყვები ადასტურებს, რომ ახალგაზრდა ლეიტენანტი ნაპოლეონ ბონაპარტი მონარქიის, სამეფო ხელისუფლების შეურიგებელი მოწინააღმდეგე იყო. კაცმა რომ თქვას, ეს იყო იმ დროის ახალგაზრდა გონებისათვის ერთობ დამახასიათებელი პროტესტის გამოხატვა. მით უფრო, რომ მას საფუძვლად ედო ჟან-ჟაკ რუსოს იდეები, რომლის ნაშრომებსაც ჭაბუკი ნაპოლეონი ხარბად ენაფებოდა. ეს გარკვეულწილად იმ დროის მოდაც იყო, საპროტესტო, კრიტიკული, მით უფრო დიდი მოაზროვნეების იდეების მიდევნება და ნაპოლეონიც არ ლალატობდა დროის მოთხოვნებს.

ახალგაზრდა ნაპოლეონის ამგვარი ანტიმონარქისტული განწყობა კიდევ უფრო განმტკიცდა საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის დროს, კერძოდ, გაქცეული მეფის ოჯახის ვარენში დაკავების შემდეგ. იგი შეუვალად ანტიმონარქისტი და მეფის დამხობის მომხრე გახდა. ამ მხრივ საინტერესოა 1792 წ. 20 ივნისის და 10 აგვისტოს მოვლენების მისეული ხედვა. ერთის მხრივ, იგი

1 Rosbery, L., Napoleon. The Last Phase. London, 1922, p. 7.

2 Манфред А., Наполеон Бонапарт. Сухуми. 1989, с. 31.

3 Манфред А., Наполеон Бонапарт... с. 32-33.

ნარმოჩდება როგორც თავისუფლების მომხრე, რომელიც მხარს უჭერს ხალხის მიერ მეფისათვის ნაყენებულ მოთხოვნებს. კერძოდ, იგი იწონებს მეფის ქცევას, ამბობს, რომ მეფე კარგად მოიქცა, როდესაც თავზე ბრბოს მიერ მიწოდებული ნითელი ქუდი დაიხურა(თუ ნითელი ბაბთა შემოიხვია), და მათივე მიწოდებული ბოთლიდან ღვინო დალია.⁴ მაგრამ არის სხვა წყაროებიც, რომლებსაც ნაპოლეონის სამხედრო სასწავლებლის მეგობარი და შემდგომ დაახლოებული პირი ლუი ბურიენი გვანვდის, მათ თანახმად, მეფის ამგვარ საქციელს ნაპოლეონმა სიმხდალე უწოდა და მისი შედგომი დამოკიდებულება ყველაფერ მომხდარისადმი მისივე ნათქვამით უნდა შეფასდეს. ეს ნათქვამი კი შეიძლება ითქვას ისტორიულად იქცა. „ეხლა ორი ბატარეა (10-12 ზარბაზანი, - ივ. მ.) მომცა და ამ სალახანებს კუდით ქვას ვასროლინებდი“.⁵ სად ვეძებოთ ჭეშმარიტება? იქნებ ეს სამხედრო პირის, ოფიცრის, დისციპლინის, უფროს-უმცროსობის, წესისა და რიგის წარბეჭდვითი მიმდევრის მყისიერი რეაქციაა ბრბოს აღვირახსნილ მოქმედებაზე? ერთი რამ კი ნამდვილად იპყრობს ყურადღებას. ეს 20 ივნისის მოვლენების ნაპოლეონისეული შეფასებაა. იგი ამბობს, რომ ამგვარი ქმედება ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, ცუდ მაგალითს იძლევა და სახიფათო მდგომარეობას ქმნის.⁶

კიდევ უფრო მძიმე სურათი შეიქმნა 10 აგვისტოს. გახდა რა ტიულრის სასახლის, რომელიც შეიარაღებულმა ბრბომ აიღო, გარშემო მომხდარი ხოცვა-ჟლეტის მოწმე, ნაპოლეონმა იმავე დღეს მისწერა წერილი თავის უფროს ძმას, ჟოზეფს: „მეფეს რომ უმაღ აესხა იარაღი და ცხენზე ამხედრებულიყო (ანუ ბრძოლაში ჩაბმულიყო, - ივ. მ.) გამარჯვება მას დარჩებოდა“.⁷ თუ ვინსენტ კრონინის მოსაზრებას გავეყვებით, ალბათ უნდა მივიჩნიოთ, რომ ბრბოს აღვირახსნილობას, ამბოხს და მოუთოკავობას ნაპოლეონი მიიჩნევდა როგორც საყოველთაო არეულობის დასაწყისს, რომელიც გამოიწვევდა საზოგადოებრივ კატასტროფას.

ის გარემოება და პირობები, რომელთა წყალობით ნაპოლეონის ერთპიროვნული მმართველობა დამყარდა ურიცხვ გამოკვლევაშია განხილული (ხსენებული ნაშრომის ავტორმა ამ საკითს მიუძღვნა ცალკე მონოგრაფია (იხ. **Ментешавили И. Власть и герой. Наполеон Бонапарт. Тб., 2014**). ამჯერად კი ჩვენ იმის თქმით შემოვიფარგლებით, რომ რესპუბლიკა, რომელსაც ნაპოლეონმა შეუტია და დაამხო, შეიძლება ითქვას, განწირული იყო. მას, რესპუბლიკას, ისეთი გახრწნილი და მოქალაქეობრივ პრინციპებს იმდენად მოკლებული ადამიანები მართავდნენ, რომ არავითარი ღირსება არ ქონდა შერჩენილი თავად ამ სახელის გარდა. ამ გარდაუვალი გაქრობის დასტურად მარტო ის ფაქტიც კი გამოდგება რომელიც გვამცნობს, რომ 1799 წ. 15-16 დეკემბერს უმაღლეს აღმასრულებელ ორგანოში, დირექტორიაში შედგა შეხვედრები რომლებსაც ესწრებოდა ყველა მინისტრი და საკანონმდებლო ორგანოების 20 წევრი. ხანგრძლივი ბჭობის შემდეგ შეკრებების მონაწილეები მივიდნენ დასკვნამდე, რომ რესპუბლიკის შენარჩუნება შეუძლებელი იყო.⁸

4 Манфред А., Наполеон Бонапарт. с. 61.

5 Тарле Е., Наполеон. М., 1957, с. 19.

6 Манфред А., Наполеон Бонапарт... с. 60.

7 Cronin V., Napoleon. London. 1994, p. 65.

8 Манфред А. Наполеон Бонапарт. с.207.

რესპუბლიკა ერთპიროვნულმა მმართველობამ შეცვალა. შესაბამისად, ნათელი უნდა მოვფინოთ ნაპოლეონის ხელისუფლების ხასიათს. რამდენად შეგვიძლია ვუნოდოთ კონსულობას სამხედრო დიქტატურა? ურიგო არ იქნება, თუკი ამისათვის თავად ნაპოლეონს მივმართავთ, რომელიც ამბობდა, რომ იმიტომ კი არ მართავს, რომ გენერალია და სამხედრო ძალაუფლებით არის შემოსილი, არამედ იმიტომ, რომ ქვეყანა მასში სამოქალაქო პირს ხედავს. და ეს ერთობ ახლოა ჭეშმარიტებასთან. გავიხსენოთ, რომ აბატი სიიესი მას ყველაზე უფრო სამოქალაქო პირს უწოდებდა ყველა სამხედროთა შორის.⁹ მაშინდელ საფრანგეთში სხვა გენერლებიც იყვნენ, რომლებსაც იარაღი და ჯარისკაცები ჰყავდათ, მაგრამ მათ ვერ გაბედეს გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა. ისინი იმით დაკმაყოფილდნენ, რომ ნაპოლეონის მარადიულ მოშურნეებად დარჩნენ და გაუთავებლად აკრიტიკებდნენ მას იმისათვის, რომ მან ხელისუფლების უზურპირება მოახდინა. იგი თავისი კოლეგების, მოროს, ოჟეროს და ბერნადოტის კრიტიკის ობიექტად იქცა, თანაც სწორედ იმიტომ, რომ ეს უკანასკნელნი თვლიდნენ, რომ ერთობ წარმატებით გააკეთებდნენ იგივეს. გულის სიღრმეში ისინი სულ იმაზე ოცნებობდნენ, რომ მის ადგილას ყოფილიყვნენ. არა და არის ცნობები იმის შესახებ, რომ სახელმწიფო გადატრიალების სულიერმა მამებმა შესთავაზეს იგივე მოროსა და ბერნადოტს აეღოთ ხელში ძალაუფლება, მაგრამ ამ უკანასკნელთ გამბედაობა არ ეყოთ, გადემწყვეტ წუთს უკან დაიხიეს და ჩრდილში ყოფნა ამჯობინეს.¹⁰

მაგრამ მათი წარუმატებლობა მხოლოდ მათი გადამეტებული სიფრთხილით და, შეიძლება ითქვას, ლამის სიმხდალით არ იყო გამოწვეული. თუკი ჩვენი წარმოსახვის ქრონოლოგიურ ჩარჩოებს გავაფართოვებთ ალბათ ძალზე ძნელია, თუ არა საერთოდ შეუძლებელი წარმოვიდგინოთ იგივე მორო, ოჟერო ან ბერნადოტი, რომლებიც აუსტერლიცის ბრძოლის წინ დაიბარებენ ერთ-ერთ მდივანს და სენ-დენის კოლეჯის შექმნის პროექტს კარნახობენ მას, ან მოსკოვში, კრემლში ადგენენ დეკრეტს პარიზის ცნობილი თეატრის, კომედი ფრანსეზის მუშაობის შესახებ. ისინი მხოლოდ და მხოლოდ გენერლები, სამხედროები, სარდლები, კარგი სარდლები იყვნენ, მაგრამ არა სახელმწიფო მოღვაწეები. სახელმწიფო მოღვაწე - ეს სულ სხვა მოვლენაა. იგი ხომ სცდება იმ ვიწრო ჩარჩოებს, რომლებშიც გარკვეული თანამდებობა ან რაღაც კონკრეტული საქმიანობა არის მოქცეული. ნაპოლეონის მიერ ძალაუფლების პყრობის უნარი კარგად არის გადმოცემული მისივე სიტყვებით. სწყუროდა რა ძალაუფლება, მას იმის უნარიც ჰქონდა, რომ ეს სწრაფვა საგულდაგულოდ შეენიღბა. ეს იმით იყო განპირობებული, რომ იგი იმასაც ითვალისწინებდა, თუ როგორ შესულიყო ურთიერთობაში საზოგადოებასთან, რომელიც სულ ახლახან გამოვიდა რევოლუციის ქარცეცხლიდან. ამიტომაც ამბობდა: „მე უზუნაესი ძალაუფლება მომენიჭა ხალხის გადაწყვეტილებით და მე ვერ ვირწმუნებ, რომ მას კვლავ სჯერა არჩეულის, სანამ ჩემი უფლებამოსილება მთელი ერის დასტურს არ მიიღებს.“¹¹ ასე რომ, თუნდაც ფორმალურად, ნაპოლეონი მხედველობაში იღებდა საზოგადოებრივ აზრს. ეს

9 Трачевский А. Наполеон. Первые шаги и консульство. М., 1907, с. 170.

10 Трачевский А. Наполеон...с. 170; Вандаль А. Возвышение Бонапарта. Происхождение брюмерского консульства. Конституция III года. СПб., 1905, с. 101.

11 Woloch I., Napoleon and his Collaborators. The Making of Dictatorship. N.Y-L. 2002. p. 92.

იმიტომ ხდებოდა, რომ მას ესმოდა: სწორედ საზოგადოებრივმა აზრმა აქცია იგი ერთპიროვნულ მმართველად და შემოსა უზენაესი ძალაუფლებით.

რამ განაპირობა სახელმწიფო გადატრიალების წარმატება და აქცია კონსულობა როგორც მმართველობის ფორმა სიცოცხლისუნარიანად? იმან, რომ გადატრიალების ჭეშმარიტი სულისჩამდგმელი თავად მთავრობა იყო, ხოლო თანამონაწილე კი მთელი საფრანგეთი.¹²

ფორმალობის თვალსაზრისით, ეს იყო დიქტატურა. რა იყო ახალი ხელისუფლების ძირითადი მახასიათებლები? პირველ რიგში ის, რომ ქვეყნის მართვაში ან საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ ნებისმიერ სხვა სფეროში სამხედროებს არ ჰქონდათ რაიმე უპირატესობა. სამხედრო მხარე უფრო არსებული რეჟიმის და თვით ხალხის თავისებურ მორთულობას წარმოადგენდა, რომელიც სამხედრო დიდებითა და ძლევამოსილი გამარჯვებების ბრწყინვალეობით იყო შემკული. ნაპოლეონი გამუდმებით ხაზს უსვამდა სამოქალაქო ფაქტორის უპირატესობას სამხედროსთან შედარებით. ამას თუნდაც მისი გამონათქვამები ადასტურებენ, „ჩვენ 30 მილიონი ადამიანი ვართ, რომელთაც განმანათლებლობის იდეები, საკუთრება და ვაჭრობა აერთიანებს. 300-400 ათასი ჯარისკაცი არაფერია ამასთან შედარებით“. ანდა „ჯარისკაცები მხოლოდ და მხოლოდ ერის შვილები არიან. ერია უდიდესი ჯარი“. ტიბოდო გვამცნობს, რომ სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე მას ხშირად უთქვამს: „მითქვამს და კვლავაც ვიტყვი, რომ სამხედრო და სამოქალაქო პრინციპების დაპირისპირებისას ყოველთვის ამ უკანასკნელს მივანიჭებ უპირატესობას“.¹³ არათუ კონსულობის, არამედ იმპერიის ხანაშიც კი არ არსებობდა სამხედრო კასტის მსგავსი ორგანო, რომელიც ყველაფერს, პოლიტიკით დაწყებული ეკონომიკით დამთავრებული, გააკონტროლებდა. რასაკვირველია, ხშირი ომების წყალობით მთელი სისტემა სამხედრო სულისკვეთებით იყო გაჟღენთილი: იმპერატორის განდიდება, მკაცრი დისციპლინა, ომის პროპაგანდა და მხედრული დიდების სხვადასხვანაირი ნიშანი. მაგრამ საბოლოო ჯამში, არაფერი ისეთი, რომელიც შეიძლება შევადაროთ ლათინური ამერიკის სამხედრო-დიქტატორულ სამხედრო რეჟიმებს.¹⁴ ნაპოლეონი იყო გენერალი, სარდალი და სამხედრო პირი მხოლოდ ომის დროს, ბრძოლის ველზე. ლაშქრობის დაწყებამდე და დამთავრების შემდეგ, მშვიდობიან ხანაში იგი სახელმწიფო მოღვაწე, სამოქალაქო პირი იყო.

სხვადასხვა მასალის ანალიზი, რომელშიც განხილულია ნაპოლეონის მმართველობა მისი დიქტატურასა თუ მონარქიასთან კუთვნილების თვალსაზრისით, გვისაბუთებს, რომ მისი ხელისუფლება არც ერთი იყო და არც მეორე მათი კლასიკური გაგებით.¹⁵ იგი ამ ორთა შუა უნდა ვიგულოთ და ამ თვალსაზრისით წარმოჩნდება, როგორც მათგან განსხვავებული, რაც კვლავ მიუთითებს მისი ხელისუფლების თავისებურებაზე. მასში არაფერია წმინდა სახის სამხედრო დიქტატურის მაგვარი. იმპერიაში არ არსებობდა საყოველთაო კონტროლის უფლების მქონე სამხედრო ორგანო. ნაპოლეონის ხელისუფლებაზე მსჯე-

12 Le Bon Gustave, The Psychology of Revolution. pp.263-264.

13 Tulard Jean, The Empire. Dictatorship? Monarchy? <https://www.napoleon.org/en/history-of-the-two-empires/articles/the-empire-dictatorship-monarchy/>

14 Tulard Jean. The Empire. Dictatorship? Monarchy?

15 Tulard Jean. The Empire. Dictatorship? Monarchy?

ლობისას შედარება კეთდება კლასიკურ სამხედრო დიქტატურასთან, განათლებულ მონარქიასთან და ზოგჯერ ძველი რომის იმპერატორ კალიგულასთანაც კი! მაგრამ ამოდ! ყველა მახასიათებელი შორს დგას ისტორიული რეალობისაგან. აკეთებს რა მინიშნებას განათლებულ მონარქსა და შესაბამის მონარქიაზე, ფრანგი ისტორიკოსი ჟან ტულარი აღნიშნავს, რომ ამგვარი სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, სადაც ხალხმა არც კი იცის, თუ რა სიკეთეს მოუვლენენ, კონსულობის დროის საფრანგეთში ის ცვლილებები გატარდა, რომლებსაც საზოგადოება მანამდე, ჯერ კიდევ დირექტორიის ხანაში ითხოვდა. ასე რომ ეს იყო ავტორიტარული ხელისუფლება, ერთმმართველობა, თუმცა კი ძნელი სათქმელია, როგორი.

ქვეყნის იმპერიად და ნაპოლეონის იმპერატორად გამოცხადებამ ეს საკითხი კიდევ უფრო გაართულა. აქ უკვე საქმე გვაქვს ერთმმართველობის და ეგალიტარული მართვის ურთიერთგადაჭდობილ უამრავ პრინციპთან. აქ, ისევე როგორც კონსულობის ხანაში, პლებისციტია აღსანიშნავი. პლებისციტის, რაგინდ წინასწარ შემზადებული და გათვლილი არ უნდა ყოფილიყო, მაინც შეეძლო რამენაირად, სულ ცოტათი მაინც აერია პირველი კონსულის გეგმები და შეექმნა მისთვის არასასურველი სიტუაცია. ასე რომ ნაპოლეონი გარკვეულწილად რისკზე მიდიოდა.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია გვირგვინის დადგმის დროს წარმოთქმული ფიცი. ხოლო მის სამოქალაქო ნაწილს კი ნამდვილად უნდა მიექცეს ყურადღება. იგი წარმოადგენს დაპირებების მთელ კრებულს, რომელიც ხაზს უსვამს საიმპერატორო ძალაუფლების შეზღუდვას და მის რესპუბლიკურ ხასიათს.¹⁶ ხოლო თავად ტექსტი კი კიდევ უფრო მეტად უსვამს ხაზს რესპუბლიკური ხასიათის დანაპირებს.

არის კიდევ სხვა, ერთობ ცნობილი ფაქტებიც, რომლებიც მიუთითებენ ახლადყვალდერებულ იმპერიის თავისებურ შეზავებულ პოლიტიკურ ხასიათზე. ტერმინი „რესპუბლიკა“ იმპერატორის მიერ მოჭრილ ფულზე 1808 წლამდე შემორჩა. რესპუბლიკური კალენდარი 1806 წ. გაუქმდა. ხოლო ნაპოლეონის ოფიციალური ტიტული იმპერიის ინსტიტუტს თავისებურ სახალხო ხასიათს სძენდა: „ნაპოლეონ ბონაპარტი, საფრანგეთის რესპუბლიკის იმპერატორი“. ამით მან თავისებური სახალხო ბელადის სახე შეიქმნა. თუმცა კი „მარსელიეზა“ როგორც ჰიმნი ახალმა მუსიკამ, „Veillons sur l'Empire“ (იმპერიას დავუდგეთ დარაჯად) ჩანაცვლა, მაგრამ სამფეროვანი დროშა ხელუხლებელი დარჩა. მაგრამ ყველაზე გასაოცარი კი ამ ჰიმნის ტექსტია: „მივხედოთ იმპერიის უსაფრთხოებას, მივხედოთ ჩვენი უფლებების დაცვას, და თუ დესპოტიზმი გაილაშქრებს ჩვენს წინააღმდეგ, ჩვენ თავად გავილაშქრებთ მეფეთა დასამხობად!“

ამგვარად, ნაპოლეონმა ხელთ იგდო არნახული ძალაუფლება, მაგრამ ეს დემოკრატიული კანონიერების საშუალებით მოხდა. მან ძალაუფლების პერსონიფიცირება ხალხის წარმომადგენლების მეშვეობით განახორციელა. ამით იგი უფრო მეტად წარმოჩნდა როგორც ხალხის წარმომადგენელი, ვიდრე მისი წინამორბედები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ყველა ფორმალობის დაცვით იყვნენ არჩეულები.¹⁷

16 Englund Stephen, Napoleon. A Political Life. Harvard University Press. 200, p. 245.

17 Englund Stephen, Napoleon...p. 249.

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ნაპოლეონი ერის საყოველთაო მეთაური იყო, იგი მაინც ვერ გაიგივდება კლასიკურ აღმოსავლურ დესპოტთან, რომელიც ტრადიციულად განყენებული სიდიადის სახეს ქმნის და ასევე წარმოჩნდება ქვეშევრდომთა შორის თავისებური ღმერთკაცის სახით. ნაპოლეონი კი სრულიად იყო დამოკიდებული საკუთარ თავზე, საკუთარ უნარზე გამარჯვებები მოეპოვებინა და თავის იმპერიას გასძლიოდა.¹⁸ „დაპყრობამ შემქმნა მე ისეთად, როგორც ვარ და დაპყრობა შემინარჩუნებს მე აღნიშნულ მდგომარეობას!“, – ამბობდა იგი. ნაპოლეონის ეს თვითშეფასება არნახულად მნიშვნელოვანია მისი ხელისუფლების არსის წვდომისათვის.¹⁹ მისი პიროვნების ფაქტორს არნახულად დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომაც უთხრა მან ავსტრიის კანცლერ მეტერნიჰს ერთ-ერთი მოლაპარაკების დროს: „თქვენი მბრძანებლები ტახტზე არიან დაბადებულები და მათ არ სძალუძთ გაუგონ იმ გრძნობებს, რომლებიც მე მამოძრავებს. მათ არად უღირთ თავის სატახტო ქალაქებში დამარცხებულებად დაბრუნება. მე კი ჯარისკაცი ვარ, მე სახელი და დიდება მჭირდება, მე ვერ წარვსდგები პატივყარილი ჩემი ხალხის წინაშე! მე ჩემი სიდიადე უნდა შევინარჩუნო იმ ადამიანების თვალში რათა მათი აღტაცება გამოვინვიო!“²⁰ აი, სწორედ აქ ჩანს ამ ადამიანის დამოკიდებულება ხალხზე, მის აზრსა და შეფასებაზე. ეს იმ ადამიანის აზრი და სიტყვებია, რომელმაც თავისით გაიკაფა გზა ცხოვრებაში და საკუთარი გენიის წყალობით ავიდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების მწვერვალზე. მას არაერთხელ დაუმარცხებია სხვა მეფეები, მაგრამ მათ რეპუტაციას ამით არაფერი დაკლებია. ან მხრივ ნაპოლეონი საგანგებო მოვლენაა. იგი საკუთარ თავზე იყო დამოკიდებული. შეიძლება ითქვას, რომ მას ნაფორხილების უფლება არ ჰქონდა. მისი გამარჯვებები ყველას ხიბლავდა, განსაკუთრებით უბრალო ხალხს, მათ გულებს. ამიტომაც იყო, რომ უბრალო პარიზელები ასე თავგამოდებით ეწინააღმდეგებოდნენ მის გადადგომას. 100 დღის მიწურულს, ვატერლოოს ბრძოლის შემდეგ მას პარიზის ბრბოს ერთ-ერთი თავკაცი მიეჭრა და მოსთხოვა, უარი ეთქვა გადადგომაზე. „რას სჩადი, სად მიდიხარ?!“ – უთხრა მან იმპერატორს. თავისი მოთხოვნის საფუძვლიანობის განსამტკიცებლად მან ნაპოლეონს 13 ვანდემიერიც კი გაახსენა, როდესაც, კონვენტის დავალებით, ნაპოლეონმა როიალისტების ამბოხება ჩაახშო. ანუ, ის ადამიანი თვლიდა, რომ ნაპოლეონს ნებისმიერი, თუნდაც ძალადობრივი ხერხისთვისაც უნდა მიემართა, რათა ძალაუფლება შეენარჩუნებინა.

ასეთი ფაქტების ფონზე ნაპოლეონი წარმოსდგება როგორაც თავისებური სახალხო ბელადი, პროლეტართა მეფე, რომელიც თავის ხალხთან ერთად იჯდა საიმპერატორო ტახტზე და მისი გულის საამებლად ამცირებდა სხვა მეფეებს თავის მისაღებში. ეს შეფასება ეკუთვნის ნაპოლეონის თანამედროვეს, ცნობილ მწერალს, პოლიტიკოსს, ულტრა-როიალისტ შატობრიანს. გოეთე ნაპოლეონს უწოდებდა რევოლუციას, რომელიც საიმპერატორო გვირგვინით იყო შემკული.²¹ გარკვეულწილად მას შეიძლება მოქალაქე-იმპერატორიც კი ეწოდოს. ამიტომაც ვეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომლის თანახმად, ბონაპარტმა გაიარა

18 Englund Stephen, Napoleon...p. 248.

19 Emerson Ralph W, Representative Men. Seven Lectures. N.Y. p. 221.

20 Тарле Е., Наполеон... с. 336.

21 Napoleon Bonaparte Internet Guide Napoleon and French Revolution

სამხედრო სამსახურის ყველა საფეხური და ვიდრე იმპერატორი გახდებოდა, იგი მოქალაქე იყო. ასე რომ, მისთვის მოქალაქეობა სულაც არ იყო უცხო მოვლენა.²²

იყო ეს უზურპაცია? ამაზე საინტერესო აზრს გვანვდის იმპერატორის პირისფარეში კონსტან ვალერი. აი რას წერდა იგი თავის დღიურებში: „თუკი იმპერატორმა მოახდინა ტახტის უზურპირება, მას უფრო მეტი თანამონაწილე ყავდა, ვიდრე ტრაგედიების და მელოდრამების ყველა ტირანს ერთად აღებულს, რადგანაც ამ შეთქმულებაში ფრანგი ხალხის 3/4 მონაწილეობდა“.²³ ამგვარად, ყოველივე ზემოთქმულიდან ვასკვნით, რომ ნაპოლეონის, ჯერ როგორც პირველი კონსულის და მერე როგორც იმპერატორის მმართველობა, თავისი დამახასიათებელი ნიშან-თვისებებით, არ შეიძლება ცალსახად მიეკუთვნოს მონარქიას ან დიქტატურას. ნაპოლეონი აქაც წარმოჩნდება როგორც საგანგებო, თავისებური მოვლენა. და სწორედ ამიტომ მის მმართველობას საგანგებო, მისთვის დამახასიათებელი სახელი ერგო – ბონაპარტიზმი. ხელისუფლების ეს ტიპი ხასიათდება როგორც ავტორიტარული მმართველობა, რომელსაც ხალხის ფართო ფენების მხარდაჭერა აქვს, ან იდეოლოგია, რომელიც ეფუძნება ძლიერ, ცენტრალიზებულ რეჟიმს, ეროვნულ თანხმობას, იცავს საზოგადოებრივ წესრიგს და საზოგადოებრივ თანასწორობას.

Ivane Menteshashvili

Napoleon and his Authority. The Main Characteristics

Summary

Napoleon still astounds historians and amateurs of history by numerous characteristics of his personality and activity which really have no match. One of such distinguished elements is his authority. Was it pure dictatorship or monarchy, or something different? Article shows transformation of Napoleon's views concerning republic and monarchy. Different facts are considered in order to shed luster on his authority when he was the First Consul and then Emperor. Analysis shows, that each form of his rule was not neither pure dictatorship nor pure monarchy. Here Napoleon comes again as innovator and what is the most important, the son of Revolution. He imbibed the core traits of Revolution and subconsciously carried them out. To a certain extent he was Popular Chief. Therefore his rule acquired a specific term – Bonapartism and is explained as authority based on an strong and centralized regime founded on popular consent, safeguarding social order and social equality.

22 Emerson Ralph W., Representative...p. 223.

23 Englund Stephen, Napoleon...p. 243.

აქა ამაპვი უცხოეთში გამოცემული ერთი ქართული წიგნისა

XXI საუკუნეში, გლობალიზაციის პირობებში სხვა სიტუაციაა, სად რა იბეჭდება, საიდან და სადაური, ძნელი დასადგენია, წინა საუკუნეში კი წიგნის გამოცემისა თუ დაბეჭდვის ადგილი მისი უმნიშვნელოვანესი მახასიათებელი იყო.

როგორ შეიძლება ქართული წიგნით დაინტერესებული ადამიანის ყურადღება არ მიიპყროს აკაკი პაპავას წიგნმა „1500 წლოვან თბილისს“, რომელიც არგენტინაში მცხოვრებ ქართველ მწერალსა და ემიგრანტს სანტიაგო-დე-ჩილეში დაუბეჭდავს 1960 წელს. თუნდაც მხოლოდ ამის გამო, ეს წიგნი ერთ-ერთი ყველაზე უნიკალური ქართული გამოცემაა, ხოლო მისი გამოცემის ისტორია – ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო. თან იმ დროს, როცა ინტერნეტი გაეგოთ კი არა, ფაქსიც კი იშვიათი რამ იყო, ტექსტებისა თუ სურათების გაგზავნა ერთი ქვეყნიდან მეორეში დიდად განსხვავებული იყო დღევანდლისაგან და სერიოზულ დაბრკოლებებთან იყო დაკავშირებული.

ხელნაწერი წიგნებიც რომ ჩავთვალოთ, მსოფლიოში სულ ოციოდე ქვეყანაა, სადაც ქართული წიგნი შექმნილა და გამოცემულა. და მათ შორის საქართველოსგან ყველაზე შორეული ქვეყნები სწორედ არგენტინა და ჩილე გახლავთ.

არგენტინის დედაქალაქში იქმნება და ჩილეს დედაქალაქში იბეჭდება საქართველოს დედაქალაქისადმი მიძღვნილი წიგნი! და აღმოჩნდა, რომ ჩვენ საშუალება გვაქვს, არათუ განვიხილოთ ეს წიგნი, არამედ თვალი გავადევნოთ ამ უნიკალური გამოცემის შექმნის მთელ ისტორიას – ჩანაფიქრიდან მოყოლებული მის პრეზენტაციამდე. ასეთ უნიკალურ შესაძლებლობას გვაძლევს ჩვენს ხელს არსებული მომონერა აკაკი და თამარ პაპაევებისა ვიკტორ ნოზაძესთან, კონკრეტულად კი ამ ხანგრძლივი მიმონერის 1959-1960 წლების პერიოდი. ეს ის წლებია, როცა თამარ და აკაკი პაპაევი უკვე 10 წელიწადია არგენტინაში დამკვიდრებულან თავიანთ ქალიშვილებთან და მათ ოჯახებთან ერთად, ვიკტორ ნოზაძე კი, ერთხანს არგენტინაში მცხოვრები, ისევ აგრძელებს თავის მომთაბარე ცხოვრებას და ევროპაში დაბრუნების წინ, კვლავ ჩილეშია, სადაც მას რუსთველოლოგიური ნაშრომების დაბეჭდვაში დიდად ეხმარება იქ მცხოვრები მრეწველი და მეცენატი ავთანდილ მერაბაშვილი.

ვიკტორ ნოზაძის წერილები თამარ და აკაკი პაპაევებს 1997 წელს ჩამოვიტანე არგენტინიდან საქართველოში. იმთავითვე სწორედ ისე მინდოდა მათი გამოცემა ცალკე წიგნებად, როგორც თავის დროზე გამოვეცი ამ წერილებთან ერთად ჩემს მიერ ჩამოტანილი ექვთიმე თაყაიშვილის, გრიგოლ რობაქიძის, მიხაკო წერეთლის, სამსონ ფირცხალავას თუ კიტა ჩხენკელის წერილები თამარ და აკაკი პაპაევებისადმი. მაგრამ მას მერე, რაც გავიგე, რომ ქართული ემიგრაციის მუზეუმში დაცული იყო ვიკტორ ნოზაძის არქივის ნაწილი და მათ შორის – თამარ და აკაკი პაპავას წერილები, გადავწყვიტე, ორივე ეს მიმონერა გამეერთიანებინა, ყველა წერილი ქრონოლოგიურად თავის-თავის ადგილს ჩამესვა და ერთობლივად გამომეცა. ამ ცოტა ხნის წინათ მომეცა ამის საშუალება, და მალე ეს მიმონერა სწორედ ასე, სრულად გამოიცემა.

ასეთი ორმხრივი მიმონერის გამოქვეყნება საკმაოდ იშვიათია, მაგრამ ამავე დროს მეტისმეტად ფასეული. ვინ იცის, რამდენ მკვლევარს უწვავლია, რომ ამა

თუ იმ ცნობილი ადამიანის წერილები, მის ტომებში დაბეჭდილი, მათი ადრესატების პასუხებთან შეედარებინა თუ შეეერთებინა, რომელიც სულ სხვა გამოცემაში იყო დაბეჭდილი.

თავისთავად ძალზე საინტერესოა ვიქტორ ნოზაძის წერილები თამარ და აკაკი პაპაევებისადმი, მაგრამ გაცილებით საინტერესოა მათი გაცნობა პასუხებთან ერთად. მართალია, ბევრი წერილი დაკარგულია, ზოგიერთი სახეებით შეგნებულადაც, რადგან კარგად ვიცი, რომ თამარ პაპაევამ არაერთი წერილი თავისი ხელით გაანადგურა, მაგრამ, როცა მიმონერის ორივე მხარის ნიმუშებია შემორჩენილი, მათ გამოცემა, რა თქმა უნდა ერთიანად ჯობია, მკითხველისთვისაც და მეცნიერ-მკვლევართათვისაც.

ბევრი რამ ამგვარ მიმონერაში განმარტავს მრავალ საინტერესო დეტალს, როგორც ადრესატის, ისე ადრესანტის წერილებში, და მათი ფიგურებიც უფრო რელიეფურად წარმოჩინდება მკითხველის წინაშე. იგივე ითქმის ვიქტორ ნოზაძისა და პაპაევების მიმონერაზეც. გარდა ამისა, ასეთ მიმონერაში არაერთი ფაქტი თუ მოვლენა ერთი მხრივ რეპორტაჟულად, მეორე მხრივ კი – ისტორიულ პერსპექტივაშია წარმოდგენილი. ასეთთა შორის არის აკაკი პაპაევას იმ უნიკალური წიგნის გამოცემის ამბავი, რომელიც თითქოს ჩვენს თვალწინ თამაშდება ეპისტოლარულ სცენაზე, როგორც უაღრესად საინტერესო დოკუმენტური სპექტაკლი. თანაც საშუალება გვძლევს, თვალი შევავლოთ გაჭირვებით, უიმედობით, უამინდობით, ავადმყოფობებითა თუ სიკვდილებით დამძიმებულ ქართული ემიგრაციის საერთო სურათს, როგორც ბუენოს-აირესში, ისე სანტიაგოში. იმდენად, რომ შეიძლება კიდევ გაცდეს მაცურებელი, რა ენიგნებათ და ეთბილისებათ ასეთი ამბების და ასეთი ემოციების ფონზე!

მაგრამ სანამ ამ სპექტაკლის პერიპეტივებზე გადავალთ, ძალიან მოკლედ გავეცნოთ მოქმედ პირებსა და შემსრულებლებს სცენაზე მათი გამოჩენის კვალდაკვალ:

წიგნის ავტორი აკაკი პაპაევა (1890-1964) – მწერალი, ჟურნალისტი, პოლიტიკური და პარტიული მოღვაწე (სოციალისტ-ფედერალისტი), საქართველოს პირველი რესპუბლიკის პარლამენტის წევრი, მრავალი წიგნისა ავტორი; ცხოვრობდა ესტონეთში, გერმანიაში, არგენტინაში.

წიგნის გამომცემელი ვიქტორ ნოზაძე (1893-1975) – თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწე, ჟურნალისტი, რუსთველოლოგი, არაერთი წიგნის ავტორი და ჟურნალ-გაზეთის რედაქტორი, მესტამბე; სხვადასხვა დროს ცხოვრობდა ინგლისში, გერმანიაში, ჩილეში, არგენტინაში, ესპანეთში, საფრანგეთში. აკაკი პაპაევას მეგობარი.

წიგნის ავტორის მეუღლე თამარ გოგოლაშვილი-პაპაევა (1888-1976) – მსახიობი, მწერალი, ჟურნალისტი, არაერთი წიგნის ავტორი. ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ესტონეთში, გერმანიაში, არგენტინაში.

წიგნის მხატვარი ლეო(ნიდე) ჭეიშვილი (1905-1990) – ქართველი ქიმიკოსი, მეცნიერებათა დოქტორი, მხატვარი; არაერთი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. ცხოვრობდა გერმანიაში, საფრანგეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, არგენტინაში; 1938 წელს ცოლად მოიყვანა ტურფა პაპაევა.

ბუენოს-აირესში მცხოვრები თამარ და აკაკი პაპაევას ოჯახის წევრები:

ქალიშვილები – ტურფა და მზია; მათი მეუღლეები – ლეო ჭეიშვილი და საშა ჭეიშვილი; ტურფასა და ლეო ჭეიშვილის შვილები – მაცყალა, ნინო, მზია, ტურ-

ფა-მარია (პუსი), დათო; მზიასა და საშა ჭეიშვილის ქალიშვილები – გულნარა და სალომე. თამარ პაპავას ბიძა ვლადიმერ გამრეკლიძე (გამრეკელი).

ჩილეში მცხოვრები ქართველი ემიგრანტები:

ავთანდილ მერაბაშვილი (1902-1974) – ბიზნესმენი და პოლიტიკური მოღვაწე, მეცენატი. სპილენძისა და გვარჯილის მაგნატი ჩილეში. ცხოვრობდა გერმანიაში, საფრანგეთში, ბელგიაში, ბელგიის კონგოში, ჩილეში; „თეთრი გიორგის“ წევრი, გრიგოლ ვეშაპელის მკვლელი. სიცოცხლე თვითმკვლელობით დაამთავრა.

მიხეილ (მიშა) ჯაყელი (დაბადებული უნდა იყოს 1913 ან 1914 წელს, გარდაცვალების წელი უცნობია) – საქართველოს ნერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრისა და ჭიათურის მანგანუმის მადნის საექსპორტო საზოგადოების („ჩემო“) თავმჯდომარის ალექსანდრე (საშა) ჯაყელის შვილი, საფრანგეთში სახელმწიფო არქიტექტორის ოთარ ჯაყელის ძმა; ცხოვრობდა ესპანეთში, ბელგიაში, ჩილეში. სანტიაგოში ჰქონია ფარმაცევტული ლაბორატორია „Prince Michael“; ცოლ-შვილი არ ჰყოლია; 1960 წელს სტუმრად ყოფილა პარიზში თავის ბიძაშვილთან ალექსი ჯაყელთან და მას მერე არავის უნახავს.

დიმიტრი (მიტო) ანანიაშვილი (1892-1968) – ემიგრაციამდე პოდპოლკოვნიკი; ცხოვრობდა თურქეთში, შემდეგ – ევროპაში; 1933 წ. აირჩიეს პარიზში დაარსებულ „ქართველ მხედართა“ საზოგადოების გამგეობის წევრად. II მსოფლიო ომის შემდეგ გადასახლდა სამხრეთ ამერიკაში, იყო არგენტინის ქართველთა სათვისტომოს წევრი. დაკრძალულია ლევილის ქართველთა სასაფლაოზე.

ქართველ ემიგრანტთა ნაცნობ-მეგობრები, ჩილეელი ინტელექტუალები და მათ შორის ხულოო ბარონეჩა – უდიდესი ჩილეელი პოეტი, პროზაიკოსი და დიპლომატი, რომელმაც სწორედ ამ ეპისტოლარულ პიესაში აღწერილი ამბების დროს, 1960 წელს ჩილეს ეროვნული პრემია მიიღო. ახალგაზრდობაში იგი ჩილეს ფეხბურთელთა ნაკრების წევრი ყოფილა.

ირაკლი ბაგრატიონ-მუხრანელი (1909-1977) – ქართული პოლიტიკური ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ბაგრატიონთა სამეფო სახლის მეთაური ევროპაში. ცოლად ჰყავდა იტალიელი გრაფის ჰუგო პასკუინის ასული მარია ანტუანეტა, რომლისგანაც 1944 წელს შეეძინა შვილი გიორგი (ხორხე), ევროპაში ბაგრატიონთა სამეფო სახლის ყოფილი მეთაური (გ. 2008). მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, საცხოვრებლად ესპანეთში გადავიდა, სადაც 1946 წელს ესპანეთის ბურბონთა სამეფო სახლის წევრი, ესპანეთის ინფანტა და ბავარიის პრინცესა მარია დე ლას მერსედეს შეირთო, რომელთანაც ეყოლა ქალ-ვაჟი – მარიაში (დ. 1947) და ბაგრატი (დ. 1949). ინფანტას გარდაცვალების შემდეგ (1961) ბაგრატიონ-მუხრანელი დაქორწინდა მარია პასკუალზე. 1939 წელს ირაკლი ბატონიშვილმა დააარსა დღეს ევროპაში ფართოდ ცნობილი რაინდული ორდენი „მაცხოვრის კვართის ორდენი“, რომლის პირველი დიდოსტატი თავად იყო. 1942 წელს მისი თაოსნობით გერმანიაში დაარსდა ქართული პატრიოტული პოლიტიკური ორგანიზაცია „ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი“. ირაკლი ბატონიშვილის დაი – ლეონიდა ბაგრატიონი გახლდათ დევნილობაში მყოფი რუსეთის იმპერატორის ვლადიმერ კირილოვიჩის მეუღლე და დედა რუსეთის დეიურე იმპერატრიცა მარიასი.

ახლა კი მივყვით ამ დოკუმენტური სპექტაკლის მდინარებას, რომელიც პირობითად შეიძლება 12 სურათად დაიყოს:

წიგნის ჩანაწერი

თბილისის 1500 წლისთავი 1958 წელს აღინიშნა თბილისში. როგორც ჩანს, აკაკი პაპავას ამ თარიღისადმი მიძღვნილი წიგნის გამოცემის სურვილი უკვე საიუბილეო ღონისძიების შემდეგ გასჩენია. ყოველ შემთხვევაში, ამის შესახებ არაფერი წერია მის 1958 წლის წერილებში, რომელთაგან ბოლო სამი 18 აგვისტოს, 25 ნოემბერსა და 18 დეკემბერს არის გაგზავნილი.

1959 წლის პირველსავე დღეს კი, პირველ იანვარს, იგი ვიკტორ ნოზაძეს სწერს: „ძმაო ვიკტორ, ამ წერილს მიშას სახელზე ვგზავნი, რადგან ვშიშობ ავთანდილს რამე არ ეწყინოს.“

მინდა გთხოვო ერთი რჩევა: თბილისის 1500 წ. აღსანიშნავად მინდა გამოსცე ჩემი ახალი ლექსები (ციკლიდან: „თბილისის 1500 წ.“) პატარა შესავლით. ეს უნდა იყოს ჩვენი ემიგრაციის მიძღვნა დედაქალაქის ზეიმისათვის. პატარათ მაინც მოხდა ვალისა... ეს პატარა წიგნაკი იქნება 28 გვერდი. ცარიელი გვერდებით – 32 გვ. კლიშეს აქ გავაკეთებინებ. შეგიძლიან შენ ამის აწყობა-დაბეჭდვა? მე ჯერ ვფიქრობდი ავთანდილისთვის მეთხოვა მისი გამოცემა და შენ აწყობის ფულს მოგცემდი. მაგრამ უარი რომ ეთქვა, ან რამე უცნაური პირობები დაესვა, მე ამას ვერ მოვუთმენდი, ამიტომ ვარჩიე – ჯერ შენ შეგეკითხო – როგორ აჯობებს? სადმე სხვაგან ამის დაბეჭდვა ძალიან ძვირი დამიჯდება, რაც ამ დროში ჩემთვის ძნელია (ისე გაძვირდა აქ ცხოვრება). ვერც ვერავინ გამიკეთებდა ამ საქმეს ისეთი გემოვნებით და სიყვარულით. ეხლა ველი შენს საჩქარო პასუხს. თამარმა დიდი მოკითხვა“.

ვიკტორ ნოზაძის პირველი რეაქციიდან გამომდინარე ამ წიგნს დიდი ვერაფერი მომავალი ელოდა. ესაო, ისაო, ჩემო ძვირფასოო, ახსნასაც ვერ მოგყვებით, მაგრამ ვერაო! – ასეთი პასუხი გამოუგზავნა სანტიაგოდან ვიკტორ ნოზაძემ აკაკი პაპავას ბუენოს-აირესში იმავე წლის 17 იანვარს:

„ძვირფასო აკაკი, მიშა ჯაყელმა გადმომცა შენი წერილი, რომლითაც ვცანი შენი სურვილი ლექსთა კრებულის აწყობისა და დაბეჭდვის შესახებ. თბილისის 1500 წლისადმი მიძღვნილი კრებული თბილისში გამოსცეს (ეს წიგნი მიიღო დისაგან ავთანდილმა). შიგ მოთავსებულია ყველა მწერალი უძველესიდან დღემდე. ძალიან კარგი გამოცემაა. მიიღო მანვე თბილისის ალბომიც.“

მე ვერ ავასრულებ შენს თხოვნას არა ერთი და ორი მიზეზის გამო, რომელთა გაცნობა ერთ თაბახს მოითხოვს (ამის დაწერის უნარიც კი არა მაქვს, ისეთ მდგომარეობაში ვარ!). მიტო მობრუნდება მანდ თებერვლის 3-4-ს და ის გაამბობს ყველაფერს.

გადანწყვეტილი მაქვს ევროპას მივუბრუნდე. ძალიან გაჯახირდა ვიზის მიღების საქმე. თუ გზის ფული მექნა ბუენოს-აირესის მიმართულებით წავიდე, მაშინ გამოვლისას მანდ დავრჩები და აგინებ ლექსებს. თუ ასეთი გზის ფული ვერ ვიშოვნე, მაშინ იძულებული ვიქნები აქედან წავიდე, სალიტრის ან სპილენძის გადამზიდავ გემით, რაც ას ოც დოლარზე მეტი არ დამიჯდება (ერთი კაცი მომიწყობს ამას). ასეა საქმე, ჯერ გაურკვეველი ყოველი მხრივ.“

ამის მერე მიმოწერა ვიკტორ ნოზაძის 14 მაისის წერილით გრძელდება. ძნელი სათქმელია, რამდენი წერილია დაკარგული, რატომ არ წავიდა ევროპაში ნოზაძე, ან რა ამბავი მიიტან-მოიტანა მიტო ანანიაშვილმა სანტიაგოდან ბუენოს-აირესში და უკან, მაგრამ ფაქტია, რომ ვიკტორ ნოზაძეს თავისი აზრი შეუცვლია და კაკიჩებს თითქოს ებოდიშება, რომ წიგნის აწყობა ჯერ არ დაუწყია და მასალების სასწრაფოდ გაგზავნას სთხოვს.

„კაკიჩებს სალამი, ნუ მკითხავთ მიზეზს, თუ აქამდე რატომ ვერ შევუდექი თქვენი წიგნის აწყობას. ამის საწერად სრულებით ხალისი არა მაქვს. ნაწილობრივ მიტომ იცის ეს და ის გეტყვით. ახლა: გადმომიგზავნეთ ყველა მასალა ასაწყობად, დანომრილი და დაწყობილი.

სალამი ყველას, ვიქტორი.

უნდა გამოავზავნოთ საჭაერო ფოსტით, თორემ ისე 1 1/2 თვეს და მეტს უნდება.“

წერილიდან მეტს ვერაფერს ვიგებთ. მეგობრებს შორის ისევ მიტო ანა-ნიაშვილი მოციქულობს. და ერთი რეპლიკაც: მეტსახელად „კაკიჩებს“ ვიქტორ ნოზაძე და მასთან ერთად კიდევ ზოგიერთი ახლო მეგობარი ერთდროულად ეძახის თამარ და აკაკი პაპავეებს. პაპავა უმცროსი კაკიჩი იყო, ასაკიდან გამომდინარე, თამარი – უფროსი. ისინიც ხშირად ასე მიმართავდნენ ერთმანეთს.

ერთი თვის შემდეგ კი აკაკი პაპავეას 1959 წლის 13 ივნისის წერილით ვიგებთ, რომ საქმე დაიდრა. თუმცა თბილისის იუბილე საქართველოში უკვე წარსულს ჩაბარდა და „ქართლის დედასაც“ უკვე შეაჩვიეს თვალი თბილისელებმა. ხოლო ემიგრაციაში ამ თარიღის აღნიშვნისათვის ქართული ემიგრაციის ორი თვალსაჩინო წარმომადგენელი გაერთიანებული ძალებით იღვწის და ახლა უკვე აკაკი პაპავა ებოდინება ვიქტორ ნოზაძეს, თანაც აქაც რატომღაც პირდაპირ კი არ წერს, – ავთანდილ მერაბაშვილს მივწერეო, – ეუბნება. ვიქტორ ნოზაძე სანტიაგოში მერაბაშვილის ვილაზე ცხოვრობს და თავისი გამომცემლობაც იქვე აქვს მოწყობილი. ამ დროს ის თავისი რუსთველოლოგიური შრომების პარალელურად, ეხმარება მთარგმნელ გუსტავო დელა ტორესს, რომელიც ავთანდილ მერაბაშვილის ინიციატივით, ვეფხისტყაოსნის ესპანურ თარგმანზე მუშაობს. ეს წიგნი 1964 წელს გამოიცა სანტიაგოში მერაბაშვილისავე დაფინანსებით.

„ძვირფასო ვიქტორ, შენთან მართლაც დამნაშავე ვარ, რომ დღემდე ვერ მოგწერე და ვერ გიპასუხე. მიზეზს ავთანდილს ვწერ და გაიგებ, თუ რა მძიმე განწყობილებით ვარ შეპყრობილი... რაც არგენტინაში ჩამოვედით, ერთი თვეც არ მოგვისვენია – მუდამ ვინმე ავადა გვყავს და ამან ამოგვჭამა გული და ხალისი წაგვართვა. დღესაც ვერ გავიგეთ – რა დაემართა ასეთი მზიას... ამ ამბებს წერილით ვერ აგინერ. დეპრესიამ მოიცვა სული, რაც მე არ მჩვეოდა... აღარაფრის ხალისი არა მაქვს და ხნოვანობა, ცუდი სიბერე დამანვა ძალუმაღ. ამ მიზეზებმა კალამის ხელში აღების ხალისი წამართვეს... მეორე მიზეზიც ის იყო, რომ ვიმედოვნებდი, რომ მიტო წამოვიდოდა და შენს წერილს და მასალას მას გამოვატანდი. ეხლა, რაკი მას კიდევ 3 კვირა მაინც დაავიანდება, გადავწყვიტე ამ 3-4 დღეში გამოვგზავნო... მინდა მანქანაზე გადავბეჭდო ყველაფერი. 2/3 უკვე მოთავებული მაქვს. ეს იმიტომ, რომ შენ არ გაჯავრდე და არ ინერვიულო აწყობის დროს... მე მხოლოდ ღამით შემიძლია (11-ის შემდეგ) დაქანცულს ბეჭდვა, რადგან დღისით ამათ ვუნდები (თამარიც ვერ გვყავს კარგად და ამბობს – წელამდე შევედი სიბერეშიო), სხვებს არ შეუძლია მოვლა, ყველა დაკავებულია.“

მერე იმავე წერილში აკაკი პაპავა თავის წიგნს ავედრებს მეგობარს და თითქოს სხვათა შორის, ალბათ როგორც წინასწარი მაღლიერების ერთგვარ გამოხატულებად, თავის ძველ ნაწერს სთავაზობს, მისი გამოკვლევების რომელიღაც წიგნზე:

„ვიქტორ, ეხლა შენ იცი – როგორის სიფაქიზით და სიყვარულით მოეკიდები ამ წიგნს. გარეგნობა და ტექნიკური მხარე ამისთვის, ხომ იცი, გადამწყვეტი იქნება. ავთანდილს და შენ წინასწარ დიდი მაღლობა ყველა დახმარებისათვის ამ წიგნის საქმეში.

ვიკტორ, ამას წინადად ჩემს ძველ ხელნაწერებს ვარჩევდი. შემხვდა შენი „განკითხვანი“ სთვის დაწერილი საგანგებო წერილი. ნავიკითხე და წარმოიდგინე, მომეწონა... ვწუხვარ, რომ არ დაბეჭდე შენს წიგნში. ჩემის აზრით ეხლაც შეიძლება ერთ-ერთ დამატებად მოათავსო. მხოლოდ ბოლოს შეაკვეცი, სადაც ცალკე ნარკვევთა ჩამოთვლაა. გამოგიგზავნი და იფიქრე შენაც. ემიგრაციამაც ხომ რაიმე უნდა სთქვას ამ დიდ ნაშრომზე...

იყავ კარგად. ყველამ სიყვარულით მოკითხვა. შენი აკაკი.“

20 ივნისის წერილში მზიას ავადმყოფობით შეწუხებული ვიკტორ ნოზაძე ძალიან მალე გადადის წიგნის პრაქტიკულ და ტექნიკურ საკითხების შეთანხმებაზე, ხოლო აკაკის წინადადებაზე არაფერს ამბობს. როგორც ჩანს, თავის დროზე იმიტომაც არ დაბეჭდა, რომ დიდად არ იყო მისით აღფრთოვანებული.

„აკაკიჩებო, ძალიან შემანუხა მზიას სწეულებამ, – მზია სულით ძლიერია და იმედი მაქვს კიდევ ერთჯერ მოერევა ხორცს. უსურვეთ ჩემს მაგიერ მალე გამოჯანმრთელება.“

რაც შეეხება წიგნის აწყობისა და დაბეჭდვის საკითხს, შენი წიგნი იქნება იმავე ფორმატის, როგორც იყო შენი ლექსების კრებული. ასე რომ, თუ გსურს კლიშე მანდ გააკეთებინეთ და მიტოს გამოათანეთ. რაც ქალაქს შეეხება, ამის ნიმუშებს თავის დროზე გამოგიგზავნი. საჭიროა, რასაკვირველია იმისი ცოდნაც, თუ რამდენი ცალი უნდა დაიბეჭდოს.

კორექტურის ფურცლებს, ცხადია, საჭიერო ფოსტით მოგანოღებ ხოლმე. ახლავე საჭიერო ფოსტით უნდა გამოგიგზავნო ლექსების შენი წიგნი. რაც შეეხება შენს წერილს ჩემი წიგნისათვის, ამის გამო მოვილაპარაკებთ, როდესაც აქ იქნებით, ზაფხულში. შენი წიგნის დაბეჭდვას დრო უნდა და ამას გარდა, ჩემი წიგნის აწყობას კიდევ უფრო მეტი დრო დასჭირდება, მგონი ექვსი თვე. იქნებ წინასიტყვაობად და შემდეგი წიგნის შინაარსის ჩართვით ვაკეთდეს.

სალამი ყველას. ძალიან მეწყინა კაკი წერეთლის გარდაცვალების ამბავი. ვიკტორი“.

ხოლო თავის წინა წერილს, სადაც ის წიგნის აგებულებაზე საუბრობს, აკაკი პაპავამ მეორე დღეს, 4 ივლისს ახალი მიადევნა:

„ვიკტორ ჩემო, ეს წერილი გუშინ დავწერე და დღეს შენი წერილი მოვიდა. მეკითხები მზიას ამბავს. ეხლა „ფეხზე დგას“, მაგრამ მხოლოდ ლანდია... აუტანელი ტკივილები თავის და ზურგის ცოტათ დაუამდა. პატრონი რომ იყოს, ახლა მას უნდა გაგზავნა 2 თვით მაინც, ბავშვებს ვერ სტოვებს და „იბრძვის“. 2 თვე იწვა და არც ეხლა შეეძლო ადგომა, მაგრამ, გულწარას დღეს უსრულდება 15 წელი (მე კი სამის დღის შემდეგ – 19-ში) და ვერ გავაჩერეთ ვერაფრით – უნდა თვითონ გავუშალო მაგიდა და გამოვანყოვო...“

სადაცაა მიტოვ მოვა და გავიგებ – როდის გამოდის ნამდვილად. თუ მართლა 1 კვირაში წამოვა წიგნის მასალას და კლიშეს მას გამოვატან, თუ მეტი დრო დარჩა, მაშინ ამ მასალას ზეგ ე. ი. ორშაბათს ფოსტით გადმოგიგზავნი.“

წიგნის შინაარსი

3 ივლისის წერილში, რომელიც ძირითადად წიგნის აგებულებას ეხება, აკაკი პაპავა, ეტყობა, ისეა დაზაფრული ერთი მხრივ მეუღლისა და ქალიშვილის ავადმყოფობით და მეორე მხრივ თავისი ასაკით, რომ შიშობს, იქნება ეს წიგნი ჩემი „გედის სიმღერა“ გამოდგესო და, ამიტომ მასში შეაქვს ლექსები და ტექსტები,

რომლებიც არაფრით უკავშირდება თბილისის 1500 წლისთავს.

„ძვირფასო ძმაო ვიკტორ!

როგორც იქმნა მოვათავე გადაბეჭდვა და გავამზადე გამოსაგზავნად, მაგრამ...

ჯერ კიდევ არ ვიცი – მოვახერხებ ხვალ ეს ყველაფერი გადმოვაგზავნო?..

იქნებ ჯერ კიდევ ვერ „შეველიო“ და ზოგ რამეს შესწორება, შელამაზება და-მჭირდეს.

მე მინდა ჩვენი ემიგრაციის დიდი დავალიანება ამ პატარა წიგნით გამოვისყიდო და ეს არც კადნიერებაში უნდა ჩამომართვას ვინმემ... ასე მძაფრად არ განმიცდია ჯერ არც ერთი ნაშრომის გამოთხოვება და ეს იღუმალ მაშინებს: მართლა გედის სიმღერა არ გამოდგეს...

დიდი ჯახირი შემხვდა ამ ხანებში: იმედების მოღუწებას დაერთო მზიას ავადმყოფობაც (ეხლა ფეხზეა, დადის, მაგრამ კარგად მაინც ვერ გავხადეთ...) თამარიც მოსტეხა ამ ამბებმა...

ეხლა, ვიკტორ, ამ წიგნზე:

მასალა მთლად გეგზავნება.

თავში ნავა ლექსების ციკლი: მიძღვნა თბილისს 1500 წწ. გამო.

რიგი ამ ლექსებისა თან დართულია. წერილი „მეოთხე მოქცევისათვის“ უნდა წავიდეს ამ ლექსების შემდეგ და არა წინასიტყვაობათ, რაიც ის არაა. იგია უფრო ჩემი „არილი“ და ზრახვანი თბილისის დღეის პოეზიაზე.

ხოლო ბოლოს მოთავსდება 4 ლექსი, რომლებიც თბილისს პირდაპირ არ შეეხებიან, მაგრამ მას ასე თუ ისე ემთხვევიან. ამ 4 ლექსს ასეთი შესავალი აქვს: „ეს ლექსები, გამორჩენილი ჩვენი ლექსების წინა კრებულიდან: „უცხო ქიშკართან“ (ბუენოს-აირეს, 1956.), არ ეკუთვნიან თბილისის 1500 წლის თავზე მიძღვნილ ლექსთა ციკლს, რის გამო მათ ცალკე ამ წიგნის ბოლოში, ვათავსებთ“.

რაკი საქმე დაიძრა, აკაკი პაპავამ წიგნის ფარგლების გაფართოება მოინდომა და თუ თავიდან მხოლოდ თბილისის საიუბილეო ლექსების გამოცემას აპირებდა, მერე და მერე მისი თავდაპირველი მოკრძალებული ჩანაფიქრი გაფართოვდა და სულ პირველ წერილში ნახსენები 32 გვერდის ნაცვლად წიგნი 120-გვერდიანი გამოვიდა.

აი, რას წერს იგი 21 აგვისტოს წერილში:

„ვიკტორ, თუ ძმა ხარ ნუ ამიხირდები და მადლს მარილი მოაყარე: გადავწყვიტე „საბჭოთა ლიტერატ. კრიტიკის“ შესახებ ერთი წერილიც მოვათავსო მაგ წიგნში. ეს წერილიც მანქანაზე იქმნება დაბეჭდილი და დაიტევეს 7 გვერდს (ჩემ მანქანაზე ანაბეჭდს, იმავ ზომის, რაც პირველი წერილის გვერდები იყო). სხვა შემთხვევა არა მაქვს, რომ მეც და ემიგრაციამაც იქაურ „მეცნიერულ კრიტიკაზე“ გული მოვიფხანოთ. ეს საქმეც გთხოვ, მაღლიანად გააკეთო და გიმეორებ – არც მე დაფრჩები ვალში.“

თან თავის ამ გადაწყვეტილებას განმარტავს კიდევ, ოღონდ უკვე მომდევნო, 29 აგვისტოს წერილში, რომელიც 28 აგვისტოს დაუნერია, რაკი ეს თარიღი 1924 წლის აჯანყებას აგონებს – „უკუღმართი დატაა (თარიღი – პ.წ.) და ამიტომ წერილს 28-ს ღამით ვსწერ და ხვალ ვგზავნი“:

„ძვირფასო ვიკტორ, როგორც იყო მოვათავე კორექტურა და წერილი საბჭოთა კრიტიკაზე (უკანასკნელი წიგნის ბოლოში ნავა) და ვგზავნი იმ იმედით, რომ

ყველაფერს გაარჩევ, გაიგებ და „შემინდობ“ და არა შენებურად „შემიკურთხებ“. ისე იშვიათი შეიქმნა ეს ოხერი პრესა, რომ წყურვილით ვიხრჩობით და ამიტომ მომიხდა ამ ორი წერილის მოთავსება ლექსებთან. ველი ეხლა შენს რისხვას და მეორე კორექტურას. საბ. კრიტიკის წერილი საინტერესო იყო, მაგრამ შიშით, რომ წიგნი დიდი გამოვა 2/3 გამოვტოვე და დაბეჭდილი დამრჩა (მანქანაზე).“

და აი, მე ეს წიგნი დაბეჭდიდან 37 წლის მერე ჩამივარდა ხელში. თანაც ორ ეგზემპლარად. ამჯერად ჩემი ამოცანა არ არის მასში დაბეჭდილი ტექსტების ლიტერატურულ-კრიტიკული ანალიზი. ეს სხვა დროს, ახლა მხოლოდ წიგნის სტრუქტურას შევეხები.

წიგნს ორმაგი ტიტული აქვს – ესპანური და ქართული – რომლებიც პირდაპირ თარგმანს არ წარმოადგენს და განსხვავდება ერთმანეთისაგან.

ესპანური ტიტული: „Dr. A. PAPA VA / POEMAS Y ENSAYOS (en idioma georgiano) / Santiago de Chile / 1960“.

ქართული ტიტული: „აკაკი პაპავა / ათას ხუთას წლოვან თბილისს / ლექსები და წერილები (წინასიტყვა – მეგობარისა) / სანტიაგო დე ჩილე / 1960“.

ქართული ტიტულის მეორე გვერდზე ბესიკის ციტატა:

„შენმან სურვილმან ჩამოლია გული კლდე-მყარი,

სამართლიანი გზა დააგდე, დამიხშევ კარი...“

ვინც რომ ამ ჭირში დამინახავს, დამიტირებსა...“

შემდეგ ცარცის ქალაქად დაბეჭდილია აკაკი პაპავას პორტრეტი ასეთი წარწერით: „აკაკი პაპავა (მისი სალიტერატურო მოღვაწეობის 50 წლის თავზე). პორტრეტი გადაღებულია პაპავების ბიბლიოთეკის ფონზე. დაბეჭდილია სეპიაში.

ამას მოსდევს 7-გვერდიანი წინასიტყვაობა, სათაურით „მცირე არილი“, რომელსაც ახლავს ეპიგრაფი: „დაუკარგველობისათვის ამისა...“ (პლატონ იოსელიანი).

წიგნში დაბეჭდილია 22 ლექსი, როგორც ჩანს ყველა ახალი. ერთ ლექსს – „აღქმა ფარდასთან“ ერთვის 5-გვერდიანი განმარტება „აღქმა ფარდასთან“-ს გამო“.

(აქ კიდევ ერთი რეპლიკა: ფარდაში იგულისხმება თბილისის სიონის ტაძრის საკურთხევლის გადასაფარებელი, რომელიც ექვთიმე თაყაიშვილის ნაქეზებით, აკაკი პაპავამ თავის დროზე გერმანიაში შეიძინა, დიდხანს იყო მათ სახლში ჯერ გერმანიაში და მერე არგენტინაში დიდის პატივით დაბრძანებული და 70-იან წლებში ოჯახმა რეზო თაბუკაშვილს გამოატანა კვლავ თბილისის სიონისთვის დასაბრუნებლად.)

ამის მერე არის შმუცტიტული წარწერით. „მეოთხე მოქცევისათვის“, სადაც დაბეჭდილია 17-გვერდიანი ესეე „ფიქრები თბილისზე და მის მწერლობაზე“.

წიგნის 93-ე გვერდიდან დაბეჭდილია ეგრეთ ნოდებული „გამორჩენილი ლექსები“ (სულ 5) ასეთი წამძღვარებით:

„ეს ლექსები გამორჩენილი ჩვენი ლექსების სხვა კრებულიდან („უცხო ჭიშკართან“, ბუენოს აირეს, 1956 წ.), თუმცა არსებითად ემთხვევიან, მაგრამ უშუალოდ არ ეკუთვნიან თბილისის 1500 წლისთავზე მიძღვნილ ლექსთა რიგს; ამის გამო მათ ცალკე, ამ წიგნის ბოლოში ვათავსებთ“, როგორც ამას წერდა აკაკი პაპავა 3 ივნისის წერილში.

(კიდევ ერთი რეპლიკა: „უცხო ჭიშკართან“ ასევე ვიქტორ ნოზაძის დახმარებით გამოსცა აკაკი პაპავამ ბუენოს-აირესში. თავდაპირველად ჩაფიქრებული

იყო, რომ ეს ახალი წიგნი ზომით იგივე უნდა ყოფილიყო, რაც „უცხო ქიშკართან“, რომლის პარამეტრებია 190X140 მმ, საამისოდ ვიქტორ ნოზაძემ აკაკის 1959 წლის 29 ივნისის წერილში იმ წიგნის გამოგზავნაც სთხოვა, მაგრამ ალბათ შერჩეული ფურცლის ფორმატიდან გამომდინარე, ეს უფრო მომცრო გამოვიდა, – 185X130 მმ, რასაც ხაზგასმულად აღნიშნავს ვიქტორ ნოზაძე ერთ-ერთ თავის წერილში.)

წიგნის ბოლოს დაბეჭდილია 13-გვერდიანი „ფიქრები ძველ და ახალ ქართულ კრიტიკაზე“, რომლის დაბეჭდვას აკაკი პაპავა, „მადლზე მარილის მოყრას“ უწოდებს ერთ-ერთი წინა წერილში.

წიგნის აწყობა და დაკაბადონება

1959 წლის 9 ივლისის წერილში ვიქტორ ნოზაძის ავადმყოფობის ამბავს ვიგებთ:

„სალამი კაკიჩს, გუშინ მივიღე შენ მიერ გადმოგზავნილი დიდი პაკეტი ლექსებითურთ. დღეს მივიღეთ ლექსთა წიგნი. ორი კვირაა ავადა ვარ, გავცვივდი სასტიკად და ჯერ ვერ გავრეკე გაციება. მაგრამ იმედი მაქვს, ლექსთა აწყობას მომავალ კვირაში შევუდგები“.

მეორე დღეს, 10 ივლისს აკაკი პაპავა დიდად სამწუხარო ამბავს ატყობინებს მეგობარს და თავის განცდებს უზიარებს:

„ძმაო ვიქტორ, უკვე 3 დღეა ჩემი წიგნის მასალა გამოგიგზავნე და მინდოდა ამის გამო შენთვის ცოტა რამ მაინც მომეწერა, მაგრამ როგორღაც ვერ მოვასწარ და თან დაღლილიც ვიყავ... ამიტომ გადავდე დღემდე (გუშინ, 9 ივლისი ხომ ამათი დიდი უქმი იყო) და დღეს კი ჩემი წერილი უნდა დავინყო მეტად მწარე და სამწუხარო ამბით: ნუხელის მივიღე არსენიძისაგან დეპეშა, რომ ოთხშაბათს, 8 VII გარდაიცვალა სანდრო კორძაია... ამას წინად მწერდენ, რომ მას ოპერაცია გაუკეთესო, მაგრამ მე ეს უბრალო და წარმავალ ამბათ მივიღე. ნამდვილად კი, როგორც ირკვევა, მეტათ სერიოზული ოპერაცია გაუკეთეს, რის შედეგად ეს საშინელება შეემთხვა. ბევრი ვიტყვით თამარმა და მე და ასევე ჩვენებმა... დიდათ დაგვწვა გული ამ სრულიად მოულოდნელმა უბედურებამ... საწყალი, როგორის თავდადებით მუშაობდა და იმედიანადაც უცქერდა მომავალს. მაინც მძიმე წელი დაუდგა ჩვენს ემიგრაციას: კანდელაკი, ჩხენკელი, ურატაძე, წერეთელი და ეხლა ესეც. საწყალი გრიზა მწერდა ჩხენკელის სიკვდილის შემდეგ: პირდაპირ შიში მიპყრობს, რომ ეხლა შეიძლება „ჩემი რიგი“ დადგესო და დახე – როგორ მალე აუსრულდა... რა საშინელია ამაზე ფიქრი, რომ ჩვენი თაობა, 26 მაისის თაობა, ასე უწყალოდ ნადგურდება და ყველაფრის იმედი ჰქრება... მხოლოდ ეს გარდაუვალი ჩონჩხია აღმართული და მისი ბასრი ცელი ჩვენკენ მოაქვს, რომ მძლავრად მოგვიქნოს და ჩვენი 40 წლის ამბები და სიზმრები ერთის დაკვრით „დაამთავროს“... დილით თამარი და მე ქალაქში მივდივართ – დეპეშას გავიგზავნით, და თუ მოესწრო, გვირგვინს დავუკვეთთ. ადრესი გექნება უთუოდ და ალბად შენც მისწერ. რა ვქნათ! ესეც უნდა ავიტანოთ. იყავ, ჩემო ვიქტორ, მხნედ და დღიურმა მუშაობამ დაგვაგინყოს იქნებ ის ბნელი უბსკრული, რომელსაც ვუახლოვდებით“...

ჩემი „გედის სიმღერა“ არ აღმოჩნდეს ეს წიგნით, აკაკი პაპავა სწუხდა. არადა, მართლა „გედის სიმღერა“ ყოფილა. თუმცა აკაკი პაპავამ კიდევ ოთხი წელიწადი იცოცხლა, თბილისის 1500 წლისთავისადმი მიძღვნილი ეს კრებული მისი ბოლო წიგნი აღმოჩნდა.

თავიდან აკაკი პაპავა მხოლოდ ლექსების წიგნზე ლაპარაკობდა, მერე კი პროზაული ტექსტიც მოინდომა, არადა, ვიკტორ ნოზაძეს სამრიფტო კასაში ასოები ცოტა აქვს, სალექსო სტრიქონს ჰყოფნის, მაგრამ პროზაულს – მთელ გვერდზე გაშლილს – არა. იგი ჯერ კიდევ 1957 წლის 18 ივნისს გუსტავო დელა ტორეს გამო სწერდა აკაკი პაპავას.

„ო, სტამბა! გამიცვდა სრულებით ასოები. „ა“ დამრჩა მხოლოდ რვა, „ი“ მხოლოდ 5 და „ს“ მარტო 6. ყოველ დღე ვჩიოდი და ავთანდილმა გადაწყვიტა ახალი მატრიცების შექმნა. ამიტომ გთხოვ საჩქაროდ გამომიგზავნო ქართული მატრიცების ჩამოსასხმელი ქარხნის მისამართი გერმანიაში. და თუ მისამართი მექნა ხელში, უკვე ფაქტის წინაშე დავაყენებ ავთანდილს და გამოიწერს ასოებს. ველი მისამართს. ჯანმრთელობით ვერა ვარ კარგად. არტეროსკლეროზი მანუხებს და მას ახლა მძიმე ბრონხიტიც ზედ დაერთო. ვარ ძალიან დაღლილი, და ამიტომ ვჩქარობ როგორმე გავათავო ჩემი წიგნის აწყობა, მინდა მოვასწრო“...

და აი, ახლაც, 1959 წლის 12 ივლისის წერილში, იცის რა, რომ აკაკის მისი სასტამბო პრობლემები კარგად მოეხსენება, საყვედურს არ აგვიანებს:

„ახლა საყვედური. ლაპარაკი იყო ლექსების დაბეჭდვაზე. შენ კი ფართო სტრიქონიანი ტექსტიც მიაყოლე. კარგად იცი, მე ასოები არა მყოფნის. ასე რომ არ ყოფილიყო, ჩემს წიგნებს გრძელი სტრიქონით ავანყობდი. ძალიან გავწვავდი შენი სტრიქონების აწყობაზე, მომიხდა ერთი სტრიქონის აწყობის ნაცვლად ორი სტრიქონის აწყობა, მერმე გადაჭრა და შემდეგ ამ ორი სტრიქონის ერთ სტრიქონად გაკეთება!!!“

ერთი კი ვიფიქრე არ ავანყობთქო, მაგრამ დაგზოგე, – ვიცი შენუხდებოდი. თუმცა ავანყვე უკვე, მაგრამ საყვედურს მაინც მოგახსენებ.“

ამ წერილის პასუხად აკაკი პაპავა 21 აგვისტოს წერს:

„ვეცდები გადავხედო „გულით და ფულით“, რამდენადაც შევსძლებ. ორშაბათს ჩავუჯდები კორექტურას და ორ დღეში მოვათავებ და გამოგიგზავნი. ძალიან დავლონდი, რომ ტექსტის (წერილის) აწყობას აგრე შეუნუხებინარ. შენი ბრალია – გერმანიიდან მოგწერე – რაც ასოები გაკლდეს, მაცნობე და წამოგიღებ თქო და შემდეგ გავსწორდებით (მუშაობით) თქო, მაგრამ შენ არ ისურვე. ეხლა სჩანს, რომ ასოები არ გყოფნის. მე რომ წამოვალ, მოვილაპარაკოთ, – იქნებ კიდევ მოხერხდეს რამე“...

წიგნის გაფორმება

შეიძლება ითქვას, რომ უცხოეთში დაბეჭდილ ქართულ წიგნებს შორის აკაკი პაპავას „1500 წლოვან თბილისს“ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოცემაა წიგნის კულტურის თვალსაზრისით, რასაც ჩვეულებრივ ემიგრანტულ გამოცემებში დიდი ყურადღება არ ექცეოდა. ბევრი ემიგრანტული გამოცემისაგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში გამომცემელს წიგნის ტექნიკურ მხარეზეც უფიქრია და მხატვრულზეც. აქ აშკარად ჩანს ვიკტორ ნოზაძის, როგორც წიგნის გამომცემლისა თუ დიზაინერის (მას ეს სიტყვაც ეცოდინებოდა) პროფესიონალიზმი და დახვეწილი გემოვნება.

აკაკის სურვილიც ასეთი იყო და ქალაქი იმთავითვე კარგი შეირჩა. წიგნი დაბეჭდილია მოყვითალო, ძვირფას ქალაქზე. გარეკანი – ალბათ 250-გრამიანი ძვირფასი მუყაო – მხატვრულად არის გაფორმებული. გარეკანზე ნახატი სეპიაშია დაბეჭდილი, იგივე ნახატი, იმავე ზომაში, ოღონდ შავ-თეთრად ავანტიტუ-

ლადაც არის გამოყენებული.

გარეკანის 119-ე გვერდზე დაბეჭდილია ინფორმაცია გვაუწყებს: „ყდა ლეო ჭეიშვილისა“.

გარეკანზე თბილისის დარეჯანის სასახლის გამოსახულებაა. მისი ორიგინალი, ეტყობა, ტუშით არის დახატული, თანაც საკმაოდ პროფესიონალურად. სათაური დახვეწილი ასოებითაა გამოყვანილი და, რაც მთავარია, გამოყენებულია ავტორის ფაქსიმილე, რაც წიგნის გაფორმების გამორჩეულ კულტურაზე მეტყველებს.

წიგნს ყველგან, სადაც ამის წიგნის დიზაინი მოითხოვს, აქვს ცარიელი გვერდებიც და სივრცეები, რაც საკმაოდ იშვიათია ემიგრანტულ გამოცემებში, სადაც წიგნის გამოცემისას ამ საქმეში ჩაუხედავი ხალხი ძირითადად იმაზე ზრუნავდნენ, რომ ხარჯები შეემცირებინათ.

ყდის გარდა, წიგნის გაფორმების ელემენტებიდან აქ მკითხველის ყურადღებას იპყრობს სამკაულები, რომლებიც გამოიყენება როგორც ბოლოსართები, და გარდა ამისა, ჩართულია საკუთრივ ლექსებში, როგორც საჭირო შემთხვევაში სტრიქონთა გამმიჯნავები.

1959 წლის 10 ივლისს, როცა აკაკი პაპავა ვიკტორ ნოზაძეს სანდრო კორძიას სიკვდილს ატყობინებს, იგი თავის წიგნის გარეკანის კლიშეებზეც წერს:

„ვიკტორ ჩემო, ესეცაა მომიტანეს კლიშე. არ მომეწონა ანაბეჭდი. მაგრამ მითხრეს ცუდი საღებავითაა ეს ჭაშნიკი აღებული და ქალაღღიც ცუდიაო. კარგ საღებავით კარგ ქალაღღზე მშვენიერი გამოვაო. ვეჭობ და იქნებ კალმით გავაკეთებინო ხელახლა ლუის – რას იტყვით შენ და ავთანდილი? – მაცნობეთ ჩქარა“...

12 ივლისს ვიკტორ ნოზაძე ისევ საყვედურის ტონით იწერება:

„რაც ყდას შეეხება, დაბერდი ტიპოგრაფიასთან ურთიერთობაში, და დღემდე ვერ გაგიგია, რომ ფანქრით დაწერილისაგან კლიშე კარგი არ გამოდის. ამოვალებინე ანაბეჭდი და მკრთალი გამოვიდა. დავინუნე. მითხრეს: სპეციალურ მანქანაზე ამოვიღებთ ანაბეჭდსო, – დღეს ვნახავ, თუ როგორი გამოვა.“

ამით მოვათავე წიგნის შესახებ ლაპარაკი. მიტომ აქ მოსვლა დაავგიანდა, – მიზეზს მისი წერილიდან გაიგებდი. მომიტანა შენ მიერ გამოტანებული საჩუქარი, – მადლობელი ვარ გახსენებისათვის.

სხვა რა? პირადად ვერ ვარ კარგად. მარცხენა ჭაჭა მანუხებს, – ამას სჭირდება სპეციალური აქიმობა. მაგრამ ხომ იცი, ჩვენში, ექიმს მაშინ დაუძახებენ ხოლმე, როცა კაცი სიკვდილის პირად მიდგებოდა...

სალამი ყველას, თქვენი ვიკტორი

ქალაღღების ნიმუში დამიბრუნე.“

1959 წლის 21 აგვისტოს წერილში აკაკი პაპავა კიდევ ერთხელ საგანგებოდ ეხება წიგნის გარეკანს:

„ეხლა ყდის შესახებ – ლეო სწრაფად გააკეთებს იმავე მეღნით, მაგრამ კლიშე კი მანდ გააკეთებინე. არა მგონიან – დიდი განსხვავება იყოს. მაგ კლიშეში წაიღეს 217 პეზო (აქაური). ჩვენის აზრით ის ახალი კლიშე ყდისთვის იხმარება და შავ, ფანქრით შესრულებული (ჩემი ფაქსიმილეთი) შიგ, პირველ გვერდზე გაუშვი. თუ მანდ გიჭირს კლიშეს გააკეთებ, ან ამისი დრო არ გექნეს, მაცნობე ეხლავე და აქ გავაკეთებთ და ფოსტით მოგანვდი. მაგრამ მითხრეს, მანდ კიდევ უკეთესად გააკეთებენო, რადგან ყდის ქალაღღი ეცოდინებათ როგორიაო.“

ხოლო უკვე ბოლოს, ნიგნის დაბეჭდვის შემდეგ აკაკი პაპავა 1960 წლის 6 ივნისის წერილში საგანგებოდ წერს ვიკტორ ნოზაძეს ნიგნის გაფორმების თაობაზე:

„ვიკტორ, როგორია შენი აზრი ჩემს ნიგნზე? თუ კარგი გამოვიდა და ხეირიანადაა გაფორმებული?“

ვიკტორ ნოზაძის პასუხი არ კითხვაზე მიმონერაში არ ჩანს. ჩვენ კი, დღევანდელი გადასახედიდან უნდა დავადასტუროთ:

დიახ, ნიგნი კარგი გამოვიდა და ხეირიანადაც არის გაფორმებული.

ავტორის პორტრეტი

1959 10 ივლისს აკაკი პაპავა მეგობარს ეკითხება, ღირს თუ არა, რომ ნიგნს საკუთარი პორტრეტიც დაურთოს?

„მიტო ალბად 23-ს გამოვა, კლიშეს მას ვატან. ასე მეუბნებიან: შენი სურათიც (ფაქსიმილეთი) მოათავსე, თორემ შემდეგ ვინღა მოიგონებს „ავტორებსო“... ეს ჯერ არ გადამინყვეტია და არ ვიცი – ღირს? ისე კი ძალიან გთხოვ – სიყვარულით და ყურადღებით მოეპყრო ამ საქმეს. გაფორმება უნდა მართლაც კარგი იყოს. ჩემის აზრით – შენ რომ პირველი კრებული დაბეჭდე, სწორედ იმდენი გამოვა (80 ლექსი დაწერილი. ქალაქი და ყდა კარგი უნდა იქნეს და კორექტურას მოუთმენლად ველი. თან შენს აზრს ნუ დამიგვიანებ“...

ეტყობა, ვიკტორ ნოზაძე დაეთანხმა და პორტრეტიც შეარჩიეს, მაგრამ პაპაევებს იგი დაუწუნებიათ. 1960 წლის 2 მაისს, როცა ნიგნი სადაცაა უნდა დაიბეჭდოს, აკაკი პაპავა მეგობარს სწერს:

„...ამას გარდა, სახლში ყველანი ამიმხედრდენ, წარმოიდგინე არა მარტო დიდები, პატარებიც. დაიჩემეს პრუსიის ჯარის ფელდფებელს ჰგევხარ, ყრილობის დროს ცივილურს რომ იცვამსო... (მზიას) ბავშვები კი იძახიან – ეს ვილაცა სხვა კაცია და არა „ჩვენი ბაბუაო“!!.

ასე თუ ისე ამიხირდენ, მოიყვანეს შინ ფოტოგრაფი და ხელახლა გადამიღეს სურათი, 70 წლის „გაბუტულ-გაპუტული ბაბუტა“სი...

იმ სურათს გამოგიგზავნი და მანდ გააკეთებინე შესაფერი ზომის კლიშე. თუ ეს ძნელია, მაცნობე ეხლავ და აქ გავაკეთებინებ და საშა გადმოგიგზავნის ავიონით (თვითმფრინავი, – პ. ნ.), მხოლოდ შენ უნდა გთხოვო – აეროდრომზე მიაკითხო იმ მიმტანს და გამოართვა, რადგან შინ ველარ მივუტანო, უთქვამს... მაშ, ამაზე ველი შენს ცნობას. ჩემის აზრით, კლიშეს მანდაც კარგს გააკეთებინებ და იქნებ ასეც ამჯობინო, ზომასაც უფრო შესაფერის მისცემ (არა მაღალი, არამედ მოგრძო, ნაქცეული, სურათის შესაფერი“.

ველი შენს წერილს. კორექტურას და სურათს ხვალ ვგზავნი. იქნებ აღნიშნო, დაახლოებით მაინც რომ ვიცოდე.

ჩეკი მიიღე?

ყველამ დიდი მოკითხვა.

ახლა როგორ ხარ? არ გაცივდე... შენი აკაკი.

ვიკტორ, წერილი მზად მქონდა და ესეცაა მომიტანა ტურფამ ეს სურათი. გიგზავნი დღესვე. ვფიქრობ ამ სურათიდან კარგი კლიშე გამოვა. ველი შენს პასუხს“.

(რეპლიკა: „არა „მაღალი, არამედ მოგრძო“ – იგულისხმება პორტრეტის ორიენტაცია. პორტრეტი ნიგნის გვერდზე 90 გრადუსით არის მოტრიალებული.)

(და კიდევ ერთი რეპლიკა: აეროდრომზე დახვდით რომ წერს, საქმე ის არის, რომ თამარ და აკაკი პაპაევების სიძე საშა ჭეიშვილი ბუენოს-აირესში ლუფტვა-ნზაში მუშაობდა და ხშირად ქართველებს თავისი ხშირი და უფასო მგზავრობით ეხმარებოდა. ის კი არა, ქართველ ემიგრანტთა ნეშტი სწორედ მას მიჰქონდა საფრანგეთში, ლევილის სასაფლაოზე დასაკრძალად.)

თუმცა ნიგნი უკვე მზად არის დასაბეჭდად, ვიკტორ ნოზაძე „პრუსიის ჯარის ფელდფებელის“ სურათს ახლით ანაცვლებს.

„ძმაო აკაკი, მივიღე შენი წერილი სურათით, გუშინ, და დღეს – ანაბეჭდები. სურათი უკვე გუშინვე კლიშერის გადავაციე გასაკეთებლად. ყველაფერს ისე გავასწორებ, როგორც იწერები“ (7 მაისი, 1960).

ავტორი კი, როგორც ყველა ავტორი, სულ ბოლო მომენტში პოულობს ახალ-ახალ შენიშვნებს და 10 მაისს გამომცემელს წერს:

„რაც შეეხება კლიშეს ქვევით წარწერას – არ მინდა ის წყეული 70 წელი კიდევ და კიდევ მოვიხსენიო. თამარის აფორიზმია, რომ ჩვენი (ემიგრაციის) მტერია ორი რამ: კალენდარი და სარკე. სარკეში აღარ ვიცქირები და კალენდარს სრულიად არ ვაქცევ ყურადღებას. რიცხვს სხვებს ვეკითხები. წარწერათ კმარა: „აკაკი პაპაევა“. (მისი სალიტერატურო მოღვაწეობის 50 წლის თავზე).“

ხოლო 1960 წლის 3 ივნისს აკაკი პაპაევას წერილს აქვს ასეთი პოსტსკრიპტუმი:

„P. S. ჩემი ფაქსიმილე სურათის ქვეშაც სჯობს რომ იქმნეს“.

აი, ეს კი უკვე ველარ შეუსრულა გამომცემელმა. როგორც ჩანს, ნიგნი უკვე დაბეჭდილი იყო და ავტორის ქვეშ აკაკი პაპაევას სახელი და გვარი არა ფაქსიმილეთი, არამედ ჩვეულებრივი შრიფტით წერია. ან კიდევ: შეიძლება ვიკტორ ნოზაძემ მესამე ფაქსიმილე ზედმეტად ჩათვალა და ავტორის შენიშვნა არ გაითვალისწინა. თუ ეს ასეა, გამომცემელი დიახაც სწორედ მოქცეულა: კიდევ ერთი ფაქსიმილე იმ ორსაც – გარეკანსა და შმუცტიტულზე – რამდენადმე გააუფერულებდა.

ნიგნის წინასიტყვაობა

1960 წლის 22 მარტს ვიკტორ ნოზაძეს უკვე თამარი წერს, აკაკის მეუღლე. თავის გულის ამარყეებელ წერილში იგი ვიკტორს, როგორც ჩანს, ძველი მეგობრობიდან გამომდინარე, ტატოს ეძახის.

„ძვირფასო ჩემო, დიდათ ვარ ბედნიერი, რომ უკეთ ხარ. დიდის ღელვით და მწუხარებით ვადევნებდი თვალყურს მაგ შენს ავადმყოფობას და ყველაზე უფრო მანუხებდა, რომ ჩვენგან ახლოს არ იყავ... ვმადლობ ღვთისმშობელს, რომ დაგიფარა და ისევ ფეხზე დაგაყენა.“

ჩემი ამბავი რა მოგწერო? ალბად კაკიჩის და მიტოს წერილებიდან იცი, რომ მოგვსპო ამ გაუთავებელმა ავადმყოფობამ. რაც აქ ვართ ვერ იქმნა, წელში ვერ გავიმართეთ და ვერც სადმე სხვაგან წავედით. განსაკუთრებით ჩემი მზიას და გულნარა-სალომეს დაუსრულებულმა ავადმყოფობამ გაგვათავა... გულნარა დღესაც წევს და მზია და სალომე ყოველ დღე გოსპიტალში დადიან და წამლობენ. ჩვენც გაგვტეხა წლებმა და ამდენმა სწეულებამ ჩვენმა და მზიას ოჯახმა.

მე ზეგ 72 წლისა ვხვდები და კაკიჩიც 2 თვეში 70 გახდება. რა ჩქარა გადაგვიქროლა ამ უკანასკნელმა 40 წელმა?..

რა გავაკეთეთ? რა მოვასწარი?

ეს მიკლავს გულს.

ეხლა კაკიჩის შესახებ მინდა კერძოთ ორი სიტყვა გაგიმხილო. ივლისში სრულდება 70 წელი და თითქმის იმავე დროს 50 წ. მისი ლიტერატურულ მუშაობისა. საქართველოში რომ დარჩენილიყო, მის მეგობრებთან ერთად, ესეც დაინაურებულ მწერლებში მოყვებოდა... აქ კი აბა ვის რა შეუძლია? მაგრამ მე მაინც ვფიქრობ, რომ ემიგრაციაში მყოფთა ღვანლიც უნდა აღინიშნოს და იქნებ ერთხელ ამ ამბებსაც მოუბრუნდენ შესასწავლათ. ამიტომ მინდოდა, რაკი მისი წიგნი სწორედ ეხლა გამოდის, ცოტა რამ მაინც მოხსენებულყოფიყო შიგ მისი წარსული მწერლობის და ღვანლის შესახებ.

შენზე კარგათ აბა ვინ სცნობს მას, ჩემო ტატო, და მეც მინდა შეგეკითხო და თან ძალიან გთხოვო: თუ ხალისი და ჯანი გექნეს, დაუნერე მაგ წიგნის შესავალში დაახლოებით ისე, რაც მის პანია წიგნაკში იყო, მხოლოდ ცოტა უფრო გაშალე და გაათბე, როგორც 70 წლის ასაკს და ნახევარ საუკუნის მწერლობითი მუშაობას შეშვენის...

თუ შენ საამისო განწყობილება არ დაგირჩეს, ნუ მომეხათრები და მომწერე. მაშინ ისეც მე უნდა ვიკისრო (ძალიან კი მიჭირს) ეს და „მეგობრის“ სახელით ბიოგრაფია დავწერო. აბა რა ვქნათ, სხვა არავინ გვყავს. ყველა გაგვეცალა და ჩვენც მალე თან გავყვებით...

აბა ჩემო საყვარელო, და დაუვინყარო სიყრმის მეგობარო, ჩემო ტატო, შევთხოვ ღმერთს შენს კარგად ყოფნას და კიდევ მეტ გამარჯვებას შენს დიდ ასპარეზზე.

გეხვევი და მხურვალეთ დაგკოცნი, შენი მარად თამარი“.

ტატოს ამ წერილზე პასუხი არ დაუგვიანია – 25 მარტს იგი თამარს წერს:

„ძვირფასო თამარ, შენი წერილი ლოგინში მივიღე. ავად ვარ. წუხელ 40⁰ მქონდა, დღეს დილაზე 38⁰. აქიმს არ დაუძახეს, ასე რომ არ ვიცი რა მჭირს. გაციებული კი უნდა ვიყო. დღით 28-29 გრადუსი სიცხეა და ღამით 8-10 გრადუსი.

რაც შეეხება შენს თხოვნას, მე მას ვერ შევასრულებ, რადგან წერილისათვის საჭიროა ზუსტი დატები (თარიღები, - პ. ნ.) და ამბები, რაც მე არ ვიცი. ასე რომ მოგიხდება ისეც შენ დასწერო, თუ კი აკაკი ამას საჭიროდ დაინახავს. მისი დასტურის გარეშე ხომ მაინც არ შეიძლება მის წიგნში რამე დაიბეჭდოს. ველი მისგან კორექტურას.

ძალიან მანუხებს მზიას ავადმყოფობა. 72 წლის გახდი? მომილოცავს, 102 წლის გახდომას გისურვებ. ვიკტორი“.

სამი დღის მერე – 28 მარტს ვიკტორ ნოზაძე უკვე უმცროს კაკიჩს წერს:

„ძმაო კაკიჩ, ლოგინში ვარ. როგორ არ გავცივდები, როცა დღით სიცხე 28-29 გრადუსამდე ადის და ღამით 8-9 გრადუსამდე ჩამოდის? მაინც რაღაც უცნაურად ვარ გაცივებული: შაბათს 40 გრადუსი მქონდა და ვიკადრე მე თვითონ მომეძებნა აქიმი, მაგრამ ამ დღეს აქ ვერავის ნახავ. კვირას გამოვუძახე ჩემს ძველ ექიმს, გამომინერა ტეტრასიცილი, კიდევ რაღაც სალინი და კიდევ ჯანდაბა – სილინი... მიშხაპუნებენ და ვყლაპავ აბებს, – ახლა ძველებური რგვალი აბი აღარ არსებობს! ვარ ლოგინში და კითხვაც არ შემიძლია, სიცხე მანუხებს. მე მეშინია შარშანდელივით არ დამემართოს... მეორედ მე ოპერაციას არ გავიკეთებ, თუგინდ ერთ კვირაში გავაცხო სული... მივიღე მასალები. როცა ავდგები და შემეძლება მუშაობა, გავაკეთებ. იქნებ კიდევ გაქვს დასამატებელი? დაუმატე თორემ შემდეგში მე არავის წიგნის ამწყობი არა ვარ, არ შემეძლება“.

იმ უარის მიუხედავად, 5 აპრილს თამარ პაპავა სიყვარულითა და მადლიერებით სავსე წერილს უგზავნის ლომასიდან თავის ტატოს:

„საყვარელო ჩემო, შენ ისევ ავით გამხდარხარ, ისევ წევხარ, ისევ სიცხე გაქვს... ვწუხვარ ჩემო. მოსვენება აღარ მაქვს, ვიდრე შენი ამბავი მოვიდოდეს. რა ვქნა? ჩვენი უკუღმართი ბედის შედეგია ეს ყოველივე. გზა არსაით არის, ყველა ერთად ამ ჩიხში ვართ... რა ვქნათ? გიგზავნი ჩემს იმდონ სიყვარულს, რომ დასძლიო მაგ გაციებას კიდე და გაგვახარო. რომ იცოდე, როგორ მინდა შენთან ახლოს ვიყო და ისევ ძველი, ტკბილი ამბები და განცდები განვიახლო, და მასთან კიდე ახალიც გაცნობო: მინდა გიამბო, თუ როგორ შემოანათა ჩემს გულში სწორეთ ამ დღეებში ერთმა სხივმა და გაათბო იგი. თან ისიც მინდა გითხრა, რომ „სითბოს“ მიზეზი შენცა ხარ, ჩემო მეგობარო! სამშობლოდან საგანგებო წერილი მივიღე, მთხოვენ წიგნებს; მთხოვენ ჩემს სურათს, ჩემს ავტობიოგრაფიას და თან ჩემი პატარა შრომების ბიბლიოგრაფიას. მწერენ, რომ ისინი ამას მოათავსებენ საქ. (საქართველო, - პ. ნ.) მოღვაწეთა ლექსიკონში, რომელიც 30 წ. მანძილზე შეუდგენია იოსებ იმედაშვილს და რომელიც უნდა შეავსონ და გამოსცენ.

საყვარელო ჩემო - აბა მე რა გავაკეთე ასეთი? აბა მე რა მოღვაწე ვარ? და თუ პატარა რამე დავწერე და შიგ ბევრი სიყვარული და შრომა ჩავდე, ეს აქ უმთავრესად შენი და კაკიჩის დახმარებით მოხდა.

განა შენ არ მისწორებდი ხელნაწერებს? განა შენ არ აწყობდი და ბეჭდავდი? და მერე რა სიყვარულით... განა შენ არ უჯავრდებოდი კიკიჩს, „შე ოჯახ-ქორო, დაანებე თავი თამროს ნაწერს, ნუ უსწორებ ნუ უფუჭებო“ - განა შენი იშვიათი მეგობრული სიყვარული არაა ამ ჩემს შრომებში ჩაქსოვილი? და ეს ჩემი სიხარულის ამბავი ხომ შენიც არის...

მინდა მოგეხვიო, გითხრა მადლობა მხურვალე. მადლობა უსაზღვრო, ჩემო საყვარელო მეგობარო. მინდა ვილოცო, ვილოცო შენი დედის მაგიერ და შევთხოვო ღმერთს შენი კარგათ ყოფნა შენთვის, შენი ახლობლებისათვის, ჩემთვის და შენი სამშობლოსათვის, რომელიც შენი იშვიათის შრომებით გაახარე.

სხვა დღეს არაფერს ვსთხოვ ღვთისმშობელს.

მარად თამარ“.

(როგორც ჩანს, თამარ პაპავას გაუგზავნია მასალები იოსებ იმედაშვილის ლექსიკონისათვის. მაგრამ მისი გამოცემა კიდე კარგა ხნით გადადებულია. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის და იოსების შვილიშვილის კობა იმედაშვილის ძალისხმევით ამ ლექსიკონის პირველი ორი ტომი 2018 და 2021 წლებში გამოიცა. თამარ გოგოლაშვილის შესახებ ინფორმაცია პირველ ტომშია შესული - თანაც ყველაზე მეტი და სრულყოფილი, რაც მის შესახებ საქართველოში სადმე შეიძლება მოიპოვოს ადამიანმა.)

და აქვე ვიკტორ ნოზაძის პასუხი 9 აპრილს გამოგზავნილი:

„ძვირფასო თამარ, შენმა წერილმა ძალიან მასიამოვნა. განა ეჭვი გეპარებოდა, რომ შენს ღვანლს არ დააფასებდნენ და სათანადო პატივს არა გცემდნენ (თუგინდ ბოლშევიკურ) საქართველოში? რა სათქმელია! მარტო შენი სასცენო მოღვაწეობა საკმარისი უნდა ყოფილიყო საამისოდ. ამას ხომ მეცნიერი მუშაობაც ემატება! ძალიან, ძალიან გამახარა შენმა წერილმა. და გისურვებ კიდე მრავალ წელს მუშაობისა და წერის უნარს სამშობლოს საკეთილდღეოდ.

სალამით შენი მარად ვიკტორ ნოზაძე

P.S. კაკის 70 წლის თავისათვის მასალები მალე მომანოდეთ. ორშაბათს გავასწორებ და ავანყობ უკვე მიღებულ მასალას“.

1960 წლის 24 აპრილის წერილში ვიკტორ ნოზაძე წინასიტყვაობის თემას უბრუნდება და კაკიჩებს, უკვე არა როგორც მესტამბე, არამედ როგორც გამოცდილი რედაქტორი, ურჩევს:

„რაც შეეხება საიუბილეო წინასიტყვაობას, ამის შესახებ უნდა მოგახსენოთ შემდეგი: თუ არ გინდათ გაგამასხარაონ და სასაცილოდ აგიგდონ, უნდა გადააკეთოთ წინადადება, რომლის მიხედვით წიგნის დაბეჭდვის დაგვიანება ხელმოკლეობით და სიდუხჭირით არის ახსნილი. მიტოს წყალობით ყველამ იცის, აკაკი პაპავას და გიორგი გამყრელიძის ლექსთა წიგნები არ დაიბეჭდა ვიქტორის სწეულების გამო. ახლა გამოდიხართ და სწერთ: არ დაიბეჭდა ხელმოკლეობის გამოო...

ჩემის აზრით ეს წინადადება ასე უნდა გადაკეთდეს: ...ბრალი არ უდევს. მიზეზი არის მრავალი დაბრკოლება, რაც ემიგრანტულ პირობებში გამომცემლობას წინ ეღობება. ერთ-ერთი „კაპიტალი“ და სხვა. თქვენ თვითონ გადაწყვიტეთ ეს საკითხი“.

თამარ პაპავას ყურად იღო ეს შენიშვნა და ეს ადგილი წიგნში ასე იკითხება:

„ზეიმი თბილისისა, მისი 1.500 წლის შესრულების გამო ხომ კარგა ხანია ჩატარდა, დავინწყებასაც მიეცა. ჩვენს დედაქალაქს ამჟამად ყოველდღიურობის სიცხადე, შრომა, ნაღველი და სიხარული დაეუფლა.“

ამრიგად ჩვენი ემიგრაციის მწერლობის მილოცვები და ეს წიგნიც ცოტა ნაგვიანებია, მაგრამ ამაში ავტორს ბრალი არ უდევს. მიზეზია მრავალგვარი დაბრკოლება, რაც ემიგრანტულ პირობებში ჩვენს გამოცემებს ასე უწყალოდ წინ ეღობება... ერთად ერთი „კაპიტალი“, რაც ჩვენს ემიგრაციას შერჩა, არის მხოლოდ სიყვარული, და ამით ყველა დაბრკოლებათა გადალახვა შეუძლებელი გახდა. მაგრამ ამ სიყვარულის მასაზრდოებელი გული ხომ განუწყვეტლივ სცემდა და დაგვიანებაც ცოდვად არ ჩაითვლება...

სწორედ ამ „დაგვიანების“ გამო ერთი დატაც მოახლოვდა და გატეხილად რომ ვთქვა, ეს სტრიქონებიც ამის გამო იწერება.

იმ დიდი ზეიმების შემდეგ ჩვენი პატარა, შინაური აბა რა სახსენებელია? მაგრამ დატა დაემთხვა და პატარა ამბებსაც პატარა ისტორია სჭირია...

წელს, როცა ამ წიგნის გამოცემა ხერხდება, მისი ავტორის სიცოცხლის ზარებმა 70-ჯერ უნდა ჩამოჰკრან. მაგრამ ეს წელი აკაკი პაპავასათვის და მისი ახლობლებისთვის სხვაგვარადაც ხდება მოსაგონარი და საგულისხმო. სწორედ 1960 წელს შესრულდება 50 წელი მისი სამწერლო მოღვაწეობისა. აი, ამ ნახევარი საუკუნის მანძილზე აკაკი პაპავას თავისი კალამი ხელიდან არ გაუგდია, მიუხედავად იმისა, რომ ის უწყალო ბედმა საყვარელ სამშობლოს და ქართულ ხელოვნების კერას მოსწყვიტა“.

მეგობრის ამ წინასიტყვაობიდან მეტ ფრაგმენტს აქ ველარ მოვიყვანთ. ისე კი, ღირს მისი წაკითხვა. მით უმეტეს, რომ ფსევდონიმი – „მეგობარი“ – უკვე ვიცით, რომ ავტორის მეუღლეს ეკუთვნის.

წიგნის კორექტურა

1959 წლის 21 აგვისტოს აკაკი პაპავა მეგობარს წერს:

„შენი წერილი 3 დღის წინად მივიღე, ხოლო გუშინ კი მიტოს მიერ გამოგზავნილი კორექტურა. ჯერ არ გამისწორებია, მხოლოდ გადავათვალიერე და შთა-

ბეჭდილება ისეთია, რომ შეცდომები ცოტა თუ უნდა იყოს. მხოლოდ ორიოდ ლექსში სტრიქონები გამოგრჩენია, ერთში („ჩემი ჭურთავა“) დასასრული არ აგინევია. ალბათ მიტომ გამოგრჩა, რომ მეორე გვერდზედ იყო გადატანილი. საერთოდ, რა უნდა გითხრა, ჩემო ვიკტორ, თუ არა დიდი მადლობა, რომ მაინც ივაჟკაცე, ძველებურად გაისარჯე და ეგ საქმე გამიკეთე (ეხლა ცოტალა აკლია).“

აკაკი პაპავას 1960 წლის 16 მარტის წერილიდან კი ირკვევა, რომ საქმე, რომელიც ერთი წლის წინათ დაიწყო, მნიშვნელოვნად წასულა წინ:

„ძმაო ვიკტორ, შენგან გამოგზავნილი კორექტურა მივიღე. ძალიან დიდი მადლობა, რომ მიუხედავად დიდ დაბრკოლებათა და შენი ასე ხანგრძლივი ავადმყოფობისა, მაინც სურვილი შეგვრჩა ამ საქმის ბოლომდე მიყვანისა.

სწორედ 1 წელიწადია, რაც ჩვენ ამის შესახებ მინერ-მონერა დავინყეთ და ამ 1 წელში ბევრი რამ მოხდა... მაგრამ ჩვენთვის გულწრფელად სასიხარულოა, რომ შენ იმდენად მოიკეთე, რომ მუშაობას აგრძელებ. ახლა მაინც ნუ გაგვიწყრები, თუ იმედი გამოვსთქვათ, რომ მალე სულ კარგად გახდები...“

ამ 1 წელში, ჩემო ვიკტორ, ისიც მოხდა, რომ მე 3 თვის შემდეგ უკვე 70 წლის ვხდები და შემოძლიან ვსთქვა, რომ „ცხოვრების გზა უკვე გავლიე“... წინ სულ ნამცეცი რამ მრჩება (შეიძლება აღარც ის) და უკან ნამსხვრევები ფერადოვან წარსულის და მრავალ იმედების. ასე რომ ეგ შენ მიერ აწყობილი წიგნიც ამ დატას „შემთხვევით ემთხვევა“ და შეიძლება ეს იქმნეს ჩემი „გედის სიმღერა“ც. მძიმეა ამის თქმა, მაგრამ ჟამი მოხუცებულისა ნელ-ნელა ყველაფერს ურიგდება. საღამოთი დაღლილის ისე მოგეპარება ძილი, რომ არც სიყვარულის, არც ფიქრის თავი აღარ გაქვს...

მაშ, კიდევ მადლობა და კორექტურას 3 დღეში მიიღებ (ორშაბათს ვგზავნი).“

აი, 22 მარტის წერილიც:

„ძმაო ვიკტორ, გიგზავნი კორექტურას და ძალიან ვშიშობ - არ გასწყრე 3 ახალი ლექსისათვის (ამავ თემაზე) და 2 ფურცელი ჩამატებისათვის.

თუ შესძლებ და ამ სიკეთესაც „დამაკურთხებ“, ძალიან დამავალებ. ფარდის მასალა კობახიძის კრებულს გავუგზავნეთ, მაგრამ დღემდე არ ეშველა და არც სჩანს რაიმე იმედის შუქი, რომ მართლა გამოვა და მე კი ამის საშუალება არა მაქვს, რომ ამის „გამოცემაში“ საგრძნობი მონაწილეობა მივიღო. ვნახოთ, თუ რამეს შეაგროვებს. მაშინ ჩემს წვლილს როგორმე გავიღებ, ისე კი...“

ჩემო ვიკტორ, კორექტურა მშვენიერად გაგისწორებია და ამ მხრივ ხელახლა ასაწყობი სტრიქონები ბევრი არ გექნება. შეგანუხებს მხოლოდ ეს ახალი 3 ლექსი და ის 2 ჩამატება. მაგრამ ნელ-ნელა იქნებ ამასაც დასძლიო. თუ ვერა და ამისთვისაც არ გაგინყრები, თუმცა ძალიან კი დამწყდება გული“...

რეპლიკა: კრებულიო, რომ ამბობს აკაკი პაპავა, იგულისხმება ალმანახი „კრებული“, რომელიც ნიუ-იორკში 1957 წელს გამოსცა გივი კობახიძემ თავისივე რედაქტორობით.

აკაკი პაპავას 1960 წლის 20 აპრილის წერილში წიგნის ხარჯთაღრიცხვასთან ერთად კორექტურაზეცაა საუბარი:

„...ამასთან ველი იმ მასალის კორექტურას, რაც ჯერ არ მიმიღია და რაც დამატებით ააწყვე. თუ შენთვის ძნელი არ იქნეს შეკრული გვერდები ორჯერ ამოიღე ჩემთვის, რომ ერთი აქ დამრჩეს. ფოსტის ხარჯი ყველა უნდა მოანგარიშო იცოდე. ქალაღდი, ყდა, ფორმა და საერთოდ „გაფორმება“ რაც შეიძლება

კარგი და ლაზათიანი აირჩიე. მინდა ცოტა და კარგი იყოს და „კარგი“ს შესრულება მთლიანად შენზეა დამოკიდებული... დაგვიანება ამ „კარგით“ უნდა გამოისყიდო.

მიტომ წამიკითხა ერთი წერილის ასლი. გაგვეხარდა და იმედი გაცხოველდა, რომ შენი ვიზის საქმე მოეწყობა. წასვლის წინ აქ გამოიარე და 1 თვე მაინც დარჩი ჩვენთან (თუ 2 არ მოხერხდეს). დანარჩენ ამბებს და ბევრ „ჭორს“ მაშინ გეტყვი. შენი აკაკი“.

საკორექტუროდ გვერდების ორჯერ ამოღება უკვე უკვე დაგვიანებულია, ვიკტორ ნოზაძე ამას ვერ ახერხებს და 24 აპრილს მეგობარს სწერს.

„აკაკი, შენი წერილი მივიღე, როდესაც წიგნის გვერდების ანაბეჭდი უკვე ამოღებული იყო, ამიტომ მეორე ანაბეჭდს ველარ გავაკეთებდი. ან მაინც და მაინც რად გინდა?! გამოგიგზავნე დაზღვეულად მთელი წიგნის ანაბეჭდი. პირველი ცხრა გვერდი შეგიძლია დაანყო ისე, როგორც შენ გსურს. თუ უკვე დაწყობილი არ მოგეწონება. საჭიროა ამას გარდა მთელი წიგნის წაკითხვა. საქმე ისაა, რომ ლექსების სტრიქონებს ცარიელ ადგილს ჩამოაჭრიან ხოლმე, რომ დაბეჭდილი დასვრილი არ გამოვიდეს. ეს ოპერაცია მუშამ გააკეთა და მეშინია სტრიქონები შემთხვევით არ აერიოს ერთმანეთში. ამიტომ ყველაფერს კიდევ წაკითხვა უნდა და იქნებ შეცდომასაც წააწყდეთ“.

კორექტურას ეხება აგრეთვე აკაკი პაპავას 1960 წლის 2 მაისის წერილიც:

„ძვირფასო ვიკტორ, სასწრაფოთ 2 სიტყვას გწერ. კორექტურის ანაბეჭდები ცოტა დაგიგვიანე და ხვალ გადმოგიგზავნი დაზღვევით, „იმპრესოთ“, როგორც შენ მწერდი. ამ წერილს კი დღეს ცალკე გწერ, რადგან კორექტურაში ვერ ჩავდებ რამე ხელთ ნაწერს.

საერთოდ შეცდომები თითქმის არ არის. მაგრამ იმ მასალაში, რომლის პირველი კორექტურა მოგივიდა, გასაგებია, ზოგი შეცდომაა, მაგრამ აქაც არა მნიშვნელოვანი. მხოლოდ უკანასკნელ მე-118 გვ. ორ ადგილას არის აუცილებელი შესწორებები, რის გამო ორი ადგილი (I და II) სჯობს მთლიანად ხელახლა აიწყოს და ჩაემატოს, რისთვისაც ის ხელახლა გადავსწერე და აქვე ვურთავ“.

კორექტურაზეა საუბარი რამდენიმე სხვა წერილშიც:

„ძმაო ვიკტორ, დღეს მომივიდა მხოლოდ ეს რამდენიმე გვერდი კორექტურის და შიგ წერილი არ იყო, მაგრამ დავასკვნით, რომ კარგად ხარ და ეს დღეს, მაგ პირობებში, როცა ქვეყანა იქცევა, ძალიან ბევრია... მაღლობა ღმერთს...“

რას ნიშნავს ამ გვერდების გამოგზავნა, კარგად ვერ მივხვდი, მაგრამ გავასწორე და ეხლავ უკანვე გიგზავნი“ (3 ივნისი 1960).

„ძმაო ვიკტორ, სრულიად შემთხვევით დღეს მივიღე შენი წერილი, საიდანაც გავიგე, თუ რას ნიშნავდა შენი უკანასკნელი ამონაბეჭდების გამოგზავნა... წიგნი თურმე უკვე მზადაა და ის შებრუნებული გვერდები გაგისწორებია.

შემთხვევით მივიღე თქო რომ გწერ შენს წერილზე, ეს იმიტომ რომ დაგვიწყებია „Lomas de Zamora“ მოგწერა ზედ. საოცარია, რომ დაგვიანებით მაინც მიპოვეს.

მაშ წიგნი მოათავე? კიდევ დიდი მაღლობა ჩემგან“ (6 ივნისი, 1960).

დაბოლოს, მეგობართა მონდომება და ძალისხმევა კეთილად დაგვირგვინდა და ჩილედან არგენტინაში წიგნის სასიგნალო ეგზემპლარი გაიგზავნა. 1960 წლის 10 ივნისს აკაკი პაპავა გახარებული წერს ვიკტორ ნოზაძეს, თუმცა შენიშვნა მაინც აქვს და კორექტურებს ისევ პოულობს.

„ძმაო ვიკტორ, გუშინ მივიღე სანიმუშოდ გამოგზავნილი ეგზემპლარი.

წარმოგიდგენია, როგორ გავიხარებდით ყველანი, რომ ეს საქმე კეთილად დაბოლოვდა და წიგნი იშვა. კიდევ დიდი მადლობა და არა მარტო ჩემგან, არამედ ჩვენგან ყველასაგან.

მხოლოდ ერთი რამ მაკლია გულს, ფორმატი მინდოდა სრულიად ისეთი, როგორც იყო „უცხო ქიშკართან“, რომელიც შენ ამ მიზნით მთხოვე და გამოგიგზავნე. მაგრამ ამას ეხლა აღარაფერი ეშველება და არა უშავს, ასე დავტოვოთ. მაგრამ ერთი რამეს დატოვება კი არ შეიძლება და აი, გთხოვ ამის გასწორებაში როგორმე დამეხმარო, რომ წიგნი სულ მალე არ გაგვიფუჭდეს ამდენი ვაი-ვაგლახის შემდეგ. უკანასკნელი მასალის კორექტურაში ნუთუ მე გამომჩრა ეს, თუ ბეჭდვის დროს აირია სტრიქონები, არ ვიცი... ბოლოს ეს სულ ერთია თუ ვისი ბრალია, მაგრამ ასე ვერ დავტოვებთ. გვ. 58 მესამე აბზაცი (მეექვსე სტრიქონი ზევიდან) იწყება ასე:

6) ეს ქეთევან, ანუ მისი წარწერის თანახმად „ქეთევან“

7) დის ხელოვნებით შეუსრულებია ქსნის „დედოფალს“...
მეთერთმეტე სტრიქონში:

11) ეს ქეთევანი, ანუ მისი წარწერის თანახმად „ქეთევან“ და სხვ.

როგორც ხედავ 6 და 11 სტრიქონი იგივეა შეცდომით. უნდა იყოს მე 6 სტრიქონი ასე:

6: – ეს ფარდა, ანუ ტრაპეზის გადასაფარებელი დი-

7: – დის ხელოვნებით შეუსრულებია... და სხვ.

ვიკტორ, ამას გარდა ლექსში „განახლება“ მეორე ტაეპის მეორე ბნკარი (გვ. 46) სწერია: „რომ ამსონები წასულან“ გამორჩენილია სიტყვა „უკვე“, უნდა იყოს: „რომ ამსონები უკვე წასულან“ თორემ ისე წესი არ გამოდის...

მაშასადამე, ერთი სტრიქონი (მეექვსე) უნდა შეცვლილ იქმნას (ალბად აწყობილი დაიკარგა და სამაგიეროდ მეთერთმეტე სტრიქონი ჩასვეს...)

ამრიგად ასაწყობია:

მე-6 სტრიქონი: „ეს ფარდა, ანუ ტრაპეზის გადასაფარებელი დი-

მაგრამ ვინაიდან 1 სტრიქონის დაწყება ძნელია, უნდა აიწყოს მთელი აბზაცი (5 სტრიქონი) ეს მით უმეტეს რომ ამ აბზაცის უკანასკნელი სიტყვა „შეუსრულებია“ უნდა ამოვარდეს.

ახლა ჩემო ვიკტორ, უნდა კვლავ გაისარჯო და როგორმე ეს 1 აბზაცი დააბეჭდვინო (სხვა გზას, საუბედუროდ, ვერ ვხედავ და ასე კი შეუძლებელია ამის დატოვება). ბოლოში „შეცდომის გასწორება“ს ეს ჩანებება სჯობს 1 აბზაცისა. წიგნები ეხლა ალბად გამოგზავნილი ექმნება მიშას (100 ცალი ვთხოვე თავში და მეორეჯერ დანარჩენიც გამოგზავნოს, საშას ნაცნობი გამოგზავნივს.)

ამ ჩანებებას მე აქ მოვანყო, ოღონდ შენ მომანოდე ანაბეჭდები. ეს პატარა ფურცლები გამოატანეთ წიგნების შემდეგ წყებას და მე გამოვჭრი და ჩავანებებ. ნუ გეწყინება, ჩემო ვიკტორ, რომ კვლავ განუხებ, მაგრამ ვიმეორებ – ასე დატოვება არ შეიძლება და ბარემ ამაშიც უნდა გამიწიო დახმარება და საქმე ბოლომდე მიმავყვანილო... და ამასთან ლექსისთვის „უკვე წასულან“ უნდა ააწყო.

ამ ორ ადგილს უნდა გასწორება, დანარჩენი ჩვეული კორექტ. ცოდვებია, ჩვე-ნთვის არა ახალი...

მაშ ასე, მოგიკითხავთ დიდის სიყვარულით და ველით შენს კარგ ამბებს“...

სხვა გამომცემელი და მესტამბე ამ თხოვნაზე ავტორს ალბათ უარს ეტყობდა და წიგნისთვის შეცდომების გასწორების ფურცლის დართვას შესთავაზებდა,

მაგრამ ვიკტორ ნოზაძე ხომ ავტორის მეგობარიცაა და იგი 1960 წლის 18 ივნისს მას სწერს:

„ძმაო აკაკი, შენმა უკანასკნელმა, ნაკუნ ქალაქებზე დაწერილმა წერილმა, შემანუხა. მართლა, რა ცუდი ამბავი მომხდარა იქ აღნიშნულ გვერდზე. ბევრი ვიფიქრე, თუ როგორ მოხდა ეს შეცდომა, მაგრამ ნამდვილად ვერ გამოვარკვие, – ან რაღა მნიშვნელობა აქვს, როდესაც წიგნი დაბეჭდილია! გუშინ გავამზადე დასაწებელი ტექსტი და გამოგიგზავნე საჰაერო ფოსტით, დაზღვეულად. მიიღებ, არა?“ და აკაკი პაპავას პასუხიც:

„ვიკტორ, ახალი ამონაბეჭდები (ჩასაწებელი) მივიღე. დიდი მადლობა. ზოგი ჩავამატე, ზოგს კიდევ ჩავანებებ... იყავი მხნედ და მოინერე შენი კაი ამბები. თამარმა და ჩვენებმა ათასი მოკითხვა. შენი აკაკი.

P.S. ესეცაა მივიღე შენი წერილი მისამართებით. რასაკვირველია, აქედან სჯობს დაგზავნა, შედარებით უფრო იაფია და ბევრად უფრო ადრე მიდის (გემითაც), როგორც საშამ მომცა. ავთანდილს წიგნი ხომ გადაეცი ჩემგან. ალბად ნაწყენია, რომ აქამდე მის მოლოცვაზე ვერ ვუპასუხე (26 მაისის გამო). ვერ მოვასწარი, ახლა მივსწერ!.. (22 ივნისი, 1960).

დიახ, ჩემს ხელს არსებული წიგნის ორივე ეგზემპლარში ეს ბოლო სწორებები აკურატულად არის ჩანენებული“ (22 ივნისი, 1960).

წიგნის ბეჭდვა

1959 წლის 12 ივლისს ქალაქის ხარჯებთან ერთად ვიკტორ ნოზაძემ დაიწყო საუბარი წიგნის ტირაჟზეც. თანაც ქალაქის ნიმუშებსაც აგზავნის ბუენოს-აირესში ასარჩევად.

„აკაკი, ალბათ დღეს მიიღებდი შენი მომავალი წიგნის ანაბეჭდებს. ეს პირველი ანაბეჭდია და გასწორებული მიტოს მიერ. რასაკვირველია, შენც გაასწორებ. ამასთან ერთად დასვი ნიშანი, თუ რომელი შაირი რომელს უნდა დაშორდეს. ნიშანი შეგიძლია იხმარო სამი (უთითებს სამივეს, – პ. ნ.). დღეს გიგზავნი ქალაქის ნიმუშებს. ორივე კარგი ქალაქია; ერთი მუქი და მეორე თეთრი. ერთი ღირს პლიეტო (16 გვერდი) 60 აქაური პესო და მეორე – 44 პესო.

უნდა ვიცოდე, თუ რამდენი ცალის დაბეჭდვა გსურს: 500 თუ სხვა რიცხვი. ეს ახლავე უნდა ვიცოდე, რათა ქალაქი შევუკვეთო.

როდესაც მიღებულ ანაბეჭდებს დამიბრუნებ, მათ გავასწორებ და მერმე გვერდებს შევაკვრევენ. ამ გვერდთა ანაბეჭდებს გამოგიგზავნი. და ეს იქნება უკანასკნელი წაკითხვა, – მერმე უკვე დაიბეჭდება წიგნი. რამდენი ცალი? – ეს შენ როგორც გსურს“.

რაკი ვიკტორ ნოზაძემ საქმეს ხელი მოჰკიდა და წიგნის წყობის საქმე მოგვარდა, აკაკი პაპავამ წიგნის საუკეთესო ხარისხით გამოცემა მოინდომა, იმის მომიზეზებით, რომ ვინ იცის, კიდევ როდის შევძლებთ წიგნის გამოცემასო. ეს შიში თუ წინათგრძობა, სხვათა შორის, ზემოთ უკვე ითქვა, მართალი აღმოჩნდა.

იმავე წლის 21 აგვისტოს იგი წერს:

„ჩემს წიგნზე: ვინ იცის კიდევ როდის შევძლებთ რაიმეს გამოცემას და ამიტომ ჩვენი ყველასი სურვილი – წიგნი უზადოთ და ლამაზად გამოიცეს. ქალაქის საუკეთესო უნდა იქმნეს (ნიმუშებს სურვილისამებრ გიგზავნი) და 16 გვერ. სამოც პეზოიანი, სქელი ავირჩიეთ ყველამ. წიგნი დაიბეჭდება 350-400 ცალამდე (მგონი 500 ბევრი იქნეს), ეს შენ გადასწყვიტე, მხოლოდ 350-ზე ნაკლები

კი არა, მეტი კი შეგიძლიან. გვერდების დიდი ეკონომია და მასალის შეკუჭვა არ ღირს. განსაკუთრებით ლექსები უნდა გაშლილი იყოს და ყოველი ხანის შემდეგ რამე ნიშანი, ან ცარიელი ადგილი. (ვიკტორ, მრავალ წერტილები ხშირად სწორი ხაზით არ მიდის (...), ესეც არ გყოფნის, თუ შეცდომაა?)“

1969 წლის 2 მაისის წერილში კი აკაკი პაპავა კიდევ უფრო კონკრეტულია:

„ეხლა ქალაღზე: როგორც შენ იწერები, ქალაღი მანდ წარმოუდგენლად ძვირი ყოფილა. რას იზამ? ამის გამო მეც 200 ცალზე უნდა გავჩერდე. იმედია, კარგი, სქელი ქალაღი იქნება. თუ სურათის იმ სქელზე არ გამოვა, უნდა დავანებებინოთ, 200 ცალი ძნელი არ იქნება. ყდისთვის კი სქელი კარგი ქალაღი გვინდა, რომ კლიშე კარგად გამოვიდეს. ფერი არ ვიცი – როგორ ავიღოთ? იქნებ ნიმუში გვიშოვო, ან სხვადა სხვა ფერის, თუ კლიშე გამოვა.“

ასე ჩემო ვიკტორ, სხვას მალე მოგწერ. ეს 4 დღეა ძალიან არეული ვართ, სალომე გვყავს ავით: ორივე ყურების ანთებით. დავიტანჯეთ... სტრუპტომიციინებს უშხაპუნებენ. ხომ ხედავ? მოსვენება აღარაა: მუდამ ვინმე ავად გვყავს. ამან მოგვსპო“.

და მერე, ერთი კვირის შემდეგ, 10 მაისს:

„ძვირფასო ვიკტორ, ესეცაა მივიღე შენი წერილი და ვიჩქარი სულ მოკლეთ მაინც გიპასუხო. გრძლად ველარ მოგწერ, რადგან სათვალე გამიტყდა (ცალ მხარეზე) და ცალი თვალით ვწერ...“

დაბეჭდე შენი რჩევის თანახმად 250 ცალი...“

მგონი კმარა. ეხლა შენ იცი და შენმა გემოვნებამ. მეტს არას გთხოვ. ქალაღი თუ იშოვო კარგი აიღე და ყდები თუ მოგიხერხდეს ფერადი (ღია ნაცრის, კრემის და ვარდის ფერი.) მეტს ვერ გწერ, თვალი მეტკინა. ათასი მოკითხვა ყველამ.

შენი აკაკი.

მერგება 97 დოლარი“.

დაბოლოს, თითქოს მოთავდა ყველა წინასწარი სამუშაო, წიგნი მზად არის დასაბეჭდად და 1960 წლის 2 ივნისს აკაკი პაპავა წერს გამომცემელს:

„ლეოს დეპეშა მოვიდა, კარგად ჩასულა. აქ ავიონს მთელი დღე დაავიანდა და აღარ ვიცი, შენ ან მიშამ თუ ნახეთ გზად. ჩემი წერილი ჩეკით იმედია, მიღებული გექნება. უკვე 6 დღეა, რაც გამოგვზავნე. მეშინოდა ამ არევე-დარევის ხანაში არ დაიკარგოს თქო. მაცნობე, თუ მიიღე.“

ეხლა მგონი ყველაფერი გექნება მოთავებული და ალბად დაბეჭდავ.

თამარმა და ჩვენებმა ათასი მოკითხვა. შენი აკაკი“.

წიგნის ხარჯები

წიგნის ხარჯების შესახებ საუბარი ერთ-ერთ პირველსავე წერილშივე დაიწყო 1959 წლის 19 ივლისს:

„რაც შეეხება საჭირო თანხას, მაცნობე და რაც ეხლავ სასწრაფო ხარჯი იყოს: ქალაღის და სტამბის, ამას დაუყოვნებლივ მოგაწვდი, დანარჩენს კი ნელ-ნელა გადმოგზავნი.“

დიდის მაღლიერი ვარ წინასწარ შენი და ავთანდილის, რომ ასე გამამხნევეთ. არ დაგივიწყებთ და სექტემბერში როცა მანდ გენვევით, პირადადაც გაახლებთ ამ ქართულ მაღლობას.

მოკითხვა თამარმა და ჩვენებმა შენ და ძვირფას ავთანდილს.

მაცნობე მასალის მიღება. აკლია რამე? შენი აკაკი“.

28-29 აგვისტოს წერილში აკაკი პაპავა წერს:

„მნათობი“, „საბ. ხელ.“ („საბჭოთა ხელოვნება“, - პ. ნ.) და „დროშა“ გამოვიწერე. სამეც. აკად. გამოც-ბი (სამეცნიერო აკადემიის გამოცემები, - პ. ნ.) რამდენიმე გამომიგზავნეს, მაგრამ არა ყველა. შენ რა მიიღე საინტერესო? მიტო როგორა გვყავს? გამაგრდეს ჩემს მოსვლამდე და მე ნარდში ან პოკერში დავამარცხებ და შენც ზედ მიგაყოლებ. ავთანდილის თამაშს არ ვიცნობ და იქნებ მან დამამარცხოს. ამისი მეშინიან. ვიკტორ, კაცო, მაცნობე - რა ჯდება ჩემი წიგნი, შენ გთხოვ ყველა საათები მიანგარიშო. ნაწილს ეხლავ გამოგიგზავნი. მართლა, კლიშეს აქ ვაკეთებინებ და 1 კვირაში იმასაც გამოგიგზავნი. ავი ენის კაცი მოგიტანს. თამარმა ათასი მოკითხვა. იმედია, ეხლა მოიკეთე.

ჩვენ იმედი გვაქვს, რაკი ამ თვეს გადურჩით, შემდეგ აგვისტომდე ვიბოგინებთ და ამიტომ ალბად განახავთ. მანამ აბა შენ იცი. შენი აკაკი“.

10 სექტემბრის წერილში ისევ ავადმყოფობებია, თანაც ორივე მხარეს:

„ძვირფასო ვიკტორ, ესეცაა მივიღე მიტოს მიერ გამოგზავნილი წერილი და ყველანი ძალიან დავლონდით. ნუ-თუ ასე გაგირთულდა ეს ოხერი გაციება და მაგრად მოგკიდა ხელი? ძალიან ვწუხვართ თამარი და მე, რომ აქამდე სიცხე გაქვს. დიდი ბედი, რომ ამ დროს მიტო მანდ არის და გივლის. მისი უკანასკნელი წერილიდან ისეთი შთაბეჭდილება გამოვიტანე, რომ ყველაფერი უკვე დასძლიე და საქმე გამოკეთებისაკენ მიდიოდა... ვიკტორ ჩემო, იცოდე ჩვენ ყველანი შენზე ვფიქრობთ და ღმერთს ვთხოვთ - ჩქარა გიშველოს და ფეხზე დაგაყენოს. სთხოვე მიტოს, მოგვწეროს ეხლავ, თუ როგორ იყო და თუ ჩვენ რამე შეგვიძლია, რომ რითიმე დაგეხმაროთ. ფული გამოგიგზავნე და თუ დაგჭირდეს, იქედან გაიხმარე. იყავი ძველებურად მხნედ და გთხოვ შენს ამბებს ნუ დაგვიყოვნებ. ჩვენ არა გვიშავს, გარდა ჩვეულებრივ ავადმყოფობათა. მაგ. გულნარა ამჟამად წევს, სიცხე აქვს თავი და ყურები სტკივა და მე აგერ 3 კვირაა სურდო და გრიპი შემეყარა და მთლად გაჭედილი ვარ. დიდი მოკითხვა ყველასაგან თქვენ სამთავეს“.

იმავე წერილში აკაკი პაპავა მიტო ანანიაშვილთან მიმართავს:

„ძმაო მიტო მალე ველი შენს კარგ ამბებს ვიკტორის შესახებ. ეხლა შენ იცი და შენმა ვაჟუკაცობამ. გაამხნევე როგორმე“.

წერილის ბოლოს თამარის მინაწერია:

„მოინერე თუ რაიმე წამალი, ან სხვა რამე იყოს საჭირო. შენზე მლოცველი თამარი... კარგია რომ სიცხე გაქვს - ეს ნიშნავს, ორგანიზმი ებრძვის სნეულეზას. ნუ გეშინიან საყვარელო, შევთხოვე ღმერთს შენ მშვიდობას. დიდი სიფრთხილეა საჭირო, მაგასაც გაუძლებ! საყვარელო ჩემო ვიკტორ, ვწუხვარ და არ ვიცი რითი დაგეხმარო ჩემო“...

თამარ პაპავას ხელით დანერილი 5 დეკემბრის წერილი ვიგებთ, რომ ვიკტორ ნოზაძე უკვე საავამყოფოშია:

„ძვირფასო ჩვენო ვიკტორ,

ჩამოვიდა მიტო და გვიამბო მრავალჯერ შენი ამბები... ძალიან ბევრი გადაგიტანია და თანაც ასეთის სტოიკურის სიმტკიცით, მაგრამ ყველა ამას ტყვილა არ ჩაუვლია და ეს გვახარებს, რომ მორჩი და სულ მალე მთლად კარგად იქნები, ჩემო ვიკტორ...“

ძალიან მინდოდა შენი ნახვა და შენთან „ძველებურადა, ჩვენებურადა“ ტკბილი მოგონებების ტიკტორას მოხსნა, მაგრამ განგებამ ეს ჯერ კიდევ არ ინდომა... იქნებ მაინც მოხდეს ერთხელ. ჩემო ვიკტორ, დღე არ გავა, რომ რამდენიმეჯერ

რა გახსენოთ. მიტო შენს ამბებს ხშირად გვწერდა, ეხლა მდივანი აღარა გყავს და რას იზამ? თვით მდივნობა უნდა გასწიო. მოგვწერე ჩემო ვიკტორ – როგორ გრძნობ თავს? კიდევ რამდენი ხანი დარჩები მანდ – საავადმყოფოში? მოგიკითხა ყველა ჩვენებმა. ველით შენს კარგ ამბებს. თამარ და აკაკი“.

ამასობაში 1960 წელი დადგა. კაკიჩების პირველ წერილს 21 იანვარი უზის თარიღად. მაგრამ ეს 22 იანვარი არგენტინაში სწორედ რომ გაუსაძლისი სიტყვა:

„ძვირფასო ვიკტორ!

წელს ეს პირველი წერილია...

მადლობა ღმერთს, რომ შევძელი კალამის აღება. ამდენი ხანია აქა ვართ და ასეთი საშინელი, სულის შემხუთავი ზაფხული არ მოგვსწრებია... პირდაპირ დავიხოცეთ ბაბუა, თამარი და მე ეს მესამე კვირაა. სხვებმა ყველამ ადრევე დააღწიეს თავი ამ ჯოჯოხეთს და სან-კლემენტეში არიან. დღეში 5X ვსვამდით კორამინს, ექიმი ძლივს ვიშოვნეთ.

გუშინ პირველად წამოვიდა წვიმა და ღამით აგრილდა. (2 კვირა არ გვიძინია, ჩრდილებივით ვცახცახებდით, ან უწყლო თევზებივით ვეყარეთ, წყალი დიდი ხანია აღარ გვაქვს, სინათლეც სულ იშვიათად.) ერთის სიტყვით სასწაულით გადავრჩით. როცა მთელ ქვეყანას მოწყვეტილი ხარ, ვერც ვისმეს მისწერ და ვერც ვერავისგან შეიტყობ რასმეს...

დღეს პირველად მივიღეთ ფოსტა და შევიტყვეთ, რომ ბავშვები ცოცხალი არიან... საოცარია, რა უცნაურად და დაჟინებით გვდევენის ბედი. რა დავაშავეთ?

ბევრჯერ ვინატრეთ ერთი ნამცეცი თოვლისა, ნიავი...

სხვა, შენ როგორ გრძნობ თავს? შეგიხორცდა ჭრილობა? შეგიძლიან სიარული? იმედი გვაქვს – სულ მალე მოთავდება შენი ავადმყოფობა და ძველებურად იგრძნობ თავს“.

29 იანვრის წერილის მიხედვით მდგომარეობა ცოტათი გამოსწორებულია. თუმცა ეს მხოლოდ ამინდს ეხება. გუნება-განწყობილება კი ისევ დეპრესიულია:

„ძვირფასო ვიკტორ,

სწორედ ამ 3 დღის წინ მოგწერე და მოკლედ გაცნობე ის დავიდარაბა, რაც გადავიტანეთ. წვიმამ ოდნავ გამოგვაცოცხლა, მაგრამ გუშინ ისევ დიდი სიტყხე დაიჭირა და სულის თქმა აღარაა. პირდაპირ მეშინიან, რომ ეს ამდენი ხნით ნაჯახირევი გული ამდენ შემოტევას ველარ გაუძლებს... საჭიროა ორივესთვის დაუყონებლივ წასვლა ან ზღვაზე, ან მთებში, მაგრამ სად და როგორ?... სულ უბრალო პანსიონი დღეს 250 პეზო ღირს. ამას კიდევ 20% და ათასი კუდი ემატებადა ორ სულზე ეს დღეში 700 პეზოს აღწევს. ისე გამოიცვალა ყველაფერი განსაკუთრებით ეს 1 წელია, რომ ვერ აგინერ (კილო ხორცი 65 პეზოა და პური 9 პეზო), გაეფდა მხოლოდ დოლარი, თან არავითარი საქმე, რაც თითქოს უნდა წასულიყო, არ მიდის. ასე რომ მართლაც უწყალოდ გავეჩხირეთ ამ ქვეყანაში და თუ ასე გაგრძელდა, უნდა ან გერმანიას მივაშუროთ, ან რომელიმე სხვა ქვეყანას. დავხუცდით და დავუძღურდით და ექიმი და წამლობა იმდენს ითხოვს, რომ ჩვენი რენტის თითქმის ნახევარი ამას უნდება... ძალიან ცუდათ ამოვარჩიეთ ეს ქვეყანა, ვინ იფიქრებდა, რომ ასე უცებ ამნაირად შეიცვლებოდა ყველაფერი. რა გაეწყობა. დათმენას ნაჩვევი ვართ და ეტყობა ბოლომდე ასე უნდა გვდევენოს ბედმა... ყველა ამას ემატება ეს წყეული კალენდარი... არავითარ ღმობიერებას არ იჩენს, ამ წამების დღეებს გვითვლის და ასე უგულოდ ფურცლავს. კიდევ ორიოდ თვე და მეც (წარმოიდგინე მეც) 70 წელი მისრულდება, ხოლო თამარს

72... რალა დაგვრჩა? სულ ზევით უნდა ვიცქიროთ: აი, ეხლა ჩამოჰკრავენ ზარებს და აი, ეხლა თქო. რა უგულო და განუკითხავი ყოფილა ცხოვრება... რამდენი რამ გვინდოდა გაგვეკეთებინა და რამე სახსოვარი კვალი დაგვეშინა და... ამაოა ეს ოცნება. სულ სხვა, გამამხნეველებელი რამე მინდოდა მომენერა და სინამდვილემ სულ სხვა გრძნობებს და ფიქრებს გაუტეხა გზა...

შენი წერილიც ვერ არის დამამშვიდებელი. დიდი იმედი მქონდა, რომ ეხლა სულ კარგად იქნებოდი და ეგ წყეული ადგილი აქამდე არ მოგშუშებია. რა გითხრა, ძმაო? უნდა ცოტა კიდე მოითმინო და აიტანო. თავი იმით უნდა ინუგეშო, რომ შენი ამდენი ხნის ნაფიქრი და ნაშრომი არ დაგეკარგა და სამშობლოს მიანვდინე. ამ მხრივ შენ გამონაკლისი ხარ. და ჩვენ იმედს გამოვსტყვამთ, რომ მალე სულ კარგად გახდები და შენი წიგნების დაშთენილ რვეულებსაც მოათავებ და გაგზავნი. შენ მაინც გახსნილი გაქვს ის ჩვენთვის დახურული კარი და ეს ხომ დიდი ბედია. ამან უნდა მოგცეს ძალა და მხნეობა“.

ვიკტორ ნოზაძე თავისი 28 იანვრის წერილის მიხედვითაც, ჯერ კიდევ ვერ არის კარგად და სტამბაში მისვლას მთელი თვის მერეღა ვარაუდობს:

„სალამი კაკიჩს, მივიღე შენი წერილი 22.1.60 გუშინ. მანდ თუ სიცხეა, აქ გრილა შედარებით 31 გრადუსს არ ასცილებია და უფრო ხშირად 28 გრადუსია. ღამით ხანდახან სიცვიეც კი არის. ამ წერილში პასუხი არაა ჩემს წერილზე: სჩანს არ მიგიღია.“

მე პირადად ჯერ კიდევ ცუდად ვარ: ქრილობა ჯერ კიდევ შეუხორცებელია. ქალაქში ერთჯერ გავედი და სტამბაში ჯერ არა ვყოფილვარ. და არც ვიცი, როდის მივალ. ალბათ ამ მომავალ თვეში“.

1960 წლის 22 მარტის წერილით აკაკი პაპავა თითქმის კატეგორიულად ითხოვს ხარჯთაღრიცხვას:

„ვიკტორ, ეხლა გთხოვ მომწერო შენი ხარჯები და გასამრჯელო რას შეადგენს. გამოგიგზავნი ჯერ ამას. შემდეგ კი ქალაღდის, დასტამბვის და აკინძვის ხარჯები შეადგენინე. 300 ცალი იკმარებს და თუ განსხვავება საგრძნობია, შეიძლება 250-ითაც დავკმაყოფილდეთ...“

აბა ეხლა სხვას არას მწერ, ვიჩქარი და ველი შენს პასუხს და გთხოვ – ფულის რაოდენობა მაცნობო.

ჩვენებმა ყველამ და კერძოთ თამარმა (ხვალ 72 წ. ხდება, წარმოგიდგენია?) ათასი მოკითხვა. შენი აკაკი“.

და 20 აპრილის წერილი მეტისმეტად კონკრეტულია:

„ძვირფასო ვიკტორ,

ვერ წარმოიდგენ, როგორ გვიხარია, რომ დასძლიე მაგ გრიპსაც და ისევ კარგადა ხარ. ეხლა იწყება ამ ჩვენს ჩილე-არგენტინაში ყოვლად საძაგელი დრო და ამას უნდა უფრთხილდე. სიცვიე, ქარი, წვიმა და სურდო, რომელიც ამ პირობებში ყოველდღე შეიძლება ანთებად გადაგექცეს... შენ იცი თბილად ჩაცმა და ეცადე ყველაფერი ჩაიცვა და ფეხები არ დაისველო (მე აქედან ვცივდები).“

ვიკტორ, სწორედ მივწერე ნიუ-იორკში, რომ გადმოგიგზავნონ 75 დოლარის ჩეკი. დიდი ხანია მინდოდა გამომეგზავნა, მაგრამ იქ (ნი-იორკში) საკმაო თანხა არ იყო და გერმანიაში დაფუკვეთე ერთი ქალაღდის გაყიდვა და იმის თანხის ამერიკაში გადაგზავნა. გუშინ მივიღე წერილი, რომ ეს ჩატარდა. ასე რომ 10-12 დღეში ჩეკი გექნება. ვადა 1 წელზე მეტი აქვს... ეხლა ვიკტორ, გთხოვ გამომიგზავნო ყველაფრის ხარჯთაღრიცხვა, რომ ვიცოდე, როდისთვის და რამდენი გჭირია“.

აი, ვიქტორ ნოზაძის პასუხი 24 აპრილს:

„რაც შეეხება დასაბეჭდ ცალთა რიცხვს, ანგარიში ასეთია, როგორც მოგწერე თითო პლიეგო ანუ 16 გვერდი მარტო ქალაქის ღირს 60 პესო. შენს წიგნშია 120 გვერდი ანუ 7 პლიეგო ნახევარი, რაც ღირს $(60 \times 7 \frac{1}{2})$ 450 პესო. ანუ თითოეული 50 წიგნის მარტო ქალაქი ღირს 2250 პესო; ანუ 250 ცალი წიგნის მარტო ქალაქი ღირს 112500 პესო. ხომ არ მეშლება? ასე არ არის?

1 პლიეგო (16 გვერდი) – 60 პესო

7 პლიეგო და ნახევარი – 450 პესო

ანუ ერთი წიგნის ქალაქი 450 პესო ანუ 250 წიგნის ქალაქის ფასი = (450×250) 112x500 პესო. თუ გინდა 300 წიგნი, მაშინ მისი ქალაქი დაჯდება 135.000 პესო; ხოლო 350 წიგნის ქალაქის ფასი იქნება 157.500 პესო. ხომ სწორად ვიანგარიშე. იქნებ შევცდი? ყოველ შემთხვევაში ქალაქი ძვირია. გიორგი გამყრელიძემ დამიკვეთა 200 ცალის დაბეჭდვა, ამას ვწერ ცნობისათვის.

მისი წიგნია 150 გვერდიანი.

სხვა რა მოგწეროთ. მალე დამიბრუნეთ ანაბეჭდი და გამოაგზავნეთ საჰაერო ფოსტით როგორც დაზღვეული *impreso*, – ეს გაცილებით იაფია. ახალი არაფერი ვიცი.

სალამი ყველას. ვიქტორი“.

და ვიქტორ ნოზაძის კიდევ ორი წერილი:

„ჩემი მივიღე. ჯერ რა ანგარიში უნდა გამოგიგზავნო? გ. გამყრელიძის წიგნის ანგარიშიც არა მაქვს ჯერ, თუმცა მისი წიგნი უკვე დაიბეჭდა – 250 ცალი. ამიტომ გადავწყვიტე: შენი წიგნიც 250 ცალი დაიბეჭდოს, – ხომ უნდა დაურიგო უნივერსიტეტების ბიბლიოთეკას? მართალია, ამ წიგნს თბილისს ვერ გააგზავნი, მაგრამ ემიგრაციაში ხომ უნდა დარჩეს, – და იგი დარჩება არა კერძო პირთა ხელში (ძველ გამოცემათა ათ წიგნსაც ვერ იპოვნი ემიგრაციაში), არამედ ბიბლიოთეკებში. ჩემს წიგნს მე ვუგზავნი გერმანიის, ინგლისის, საფრანგეთის მთავარ ბიბლიოთეკებს და სხვა ქვეყნების ნაციონალურ ბიბლიოთეკას. ასე. თუ არა გასურს 250 ცალი და გინდა 200 ცალი, დაუყოვნებლივ შემატყობინე, რადგან შემდეგ კვირაში შენი წიგნის დაბეჭდვას შევუდგები. თუ არჩეულ ქალაქზე სურათი კარგად არ გამოვიდა, მაშინ მას ცალკე დავაბეჭდვინებ. უნდა მივანერო ქვეშ: აკაკი პაპავა (70 წლისთავზე): (დაბადებიდან 70 წლის შესრულებისას). რომელი გირჩევნია?

არ მიკვირს, თქვენ ჯალაბში რომ ყოველთვის ვინმე არის ავად! ამდენ ხალხში ვიღაც გახდება ავად, რაც, ცხადია, დიდად შესაწუხებელია...

მოკითხვა დიდსა და პატარას. სალამით ვიქტორი“ (7 მაისი, 1960).

„სალამი აკაკის, შეგიძლია წარმოიდგინო, თუ რა ჩხუბი მქონდა სტამბაში? გ. გამყრელიძის წიგნის გამოცემა მიანგარიშეს 326.000 პესო! ამაში არ შედის ჩემი მუშაობა. ვიჩხუბე, მაგრამ რა ვიჩხუბე! და შედეგად შევამცირებინე ყველგან ფასი იმ მუშაობისა, რომელშიც მონაწილეობა მქონდა მიღებული (ანკობის გარდა). ეს რომ მოვათავე, ჯერი შენი წიგნის ანგარიშზე მიდგა. პირველად მიანგარიშეს შენი წიგნის გამოცემა 215.000 პესო. ხმა, მართალია, მისუსტებული მქონდა, მაგრამ რაც შემეძლო ამ ანგარიშის გამოც ვიჩხუბე და ამ გამწარებული ჩხუბის შემდეგ ხარჯები ყველა ნაწილში დავაკლებინე. ასე რომ 215.000 პესო ჩამოვიყვანე 170.000 პესომდე. ამაში არ შედის ჩემი მუშაობა.

ესე იგი გამოცემა დაჯდება 170 დოლარი, რასაც ემატება ჩემთვის მინიმუმი,

მუშაობისათვის 50 დოლარი. ესე იგი სულ $170+50=220$ დოლარი. მიღებული მაქვს 125. დარჩება გადასახდელი 95 დოლარი. კლიშესი 2 დოლარი – 97 დოლ. ვიცი, გებევრება და შეიცხადებ, მაგრამ ეს ფასი აქ მინიმუმზე მინიმუმია, რადგან ნამდვილად ვიცი, მხოლოდ ერთ პლიეგოზე აქ კასტიჟანურის ანყობით ახდევინებენ 120.000 ანუ 120 დოლარს... ასეა.

კლიშე 2.000

ანყობა და სხვა მუშაობა 50.000

მიღებული მაქვს 125.000

დარჩა მისაღები 97.000

ანუ 97 დოლარი (ციმკა)“ (13 მაისი, 1960).

ამას მოსდევს აკაკი პაპავას 25 მაისის წერილი ვიქტორ ნოზაძის სახელზე გამონერილი ჩეკის და ჩილეში მომხდარი მინისძვრის შესახებ:

„ჩეკის N03480/962. 18-V-1960. მიღება გვაცნობე.

ძმაო ვიქტორ, ეს ჩეკი მომზადებული მქონდა შენთვის, მაგრამ არ გამოვეგზავნე, რადგან ვფიქრობდი ლეოსთვის გამომეტანებია... მაგრამ ბოლოს გადავიფიქრე, რადგან ლეო, რომელიც დღეს მოდის მხოლოდ $\frac{1}{2}$ საათით გაჩერდება მანდ და ვაი თუ არ დახვდე შენ აეროდრომზე. ამიტომ ვგზავნი ფოსტით (დაზღვევით) ასე არ დაიკარგება; რადგან შენს სახელზეა ჩეკი, სხვა მაინც ვერავინ აიღებს.

კაცო, ძალიან შეგვაშინა მაგ რომ საშინელი მინისძვრები მოხდა... იმედია, სანტიავომდე არ მოაღწევს ტალღები, ღმერთმა დაგვიფაროს... ვიქტორ, ჩეკი უნდა მიიტანო „Stensapiz e Hijos LTD, Agostinas 1028“, Santiago. ეს ბანკი „Piano“ დაკავშირებულია მაგასთან და ჩეკს მაშინვე და კარგი კურსით დაგიხურდავებენ. თუ ეხლა არ გინდოდეს დახურდავება, ჩეკს 1 წელი ვადა აქვს. ეს შენი საქმეა. ჩეკი ნიუ-იორკზეა გამონერილი.

ვიქტორ, მოინერე ეხლავ შენი და მანდაური ამბები. შიშით აღარ ვართ. გაზეთ-რადიომ გაგვაგიჟა, ჯოჯოხეთი დატრიალდაო მანდ. იმედია, შეწყდა და დამშვიდდა საქაურობა. მინის ძვრა მოსკოვში უნდა მოხდეს და არა მანდ, მაგრამ ღმერთიც რომ განგვიდგა!..

მაინც გილოცავთ შენ და საქაურ კოლონიას 26 მაისს.

ვიქტორ, პარიზიდან ცუდი ამბები მოდის: გარდაცვლილან მარიამ კვინიტაძისა და გიორგი კერესელიძე. მიდიან და მიდიან.

დიდი იმედებიდან გვრჩება ლოვილის დიდი სასაფლაო. ნეტავ იქ მაინც ვიყოთ!..

იყავ კიდევ მხნეთ და გავსწიოთ.

თამარმა და სხვებმა კოცნა. აკაკი“.

და ისევ ჩეკი:

„ვიქტორ, 100 დოლარის ჩეკი ხომ მიიღე დაზღვეული წერილით? მაცნობე ეხლავ. თუ არ მოგვსვლია, განვაცხადებ...“ (6 ივნისი 1960).

ამ ჩეკის ამბავი სანერვიულოდ გახდომია ორივეს:

„ძმაო აკაკი,

მას შემდეგ რაც შენგან ცნობა მივიღე, ჩეკი გადმოვეგზავნეო, მოსვენება დამეკარგა, ძილიც. ველავფი და ვწუხდი, რომ ამდენი ხანის განმავლობაში იგი ვერ მივიღე. დაკვითხე ყველას სახლში, გარდა ავთანდილისა, რომელიც ჩემზე გაბუტულია და ხმას არ მცემს (მიტომ იცის ეს ამბავი). დღეს მოსამსახურემ

ფოსტალიონს ჰკითხა: ხომ არ იყო დონ ვიქტორისათვის ბუენოს აირესიდან დაზღვეული წერილი? ფოსტალიონის პასუხი იყო: როგორ არა! იყო იგი, მაგრამ სენიორ ალმა გამოვიდა სახლიდან და მან არ მიიღო დონ ვიქტორის დაზღვეული წერილი... (მიტოს წაუკითხე ეს და მან განსაჯოს ეს ამბავი... მე თავს ვიკავებ). ევროპაში ასეთ შემთხვევისას საცნობარ ქალაქს სტოვებენ: წერილისათვის მიაკითხე ფოსტაში. აქ კი ამას ვინ დაგიდევს და მთელი 19 დღის განმავლობაში დიდად აღელვებული და შენუხებული ვიყავი: როგორც კი მათილდემ, ჩემი ნათლულის დედამ (რომელიც აგრეთვე ძალიან შენუხებული იყო) ეს ამბავი გამოარკვია, გულის ფანცქალით გავექანე ფოსტაში, – გულისფანცქალით, რადგან შესაძლებელი იყო სხვისი წერილი ყოფილიყო და არა შენი. საბედნიეროდ შენი... წერილი აღმოჩნდა. შემამოწმეს და მომცეს. შიგ იყო ასი დოლარის ჩეკი. დღესვე დავახურდავებ და გადავიხდი წიგნის ხარჯებს.

ამოვისუნთქე! გამდლობ. მათილდე უნდა დავასაჩუქრო. სალმით ვიქტორი“ (9 ივნისი, 1960).

გადარიცხვა-გადმორიცხვა და ჩეკები დღესაც კი სანერვიულოა და რა იქნებოდა 1960 წელს! 10 ივნისს აკაკი პაპავა დადასტურებას სთხოვს მეგობარს.

„ფული (ჩეკი) თუ მიიღე, მაცნობე. დღეს 12 დოლარს გამოგიგზავნი, როგორც გწერდი უკანასკნელად“.

აკაკი პაპავას 13 ივნისის წერილის თემა ისევ ის ჩეკია:

ძმაო ვიქტორ! შენი წერილი ამ დილით მივიღე და მყისვე გამოვსწიე ქალაქში, (ეს მეოთხედ მოვდივარ ამ ჩეკის გამო), რათა ბანკში ჩემი გაუქმების გაუქმება მომეხდინა. აგრეთვე ფოსტაშიც ახალი განცხადება შემეტანა, პროტესტი უკან წამელო და მეთხოვა – შეაჩერეთ გამოძიება „დაკარგულ“ წერილის გამო. ეს საქმე მეც ნერვების გარდა კაი ფულიც დამიჯდა, რადგან ისპანური შენს დროს რომ ვიცოდი ბევრად უკვე არც ეხლა ვიცი და წერილ-განცხადებები ბიუროებს უნდა დაეწერა. იყო ყოველივე ეს საჭირო? რად გვანამეს ორივენი? ღმერთმა მოჰკითხოს ვისიც ბრალია.

ეხლა ის მანუხებს – მოასწარი შენ ჩეკის დახურდავება, თუ ვერა? იქნებ ჩემმა „ანულაციამ“ მიუსწრო და აღარ მოგცეს. მაცნობე ეს ჩქარა. თუ მიიღე „კიდევ მადლობა ღმერთს“...

12 დოლარს დამატებით დღეს გიგზავნი. მაცნობე ჩქარა, რას აპირებ? როდის ჩამოხვალ აქეთ? შენი ვიზა როდის იქნება? დიდათ ვწუხვართ ორივენი შენს მაგიერ. მიშას დიდი მოკითხვა თამარისა და ჩემგან. როდის გვპატიჟობს ქორწილში? მართალია ეს?.. გულით ვულოცავთ!..“

ბოლოს, როგორც ჩანს, ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა, და აკაკი პაპავა 14 ივნისს წერს ვიქტორ ნოზაძეს:

„ძვირფასო ვიქტორ! ესეცაა მივიღე შენი წერილი და დავმშვიდდი, რომ ჩეკის დახურდავება მოასწარი და ახალ გართულებებს გადაურჩით. აქ გავაკეთე, რაც „უკან დახევისთვის“ საჭირო იყო, დამრჩა კიდევ ცენტრ. ფოსტა, სადაც დღეს დამიბარეს“.

წიგნის დისტრიბუცია

1960 წლის 6 ივნისის იწყება ზრუნვა წიგნის დისტრიბუციაზე. აკაკი პაპავა წერს ვიქტორ ნოზაძეს:

„ეხლა წიგნების გამოგზავნაზე:

საშამ მოსწერა მანდ თავის ნაცნობს, ვთხოვთ მას, რომ გადმოგზავნოს საშას სახელზე ჯერ ორი პაკეტი, (თითო 50 ნიგნიანი). დანარჩენი მანდ იყოს და შემდეგ ამავე წესით გადმოგზავნის. სთხოვე მიშას ჩემს მაგიერ, რომ ეს 2 პაკეტი საშასთვის გადასცეს „ლუფტხანზა“ში იმ ნაცნობს საშასთვის.

დანარჩენს ბიბლიოთეკებს დავუგზავნი...

ნიგნს საერთოდ არ გავყიდი, რადგან ეს თავის დამცირებაა. მივცემ ათიოდეს, ვისაც აინტერესებს...

როცა დრო იშოვო, მომწერე უნივერს-ბის (უნივერსიტეტების, - პ. ნ.) და იმ სამც.-საკულტ. დაწეს. (სამეცნიერო-საკულტურო დაწესებულებების, - პ. ნ.) ადრესები, რომელთა შერეულობა უგზავნი“.

აკაკი პაპავას თავის სიაში არ ვეყოლებოდი და არც ვიკტორ ნოზაძე უკარნახებდა ჩემს გვარს, მაგრამ ისე მოხდა, რომ ტირაჟის 250 ცალიდან ორი ეგზემპლარი ჩემს ბიბლიოთეკაში აღმოჩნდა. მინდა ჩემი თავი იმ ათიოდე ადამიანს მივამატო ვისაც, როგორც პაპავა წერს, ეს ნიგნი აინტერესებს. მეტიც - თუ ვინმეს ეს ნიგნი ხელში ჩაუვარდა, ვურჩევ გაუფრთხილდეს. ძალიან ცოტა ნიგნია მსოფლიოში, რომელიც ორ სხვადასხვა ქვეყანაში იყო გამოცემული მათთვის სრულიად უცხო ენაზე და რომელსაც ასე დანვრილებით აღწერილი ისტორია ჰქონდეს...

13 ივნისს გამოგზავნილ წერილში აკაკი პაპავა ნიგნის გამოგზავნასთან ერთად კიდევ ერთ შენიშვნას უგზავნის გამომცემელს, თუმცა ამას, რა თქმა უნდა, აღარაფერი ეშველება. აკაკი პაპავა ისეთ შენიშვნებს და ისეთ დროს გამოჩნრიკავს, რომ ადამიანმა შეიძლება იფიქროს, რომ ნიგნის გამომცემასთან საქმე არასოდეს ჰქონია.

„ნიგნებზე გწერდი: მიშამ გადასცეს იმ კაცს და ის გადმოუგზავნის საშას. სულ 2 ან 3 პაკეტში გაკეთდება. ჩემს წერილს 2 შესწორების შესახებ მიიღებდი და იმედი მაქვს იმათაც მალე გამოგიგზავნით შერეულობაში და მიშას...“

ასევე გამოათანე ჩემი ყველა კლიშეებიც, კარგი შემთხვევაა და მეტი აღარ დამიჯდება. (რატომ დაბეჭდე კლიშე და სურათი ვარდის ფრად? მე გთხოვდი სხვადასხვა ფერ ადებს და მათზე შავი უფრო კარგად გამოდის. იმედია, ყველა ასე არაა დაბეჭდილი)“.

აკაკი პაპავას იმედი აქვს, რომ ვიკტორ ნოზაძე მას ნიგნების დარიგებაშიც დაეხმარება:

„ვიკტორ, ძალიან კარგს იქ, თუ შენ დააგზავნი ნიგნებს, როგორც მწერ და თუ ეს ძალიან არ შეგანუხებს. ბიბლიოთეკებს და ვისაც შენ უგზავნიდი. რაც შეეხება ქართველებს, რას ფიქრობ შენ? მე მინდოდა საჩუქრად მეძღვნა მხოლოდ რამდენიმესათვის, ვისაც მართლა აინტერესებს და ნაიკითხავს... დანარჩენი, თუ ვინმე მსურველი გამოჩნდება, მას შეუძლიან შეიძინოს და თითო დოლარი (რაც ფაქტიურ. დაჯდა) გადაიხადოს. გაყიდვა შეუძლიათ: პარიზში მ. ჩუბინიძეს, მიუნხენში ი. კუჭუხიძეს (München 23, Barlachstr. IHI), ვაშინგტონში გ. კობახიძეს, ან გუგულის, ნიუ-იორკში ლადო არველაძეს: 507 E 81, New-York 28. N. Y. (USA) და სხვაგან შენ უკეთ იცი. მე შენს ნიგნს გავყიდი, მაგრამ ჩემსას ვერა... ამიტომ დიდათ დამავალე, თუ მათ მიმართავ. ხარჯები ყველა მაღლობით ჩემზე იყოს. ჩემს დღეობას ესენი 9-III- იხდიან. მე არ მკითხავენ, არც ვიცი ვის იწვევენ. მაშინახვამდის. შენი ა. პ.“

მიშას დიდი მოკითხვა. ხომ მიუტანეთ ნიგნები საშასთვის? კლიშეებიც გამო-

აყოლიეთ. უკრაინ.-ხორვატ-ლიტოვ. (უკრაინელებს, ხორვატებს, ლიეტუველებს – პ.ნ.) უნდათ“.

აკაკი კი ფიქრობს, რომ ვიკტორი დაეხმარება, მაგრამ როგორც ბევრს სხვა შემთხვევაში ის სულაც არ ფიქრობს ასე. 18 ივნისის წერილის თემა მიშა ჯაყელის დაოჯახების ამბავიცაა, თუმცა, როგორც ჩანს, მას ეს ვერც ამჯერად გაებედა.

„მე ვფიქრობდი, აქედან გადამეგზავნა შენი წიგნები ბიბლიოთეკებისათვის, მაგრამ ახლა უარს ვამბობ. გიგზავნი ბიბლიოთეკების მისამართს და მანდედან გააგზავნეთ. დამანებებელიც და მისამართის დამწერიც ბევრი გყავს მანდ. გუშინ გავუგზავნე ერთი ცალი ჩემს ძმას პარიზში, უბრალო ფოსტით, – დაჯდა 170 პესო! ძალიან ძვირი გამოდის აქაური ფოსტით.“

არა, არა, მე ვერ გადავავზავნი აქედან წიგნებს. ჯერ ერთი ფოსტა ძალიან ძვირია; მერმე, მე არ შემიძლია დაწებება, არც დრო მაქვს. გასწორება უკვე გუშინ, 17-VI გამოგიგზავნე. 100 ცალი წიგნი „Lufthansa-ში მივიტანეთ. არ ვიცი, ნამოიღეს თუ არა.

მიშა ქალს ირთამს? რაღაცას ამგვარს აპირებს, მაგრამ ვერა ჰპოვებს“.

1 აგვისტოს აკაკი პაპავა კიდევ ერთხელ უხდის მადლობას გამომცემელს. ოღონდაც – წარმოიდგინეთ, რომ თქვენი გამომცემელი, ასოთამწყობი და მესტამბე ვიკტორ ნოზაძეა!

„მივიღე შენ მიერ გამოგზავნილი წიგნები და განმეორებით მადლობას გითვლი ყველაფრისათვის. ძალიან კი მეშინოდა, რადგან აქ ამჟამად ძალიან სისასტიკეა საბაჟოში და თუ ბევრი წიგნი ერთად მოხვდათ თვალში, აჩერებენ და შეიძლება ბაჟიც დაადონ. აი, დღესაც აწყვია ჩემი და ლუის წიგნები (გერმანული) ჰამბურგიდან გამონერილი, ადუანაში და მეორე უწყება მომდის, მაგრამ ვერ იქნა – ვერ მივედი. მიძნელდება. ერთის სიტყვით, ბედი გვქონდა, რომ ასე ჩატარდა. შრომა და ხარჯი კი ზედმეტათ შეგვხვდა, მაგრამ არა უშავს, ჩემზე იყოს.“

მიტომ ძალიან გაგვახარა შენი წასვლის გეგმებით. მოგილოცავთ და იმედია, აქ რომ გამოივლი, ჩვენთან დარჩები და დანარჩენი მაშინ იყოს. აწი არა გიშავს. გმართებს მალარიჩი და მხნედ ყოფნა.

თამარმა და ყველამ ათასი მოკითხვა. იმედია, აწი მალე გნახავთ. შენი აკაკი. კლიშეები მივიღე“.

წიგნის პრეზენტაცია

1960 წლის 11 ივნისს ვიკტორ ნოზაძემ მეგობარს მისი პორტრეტის ამონაბეჭდი გაუგზავნა, რომელიც მაინცდამაინც ვერ გამოირჩეოდა კარგი ხარისხით. მაგრამ ამ ამონაბეჭდზე ავტორისა თუ გამომცემლის ჩილეელ ნაცნობ-მეგობრებს საიუბილეო მისალმებები წაენერათ და მისი ხარისხი ამით „ამოექაჩათ“:

„ეს არის უბრალოდ ამოღებული კლიშე, ჩვეულებრივი ანაბეჭდი და მანქანის რაღა იქნება! თავსლავი მიშას!

ჩილეელი პოეტები სალამს გიძღვნიან. მე მათ როგორ ჩამოვრჩები! არამც თუ სალამს გიძღვნი, არამედ სულით და გულით გისურვებ მრავალჟამიერ სიცოცხლეს და ბრძოლის უნარს, რომ შენ არასოდეს გკლებია. ვიკტორი“.

ჩილელების ნაწერი ძნელი წასაკითხია. თარიღის გარდა ვერაფერი გავარჩიე. როცა ესპანურის ბრწყინვალე მცოდნეს თეა გვასალიას ვთხოვე დახმარება, მისი პასუხი ისე მომეწონა, რომ მგონია, ყველანაირ თარგმანს სჯობია:

„ჩემზე უარესი კალიგრაფია თუ ვინმეს ექნებოდა, რას წარმოვიდგენდი. დედაჩემი წარმართების დასასჯელს ეძახდა. მაგრამ ეს რა ვნახე, სრულიად წარმოუდგენელია აქ რაიმეს ამოკითხვა. მხოლოდ რამდენიმე წინადადება გავარჩიე: როგორც ვილაცა (ვერ გავარჩიე ვინ) ამბობს: ჯანმრთელობა, ჯანმრთელობა და ჯანმრთელობაო. მერე წერს, ძვირფასო პოეტო, იმედი მაქვს გაგიცნობთ და ჩაგეხუტებით როცა 170 წლის გახდებითო. და ზემოთ ერთი თარიღი გავარჩიე – ივნისი 1960. მეტი ვერაფერი“.

სამაგიეროდ, ამ ამონაბეჭდზე მშვენივრად იკითხება მიშა ჯაყელის სადღეგრძელო:

„კეთილათ ვასრულებ შენს წადილს: ვზეიმობთ და ვსვამთ შენს დღეგრძელობას, და გისურვებთ მრავალჟამიერ მთელი თქვენი ოჯახის სიცოცხლეს და ბედნიერებას“.

მეორე დღეს კი, 12 ივნისს, ვიკტორ ნოზაძე ბუენოს-აირესში მყოფ იუბილარს სანტიაგოში მისი 70 წლის აღნიშვნისა და წიგნის პრეზენტაციის ამბავს დაწვრილებით, რეპორტაჟული სიზუსტით უყვება:

„შენ ოღონდ სურვილი გამოთქვი, კიდე მეტი – შენ ოღონდ გაიფიქრე და მისი ასრულება მიშა ჯაყელის კისერზე იყოს. ვერც მოვასწარი ნაკითხვა შენი სურვილისა – დაგველია სადღეგრძელო შენი 70 წლის თავზე და წიგნისათვის „ნაგვექცია“ ჭიქის თავი, რომ მიშას უკვე დაესახა გეგმა ამ საქმის ბრწყინვალედ შესასრულებლად. გავიდა თავისი სახლიდან, ასე ვთქვათ, თორემ მას ვინ მისცა სახლი! – და სამი ვარია, ცოცხალი ვარია, მოაბრძანა. ეს რა არის, – ვკითხე. წინილები, – მითხრა. ხომ უნდა ვიზეიმოთ აკაკის 70 წლის თავი!!! წინილების დაკვლის წინააღმდეგ პროტესტი განვაცხადე – ისე ნაზად, ისე ლამაზად, ისე ხმატკბილად წინინებდნენ, რომ შემეცოდნენ და... მიშამ ბრძანა: – კარგი, დასტოვე მანდ, აბანოში და წავიდეთ. გავედით. წვრილ-წვრილი რამე საოჯახო ჰქონდა საყიდი. იყიდა. ახლა წავიდეთ და მოვნახოთ სასამართლოში მანუელ ბარრონეჩეა. ეს არის კარაბინერთა უმაღლესი სამსჯავროს მდივანი. პოეტი, დეკლამატორი, მოქეიფე, მომღერალი, მოცეკვავეც და მოარშიყეც. – უკვე თორმეტი საათია, აღარ იქნება სასამართლოში. – შენ ჯავრი ნუ გაქვს, იქ დაგვხვდება. შევედით ვეებერთელა შენობაში, გრძელ და ფართო დერეფანში: შორიდან დაგვინახა მანუელმა და ჩვენსკენ გამოეშურა. გამოვედით იქედან. – დღეს დონ ვიქტორი და მე ჩვენი ბუენოს-აირესელი მეგობრის, საზოგადო მოღვაწისა და პოეტის, რომლის წიგნი შენ უკვე ნახე, აკაკი პაპავას 70 წლის თავსა და 50 წლის მოღვაწეობას, მისი წიგნის გამოსვლასაც ვდღესასწაულობთ. მართალია, ამისათვის ორი დოლარია გადადებული, მაგრამ ეს ჩვენ რას გვეყოფა... დიდად გაეხარდა ეს ამბავი დონ მანუელს. შევიდა მიშა ერთ ფიამბრერიაში. ჩვენ არ შევყევით. გამოიტანა ვეებერთელა პაკეტი. კარგი, ახლა შევიაროთ და ცოტა წავიხემსოთ, თორემ სადილი დაგვიანდება. შევიარეთ. წავიხემსეთ „ემპანად“-ები და ერთი ბოთლი წითელი ღვინო ზედ დავაცალეთ. – ახლა სახლისაკენ, – გვიკამანდრა მიშამ. შენს მტერს, მე შიში ვჭამე! გზაზე მიშასა და მანუელს ნაცნობებთაგან ხან ერთი გამოელაპარაკებოდა, ხან მეორე. ვაი, – ვიფიქრე – თუ ყველა ეს ხალხი დაპატიჟა მიშამ! და გამეხარდა, როცა დონ მანუელის ძმა, დონ ხულიო დავინახე. ეს გახლავთ ჩილეში უდიდესი პოეტი, პაბლო ნერუდას შემდეგ მეორე, – ზოგი და ბევრი კი ფიქრობს – პირველი. ამასთანავე ჩილეს ენათა სამეცნიერო აკადემიის წევრი; მომღერალი, მოცეკვავე, დიდი ორატორი, ყოფილი დეპუტატი თუ სენატორი

(არ ვიცი), დეკლამატორი თავისი თუ სხვისი ლექსებისა, ყოფილი ამბასადორი ჩილესი კოლუმბიაში და სხვადასხვა. ასეთი კაცი, რასაკვირველია, ჩვენს ზეიმს როგორ ასცდებოდა, და ვიფიქრე, მიშა ამით დაკმაყოფილდება-მეთქი, რადგან დონ ხულიო ჭამს და სვამს სამი კაცის მარაგს... – ახლა დავუძახოთ დონ რაულსო – თქვა მიშამ (ეს კაცი ექიმია). – არა, არ დაუძახო, – უთხრა დონ მანუელმა – სუფრიდან დილამდე ველარ ავდგები. გამეხარდა, გამეხარდა, რადგან გადაჩვეული ვარ გაუთავებელ ზეიმს, დაუსრულებელ ნადიმს, 7-8 საათი სუფრაზე ჯდომას, – ასეთი რამ არამც თუ საქართველოშია, არამედ ჩილეშიც ჩვეულებრივია, და, რასაკვირველია, მიშა დიდად ბედნიერია, როცა ასეთი სტუმრები ჰყავს და ჰყავს. ისინი ყოველ შაბათსა და ყოველ კვირას, – ყოველს, როცა ვამბობ, არ ვაჭარბებ. მთელი კვირის განმავლობაში მუშაობის უსიამოვნებას, შაბათ-კვირის სიამოვნებით ჰფარავს, თუმცა შედეგად ჯიბეში ჩენჩაც კი არა რჩება – მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს: – როცა მოვკვდები ქალაქი დამასაფლავებს, თორემ ავყროლდები და ქვეყანას შევანუხებო!..

გაიშალა მაგიდა. მაგრამ რა მაგიდა. შუაში იდგა ღორის თავი – მწვანილით. აბა, უარაყოფ როგორ შეიძლება ღორის თავის შექმა. დაგორდნენ ტაფაზე კვერცხები. დასრიალდნენ სინებზე ძეხვები... მე ძლივს მოვასწარი და დავითრიე ღორის ტვინის ერთი ბენვა ნაჭერი (რადგან ქონიან ხორცს არ გეახლებით) და მსწრაფლ დაიცალა ერთი ბოთლი არაყი, – კარგი ხარისხისა. გამხიარულდა საზოგადოება. ვნატრობდი: ნეტავ არავინ მოგვემატებოდა-მეთქი. მაგრამ სხვა რა ნატვრა ამსრულებია, რომ ამას ღირსებოდას ასრულება?! დარეკეს. მოგვემატა სენიორ ლაბატუ – მოსამართლე, მსაჯული, მომღერალი, მოცეკვავე, დეკლამატორი და მეტი რა გინდა მსაჯულისაგან. მან მიშას აჩუქა ვეებერთელა ორპირიანი დანა, რომელიც ხანჯალსა ჰგავს და რაც ვილაცას უხმარია მეტად ცუდი საქმისათვის: ეჭვიანობის ნიადაგზე ამ გრძელი დანით მოწინააღმდეგე მოუკლავს. მაგრამ მიშასათვის ეს დანა დიდად სასარგებლოა, მას იგი მხოლოდ ღორის თავის გასაჩეხად გამოადგება, თორემ ეჭვიანობა მას ახლოს არ ეკარება, და არც მაინცდამაინც სიყვარულის ღმერთი ანუხებს მას... გადმოვიდა და დაბრძანდა სუფრაზე ორი დედალი ქათამი, არც ისე პატარა, თქვენ რომ წარმოგიდგენიათ, – გაივსო ჭიქები წითელი ღვინით, – კარგი ღვინით, და შეიქმნა ნადიმი ქართული, სადღეგრძელოებით და „ბრანდიარ“-ებით. მაინც და მაინც გრძელი სიტყვა არ უთქვამს მიშა ჯაყელს, – გრძელი ლაპარაკი მას არ უყვარს, – ეს ყბედობა არისო, და ამიტომ მოკლედ შეეხო აკაკი პაპავას თავგადასავალს და უსურვა მას ჯანმრთელი მრავალჟამიერი. ყველა ფეხზე წამოდგა. ორი ძმა დონ მანუელი და დონ ხულიო ცალკეულად აკაკიზე თუ გადავაჭარბებ, ვიტყვი, ორჯერ მეტია და ნამდვილად კი 1½-ჯერ. მსაჯული აკაკისავით პატარაა, მაგრამ მკვირცხლი და ცელქი, სხვათა შორის, ღვინის კარგი მსმელი. მიშამ წამოიწყო მრავალჟამიერის სიმღერა და თუმცა მას უნიჭო ხმა აქვს, ასეთი ზეიმის დროს მარტო როგორ დავტოვებდი და შევუნყვე მას ჩემი ხმა და დავასრულეთ „მრავალჟამიერი“. მაგრამ ეშხზე მოსული მიშა აქ არ გაჩერდა და „მრავალჟამიერს“ მიაყოლა: „ღვინოს დავლევ, წყალს – არა, შენ გაკოცებ, სხვას – არა“. არა მგონია, მას წყალი ხშირად დაელიოს, მაგრამ იგი მარტო ერთს რომ არ ჰკოცნის, არამედ ყველას, – ეს სადავო არ არის. ჩვენი სიმღერის შემდეგ შემოსძახა დონ ხულიომ არია ოპერიდან (მას ძალიან უყვარს ოპერები, იცის ბევრი არია, და თუმცა როცა იგი ხმა აქვს, მაინც ყველას სწორად მღერის და გვაყრუებს ხოლმე!). მისმა ძმამ

მანუელმა ჩილური რომანსი იმღერა, ლაბატუმ - იტალიური. ჭამა-სმა, დიდად შესარგი გაგრძელდა და სადღეგრძელო სადღეგრძელოს მოჰყვა. აბა, სადღეგრძელოების აქ აღწერა რა საჭიროა! იგი ყველგან და ყოველთვის არის ერთი და იგივე: ადღეგრძელებენ, უსურვებენ ჯანმრთელობას, ბედნიერ ცხოვრებას, შეაქებენ, ხოტბას შეასხამენ (სხვაგვარად როგორ შეიძლება?!), და მით უმეტეს ეს სავალდებულოა უცხოებისათვის, რომელიც საზეიმო პიროვნებას პირადად არ იცნობენ... ვილაცამ დააკაკუნა... შემოვიდა მესამე ძმა, რომელიც არც ცნობილი პოეტია, მაგრამ ლექსებს კარგად ამბობს, და თავი მით ისახელა, რომ აკაკის სურათზე სწორედ მან დასწერა ლექსი, და ამის გამო მხურვალე ტაში დაიმსახურა... გამოიცალა ერთი „ჩუიკო“... გატყდა ორი ბროლის ჭიქა... - საბედნიეროდ, საბედნიეროდ! - გაიძახის მიშა და იცინის, როცა გამტეხი შენუხებულად ბოდიშს იხდის. მივანეჩით მეორე „ჩუიკო“-ს, - თითო ათლიტრიანი იყო. მაინც სიმართლე უნდა ვთქვა: „ჩუიკო“-ს განადგურებაში მონაწილეობა არ მიმიღია, ოღონდ დედა ვუტირე მაჭარს, - მას არ მოვშორებივარ - და სულ კისრისტეხით გადავუშვი სტომაქში. გაძლიერდა მხიარულება, გაძლიერდა სიმღერა, გაძლიერდა ხმაურობა. და ასე გაგრძელდა პირველი საათიდან საღამოს ცხრა საათამდე. მე ამის აღწერის თავი არა მაქვს, თქვენ თვითონ წარმოიდგინეთ ეს ნადიმი, რომელიც აკაკის მიეძღვნა. ორი დოლარით? რის ორი დოლარი, რის 15 და რატომ მეტი არა? სალმით ვიკტორი“.

ამის აღწერის თავი არა მაქვსო და ამავე დროს, ისე დეტალურად და ისე მხატვრულად აღწერს ყველაფერს, რომ ბევრ ქართველ მწერალსა და ჟურნალისტს შეშურდება, და არა მარტო ემიგრაციაში.

მერე გამომცემელმა იფიქრა, ავტორმა ჩვენი ნადიმის ხარჯები წიგნის ხარჯებში არ ჩათვალოსო და 18 ივნისს წერილი გაუგზავნა აკაკი პაპავას:

„მიიღებდი წერილს ჩვენი ნადიმის შესახებ, მართლა კარგად გავატარეთ დრო, - მაგრამ არ იფიქრო, რომ ზედმეტი ხარჯი ამ ზეიმისა შენ გადაგხდება, - ჩვენც უნდა დავხარჯოთ არა?“

სალამი დიდსა და პატარას. სალმით ვიკტორი“.

და 22 ივნისს იუბილარი მადლობის წერილს აგზავნის სანტიაგოში თავის იუბილისა და მისი წიგნის წარდგინების ასეთ მასშტაბურად და სამახსოვროდ აღნიშვნისათვის.

„შენი წერილი-მოსხენება შესახებ გადახდილ ნადიმისა დიდის ინტერესით და რამდენიმეჯერ გადავიკითხეთ. ყველაფერი ეს იყო მართლა ძვირფასი და კარგი, მაგრამ თან ახლდა ერთი დიდი ნაკლი: სახელდობრ ის, რომ ასეთ ძვირფას ლხინს მე გამოვაკლდი. აბა მაშინ უნდა გენახათ ჩემი მაღალი „მრავალ-ჟამიერი!“ არ ვიცი - ვინ და როგორ გადარჩებოდა. ყველას თავი ასტკივდებოდა და ლხენაც ადრე გათავდებოდა... აფსუს, რა კარგი რამ დავკარგე. მაგრამ ყველაზე უფრო შენმა მაჭარმა დამწვა გული. ვაი, შენს ტყავს, რომ მარტო დაგრჩა ბურთი და მოედანი. მერე რამდენი წელია, მაჭარი აღარ მისვამს!.. რა ვქნათ, ესეც უნდა ავიტანოთ... რამდენის „ატანა“ უნდა გაუძლოს კაცმა. ყოველ შემთხვევაში ჩემი უდიდესი მადლობა ყველა იმ უცხოელთ, რომლებიც ჩემის მიზეზითა (თუ მომიზეზებით) ამ ჩინებულ ქეიფის მონაწილენი გახდნენ და მობრძანებითა თვისითა გაამხიარულეს ჩემი გული... მადლობა გულწრფელი მანდაურ ქართულ კოლონიას და გთხოვ ესეც ოფიციალურად გამოუცხადო. დიდათ გამახარეთ ორთავემ“...

...და მერე

11 აგვისტოს აკაკი პაპავა მეგობარს იმედებით აღსავსე წერილს უგზავნის. ჩანს, რაღაც ახალი პროექტი მონაწილეობა გადაუწყვეტია და ვიკტორ ნოზაძის მასში ჩართვასაც ესწრაფვის.

„ჩემს წერილს მიიღებდი. მიტომ ყოველივე გადმოგვცა და ძალიან გვიხარია, რომ შენი საქმე საფუძვლიანად ეწყობა. იმედი გვაქვს, პირობა პირობად დარჩება და ჩვენ უნახავს არ დაგვტოვებ. გელით, რაც შეიძლება მეტის ხნით.“

ეხლა, ვიკტორ, მინდა შეგეკითხო: გაქვს დრო და ხალისი ანყობა-ბეჭდვის? ფინანსიური მხარე ჩემგან იქმნება მოგვარებული. ე.ი. მე ვარ ამის პასუხისმგებელი და თუ პრინციპულად თანახმა ხარ და მოაწერებ, გთხოვ დაახლოებითი ფასი მაცნობო და ფულის ნაწილს ეხლავ გადმოგიგზავნი და იმათაც, ვინც მთხოვა, ვაცნობებ.

მიუნხენიდან მწერენ – უნდათ ლიტერატურული მცირე კრებული გამოსცენ – იქ ძვირი უჯდებათ და მეტრეველ პროფესორთან არ უნდათ საქმე დაიჭირონ. კრებული იქმნება დაახლოებით შენი „განკითხვანი“ს ფორმატისა (2 სვეტიანი), რათა მეტი მასალა დაიტეოს. ორი ფორმა, ანუ 64 გვერდიანი, ჩვეულის თეთრის ყდით და ისეთსავე ქაღალდზე, სულ 200 ეკუმპლიარი. თუ შენ ამ პატივს კიდევ დაგვდებ, შენ იცი და შენმა ვაჟუკაცობამ. საჩხუბარი რამე იცოდე, არავისთან გექნება. გიმეორებ, მე ვიღებ სრულს პასუხისმგებლობას და ეხლა შენ იცი. ველი ჩქარა პასუხს, რომ ვაცნობო სხვებს და საქმეს შევუდგეთ, რადგან შემდეგ დრო აღარ გექნება.

სამას ფემქაში ხომ მიიღეთ შენ და მიშამ. იმედია კიდევ ერთხელ კარგად იქეიფეთ.

სიყვარულით ყველამ მოკითხვა“.

ამ წერილის პასუხი, რომელიც 13 დეკემბერს არის გამოგზავნილი, აკაკი პაპავამ უკვე მადრიდიდან მიიღო, სადაც ვიკტორ ნოზაძე ირაკლი ბატონიშვილმა მიიწვია და ბინაც დაახვედრა. აი, ის წერილის ერთი ფრაგმენტი:

„ძვირფას ჩემს კაკიჩებს,

ულოცავს ვიქტორი შობა-ახალწელს და უსურვებს მრავალჯამიერ ჯანმრთელ და ბედნიერ ცხოვრებას და ნაყოფიერ ღვანლს სამშობლოს ტკივილთა დასაამებლად...“

...როდესაც აქ 9 ნოემბერს მოვედი, ბ. ირაკლის ჩემთვის ოთახი უკვე ნაქირავები ჰქონდა რამოდენიმე სახლით მისგან დაშორებით. არ გასულა სამი-ოთხი დღე, რომ გამოტყვრა ერთი საქმე: ვიღაც რუსი ქალი მიდიოდა გერმანიაში, იქ ჯვრისდასაწერად. მას ჰქონია ბინა ნაყიდი თავის სახელზე, ავეჯით მოწყობილი და ეს უშლიდა ხელს მის ნასვლას. როდესაც ბ. ირაკლიმ ყური მოჰკრა ამ ამბავს, დაინტერესდა, გამოარკვია ეს ამბავი და მითხრა: ნავიდეთ ვნახოთ ბინა, მაგრამ წინდაწინ იცოდეთ, ბინა ქალაქს გარედ არის და ცოტა შორს არის აქედანო. ნავედით, ვნახეთ. სრულიად ახალი უბანია. ბინა შესდგება სამი ოთახისაგან, თავისი დიდი სამზარეულოთი და პატარა აბანოთი. რა სჯობია დამოუკიდებელ, ცალკე ცხოვრებას და რა მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა აქვს ჩემთვის ქალაქის ცენტრიდან სიმორეს? რასაკვირველია, ბ. ირაკლის დაუყოვნებლივ განვუცხადე: ჩემთვის კარგია ეს ბინა-თქო... ასე რომ მაქვს სამი ოთხი და თუ თქვენ აქ მოხვალთ, ბინა უფასოდ გექნებათ. ეს ეხება აგრეთვე მიტოსაც, თუკი პირს აქეთ იზამს. რას ვაკეთებ? ჯერჯერობით მაინცდამაინც არაფერს. ვასწავლი ქა-

რთულს ბ. ირაკლის მშვენიერ ბავშვებს, რომელთაც არ ეჭაშნიკებათ ზედმეტი მუშაობა, ამიტომ არ ვაძალებ და უფრო ვეთამაშები. ბ. ირაკლის სრულებით არა აქვს დრო, სულ დადის და გაბმულია რაღაც საქმეებში. ვთხოვე მოგვეძებნა სტამბა, სადაც შეიძლებოდა ჩემი მუშაობა, მაგრამ დღემდე ეს ვერ მოვახერხეთ. მას თვითონ აქვს დაწერილი გამოკვლევა ბაგრატიონთა შესახებ და რადგან მისი ხელნაწერის კითხვა შეუძლებელია, დამპირდა ქართული საწერი მანქანით, რომელიც მე აქ მოვიტანე, გადანერას, – ჯერ არც ეს მანქანა არის მზად. მითხრა ბ. აკაკიმ მომწერა კრებულის გამოცემის შესახებო, მოვილაპარაკოთო და დღემდე არ მოგვილაპარაკებია...

წამოსვლისას მომადახე ნავთსადგურში ორმოცი წლის თავზე უნდა გამოცეო წიგნი, მაგრამ რა წიგნი, ეს აღარ გითქვამს. დავით საღირაშვილი და დათა ვაჩნაძე უკვე მოელიან ჩემგან მათი ნაღვანის აწყობას, და მე კი ჯერ სტამბაც არა მაქვს. ჩემი ჩემი ვტის (ვეფხისტყაოსნის – პ. ნ.) შესახებ შრომაზე მითქვამს რაიმე ირაკლისათვის...

წერილი მომწერე ბ. ირაკლის მისამართით.

საახალწლო სურვილები, კეთილი სურვილები ყველას, მთელს თქვენს ჯაბლას ჩემგან მოახსენეთ. თქვენი მარად ვიქტორი“.

მოკლედ, როგორც ჩანს, ახალი დოკუმენტური სპექტაკლი იწყება.

მაგრამ მისი ამბები უკვე სხვა დროს.

Paata Natsvlishvili

Here is the story of a Georgian book published abroad

Summary

Based on the correspondence of 1959-1960 between famous Georgian political emigrants Akaki Papava, his wife Tamar Gogolashvili-Papava and Victor Nozadze, the author traces the history of the publication of Akaki Papava's book of poems and articles "To Tbilisi on its 1500th anniversary". This largely unique book was published in Georgian in 1960 in Santiago de Chile. The Papava family lived in Buenos Aires at that time, and the book's publisher, Victor Nozadze, lived in Santiago de Chile.

ლირიკული ნიაღვრები „ვეფხისტყაოსანში“

შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსნის“ განსაკუთრებულად მნიშვნელოვან როლს ჩვენს ლიტერატურის ისტორიაში ის ფაქტიც განსაზღვრავს არსებითად, რომ იგი პოეტური ოსტატობის სფეროშიც ბევრი სიახლის დამამკვიდრებელი ნაწარმოებიცაა. ნათქვამის დასტურად ყურადღება ამჯერად პოემის იმ ფრაგმენტებს მივადგინო, რომლებშიც პოეტი ლირიკული ლექსისთვის ნიშანდობლივად დამახასიათებელი ჟანრობრივი სპეციფიკით გამოხატავს სათქმელს.

მართალია, „ვეფხისტყაოსანი“ ეპიკური პოემაა, მაგრამ რუსთველოლოგთა უმეტესობის მართებული ხაზგასმით, იგი საკუთრივ ამ ლიტერატურული ჟანრის ჩარჩოებით შებოჭილ ნაწარმოებს არ წარმოადგენს და სათქმელის ეფექტური და ღრმად შთამბეჭდავი ფორმით გამოსახატავად ავტორს სხვადასხვა ჟანრისთვის დამახასიათებელი ელემენტებიც აქვს გამოყენებული.

ნათქვამისათვის მეტი სიცხადისა და დამაჯერებლობის მისაცემად, პოემის ტექსტიდან ამჯერად ის პასაჟები მივადგინო, რომელთა მეშვეობითაც ავტორი ფაქტობრივად ლირიკული ლექსის ფორმით გამოხატავს როგორც თავის პიროვნულ გრძნობებსა და ემოციებს, ისე ნაწარმოების პერსონაჟთა სულიერ განცდებსა და მისწრაფებებს. სამწუხაროდ, „ვეფხისტყაოსნის“ ჟანრული სპეციფიკის ფართოდ წარმომჩენი ეს მხარე დღემდე მხოლოდ ზოგადი მსჯელობისა და შეფასების დონეზე დარჩა.

არადა, „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული სრულყოფილების განმსაზღვრელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს ავტორის მიერ ლირიკული პასაჟების მიზანმიმართულად გამოყენებაც რომ წარმოადგენს, ამ გარემოებას არაერთი რუსთველოლოგი აღნიშნავს ხაზგასმით. მაგალითად, სარგის ცაიშვილის შეფასებით, პოემაში „ძალზე საგრძნობია ლირიკული ნაკადი“ და მასში „ჩართული ავტორისეული ნიაღვრები და ლირიკული გადახვევები სიუჟეტს იცავს ერთფეროვნებისაგან“¹ ელგუჯა ხინთიბიძის აზრით კი „ვეფხისტყაოსანი ლირიკული პასაჟების შემცველ ეპიკურ თხზულებას“ წარმოადგენს.²

როგორც ითქვა, შოთა რუსთველის პოეტური ოსტატობის ეს მხარე რუსთველოლოგთა სპეციალური შესწავლის საგნად დღემდე არ ქცეულა და ფაქტობრივად მხოლოდ ზოგადი შეფასებებით შემოიფარგლა. ამთავითვე ვიტყვი, რომ რუსთველოლოგიური მეცნიერების ამ ხარვეზის შევსება და პოემის ჟანრობრივ თავისებურებათა საფუძვლიანად შესწავლა უაღრესად რთული საქმეა და წინამდებარე ნაშრომს ამის პრეტენზია არ აქვს. ჩემი მიზანი ამ შემთხვევაში გაცილებით მოკრძალებულია და „ვეფხისტყაოსნის“ მხოლოდ ზოგიერთი იმ პასაჟისთვის ყურადღების მიპყრობით შემოიფარგლება, რომელთა მეშვეობითაც პოეტი ლირიკული ლექსისთვის დამახასიათებელი ჟანრობრივი სპეციფიკით გამოხატავს სათქმელს.

პოემის ამ სტროფებში ლირიკული გრძნობები და ემოციები იმდენად მძლავრად და ძირითადი ტექსტისაგან მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი ფორმითაც

1 ცაიშვილი ს., ქართული მწერლობა, თბ., გვ. 50.

2 ხინთიბიძე ე., ვეფხისტყაოსნის იდეურ-მსოფლმხედველობითი სამყარო, თბ., 2009, გვ. 65.

კია გამოხატული, რომ ისინი პირობითად დამოუკიდებელ ლირიკულ ლექსებადაც კი შეიძლება გამოვყოთ ნაწარმოებიდან. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ის სტროფები, სადაც წუთისოფლის წარმავლობასა და სიმუხთლეზეა მსჯელობა.

მაგალითად - ფრაგმენტი ავთანდილის მიერ წუთისოფლის სიმუხთლესთან დაკავშირებით წარმოთქმული მონოლოგიდან (940-ე სტროფი):

ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა!

ყოვლი შენი მონდობილი ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა!

სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა?!

მაგრა ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შენგან განაწირსა.³

ან კიდევ: ფრაგმენტი ქაჯთა მიერ ნესტან-დარეჯანის მოტაცებასთან დაკავშირებული ეპიზოდისთვის წამძღვარებული ავტორისეული მონოლოგიდან (1201-ე სტროფი):

ვა, საწუთროო, სიცრუით თავი სატანას ადარე!

შენი ვერავინ ვერა ცნას, შენი სიმუხთლე სად არე;

პირი მზისაებრ საჩინო სად უჩინო ჰყავ, სად არე?

მით ვხედავ, ბოლოდ სოფელსა ოხრად ჩანს ყოვლი, სად არე!

როგორც ითქვა, წუთისოფლის სიმუხთლისა და ამოების წარმომჩენი ეს და მსგავსი ლირიკული ნიაღვრეები, გარდა იმისა, რომ ისინი ორგანულად ერწყმიან პოემის შესაბამის სიუჟეტურ ეპიზოდებს და კიდევ უფრო მეტი შთამბეჭდაობით გამოხატავენ პერსონაჟთა სულიერ განცდებს, პირობითად დამოუკიდებელ პოეტურ ქმნილებებადაც შეიძლება მივიჩნიოთ.

ალბათ, არ გადავაჭარბებთ, აქვე იმასაც თუ ვიტყვით, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ამ სტროფებმა, როგორც წუთისოფლის არსის ფილოსოფიური თვალთახედვით წარმომჩენ-გამააზრებელმა პოეტურმა ელემენტებმა, საუკუნეთა განმავლობაში იმდენად დიდი პოპულარობაც კი მოიპოვა, რომ ისინი არაერთი პოეტური ნაწარმოებისა თუ ფოლკლორული ტექსტის შთაგონების წყაროდაც იქცა. პოემის ხსენებულ სტროფთა ამგვარ შეფასებაში გადაჭარბებული რომ არაფერია, ამის დასტურად აქ თეიმურაზ პირველის „მაჯამიდან“ ამ სტრიქონების გახსენებაც იქნება საკმარისი:

რად, სოფელო, სხვა არ დასწვი ჩემებრ, მე მქმენ დასადაგე?

გლახ, ლახვარი სასიკვდინე ყველა მე მკარ, დასად აგე!

დამიკარგე ძე, ასული, ძმა, არ ვიცი, და სად აგე?

სხვა ნაყოფი მათებრ ტურფა რა აშენე და სად აგე?

„ვეფხისტყაოსნიდან“ (ვალკე, დამოუკიდებელ, ლირიკულ ლექსებადაც გამოსაყოფი სტროფები უაღრესად საინტერესო იმ თვალსაზრისითაცაა, რომ ისინი თემატური მრავალფეროვნებითაც გამოირჩევა. კერძოდ, გარდა წუთისოფლის წარმავლობის პრობლემისა, რუსთველის პოემის ლირიკული ნიაღვრეები პირობითად შემდეგ თემატურ ჯგუფებად შეიძლება დავყოთ: ღმერთის, როგორც სამყაროს შემქმნელი იღუმალი ძალის, განდიდება; სიყვარულისთვის ხოტბის შესხმა; ციურ მნათობთა სადიდება; დიდაქტიკური შეგონებანი მეგობრობასა და ადამიანის პიროვნულ მოვალეობაზე; ბიოგრაფიული მინიშნებანი თავად

³ შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, თბ., 1966. პოემის ყველა ციტატი დამონმებულია ამ გამოცემიდან.

პოემის ავტორის შესახებ; თამარ მეფისა და დავით სოსლანისადმი მიძღვნილი სახოტბო სტრიქონები; პოეზიის არსის განმარტება...

არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ლირიკული ნაკადი ყველაზე მეტად პროლოგში გამოვლინდა, რის გამოც პოემის ეს ადგილი არა მარტო ნაწარმოებში მოთხრობილი ამბის მსოფლმხედველობრივ საფუძვლად უნდა იქნეს მიჩნეული, არამედ ქართული ლირიკული პოეზიის უბრწყინვალეს და თემატური მრავალფეროვნებით გამორჩეულ ნიმუშადაც.

იმის გამო, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ამ ნაწილის პრობლემეტიკაცა და პოეტური სტრუქტურაც რუსთველოლოგთა მიერ საკმაოდ საფუძვლიანადაა შესწავლილი, მასზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება საჭიროდ აღარ მიმაჩნია. დამატებით კიდევ ერთხელ ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ზემოთ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით პოემის პროლოგში გამოთქმულ მოსაზრებებს კიდევ უფრო მეტი ემოციური შთამბეჭდაობა რუსთველმა მოვლენათა ლირიკული თვალთახედვით აღქმა-წარმოსახვის შედეგად მიანიჭა.

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგში განმარტებული საკუთარი მსოფლმხედველობრივი თვალთახედვის განმსაზღვრელი არსი რუსთველმა პოემის ძირითად ტექსტშიც წარმოაჩინა სასურველი რეალობის ლირიკულ-მედიტაციური განსჯა-გააზრების გზით. მაგალითად, ნაწარმოების დასაწყისის პირველ და მეორე სტროფებში ღმერთის, როგორც სამყაროს შემოქმედი უზენაესი ძალის, განსაზღვრებად აღვლენილ პოეტურ ხოტბას შოთა ძირითად ტექსტშიც არაერთგზის მიუბრუნდა და საკუთარი რელიგიური თვალთახედვის გამოხატვას მეტი ემოციური სიმძაფრე და ფილოსოფიური განზოგადებულობა პირველ ყოვლისა სწორედ ლირიკული მონოლოგების ფართოდ გამოყენების გზით შესძინა. მაგალითად, ფრაგმენტი ავთანდილის ლოცვიდან (802-ე სტროფი):

ღმერთო, ღმერთო მოწყალეო, არვინ მივის შენგან კიდე,
შენგან ვითხოვ შენვენასა, რაზომსაცა გზასა ვვლიდე;
მტერთა ძლევა, ზღვათა ლელვა, ღამით მავნე გამარიდე!
თულა დავრჩე, გამსახურებდე, შენდა მსხვერპლსა შევსწირვიდე.
ან კიდევ, ნაწყვეტი ავთანდილის ანდერძიდან (783-ე სტროფი):
ვინ დამზადა, შეძლებაცა მანვე მომცა ძლევად მტერთად;
ვინ არს ძალი უხილავი შემწედ ყოვლთა მიწიერთად,
ვინ საზღვარსა დაუსაზღვრებს, ზის უკვდავი ღმერთი ღმერთად,
იგი გახდის წამის-ყოფით ერთსა ასად, ასსა ერთად.

როგორც ითქვა, ღვთაებრივი ძალის უზენაესობისა და ყოვლის შემძლეობის ამგვარად განმადიდებელი ლირიკული მონოლოგები „ვეფხისტყაოსანში“ საძებარი არ არის და საკმაოდ ბევრია.

იგივე უნდა ითქვას უმთავრესად მიჯნურობის სახელით მოხსენიებული სიყვარულის განსაზღვრებად აღვლენილი პოეტური მონოლოგების შესახებაც. კერძოდ, პოემის პროლოგში წარმოდგენილი ამ სტროფების შინაარსი, რომელშიც პოეტს ფილოსოფიური განზოგადებულობით აქვს განმარტებული მიჯნურობის ბუნება, ნაწარმოების ძირითად ტექსტშიც არაერთგზის იქცა ლირიკული მედიტაციის საგნად.

„ვეფხისტყაოსნის“ ინტიმურ-სასიყვარულო ურთიერთობებზე საუბრის დროს რუსთველოლოგთა გარკვეული ნაწილი დარწმუნებით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ

საამისო საფუძველი პოეტს ამ თვალსაზრისით უპირველეს ყოვლისა თამარ მეფისადმი მისმა პიროვნულმა ურთიერთობამ მისცა. მართალია, ეს მოსაზრება მყარად არგუმენტირებულ თვალსაზრისს არ წარმოადგენს, მაგრამ ჩემთვის მთავარი ამჯერად ეს კი არ არის, არამედ ის გარემოება, რომ თამარისადმი მიძღვნილი სახოტბო სტრიქონები ლირიკული პოეზიის ღრმად შთამბეჭდავ ნიმუშადაც შეიძლება იქნეს მიჩნეული. მაგალითად (იხ: მე-19 სტროფი):

ჩემი ან ცანით ყოველმან, მას ვაქებ, ვინცა მიქია;
ესე მიჩს დიდად სახელად, არ თავი გამიქიქია!
იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო ვითა ჯიქია;
მისი სახელი შეფარვით ქვემორე მითქვამს, მიქია.

„ვეფხისტყაოსნის“ ლირიკულ პასაჟებზე საუბრის დროს პოემის პროლოგისა და ეპილოგის ის სტროფებიც მინდა გავიხსენო, სადაც რუსთველი საკუთარ თავთან დაკავშირებითაც გვანვდის რამდენიმე მნიშვნელოვან ცნობას.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის მიერ მოვლენათა ლირიკული თვალთახედვით განსჯა-გააზრების გამომხატველ სფეროდ პოემის ის სტროფები იქცა, სადაც პოეტი და მის მიერ წარმოსახული პერსონაჟები ფილოსოფიურად აფასებენ ნუთისოფლის წარმავლობასა და ამქვეყნიური ცხოვრების ამოებას. არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ რუსთველის პოემის ლირიკულ მხარეს უპირველეს ყოვლისა სწორედ ამ თემასთან დაკავშირებული სტროფები წარმოაჩენს ყველაზე მეტი ემოციური შთამბეჭდაობით. მაგალითად (1586-ე სტროფი):

ესე ასეთი სოფელი, არვისგან მისანდობელი,
წამია კაცთა თვალისა და წამწამისა მსწრობელი!
რასა ვის ეძებთ, რას აქნევთ? ბედია მაყივნებელი,
ვის არ შეუცვლის, კარგია, ორისავ იყოს მხლებელი.

შოთა რუსთველის პოემის ლირიკულ მონოლოგებში ავტორისეული სათქმელი ცალკეულ შემთხვევებში დიდაქტიკური შეგონების ფორმითაც არის ხოლმე გამოხატული. მაგალითად (656-ე სტროფი):

რა აქიმი დასნეულდეს, რაზომ გინდა საქებარი,
მან სხვა უხმოს მკურნალი და მაჯასისა შემტყვებარი,
მას უამბოს, რაცა სჭირდეს სენი, ცეცხლთა მომდებარი:
სხვისი სხვამან უკეთ იცის სასარგებლო საუბარი.
ან კიდევ (709-ე სტროფი):

გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძლომელი,
გული - ჟამ-ჟამად ყოველთა ჭირთა მთმო ლხინთა მნდომელი,
გული - ბრმა, ურჩი ხედვისა, თვით ვერას ვერ გამზომელი,
ვერცა ჰპატრონობს სიკვდილი, ვერცა პატრონი რომელი!

„ვეფხისტყაოსნის“ ლირიკული სულისკვეთების განმსაზღვრელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს მისი პერსონაჟების ელემიურ სულიერ განცდათა გამოხატვაც წარმოადგენს. როგორც ცნობილია, სასურველი მიზნის მიღწევამდე სავალ გზაზე არსებულ წინააღმდეგობათა და სირთულეთა გამო ისინი დეპრესიულ მდგომარეობაშიც ხშირად ექცევიან ხოლმე, რის გამოსახატადაც პოეტი ლირიკული ლექსისთვის ნიშანდობლივად დამახასიათებელ ელემენტებსაც ეფექტურად იყენებს. მაგალითად (934-ე სტროფი):

ლექსთა მკითხველო, შენიმცა თვალი ცრემლისა მღვრელია!

გულმან, გლახ, რა ქნას უგულოდ, თუ გული გულსა ელია?!

მოშორება და მოყვრისა გაყრა კაცისა მკვლელია,

ვინცა არ იცის, არ ესმის, ესე დღე როგორ ძნელია!

მოკლედ, ასეთია უმთავრესი შტრიხები „ვეფხისტყაოსანში“ საკმაოდ ფართოდ და ღრმად შთამბეჭდავი ფორმით გამოვლენილი ლირიკული ნაკადისა. თუმცა, მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, აქვე იმ გარემოებასაც დაბეჯითებით გავუსვამ ხაზს, პოემის ლირიკულ წიაღსვლებსა და პასაჟებზე წინამდებარე საუბარი ვინმემ ისე არამც და არამც არ მინდა გამიგოს, თითქოს „ვეფხისტყაოსნის“ პოეტური თავისთავადობის განმსაზღვრელ ამ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ტენდენციას ამით მეტისმეტად ვაზვიადებდე და ნაწარმოებს ფაქტობრივად ლირიკული ლექსების კრებულად მივიჩნევდე. რასაკვირველია, არა.

წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია, პოემიდან დამონმბეულ მაგალითებზე დაყრდნობით ახალი ნახნაგებითა და მეტი არგუმენტირებით წარმოაჩინოს რუსთველოლოგიურ სამეცნიერო ლიტერატურაში აქამდეც არაერთგზის აღნიშნული მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ „ვეფხისტყაოსანი“ უანრული ჩარჩოებით მკაცრად შებოჭილ ლიტერატურულ ქმნილებას არ წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ნაწარმოების მხატვრული სტრუქტურის გაანალიზებისას, მხედველობიდან არც ის გარემოება უნდა გამოგვრჩეს, რომ ნააზრევის მაღალოსტატურად ხორცშესხმის მიზნით რუსთველს თავის პოემაში ლირიკული უანრისთვის ნიშანდობლივად დამახასიათებელი ელემენტებიც საკმაოდ ფართოდ და ეფექტურად აქვს გამოყენებული.

Avtandil Nikoleishvili

Lyrical Episodes in the Poem of “The Knight in the Panther’s Skin”

Summary

The significant role of Shota Rustveli’s “The Knight in the Panther’s Skin” in the history of Georgian literature is determined by the fact that it is a work establishing many innovations in the field of poetic proficiency. In the scientific literature, the fact that “The Knight in the Panther’s Skin” is not a poem bound by genre frameworks is rightly understood, and the author has used elements characteristic of different genres to express his message in an effective way. One of the clear proofs of this is the fact that there are many stanzas in the poem, through which Rustaveli expresses both his personal feelings and emotions, as well as the spiritual feelings and aspirations of the characters of the work, in the form of a lyric poem.

**უცნობი დოკუმენტები ევგენი დალეჯიოს არქივიდან:
არქიმანდრიტი ნიკოლოზ ნამორაქი და „თავისუფალ
საქართველოს კომიტეტი“**

2023 წლის დეკემბერში, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის, ილია დარჩიაშვილის ინიციატივით სამინისტროში დაიწყო საქართველოს დიპლომატიის მუზეუმის შესაქმნელად მოსამზადებელი სამუშაოები. პროცესის წარმართვა მე დამევალა, თუმცა მასში ჩართული არიან როგორც ცენტრალური აპარატის, ასევე საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური მისიების შესაბამისი თანამშრომლები. ერთი წლის მუშაობის შედეგად საკმაოდ მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი მასალა დაგროვდა, რომელთა შორის გამორჩეული ადგილი უკავია კონსტანტინოპოლში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მისიის შეუცვლელი მდივნის, ევგენი დალეჯიო დალეჯიოს არქივს. არქივი მიკვლევულ იქნა დალეჯიოს შთამომავლებთან, საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს დიპლომატების, საქმეთა დროებითი რწმუნებულის, დარეჯან მუმლაძისა და პირველი მდივნის, ანი უძილაურის მიერ განეული მუშაობისა და შესაშური მონდომების შედეგად. გასული წლის ოქტომბერში, მინისტრის დავალებით, მივლინებული ვიყავი ქ. ათენში, აღნიშნული არქივის საქართველოში ჩამოსატანად. ამჟამად, საგარეო საქმეთა სამინისტროში მიმდინარეობს წერილობითი და ფოტო მასალის დიგიტალიზაცია და გაშიფრვა, არქივის კატალოგიზაციის მიზნით.

ორიოდე სიტყვით ევგენი დალეჯიოს შესახებ: იგი გახლდათ წარმოშობით ვენეციელი წარჩინებული დიდებულების ოჯახის შთამომავალი, რომელიც მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს საბერძნეთის კუნძულ სიროსზე დასახლდა. მეთვრამეტე საუკუნის დამლევს ევგენის წინაპრების ერთი შტო სიროსიდან კონსტანტინოპოლში გადავიდა საცხოვრებლად. იქვე, 1888 წლის 7 ოქტომბერს დაიბადა ევგენი დალეჯიო დალეჯიო. საშუალო განათლება მიიღო კონსტანტინოპოლში. შესანიშნავად შეისწავლა ბერძნული, ფრანგული, იტალიური, ინგლისური და თურქული ენები. ევგენი ახალგაზრდობიდანვე დაინტერესდა ისტორიითა და არქეოლოგიით, იკვლევდა კონსტანტინოპოლის წარსულს, რომლის შესახებ პირველი ისტორიული კვლევა 20 წლის ასაკში გამოაქვეყნა. მანვე პირველმა მიაკვლია და შეისწავლა კონსტანტინოპოლში ბიზანტიის იმპერატორების დიდი სასახლის ნაშთები. მოხსენება მის შესახებ 1912 წელს პარიზის პალეოგრაფიული აკადემიის სხდომაზე იქნა წაკითხული. 1918 წლის ზაფხულში, როდესაც კონსტანტინოპოლში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მისია ჩავიდა, დალეჯიოს გაუცვნია მისი ერთ-ერთი წევრი, ექიმი ვახტანგ ღამბაშიძე, რომლის შუამდგომლობითაც საქართველოს მისიაში მდივნად დაუნყია მუშაობა.¹ ის ამ თანამდებობაზე შეუცვლელი იყო წლების განმავლობაში, სანამ წარმომადგენლობა არსებობდა, მათ შორის, დევნილი მთავრობის პირო-

¹ დალეჯიო ევგენი დალეჯიო, ქართველები კონსტანტინოპოლში (ფრანგ. თარგმანი პ. შალვა ვარდიძისა), სტამბოლი, 1921, გვ. V-VI.

ბებშიც.² ამ პერიოდის განმავლობაში, ევგენი დალევჯიომ მიიღო საქართველოს ქვეშევრდომობა, იმოგზაურა საქართველოში, ისწავლა ქართული ენა, გაეცნო ქართველი ერის კულტურასა და ცხოვრებას, გახდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრი; არის ავტორი ბროშურისა – „ქართველები კონსტანტინოპოლში“, რომელიც ფრანგულიდან ქართულად სტამბოლში ქართველ კათოლიკეთა სავანის მოძღვარმა, პადრე შალვა ვარდიძემ თარგმნა. ბროშურა ამავე სავანის სტამბაში დაიბეჭდა 1921 წელს. ევგენი დალევჯიო დაჯილდოებულია ქართული ლეგიონის სამახსოვრო ნიშნით, ე. წ. თამარ მეფის ორდენით³ და საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების წითელი ჯვრის I ხარისხის ორდენით⁴ (ფოტო N1)⁵. 1936 წელს ევგენი და მისი მეუღლე, ვირჯინია სამანჯი-დალევჯიო, მცირეწლოვან ვაჟთან, მარიოსთან (1932-2020) ერთად ათენში გადავიდნენ საცხოვრებლად. საბედნიეროდ, ევგენიმ თან წაიღო კონსტანტინოპოლში საქართველოს მისიის არქივი. მან ათენშიც გააგრძელა სამეცნიერო მუშაობა, რისთვისაც 1970 წელს ათენის აკადემიის ჯილდო მიიღო. ევგენი დალევჯიო გარდაიცვალა 1983 წელს, დაკრძალულია ათენში, ირაკლიონის კათოლიკურ სასაფლაოზე. შთამომავლებიდან დარჩა რძალი, მარიოს მეუღლე, მარია დიამანტიდი დი მატინა და მისი ვაჟი.⁶

ევგენი დალევჯიოს არქივი, ძირითადად, 1918-1921 წლების ფოტო და წერილობით (როგორც ბეჭდურ, ასევე ხელნაწერ) მასალას შეიცავს, მაგრამ მასში არის იმდროინდელი საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთი საქაღალდე წარწერით: 1914-1917, რომელშიც მცირე რაოდენობის, მაგრამ ძალიან საინტერესო დოკუმენტები აღმოჩნდა. ეს მასალებია:

ერთი, სამ გვერდიანი ქართული ხელნაწერი დოკუმენტი (ფოტო N2)⁷, პატარა ზომის (11 სმ x 18 სმ.) ფურცლებზე. დოკუმენტი ორგანიზაცია „თავისუფალ სა-

2 კონსტანტინოპოლში საქართველოს, 1918-1924 წლების პერიოდში, ოთხი წარმომადგენლობა ჰქონდა: პირველი (არაოფიციალური) იყო დიპლომატიური წარმომადგენლობა გიორგი გვაზავს მეთაურობით, 1918 წლის სექტემბერ-ნოემბერში; შემდეგ იყო დიპლომატიური წარმომადგენლობა გრიგოლ რცხილაძის მეთაურობით, 1919 წლის მარტი - 1920 წლის ოქტომბერში; 1920 წლის ოქტომბრიდან 1921 წლის მარტის ჩათვლით იყო გენერალური საკონსულო, იოსებ გოგოლაშვილის ხელმძღვანელობით; დაბოლოს, დევნილი მთავრობის დიპლომატიური წარმომადგენლობა, 1921 წლის მარტიდან ვიდრე მისიის გაუქმებამდე, 1924 წელს. ამ საკითხზე ვამზადებ სპეციალურ წერილს, რომელიც წელს გამოქვეყნდება.

3 ჯავახიშვილი ნ., თამარ მეფის ორდენი (გერმანულ-ქართული სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის ისტორიიდან), თბ., 1998; მამულია გ., ქართული ლეგიონის სამახსოვრო ნიშნის (თამარ მეფის ორდენის) შექმნის ისტორიიდან. ჟურნ. „ქართული ემიგრაცია“, თბ., 2018-2019, N5 (8), გვ. 81-90.

4 საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების წითელი ჯვრის ორდენის შესახებ, ჯერ-ჯერობით ეს ერთადერთი ცნობაა, რომელიც ფოტოს გარდა, მოხსენიებულია ე. დალევჯიოს არქივში დაცულ სხვა წერილობით დოკუმენტში. ამ დოკუმენტის თანახმად, წითელი ჯვრის ორდენი მას გადაეცა საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების კონსტანტინოპოლის განყოფილების მიერ, 1922 წლის 15 მაისის სხდომის გადაწყვეტილებით.

5 ქვეყნდება პირველად.

6 ათენში მივლინების დროს, საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს თანამშრომელთა დახმარებით, შევხვდი ევგენი დალევჯიოს შთამომავლებს, რძალს და შვილიშვილს და ასევე, მოვიინახულეთ მისი საფლავი ირაკლიონის კათოლიკურ სასაფლაოზე.

7 ქვეყნდება პირველად.

ქართველოს“ საქმიანობის სამოქმედო პროგრამის ერთგვარ მონახაზს წარმოადგენს. პირველი ორი გვერდი მელნითაა ნაწერი და შეიცავს 6 პუნქტს. მესამე გვერდზე ფანქრით, იმავე ხელით მიწერილია მე-7 პუნქტი, რომელიც მელნით შესრულებული ხელნაწერის პირველი და მეექვსე პუნქტების პოსტულატებს იმეორებს. დოკუმენტს ხელს აწერს ვინმე ნიკოლოზი, ხოლო მისი ადრესატია ვინმე აჰმედ ბეი.

მეორე არის ორგანიზაცია „თავისუფალ საქართველოს“ კომიტეტის მრგვალი ფორმის ბეჭდის ფაქსიმილე (9 სმ x 9 სმ), რომელიც ზემოდან დაცულია იმავე ზომის გამჭვირვალე კალკის ქალაღლით; ფაქსიმილე ნებოთი დაკრულია მასთან შედარებით დიდი ზომის (17 სმ x 24,5 სმ) მუყაოზე. ბეჭედზე ცენტრში მოთავსებულია ქართული წარწერა ჰორიზონტალურად: „თავისუფალ საქართველოს კომიტეტი“, რომელსაც ზემოთ და ქვემოთ შავ-თეთრი შტრიხები აქვს. ბეჭდის კიდეზე არის ფრანგული წრიული წარწერა მთავრული ასოებით: COMITÉ DE LA “GÉORGIE LIBRE”. კიდის ქვედა ნაწილში ფრანგული ტექსტის გამყოფად დასმულია კვადრიფოლიუმის ტიპის დეკორატიული ჯვარი მასში ჩახაზული X-ის ფორმის ნიშნით, რომელიც, შესაძლოა, გაგებულ იქნას, როგორც ქრისტეს სახელის აბრევიატურა. ფაქსიმილეს ქვემოთ, მუყაოზე ხელით მიწერილია ასევე ფრანგულად: Facsimilé du Sceau du Comité d’Indépendance de la Géorgie – „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის ბეჭდის ფაქსიმილე“, რაც ზედმიწევნით არ შეესაბამება თავად ბეჭდის წარწერას (ფოტო N3)⁸.

იმავე საქალაღდეში არის რამდენიმე ფურცელი, ეგვანი დაღეჯიოს ხელით შედგენილი პირველი მსოფლიო ომის დროინდელი საქართველოსა და კავკასიის ისტორიის მნიშვნელოვან მოვლენათა ქრონოლოგია და მათთან დაკავშირებული ბიბლიოგრაფია.

წინამდებარე სტატიაში მხოლოდ „თავისუფალ საქართველოს“ ორგანიზაციასთან დაკავშირებულ მასალას შევეხები, რამდენადაც იგი აქამდე ჩვენთვის სრულიად უცნობ ინფორმაციას გვანდის 1914-1917 წლების საქართველოს განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიისათვის და მნიშვნელოვანწილად ავსებს ამ მოძრაობის ერთ-ერთი წევრის ბუნდოვან და წინააღმდეგობრივ ბიოგრაფიას.

ქვემოთ მოყვანილი არის ხელნაწერი დოკუმენტის სრული ტექსტი, რომელშიც ასახულია ორგანიზაცია „თავისუფალ საქართველოს“ მოქმედების ავტორისეული გეგმა. დოკუმენტის სტილი, ორთოგრაფია და პუნქტუაცია შენარჩუნებულია:

„ორგანიზაცია.

ჩვენი განზრახვის და გამოხატულ მიზნების საქმობისთვის საჭიროა ერთი მთლიანი მჭიდრო ორგანიზაცია.

ორგანიზაცია შედგება ამ წესით: მე და ბატონი მაჩაბელი ვიამხანაგებთ ჩვენ ჩვენის არჩევითა ქრისტიან თუ მაჰმადიან ქართველებიდან თითო კაცსა ოსმალეთის მთავრობის ნდობით აღჭურვილსა; ამნაირათ, გავხდებით ოთხი კაცი. ამ ოთხი კაციდან შემდეგარი კომიტეტი სახელსა ქვეშე „თავისუფალ საქართველო“ იქნება ხელმძღვანელი მთელის ამა პროგრამით და გეგმით მუშაობისა ოსმალეთის მთავრობის ხელქვეითა და მფარველობით.

⁸ ქვეყნდება პირველად.

ყველა ის პირები, რომელთაც დღემდე უმუშავნიათ ან მუშაობენ ჩვენ ორივე-სთან, დაითვლებიან ორგანიზაციის კაცებათ და შევლენ კომიტეტის სახელქვე-ითო სათანადო საქმეებში.

ცენტრი კომიტეტისა იქნება სტამბოლში; (გადაშლილია: თუ საქმემ მოითხო-ვა, კომიტეტს უფლება აქვს იქონიოს განყოფილებანი ოსმალეთის სხვა ადგი-ლებში; ნ.ნ.) მისი განყოფილებანი ყველგან, სადაც საქმე მოითხოვს ოსმალეთში თუ გარეთ.

მუშაობისათვის საჭირო ხარჯებს გაიღებს ოსმალეთის მთავრობა; ან და თუ გერმანია იკისრებს ამ ხარჯებსა, ოსმალეთის მთავრობა ეტყვის, ესა და ეს საქმე ასე მომწონს და ფული ამას მოხმარდეს. (გადაშლილია: ხარჯი; ნ.ნ.) ფული ეძ-ლევა კომიტეტს თვითონ, წინდანი შემდგარ ბიუჯეტით და იხარჯება კომიტე-ტის მიერ ბიუჯეტში აღნიშნულ საგნებზე. თუ გამოჩნდა მოულოდნელად რაიმე საჩქარო საქმე რომელიც თვითონ ბიუჯეტში აღნიშნული არ არი, იმის საჭირო ხარჯი მოითხოვება საგანგებო წესით. ფულის სწორე ხარჯისთვის ინიშნება მთავრობის კონტროლი.

კომიტეტს უფლება აქვს ოსმალეთის მიწაზედ თავის წევრთა და ხელქვეით მყოფ კაცების გასამართლება და მძიმე დანაშაულობათათვის მთავრობაზე გა-დაცემისა.

წარმოვადგენ რა ამასთანავე კომიტეტის ბეჭედსა მთავრობისგან დასამტკი-ცებლად, ველი ამა ჩემს მოხსენებაზე მთავრობისგან მოწყალე პასუხსა.

ძმაო აჰმედ ბეი! ახლა რასაც ვწერთ, ის პროგრამა ამ ორგანიზაციის წესდე-ბითა თავდება. პოლიტიკური პროგრამა და სამუშაო გეგმა გუშინ გამოგიგზა-ვნეთ. თუ რამ ჩასამატი გექნებათ ცალკე მუხლებად, ან მუხლებში ჩართვით, ეს ცალკე ქალაქზე აღნიშნეთ და თარგმანთან ერთად გამოგიგზავნეთ.

ნიკოლოზ.

მე და ბატონ მაჩაბლის მიერ შემდგარი კომიტეტი იქნება ხელმძღვანელი მთელის ამ პროგრამით მუშაობისა „თავისუფალ საქართველოს (გადაშლილია: სახე; ნ.ნ.) კომიტეტის“ სახელითა ოსმალეთის მთავრობის ხელქვეითა და მფა-რველობით (გადაშლილია: და ექნ; ნ.ნ.) რომელ კომიტეტსაც აქვს უფლება ოსმა-ლეთის მიწაზედ თავის წევრთა გასამართლებისა და მძიმე დანაშაულობათათ-ვის მთავრობაზე გადაცემისა“.

ტექსტის გაცნობის შემდეგ ბევრი კითხვა იბადება: როდის არის დოკუმენტი შედგენილი და რა ორგანიზაციაა „თავისუფალი საქართველო“? ვინ არის დოკუ-მენტის გამგზავნი „ნიკოლოზი“ და მისი ადრესატი „აჰმედ ბეი“? ვინ არის დო-კუმენტში ნახსენები „ბატონი მაჩაბელი“?... და სხვა. შევეცდები ამ კითხვებზე, შეძლებისდაგვარად, ამომწურავი პასუხის გაცემას.

პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ დოკუმენტის ქრონოლოგიურ ჩარჩოზე თავ-ვად ევგენი დალეჯიოს საქალაქებზე წარწერილი 1914-1917 წლებიც მიუთითებს. საზოგადოდ, უნდა აღინიშნოს, რომ დალეჯიოს არქივი გამოირჩევა თავისი მო-წესრიგებულობით, უმრავლეს შემთხვევაში საქალაქებში დოკუმენტები მოთავ-სებულია თემატიკისა და ქრონოლოგიის დაცვით და, ამ მხრივ, ეჭვის შეტანის სე-რიოზული საფუძველი არ არსებობს. მეორე მხრივ, თავად ორგანიზაციის სახელი

- „თავისუფალი საქართველო“ ჟენევაში 1913-1914 წლებში ამავე სახელწოდებით გამოშვებულ ქართული ემიგრანტული ჟურნალის სახელწოდებას გვახსენებს. ბუნებრივია, რომ კვლევაც ამ მიმართულებით უნდა წარმართულიყო.

ჟურნალი „თავისუფალი საქართველო“ იყო ქართველ „სეპარატისტთა ჟენევის ჯგუფის“ ორგანო, რომლის დამაარსებლებიც იყვნენ პეტრე სურგულაძე, ლეო კერესელიძე, გიორგი კერესელიძე და ნესტორ მალალაშვილი. ეს ჯგუფი სამეცნიერო ლიტერატურაში ასევე იხსენიება, როგორც „საქართველოს დამოუკიდებლობის ჯგუფი“, ან - „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“. ჯგუფი ჯერ ჟენევაში მოღვაწეობდა (1911 წლიდან), ხოლო შემდეგ - ბერლინსა და კონსტანტინოპოლში. ირგანიზაციას, პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ (ივლისი, 1914), „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი“ დაერქვა. მოგვიანებით, კონსტანტინოპოლში კომიტეტს შეუერთდნენ მიხეილ (მიხაკო) წერეთელი, გიორგი მაჩაბელი, ოსმალეთის იმპერიაში მცხოვრები ქართველები - მელიტონ (ოსმან ბეი) ქარცივაძე⁹ და ზია ბეგ აბაშიძე, ასევე - შალვა ვარდიძე, სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა სავანის მღვდელმსახური. კომიტეტის მთავარ მიზანს რუსეთის იმპერიისაგან საქართველოს განთავისუფლება წარმოადგენდა, გერმანიისა და ოსმალეთის იმპერიების დახმარებით. მათივე, უპირველეს ყოვლისა კი გერმანიის, დახმარებით 1915 წელს ოსმალეთის ტერიტორიაზე შეიქმნა სამხედრო ფორმირება „ქართული ლეგიონი“, რომლის მოხალისეებიც, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნულ არმიას შეუერთდნენ. ეს არის ინფორმაცია, რომელსაც „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის“ შესახებ როგორც ენციკლოპედიურ-საცნობარო სახის, ასევე მრავალრიცხოვან სამეცნიერო ლიტერატურაში ამოიკითხავთ. თუმცა, მეამუარებსა და საარქივო მასალებში წააწყდებით თითქოსდა მცირე, უმნიშვნელო დეტალებს, რომლებიც ხშირად სპეციალური ყურადღების მიღმა რჩებიან და სათანადო კვლევის შემთხვევაში შეუძლიათ საკითხზე ჩვენი ცოდნა გააღრმავონ.¹⁰ სწორედ ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე ამჟერადაც.

9 სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული აზრი, თითქოსდა მელიტონ ქარცივაძე მაჰმადიანი ქართველი იყო, სიმართლეს არ შეეფერება. გიორგი კერესელიძის ცნობით, მელიტონ ქარცივაძეს „რჯული არ შეუცვლია: - იყო და დარჩა ქრისტიანი“. მეორე, ასევე ფარული ქრისტიანი ქართველის, ფაიკ-ჩაუშის სიკვდილთან დაკავშირებით კერესელიძე იგონებს, როდესაც ის რუსული ფლოტის მიერ ტრაპიზონის დაბომბვას შეენირა, „ოსმალებმა სხვა დახოცილებთან ერთად მისი ცხედარიც დაასვენეს ერთ შენობაში და მეორე დღეს აპირებდნენ თურმე მათ დასაფლავებას მუსულმანური წესით. მელიტონ ქარცივაძემ ეს ვერ მოითმინა: როგორ შეიძლება, ქრისტიანი კაცი სხვა რელიგიის წესით დასაფლავდესო. და ღამით მოაპარვინა ფაიკის ცხედარი და ქრისტიანული წესით დაასამარა. ოსმალებს ეს რომ შეეცყოთ, მელიტონს უეჭველად დიდი ხიფათი დაემართებოდა. თვითონ ნეტარხსენებული მელიტონი კი, ქართველთა დაუდევრობის გამო, თათრული წესით მიაბარეს მიწას“. იხ. კერესელიძე გ., საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი (1914-1918 წწ.) (პუბლიკაცია გ. მამულიასი). ჟურნ. „ქართული ემიგრაცია“, თბ., 2013, N1(4), გვ. 157, 159.

10 საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის შესახებ არსებული ძირითადი ლიტერატურა შემდეგია: შაორისპირელი გ., ახლო წარსულიდან: პირველი მსოფლიო ომის დროს მოქმედი „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ მოკლე ისტორია. გაზ. „საქართველო“, ბერლინი, 1944. N109 და N110; სალია კ., საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი პირველი მსოფლიო ომის დროს (მასალა ისტორიისათვის). ჟურნ. „ბედი ქართლისა“, პარიზი, 1962, N39-

საქმე ისაა, რომ „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, გიორგი კერესელიძე თავის მემუარებში იგონებს, რომ როდესაც ჯერ კიდევ ოსმალეთის პირველ მსოფლიო ომში ჩართვამდე კომიტეტის წევრები ტრაპიზონში (ან სტამბოლში) იმყოფებოდნენ, თურქულ მხარეს მათთვის კომიტეტში ვინმე ნიკოლოზ ბერის შეყვანა უთხოვია. კერესელიძე მას ყოფილ არქიმანდრიტადაც მოიხსენიებს, თუმცა მისი გვარი აღარ ახსოვს, მაგრამ იცის, რომ მას „არქიელის“ (უმალლესი წოდების სამღვდელი პირი) მკვლელობაში ედებოდა ბრალი. ამასთან, გ. კერესელიძე ნიკოლოზ ბერს არცთუ სიმპატიით იხსენიებს: „ოსმალებმა გვთხოვეს კომიტეტის წევრად მიგველო აგრეთვე ნიკოლოზ ბერი, მათი სანდო პირი. მისი გვარი აღარ მახსოვს, ეს კი ვიცოდით, რომ მას ბრალდებოდა არქიელის მკვლელობაში მონაწილეობის მიღება და ამიტომ ოსმალეთს შეაფარა თავი. ჩვენ მას ვერ ვენდობოდით, რადგან არ ვიცნობდით მის წარსულს. გარდა ამისა სიმპატიურ შთაბეჭდილებას ვერა სტოვებდა ჩვენზე. ოსმალებს ვერ ვეტყოდით, რომ მათი ნდობით აღჭურვილ ნიკოლოზს, ყოფილ არქიმანდრიტს, ჩვენ ვერ ვენდობით. ფორმალურად მივიღეთ, მაგრამ უმთავრეს საკითხებს იმის არა დასწრებით ვწყვეტავდით. მას თურქებმა მიუჩინეს ერთი ქართველი მუსულმანი, ფოსტის მოხელე, გვარად ჯაყელი. ცხადი იყო ჩვენთვის, რომ ამ თარჯიმანს განსაკუთრებული დავალება უნდა ჰქონოდა ოსმალთა მთავრობისაგან. ნიკოლოზს ყურთ ძალიან აკლდა. ჯაყელმა ქართული იცოდა, მაგრამ ღარიბი ლექსიკონისა. პეტრეს (იგულისხმება პეტრე სურგულაძე, - ნ. ნ.) კრებების ხელმძღვანელობა არ ეხერხებოდა, ამიტომ მე ვთავაზდომარეობდი ხოლმე. როდესაც სხდომას ნიკოლოზი და ჯაყელი ესწრებოდნენ, დაბალი ხმით გვქონდა მსჯელობა. ჯაყელს ჩვენი ნათქვამის ნახევარიც არ ესმოდა და ნიკოლოზის გასაგონებლად კი მე მაღალი ხმით ნათქვამის ისეთ რეზუმეს ვაწვდიდი, როგორსაც საჭიროდ ვცნობდი“.¹¹

ამ დახასიათებიდან ადვილი მისახვედრია, თუ ვინ არის ეს „არქიელის“ მკვლელობაში ბრალდებული და სმენადაქვეითებული ნიკოლოზ ბერი, ყოფილი არქიმანდრიტი. იპოლიტე ვართაგავა თავის მოგონებებში ახსენებს ნიკო ნამუ-

40, გვ. 16-30; გაბაშვილი რ., რაც მახსოვს. მიუნხენი, 1959, გვ. 124-28, 133-41; ბენდიანიშვილი ა., ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1921. თბ., 1980, გვ. 199-204; გრძელიძე რ., საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნული კომიტეტი (1914-1918 წწ.), თბ., 1995; სვანიძე მ., 1914 წელს „ოსმალეთსა“ და საქართველოს განთავისუფლების კომიტეტს შორის დადებული საიდუმლო ხელშეკრულება. ქართული დიპლომატია, წელიწდეული, II, თბ., 1995; სიორიძე მ., საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი (1914-1918). ბათუმი, 1998; შარაძე გ., ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. I. თბ., 2001, გვ. XXI, XXXII, 60-113; ჯანელიძე ო., ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბ., 2002, გვ. 219-259; მამულია გ., საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის სათავეებთან (1914-1918). ჟურნ. „თანამემამულე“, უცხოეთში მცხოვრებ ქართველთა ცენტრალური პერიოდული გამოცემა, N1 (27), დიდი ბრიტანეთი, 2007-2008, გვ. 26-30; ბაქრაძე ლ., გერმანულ-ქართული ურთიერთობები პირველი მსოფლიო ომის დროს (ქართული ეროვნული კომიტეტის საქმიანობა 1914-1918 წწ.), თბ., 2009; კერესელიძე გ., საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი (1914-1918 წწ.) (პუბლიკაცია გ. მამულიასი), ჟურნ. „ქართული ემიგრაცია“ თბ., 2013, N1(4), გვ. 141-75; მამულია გ., ასტამაძე გ., საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი 1914-1918: დოკუმენტები და მასალები. თბ., 2019.

11 კერესელიძე გ., საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი (1914-1918 წწ.) (პუბლიკაცია გ. მამულიასი), ჟურნ. „ქართული ემიგრაცია“, 2013, N1(4), გვ. 159-60.

რადეს, რომელთან ერთადაც ის 1898-1895 წლებში თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა. მისი თქმით, ნიკო თელაველი იყო; იყო ტანმორჩილი, სუსტი აგებულების ყმანვილი, უწყინარი, მშვიდობიანი, დინჯი; წერდა ლექსებსა და პოემებს, უყვარდა ამხანაგებში და სემინარიის საღამოებზე მათი წაკითხვა; კარგად სწავლობდა, მაგრამ „ცოტა ყურს აკლდა და ამ ნიადაგზე ხანდისხან მასწავლებლის შეკითხვაზე შეუსაბამო პასუხს იძლეოდა. ეს გაიგეს მასწავლებლებმა და ყოველთვის კითხვას ხმამაღლა და გარკვევით აძლევდნენ. ნიკოც გრძნობდა თავის ნაკლს და ყოველთვის პირველ მერხზე იჯდა და დაძაბულად ყურს უგდებდა მასწავლებლების ახსნას“. თბილისის სემინარიის დამთავრების შემდეგ იპოლიტეს და ნიკოს გზები გაიყო. პირველი ყაზანის სასულიერო აკადემიაში სასწავლებლად წავიდა და, ერთხანს, რუსეთში დარჩა სამუშაოდ, ხოლო მეორემ პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში გააგრძელა სწავლა. როდესაც 1905 წელს ვართაგავა საქართველოში დაბრუნებულა, აქ გაუგია, რომ ნიკო ბერად შემდგარა, ჯერ რუსეთში უმსახურია, შემდეგ კი ჩამოსულა საქართველოში და 1904 წელს არქიმანდრიტის ხარისხით დაუნიშნავთ გელათის მონასტრის წინამძღვრად. „1905 წლის რევოლუციის დროს [არქიმანდრიტს] თავისი მონასტერი რევოლუციონერების მთავარ შტაბად გაუხდია; თვითონაც არაჩვეულებრივის გამბედაობით ქადაგებდა და იქცევოდა. სასულიერო და საერო მთავრობის ბრძანებას არ ემორჩილებოდა. ხელისუფლებას დაუდგენია მისი დაპატიმრება, მაგრამ ეს მას შეუტყვია და რევოლუციონერების დახმარებით სტამბოლში გაქცეულა. რა ბედი ენია ამის შემდეგ ნიკოს, როგორ დამთავრდა მისი ცხოვრება, ამის შესახებ მე არაფერი ვიცი და არც გამიგონია არაფერი“. ოდნავ ქვემოთ იპ. ვართაგავა კიდევ ერთხელ ხაზგასმით იმეორებს, რომ არაფერი იცის, თითქოს ვიღაცის დარწმუნებას ცდილობს: „ნიკომ მეტეორივით გაიარა ჩვენს ცხოვრებაში ისე, რომ ღრმა კვალიც ვერ დასტოვა. ბერობიდან რევოლუციონერობამდე მიდის გზა, რომელიც მას გაუვლია. ნიკოს საქართველოში ყოფნის პერიოდში მე ყირიმში ვიყავი და მის შესახებ მეტის თქმა მე არ შემეძლია“.¹²

იპ. ვართაგავას მიერ მოხსენიებული ნიკო ნამურაძე, არის საქართველოს ეკლესიის ისტორიკოსთათვის ცნობილი ნიკოლოზ ზაქარიას ძე ნამორაძე. მის შესახებ მოკლე ბიოგრაფიული ცნობები მოყვანილი აქვს მაქსიმე ბერძნიშვილს თავის შესანიშნავ პროსოპოგრაფიულ ნაშრომში. ამის მიხედვით, ნ. ნამორაძე დაბადებულია 1872 წელს დუშეთის მაზრაში, აზნაურის ოჯახში; 1883-1888 წლებში სწავლობდა თელავის სასულიერო სასწავლებელში,¹³ შემდეგ კი სწავლა თბილისის სასულიერო სემინარიაში გააგრძელა (1888-1895). 1895-1900 წლებში სწავლობდა პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში, სადაც დაიცვა დისერტაცია თემაზე – „Церковное управление в Грузии до присоединения ее к России“.¹⁴ აკადემიის დამთავრების შემდეგ თბილისის სასულიერო სასწავლებელში დაი-

12 ვართაგავა ი., მოგონებები, ნაწ. 1. თბ., 1956, გვ. 216-17.

13 მ. ბერძნიშვილი აღნიშნავს, რომ ნიკოლოზ ნამორაძე დუშეთში დაბადებულია. როგორც ჩანს, ნამორაძის თელავის სასულიერო სასწავლებელში სწავლის გამო წერდა იპ. ვართაგავა, რომ „ნიკო თელაველი იყო“. სხვათა შორის, ნიკიტა თალაქვაძეც ერთგან არქიმანდრიტ ნიკოლოზს კახელად იხსენიებს, მეორეგან კი – ქართლელად (იხ. ქვემოთ).

14 ნაშრომზე გამომხაურება გამოაქვეყნა კანონიკური სამართლის პროფესორმა ტ. ბარსოვმა. იხ. ЖЗС СПбДА за 1899-1900 учебный год. СПб., 1902, с. 334.

ნიშნა ქართული ენის მასწავლებლად, ხოლო 1902 წელს ალიკვეცა ბერად ნიკოლოზის სახელის შენარჩუნებით და ეკურთხა მღვდელმონაზონად. იმავე წელს დაინიშნა გელათის მონასტრის წინამძღვრად და აყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში (ფოტო N4¹⁵). მონაწილეობდა 1905 წლის რევოლუციაში, რისთვისაც წინამძღვრობიდან გადააყენეს, აუკრძალეს მღვდელმსახურება და ხარკოვის ეპარქიის ერთ-ერთ მონასტერში გადასახლება მიუსაჯეს. ნამორაძე არ დაემორჩილა ამ განკარგულებას, გაიხადა ანაფორა და არალეგალურად ცხოვრობდა თბილისში;¹⁶ თანამშრომლობდა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის გაზეთის რედაქციასთან. ამავე პერიოდში ნიკოლოზი შეხვდა თბილისში მყოფ უცხოელ ჟურნალისტებს, ნენი დრაიჰარსტსა და ჰენრი ნევისონს¹⁷ და ინფორმაცია მიაწოდა 1905 წელს მეფის მთავრობის „ეკზეკუციებზე“ დასავლეთ საქართველოში, რომელთაც ეს ცნობები ჩაგრულ ერთა მფარველ ლიგაში მოხსენების წარდგენისას გამოიყენეს.¹⁸ ნიკოლოზი 1908 წელს ნავიდა ემიგრაციაში სტამბოლში და ცხოვრობდა ქართველ კათოლიკეთა მონასტერში. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ დაბრუნდა საქართველოში და კვლავ ჩაიკვეთა ანაფორა. იყო ჯერ გელათის, შემდეგ – მონამეთას მონასტრის არქიმანდრიტი. მაქსიმე ბერძნიშვილის ცნობით, არქიმანდრიტი ნიკოლოზი გარდაცვლილა 1923 წელს.¹⁹

ზემოთქმულიდან ცხადია, რომ დალეჯიოს არქივის დოკუმენტში, გ. კერესელიძის და იპ. ვართაგავას მოგონებებში და მ. ბერძნიშვილის შრომაში მოხსენიებული ნიკოლოზი, ნიკოლოზ ბერი, ნიკო ნამურაძე, ნიკოლოზ არქიმანდრიტი – ერთი და იგივე პიროვნებაა. რაც შეეხება „არქიელის“ მკვლევლობის ბრალდებას, რომელსაც გ. კერესელიძე ახსენებს, აქაც არ არის არავითარი წინააღმდეგობა. საქმე ისაა, რომ იპ. ვართაგავა თავის ოფიციალურად გამოქვეყნებულ „მოგონებებში“ ამაზე არაფერს ამბობს და ორჯერ ხაზგასმით იმეორებს, რომ რა ბედი ეწია ნიკოს და როგორ დამთავრდა მისი ცხოვრება, არაფერი იცის და რომ ნიკოს საქართველოში ყოფნის პერიოდში იგი ყირიმში იყო და მეტი არაფრის თქმა შეუძლია. თუმცა, ბოლო დროს, ე. ბუბულაშვილმა პირველად გამოაქვეყნა იპ. ვართაგავას მანამდე უცნობი ჩანაწერი (რომელიც მკვლევარს, თავის მხრივ, ლუარსაბ ტოგონიძემ მიაწოდა), სადაც ავტორი პირდაპირ ამბობს, რომ არქიმანდრიტმა ნიკოლოზ ნამორაძემ მოკლა ეგზარქოსი ნიკონი (1861 - 1908) იმის გამო, რომ მას არ მოსწონდა ნიკონის მიერ საქართველოს საეგზარქოსოს რეორგანიზაციის პროექტი (პროექტი გულისხმობდა ეპარქიების რაოდენობის

15 ფოტო ქვეყნდება პირველად. მისი მოწოდებისთვის მადლობას ვუხდით ბ-ნ ლუარსაბ ტოგონიძეს. ინახება მის პირად კოლექციაში.

16 როგორც ქვემოთ ვნახავთ, ამ პერიოდში მას არქიმანდრიტ ამბროსი ხელაიასთან უნდა ეცხოვრა.

17 Henry Nevinson, Nannie Dryhurst. მ. ბერძნიშვილი მათ შეცდომით „ნეველსონსა და დრაიჰარსტს“ უწოდებს.

18 შეხვედრა შემდგარა 1906 წლის ნოემბერში (იხ.: შარაძე გ., უცხოეთის ცის ქვეშ. წიგ. 3, თბ., 1993, გვ. 115); ამ შეხვედრის შესახებ უფრო დაწვრილებით იხ.: ჯაბადარი ა., მოგონებები. ჟურნ. „მნათობი“, თბ., 1934, N4, გვ. 199-200. ასევე: გელაშვილი გ., ინგლისელი ჟურნალისტი ჰენრი ნევისონი საქართველოს შესახებ (1906). ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები II (4), თბ., 2008, გვ. 421-43.

19 ბერძნიშვილი მ., მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, თბ., 1983, გვ. 117-118.

შეცვლას და მათში ქართველი სასულიერო პირების რუსი სასულიერო პირებით ჩანაცვლებას). ამ ჩანაწერის მიხედვით, ნიკოლოზ ნამორაძის მიერ ეგზარქოსის მკვლელობის ფაქტი ცნობილი ყოფილა ცნობილ ტერორისტ კასრაძისთვის, რომელიც მას დახმარებია, სიონის ტაძრის დეკანოზ მარკოზ ტყემალაძისთვის და არქიმანდრიტ დოსითეოზ ბერძნიშვილისთვის. ე. ბუბულაშვილს მოჰყავს კიდევ სხვა პირთა ნაამბობი, საიდანაც ჩანს, რომ ამ მკვლელობის ჩადენისთანავე ეს ამბავი თავად ნამორაძეს უამბია ეპისკოპოსს დავით კაჭახიძისთვის. აღშფოთებულმა დავით ეპისკოპოსმა მოსთხოვა არქიმანდრიტს სასწრაფოდ დაეტოვებინა საქართველო, რადგან ფაქტის გამჟღავნების შემთხვევაში რუსეთის ხელისუფლება ქართველ სასულიერო პირებსა და განსაკუთრებით ავტოკეფალისტებს მძიმე დღეში ჩააგდებდა. ასევე, კალისტრატე ცინცაძის ორი ხელნაწერი დოკუმენტიდან ირკვევა, რომ ხსენებული ფაქტის შესახებ სცოდნია პატრიარქ ამბროსი ხელაიასაც, რომელიც მას დევნილობის პერიოდში იფარებდა თავის სახლში (დავით კაჭახიძისა და ჟანდარმერიის ცნობებით). მიუხედავად ამ ყველაფრისა, ეგზარქოს ნიკონის მკვლელობასთან დაკავშირებულ გამოძიების მასალებში მისი სახელის ხსენებაც კი არ ყოფილა, მხოლოდ დაფიქსირებულია, რომ თბილისში არალეგალურად ყოფნის დროს იგი არქიმანდრიტ ამბროსი ხელაიასთან ცხოვრობდა.²⁰ ე. ბუბულაშვილმა ასევე, შეასწორა არქიმანდრიტ ნიკოლოზის გარდაცვალების თარიღიც. ქუთაისის ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცულ 1924 წლის ერთ დოკუმენტში ის ცოცხლად იხსენიება, რის საფუძველზეც მკვლევარი ასკვნის, რომ ნიკოლოზი 1924 წლის შემდგომ ახლო ხანებში უნდა გარდაცვლილიყო. ე. ბუბულაშვილის მიერ ჩანერილი გადმოცემით, სიცოცხლის ბოლოს იგი, ხელისუფლებისგან შევიწროებული, მონამეთას მონასტერში მარტო ცხოვრობდა თავის თხებთან ერთად. რამდენიმე დღის გარდაცვლილი არქიმანდრიტის გვამი შემთხვევით უპოვნიათ ადგილობრივ მცხოვრებლებს მონასტრის ეზოში და დაუკრძალავთ, თუმცა განსვენების ზუსტი ადგილი უცნობია.²¹

საინტერესოა ასევე დეკანოზ ნიკიტა თალაქვაძის დღიურის 1922 წლის მაისის ჩანაწერი, სადაც არქიმანდრიტ ნიკოლოზზეც არის საუბარი, როგორც ალავერდელი ეპისკოპოსის შესაძლო კანდიდატზე: „იმერეთშიც არის ერთი კახელი“²² არქიმანდრიტი – ნიკოლოზ ნამორაძე, მონამეთის მონასტერშია წინამძღვრად; ქუთათელ მიტროპოლიტ ნაზარს უთქვამს: „საცოდაობა არ არის, რომ ციციქიშვილი ეპისკოპოსად იყოს და ნამორაძე კი არხიმანდრიტადო“?! ეს რო ციციქიშვილს – „მანგლელს“ გაუგია, ნაზარისათვის შეუთვლია: „აფსუსი არ არის ნაზარი მიტროპოლიტად იყოს, ხოლო ნამორაძე არხიმანდრიტადო“?! ამ სახით ეს

20 ეგზარქოს ნიკონის მკვლელობის შესახებ და მასში არქიმანდრიტ ნიკოლოზის შესაძლო მონაწილეობის ირგვლივ ასევე იხ.: *Материалы об убийстве Экзарха Грузии Никона (Софийский) и некоторые вопросы церковной истории (1908-1913)* (Составители: Дж. Гамахария, Т. Ерохина). Тбилиси-Рязань: Саари, 2016.

21 ბუბულაშვილი ე., საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის დროს (1811-1917 წწ.). თბ., 2022, გვ. 653-57.

22 სხვა ადგილას ნ. თალაქვაძე ნამორაძეს ქართლელად ასახელებს, სადაც ნათქვამია, რომ სხვა სასულიერო პირებთან ერთად მას ჩვენება მიუცია მიტროპოლიტ ნაზარის წინააღმდეგ, რომელიც მონასტრებს და სამღვდლოებს სხვადასხვა ფულად თუ ნატურალურ გადასახადებს აწერდა: თალაქვაძე ნ., მოქალაქე-მღვდლის დღიურიდან, თბ., 2013, გვ. 382.

ნამორაძეც - ალავერდის კათედრის კანდიდატად იქნება; ეს ჩემი კურსის არის სემინარიიდან, ნიკონ ექსარხოსის მოკვლის გამო ათი წლის განმავლობაში ემიგრანტად იყო გასული ოსმალეთსა თუ შვეიცარიაში; რევოლუციის შემდეგ დაბრუნდა გელათში, ისევ ჩაიცვა ანაფორა-კუნკულა, იქიდან მონამეთაში გადმოაგდეს ბერებმა, როგორც ურწმუნო-უსახო პიროვნება, თან ყრუც არის, ძლიერ აკლია ყურს; ჩემის აზრით მაგის ესპისკოპოსობა იქნება უბედურება ისედაც დაბეჩავებულ ჩვენი ეკლესიისა“.²³ სხვაგან, თალაქვაძე აღნიშნავს, რომ 1922 წლის 2 ნოემბერს შემდგარა ეპისკოპოსთა კრება, რომელზედაც კახეთ-ალავერდელის საეპისკოპოსო ერთ-ერთ კანდიდატად დაუსახელებიათ არქიმანდრიტი ნიკოლოზ ნამორაძეც, მაგრამ მისთვის ხმა არ მიუცია კათოლიკოს ამბროსი ხელაიას და დავით ეპისკოპოსს (კაჭახიძე): „ათ წელიწადს ოსმალეთში იყო გადამალული, უანაფოროდ იყო, უწირავ-უზიარებელიო...“.²⁴

თუ რატომ უწოდებს ნიკიტა თალაქვაძე ნიკოლოზ არქიმანდრიტს, „ურწმუნო-უსახო პიროვნებას“, ამაზე კონკრეტულად არაფერს ამბობს, თუმცა ეს უნდა ეხებოდეს სტამბოლში დევნილობაში ყოფნისას, არქიმანდრიტ ნიკოლოზის მცდელობას, მოლაპარაკებები დაეწყო ვატიკანთან საქართველოს ეკლესიის პაპთან უნიაში შესვლის თაობაზე. როგორც ითქვა, სტამბოლში იგი ქართველ კათოლიკეთა მონასტერში ცხოვრობდა და ეს განზრახვა მან ჯერ მონასტრის ძმობას გააცნო, რომელმაც პადრე ანდრეა წინამძღვრიშვილის, პადრე იოსებ მერაბიშვილისა და სხვების მოწონება დაიმსახურა. 1909 წლის დასაწყისში მათი მეშვეობით იგი დაუკავშირდა რომში მოღვაწე მიხეილ თამარაშვილს და მასთან მინერ-მონერა გააბა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენაზე და რომთან შესაძლო უნიის საკითხებზე. ორივე მხარე ძლიერ ფრთხილობდა, ერთი მხრივ, საკითხის ირგვლივ ცარიზმის რეაქციაზე, რომელსაც არც ავტოკეფალია ეპიტნავენოდა და არც ქართველების პაპთან უნია, ხოლო, მეორე მხრივ, ქართველი საეკლესიო პირებისა და საზოგადოების რეაქციაზე. გარდა ამისა, ნამორაძეს ანუხებდა, ძირითადად, ორი კითხვა: 1) რა მფრაველობა შეეძლო გაენია პაპს ზოგადად და, კერძოდ, რუსეთის მთავრობის წინაშე; და 2) უნიის შედეგად საქართველოს ეკლესია ხომ არ დაკარგავდა იურიდიულ უფლებას ტაძარ-მონასტრებზე და საეკლესიო მამულებზე, რომელიც იმჟამად რუსეთის ხაზინის ხელში იყო. ნამორაძე ატყობინებდა თამარაშვილს, რომ უნიის იდეას მხარს უჭერდა საზოგადოების ნაწილი, რომელთა შორის იყო იმ დროს პარიზში მყოფი აკაკი წერეთელი.

სანამ აკაკი პარიზში გაემგზავრებოდა, 1908 წელს, სტამბოლის ქართული სათვისტომოს თაოსნობით, აკაკის იუბილის მოსამზადებელი შეხვედრა გაიმართა. ამის თაობაზე სოციალისტ-ფედერალისტთა გაზეთ „დროებაში“ (25 ნოემბერი, 1908, №6) დაიბეჭდა კორესპონდენცია სტამბოლიდან, რომლის ავტორია ვინმე „ნიკოლოზი“. ჩემი აზრით, ეს ნიკოლოზ ნამორაძე უნდა იყოს.²⁵ 1909 წლის ზაფხულში კი ევროპაში სამოგზაუროდ წასული აკაკი სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტერში გაჩერებულა, სადაც მის პატივსაცემად, 5 სექტემბერს

23 თალაქვაძე ნ., მოქალაქე-მღვდლის დღიურიდან, თბ., 2013, გვ. 239-40.

24 თალაქვაძე ნ., მოქალაქე-მღვდლის დღიურიდან, თბ., 2013, გვ. 407.

25 შარაძე გ., აკაკის იუბილე. თბ., 2006, გვ. 266; ფუტყარაძე შ., მალაყმაძე რ. და სხვ. ნერილე-ბი სტამბოლის ქართული საგანიდან. ბათუმი, 2017, გვ. 60.

(ძვ. სტ. 23 აგვისტოს), დიდი სალამო მოუწყვიათ. შეხვედრაზე, სხვათა შორის, არქიმანდრიტი ნიკოლოზიც გამოსულა მწვავე პოლიტიკური სიტყვით.²⁶ ნიკოლოზ ნამორაძემ და მონასტრის სასულიერო პირებმა ერთმანეთს დააკავშირეს აკაკი წერეთელი და მიხეილ თამარაშვილი და მათ ცალკე მინერ-მონერა გააბეს. აკაკი ჰპირდებოდა თამარაშვილს, რომ სექტემბრის ბოლოს რომში ჩავიდოდა, ხოლო ამ უკანასკნელს მისთვის პაპთან აუდიენცია უნდა მოეწყო. ამ საკითხზე აკაკი საქმის კურსში აყენებდა ასევე იაკობ გოგებაშვილს თავის წერილში, რომელშიც ნართაულად მიანიშნებდა: „გუშინ მივიღე თამარაშვილის წერილი რომიდან. ალბათ, სტამბოლიდან მოუწერიათ ჩემი მოსვლაც და ჩემი აქაური ადრესიც, – დიდ იმედებსა მწერს და აღტაცებითაც მიბარებს რომში. მე ჩასვლის დასტური მივწერე, ჯერ ვერ წავალ, რადგანაც საგზალზე ნაკლებათა ვარ და სტამბოლიდანაც ნიკოლოზი უნდა დავიბარო, რასაკვირველია ჩემი ხარჯით“.²⁷ თუმცა, მოულოდნელად აკაკიმ გადაწყვეტილება შეცვალა და ოქტომბერში საქართველოში არა რომისა და სტამბოლის, არამედ პოლონეთის გავლით დაბრუნდა. ე. ბუბულაშვილი ფიქრობს, რომ აკაკის მიერ გადაწყვეტილების ასეთი უცაბედი შეცვლა გამომწვეული უნდა ყოფილიყო იმით, რომ მისი განზრახვა ჟანდარმერიისთვის შესაძლოა ცნობილი გახდა. მართლაც, სამშობლოში დაბრუნებისას აკაკი საიდუმლო მეთვალყურეობის ქვეშ მოექცა. 1911 წლის 16 სექტემბერს იტალიაში, სანტა-მარინელაში ტრაგეიკულად დაიღუპა მიხეილ თამარაშვილი, რის შემდეგაც უნიის იდეაც ჩაქრა.²⁸

მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ დაღუპვის არქივში დაცული დოკუმენტის ავტორი – ნიკოლოზი ეჭვს გარეშე არქიმანდრიტი ნიკოლოზ ნამორაძე უნდა იყოს, აქედან გამომდინარე, უკვე მარტივია მასში ნახსენები „ბატონი მაჩაბელის“ პიროვნების დადგენაც. ის, ასევე უეჭველად, უნდა იყოს გიორგი მაჩაბელი, რომელიც ოდნავ მოგვიანებით, პრაქტიკულად იმავე დროს, როდესაც ნამორაძე, ასევე ოსმალეთში შეუერთდა „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტს“. რაც შეეხება დოკუმენტის ადრესატს, აჰმედ ბეის იდენტიფიკაციას, ამ ეტაპზე, მხოლოდ ვარაუდებით შეგვიძლია შემოვიფარგლოთ. ერთ-ერთი კანდიდატი შეიძლება იყოს ქართული ლეგიონის ასეულის მეთაური აჰმედ დევიძე.²⁹ მეორე კანდიდატად შეიძლება განხილულ იქნას კიდევ ერთი ლეგიონერი მუსლიმი ქართველი, აჰმედ (ახმედ) გოგოტიძე.³⁰ თუმცა, ამ ვერსიების სუსტი მხარე ისაა, რომ დღემდე ცნობილ დოკუმენტებში არც დევიძე და არც გოგოტიძე ბეგობით (ბეი) არსად იხსენიებიან და გარდა ამისა, არქიმანდრიტის მათთან უშუალო კა-

26 ლომსაძე შ., აკაკის მოგზაურობა ევროპაში, ჟურნ. „მნათობი“, 1960, N10, გვ. 100-01 (აქ შეცდომითაა აღნიშნული, რომ ის სპეციალურად ამ იუბილესთვის იყო ჩასული კონსტანტინოპოლში); ლომსაძე შ., მესხები, ახალციხური ქრონიკები II. თბ., 1997, გვ. 124 (აქ მას შეცდომით „ქუთაისის არქიმანდრიტი“ ეწოდება).

27 წერეთელი აკ., თხზულებათა სრული კრებული, ტ. XV, თბ., 1963, გვ. 123.

28 ბუბულაშვილი ე., საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის დროს (1811-1917 წწ.). თბ., 2022, გვ. 658-664.

29 მამულია გ., ასტამაძე გ., საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი 1914-1918: დოკუმენტები და მასალები, თბ., 2019, გვ. 562, 563.

30 ბაქრაძე ლ., გერმანულ-ქართული ურთიერთობები პირველი მსოფლიო ომის დროს (ქართული ეროვნული კომიტეტის საქმიანობა 1914-1918 წწ.), თბ., 2009, გვ. 46.

ვშირიც არ იკვეთება. ამ კონტექსტში შეიძლება ასევე განვიხილოთ მესამე მუსლიმი ქართველი, კერძოდ, გიორგი კერესელიძის მოგონებებში სახელის გარეშე მოხსენებული ფოსტის მოხელე, ჯაყელი, რომელიც, მისი თქმით, არქიმანდრიტ ნიკოლოზს თურქებმა მიუჩინეს, ვითომდა თარჯიმნად, სინამდვილეში კი – განსაკუთრებული დავალებით, თვალყური ედევნებინა კომიტეტის მუშაობისთვის. გარდა იმისა, რომ ჩვენ არც მისი სახელი ვიცით, არც სხვა რამე საბუთი არსებობს ამ კანდიდატის სასარგებლოდ. არის კიდევ ერთი, ძალიან საინტერესო კანდიდატი – წარმოშობით ქობულეთელი (თურქ. ჩურუქსუ) აჰმედ ფაშა თავდგირიძე (Çürüksulu Ahmet Paşa). განსახილველ პერიოდში იგი ოსმალეთის პარლამენტში ლაზისტანის წარმომადგენელი იყო,³¹ ხოლო მის ძმას, მაჰმუდ ფაშას (თურქ. Çürüksulu Mahmut Paşa), ოსმალეთის საზღვაო მინისტრის თანამდებობა ეკავა და იმპერიის ერთ-ერთი გავლენიანი პირი იყო. მოგვიანებით, 1917 წლის დეკემბერში აჰმედ ფაშა თავდგირიძე (ჩურუქსუელი) მონაწილეობდა სულთნის სამსახურში მყოფი მაჰმადიანი ქართველებისგან შედგენილ სპეციალურ კომიტეტში. 1918 წლის იანვარში გიორგი მაჩაბელი შეხვედრია ამ კომიტეტის წევრებს, აჰმედ ფაშას და ჰასან ირემაძეს, რომელთანაც აჭარისა და ბათუმის მომავალი ბედის საკითხი განუხილავს და „გაუნეიტრალეზია ეს ორიენტაციადაზნეული ქართველები“.³² აქედან გამომდინარე, სრულიად ვერ გამოვრიცხავთ იმ ვარიანტს, რომ დაღეჯიოს არქივის დოკუმენტში ნახსენები აჰმედ ბეი სწორედ აჰმედ ბეი (შემდგომში – ფაშა) თავდგირიძე იყოს და არქიმანდრიტი ნიკოლოზი მისი საშუალებით გადიოდა კავშირზე მის ძმასთან, მაჰმუდ ფაშასთან და ოსმალეთის სხვა გავლენიან პოლიტიკოსებთან. შესაძლოა, არქიმანდრიტს სწორედ ამ გავლენიანი მუსლიმი ქართველების იმედი ჰქონდა საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. ამ შემთხვევაში, სრულიად გასაგები გახდება ის პროოსმალური ორიენტაცია, რომელიც მას ეჭირა. იმედი ვიქონიოთ, რომ, სამომავლო კვლევებით აჰმედ ბეის ვინაობის საბოლოო დადგენაც და არქიმანდრიტთან ერთად განამათავისუფლებელ მოძრაობაში მისი როლის გარკვევაც შესაძლებელი გახდება.

დაბოლოს, გასარკვევი დარჩა მთავარი საკითხი: რა ორგანიზაცია იყო „თავისუფალი საქართველო“, როდის ჩაისახა და როდემდე იარსება? ვინ იყვნენ მისი წევრები? რა მიზნებს ისახავდა ორგანიზაცია და რა ურთიერთობა ჰქონდა მას „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტთან“?

ამ კითხვებზე გარკვეული პასუხების გაცემა შესაძლებელია იმ უცხოური (ძირითადად გერმანული და ფრანგული) დოკუმენტების მოხმობით, რომლებიც ბოლო ხანებში მოიძიეს და ქართულად თარგმნეს გ. მამულიამ და გ. ასტამაძემ. მათში რამდენჯერმე იხსენიება ნიკოლოზ / ნიკოლა არქიმანდრიტი და მასთან „განთავისუფლების კომიტეტის“ წევრების დაძაბული ურთიერთობა; დოკუმენტების დაკვირვებით გაცნობის შედეგად, სხვა ისტორიული ცნობების გათვალისწინებით, იკვეთება განხეთქილების ნამდვილი მიზეზი და ის, რომ საწყის ეტაპზე არქიმანდრიტი მარტო არ იყო და მას მხარდამჭერთა მცირე და შედარებით სუსტი, მაგრამ მაინც თავისი წრე ჰყავდა.

31 სიორიძე მ., საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი (1914-1918). ბათუმი, 1998, 30; Kansu A., Politics in post-revolutionary Turkey, 1908-1913. Leiden, Boston, Köln, 2000, p. 472.

32 სიორიძე მ., საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი (1914-1918). ბათუმი, 1998, 102-03.

ქრონოლოგიურად პირველი ასეთი წერილი თარიღდება 1915 წლის 13 მარტით. ეს არის ტრაპიზონში გერმანიის იმპერიის კონსულის, ჰაინრიხ ბერგფელდის წერილი კონსტანტინოპოლში გერმანიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის, ბარონ ჰანს ფრაიჰერ ფონ ვანგენჰაიმის სახელზე. ამ წერილიდან ჩანს, რომ იმხანად ტრაპიზონში მყოფი „განთავისუფლების კომიტეტის“ წევრებს შორის აზრთა სხვადასხვაობა წარმოშობილა საქართველოს გათავისუფლებისთვის ბრძოლის ტაქტიკურ მიდგომებზე. ერთ მხარეს იყო „არქიმანდრიტი ნიკოლა“, ანუ ნიკოლოზ ნამორაძე, „რამდენიმე ნაკლებად მნიშვნელოვან“ ქართველთან ერთად (სამწუხაროდ, კონსული მათ არ ასახელებს), ხოლო მეორე მხარეს მდგარან პეტრე სურგულაძე, ლეო კერესელიძე (კერელი³³), ოსმან ბეი (იგივე მელიტონ ქარცივაძე) და სხვები. კონსულის ცნობით, არქიმანდრიტი ნიკოლოზი და მისი ჯგუფის წევრები ამტკიცებდნენ, რომ ძველი მეთოდებით მათი მიზნის, ანუ საქართველოს გათავისუფლების განხორციელება მომავალშიც „თურქების პასიური წინააღმდეგობის მსხვერპლი გახდება და მოუწოდებენ რევოლუციური მოძრაობის მხარდაჭერისკენ, უშუალოდ საქართველოში იარაღის და ფულის გადაგზავნის გზით“. მეორე ჯგუფს კი უნდოდა, რომ ეს წამოწყება „ძველი ფორმით“ გაგრძელებულიყო და ამის ერთ-ერთ საფუძვლად ამ ჯგუფის წევრთა პროცესების მართვაზე გავლენის დაკარგვის შიშს უკავშირებს: „სურგულაძეს, ლ. კერელს, ოსმან ბეის და სხვებს უნდათ წამოწყების აქამდელი ფორმით გაგრძელება. მათ სურვილს სხვადასხვა საფუძვლები აქვთ. მათ უდიდეს ნაწილს საკუთარი გავლენის დაკარგვის შიში აქვს. თუკი სიმძიმის ცენტრი საქართველოსკენ გადაინაცვლებს, ბუნებრივია ხელმძღვანელობას სხვა პირები გადაიბარებენ“. თუმცა, იქვე უფრო სერიოზული, პოლიტიკური არგუმენტაცია მოჰყავს: „სურგულაძეს უნდა, რომ საკუთრივ საქართველოს ჯერჯერობით ლავირების თავისუფლება დაუტოვოს. ის არ მალავს თავის მოსაზრებას, რომ ქართველებისთვის რუსული მმართველობა თურქულზე უფრო მისაღებია. მისი აზროვნების ხასიათი ასეთი უნდა იყოს: თუ გაიმარჯვებენ რუსები, მაშინ ნაადრევად დაწყებული ქართული რევოლუცია ქართველ ერს საბოლოოდ გაანადგურებს. თუკი ქართველები ამის საპირისპიროდ ჩუმად დარჩებიან, მაშინ რუსების წარმატებული წინსვლა აიძულებს თურქებს ქართველების მისწრაფება დამოუკიდებლობისკენ, მათი თანამშრომლობის მოსაპოვებლად, მთლიანად ალიარონ. თუკი ამის სანაღმდეგოდ თურქები გაიმარჯვებენ, რუსები მზად იქნებიან, რომ ქართველები შეაიარაღონ და თურქები დადგებიან არჩევნის წინაშე, ან ქართველებთან მოილაპარაკონ, ან ბრძოლაში ჩაებნენ. – ბრძოლაში, რომლის დასასრული, საქართველოს რთული მდებარეობიდან გამომდინარე, კვლავაც სათუო იქნება“.³⁴

ჩემი აზრით, აქ გერმანელი კონსული, როგორც ჩანს, სწორ ინფორმაციებზე დაყრდნობით, სრულიად მართებულად აფასებს ვითარებას. საქმე ეხება ერთი

33 „კერელი“ თუ „კერელე“ იყო ლეო კერესელიძის კონსპირაციული გვარი, რომელიც ჩაინერა მის, ვითომდა ელზას-ლოტარინგიის მცხოვრებზე გაცემულ გერმანულ პასპორტში 1914 წლის აგვისტოში (იხ. გოცირიძე გ., პირველი მსოფლიო ომი და საქართველო, თბ., 2009, გვ. 87-8).

34 მამულია გ., ასტამაძე გ., საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი 1914-1918: დოკუმენტები და მასალები, თბ., 2019, გვ. 134-35; შდრ. Bihl W., Die Kaukasus-Politik der Mittelmächte. Wien, 1975, p. 68, 273 შენ. 326.

ორგანიზაციის შიგნით ამ ორი დაჯგუფების მიდგომას საქართველოს აჯანყების გზით გათავისუფლების იდეისადმი. საქმე ისაა, რომ ორივეს, როგორც გერმანიის, ასევე ოსმალეთის ინტერესებში შედიოდა საქართველოში ანტირუსული აჯანყების მოწყობა, რომელიც იდეაში ფართო კავკასიურ აჯანყებაში უნდა გადაზრდილიყო. გერმანია მსგავსი აჯანყებების მოწყობაზე ოცნებობდა პოლონეთსა და უკრაინაშიც, რაც სრულიად დაასუსტებდა რუსეთს.³⁵ გერმანულ ოფიციალურ პოლიტიკურ ლექსიკონში სიტყვა „რევოლუცია“, „რევოლუციონირება“, რომელსაც კონსული არქიმანდრიტ ნიკოლას და მისი ჯგუფის მიმართ იყენებს, უბრალო ენაზე სწორედ აჯანყებას ნიშნავდა.³⁶ სანყის ეტაპზე, სავარაუდოდ, სურგულაძე-კერესელიძეების თავდაპირველი ბირთვი მართლაც იხილავდა აჯანყების მოწყობის შესაძლებლობას, მაგრამ შემდგომ განვითარებული მოვლენებიდან ჩანს, რომ ისინი ამ იდეისადმი უარყოფითად განწყობილნი, თუმცა ოსტატურად იყენებდნენ მას განსაკუთრებით გერმანელებთან და თურქებთან ურთიერთობაშიც. საამისოდ „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი“ ასეთი ფართომასშტაბიანი და სარისკო აჯანყების მოსამზადებლად დიდძალ ფულს და იარაღს ითხოვდა, რისი მიწოდებაც იმხანად ომში მყოფ გერმანიას არ შეეძლო. მიუხედავად ამისა, მომავალში აჯანყების მოწყობის ზეპირი დაპირების სანაცვლოდ, გერმანია დათანხმდა გარკვეულ თანხის გაღებას ოსმალეთის ტერიტორიაზე „ქართული ლეგიონის“ ფორმირებისთვის და ასევე ვალდებულებას იღებდა საქართველოს დამოუკიდებლობა ელიარებინა რუსეთის დამარცხების შემდეგ. თურქების მიდგომა უფრო ხისტი იყო, ისინი საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების საკითხს საქართველოში აჯანყების მოწყობასთან პირდაპირ აბამდნენ. ამის ნათელი დასტურია ის, რომ 1914 წელს „განთავისუფლების კომიტეტის“ წევრებმა ხელშეკრულებები დადეს ჯერ გერმანიისა და ავსტრო-უნგრეთის მთავრობებთან, სადაც ეს ორი ქვეყანა ვალდებულებას იღებდა, გამარჯვების შემთხვევაში საქართველოს დამოუკიდებლობა ელიარებინა, მაგრამ ამ ხელშეკრულებებში აღიარების პირობად საქართველოში აჯანყების მოწყობა არ ყოფილა ჩადებული, განსხვავებით ოსმალეთთან მოგვიანებით დადებული ხელშეკრულებისა.³⁷

„განთავისუფლების კომიტეტი“ მსგავსი ხელშეკრულების დადებას ცდილობდა ოსმალეთთანაც, მაგრამ თურქებთან მოლაპარაკებები უფრო რთულად წარიმართა. ძირითადად, კამათი გამოიწვია ოსმალეთსა და საქართველოს შორის მომავალი საზღვრის საკითხმა, ოსმალეთი არ თანხმდებოდა, რომ სამუსლიმანო საქართველო ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში შესულიყო. ხელშეკრულება ჩავარდნის პირას იყო მისული, როდესაც კონსტანტინოპოლში გერმანიის ელჩის, ვანგენჰაიმის შუამავლობით, საზღვრებზე შეთანხმება მოხერხდა და

35 გოცირიძე გ., პირველი მსოფლიო ომი და საქართველო, თბ., 2009, გვ. 25, 78, 89; მამულაია გ., ასტამაძე გ., საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი 1914-1918: დოკუმენტები და მასალები, თბ., 2019, გვ. 36-37, 45.

36 ბაქრაძე ლ., გერმანულ-ქართული ურთიერთობები პირველი მსოფლიო ომის დროს (ქართული ეროვნული კომიტეტის საქმიანობა 1914-1918 წწ.), თბ., 2009, გვ. 31-34.

37 სვანიძე მ., 1914 წელს „ოსმალეთსა“ და საქართველოს განთავისუფლების კომიტეტს შორის დადებული საიდუმლო ხელშეკრულება. ქართული დიპლომატია, წელიწდეული, II, თბ., 1995, გვ. 60, 64, 68.

1914 წლის ბოლოს ის მზად იყო ხელმოსაწერად. თუმცა, ოსმალეთის მთავრობამ თავი შეიკავა მასზე ხელის მოწერისაგან იმ საბაზით, რომ მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა რუსეთისთვის ომი ოფიციალურად გამოცხადებული. 11 ნოემბერს ოსმალეთი ოფიციალურად ჩაერთო ომში, – „სალეთო ომი“ გამოუცხადა ანტანტის სახელმწიფოებს და კავკასიის ფრონტზე რუსეთს შეუტია. მას იმედი ჰქონდა, რომ მთელ კავკასიას თავის ბატონობის ქვეშ მოაქცევდა და „განთავისუფლების კომიტეტის“ მიზნები და „ქართული ლეგიონის“ შექმნის იდეა ამ გეგმებში არ ჯდებოდა. თუმცა, 1914 წლის დეკემბრის ბოლოს (დვ. სტ. 23 დეკემბერი, ახ. სტ. 5 იანვარი), სარიყამიშთან თურქული არმიის კატასტროფული მარცხის შედეგად, ოსმალეთის მთავრობამ კვლავ განაახლა „განთავისუფლების კომიტეტთან“ მოლაპარაკებები და, ხელშეკრულების პროექტში ზოგიერთი შესწორების შეტანის შემდეგ, იგი 1915 წლის სექტემბერში უკვე მზად იყო ხელმოსაწერად.³⁸ კერძოდ, ამ შესწორებების სიახლე იმაში მდგომარეობდა, რომ საქართველოს უნდა ეწარმოებინა „ენერგიული პროპაგანდა რუსეთის საწინააღმდეგოდ და ოსმალეთის სასარგებლოდ“ და, რაც მთავარია, „ყოველნაირად უნდა ეცადოს რუსეთის წინააღმდეგ აჯანყების ორგანიზაციას“.³⁹

ეს მნიშვნელოვანი სიახლე იყო ხელშეკრულების ახალ პროექტში, რასაც შეეძლო მეტად არასასურველი შედეგები გამოენვია საქართველოსთვის. ამის შესახებ სარიყამიშის ბრძოლის შემდეგ სტამბოლში ჩასული მიხაკო წერეთელი მამაშვილურად გააფრთხილა მოხუცმა გერმანელმა ფელდმარშალმა ფონ დერ გოლცმა, გერმანიის ოფიციალურმა გაბატონებული თვალსაზრისის საწინააღმდეგოდ: „გაძლევთ ერთ რჩევას: არამც და არამც არ გასწიოთ საქართველოში პროპაგანდა ქართველი ერის ასაჯანყებლად. არ დაგავინყდეთ, რა ბედი ეწვია სომხეთს ოსმალეთის ტერიტორიაზე რუსეთის შემოსვლის დროს აჯანყების გამო. თქვენი პრობლემა არის წმიდა პოლიტიკური. არავითარი მნიშვნელობა არ შეუძლია ჰქონდეს ამ უზარმაზარ მსოფლიო კონფლიქტში თქვენ სამხედრო ძალას. გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ უნდა სცნოს პოლიტიკური მნიშვნელობა საქართველოსი და კავკასიის ერთა დამოუკიდებლობისა გერმანიისათვის, და ეს არის ნამდვილი საფუძველი თქვენი პოლიტიკური მუშაობისა და მოქმედებისა გერმანიაში“.⁴⁰ გიორგი კერესელიძის „მოგონებების“ თანახმად, ამაზე მიხაკო წერეთელს გოლცისთვის მადლობა გადაუხდია და უთქვამს: „კომიტეტს გადაწყვეტილი აქვს, არათუ აჯანყებას ხელი არ შეუწყოს, არამედ მიიღოს ყველა ზომა, რომ ის არ მოხდეს. ეს იციან გერმანელებმაც და ოსმალებმაც. და თუ აჭარაში აჯანყება მოხდა, – ეს იქნება კომიტეტის სურვილის წინააღმდეგ“ და კერესელიძე, თავის მხრივ, იქვე ამატებს: „კომიტეტს კარგად ესმოდა თავისი პასუხისმგებლობა ერისა და ისტორიის წინაშე“.⁴¹

38 მამულია გ., ასტამაძე გ., საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი 1914-1918: დოკუმენტები და მასალები, თბ., 2019, გვ. 194-97.

39 სვანიძე მ., 1914 წელს „ოსმალეთსა“ და საქართველოს განთავისუფლების კომიტეტს შორის დადებული საიდუმლო ხელშეკრულება. ქართული დიპლომატია, წელიწდეული, II, თბ., 1995, გვ. 59-75.

40 სალია კ., საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი პირველი მოსფლიო ომის დროს (მასალა ისტორიისათვის). ჟურნ. „ბედი ქართლისა“, პარიზი, 1962, N39-40, გვ. 19.

41 კერესელიძე გ., საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი (1914-1918 წწ.) (პუბლიკა-

გარდა ამისა, ცნობილია, რომ კომიტეტის დავალებით გიორგი მაჩაბელი 1915 წლის მეორე ნახევარში მეორედ ჩავიდა საქართველოში და თან ჩაიტანა გერმანიასთან, ავსტრო-უნგრეთთან და ოსმალეთთან დადებული ხელშეკრულებები. ერთი მხრივ, მაჩაბელს აინტერესებდა, თუ როგორ უყურებდნენ მსოფლიო ომს ქართველი პოლიტიკური წრეები, რა შეხედულებანი და მიზნები ჰქონდათ მათ საქართველოს მომავალზე. მასთან გამართულ კონსპირაციულ შეხვედრას დაესწრნენ სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლები. შეკრების მონაწილეებმა მიიღეს მაჩაბლის ინფორმაცია საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის საქმიანობის თაობაზე და გაეცნენ ჩამოტანილ ხელშეკრულებებს. მათ მიერ მოწონებულ იქნა გერმანიასთან და ავსტრო-უნგრეთთან დადებული ხელშეკრულებები, მხოლოდ ოსმალეთთან გაფორმებულ დოკუმენტში მიუღებლად მიიჩნიეს მუხლი საქართველოში აჯანყების მოწყობის შესახებ. რეზო გაბაშვილი იხსენებს: „გერმანიასთან და ავსტრიასთან დადებული ხელშეკრულობანი ერთნაირი იყო და უზადო, ოსმალეთისაში კი ჩვენ დიდი ნაკლი აღმოვაჩინეთ, – პირობა შიგნით აჯანყების მოხდენისა. როგორც კი ოსმალეთის ჯარი შემოვა ჩვენს საზღვრებში, – რაც სასტიკად დავინუნეთ. გიორგიმ ასე იმართლა თავი: ოსმალეთთან ხელშეკრულების დასადავად, გაგზავნილი იყო ლეო კერესელიძე და ასეთი სისულელე ჩაიდინაო. ბევრი ვლანძღეთ, მაგრამ დეზავუაცია ჩვენივე მანდატით მისულ კაცს – ველარ გაუკეთეთო“.⁴²

ზემოთქმულიდან ნათლად იკვეთება, რომ განსხვავება „განთავისუფლების კომიტეტის“ ორ დაჯგუფებას შორის სწორედ აჯანყების საკითხში იყო. მიუხედავად იმისა, რომ გიორგი მაჩაბელი, მიხაკო წერეთელი და კომიტეტის სხვა წევრები გერმანელებთან 1914 წლის სექტემბრიდან 1917 წლის თებერვლის შუალედში გაგზავნილ წერილებში ყოველთვის ხაზს უსვამდნენ საქართველოს და უფრო მეტიც, კავკასიის მზაობას აჯანყებისთვის, იქვე ხან გერმანიის მხრიდან საჭირო ფინანსებისა და საკმარისი იარაღის მიუღებლობას უჩიოდნენ, ხანაც ოსმალეთის მხრიდან წარმოშობილ სხვადასხვა შემაფერხებელ ფაქტორებს ასახელებდნენ.⁴³ აჯანყების მზაობაზე ხაზგასმა კი მათი დიპლომატიური მანევრი იყო, რითაც ცდილობდნენ საქართველოს მიმართ გერმანიის ყურადღება ოდნავადაც არ განელებულიყო. გარდა ამისა, სარიყამიშის ბრძოლაში რუსეთის მიერ ოსმალეთის განადგურებამ კავკასიის ფრონტზე აჯანყებას აზრი დაუკარგა. აჯანყებას აზრი ექნებოდა იმ შემთხვევაში, თუკი ოსმალები მინიმუმ, უკან მაინც არ დაიხევდნენ. მას შემდეგ, რაც ფრონტმა სიღრმეში გადაინია და კავკასიას გვარიანად მოსცილდა გეოგრაფიულად, ზურგში აჯანყება ქართველი ხალხის მხრიდან სრულიად უაზრო მსხვერპლს გამოიწვევდა. საინტერესოა, რომ გერმანიის იმდროინდელ, „აღმოსავლურ“ დიპლომატიკაში გამოუცდელ სამხედრო ელიტასთან ასეთი მანევრი ჭრიდა, მაგრამ იგივე ხერხით ოსმალური დიპლომატიის დარწმუნება შეუძლებელი აღმოჩნდა. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, „განთავისუფლების კომიტეტის“ წევრთა ტონი აჯანყებასთან მიმართებაში ოდნავ იცვლება და უფრო პრეტენზიული და მომთხოვნი

ცია გ. მამულიასი). ჟურნ.„ქართული ემიგრაცია“, 2013, N1(4), გვ. 165.

42 გაბაშვილი რ., რაც მახსოვს. მიუნხენი, 1959, გვ. 124-125.

43 მამულია გ., ასტამაძე გ., საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი 1914-1918: დოკუმენტები და მასალები, თბ., 2019, გვ. 85-86, 147, 153-154, 155, 169, 180, 193, 201, 208.

ხდება: 1 ივნისის წერილში მაჩაბელი და წერეთელი არწმუნებენ გერმანულ მხარეს, რომ შექმნილ პოლიტიკურ და სამხედრო ვითარებაში აჯანყების გზა ბევრ ვერაფერს მოიტანს და ახლა ამის შესაძლებლობაც არ არის.⁴⁴ ხოლო 26 ივლისის წერილში კომიტეტის შემადგენლობა (თავ-რე პ. სურგულაძე, გ. კერესელიძე, გ. მაჩაბელი, მ. წერეთელი, ალ. გოზალიშვილი) აჯანყების პირობად გერმანიის, ავსტრიის, ოსმალეთის და ბულგარეთისგან საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების მყარ გარანტიას ითხოვს.⁴⁵ 1917 წლის სექტემბრის პირველ ნახევარში ბერლინში ოსმალეთის საელჩოს მრჩევლისადმი მიმართულ წერილში გ. კერესელიძე, კომიტეტის სახელით, კვლავ კატეგორიულად უსვამს თურქულ მხარეს აღიარების საკითხს აჯანყების პირობად: „თუმცა, რათა დავარწმუნოთ ქართველები ნავიდნენ გადამწყვეტ აქციაზე, მათ სრული გარანტია უნდა ჰქონდეთ, რომ მათი დამოუკიდებლობა უკვე წინასწარ ხელუხლებლად მიიჩნევა და რომ თურქული ჯარი შეძლებს რუსულ-თურქული საზღვრის გადალახვას. ამგვარი გარანტიის გარეშე, ქართველი ხალხის ხელმძღვანელები ვერ შეძლებენ აჯანყების სასარგებლოდ გამოსვლას, რადგან ისინი საკუთარ თავზე ვერ აიღებენ ვერავითარ პასუხისმგებლობას რაიმე იმედგაცრუების შედეგებისათვის. აქედან გამომდინარე და საერთო ინტერესთა სახელით, ქართული კომიტეტი კვლავ ითხოვს, შეძლებისდაგვარად უმოკლეს ხანებში, ამ საკითხის მოსაგვარებლად ზომების მიღებას“.⁴⁶

ამ მიმოხილვისა და მსჯელობის შემდეგ ისევ უნდა დავუბრუნდეთ ტრაპიზონში გერმანიის იმპერიის კონსულის, ბერგფელდის 1915 წლის 13 მარტს კონსტანტინოპოლში გერმანიის ელჩთან, ფონ ვანგენჰაიმთან გაგზავნილი წერილის საგულისხმო შინაარსს, რომელიც „განთავისუფლების კომიტეტში“ ორი დაპირისპირებული ჯგუფის გაჩენისა და შემდგომში არქიმანდრიტ ნიკოლოზის მიერ ახალი ორგანიზაციის ჩამოყალიბების მიზეზთა გასაღებია. დასკვნის სახით კონსული წერს ელჩს: „უნდა ვეცადოთ, საქართველოში ხალხს რუსეთის წინააღმდეგ ღია აჯანყებისკენ ან სულ მცირე ქმედითი პროპაგანდის წარმართვისკენ ვუბიძგოთ... ამ ძირითად შეხედულებებში განსხვავებების გარდა, ორივე ზემოხსენებულ ქართულ ჯგუფს ერთმანეთის მიმართ ძლიერი უნდობლობა აქვს. მე ვერ მოვახერხე მათ შორის დაპირისპირების მოგვარება. სურგულაძის მოსაზრებაში არსებული საფრთხიდან გამომდინარე ვთვლი, რომ სასურველი უნდა იყოს, რომ ამ ეტაპზე ორივე ჯგუფმა გვერდიგვერდ იარსებოს. აგრეთვე მიმაჩნია, რომ სასურველია თანადროულად მხარდაჭერა მოძრაობისა საქართველოში, ისევე როგორც აქ ძველი ფორმით მუშაობის გაგრძელება“.⁴⁷

აქედან ჩანს, რომ კონსული ბერგფელდი არქიმანდრიტ ნიკოლოზის ჯგუფს ანგარიშს უწევდა, როგორც ოსმალეთისგან მხარდაჭერილს და აჯანყების რეა-

44 მამულია გ., ასტამაძე გ., საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი 1914-1918: დოკუმენტები და მასალები, თბ., 2019, გვ. 414.

45 მამულია გ., ასტამაძე გ., საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი 1914-1918: დოკუმენტები და მასალები, თბ., 2019, გვ. 440-442.

46 მამულია გ., ასტამაძე გ., საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი 1914-1918: დოკუმენტები და მასალები, თბ., 2019, გვ. 479-480.

47 მამულია გ., ასტამაძე გ., საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი 1914-1918: დოკუმენტები და მასალები, თბ., 2019, გვ. 135.

ლურ მოსურნეს, რაც გერმანელთა მიზნებს სავსებით შეესაბამებოდა. მაგრამ, ამასთანავე, არც „კომიტეტის“ ძველი წევრების მიერ არჩეულ პოლიტიკურად ფრთხილი გზის მოსინჯვაზე აპირებდა უარის თქმას. ამიტომ, პოლიტიკურად ჯერ კიდევ გაურკვეველ სიტუაციაში მათი გვერდიგვერდ არსებობა და მოქმედების ორივე მიმართულებით გაგრძელება მიაჩნდა მართებულად. თურქეთში გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნდობით აღჭურვილი პირი, ლუი მოზელი თავის მოხსენებით ბარათში საგარეო საქმეთა სამინისტროს მიმართ 1915 წლის 22 მარტს არქიმანდრიტ ნიკოლოზს (მიუხედავად დაპირისპირების ნიშნების არსებობისა) ჯერ კიდევ სურგულაძესთან, წერეთელთან და კერესელიძესთან ერთად ერთ ჯგუფში მოიაზრებს.⁴⁸

ზუსტად როდემდე გაგრძელდა ამ ორი ჯგუფის ერთ კომიტეტში ასეთი ნაძალადევი და დაძაბული თანაარსებობა, უცნობია. მაგრამ უკვე 29 ივლისს კონსტანტინოპოლში გერმანიის ელჩი ჰოჰენლოე გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ატყობინებდა, რომ კერესელიძე ჟენევაში გერმანიის საიმპერატორო კონსულის მეშვეობით თავის მეუღლეს ატყობინებს, რომ მალე იქ ჩავა არქიმანდრიტი ნიკოლოზი, რომელიც არის ინტრიგანი, საერთო საქმის წინააღმდეგ მოქმედებს და რომ ოსმალეთში მყოფმა ადგილობრივმა ქართველებმა უკვე დაგმეს მისი საქციელი, როგორც მამულისათვის საზიანო. სთხოვს, რომ ამის შესახებ აცნობოს ჟენევის ქართულ „კოლონიას“, ანუ სათვისტომოს.⁴⁹

„განთავისუფლების კომიტეტის“ წევრების, მ. წერეთლისა და გ. კერესელიძის გერმანიის საგარეო საქმეთა წარმომადგენლის, ოტო გიუნტერ ფონ ვეზენდონკის მიმართ 1915 წლის 22 სექტემბერს გაგზავნილი წერილიდან ირკვევა, რომ ცოტა ხნით ადრე, გიორგი მაჩაბელს კონსტანტინოპოლში უცდია არქიმანდრიტის კომიტეტთან შემორიგება, მაგრამ უშედეგოდ. ზაფხულში ნიკოლოზ არქიმანდრიტი, თურქების დაფინანსებით, მართლაც გამგზავრებულა ჟენევაში, სადაც საბოლოოდ გამოყოფია ძველ ჯგუფს და საკუთარი „ახალი ქართული კომიტეტი“ დაუარსებია. წერილის ავტორები აღნიშნავენ, რომ მას უსამართლოდ მიუთვისებია „ნამდვილი კომიტეტის“ – „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის“ სახელი. დალეჯიოს არქივში დაცული დოკუმენტიდან კი ჩანს, რომ არქიმანდრიტს თავისი დაარსებული ორგანიზაციისთვის და კომიტეტისთვის უწოდებია „თავისუფალ საქართველოს კომიტეტი“, ანუ არა თვით „ნამდვილი კომიტეტის“, არამედ მისი ჟურნალის სახელი, რომლის გამოცემაც 1914 წელს შეწყდა. წერილის ავტორები აღნიშნავენ, რომ არქიმანდრიტი მათი კომიტეტის წევრი იყო ოსმალეთში, მაგრამ მას კომიტეტის საწინააღმდეგო ინტრიგანობაში სდებენ ბრალს, რასაც თურქებმა დაუჭირეს მხარი, თუმცა, კონკრეტულად რაში გამოიხატებოდა ეს ინტრიგანობა, ისინი ამაზე არაფერს ამბობენ. ჟენევაში დაარსებული ახალი კომიტეტის „შეფი“ ყოფილა თეოდოტუს სახოკია, რომლის „პოლიტიკური წარსულიც“, – წერილის ავტორების თქმით, – „კარგი არის, მაგრამ

48 მამულია გ., ასტამაძე გ., საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი 1914-1918: დოკუმენტები და მასალები, თბ., 2019, გვ. 139.

49 PA AA, RZ201 21014; სავარაუდოდ, წერილი უნდა ეკუთვნოდეს გიორგი კერესელიძეს, რადგან მას ქართველი ცოლი ჰყავდა, ციციშვილის ქალი, განსხვავებით ლეოსგან, რომლის ცოლიც მართა ლეკულტრი, ცნობილი შვეიცარიული საათების მწარმოებლის შვილი იყო და ქართულ სათვისტომოსთან ახლო კავშირი უფრო ნაკლებად ექნებოდა.

ის, ალბათ, სრულიად შემთხვევით შეხვდა არქიმანდრიტს ჟენევაში და ამ უკანასკნელმა მისი გადაბირება სცადა“. წერეთელს სახოკიასთვის წერილი მიუწერია, რომლითაც ურჩევდა, რომ „არქიმანდრიტის ინტრიგებისთვის არ დაეჯერებინა“ და მოკლე ხანში მისგან პასუხს ელოდა. იქვე ნათქვამია, რომ იმხანად გერმანულ გაზეთებში გამოქვეყნებულა მოწოდება, რომლის ავტორიც, წერეთლისა და კერესელიძის ვარაუდით, შესაძლოა სახოკია ყოფილიყო. ბოლოს, წერილის ავტორები ფონ ვეზენდონკს სთხოვენ, რომ გერმანიის მხარემ აღნიშნულ ბატონებს შვეიცარიაში გერმანიის ელჩთან და კონსულებთან დაკავშირება აუკრძალოს.

წერეთელ-კერესელიძის წერილში ნახსენები „ახალი ქართული კომიტეტის შეფი“ თეოდოტუს სახოკია, ეჭვი არაა, რომ იგივე თედო სახოკიაა.⁵⁰ მართალია, წერილის ავტორები ვარაუდობენ, რომ სახოკია და ნიკოლოზ არქიმანდრიტი ალბათ სრულიად შემთხვევით შეხვდნენ ერთმანეთსო, მაგრამ ეს გამორიცხვული მგონია, თუნდაც რამდენიმე მიზეზის გამო: 1. არქიმანდრიტი ნიკოლოზიც და თედო სახოკიაც, ორივე სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის წევრები იყვნენ;⁵¹ 2. არქიმანდრიტ ნიკოლოზის მსგავსად, თედო სახოკიას ძალიან ახლო მეგობრული და საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა რომში მოღვაწე მიხეილ თამარაშვილთან, რომელმაც იგი ჯერ კიდევ 1901 წელს მიიწვია თავისთან, საკუთარი წიგნების დაბეჭდვაში დასახმარებლად. შემდეგაც, მათ ეპისტოლარული ურთიერთობა თამარაშვილის სიკვდილამდე (1911) არ შეწყვეტილა;⁵² და მთავარი: 3. თედო სახოკია 1909 წლის მაისში ციმბირის გადასახლებიდან გამოიქცა, საქართველოში დაბრუნდა და ბათუმის, ტრაპიზონისა და სტამბოლის გავლით არალეგალურად გაემგზავრა ევროპაში ემიგრაციაში. სტამბოლში იგი ორი კვირა ქართველ კათოლიკეთა მონასტერს შეეხიზნა.⁵³ ეს სწორედ ის პერიოდია, როდესაც არქიმანდრიტი ნიკოლოზი, ასევე საქართველოდან გაქცეული, იმავე მონასტერს აფარებდა თავს. აქედან გამომდინარე, მათი ადრინდელი პირადი ნაცნობობის ყველა პირობა არსებობდა, რაზე ხაზგასმაც გერმანიის საგარეო საქმეთა წარმომადგენლების მიმართ წერილის ავტორებს, ალბათ, ხელს არ აძლევდათ. სამწუხაროდ, 1912-1916 წლებში თედო სახოკიას ევროპაში ცხოვრებისა და საქმიანობის დეტალები ბუნდოვანია. აღნიშნული პერიოდი არ ჩანს არც გამოქვეყნებულ ავტობიოგრაფიულ თუ ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში

50 თედო სახოკიას ოფიციალური სახელი თეოდოტი იყო.

51 იხ. თ. სახოკიას პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) წიგნში: მწერალთა ავტობიოგრაფიები, პირველი წიგნი, თბ., 2013, გვ. 125.

52 მწერალთა ავტობიოგრაფიები, პირველი წიგნი. თბ., 2013, გვ. 148; ბუკია ლ., თედო სახოკიას ცხოვრება და მოღვაწეობა (1868-1956 წწ.) (სადოქტორო ნაშრომი შესრულებულია ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად), თბ., 2018, გვ. 135.

53 ლ. ბუკიას დისერტაციაში შეცდომით წერია: „ტრაპიზონში თედო სახოკია გარკვეული პერიოდი ქართველი კათოლიკე ბერების მონასტერში ცხოვრობდა“. აქ ტრაპიზონის ნაცვლად უნდა იყოს სტამბოლი; ტრაპიზონში ქართველ კათოლიკებს მონასტერი არასდროს ჰქონიათ. გარდა ამისა, ცნობილია, რომ სახოკია ორი კვირა სწორედ სტამბოლში გაჩერდა, ხოლო მანამდე, ტრაპიზონში - ერთი თვე (იხ. ბუკია ლ., თედო სახოკიას ცხოვრება და მოღვაწეობა (1868-1956 წწ.) (სადოქტორო ნაშრომი შესრულებულია ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად), თბ., 2018, გვ. 124; სახოკია თ., ციმბირში: მოგონებანი 1905 წლის რევოლუციის დროიდან, თბ., 2012, გვ. 202; მწერალთა ავტობიოგრაფიები, პირველი წიგნი, თბ., 2013, გვ. 156).

და არც სამეცნიერო ლიტერატურაში. ამ მხრივ, მხოლოდ გერმანულ-ქართული ურთიერთობებისადმი მიძღვნილ ლაშა ბაქრაძის მონოგრაფიაში არის გაკვრით ამაზე საუბარი. ვფიქრობ, ამ მასალის გააზრება ჩემს მიერ წინამდებარე სტატი-
აში თავმოყრილ სხვა მასალასთან ერთობლიობაში, ზოგად სურათს მაინც აღა-
დგენს. კერძოდ, 1914 წლის ერთი დოკუმენტის მიხედვით, გერმანელებს სცოდ-
ნიათ, რომ იმ დროს საფრანგეთში არსებობდა „მეორე ქართული კომიტეტი“
სახოკიას ხელმძღვანელობით. შემდეგ ლ. ბაქრაძე ასკვნის: „მაგრამ რუსეთის
მოკავშირე საფრანგეთში ასეთ კომიტეტს, რასაკვირველია, დიდი გასაქანი ვერ
ექნებოდა და ალბათ, არც დიდი ხანი უარსებია. ფაქტობრივად ჩვენ არაფერი
ვიცით სახოკიას კომიტეტის შესახებ“.⁵⁴ სრულიად ლოგიკურია მკვლევრის ეს
დასკვნა, რომ საფრანგეთში ამ კომიტეტს გასაქანი ვერ ექნებოდა, რადგან მო-
ნოგრაფიის გამოცემის დროს, ჯერ კიდევ არ იყო გამოვლენილი ის დოკუმენ-
ტები, რომლის თანახმადაც სახოკიას კომიტეტი შენევაში მოქმედებს. როგორც
ჩანს, სახოკიამ 1914 წელს კომიტეტი ჯერ საფრანგეთში დააფუძნა, მაგრამ
სულ მალე, სათანადო გარემოს არქონის გამო, მოქმედების ცენტრად შენევა
აურჩევია. ამ შემთხვევაში, ორი გერმანული დოკუმენტი არათუ ეწინააღმდეგე-
ბა, არამედ ერთმანეთს ავსებს და ამდიდრებს ჩვენს ცოდნას კომიტეტის ისტო-
რიაზე. გარდა ამისა, უაღრესად საინტერესოა აგრეთვე ქუთაისის გუბერნიის
ჟანდარმერიის უფროსის 1916 წლის 6 იანვრის ცნობა, რომლის თანახმადაც,
აგენტურულ მონაცემებზე დაყრდნობით, თედო სახოკია სტამბოლში, ქართულ
კომიტეტთან თანამშრომლობდა.⁵⁵ ზემოთ მოყვანილი ცნობების ერთობლიობა
იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ თედო სახოკიას „სტამბოლის კომიტეტ-
თან“ და არქიმანდრიტ ნიკოლოზთან ურთიერთობა, როგორც ადრეულ ეტაპზე,
ისე შემდეგ, „თავისუფალ საქართველოს“ შენევის კომიტეტში „შეფის“ სტატუ-
სით, სავსებით რეალური ჩანს და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალში ახალი
საარქივო დოკუმენტების გამოვლენით, ამ ურთიერთობათა სხვა დეტალებიც
გამომზეურდება. 1916 წელს თედო სახოკიას რუსეთის საიმპერატორო კარის-
გან საქართველოში დაბრუნების ნებართვა მიეცა და ამ დროიდან ის უკვე სამ-
შობლოში აგრძელებს მოღვაწეობას.

გარდა ამისა, გერმანულ საარქივო დოკუმენტებში, არქიმანდრიტ ნიკოლოზ-
თან და თედო სახოკიასთან კავშირში ჩნდება ასევე ცნობილი ემიგრანტი მუ-
სიკოსის, ირაკლი (ერეკლე) ჯაბადარის სახელი. როგორც ირკვევა, ის უშუალო
კავშირში იყო სახოკიასთან და მის შესახებ და ახალ ქართულ კომიტეტთან და-
კავშირებით გერმანიის ოფიციალურ პირებთან საუბარიც ჰქონია. შვეიცარიაში
(ბერნი) გერმანიის საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი, გიზბერტ ფრაიჰერ
ფონ რომბერგი 1915 წლის 14 სექტემბერს რაიხსკანცლერ თეობალდ ფონ ბეტ-
მან-ჰოლვეგს აცყობინებდა, რომ სამხედრო ატაშეს ნდობით აღჭურვილი პირის

54 ბაქრაძე ლ., გერმანულ-ქართული ურთიერთობები პირველი მსოფლიო ომის დროს (ქა-
რთული ეროვნული კომიტეტის საქმიანობა 1914-1918 წწ.), თბ., 2009, გვ. 49-50.

55 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდ. 13, ანაწ. 27, საქმ. 5412, ფურც. 24. ამავე ცნობით, ამ ე. წ. „დადიანის კომიტეტში“ თანამშრომლობდა ვარლამ ჩერქეზიშვილიც (მითითებულია წიგნიდან: ბაქრაძე ლ., გერმანულ-ქართული ურთი-
ერთობები პირველი მსოფლიო ომის დროს (ქართული ეროვნული კომიტეტის საქმიანობა 1914-1918 წწ.), თბ., 2009, გვ. 48).

რეკომენდაციით, რამდენიმე დღის წინ, მიიღო გრაფი ირაკლი ჯაბადარი, მუსიკოსი შემსრულებელი, რომელიც ახლა იმყოფება ლოზანაში.⁵⁶ მას დესპანისთვის საქართველოში არსებული სიტუაციის შესახებ ინფორმაცია მიუწოდებია. მისი აზრით, საქართველოში ანტირუსული აჯანყების მოწყობა, რომელსაც კავკასიის სხვა ხალხებიც შეურთდებიან, შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქართველს ხალხს გარანტირებულად შეპირდებიან მისი დამოუკიდებლობის აღიარებას. მხოლოდ თურქული მხარის შეპირება არ იქნება ამისთვის საკმარისი და საქართველოს დამოუკიდებლობის გარანტი უნდა იყოს გერმანია. მისი თქმით, გერმანიამ უნდა აიძულოს ოსმალეთი, რომ მან საქართველოს სასარგებლოდ დათმოს ამჟამად მის ფარგლებში არსებული ლაზისტანი, სადაც დროებითი ქართული მთავრობა შეიქმნება. ეს მთავრობა მოახდენს მოსახლეობის მობილიზაციას და მაშინ, სამხედრო ტყვეებით შევსებული ქართული არმია, გერმანელი და ქართველი ოფიცრების ხელმძღვანელობით, გერმანელი და ავსტრიელი ჯარისკაცების მხარდამხარ იომებენ. ჯაბადარს გერმანიის დესპანის თხოვნით ეს აზრები წერილობით მიუწვდია, რომელიც ამ წერილს თან ერთვის (ეს არის ფრანგულად სამ გვერდზე ნაბეჭდი ტექსტი სათაურით: *Exposé de la question géorgienne*. ხელს აწერს: Comte Jrakly Djabadary). ამავე დროს, ჯაბადარს ინფორმაცია მიუწვდია სამხედრო ატაშეს ნდობით აღჭურვილი პირისთვის, რომ ლოზანაში ჩამოყალიბებულა ქართული კომიტეტი, რომელთა მიმართაც სიფრთხილეა საჭირო, რადგან არის ეჭვი, რომ ისინი გერმანიის მტრებთან თანამშრომლობენ; თავის დროზე ეს „ელემენტები“ გამოექცნენ ციმბირში გადასახლებას და შვეიცარიას შეაფარეს თავი. ცოტა ხნის წინ ჩამოყალიბებულა კიდევ ერთი ქართული კომიტეტი (ადგილს არ ასახელებს, მაგრამ, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ეს არის ჟენევა), რომელშიც, მართალია, კეთილსინდისიერი ხალხია, მაგრამ „არასწორ და დამლუპველ გზას ადგას“. ჯაბადარი ურჩევს გერმანელებს, რომ დაადგინონ მიხეილ წერეთლის ადგილსამყოფელი, რომელიც საქართველოს საუკეთესო სპეციალისტია და შეუძლია კარგი სამსახური გაუწიოს გერმანელებს. მისი თქმით, ის უნდა იმყოფებოდეს ჰაიდელბერგში, ბერლინში თუ კონსტანტინოპოლში.

ამ დოკუმენტიდან ჩანს, რომ ირაკლი ჯაბადარს, რომელიც გერმანელებთან ნდობაში შესვლას და მათი კეთილგანწყობის მოპოვებას ცდილობდა, ზოგადი და თავისებური წარმოდგენა ჰქონია მიმდინარე მოვლენებზე. მას ისიც არ სცოდნია, რომ იმ პერიოდში მიხეილ წერეთელი უკვე მჭიდროდ თანამშრომლობდა გერმანელებთან. რაც შეეხება შვეიცარიაში დაარსებულ ორ კომიტეტს, ერთში (ლოზანის) რომელშიც ციმბირში გადასახლებას გამოქცეული „ელემენტები“ შედიან, ჯაბადარი უნდა გულისხმობდეს ძმებ კერესელიძეებს, რომლებიც 1905 წელს დუშეთის ხაზინის ექსპროპრიაციის საქმეზე იყვნენ ეჭვმიტანილები.⁵⁷ მეორე კომიტეტში, სადაც მისი თქმით, კეთილსინდისიერი, მაგრამ გზააბნეული ხალხია, თედო სახოკიას კომიტეტს გულისხმობს, რაც სახოკიასთან მის თანამშრომლობას თუ არა, მეგობრულ ურთიერთობას სულაც არ გამოორიცხავს. მათ

56 PA AA, RZ201 21014.

57 ლასხიშვილი გ., მემუარები (1885-1915), თბ., 1934, გვ. 230-31; Мамулия Г., Социалист-федералистская революционная партия Грузии в 1906 - 1914 годах. XX век и Россия: общество, реформы, революции. Электронный сборник. Вып. 1. Ч. I. Самара, 2013, стр. 22-5.

მიერ არჩეულ „არასწორ და დამღუპველ გზაში“ კი ის ამ კომიტეტის მიერ საქართველოში აჯანყების მოწყობის განზრახვას უნდა გულისხმობდეს. საინტერესოა, რომ აღნიშნულ ორ კომიტეტთან და კიდევ სხვა საკითხებთან დაკავშირებით გერმანულ მხარეს ინფორმაცია მოუთხოვია „განთავისუფლების კომიტეტისთვისაც“, რაზეც გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ლეგაციის მდივანს, ოტო გიუნტერ ფონ ვეზენდონკს 1915 წლის 22 სექტემბერს მიხაკო წერეთლისგან და გიორგი წერეთლისგან მიუღია შემდეგი პასუხი: „როგორც ჩვენ თქვენი და სხვა წყაროების საშუალებით გავიგეთ, შენევასა და ლოზანაში ორი ახალი ქართული კომიტეტი დაფუძნდა. ლოზანის კომიტეტის შესახებ საერთოდ არაფერი ვიცით, რაც შეეხება შენევის კომიტეტს, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ კომიტეტმა უსამართლოდ მიითვისა ნამდვილი კომიტეტის: „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის“ სახელი, რომელიც უკვე ერთი წელია გერმანიასა და თურქეთში მუშაობს“.⁵⁸ რამდენად გულწრფელი იყო ამ შემთხვევაში გიორგი კერესელიძე, რომ თითქოსდა ვერ ხვდებოდა ვინ იგულისხმებოდა „ლოზანის კომიტეტში“, ძნელი სათქმელია, მაგრამ, უფრო საფიქრებელია, რომ მან ვეზენდონკის წინაშე თავი მოიკატუნა, რასაც პასუხში იმაზე ხაზგასმაც ადასტურებს, რომ მისი კომიტეტი „უკვე ერთი წელია გერმანიასა და თურქეთში მუშაობს“ და ამით მიანიშნა, რომ არავითარი კავშირი ლოზანასთან არ აქვს.

ბერნში გერმანიის დესპანი, გიზბერტ ფრაიჰერ ფონ რომბერგი 1915 წლის 16 სექტემბერს რაიხსკანცლერ ფონ ბეტმან-ჰოლვეგს ატყობინებდა, რომ სამხედრო ატაშეს ლოზანაში მყოფი ნდობით აღჭურვილი პირის ცნობით, წინა წერილში მოხსენიებული მეორე ქართული კომიტეტის ხელმძღვანელი, თედო სახოკია ცხოვრობს მისამართზე Petit Lancy Genève, Pension Bon Accueil. გრაფ ჯაბადარის თქმით, ის ადრე ცხოვრობდა ბრიუსელში, შემდეგ პარიზში, ხოლო ცოტა ხნის წინ შვეიცარიაში გადმოსახლებულა. იქვე საუბარია ვინმე „ვალდემარ რაჯაიაზე“, რაც უნდა იყო ქაჯაიას (ან საჯაიას?) lapsus calami. ინფორმატორის თქმით, ის ფრიად მნიშვნელოვანი და გერმანიისადმი კეთილგანწყობილი პიროვნებაა და ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ ბაზელში, ფრაუ კრაფტთან (Frau Krafft) უცხოვრია, მისამართზე – Spalenring 132/11. როგორც ამბობენ, ის იცნობს გრაფ ჯაბადარს, დიდი გავლენა აქვს საქართველოში და გერმანიისთვის ძალიან გამოსადეგი შეიძლება იყოს. გაურკვეველია თუ ვინ არის ვალდემარ (ანუ, ვლადიმერ) ქაჯაია. მის შესახებ მიხაკო წერეთელს და გიორგი კერესელიძესაც არაფერი გაეგოთ, ისინი ფონ ვეზენდონკს წერდნენ: „ბერნელ ქაჯაიას არ ვიცნობ“.⁵⁹ აშკარაა, რომ თუ ის მართლაც ასეთი მნიშვნელოვანი ფიგურა იყო და დიდი გავლენა ჰქონდა საქართველოში, ამ ფსევდონიმის – ვალდემარ, ანუ ვლადიმერ ქაჯაიას – უკან, ღრმა კონსპირაციის მყოფი პირი უნდა იმალებოდეს.

რაც შეეხება გერმანულ გაზეთებში „თავისუფალ საქართველოს კომიტეტის“ სახელით გამოქვეყნებულ მოწოდებას, რომლის ავტორიც, მ. წერეთლისა და გ. კერესელიძის ვარაუდით, თ. სახოკია უნდა იყოს, გერმანული საარქივო დოკუმენტით ირკვევა, რომ მისი ტექსტი ი. ჯაბადარს შეუდგენია და დასაბეჭდად

58 მამულია გ., ასტამაძე გ., საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი 1914-1918: დოკუმენტები და მასალები, თბ., 2019, გვ. 198.

59 მამულია გ., ასტამაძე გ., საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი 1914-1918: დოკუმენტები და მასალები, თბ., 2019, გვ. 199.

გავლენიან ბერლინურ გაზეთში – *Vossische Zeitung* გაუგზავნია. დესპან ფონ რომბერგის სიტყვებით, ის ასახავს ქართველი ხალხის მდგომარეობასა და მის მისწრაფებებს და ფიქრობს დააჩქარებინოს მისი დაბეჭდვა. ჩემი აზრით, სწორედ ამ მოწოდების საგაზეთო ამონაჭერი (სამწუხაროდ, არ ჩანს, რომელი გაზეთია) და სტამბურად ნაბეჭდი მისი ფრანგული დედანი ინახება ამავე ფონდის სხვა საქმეში. საგაზეთო სტატიას ჰქვია: *Georgier gegen Russland* / „ქართველები რუსეთის წინააღმდეგ“. მის დასაწყისშივე ნათქვამია, რომ „მიმართვა ცივილიზებული სამყაროს“ (*Appel au monde civilisé*), რომელიც „თავისუფალ საქართველოს“ კომიტეტის (*Comité de la “Géorgie libre”*) სახელით ქვეყნდება, გადმობეჭდილია *Kölnische Zeitung*-იდან.⁶⁰ ამავე ფონდის სხვა საქმეში ინახება მოწოდების ფრანგული დედანი, სტამბურად ნაბეჭდი სამი გვერდი, რომელიც შინაარსით მცირედით განსხვავდება გერმანული საგაზეთო ტექსტისგან.⁶¹ მოწოდებაში მოკლედ არის საუბარი საქართველოს უძველეს ისტორიასა და კულტურაზე; რუსეთის მიერ 1783 წლის ტრაქტატის პირობების უხეშად დარღვევაზე; მეფის რუსეთის რუსიფიკატორულ პოლიტიკაზე; ქართველი მამულიშვილების წინააღმდეგ რეპრესიებზე; გამოთქმულია იმედი, რომ მიმდინარე ომის ფონზე ცივილიზებული სამყარო საქართველოს საკითხზე თავის მიუკერძოებელ განაჩენს გამოიტანს. მიუხედავად ამისა, ი. ჯაბადარი ხმამაღლა უარყოფდა შენევის კომიტეტის არათუ წევრობას, მასთან თანამშრომლობასაც კი: 1915 წლის 19 ოქტომბრის მოხსენებით ბარათის თანახმად, ბერნში გერმანიის სადესპანოს სამხედრო ატაშეს ნდობით აღჭურვილ პირთან საუბარში მას განუცხადებია, რომ კომიტეტის საქმიანობისგან შორს დგას და გერმანიის მთავრობასთან პირდაპირი თანამშრომლობა სურს.⁶²

ჯაბადარი იმდენად ცდილობდა გერმანელების ნდობის მოპოვებას, რომ მან თავის მეკავშირეს, სამხედრო ატაშეს ნდობით აღჭურვილ პირს, გიორგი კერესელიძესთან თავისი არცთუ სასიამოვნო პირადი, 1915 წლის სექტემბრის მიმონერის ფრანგული თარგმანი აახლა. გერმანულ არქივში შემონახულია კერესელიძის წერილი ჯაბადარის მიმართ ქართულ ენაზე, ფრანგული თარგმანითურთ და, ასევე, ჯაბადარის საპასუხო წერილი ფრანგულ ენაზე.⁶³ კერესელიძის წერილი მრავალმხრივ არის საინტერესო და მას აქ მთლიანად ვაქვეყნებ (სტილი და ორთოგრაფია დაცულია; პუნქტუაცია ჩემია):

„23/IX 1915, ქ. ბერლინი.

ძმაო ირაკლი, ამას წინეთ სამინისტროში დაგვიბარეს მე და მიხა წერეთელი და წავიკითხეს თქვენი მოხსენებები საქართველოს თაობაზე. შემდეგ გვკითხეს ჩვენი აზრი თქვენზე და სხვა „მანდაურ“ ქართველებზე.

ერთი რამ მეწყინა, მე თქვენ მიმჩინიხართ გულწრფელ ქართველად, სამშობლოს მოსიყვარულეთ. თქვენ კარგათ იცით, რომ ჩვენ დიდი ხანია ვმუშაობთ და ვაკეთებთ რაც შეგვიძლია. იმის მაგიერ, რომ გვკითხათ ჩვენთვის რაშია საქმე და თუ მუშაობა გასურდათ, გემუშავათ ჩვენთან, თქვენ რაღაც ხმებს აჰყოლიხართ და სჩადით ისეთ საქციელს, რომელიც არ არის ხელსაყრელი ჩვენი სამშო-

60 PA AA, RZ201 21015.

61 PA AA, RZ201 21014.

62 PA AA, RZ201 21015.

63 PA AA, RZ201 21015.

ბლოსათვის. მე ვიცი, რაშია(ც არის მანდ საქმე. თვით თედოც (სახოკია) მოტყუებულია ერთი ვაჟბატონით, რომელიც უკმაყოფილოა ჩვენი კომიტეტის. მაგის განუსაზღვრელმა თავმოყვარეობამ და დიქტატორობის სურვილმა, აუტანელმა წერილმა, უსინდისო ინტრიგანობამ, ზომას გადააჭარბა და შეუძლებელი გახდა მაგასთან მუშაობა. იქამდის მივიდა მაგის ინტრიგანობა, რომ გახდა ზოგიერთი ჩვენი სამშობლოს მტრის, რომელთაც სწადათ ჩვენი ქვეყნის განადგურება, აგენტათ და შეჰპირდა მათ შეადგინოს ახალი კომიტეტი, რომელიც ხელს შეუწყობს მათ შავ საქმეს.

მიუხედავად იმისა, რომ მაგ ვაჟბატონს უყვარს სამშობლო, იქამდის მიდის მაგის ინტრიგანობა, რომ არ ჰგრძნობს თუ რას სჩადის. დეე აკეთოს მაგან თავისი შავი საქმე, ჩვენ მაგისი არ გვემინია. ჩვენ დავრჩებით ჩვენს ადგილას, სანამ სული გვიდგია. ჩვენ ვიბრძვით, სანამ საჭიროა ეს და მაგის ინტრიგები მხოლოდ მაგას მოსცხებენ ჩირქს. ეს ვაჟბატონი გახლავთ ნიკოლოზ არხიმანდრიტი. თედოც შეცდომაში შეუყვანია როგორც ჩანს. და თქვენც მაგას აჰყოლიხართ. რასაკვირელია, თქვენმა მოხსენებამ მხოლოდ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა გერმანელებზე იმ მხრივ, რომ სასაცილოდ შეექმენით და ინტრიგის სული იგრძვნეს. მიუხედავად იმისა, რომ მე იძულებული ვიყავ დამეცვით თქვენც და თედოც, მაინც ეჭვის თვალთ შეხედეს თქვენს საქციელს. აუხსენ, რომ თქვენც და თედოც მხოლოდ შეცდომაში ხართ შეყვანილი-მეთქი და ინტრიგანობას არ იკადრებენ-მეთქი.

კიდევ ერთი რამ, მითხარით თუ ღმერთი გნამთ, რა საჭიროა ასეთი მყვირალა სიტყვები, ასეთი უნიადაგო ფესტები, რალაც პროგრამები, როდესაც არც კი იცით რაშია საქმე, როგორ მიდის მუშაობა, რომელ აჟანყებულ (sic!) საქართველოზე ლაპარაკობთ. იცით თუ როგორ არის შესაძლებელი აჟანყება (sic!), ან რა პირობებში უნდა მოენყოს, ან შესაძლებელი არის თუ არა აჯანყება და სხვა. არაფერი ეს არ იცით, არ იცით როგორ არის დაყენებული საქმე და რალაცას სწერთ, რალაცას ატრიალებთ. მე, პირადათ, ყველა ეს არ მიმაჩნია საქმეთ და ვგომბ სავსებით.

აცხადებთ, რომ ჩვენი კომიტეტი შემცდარ გზას დაადგა და ითვისებთ სახელს - „თავისუფალი საქართველო“, რომელიც თქვენ არ გეკუთვნით და ქმ[ნ]-ით ზეპირათ მუშაობის პროგრამას მაშინ, როდესაც არ იცით რა გააკეთა ამ კომიტეტმა, ან თუ შესცდა, რაში შესცდა და ვილაც ინტრიგანის სიტყვას აჰყოლიხართ. საბედნიეროთ, ყველა ამას ჩვენი საქმის გაფუჭება არ შეუძლია და სამწუხარო აქ მხოლოდ ის არის, რომ თქვენ ირცხვენთ თავს.

დამიჯერეთ (გეუბნებით ძმურად), თქვენთვის სჯობია თავი დაანებოთ მაგაებს და [თუ] მუშაობა გინდათ, სერიოზულად იმუშავეთ.

რაც შეეხება თქვენს პირად საქმეს. სამწუხაროთ მე აქამდის მეტად დაკავებული ვიყავ. და საკმარისად ბერლინიშიც არ ვიყავ (სხვაგანაც მქონდა საქმეები). ველაპარაკე სამინისტროში ახლა. მკითხეს რას ურჩევ, როგორ მოიქცნენ. მე უთხარ, რომ კარგს იზამენ, თუ მოგცემენ საშვალებას აქ ჩამოხვიდეთ და კონცერტები გამართოდ. იგივე უთხრა წერეთელმა. ამაზე დავითანხმეთ. ჩამოდით და გამართეთ კონცერტები. ეს კარგი საქმეა.

დამპირდნენ, რომ მოგცემენ უფლებას აქ ჩამოსვლისას კონცერტებისათვის.

თედო სახოკიას მისწერა წერილი მიხამ უკვე დიდი ხანია. წერილი უკვე შენევაში არის ჩემს ცოლთან, მარა ვინაიდგან თედო შენევაში არ არის, ის წერილი ჯერ ვერ გადაუციათ.

დიდი მოკითხვა თქვენს მეუღლეს.
დაგრჩები მეგობრული სალამით.
გიორგი კერესელიძე.
G. Kereselidze
Passauerstrasse 37
Berlin N50“

კერესელიძის შეურაცხმყოფელ წერილზე ჯაბადარმა მოკლე, მაგრამ მკვახე პასუხი გასცა, რომელშიც ის არ უარყოფს, რომ თავიდან მართლაც ჰქონია თედო სახოკიასთან ურთიერთობა, რომელიც შემდეგ გაუნწყვეტია, რადგან სახოკიას მისთვის ბოლომდე არ გაუნდვია თავისი მიზნები. რაც შეეხება არქიმანდრიტ ნიკოლოზს, ჯაბადარი მასზე საუბარს საერთოდ თავს არიდებს:

„გაკვირვებული ვარ თქვენი წერილის ტონით და გიკრძალავთ ისეთი გამოთქმების გამოყენებას, როგორცაა, „სამარცხვინო ვითარება“. მე არ მჭირდება თქვენი დაცვა.

მე ყოველთვის სწორ და ინტრიგების გარეშე გზას ვადექი და არაფერი მაქვს დასამალი და სასაყვედურო. ნებაყოფლობით თუ არა, თქვენ სახოკიას საქმეებში მრევთ, რასაც მხოლოდ თქვენგან ვიგებ. მე მასთან ყველანაირი ურთიერთობა გავწყვეტე, როცა მან არ მოისურვა ელიარებინა, თუ რა მიზანს ემსახურებოდა მისი საქმე. რა თქმა უნდა, მე მხოლოდ ხელოვანი ვარ, მაგრამ ქვეყნის სიყვარული და გულწრფელად მის სამსახურში ყოფნა ყველა კაცის მოვალეობაა, შესაბამისად, შეუძლებელია, სიტყვები, რომელიც გადმოსცემს ამ გრძნობებსა და განზრახვებს ჩანდეს სასაცილო, იმ ერის თვალში, რომელიც ამ კუთხით სამაგალითოა. ასევე, შეუძლებელია ჩემს განზრახვათა ეჭვქვეშ დაყენება. ასევე, გირჩევთ, ბატონო, იქამდე, სანამ თქვენს თანამოქალაქეს უსაფუძვლოდ შეუტევთ, მაგალითი აგელოთ იმ მშვენიერი სოლიდარობის, რომელიც ახლა მუდმივად თვალწინ გიტრიალებთ. თქვენი საყვედური აშკარა ცუდი რწმენის დასტურია, რადგან არ შემიძლია იგი უცაბედ გულმავინყოფას მივანერო.

მე თქვენ ჯერ სიტყვიერად მოგმართეთ, მაგრამ უშედეგოდ, შემდეგ წერილობით, მაგრამ პასუხი არასდროს მიმიღია თქვენგან. ამ ორაზროვნების გასაფანტად, ვალდებული ვარ მოგწეროთ ფრანგულად და დაჯურთო ზუსტი თარგმანი თქვენს წერილს.

პატივისცემით,

გრაფი ი. ჯაბადარი“.

აქ მოვლენებს ქრონოლოგიურად ცოტა წინ გავუსწრებ: როგორც ჩანს, გერმანელები იმდენად დაინტერესდნენ ჯაბადარის პიროვნებით, რომ მის შესახებ აზრი „განთავისუფლების კომიტეტის“ წევრებისთვის მოგვიანებით კიდევ უკითხავთ. 1915 წლის 3 დეკემბერს გიორგი კერესელიძე გერმანიის იმპერიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ლეგაციის მდივანს, ოტო გიუნტერ ფონ ვეზენდონკს ატყობინებდა: „პატივი მაქვს შემდეგი შეგატყობინოთ: გამოვიძიე ბატონ ჯაბადარის საკითხი და დავადგინე, რომ ის პოლიტიკური საქმისთვის გამოსადეგი არ არის, მიუხედავად იმისა, რომ კარგი ქართველია. კომიტეტმა (რომელიც 5 ქართველისგან შედგებოდა), რომელმაც ბერნში დაიწყო მუშაობა⁶⁴ და რომელ-

64 აქ გაუგებარია კერესელიძე სახოკიას კომიტეტს შეცდომით უწოდებს „ბერნის კომიტეტს“

საც ჯაბადარიც მიეკუთვნებოდა, აღარ არსებობს. ამ სამუშაოში, ჩემის აზრით, ჯაბადარს ცოტა პერსონალური ინტერესიც ჰქონდა. თუმცა მას შეუძლია ჩვენს საქმეს სხვა ფორმით გაუწიოს სამსახური: როგორც ნიჭიერ კომპოზიტორს და ქართული მუსიკის კარგ მცოდნეს მას შეუძლია ბერლინში გამოვიდეს და ბერლინურ პუბლიკას ქართული მუსიკის შესახებ ცნობა მისცეს. ... მე ჯაბადარს მივწერე, რომ ცოტა ხნით ჩამოვიდეს და შევპირდი, რომ ყველაფერში დავეხმარებოდი, მაგრამ აქამდე მისგან პასუხი არ მიმიღია. პატივცემულო ბატონო ბარონ, თუ თქვენ კვლავ გაინტერესებთ ბატონ ჯაბადარის პიროვნება, თქვენს სამსახურში მიგულებთ და ყოველთვის შემიძლია დეტალების შესახებ ინფორმაციის მოცემა“.⁶⁵

ვეზენდონკისადმი მიწერილ ოფიციალურ წერილში კერესელიძის თქმით, სახოკიას კომიტეტი ხუთი კაცისგან შედგებოდა. ჯაბადარისადმი პირადი წერილიდან კი ჩანს, რომ ის სახოკიას, ჯაბადარს და არქიმანდრიტ ნიკოლოზს ერთ კომიტეტში მოიაზრებდა. გაურკვეველი რჩება კომიტეტის დანარჩენი ორი წევრის ვინაობა. საინტერესოა, რომ რუსული ჟანდარმერიის აგენტურული მონაცემების თანახმად, 1916 წლის დოკუმენტებში, თედო სახოკია, ვარლამ ჩერქეზიშვილი და ვინმე დადიანი ერთი კომიტეტის წევრებად არიან მოაზრებული. მათი კომიტეტი კი „დადიანის კომიტეტის“ სახელით არის ცნობილი.⁶⁶ უეჭველია, რომ არქიმანდრიტი ნიკოლოზი და ვარლამ ჩერქეზიშვილი ერთმანეთს პირადად იცნობდნენ. ალ. ჯაბადარის ბინაზე უცხოელ ჟურნალისტებთან, ნევისონთან და დრაიჰარსტთან გამართული საუბრისას ისინი უთუოდ შეხვდებოდნენ ერთმანეთს (იხ. ზემოთ). ძნელი სათქმელია ვინ უნდა იყოს ჟანდარმერიის ცნობების „დადიანი“. იქვე იხსენიება „თავადი დადიანი“ ზუგდიდის მაზრიდან, როგორც „ქართული ლეგიონის“ სამხედრო ქვედანაყოფის ერთ-ერთი მეთაური.⁶⁷ შესაძლოა მასში ნიკოლოზ (კოკი) დადიანი იგულისხმებოდეს, რომელსაც კავშირი ჰქონია საზღვარგარეთ „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტთან“⁶⁸ თუმცა ამის დამამტკიცებელი რაიმე საბუთი ჯერ-ჯერობით არ არსებობს. გასათვალისწინებელია, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პირები სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წევრები იყვნენ. აქ კიდევ ერთი რამ იქცევა ყურადღებას: მ. სიორიძის ნაშრომის თანახმად, „დადიანის კომიტეტის“ გააქტიურებისა და „ქართველთა ეროვნული მოძრაობის საკუთარ კონტროლქვეშ მოქცევის მიზნით, პირველი მსოფლიო ომის წინ ოსმალებმა შექმნეს განსაკუთრებული (პოლიტიკური) კომისია“⁶⁹ რომლის შემადგენლობაშიც უნდა შესულიყვნენ 3 გერმანელი, 4 ოსმალი

თუ შეგნებულად, სხვა რაიმე მიზნით? სხვა დროს ის „ჟენევის კომიტეტად“ მოიხსენიება.

65 მამულია გ., ასტამაძე გ., საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი 1914-1918: დოკუმენტები და მასალები, თბ., 2019, გვ. 224.

66 ბაქრაძე ლ., გერმანულ-ქართული ურთიერთობები პირველი მსოფლიო ომის დროს (ქართული ეროვნული კომიტეტის საქმიანობა 1914-1918 წწ.), თბ., 2009, გვ. 48, 49, 196 (შენ. 477).

67 სიორიძე მ., საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი (1914-1918). ბათუმი, 1998, გვ. 72.

68 შარაძე გ., ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. VIII. თბ., 2005, გვ. 72.

69 სამეცნიერო ლიტერატურაში ის ასევე „კავკასიურ კომიტეტადაც“ იწოდება. იხ.: Mamoulia G., Rosyjskie ludobójstwo narodów Północnego Kaukazu w dokumentach kaukaskiego ruchu narodowo-wyzwoleńczego podczas pierwszej wojny światowej (1914–1918). Przegląd Wschodni, 12 (2012), no. 2 (46).

ოფიცერი და 4 ქართველი სეპარატისტი.⁷⁰ ეს კარგად თანხვდება დალევჯიოს არქივში დაცული ნიკოლოზის ავტორობით შექმნილი დოკუმენტის ინფორმაციას: „ორგანიზაცია შედგება ამ წესით: მე და ბატონი მაჩაბელი ვიამხანაგებთ ჩვენ ჩვენის არჩევითა ქრისტიან თუ მაჰმადიან ქართველებიდან თითო კაცსა ოსმალეთის მთავრობის ნდობით აღჭურვილსა; ამნაირათ, გავხდებით ოთხი კაცი. ამ ოთხი კაციდან შემდეგარი კომიტეტი სახელსა ქვეშე „თავისუფალ საქართველო“ იქნება ხელმძღვანელი მთელის ამა პროგრამით და გეგმით მუშაობისა ოსმალეთის მთავრობის ხელქვეითა და მფარველობით“. აქედან ჩანს, რომ არქიმანდრიტ ნიკოლოზის მიერ შექმნილი კომიტეტი ოსმალთა მიერ გერმანელების, თურქებისა და ქართველებისგან შემდგარი პოლიტიკური კომისიის შემადგენლობაში განიხილებოდა. დღესდღეობით, რთულია გადაჭრით იმის თქმა, რამდენად შეეფერება სიმართლეს რუსული ჟანდარმერიის ცნობები: მართლა იყვნენ თუ არა სახოკია და ჩერქეზიშვილი ერთი კომიტეტის წევრები; ვინ იყო ეს „დადიანი“ და რატომ ენოდებოდა ამ ორგანიზაციას „დადიანის კომიტეტი“. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ ეს საკითხი ახსნას და მეტ განმარტებას მოითხოვს და მომავალში კვლევა სწორედ ამ მიმართულებით უნდა წარიმართოს.⁷¹

აქვე აღნიშვნის ღირსია ერთი ფაქტიც: 1914 წლის დეკემბერში, ოსმალთა ჯარების მიერ აჭარის ხანმოკლე ოკუპაციის დროს, მოსახლეობაში გავრცელებულა მოწოდება: „საქართველოს შვილებო! 114 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ივერია რუსეთის მონობის უღელქვეშაა... თურქეთს სურს რუსეთის დასუსტება, რათა გაგათავისუფლოთ თქვენ რუსეთის ბატონობისაგან. თურქეთის ინტერესები მოითხოვენ, რომ ივერია დამოუკიდებელი იყოს. ჩვენ უნდა დავივიწყოთ ძველი მტრობა და დავამყაროთ თურქეთთან მეგობრობა. ჩვენვე უნდა გავხდეთ ჩვენი თავის ბატონ-პატრონი... ქართველებო, იარაღს მოჰკიდეთ ხელი. გვეყო მონობა და მოთმინება. გაუმარჯოს განმათავისუფლებელ ომს“. მ. სიორიძე შენიშნავს, რომ მოწოდებას ბოლოში მიწერილი აქვს: „ქ. თბილისი“. მაგრამ ბათუმის ოლქის ჟანდარმთა სამმართველოს დასკვნით პროკლამაციები დამზადდა ოსმალეთში, ე.წ. „პოლიტიკური კომისიის“ მიერ, რაც სინამდვილეს უნდა შეესაბამებოდეს.⁷² მოწოდება თავისი აშკარად პროოსმალური ტენდენციისა და ტერმინოლოგიის გათვალისწინებით, დიდი ალბათობით, ოსმალურ „პოლიტიკურ კომიასთან“ დაახლოებული ნიკოლოზ არქიმანდრიტის მიერ უნდა იყოს შედგენილი (აუცილებელი არაა, მაგრამ სასულიერო პირები ტერმინ „ივერია“ ხშირად საქართველოს აღსანიშნავად ხმარობდნენ).

70 სიორიძე მ., საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი (1914-1918). ბათუმი, 1998, გვ. 34, 64 შენ. 3; შდრ. გრძელიძე რ., საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნული კომიტეტი (1914-1918 წწ.), თბ., 1995, გვ. 20.

71 გ. შარაძის ვარაუდით, „დადიანი“ უნდა იყოს ლეო კერესელიძის ფსევდონიმი (იხ. შარაძე გ., მემედ აბაშიძე – თამარ მეფის ორდენის კავალერი. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, N2, 1994); მ. სიორიძის აზრით, „დადიანის კომიტეტში“ უნდა იგულისხმებოდეს რუსეთ-გერმანიას შორის ომის დაწყებამდე (1 აგვისტო, 1914 წ.) და ბერლინში „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ დაარსებამდე ქართველ სეპარატისტთა სტამბოლის ცენტრი, რომელიც იყო საზღვარგარეთული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მთავარი კოორდინატორი (იხ. სიორიძე მ., საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი (1914-1918). ბათუმი, 1998, გვ. 34-5).

72 სიორიძე მ., საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი (1914-1918). ბათუმი, 1998, გვ. 96 და იქვე შენ. 18.

დავუბრუნდეთ ისევ ნიკოლოზ არქიმანდრიტსა და მის კომიტეტს. 1915 წლის თებერვალ-მარტში წარმოშობილი დაპირისპირებიდან კომიტეტს, ავად თუ კარგად, კიდევ ერთი წელი მაინც უარსებია, რადგან მხოლოდ 1916 წლის 2 ივნისის წერილში არის საუბარი მის დაშლაზე.

გერმანული საარქივო დოკუმენტებითა და რუსული აგენტურული ცნობებით ირკვევა, რომ მანამდე, 1915 წლის ნოემბერში, გიორგი მაჩაბლის ხელმძღვანელობით ვენაში ჩასულა ქართველებისა და კავკასიელ მუსლიმთა - თათრების (სელიმ ბეი ბებუთოვი), ჩერქეზების (ფუად ფაშა და მერკერ აზიზ ბეი), დაღესტნელების (დოქტორი ისა ფაშა) საკმაოდ წარმომადგენლობითი დელეგაცია. ამ ვიზიტისთვის მზადება ჯერ კიდევ ოქტომბერში დაწყებულა. კონსტანტინოპოლში გერმანიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, ბარონი ჰანს ფრაიჰერ ფონ ვანგენჰაიმი გერმანიის არმიის სახმელეთო ძალების გენერალური შტაბის პოლიტიკის სექციის უფროსს, რუდოლფ ნადოლნის 4 ოქტომბერს ატყობინებდა, რომ იმ დროისათვის კონსტანტინოპოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტერში მხოლოდ კათოლიკე სასულიერო პირები იმყოფებოდნენ, ხოლო მართლმადიდებელი არქიმანდრიტი ნიკოლა (ნიკოლოზი) გასული იყო ქალაქიდან. მაჩაბელი კი ითხოვს პასუხს, თუ ეთანხმება ნიკოლოზი, სავარაუდოდ, ვიზიტის შემადგენლობას, ან პირობებს.⁷³ გერმანული საარქივო დოკუმენტებით ირკვევა, რომ კავკასიური დელეგაციის ევროპაში გაგზავნა ოსმალეთის სამხედრო მინისტრის, ენვერ ფაშას პირადი ინიციატივით მომხდარა და ყველა ხარჯი თავის თავზე ოსმალურ მხარეს აუღია. დელეგაციაში გიორგი მაჩაბლის გარდა საქართველოს წარმომადგენდა არქიმანდრიტი ნიკოლოზი და ოსმალეთის არმიის ლეიტენანტი ქიამილ ბეი თავდგირიძე.⁷⁴ ოსმალეთში გერმანიის იმპერიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი პოლ მეტერნიხი 17 ნოემბერს გერმანიის რაიხსკანცლერ თეობალდ ფონ ბეტმან-ჰოლვეგს ატყობინებდა, რომ უახლოეს დღეებში, ცნობილი თურქი მარშალისა და სენატორის, წარმოშობით ჩერქეზი ფუად ფაშას ხელმძღვანელობით, მიემგზავრება დელეგაცია ვენასა და ბერლინში. დელეგაციის მიზანია, მოკავშირეები დააინტერესოს კავკასიის მომავლის საკითხებით. გარდა ამისა, დელეგაციის ზოგიერთი წევრი აპირებს პროპაგანდა გასწიოს კავკასიელ სამხედრო ტყვეებს შორის. იმ პირობებში, როდესაც გერმანია ღიად უჭერს მხარს კავკასიელ ხალხებს და, განსაკუთრებით, ქართველებს მათ მისწრაფებებში, ელჩს უცნაურად მიაჩნია ის ფაქტი, რომ ოსმალები თავის მხრივ ცდილობენ კიდევ უფრო გააღვივონ გერმანიის ინტერესი კავკასიით. ელჩი კმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ თურქულ ოფიციალურ სტრუქტურებთან მოლაპარაკებებისას სიმშვიდით, მოქნილობითა და ზომიერებით გამორჩეული თავადი მაჩაბელი, რომელიც ისედაც მიემგზავრებოდა ბერლინში, თავის მხრივ იმპულსური და ნერვიული ხასიათით ცნობილი მოხუცი ფუად ფაშას (ამ დროს იგი 80 წლის იყო) გვერდით მოავლინეს. ელჩის ინფორმაციით, არქიმანდრიტი ნიკოლო-

73 PA AA, RZ201 21015.

74 ბაქრაძე ლ., გერმანულ-ქართული ურთიერთობები პირველი მსოფლიო ომის დროს (ქართული ეროვნული კომიტეტის საქმიანობა 1914-1918 წწ.), თბ., 2009, გვ. 50-51. ლ. ბაქრაძე შეცდომით აღნიშნავს, რომ დელეგაციაში გიორგი მაჩაბლის გარდა საქართველოს წარმომადგენდა „კათოლიკე არქიმანდრიტი ნიკოლოზი“. სინამდვილეში ნიკოლოზი არქიმანდრიტი მართლმადიდებელი იყო.

ზი, რომელიც იმ მომენტში შვეიცარიაში იმყოფებოდა, თურქების დაჟინებული მოთხოვნითა და მხარდაჭერით ჩართეს დელეგაციაში და იქვე აღნიშნავს, რომ მასზე გერმანელებთან დაახლოებული ქართველები არც თუ კარგი აზრისა არიან, მისი არასანდოობისა და ინტრიგებისადმი მიდრეკილების გამო; იქვე ამატებს, რომ საელჩოში იგი პირადად არავის სცნობია. საბოლოოდ, გერმანული მხარე არქიმანდრიტის დელეგაციაში ჩართვაზე მაინც დათანხმებულია იმ მიზეზით, რომ მას თურქული მხარე ენდობა და მისი პიროვნების უარყოფა, მაჩაბლის აზრითაც, ოსმალეთთან ვითარებას გაამწვავებდა, რაც სასურველი არ იყო. არ არის გასაკვირი, რომ არქიმანდრიტი ნიკოლოზი გიორგი მაჩაბელთან ერთად წარმოადგენს საქართველოს ამ დელეგაციაში. როგორც ზემოთ ვნახეთ, ეგვინი დალეჯიოს არქივში დაცული დოკუმენტით, „თავისუფალ საქართველოს კომიტეტის“ ბირთვი სწორედ ეს ორი ადამიანი უნდა ყოფილიყო, რისი მცდელობაც ნიკოლოზ არქიმანდრიტს ჰქონია. დასაწყისისთვის, არც მაჩაბელი ცდილობდა ვითარების გამწვავებას და ურთიერთობას ინარჩუნებდა ნიკოლოზთან. ცნობილია, რომ დელეგაციამ მისი ხელმძღვანელის, მარშალ ფუად ფაშას ხელით გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო მდივანს გოტლიბ ფონ იაგოვს გადასცა რეზოლუცია, რომელშიც პირველად იყო გამოთქმული კავკასიის კონფედერაციის შექმნის იდეა. საინტერესოა, რომ საქართველოს მხრიდან რეზოლუციას ხელს აწერენ მხოლოდ თავადი გიორგი მაჩაბელი და ქიამილ ბეი თავდგირიძე, კავალერიის ლეიტენანტი, მაგრამ – არა არქიმანდრიტი ნიკოლოზი.⁷⁵ საბოლოოდ, ამ „კავკასიელ ერების წარმომადგენელთა კომისიის“, როგორც მას გ. კერესელიძე უწოდებს, ევროპულ ვოიაჟს დიდი შედეგები ვერ მოუტანია. გ. კერესელიძე ბერლინიდან სტამბოლში მეგობრებს სწერდა: „გეცოდინებათ სტამბოლში, თათრის მთავრობის დახმარებით შესდგა კავკასიელ ერების წარმომადგენელთა კომისია და ჩამოვიდა ბერლინში. ამ საქმიდან თითქმის არა გამოვიდა რა, ვინაიდან ძნელი გახდა მათთან მუშაობა... ეს კომისია თითქმის დაიშალა. ვმუშაობთ ცალ-ცალკე...“.⁷⁶

ამ დელეგაციის ევროპული ვოიაჟის შედეგებს ეხება გიორგი კერესელიძე თავის 1916 წლის დასაწყისის (წერილს მხოლოდ წელი უზის თარიღად) საკმაოდ ვრცელ წერილში, რომელიც სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტრის არქივში ინახება და სულ სამიოდე წლის წინ გამოქვეყნდა. მისი ადრესატი მითითებული არ არის, მაგრამ შინაარსიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ გ. კერესელიძე ტრაპიზონში მყოფ კომიტეტის წევრებს მიმართავს. პირველ რიგში, ის თავის „ძვირფას მეგობრებს“ აცნობს გერმანიაში კავკასიური დელეგაციის ვიზიტის, ქართველ ტყვეებთან მუშაობისა და საქართველოს სასარგებლოდ გაწეული პროპაგანდის შედეგებს. შემდეგ ეხება კომიტეტისა და ქართული ლეგიონის სტრუქტურასა და მუშაობის რეგლამენტს, ბერლინის, სტამბოლისა და ტრაპიზონის კომიტეტებს შორის კოორდინაციის აუცილებლობას და სხვა. ამჯერად, ჩვენთვის საინტერესოა მისი, და, როგორც ჩანს, კომიტეტის ძირითა-

75 Mamouli G., Rosyjskie ludobójstwo narodów Północnego Kaukazu w dokumentach kaukaskiego ruchu narodowo-wyzwoleńczego podczas pierwszej wojny światowej (1914–1918). Przegląd Wschodni, 12 (2012), no. 2 (46), pp. 3, 7-8.

76 მალაყმაძე რ., ფუტკარაძე შ. და სხვ. წერილები სტამბოლის ქართული საგანიდან, ტ. II. ბათუმი, 2020, გვ. 527.

დი ბირთვის, დამოკიდებულება საქართველოში შესაძლო აჯანყებისადმი და ამ კონტექსტში ნიკოლოზ არქიმანდრიტის მოხსენიება. კერძოდ, იგი წერს: „ჩვენის ღრმა რწმენით, დიდი და დიდი სიფრთხილეა საჭირო, აუჩქარებელი და დაფიქრებითი მოქმედება. არ გაგვიტაცოს დროებითი გამარჯვების აჩრდილმა, არ ჩავებათ ისეთ საქციელში, რომელიც მოსპობს ჩვენს ჩაგრულს ერსა. ჩვენ მოვითხოვთ და მეგობრულათაც გთხოვთ, არაფერი მოქმედება არ დაიწყოს, სანამ არ ნახავთ, რომ თათრის ჯარს გადაწყვეტილი აქვს სერიოზული ბრძოლა და რომ იგინი საკმარისი ძალებით იწყობენ რუსების წინააღმდეგ გალაშქრებას. ასწონ-დასწონეთ, გამოიანგარიშეთ, არ დაგავინწყდეთ, რომ უბრალო აჩქარებამ შეიძლება მოსპოს ჩვენი ერი... გახსოვდეთ, რომ ჩვენ არ ვართ აჯანყებული ერი, რომელსაც მთლიანად მოსპობს მტერი, ისარგებლებს შემთხვევით და სულ გაანადგურებს უშიშრათ, მოსპობს მთელს ერს, როგორც ასეთს და დაისაკუთრებს მინა-წყალს. მაშ დაფიქრება, სიმშვიდე, ობიექტური დაფასება მდგომარეობისა არის საჭირო; და მხოლოდ ისე გადაწყვეტა მოქმედების დაწყებისა. საჭიროა არ ჩავრიოთ რაიმე მოსაზრება, გარდა ჩვენი იდეისა, გარდა ჩვენი ერის ბედ-ილბალისა. მაშ კიდევ გიმეორებთ: აუცილებლათ უნდა მოუცადოთ თათბირის სერიოზულ და მძლავრ ოფანსივას, თორემ დავმარცხდებით, მოვისპობით მთელი ერი, და გავხდებით რუსის და სომხის წერა. ეს არის ჩვენი უდიდესი თხოვნა და სურვილი როგორც კომიტეტის ნაწილისა“. იმ მოცემულ მომენტში აჯანყების მიუღებლობის თემას კერძო პირდაპირ აბამს ნიკოლოზის საკითხს, რომელიც, როგორც ზემოთ უკვე არაერთხელ აღინიშნა, ოსმალეთის დახმარებით საქართველოში და კავკასიაში დიდი ანტირუსული აჯანყების მომხრე იყო. კერძოდ, იგი წერს: „ნიკოლოზი ჩასულა სტამბოლში და ეწევა საშინელ ინტრიგებს, არამც თუ მარტო კომიტეტის წინააღმდეგ, არამედ ყველა ჭუჭყით და ჭორით პიროვნებების წინააღმდეგაც. მას შეუდგენია, ვითომდა, ახალი ცენტრალური კომიტეტი ჟენევაში და მის საშუალებით მოქმედებს. აგრეთვე, შეუდგენია ახალი კომიტეტი სტამბოლში, სადაც მელიან ამბაქო, ფალავა⁷⁷ და სხვა. გიორგი (იგულისხმება მაჩაბელი, - ნ. ნ) ხვალ ან ზეგ მიდის ისევ სტამბოლში და ვნახოთ როგორ იმოქმედებს. საჭიროა ადგილობრივ პირობებსაც გაუწიოს ანგარიში. ჩვენის აზრით, კი საჭიროა (თუ ეს შესაძლებელია) პირდაპირ მის, ნიკოლოზის, წინააღმდეგ მოქმედება და ულტიმატუმის დაყენება, ან ჩვენ ან ეგ, თუ არა და არ გვინდა მუშაობა. საჭიროა ერთხელ და სამუდამოთ ვუთხრათ, რომ ჩვენს დაუკითხავათ ვერავისთან ვერ დაიჭერს საქმეს. მარა ვნახოთ კიდევ რა გამოიკვევა სტამბოლში“.⁷⁸

როგორც ჩანს, „განთავისუფლების კომიტეტის“ ორ დაპირისპირებულ ჯგუფს შორის ურთიერთობა საბოლოოდ 1916 წლის გაზაფხულის ბოლოს გა-

77 უცნობია ვინ უნდა იყოს ვინმე „ამბაქო“, ანუ ამბაკო. რაც შეეხება ფალავას, ხომ არ არის ეს ვინმე ვლადიმერ აჰმედ ბეი ფალავა, რომელსაც ამავე მონასტრის დოკუმენტების თანახმად, სტამბოლის ქართული ბიბლიოთეკისთვის 6 მანეთი და 40 კაპიკი შეუწირავს; იმავე დოკუმენტებში იხსენიება აგრეთვე პერის (დღევანდელი ბეიოლლუს რაიონი სტამბოლის შემადგენლობაში) გუბერნატორი, პოლკოვნიკი აჰმედ-თევფიკ ბეგ ფალავა. გაურკვეველია ეს ორივე პირი ერთი და იგივეა, თუ არა (იხ. ფუტკარაძე შ., მალაყმაძე რ. და სხვ. წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან. ბათუმი, 2017, გვ. 282-83, 328; შდრ. შარაძე გ., აკაკის იუბილე. თბ., 2006, გვ. 270, სადაც ის აჰმედ ბეიდ არის დასახელებული).

78 მალაყმაძე რ., ფუტკარაძე შ. და სხვ. წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან, ტ. II. ბათუმი, 2020, გვ. 529-30.

წყდა, გიორგი მაჩაბლის მცდელობამ, დაერწმუნებინა არქიმანდრიტი ნიკოლოზი მისი გზის სიმცდარეში, ნაყოფი ვერ გამოიღო. 2 ივნისის წერილში გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს აღმოსავლეთის ცნობათა ბიუროს დირექტორის, პროფ. ოიგენ მიტვოხისადმი მიმართულ წერილში, არქიმანდრიტ ნიკოლოზის ყოფილი თანამზრახველი (დალეჯიოს არქივის დოკუმენტის თანახმად), გიორგი მაჩაბელი გერმანელ დიპლომატს „ახარებდა“ არქიმანდრიტის კომიტეტის არსებობის შეწყვეტას: „ერთი გასახარი ინფორმაცია შემძლია მოგანოდოთ, რომ მეორე კომიტეტმა უბადრუკად შეწყვიტა არსებობა. ისინი ქმედებებით ერთმანეთს ზენოლის ქვეშ აქცევდნენ და ერთმანეთის წინააღმდეგ თურქებთან იყვნენ შეფიცული...“.⁷⁹ აქ კიდევ ერთხელ მტკიცდება ის, რაც დალეჯიოს არქივის დოკუმენტში ჩანს, რომ არქიმანდრიტს თავის საქმიანობაში მთლიანად ოსმალეთის დახმარების იმედი ჰქონდა, თუმცა ევროპის ასპარეზზეც ცდილობდა გასვლას (მაგ. თედო სახოკიას მეშვეობით, თუ ქართულ-კავკასიურ დელეგაციაში თავისი მონაწილეობით). მაგრამ ნიშანდობლივია მაჩაბლის სიტყვები – „ისინი ქმედებებით ერთმანეთს ზენოლის ქვეშ აქცევდნენ და ერთმანეთის წინააღმდეგ თურქებთან იყვნენ შეფიცული“, რაც შესაძლოა იმაზე მიანიშნებდეს, რომ ამ ორ კომიტეტს შორის ოსმალეთთან ახლო ურთიერთობის დამყარებაზე გარკვეული კონკურენციაც იყო.

1916 წლის 15 ივნისის წერილში გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიმართ, მაჩაბელი კვლავ იმეორებს ნიკოლოზის „ჯგუფის“ დაშლის შესახებ ინფორმაციას და კიდევ რამდენიმე საყურადღებო დეტალს გადმოგვცემს: „ჩემი კონსტანტინოპოლში ყოფნის დროს გადაჭრილ იქნა ორი სხვა, ყურადღების ღირსი საკითხი. პირველი არის არქიმანდრიტ ნიკოლოზის ჯგუფის დაშლა, რომლის ინტრიგები ამდენად აბრკოლებდნენ ჩვენს მოქმედებას. მისი კომიტეტის წევრებმა მომმართეს თხოვნით, მომეცა მათთვის სამუშაო. მე ვფიქრობ ისინი სამსუხმუშო გავაგზავნო, სადაც მათ სამხედრო დისციპლინის პირობებს და მათდამი მოცემულ სამუშაოს დავუქვემდებარებ. საამისოდ ისინი მომცემენ მე ვალდებულების ხელწერილებს. ამრიგად ერთხელ და სამუდამოდ აღვმოვფხვრით ახალი ინტრიგების თესლს კონსტანტინოპოლში“. მეორე საკითხად მაჩაბელი გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს აცნობებს, რომ მას გადაუწყვეტია ოსმალეთში ყოველთვიური ჟურნალის გამოცემა, „რომლის მთავარი მიზანი იქნება კარგ ურთიერთობათა განვითარება ოსმალურ წრეებთან და მათი თანაგრძნობის მოპოვება. ამ ჟურნალში ითანამშრომლებენ ასევე კავკასიის სხვა ხალხთა წარმომადგენლები, რაც კიდევ უფრო განამტკიცებს არსებული სოლიდარობის კავშირს“. ამ განზრახვის შესახებ მაჩაბელს უკვე მიუმართავს ოტომანთა მთავრობისთვის, ნებართვის მისაღებად.⁸⁰ ამ პასაჟიდან ცხადი ხდება, რომ არქიმანდრიტ ნიკოლოზის კომიტეტი არცთუ მცირერიცხოვანი ყოფილა და მასში სავარაუდოდ, ასევე შედიოდნენ სამხედრო პირები თუ მოხალისეები, რადგან მაჩაბელს მათი სამსუხმუშო გავგზავნა (სადაც „ქართული ლეგიონი“ იმყოფებოდა 1916 წლის მარტიდან) და

79 მამულია გ., ასტამაძე გ., საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი 1914-1918: დოკუმენტები და მასალები, თბ., 2019, გვ. 301. გიორგი მაჩაბლის ამ წერილის შემდეგი ერთი ფურცელი აღმოჩნდა ამავე არქივის სხვა საქმეში (იხ. PA AA, RZ201 21014).

80 მამულია გ., ასტამაძე გ., საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი 1914-1918: დოკუმენტები და მასალები, თბ., 2019, გვ. 310-311.

„სამხედრო დისციპლინის პირობებისთვის“ დამორჩილება გადაუწყვეტია. გარდა ამისა, ჩანს, რომ მაჩაბელი ცდილობს სპეციალური ჟურნალის დაარსებით ოსმალებთან დაათბოს ურთიერთობა, რასაც მანამდე არქიმანდრიტი ნიკოლოზი თაობდა და ამით შეავსოს ის სიცარიელე, რომელიც ნიკოლოზთან დაპირისპირებამ და მისი კომიტეტის დაშლამ გამოიწვია.

გ. მამულიას და გ. ასტამაძის მიერ უცხოურ არქივებში შესწავლილი დოკუმენტებიდან, რომელიც არქიმანდრიტ ნიკოლოზის „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტთან“ დაძაბულ ურთიერთობას და მისი მოღვაწეობის ხასიათს ეხება, ბოლო 1916 წლის 22 სექტემბრით არის დათარიღებული. ეს არის კომიტეტის წევრთა, გიორგი კერესელიძის და მიხეილ წერეთლის მოხსენება ოტო გიუნტერ ფონ ვეზენდონკს (გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ლეგაციის მდივანს), „კერასუნტში (დღევანდელი გირესუნი, - ნ. ნ.) დისლოცირებული ქართული ლეგიონის წიაღში ზოგ გერმანელ და ქართველ სამხედრო მოსამსახურეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოებისა და კონფლიქტის დარეგულირების სასწრაფო აუცილებლობის შესახებ“. მოხსენების ავტორები აღწერენ, რომ თურქული მხარისაგან ბევრ დაბრკოლებას და ინტრიგას აწყდებიან. ამავე დროს, ქართველებს შორისაც, თვით კომიტეტის შიგნითაც კი, არსებობდნენ ელემენტები, რომლებიც აგრეთვე ინტრიგებს ეწეოდნენ, რაც პირდაპირ იქნა გამოყენებული კომიტეტის მოწინააღმდეგე თურქების მიერ. ამასთან ისინი მხარს უჭერდნენ იმავე დესტრუქციულ ქართველ ელემენტებს, და იყენებდნენ მათ საკუთარ ინტრიგებში კომიტეტის წინააღმდეგ. ამის გამო გერმანელები უკმაყოფილონი იყვნენ, რის გამოც კომიტეტს „საკუთარი ხალხის“ წინააღმდეგ მკაცრი ზომების გატარება, ან მათი სრულებით მოშორება მოუწია, როგორც მაგალითად, კონსტანტინოპოლში არქიმანდრიტი ნიკოლოზის შემთხვევაში.⁸¹ ეს მოხსენება კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ „განთავისუფლების კომიტეტის“ არქიმანდრიტ ნიკოლოზთან კონფლიქტის უმთავრესი მიზეზი ამ უკანასკნელის თურქულ მხარესთან ახლო ურთიერთობები და მათი დახმარებით საქართველოში აჯანყების მოწყობის განზრახვა უნდა ყოფილიყო.

საბოლოოდ, ზემოთ მოყვანილი ფაქტებისა და მსჯელობის საფუძველზე, შეგვიძლია ნიკოლოზ არქიმანდრიტის ბიოგრაფიისა (1908 წლიდან) და მისი „თავისუფალ საქართველოს კომიტეტის“ ისტორიის ასეთი რეკონსტრუქცია შემოგთავაზოთ:

1908 წლის მაისში, სავარაუდოდ, ნიკოლოზ ნამორაძე კლავს საქართველოს ეგზარქოსს, ნიკონ სოფიისკის, საქართველოს ეკლესიაში მის მიერ დაგეგმილი ანტიქართული რეორგანიზაციის პროექტის გამო; იმავე წლის ზაფხულში ნიკოლოზი არალეგალურად კვეთს ოსმალეთის საზღვარს, მიდის ემიგრაციაში სტამბოლში და ცხოვრობს ქართველ კათოლიკეთა მონასტერში;

1909 წლის დასაწყისში სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტრის მღვდელმსახურთა მეშვეობით ნიკოლოზი დაუკავშირდა რომში მოღვაწე მიხეილ თამარაშვილს და მასთან მიწერ-მოწერა გააბა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენაზე და რომთან შესაძლო უნიის საკითხებზე;

1909 წლის სექტემბერში ციმბირის გადასახლებიდან გამოქცეული სოცია-

81 მამულია გ., ასტამაძე გ., საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი 1914-1918: დოკუმენტები და მასალები, თბ., 2019, 319-20.

ლისტ-ფედერალისტი თედო სახოკია არალეგალურად მიემგზავრება ევროპაში სტამბოლის გავლით, იქ ორი კვირის განმავლობაში ქართველ კათოლიკეთა მონასტერს შეაფარა თავი, სადაც მას უნდა გაეცნო არქიმანდრიტი ნიკოლოზი;

1911 წელს ჟენევაში, ქართველ სეპარატისტთა ჯგუფი პ. სურგულაძის, ლ. კერესელიძის, გ. კერესელიძისა და ნ. მაღალაშვილის შემადგენლობით, აარსებს ჟურნალს „თავისუფალი საქართველო“;

1914 წელს, ქართველ სეპარატისტთა ჯგუფს „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი“ ეწოდა და მუშაობა გააგრძელა ჯერ გერმანიაში, შემდეგ ოსმალეთში, სადაც მათ შეუერთდნენ მ. წერეთელი, გ. მაჩაბელი, მ. ქარცივაძე, ზია ბეგ აბაშიძე, შ. ვარდიძე; იმავე წელს, ოსმალთა რეკომენდაციით, კომიტეტში გაერთიანდა ნიკოლოზ არქიმანდრიტი და ქართველი მუსლიმი, ჯაყელი;

1915 წლის მარტში „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტში“ ბრძოლის მეთოდებთან დაკავშირებულ აზრთა სხვადასხვაობის გამო, წარმოიშვა დაპირისპირება. ერთ მხარეს იყო ნიკოლოზ არქიმანდრიტი და მასთან ერთად რამდენიმე ქართველი, მათ შორის, ვინმე აჰმედ ბეი; ხოლო მეორე მხარეს – კომიტეტის ძველი წევრები. პირველი ჯგუფი ემხრობოდა თურქეთის მფარველობითა და დაფინანსებით საქართველოში ფართომასშტაბიანი აჯანყების მოწყობის იდეას, მეორე კი ღიად მას არ უპირისპირდებოდა, მაგრამ საქმით, არ ჩქარობდა;

1915 წლის ზაფხულში, ან სექტემბრის დასაწყისში, ნიკოლოზ არქიმანდრიტი საბოლოოდ გამოეყო „განთავისუფლების კომიტეტს“ და ოსმალეთის მფარველობით, ცდილობს გ. მაჩაბელთან და აჰმედ ბეისთან (თავდგირიძე?) ერთად, ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველების მონაწილეობით, შექმნას ახალი ორგანიზაცია „თავისუფალ საქართველო“, ოთხკაციანი კომიტეტით, ოსმალური პოლიტიკური კომისიის ფრთებ ქვეშ. წერს ორგანიზაციის წესდებას, პოლიტიკურ პროგრამასა და სამოქმედო გეგმას, ქმნის ბეჭდის ფაქსიმილეს თურქული მხარისთვის წარსადგენად. კომიტეტის ცენტრი უნდა ყოფილიყო სტამბოლი, განყოფილებებით ოსმალეთის სხვა ქალაქებსა თუ მის გარეთ. ორგანიზაციის მთავარი მიზანი იყო საქართველოში ფართომასშტაბიანი აჯანყების მომზადება, ძირითადად, ოსმალეთიდან და ნაწილობრივ გერმანიიდან მიღებული, ოღონდ ოსმალეთის განკარგვაში არსებული ფინანსებითა და იარაღით.

1915 წლის ზაფხულში, ან სექტემბრის დასაწყისშივე, ნიკოლოზ არქიმანდრიტი ჩადის ევროპაში, უკავშირდება ემიგრაციაში მყოფ თედო სახოკიას და მასთან ერთად აფუძნებს „თავისუფალი საქართველოს კომიტეტს“ ჟენევაში, რომლის ხელმძღვანელიც სახოკია ხდება. საწყის ეტაპზე, სავარაუდოდ, მასში მონაწილეობდნენ ირაკლი ჯაბადარი, ვინმე ვალდემარ ქაჯაია და თუ რუსულ აგენტურულ ცნობებს ვერწმუნებით, ვარლამ ჩერქეზიშვილიც;

1915 წლის ნოემბერში არქიმანდრიტი ნიკოლოზი, გიორგი მაჩაბელთან, ქიამილ ბეი თავდგირიძესთან და კავკასიელი ხალხების წარმომადგენლებთან ერთად, ოსმალეთის სამხედრო მინისტრის, ენვერ ფაშას ინიციატივით, მონაწილეობს დელეგაციაში, რომელიც ჩავიდა ვენაში, ბერლინსა და შვეიცარიაში, ქართველ ტყვეებთან სააგიტაციოდ და აჯანყებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მისაღებად;

1916 წლის მაის-ივნისში, გ. მაჩაბლის მოწადინებით, არქიმანდრიტ ნიკოლოზის „თავისუფალ საქართველოს კომიტეტი“ წყვეტს არსებობას. მისი წევრი სამხედროების თუ მოხალისეების გარკვეული ნაწილი შეუერთდა „საქართველოს

განთავისუფლების კომიტეტს“ და გაგზავნილ იქნენ სამსუნში „ქართული ლეგიონის“ რიგებში; იმავე წლის ბოლოს, თუ 1917 წლის დასაწყისში ევროპული ემიგრაციიდან საქართველოში ბრუნდება თედო სახოკიაძე;

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ კონსტანტინოპოლიდან საქართველოში ბრუნდება არქიმანდრიტი ნიკოლოზი, კვლავ ჩაიცვა ანაფორა. იყო ჯერ გელათის, შემდეგ – მონამეთას მონასტრის არქიმანდრიტი;

1922 წელს იყო ალავერდის ეპარქიის ეპისკოპოსობის კანდიდატი, მაგრამ მისი კანდიდატურა ვერ გავიდა;

1924 წლის ახლო ხანებში არქიმანდრიტი ნიკოლოზი მარტოობაში გარდაიცვალა. მისი ნეშტი ადგილობრივმა მოსახლეობამ მონამეთას მონასტრის ეზოში იპოვა და დაკრძალა. დაკრძალვის ზუსტი ადგილი უცნობია.

აი, ასეთი არცთუ იოლი, დაუდევარი ცხოვრებისეული გზა განვლო არქიმანდრიტმა ნიკოლოზ ნამორაძემ, „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრმა“ და ალტერნატიული „თავისუფალ საქართველოს კომიტეტის“ დამფუძნებელმა. ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ ის უდავოდ საქართველოზე შეყვარებული და პატრიოტი ადამიანი იყო; იყო გულწრფელი, მაგრამ რადიკალი, პოლიტიკაში ნაკლებად გათვითცნობიერებული. ნიკოლოზის ერთ-ერთი მთავარი მოწინააღმდეგე, გიორგი კერესელიძეც კი ვერ უარყოფდა, რომ „ამ ვაჟბატონს უყვარს სამშობლო“; თავისი წინააღმდეგობრივი ხასიათის, ოსმალეთის დაპირებების ზედმეტი ნდობისა და როგორც ჩანს, გადამეტებული სიჯიუტის გამო, ბევრი სირთულე დაიტეხა საკუთარ თავზე და სიცოცხლეს ტრაგიკულად დაასრულა.

Nikoloz Nikolozishvili

Unknown documents from Eugène Dallegio's archive: Archimandrite Nikoloz Namoradze and the “Comité de la Géorgie libre”

Summary


The article presents an unknown topic concerning the history of the National Liberation Movement in Georgia during the First World War — the founding, existence, and disbandment of the “Comité de la Géorgie libre”. Documents kept in the archive of Eugène Dallegio D’Alessio, a member of the Georgian diplomatic representation in Constantinople, are compared to and analyzed together with documents from German, Georgian, and partially Russian archives. Taking into account the Mémoires of people who had directly or indirectly participated in those events and modern scholarly literature, the following conclusion is made:

The founder of the “Comité de la Géorgie libre” was Archimandrite Nikoloz Namoradze. He was an active participant in the 1905 revolution; in 1908, he killed Exarch Nikon; he immigrated to the Ottoman Empire and fled to the monastery of Georgian Roman-Catholics in Constantinople. On the recommendation of the Ottoman side, he joined the „Committee of Independent Georgia“ in 1914. Due to the disagreement concerning the


expediency of a large-scale anti-Russian rebellion in Georgia and the Caucasus region, in the spring of 1915, Archimandrite Nikoloz left the „Committee of Independent Georgia“ and tried to create an alternative four-man “Comité de la Géorgie libre” within the Ottoman Political Commission. It was supposed to consist of G. Machabeli, a member of the “old” committee, and several other Christian and Muslim Georgians. In the summer or early September of 1915, Archimandrite Nikoloz wrote an organizational charter, a political program, and an action plan, also created a stamp facsimile, aiming to present it to the Turkish side. The center of the committee was supposed to be in Istanbul, with departments in other Ottoman cities and outside the country. The main goal of the organization was to organize large-scale rebellion in Georgia with finances and weapons mainly from the Ottoman Empire and partially from Germany. At the same time, Archimandrite Nikoloz contacted an emigrant to Europe, Tedo Sakhokia and together with him, they found the “Comité de la Géorgie libre” in Geneva, whose director Sakhokia became. At the beginning, it seems, its participants were Irakli Jabadari, a certain Valdemar Kajaia and, according to Russian intelligence, Varlam Cherkezishvili. Through the diligence of G. Machabeli, in May-June of 1916, the “Comité de la Géorgie libre” stopped its existence. Some of its military and volunteer members joined the „Committee of Independent Georgia“ and were sent to Samsun to join the ranks of the Georgian Legion; at the end of the same year or at the beginning of 1917, Tedo Sakhokia returned to Georgia from emigration. After the 1917 February Revolution, Archimandrite Nikoloz returned from Constantinople to Georgia and put his cassock back on. He became an archimandrite, first in Gelati and then in Motsameta monastery. In 1922, he was a candidate for the bishopship of the diocese of Alaverdi, but his candidacy didn’t pass. At some point, close to 1924, Archimandrite Nikoloz reposed in solitude. Locals found his body in the yard of the Motsameta monastery and buried it. The exact burial place is unknown.



ვეგენი დალევჯიო დ'ალესიო. 1922 წ.*



ორგანიზაციის სამოქმედო პროგრამა.
ნიკოლოზ არქიმანდრიტის ავტოგრაფი. 1915 წ.



ორგანიზაციის ბეჭდის ფაქსიმილე. 1915 წ.



გელათის არქიმანდრიტი
ნიკოლოზ ნამორაძე. 1902-1905 წწ.

*ყველა ფოტო ქვეყნდება პირველად.

სულხან-საბა ორბელიანის რელიგიური დიპლომატია საფრანგეთ-ოსმალეთისა და საფრანგეთ-ირანის კაპიტულაციების კონტექსტში

წინამდებარე სტატიის მთავარი მიზანია იმ კითხვაზე პასუხის გაცემა, თუ რამდენად ითვალისწინებდა საფრანგეთ-ოსმალეთისა (1535, 1604, 1673) და საფრანგეთ-ირანის (1708) კაპიტულაციებით საფრანგეთისათვის მინიჭებულ რელიგიურ პრივილეგიებს სულხან-საბა ორბელიანის რელიგიური პროექტი,¹ რომელიც მან წარადგინა ვერსალში 1714 წლის იანვარ-ივნისში დიპლომატიური მოლაპარაკებების დროს. ამ კონტექსტში პრობლემის განხილვა წარმოაჩინს, თუ რამდენად შეესაბამებოდა ქართველი დიპლომატის პროექტი კაპიტულაციების რელიგიურ პრაქტიკას და რა პერსპექტივა გააჩნდა მას საქართველოში. და აქვე: ამ გზით საკითხის შესწავლამ მოვლენების პროვეროპულ შეფასებაში განსხვავებული დასკვნის საშუალება მოგვცა, ვიდრე ეს დღემდე მიღებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში.

ნაშრომში დასახული ამოცანიდან გამომდინარე, არ შევუდგებით დეტალურად იმ ისტორიული მოვლენების კონსტატირებას, რამაც განაპირობა საფრანგეთ-ოსმალეთის 1535 წლის შეთანხმება, ანუ კაპიტულაცია. ზოგადად კი ვიტყვით შემდეგს: საფრანგეთ-ოსმალეთის დაახლოება სათავეს იღებს 1508 წლიდან, როცა სულთანმა ბაიაზიდ II-მ საფრანგეთის კონსულს ჟან პიერ ბენეტს გადასცა ფირმანი ოსმალეთში ფრანგი ვაჭრების მიერ თავისუფალი ვაჭრობის შესახებ.² 1528 წელს სულთანმა სულეიმან I დიდებულმა ფრანგ ვაჭრებს დაუმტკიცა ის შეღავათები, რომელიც წინამორბედმა სულთნებმა დაამტკიცეს.³ ცხადია, ეს პრეცედენტები უძღოდა წინ 1535 წლის თებერვალის შეთანხმებას, ანუ კაპიტულაციას⁴, რომელიც დაიდო ოსმალეთსა და საფრანგეთს შორის. იგი შემდეგში არა მარტო ფრანგი ვაჭრებისათვის ბოძებული შეთანხმების, არამედ ოსმალეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებს შორის დადებული ანალოგიური კაპიტულაციების საფუძველი გახდა⁵.

ერთი სიტყვით, კაპიტულაცია დაიწერა კონსტანტინოპოლში და მას ხელი მოაწერეს საფრანგეთის მეფის ფრანსუა I-ის (1515-1547) მრჩეველმა და საგანგებო დესპანმა ჟან დე ლა ფორესმა (Jean de La Forest 1535-1538) და დიდვაზირ-

1 ამის შესახებ დანვრ. იხ: Murman Papashvili, Eldar Mamistvalishvili, Zurab Gamezardashvili, Khattuna Chapichadze. Religious Project of Sulxhan-Saba Orbeliani's Diplomatic Negotiations in Versailles. Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, vol. 13, no. 4, 2019, pp. 151-154.

2 Roche F. Pigniau B. Histoires de diplomatique Culturelle des origines à 1995, La Documentation française, Paris, 1995, p.11.

3 Ibid., pp. 12-13; F.-E. Guignard de Saint-Priest, Memoires sur l'ambassade de France en Turquie et sur le commerce des française dans le Levant. Paris, 1877, p. 277.

4 სავარაუდოდ, ამ ახალი კაპიტულაციების შემდგენლებად მიიჩნევენ მალტის ორდენის შევალის დე ლა ფორეს და დიდვაზირს იბრაჰიმ ფაშას (Орешкова С. Ф., Немировский конгресс. От двусторонних османо-российских отношений к Восточному вопросу, М., 2015, с.138).

5 Roche F. Pigniau B. Op. cit. p. 14.

მა იბრაჰიმ ფაშამ⁶ სამართლიანადაა მიჩნეული, რომ იგი წარმოადგენდა ხელშეკრულებას, რადგან ორმხრივი შეთანხმების ელემენტებს შეიცავდა.⁷ ჩვენ არ შევუდგებით ამ ხელშეკრულების მუხლების განხილვას. მხოლოდ შევეხებით იმ მუხლს, რომელიც ოსმალეთის იმპერიაში კათოლიკეებს ანიჭებდა თავისუფალი აღმსარებლობის უფლებას და ამ თემზე მფარველობას ფრანგულ მხარეს აკისრებდა. ხელშეკრულების მე-18 მუხლში⁸ ლაკონურად არის ჩამოყალიბებული ის პრივილეგიები, რომელსაც იღებდა ფრანგული მხარე ვაჭრობის თავისუფლებისა და უსაფრთხოების, საბაჟო გადასახადისა და გადასახადების აკრეფის, ზღვა-ოსნობასა და რელიგიის სფეროში.⁹ ეს უკანასკნელი ძალზე ზოგადად არის ჩამოყალიბებული მე-6 მუხლში. „ფრანგებს გარანტირებული აქვთ სარწმუნოების (იგულისხმება კათოლიკური სარწმუნოება, – მ. პ.) თავისუფლება“¹⁰ ოსმალეთის იმპერიაში, – ნათქვამია მასში. აქედან ის ჩანს, რომ საფრანგეთის მეფის ქვეშევრდომებს ყოველგვარი შევიწროების გარეშე ეძლეოდათ საკუთარი რელიგიის, ანუ კათოლიკობის დაცვის უფლება.¹¹ ასევე, საგულისხმო იყო ისიც, რომ გალატაში, რომელიც წარმოადგენდა ევროპისა და ოსმალეთის შეხვედრის ადგილს¹² და ყველას ხიზლავდა ქრისტიანული ეკლესიებითა და კულტურით, საფრანგეთის საკონსულოსთან ერთად იქმნებოდა ქრისტიანული სამლოცველო და ფრანგ კათოლიკეებს თავისუფლად შეეძლოთ წმინდა ადგილების მოლოცვა.¹³

ამრიგად, კაპიტულაციის მეექვსე მუხლი ქმნიდა იმის წინა პირობას, რომ საფრანგეთის სამეფო კარს აღმოსავლეთში მცხოვრებ კათოლიკეთა დაცვის მიზნით სამისიონერო საქმიანობაც ეწარმოებინა ოსმალეთის იმპერიაში. შედეგმაც არ დააყოვნა: XVI საუკუნის მეორე ნახევარში ფრანგი იეზუიტი და კაპუცინი მისიონერები დაფუძნდნენ კონსტანტინოპოლში, რომელთაც მფარველობას საფრანგეთის ელჩი უწევდა.¹⁴ რაც შეეხება ოსმალეთისათვის ამ კაპიტულაციის მნიშვნელობას, სრულიად ვეთანხმებით იმ აზრს, რომ „ამ ხელშეკრულებით სულიემანი, ფაქტობრივად შლიდა რელიგიურ ფაქტორს ქრისტიანულ სახელმწიფოებთან ურთიერთობაში და გზას უხსნიდა თანამედროვე მსოფლიოსათვის დამახასიათებელ დიპლომატიურ ურთიერთობებს. რაც მთავარია, ოსმალეთის კარისათვის შეურიგებელ მტრად მიჩნეულ პაპის კურიასაც კი გზა ეხსნებოდა თანამშრომლობისაკენ“.¹⁵ ასევე, ამ კაპიტულაციამ სრულიად შცვალა აქამდე

6 Gabriel Noradounghian. Recueil d'actes internationaux de Empire Ottoman. Paris, t. I, 1897, pp. 116-118.

7 Орешкова С. Ф., დასახელებული ნაშრომი, გვ. 138.

8 დანვრ. იხ: F-E. Guignard de Saint-Priest. Op. cit., pp. 278-281.

9 Ibid.

10 Ibid., p. 279.

11 Ibid., pp. 356-357.

12 Laura Elisabeth Binz. Latin missionaries and Catholics in Constantinople 1650 1760: Between local religious culture and confessional determination. Thesis submitted for assessment with a view to obtaining the degree of Doctor of History and Civilization of the European University Institute. Florence, September, 2013 (defence), p.29

13 Gabriel Noradounghian. Op. cit., pp.83-84.

14 Laura Elisabeth Binz. Op. cit., p. 50.

15 Piccirillo A. C. "A Vile, Infamous, Diabolical Treaty". The Franco-Ottoman Alliance of Francis I and

ოსმალეთის მიმართ საფრანგეთის ჯვაროსნული ლაშქრობით განსაზღვრული პოლიტიკა.¹⁶

ერთი სიტყვით, საფრანგეთი გახდა ის პირველი ევროპული სახელმწიფო, რომელსაც ოსმალეთის სულთნის თანხმობით მახლობელ აღმოსავლეთში ქრისტიანების დაცვის ვალდებულება დაეკისრა. თუმცა ამ ფორმის შინაარსს ვერსალის კომერციული ინტერესები განსაზღვრავდა, რომელიც „ყოველთვის პირველ ადგილზე იდგა“.¹⁷ თუ ეს უკანასკნელი საფრთხის ქვეშ დადგებოდა, ვერსალი თავაზიანად უარს ამბობდა კათოლიკეების ქომაგობაზე.¹⁸ მართალია, აღნიშნული მიმართულებით XVII საუკუნემდე საგრძნობი წარმატებები არ შეინიშნებოდა, თუმცა ამ მხრივ საფრანგეთი ოსმალეთისათვის ყველაზე პრივილეგიურულ სახელმწიფოდ მიიჩნეოდა

კაპიტულაციის სისტემაზე დამყარებული საფრანგეთ-ოსმალეთის ურთიერთობები, გარემოებათა ცვლებადობის შესაბამისად, ზოგიერთი მუხლის განახლებას, რიგი ბუნდოვანი ადგილის გამართვას და ახლის დამატებას საჭიროებდა. ამასთან ერთად, აუცილებელია იმ პრაქტიკის გათვალისწინებაც, რომ ფრანგული მხარე ყოველი ახალი სულთნის ტახტზე ასვლისას, ზრუნავდა კაპიტულაციის განახლებაზე,¹⁹ რადგან იგი ცალმხრივი წესით გაცემულ დროებით ინსტრუმენტს წარმოადგენდა.²⁰ ასე მოხდა სულთან აჰმედ I-ის (1603-1617) მმართველობისას. 1604 წელს საფრანგეთის მხარის მცდელობით განახლდა წინამორბედი კაპიტულაცია, რომელიც ამჯერად 55 მუხლისაგან შედგებოდა.²¹ ჩვენთვის საინტერესო საკითხი მასში ასახულია მე-4 და მე-5 მუხლებში. მათი ძალით, კათოლიკე მღვდლებს, ბერებსა და მომლოცველებს, ანუ საფრანგეთის ქვეშევრდომებს, წმ. მიწაზე თავისუფალი გადაადგილების უფლება კიდევ ერთხელ დაუმტკიცდათ. მათთვის დაბრკოლებების შექმნა და ზიანის მიყენება დაუშვებლად მიიჩნეოდა.²² ყოველივე ეს ქმნიდა იმის წინაპირობებს, რომ არა მარტო ოსმალეთის იმპერიაში მყოფ კათოლიკეებს, კერძოდ, გალატას კათოლიკურ საზოგადოებას, არამედ კონსტანტინოპოლის ვიკარიატს საფრანგეთის ელჩი მიეჩნიათ მათი დაცვის ერთადერთ გარანტიად. თავის მხრივ კი ოსმალეთის იმპერიაში კათოლიკეთა მფარველობა გულისხმობდა საეკლესიო საკითხებში ფრანგული გავლენის გაძლიერებას.²³ ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ 1614 წელს სამეგრელოს მთავრის ლევან II დადიანის (1611-1657) მიერ სულთნის კარზე გაგზავნილ დესპანთან საფრანგეთის კონსტანტინოპოლელი ელჩის აშილ დე სანსის (Achille de Harlay de Sancy 1611-1620)

the Eclipse of the Christendom Ideal. Senior Honors Thesis in History. Georgetown University, May 4, 2009, p. 47.

16 F.-E. Guignard de Saint-Priest. Op. cit., p. 26.

17 Bogert M.H. The capitulations and the Ottoman legal system. Brill-Leiden-Boston, 2005, p. 101.

18 Ibid.

19 F.-E. Guignard de Saint-Priest. Op. cit., p. 290.

20 Bülent Ari, Early Ottoman Diplomacy: Ad Hoc Period. [chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcgiclfefindmkaj/ http://www.levantineheritage.com/pdf/ Early_Ottoman_Diplomacy_Ad_Hoc_Period.pdf](http://www.levantineheritage.com/pdf/Early_Ottoman_Diplomacy_Ad_Hoc_Period.pdf), p. 41.

21 F.-E. Guignard de Saint-Priest. Op. cit., pp. 417-430.

22 F.-E. Guignard de Saint-Priest. Op. cit., p. 418.

23 Laura Elisabeth Binz. Op. cit., p. 91.

კავშირი. პირველწყაროებიდან ირკვევა, რომ დე სანსიმ, რომელიც მფარველობდა იეზუიტ მისიონერებს და იყო კათოლიკური „... სარწმუნოების გავრცელების სურვილით გამსჭვალული...“²⁴ თავისი ინიციატივით²⁵ გადანყვიტა სამეგრელოს სამთავროში დაეფუძნებინა ფრანგ იეზუიტთა მისიონი. ამაში ელჩს დიდი დახმარება აღუთქვა მთავრის დესპანმა, რადგან იცოდა, რომ ლევან II დადიანი კეთილგანწყობით მიიღებდა და ხელს შეუწყობდა ფრანგ მისიონერებს თავიანთ საქმიანობაში.²⁶ ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა ის, რომ სამეგრელოს მთავარმა იცის საფრანგეთის მეფისა და კონსტანტინოპოლში საფრანგეთის ელჩის საქმეები და გეგმები,²⁷ ანუ ჩვენი საფუძვლიანი ვარაუდით, კაპიტულაციებით მინიჭებული უფლებები. ფრანგმა ელჩმა ყველაფერი იღონა ორი ფრანგი იეზუიტი მისიონერის (ლუი გრანჟე და ეტიენ ვიო) სამეგრელოში გასაგზავნად. ამისათვის გამოყო 500 ოქროს მონეტა და ძვირფასი საჩუქრების გაღებით ყველაფერი მოაგვარა ფაშასთან.²⁸ ყოველივე აქედან იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა კაპიტულაციებით მინიჭებული უფლებით საფრანგეთის კონსტანტინოპოლელმა ელჩმა სცადა ოსმალეთის გავლენის ქვეშ მყოფ სამეგრელოს სამთავროში გზა გაეხსნა ფრანგ იეზუიტთა მისიონისათვის, რასაც, ცხადია, ოსმალეთის ცენტრალურმა ხელისუფლებამ პრივილეგიების საფუძველზე წინააღმდეგობა არ გაუწია.

როგორც აღვნიშნეთ, საფრანგეთ-ოსმალეთის ურთიერთობაში კაპიტულაციების განახლებას ორმხრივი ინტერესები ასაზრდოებდა. საფრანგეთის მეფის ლუი XIII-ის მმართველობის დროს (1610-1643) ფრანკო-ოსმალეთის ალიანსმა მნიშვნელობა დაკარგა, რადგან ჰაბსბურგების ჰეგემონიისაგან თავის დასაცავად ფრანგმა მონარქმა უკეთესი მოკავშირე იპოვა შვედეთის მეფე გუსტავ II ადოლფის (1611-1632) სახით.²⁹ ასევე ევროპის ქვეყნებთან ომის³⁰ შემთხვევაში პორტა აუქმებდა კაპიტულაციებს, ხოლო ელჩებს კონსტანტინოპოლი უნდა დაეტოვებინათ.³¹ ეს ვითარება ლუი XIV-ის (1643-1715) მმართველობის დროს კარდინალურად შეიცვალა. ოსმალეთის იმპერიაში საფრანგეთის ვაჭრობის ხელშეწყობა და კათოლიკობის ფრანგული ფორმით პროტექცია ამ მონარქის პო-

24 თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფილისი, 1902, გვ. 135.

25 პატივცემული მ. თამარაშვილის გავლენით, ადრე ვიზიარებდით იმ აზრს, რომ ეს მოხდა სამეგრელოს მთავრის ინიციატივით (პაპაშვილი მ., საქართველო-რომის ურთიერთობა VI-XX სს. თბ., 1995, გვ. 147). წყაროს ჩვენეულმა თარგმანმა და კრიტიკულმა ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ ეს მოხდა საფრანგეთის კონსტანტინოპოლელი ელჩის ინიციატივით, რაზეც აქ მსჯელობის აუცილებლობას ვერ ვხედავთ.

26 ტაბალუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში II, თბ., 1986, გვ. 52.

27 იქვე.

28 იქვე, გვ. 37.

29 Alexandre Maden, Distinguer et représenter les minorités du Proche-Orient ottoman (1673-1831): la représentation occidentale des peuples bédouins, kurdes, turcomans et yézidis, d'après les sources de langue française, p.10. chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://dumas.ccsd.cnrs.fr/dumas-01330896/document.

30 მხედველობაშია 1645 და 1669 წლებს შორის ვენეციასთან მიმდინარე კრეტას ომი და ავსტრია-ოსმალეთის ომი (1663-1664) (Laura Elisabeth Binz. Op. cit., p.95).

31 Laura Elisabeth Binz. Op. cit., p. 95.

ლიტიკის ძირითადი ხაზი გახდა.³² მთელი XVII საუკუნის მანძილზე ოსმალეთის იმპერიაში „აღმოსავლეთის ყველა კათოლიკურ თემზე თავისებური რიგის პროტექტორატის...“³³ მოთხოვნა საფრანგეთის პოლიტიკის ცენტრალურ კომპონენტად იქცა. კონსტანტინოპოლში საფრანგეთის ელჩმა მარკიზ შარლ ფრანსუა დე ნუანტელმა (1670-1679) შესძლო 1673 წელს დაესრულებინა მოლაპარაკებები და საფრანგეთ-ოსმალეთის კაპიტულაციები განეხლებინა.³⁴ 85 მუხლისაგან³⁵ შემდგარმა ამ ხელშეკრულებამ სავაჭრო ურთიერთობები ახალი ნორმებით მოაწესრიგა, ხოლო რელიგიურ საკითხზე რიგი დამატებები იქნა შეტანილი. კერძოდ, ამ ხელშეკრულებით აღმოსავლეთში ქრისტიანული რელიგიის დაცვა საფრანგეთის მეფის განსაკუთრებულ უფლებას წარმოადგენდა.³⁶ საფრანგეთში ყველა კონფესიის მიმდევრებს ოსმალეთის იმპერიაში თავისუფალი აღმსარებლობის ნება ეძლეოდათ.³⁷ ხელშეკრულებაში (მუხლები 32-36) ასევე დაფიქსირდა, რომ გალატაში ფრანგი იეზუიტი და კაპუცინი მამებისათვის ხელის შეშლა და ზიანის მიყენება არავის შეეძლო. ეს იმას ნიშნავდა, რომ ამ „...რელიგიურ ორდენებს განსაკუთრებული დაცვა გარანტირებული ჰქონდათ“.³⁸ ასევე, მათ მიეცათ უფლება, აღედგინათ გალატაში წმ. გიორგის ეკლესია და თავისუფლად ჩაეტარებინათ წირვა-ლოცვა. საგულისხმოა ისიც, რომ კაპიტულაციის ძალით, ფრანგ მისიონერებს სმირნაში, ალექსანდრიასა და მთელ აღმოსავლეთში საქმიანობის თავისუფალი უფლება ენიჭებოდათ.³⁹ ამის შედეგზე მოვუსმინოთ ერთ წყაროს: „თავისუფლება იმდენად დიდია ჩვენი ეკლესიებისათვის (იგულისხმება კათოლიკური ეკლესიები, – მ. პ.), – ვკითხულობთ მასში, – რომ ყველა აღიარებს, მეტი თავისუფლება ქრისტიანულ ქვეყნებშია ც კი არ იქნებოდა. ღირსმა იეზუიტმა მამებმა მოაწყვეს აღდგომისათვის წმ. ანას პროცესია გალატას შუაგულში, მიჰქონდათ რა ჯვარი, საეკლესიო დროშები და წმინდანთა ნაწილები უამრავი ანთებული ჩირაღდნებით და ხალხის განსაკუთრებული მონაწილეობით. წინათ ასეთ ცერემონიალს მხოლოდ სახლის შიგნით ატარებდნენ“.⁴⁰

ერთი სიტყვით, 1673 წლის კაპიტულაციით პორტამ საფრანგეთის მეფე ლუი XIV აღმოსავლეთში კათოლიკური სამღვდელოების უსაფრთხოების გარანტიად აღიარა⁴¹ და ოსმალეთის იმპერიაში კათოლიკეთა საკულტო ნაგებობების დაცვა უფრო მეტად განმტკიცდა.⁴² ამ მიმართულებით საფრანგეთის უდიდესი წარმატება იყო 1690 წელს იერუსალიმში ბერძნულ-კათოლიკურ სამღვდელოებაზე

32 Caron Emmanuel, 'Défense de la Chrétienté ou gallicanisme dans la politique de la France à l'égard de l'Empire Ottoman à la fin du XVIIe siècle', XVIIe siècle 50, 1998, pp. 359-372; 368.

33 Bogert M.H. Op. cit., p. 102.

34 Alexandre Maden. Op. cit., p.10.

35 F.-E. Guignard de Saint-Priest. Op. cit., pp. 480-522.

36 Ibid., p. 446.

37 Ibid.

38 Laura Elisabeth Binz. Op. cit., p. 96.

39 F.-E. Guignard de Saint-Priest. Op. cit., pp. 493-496.

40 Archives du Ministère des Affaires Etrangères. Paris. "Turquie", t. 39, ff. 84v-85.

41 Bogert M.H. Op. cit., p.102.

42 Laura Elisabeth Binz. Op. cit., p. 94.

მეურვეობის გადაცემა, რომელიც ჩამოერთვა ბერძნულ სამღვდელეობას.⁴³ აქედან გამომდინარე, სრულად ვიზიარებთ იმ აზრს, რომ საფრანგეთის სამეფო კარი არა მხოლოდ ფრანგი კათოლიკური თემის ინტერესებს გამოხატავდა, არამედ ყველა კათოლიკესას.⁴⁴ ეს უკანასკნელნი კი იყვნენ უცხოელი კათოლიკე მისიონერები, მღვდლები, ბერები, მომლოცველები⁴⁵ და, რა თქმა უნდა, როგორც ახალმოქცეული კათოლიკე, ასევე ადგილობრივ მცხოვრები კათოლიკური აღმსარებლობის თემი. და კიდევ: ლუი XIV-ის აღმოსავლურ პოლიტიკაში რელიგიური საკითხი გარკვეულ ადგილს იკავებდა და საფრანგეთის მონარქი ოსმალეთის იმპერიაში ყველა კათოლიკეს დაცვის პრეტენზიას აცხადებდა. საკუთრივ საფრანგეთის კონსტანტინოპოლელი ელჩები თავიანთ უფლებად მიიჩნევდნენ, რომ პორტაში კათოლიკეთა ინტერესებში ნებისმიერ საკითხში ჩარეულიყვნენ.⁴⁶

ამრიგად, სამივე კაპიტულაციის (1535, 1604, 1673) შეჯერების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ოსმალეთის იმპერიაში კათოლიკური კონფესიის დაცვის საქმეში საფრანგეთის სამეფო კარი ერთადერთი ევროპული სახელმწიფო იყო, რომელმაც მუდმივი პრივილეგიები, ანუ კაპიტულაციები მიიღო. „ოსმალეთის იმპერიის ყველა კათოლიკურ თემზე ერთგვარი პროტექტორატის მოთხოვნა აძლევდა საფრანგეთის მონარქებს შესაძლებლობას, გაემართლებინათ თავიანთი პოლიტიკა ბრწყინვალე პორტასთან მიმართებაში“.⁴⁷ ამით კი საფრანგეთის მეფეებმა ტრადიციულად უარყვეს რომის პონტიფიკატის ჯვაროსნული ლაშქრობის პროექტები.⁴⁸ საქართველოს მაგალითზე, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი, თუ განვზოგადებთ იმ ფაქტს, რომ ოსმალეთის იმპერიაში კათოლიკური თემის წევრებს, კათოლიკე სასულიერო პირებს, კათოლიკურ ეკლესიებს, იერუსალიმში წმ. ადგილებს საფრანგეთის მონარქის სახით გამოუჩნდა ლეგიტიმური მფარველი, უნდა დავასკვნათ, რომ ამით საბოლოოდ დასრულდა თეორიული ჯვაროსნული ლაშქრობების ხანა და დადგა „ჯვაროსნული ლაშქრობიდან“ საბოლოოდ „მისიებზე“ გადასვლის ეპოქა.⁴⁹ ამიერიდან საფრანგეთის ჯვაროსნული ლაშქრობის⁵⁰ ისტორიული როლი აღმოსავლეთის ქრისტიანთა თვალში მათი დამცველ-მფარველის ძალაში ტრანსფორმირდა. ამას კი მივყავართ „...ლევანტის მისიებზე საფრანგეთის პატრონატის ფორმისაკენ...“⁵¹ ყოველივე ამან აღმოსავლეთის ქრისტიანებში განამტკიცა რწმენა, რომ აღსრულდებოდა ჯვაროსნული მოლოდინი და ლუი XIV მათ გასათავისუფლებლად მოვიდოდა.⁵²

43 Bogert M.H. Op. cit., p.102.

44 Ibid.

45 Ibid.

46 Ibid.

47 Laura Elisabeth Binz. Op. cit., p. 95.

48 Ibid.

49 Heyberger Bernard. Les chrétiens du Proche-Orient au temps de la Réforme catholique (Syrie, Liban, Palestine, XVIIe-XVIIIe siècles) Rome: Ecole française de Rome, 1994, p. 8.

50 კარლოვიცის საზავო ხელშეკრულების (1699) შემდეგ, რაც ოსმალეთის პირველი დიდი მარცხი იყო ევროპაში, დაიწყო ე.წ. „უკანდახევის პერიოდი“ (Орешкова С. Ф., Указ. тр., с. 145). ამიერიდან ჯვაროსნულ ლაშქრობაზე უპირატესობა მოიპოვა ევროპულ წონასწორობასა და „აღმოსავლურ საკითხზე“ ზრუნვამ (Heyberger Bernard. Op. cit., p. 185).

51 | Heyberger Bernard. Op. cit., p. 183.

52 Ibid., p. 202.

აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით, საფრანგეთი რელიგიური დიპლომატიით ჯვაროსნულ იდეალს განასახიერებდა.

კათოლიკეთა დაცვის მიზნით, საფრანგეთის სამეფო კარი ირანის იმპერიაში მოქმედებას XVII საუკუნის 20-იანი წლებიდან შეუდგა, რომელსაც, როგორც ირკვევა, უფრო რელიგიური ხასიათი ჰქონდა, ვიდრე ეკონომიკური.⁵³ 1628 წელს ისპაანში საფრანგეთის მისიონი დაარსა ფრანგმა კაპუცინმა მამამ პასიფიკ დე პროვენმა (Pacifique de Provins).⁵⁴ ვარაუდობენ, რომ ამას მხარს უჭერდა კარდინალი რიშელიე.⁵⁵ ამასთან კავშირში საყურადღებოა შემდეგი: კარდინალი რიშელიეს დაჟინებული მცდელობით, საფრანგეთმა 1626 წელს რომის კურიისაგან ფრანგულ კათოლიკურ მისიონებზე ხელმძღვანელობის უფლება მიიღო.⁵⁶ ამ ერთგვარი პატრონატის უფლების საფუძველზე, ფრანგი მისიონერები წარმატებით საქმიანობდნენ ახლო აღმოსავლეთში.⁵⁷ ამგვარი გადაწყვეტილებით წმინდა ტახტმა საფრანგეთის სახით კათოლიკე მისიონერებზე ლეგიტიმური მფარველი და ფინანსურად რეალურად მხარდამჭერი პოლიტიკური ძალა შეიძინა.⁵⁸

მოკლედ რომ ვთქვათ, ირანის შაჰმა აბას I-მა „კაპუცინთა ორდენს ერთი სახლი მისცა ისპაანში, ხოლო მეორე-ბაბილონში“.⁵⁹ ჩანს, ირანის ხელმწიფე კმაყოფილი დარჩა ვერსალის ამ ნაბიჯით და გადაწყვიტა ახლა მამა პასიფიკი 1628 წელს ელჩად მიეგვლინა ლუი XIII-თან (1601-1645). ამ უკანასკნელთან მამა პასიფიკს მიჰქონდა წერილი, საჩუქრები და საფრანგეთის მეფესთან შაჰის მეგობრობის დიდი სურვილი. საკუთრივ, პადრე პასიფიკს მიაჩნდა, რომ ირანთან ნაყოფიერი კომერციული ურთიერთობის დამყარება შესაძლებელი იყო.⁶⁰

მიუხედავად ურთიერთობის ამგვარი კეთილსაწყისისა, ხელსაყრელი ვითარების დადგომამდე, საფრანგეთ-ირანის სავაჭრო თანამშრომლობა წინ არ წაწეულა. ამასთან დაკავშირებით გამოთქმულია ვარაუდი, რომ საფრანგეთის ოფიციალური ხელისუფლება გაურბოდა ირანში მის კონკურენტ ჰოლანდიელებთან და ინგლისელებთან წინააღმდეგობის გამწვავებას.⁶¹ გასათვალისწინებელია ისიც, რომ საფრანგეთ-ირანის ვაჭრობის განვითარებას ართულებდა საფრანგეთ-ოსმალეთის ალიანსი. ასევე ირანის მიმართ ოსმალეთის იმპერიის მუდმივი წინააღმდეგობა.⁶²

53 Herbette M. Une Ambassade persane sous Louis XIV. Paris, 1907, p. 239.

54 Missionnaires carmes et capucins: Pacifique de Provins et Maurile de St Michel. Chrome- extension://efaidnbmnnnibpccajpcglclefindmkaj/http://shac.reims.free.fr/ANR/publications/TEXTES_Maurile_Pacifique_SITE_ANR.pdf, p. 3.

55 Herbette M. Op. cit., p. 240.

56 Histoire Universelle des missions catholiques, t. 2, Paris, 1957, p. 128.

57 Ibid., p.130.

58 პაპაშვილი მ., საფრანგეთის უცხოეთის მისიონის დაარსების მცდელობა საქართველოში (1670-იანი წლები). კათოლიკური მემკვიდრეობა საქართველოში 3-4, თბ., 2022, გვ. 23.

59 Herbette M. Op. cit., p. 241.

60 Herbette M. Op. cit., p. 241.

61 პაპაშვილი მ., საფრანგეთის უცხოეთის..., გვ. 23.

62 The Cambridge History of Iran. Volume 6 Peter Jackson, W.B. Fisher, Lawrence Lokhart, Cambridge University Press, 1986, p.465.

საფრანგეთ-ირანის ურთიერთობაში ახალი ეტაპი დაიწყო საფრანგეთის ოსტ-ინდოეთის კომპანიის დაარსების (1664) შემდეგ, რომელიც ინგლისელებისა და ჰოლანდიელების კვალს გაჰყვა. მალე (1665) ისპაანში ჩავიდა საფრანგეთის მისია და შაჰ აბას II-ს ჩაუტანა ლუი XIV-ის წერილი. ეს უკანასკნელი ითხოვდა კათოლიკური სარწმუნოებისა და საფრანგეთის წარმომადგენლების მფარველობას.⁶³ ირანის მხარემ ახალი სიგელით დაადასტურა ფრანგი ვაჭრებისადმი ადრე ნაბოძები უფლებები. მან ფრანგ ვაჭრებს მისცა ისპაანსა და ბენდერ აბასში ფაქტორიების დაარსების უფლება,⁶⁴ თუმცა ამ ორ ქვეყანას შორის ეს-ესაა დაწყებული სავაჭრო ურთიერთობა მალევე შეწყდა.⁶⁵

მართალია, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ამ ორ ქვეყანას შორის ვერ ჩამოყალიბდა, მაგრამ რელიგიის სფეროში იგი წინსვლას განიცდიდა. შაჰის კარმა კათოლიკეთა პრივილეგიები, განსაკუთრებით ნახჭევანის სომეხი კათოლიკეებისა, წერილობით დაამოწმა.⁶⁶ ეს უკანასკნელნი საფრანგეთის მეფის სახით მფარველს ხედავდნენ⁶⁷ და მოუთმენლად ელოდნენ ხელშეკრულებით განმტკიცებული პრივილეგიების ძალაში შესვლას.

1671 წელს ფრანგულმა მხარემ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა. ამ წელს ისპაანში ჩასულმა საფრანგეთის დესპანმა ჟ. ჟონშერმა ირანის მხარესთან მიაღწია 1665-1666 წწ. ოსტ-ინდოეთის კომპანიისათვის მინიჭებული პრივილეგიების ხელახლა დადასტურებას.⁶⁸ „ამიერიდან ფრანგ ვაჭრებს თავისუფალი გადაადგილების უფლება მიეცათ ირანის მთელს იმპერიაში“.⁶⁹ აქ მცხოვრებ კათოლიკეებს ახლა საფრანგეთის სამეფოს სახით ჰყავდათ მფარველი. წმინდა ტახტი კი საფრანგეთის მფარველობას, „ავტორიტეტსა და სიდიადეს“ უხვი მოსავლის საწინდრად მიიჩნევდა.⁷⁰

როგორც ვნახეთ, XVII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში საფრანგეთმა ოსმალეთისა და ირანის იმპერიების სივრცეში მცხოვრებ კათოლიკეებზე მფარველობის დოკუმენტურად გაფორმებული ლეგიტიმური უფლებები მოიპოვა. პარიზის უცხოეთის მისიონერებს აღნიშნულ სივრცეში თავისუფალი გადაადგილების პრივილეგიები მიენიჭათ, რომელიც პირდაპირ დაკავშირებული იყო ორმხრივ სავაჭრო-ეკონომიკურ ინტერესებთან. ადვილი მისახვედრია, რომ 1671 წელს ირანთან მიღწეული შეთანხმებისა და ოსმალეთთან 1673 წელს დადებული კაპიტულაციის საფუძველზე, საფრანგეთს დაუბრკოლებლად შეეძლო სამისიონერო პოლიტიკა საქართველოშიც გაეშალა. ამას, ჩანს, ლუი XIV-ის კარი დაუყოვნებლივ შეუდგა. ვატიკანის ახალი საარქივო მასალების

63 Herbette M. Op. cit., p. 242.

64 ტაბალუა ი., საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი), თბ., 1972, გვ. 195.

65 Herbette M. Op. cit., p. 242.

66 Ibid., p. 243.

67 Ibid., p.244.

68 Herbette M. Op. cit., p. 244.

69 ტაბალუა ი., საქართველო-საფრანგეთის..., გვ. 235.

70 Archivio di Propaganda Fide, Scritture Riferite nel Congressi, Giorgia 1626-1707, vol. I, f. 368.

საფუძველზე⁷¹ გაირკვა,⁷² რომ 1677 წელს წმ. კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდემ დეკრეტით კაპუცინთა საქართველოს მისიონი საფრანგეთის აღმოსავლურ მისიონს გადასცა.⁷³ ამით, თუ რისთვის უნდა მიეღწია საფრანგეთს, წყაროში პირდაპირ იკითხება. მოვუსმინოთ მას: „ფრანგებს სურთ, რომ ჩვენი მისიონები (იგულისხმება თბილისისა და გორის კაპუცინთა მისიონი, – მ. პ.) მიიღონ, რათა მათმა სოვდაგრებმა აქ ადვილად ივაჭრონ, ასევე სურთ სავაჭრო გზა გაიკვლიონ შავი ზღვით სამეგრელომდე“.⁷⁴ ცხადია, საფრანგეთის სავაჭრო გზის საქართველოზე გავლის ეს გადაწყვეტილება ეფუძნებოდა საფრანგეთის აღმოსავლეთთან ვაჭრობის განვითარების ინტერესებს, რომელიც რელიგიური პოლიტიკის გატარების კარგი საშუალება იქნებოდა. ამ საქმეში საფრანგეთის უცხოეთის მისიონი მეგზურის როლს შეასრულებდა, რომელსაც ირანისა და ოსმალეთის მხრიდან ზემოაღნიშნული კაპიტულაციების ხელშეკრულების ძალით, ნაკლები წინააღმდეგობა შეხვდებოდა. ასეთ შემთხვევაში საქართველო იქნებოდა ის ადგილი, საიდანაც კათოლიკური სარწმუნოება გავრცელდებოდა ირანის იმპერიაში.⁷⁵ ამ წამოწყებამ მაშინ განვითარება ვერ პოვა, რადგან ამას თბილისისა და გორის კაპუცინთა მისიონმა დიდი წინააღმდეგობა გაუწია. წმიდნა ტახტმაც უკან დაიხია.

როგორც ვნახეთ, 1673 წლის კაპიტულაციით ვერსალის კარმა საგრძნობლად გაიფართოვა რელიგიურ სფეროში პრივილეგიები. ირკვევა, ეს არ აკმაყოფილებდა ლუი XIV-ს და „...კონსტანტინოპოლში ლათინური ეკლესიების, სასულიერო პირებისა და მორწმუნეების დაცვაზე...“ უფრო გადამწყვეტი გავლენის მოპოვებაზე განაცხადა პრეტენზია.⁷⁶ საარქივო მასალებიდან⁷⁷ ჩანს, რომ XVIII ს-ის დასაწყისში უკვე დაიწყო ინტენსიური მოლაპარაკებები ოსმალეთსა და საფრანგეთს შორის 1673 წლის კაპიტულაციის განახლებისა და გაფართოების შესახებ.⁷⁸ ამ კონტექსტში თავი იჩინა კავკასიაში საფრანგეთის პოლიტიკის წინ ნაწილის მცდელობამაც. 1703 წლის 1 მაისს კონსტანტინოპოლიდან საფრანგეთის ელჩი მარკიზ დე ფერიოლი (1692-1711) პარიზში მინისტრსა და სახელმწიფო მდივანს გრაფ დე პონშარტრენს აუწყებდა, რომ მიზნად დაისახა შეისწავლოს საქართველოს ამბები და შეატყობინოს ვერსალს.⁷⁹ ეს ელჩი დიდვაზირთან ეწეოდა მოლაპარაკებებს, ვაჭრობის, ნაოსნობისა და სარწმუნოების გაფართოების საკითხებზე.⁸⁰ საკუთრივ მარკიზ დე ფერიოლი 1703 წლის 24 თებერვალს ლუი

71 ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი). იტალიური და ლათინური ტექსტები თარგმნეს, შესავალი და შენიშვნები დაურთეს მურმან პაპაშვილმა, ელდარ მამისთვალიშვილმა და ზურაბ გამეზარდაშვილმა, თბ., 2018.

72 დანვრ. იხ: პაპაშვილი მ., საფრანგეთის უცხოეთის..., გვ. 25-28.

73 იქვე, გვ. 26.

74 ევროპული წყაროები..., გვ. 49.

75 Archivio di Propaganda Fide, Scritture Riferite nei Congressi, Giorgia 1626-1707, vol. I, f. 368.

76 Laura Elisabeth Binz. Op. cit., p. 96.

77 ეს მასალები თავის დროზე განსვენებულმა, ცნობილმა მეცნიერმა, პროფ. ი. ტაბალუამ გადმოგვცა, რასაც მაღლიერების გრძნობით ვიხსენებთ.

78 Archives du Ministère des Affaires Etrangères. Paris. "Turquie", t. 39, f. 89.

79 Ibid., f. 84.

80 Ibid.

XIV-ს მოხსენებით ბარათში პირდაპირ მიანიშნებდა, რომ პორტაში საფრანგეთის ელჩს, როგორც უნინ, ახლაც უნდა ეკავოს პირველი ადგილი,⁸¹ რადგან ის არის პირველი ქრისტიანული ქვეყნის წარმომადგენელი.⁸² ფერიოლი არ აკლებდა თავის დიპლომატიურ უნარს, რომ 1673 წლის კაპიტულაციასთან შედარებით ყველა სფეროში უფრო მეტი პრივილეგიები და უპირატესობები მიეღო ვერსალის სამეფო კარს.⁸³ რაც საგულისხმოა, ფაქტობრივად ოსმალეთზე გავლით საქართველოში კათოლიკე მისიონერების ჩამოსვლა, რასაც სულთნის კარი ამკარად უშლიდა ხელს⁸⁴, საფრანგეთის ელჩზე იყო დამოკიდებული⁸⁵. ელჩის წერილის გარეშე კათოლიკე მისიონერების საზღვარზე გატარება ფაქტობრივად შეუძლებელი იყო.⁸⁶ უფრო ნიშანდობლივი გახლავთ ის, რომ განახლებული კაპიტულაციის პირველ მუხლში ფრანგები მოითხოვდნენ შეეტანათ საკითხი ოსმალეთის იმპერიაში „სარწმუნოების (იგულისხმება ქრისტიანული სარწმუნოება, - მ. პ.) საყოველთაო მფარველობის შესახებ“.⁸⁷ ამით, ღვთისმოსაობის გამო, საფრანგეთის მეფეს სურდა, რომ აღმოსავლეთში ყველა ქრისტიანის მფარველის ტიტული მიეღო.⁸⁸

XVIII ს-ის დასაწყისში ვერსალის სამეფო კარის სავაჭრო-რელიგიური პოლიტიკის არეალში მოექცა ყირიმის სახანოც. ელჩმა მარკიზ დე ფერიოლმა, ლუი XIV-ის ინსტრუქციით თანახმად, რომ „ნებისმიერი ელჩის ძირითადი დანიშნულება უნდა იყოს რელიგიისა და ვაჭრობის დაცვა ოსმალეთის იმპერიაში“,⁸⁹ გულმოდგინედ შეასრულა თავისი როლის რელიგიური ნაწილი.⁹⁰ მან ლუი XIV-ის განზრახვას ინტერესით უპასუხა და ყირიმში დააარსა საფრანგეთის მისიონი.⁹¹ მისი მიზანი იყო სახანოში მცხოვრებ ქრისტიანებში თითქმის ჩამქრალი რწმენის აღორძინება და შენარჩუნება.⁹² მათ რიცხვში მოიაზრებოდნენ ჩერქეზები, რომლებიც ჯერ კიდევ ინარჩუნებდნენ „ქრისტიანობის ნიშნებს“, პატივისცემით ეკიდებოდნენ რამდენიმე ძველ ეკლესიასა და „ეაღერსებიან ქრისტიანებს, როცა მათთან სახლებში მიდიან“.⁹³ ეს კი ინვევდა მისიონერების ძალისხმევასა და ინტერესს, რომ ჩერქეზებში მისიონერული საქმიანობა გაეშალათ.

81 Ibid., f. 87v.

82 Ibid.

83 Ibid., t. 40, ff.25-28v.

84 Ibid., t. 45, ff.221-221v.

85 Ibid., t. 40, f. 26 v; t.45, f.124.

86 Ibid., t. 45, f.124.

87 Archives du Ministère des Affaires Etrangères. Paris. "Turquie", t. .39, f. 85v.

88 Veinstein Gilles. Missionnaires jésuites et agents français en Crimée au début du XVIIIe siècle. In: Cahiers du monde russe et soviétique, vol. 10, n°3-4, Juillet-Décembre 1969, p.414.

89 Ibid., p. 415.

90 Ibid.

91 Ibid.

92 Ibid., p. 416.

93 Ibid., p.417.

XVIII ს-ის დასაწყისში საფრანგეთ-ირანს შორის ელჩობების გაცვლით დაწყებული ურთიერთობა⁹⁴ 1708 წლის 7 სექტემბერს საფრანგეთ-ირანის სავაჭრო ხელშეკრულების დადებით დასრულდა. ეს იყო კაპიტულაციის ტიპის ხელშეკრულება,⁹⁵ რომელიც 31 მუხლისაგან შედგებოდა.⁹⁶ მისი 26-ე მუხლის ძალით ირანის იმპერიაში მოღვაწე სხვადასხვა ორდენის (კარმელიტები, დომინიკელები, კაპუცინები, ავგუსტინელები, იეზუიტები) კათოლიკე მისიონერებს საქმიანობის სრული თავისუფლება ეძლეოდათ. არავის შეეძლო წინააღმდეგობის განევა და ხელის შეშლა, თუ ქრისტიანები კათოლიკე მამებთან მიიყვანდნენ ბავშვებს სასწავლებლად და გაკვეთილების მისაღებად.⁹⁷ ამით ირანის მხარემ ლუი XIV-ის განსაკუთრებული თხოვნა სრულად ივალდებულა.⁹⁸ სწორედ ამან განაპირობა ის, რომ აღნიშნული საუკუნის დასაწყისში ირანსა და საქართველოში მრავალმა ფრანგმა მისიონერმა მოიყარა თავი.⁹⁹

ყოველივე ზემოთ განვითარებული მსჯელობა ემსახურებოდა იმ კონტექსტის წარმოჩენას, თუ რამდენად ერკვეოდნენ ირანის ტყვეობაში მყოფი ვახტანგ VI და ვერსალში მის მიერ დესპანად (1713-14) გაგზავნილი დიდი სულხან-საბა ორბელიანი საფრანგეთ-ოსმალეთისა და საფრანგეთ-ირანის კაპიტულაციების არსში. კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ ამის დამადასტურებელი პირდაპირი წყაროები ჯერჯერობით არ გაგვარჩნია, თუმცა სულხან-საბას რელიგიური პროექტის¹⁰⁰ გაცნობა გვარწმუნებს, რომ იგი სწორედ დასახელებული კაპიტულაციების ჩარჩოებში ჯდებოდა. ყოველივე ამას პუნქტობრივად ასე ჩამოვაცალიებთ:

პირველი: ვერსალში 1714 წლის იანვარ-ივნისში სულხან-საბა ორბელიანის დიპლომატიური მოლაპარაკებები ლუი XIV-ის შუამდგომლობით ვახტანგ VI-ის ირანის ტყვეობიდან ქრისტიანობით დახსნის შესახებ რელიგიური პროექტის ჩარჩოებში წარმოებდა.¹⁰¹ ეს იმიტომ, რომ სულხან-საბამ და მისმა მომხრეებმა კარგად იცოდნენ, რომ დასახელებული კაპიტულაციების ძალით, ოსმალეთისა და ირანის იმპერიის სივრცეში მცხოვრებ კათოლიკეებზე მფარველობის დოკუმენტურად გაფორმებული ლეგიტიმური უფლებები საფრანგეთს მოპოვებული ჰქონდა და პრაქტიკაშიც წარმატებით ახორციელებდა. აქედან გამომდინარე, საფრანგეთის მისიონერულ პოლიტიკას საქართველოში ნაკლებად შეზღუდავდა ოსმალეთი და ირანი. ამ დასკვნის უტყუარ არგუმენტად მიგვარჩნია პირ-

94 ტაბალუა ი., საქართველო-საფრანგეთის..., გვ. 235-238; პაპაშვილი მ., მადმუაზელ მარი პეტი-ლუი XIV-ის თვითმარქვია ელჩი ირანში და მისი სტუმრობა საქართველოში. თსუ ზუგდიდის ფილიალის შრომები I, თბ., 2002, გვ. 88-94.

95 ტაბალუა ი., საქართველო-საფრანგეთის..., გვ. 239

96 საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი-1714 წლის დეკემბერი), ნაწილი I. შესავალი, თარგმანი და კომენტარები დაურთო ილია ტაბალუამ, თბ., 1975, გვ.59-74.

97 იქვე, გვ. 71-72.

98 ი. ტაბალუა, საქართველო-საფრანგეთის..., გვ. 246.

99 Murman Papashvili , Eldar Mamistvalishvili , Zurab Gamezardashvili , Khatuna Chapichadze. Op. cit., p.152

100 ეს ჩვენი შექმნილი ტერმინია.

101 Murman Papashvili , Eldar Mamistvalishvili , Zurab Gamezardashvili , Khatuna Chapichadze. Op. cit., p.152.

ველწყაროს შემდეგი ინფორმაცია. ფრანგი მისიონერი ჟან რიშარი, რომელიც სულხან-საბა ორბელიანთან ერთად მიემგზავრებოდა საფრანგეთში, 1714 წლის 25 მარტს წერს: „ამ პრელატმა (გრიგოლი II, - მ. პ.)... მეტად დაჟინებით მოხოვა, როცა მე გავიარე მის სამფლობელოში, ვთხოვო რვა ან ათი მისიონერი მის უდიდებულესობას (ლუი XIV-ს, - მ. პ.), რომელიც მთელს ლევანტში აღიარებულია, როგორც ყველა მისიის მფარველი და მხარდამჭერი“.¹⁰² თავის მხრივ, სულხან-საბა ლუი XIV-ს დიპლომატიური ტაქტიკის მიზნით მიახლოებდა საფრანგეთის მონარქის უპირველეს დანიშნულებაზე, რომ ის მფარველობს ქრისტიანულ სარწმუნოებას და ზრუნავს „...მთელს მსოფლიოში გაავრცელოს ის სარწმუნოება, რომელსაც ის აღიარებს ...“ დიდი ღვთისმოსაობით.¹⁰³ რასაკვირველია, ეს მიუთითებს იმაზე, რომ დასახელებული ქართველი სასულიერო მესვეურები და ვახტანგ VI საკმაოდ იყვნენ ჩახედულნი აღმოსავლეთში საფრანგეთის რელიგიური მისიების საქმიანობის ხასიათსა და მასშტაბებში.

მეორე: სულხან-საბა ორბელიანი და დასავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი გრიგოლ II (1696-1742) კარგად აცნობიერებდნენ, რომ საფრანგეთ-ოსმალეთის კაპიტულაციები საფრანგეთს მხოლოდ ოსმალეთის იმპერიის ფარგლებში აძლევდა სამისიონერო მოქმედებისა და კათოლიკეებზე მფარველობის უფლებას. სწორედ ამიტომ არ ეეჭვებოდათ ქართველ სასულიერო მესვეურებს (სულხან-საბა, გრიგოლ II, დავით მეგრელი), რომ ლუი XIV დასავლეთ საქართველოში, როგორც ოსმალეთის გავლენის სივრცეში, ინებებდა საფრანგეთის მისიონი დაეარსებინა. ზუსტად ამ ფარგლებში მანევრირებდა სულხან-საბა ფრანგ მესვეურებთან მოლაპარაკებისას, რაც თეორიულ დონეზე დადებითად გადაწყდა. ლუი XIV-მ, სურდა რა მეტოქეობა გაენია წმინდა ტახტისათვის დასავლეთ საქართველოში, „...გამოყო ათასი ეკიუ ყოველწლიურად წმ. ლაზარეს კონგრეგაციიდან ათი მისიონერის უზრუნველსაყოფად“.¹⁰⁴ პარიზის ამ „განსაკუთრებული მისიონი“-ს,¹⁰⁵ რომელსაც სასულიერო ორდენებს შორის დიდი ავტორიტეტი ჰქონდა,¹⁰⁶ დაარსების მცდელობა დასავლეთ საქართველოში, დიდი ალბათობით, ითვალისწინებდა როგორც საფრანგეთ-ოსმალეთის 1673 წლის კაპიტულაციით მინიჭებულ თავისუფლებას სარწმუნოების საკითხში, ასევე კათოლიკე მისიონერებზე საფრანგეთის პროტექტორატის განსაკუთრებულ როლს, რომელიც, როგორც თავის ადგილას ვნახეთ, მთელი არსით XVIII საუკუნის დასაწყისში გამოვლინდა.

მესამე: აღმოსავლეთში საფრანგეთის სავაჭრო ეკონომიკური და რელიგიური ინტერესიდან გამომდინარე, სულხან-საბამ კარგად იცის, რომ ირანი და ოსმალეთი შეიძლება ღვთის მტრები იყვნენ, მაგრამ ისინი ახლა საფრანგეთის მეგობრები და მოკავშირენი არიან. ირანთან და ოსმალეთთან ხელშეკრულების დადებით საფრანგეთი ცდილობდა, რომ ურთიერთობა არც ერთან გაეფუჭებინა. სწორედ ამიტომ არის, რომ სულხან-საბა ვერსალში მოლაპარაკებისას არ

102 საბუთები საქართველო-საფრანგეთის..., გვ.184.

103 იქვე, გვ. 182.

104 ტაბალუა ი., საფრანგეთსა და იტალიაში ს.ს. ორბელიანის დიპლომატიური მისიის ისტორიიდან 1715-1716 წლები. საისტორიო მოამბე, 55-56, თბ., 1987, გვ. 392.

105 იქვე, გვ. 390.

106 Tamarati Michel. L'Eglise géorgienne des origines jusqu'à nos jours, Rome, 1910, p. 603.

სვამს საკითხს ირანის ან ოსმალეთის წინააღმდეგ საფრანგეთ-საქართველოს კავშირის შესახებ. ასევე საბამ, როგორც საფრანგეთის აღმოსავლურ პოლიტიკაში ჩახედულმა დიპლომატმა, კარგად იცის, რომ საქართველოს გამო ვერსალის სამეფო კარი ირანთან და ოსმალეთთან კონფლიქტზე არ წავა. ამიტომ მისი დიპლომატიური მანევრი ჯდება ჩარჩოში – „საფრანგეთის „მეფე-მზე“ ქრისტიანების მთავარი დამცველი“, რაც მკაფიო პოლიტიკად ჩამოყალიბდა დასახელებულ კაპიტულაციებში. ამ კონტექსტში, ჩვენი ღრმა რწმენით, სულხან-საბა საფრანგეთ-ოსმალეთისა და საფრანგეთ-ირანის კაპიტულაციების სისტემიდან გამომდინარე შეეცადა, დაენახა საქართველო-საფრანგეთის მომავალი ეკონომიკური, პოლიტიკური, სამხედრო, კულტურული და რელიგიური ურთიერთობების ევოლუცია. მოცემულ ვითარებაში ამის საფუძვლად მხოლოდ რელიგიური ფაქტორი მიიჩნეოდა, რაც თეორიულად არ ეწინააღმდეგებოდა ხსენებული კაპიტულაციების სულისკვეთებას. ამან ასახვა პოვა იმ მემორანდუმში, რომელიც მარსელში შედგა 1714 წლის 25 აპრილს. ეს დოკუმენტი ფაქტობრივ მხარეს ასე გადმოგვცემს: „მემორანდუმი¹⁰⁷ იმის შესახებ, თუ რისი გაკეთება შეიძლება რომის კათოლიკური სარწმუნოების და ვაჭრობის დასამყარებლად საქართველოსთან და იმ ხალხებთან, რომლებიც მათ მეზობლად ცხოვრობენ; ასევე-მეფის ძალაუფლებისა (იგულისხმება ლუი XIV, – მ. პ.) და საფრანგეთის ვაჭრობის გაძლიერებისათვის ლევანტში და აღმოსავლეთში, კერძოდ თურქებთან და სპარსელებთან“.¹⁰⁸ ეს მკაფიოს ხდის, ერთი მხრივ, კაპიტულაციების სულისკვეთებას და მეორე მხრივ, თუ რეალურად რისი შეთავაზება შეეძლო ქართულ მხარეს ვერსალისათვის. და აქვე: ეს ფაქტორი რეალისტურ ალტერნატივას ქმნიდა, მაგრამ არა იმდენად, რომ საფრანგეთისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი ყოფილიყო ვახტანგის ირანის ტყვეობიდან ქრისტიანობით გათავისუფლება. ამასთან კავშირში მხედველობაში უნდა მივიღოთ სხვა ფაქტებიც: ეკონომიკურად უძალი საქართველო, საფრანგეთის სუსტი აღმოსავლური პოლიტიკა და ლუი XIV-ის, როგორც დროული მონარქის (75 წლის), ენთუზიაზმის უკმარისობა. ეს უკანასკნელი კარგად იკითხება სულხან-საბას მიერ გამოჯანმრთელების მილოცვის პასუხად ლუი XIV-ის სიტყვაში: „გადაურჩა ერთ მტერს – ავადმყოფობას, მაგრამ მას დაეცა მეორე მტერი –სიბერე. ადვილი საქმე არაა, 60 წელს გადასცილდე“,¹⁰⁹ – იყო „მეფე მზის“ პასუხი.

მეოთხე: ჩერქეზეთში კათოლიკობის გავრცელების საბასეული პროექტი უდავოდ ითვალისწინებდა XVIII ს-ის დასაწყისში ყირიმის სახანოში ვერსალის მიერ მისიონის დაარსების მიზანს. ამ უკანასკნელის ყირიმში დაფუძნება კი გამომდინარეობდა საფრანგეთ-ოსმალეთს შორის არსებული კაპიტულაციის რეჟიმიდან. სულხან-საბას ზედმინვენით ესმოდა რა, თუ რაში მდგომარეობდა ჩერქეზეთში კათოლიკობის გავრცელების ვერსალისეული მიზანი, მან განიზრახა გელათი ექცია ჩრდილოეთ კავკასიაში, კერძოდ ჩერქეზეთში, კათოლიკობის გავრცელების პლაცდარმად. საქართველოს სწორედ ამ როლს ხედავდნენ საფრანგეთში.¹¹⁰ ამით კი საფუძველი წაერთმეოდა ჩერქეზების ოსმალეებთან მოკავშირეობას. ამ

107 ტექსტის სინტაქსური გამართვა ჩვენია.

108 საბუთები საქართველო-საფრანგეთის..., გვ. 211.

109 ტაბალუა ი., საქართველო-საფრანგეთის..., გვ. 182.

110 Archives du Ministère des Affaires Etrangères. Paris. "Perse", t. 4, f.203-204v.

კონტექსტში სრულიად მომზადებული არგუმენტით, სულხან-საბა ფრანგულ მხარეს არწმუნებდა, რომ ვახტანგ VI, რომელიც დინასტიურად იყო დაკავშირებული ჩერქეზეთის მთავართან, ადვილად გაავრცელებდა კათოლიკობას ჩერქეზეთში. ეს მით უფრო მარტივი იქნებოდა, რადგან ჩერქეზები „პატიოსანნი, წყნარნი და ზრდილნი არიან, უცხოელების ძალიან კარგად მიმღებნი“.¹¹¹ საბას რწმუნებით, ამ მიზნის მიღწევა დიდად გაადვილდებოდა, თუ საფრანგეთი ამ ხალხში ბევრ განათლებულ ფრანგ მისიონერს გააგზავნიდა. ამ რელიგიური დიპლომატიის ჩარჩოებში სულხან-საბა ძალზე მიმზიდველად უსახავდა ფრანგულ მხარეს ჩერქეზებში კათოლიკობის გავრცელების პოლიტიკურ პერსპექტივას, რომლის გარანტიად ვახტანგ VI მიიჩნეოდა. ეს სარწმუნოებრივი გეგმა ითვალისწინებდა კათოლიკობის საფუძველზე საქართველოს ძალების ჩერქეზებთან გაერთიანებას და მომავალში საერთო ძალით ირანისა და ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლას. წყაროს ენით რომ ვთქვათ, თუ კათოლიკური სარწმუნოება შეძლებდა საერთო ინტერესებისათვის ჩერქეზ-ქართველთა „...კავშირის კვანძების შეკვრას...“, რათა ერთიმეორეს დაეხმარონ, ვერავითარი ძალა მსოფლიოში ვერ შეძლებდა მათ განადგურებას...“¹¹² რადგან ისინი ფეხზე დააყენებდნენ 100 ათასიან არმიას და თვითონ გახდებოდნენ ირანისა და ოსმალეთისათვის საშიში ძალა.¹¹³ ჩერქეზების ძალებთან გაერთიანებული საქართველო კი მომავლის გეგმებში ფრანგ მესვეურებს საფრანგეთის აღმოსავლურ პოლიტიკაში რეალურ მოკავშირედ უნდა მიეჩნიათ. ასეთ რელიგიურ (კათოლიკურ)-პოლიტიკურ დისკურსში ჩერქეზეთის საკითხის დაყენება მიუთითებდა ერთიანი კავკასიური შეგრძნების მზარდ პოლიტიკაზე, რომლის ლიდერობა საფრანგეთს უნდა ეთავა.

მეხუთე: სულხან-საბას რელიგიური კონცეფციის ევროპული იდეალი¹¹⁴ მდგომარეობდა იმ შედეგის მიღებაში, რომ კათოლიკობით გაერთიანებული საქართველო-ჩერქეზეთის ქრისტიანული თანამეგობრობა საფრანგეთის მოკავშირე იქნებოდა მის აღმოსავლურ პოლიტიკაში. შეუძლებელია საბას არ ეთვალისწინებინა, რომ ეს სრულიად არ იყო ადვილად მისაღწევი, ასევე ისიც, რომ მის ეპოქაში რელიგიური ინტერესები არ დომინირებდა. ამიტომ მან დასახელებულ კაპიტულაციებში განმტკიცებული პრინციპებით მოუსინჯა ნიადაგი საფრანგეთის მეფის პრეტენზიას, რომ ის იყო ქრისტიანების საყოველთაო მფარველი ოსმალეთისა და ირანის იმპერიაში. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ სულხან-საბა და ვახტანგ VI იმ დროის შესაბამისად საკმაოდ ერკვეოდნენ საფრანგეთ-ოსმალეთისა და საფრანგეთ-ირანის ურთიერთობათა თავისებურებებში.

მექვესე: საფრანგეთში სულხან-საბას დიპლომატიური მისიის რელიგიური ასპექტით საქართველოს ევროპულ საგარეო პოლიტიკაში სრულიად ახალი ნაბიჯი გადაიდგა. თუ XV-XVII საუკუნეებში ქართულ სინამდვილეში ეკლესიათა უნია უკავშირდებოდა წმინდა ტახტის მეშვეობით საგარეო მტრების წინააღმდეგ დასავლეთში სამხედრო მოკავშირის ძიებას, ახლა იგი დაუკავშირდა უშუალოდ საფრანგეთის აღმოსავლურ რელიგიურ პოლიტიკას, რომელზეც ვერსალის სამეფო კარის სავაჭრო-ეკონომიკური ინტერესები დომინირებდა. რამდენა-

111 საბუთები საქართველო-საფრანგეთის..., გვ. 213.

112 იქვე, საბუთები საქართველო-საფრანგეთის..., გვ. 221.

113 იქვე, გვ. 222.

114 ეს ტერმინი ჩვენი შემოტანილია.

დაც წმინდა ტახტის რელიგიურ ორდენებზე ორიენტაცია რეალურ პოლიტიკურ მოკავშირეს ვერ სძენდა საქართველოს, ახლა ქართველმა მესვეურებმა, სრულიად მართებულად, ორიენტაცია აიღეს საფრანგეთის მისიებზე, რადგან ამით უშუალოდ შეძლებდნენ კავშირს ვერსალის კართან. ცხადია, ასეთ შემთხვევაში საფრანგეთი საკუთარ რელიგიური მისიონს, საჭიროების შემთხვევაში, პოლიტიკური საშუალებებითაც დაიცავდა. ქართველი მესვეურების ასეთი ხედვა კი გამომდინარეობდა კაპიტულაციებით განსაზღვრული პრინციპებიდან.

Murman Papashvili

Religious diplomacy of Sulkhan-Saba Orbelian in the context of the Franco-Ottoman and Franco-Iranian capitulations

Summary

This article is intended to answer one question: To what extent did the religious project of Sulkhan-Saba, presented by him at Versailles in January-June 1714, take into account the religious privileges granted to France by the capitulations of France-Ottoman (1535, 1604, 1673) and France-Iran (1708). We do not have direct sources to give a definite answer to this question. Therefore, in chronological order, the trade and religious privileges received by France on the basis of capitulations in the Ottoman Empire and Iran at the beginning of the 16th-18th centuries are presented relatively extensively. Consideration of the problem in this context revealed that the religious project of Sulkhan-Saba was based on the religious practice of the named capitulations. In particular: the religious diplomacy of Sulkhan-Saba, according to which the King of France Louis XIV is the universal protector of Christians in the East and on the basis of the capitulation of 1673, France has the legal right to establish the Paris Mission in Western Georgia, which in the future will become a springboard for the spread of the Catholic faith in Abkhazia and Circassia, fully complied with the framework of the said capitulation.

Based on an analysis of primary sources, the author comes to the conclusion that the Georgian side was fully aware of the nature and scale of the activities of French religious missions in the East. Since orientation towards the religious orders of the Holy See could not acquire a real political ally for Georgia, now Georgian politicians quite rightly took an orientation towards the French missions. This would establish a direct link with the French royal court. Obviously, in this case, France would defend its religious mission through political means. This vision of the Georgian rulers stemmed from the principles defined by the capitulations.

AZERBAIJAN-TURKEY-GEORGIA POLITICAL AND MILITARY COORDINATION IN THE SOUTH CAUCASUS AT THE XX CENTURY AND THE BEGINNING OF THE XXI CENTURY

Introduction

The new geopolitical conditions in the South Caucasus after the collapse of the USSR had a significant impact on the region of the Republic of Türkiye, moreover, the formation and implementation of the goals and objectives of the policies of Azerbaijan and Georgia. The aggressive and invader policy carried out by Armenia about Türkiye and Azerbaijan naturally determined the rapprochement of Türkiye and Azerbaijan with Georgia. Georgia needed Azerbaijan and Türkiye to ensure its defense against Russia, to get rid of economic difficulties, and to become an active actor in regional politics. Georgia was a transit country in relations with Türkiye, the gateway to the West of the Republic of Azerbaijan, the key country of the Southern Caucasus. The South Caucasus occupied one of the key places in the foreign policy of the Republic of Türkiye, concurrently, because it has rich energy resources and is considered a transition to Central Asia from a geopolitical point of view. The important strategic position of Georgia, which is one of the three countries of the region, and the fact that the Republic of Azerbaijan and the countries of Central Asia are favorable countries for the transportation of hydrocarbon resources made it necessary for Georgia and Türkiye to maintain relations. At the end of the 20th century and the beginning of the 21st century, Azerbaijan-Türkiye-Georgia cooperation in the political and military field became stronger.

Mechanism of tripartite cooperation in the political field

The process of holding Türkiye-Georgia-Azerbaijan tripartite meetings became a significant mechanism contributing to regional stability, peace, and prosperity. At the end of the 20th century – the beginning of the 21st century the basis of the tripartite cooperation between Türkiye, Georgia, and Azerbaijan was established. From this period, it is observed that the three countries approach various areas and issues related to regional development in a planned manner. According to some researchers, on October 29, 1998, the Ankara Declaration was signed by the presidents of Türkiye and Azerbaijan, as well as the leaders of Georgia, Kazakhstan, and Uzbekistan, and the US Secretary of Energy on the Baku-Tbilisi-Ceyhan main export oil pipeline project, it was an essential turning point of Azerbaijan-Türkiye-Georgia trilateral cooperation.¹ This is a declaration of the Türkiye-Georgia-Azerbaijan strategic axis realization through pipelines, land and railway networks, trade, and economic agreements in the Caucasus.

On November 18, 1999, the agreement signed between Türkiye, Azerbaijan, and Georgia on the transportation of crude oil through the Baku-Tbilisi-Ceyhan main export oil pipeline, across the territory of the three states was the first economic pillar of the tripartite strategic axis. After the signing of the document, the visit of Turkish President

¹ Mitat Çelikpala, Cavid Veliyev, "Azerbaycan-Gürcistan-Türkiye Bölgesel İşbirliğinin Başarı Örneği", CİES, Policy Brief, No 3, 2015, pp. 6.

Suleyman Demirel to Tbilisi on January 14, 2000, and the signing of the protocol in Istanbul on May 9 of the same year gave further impetus to the development of Türkiye-Georgia-Azerbaijan relations on a trilateral scale. As mentioned, after the OSCE Istanbul Summit in 1999, the “Caucasus Stability Pact” came up again to solve the problems faced by Azerbaijan and Georgia. This pact also envisaged bringing the problems in the territory of Azerbaijan and Georgia to the international world on a wider scale with the diplomatic assistance of Türkiye. Action from a common position in foreign policy issues was continued and developed in the following years. On June 8, 2012, a meeting of foreign ministers of three countries was held in Trabzon at the initiative of the Ministry of Foreign Affairs of the Republic of Türkiye.² In addition to regional issues, the development of cooperation in all fields based on cooperation was discussed at the meeting, which was attended by the Minister of Foreign Affairs of Georgia, Grigol Vashadze. At the end of the tripartite meeting, the Trabzon Declaration was adopted. The document stated that the determination of the three countries to build a better future aimed at “increasing peace, stability, cooperation, progress and prosperity” in the Caucasus. It was stated that the three states aim to raise cooperation in political, economic, cultural, and humanitarian fields to higher levels. Furthermore, the party aims to implement effective projects in the political, economic, and commercial fields as indicated in the document.

The next meeting on coordinating the foreign policy of the three countries and developing cooperation in a tripartite format was held in March 2013 in Batumi, Georgia. After the change of government in Georgia in October 2012, the target of the meeting was to prolong tripartite regional cooperation with the new political forces that came to power. The new political forces that came to power in Georgia could implement a policy different from the previous 20 years, change the regional balance, and jeopardize the projects implemented and planned during the previous years. In particular, the newly elected Prime Minister of Georgia Bidzina Ivanishvili’s statements after the elections regarding tripartite cooperation and the Baku-Tbilisi-Kars railway caused enough tension.

However, the Batumi meeting of the foreign ministers partially resolved these tensions.³ The foreign ministers discussed the possibilities of developing regional cooperation on issues of concern to all three countries, visa-free travel between the three countries, and free movement of goods. A characteristic aspect of this meeting was the adoption of a tripartite sectoral cooperation plan for 2013-2015. The document was prepared by the experts identified at the Trabzon meeting. The foreign ministers also signed a joint statement pointing to the importance of concrete cooperation projects in various fields.⁴

2 “ინფორმაცია საქართველოს, აზერბაიჯანის და თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრების პირველი სამხსრივი შეხვედრის შესახებ“, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი, ივნისი 8, 2012, <https://mfa.gov.ge/News/> ინფორმაცია-საქართველოს-აზერბაიჯანის-და-თურქეთის-ს.aspx.

3 Vasili Rukhadze, “Russia May Gain in South Caucasus, as Georgian Government Wavers on Regional Railway Projects”, Eurasia Daily, January 31, 2013. <https://jamestown.org/program/russia-may-gain-in-south-caucasus-as-georgian-government-wavers-on-regional-railway-projects/>

4 “Joint Communiqué of the Second Trilateral Meeting of the Ministers of Foreign Affairs of the Republic of Azerbaijan, Georgia and the Republic of Turkey”, The site of MFA of Georgia, March 28, 2013.

On September 6, 2017, the sixth tripartite meeting of Azerbaijan-Georgia-Türkiye foreign ministers was held in Baku. On October 29, 2018, the seventh meeting of foreign ministers in a tripartite format took place in Istanbul. The eighth tripartite meeting of foreign ministers of Azerbaijan, Georgia, and Türkiye was held in Tbilisi. During the discussions held in this framework, issues of trilateral cooperation, and issues of cooperation in the fields of trade, economy, transport, and energy with the participation of all three countries were discussed. Issues of cooperation in the field of energy were discussed; consequently, discussions were held on the prospects of the completion and expansion of the construction of the Southern Gas Corridor. The significance of the completion of the TANAP project was also highlighted at the meeting. It was particularly emphasized that the meeting between Azerbaijan, Georgia, and Türkiye in a tripartite format contributed to regional cooperation, stability, and progress. At the meeting, the ministers exchanged views on regional and global events. The position of the parties in approaching the issues was the same.

The relations of the three countries in the political sphere formed the basis for the high level of cooperation development in other spheres. The countries have declared their intention to work together on regional security and peace at every opportunity. Georgia has considered Türkiye and Azerbaijan as strategic partners, which it witnessed playing an extremely positive role in difficult times.

Both Türkiye and Azerbaijan have continued to approach Georgia as a close and friendly country. Georgia's political stability has met the interests of Türkiye and Azerbaijan. A strong and problem-free Georgia in the Caucasus was perceived as a guarantee of maintaining peace in the region and strengthening its political influence for Türkiye. As stated by Turkish researcher Necip Torumtay, the independent state established in Georgia has been a trusted friend for the further development of political, economic, and cultural relations between Türkiye and the Caucasus.⁵ Georgia, which is a key country in terms of Türkiye's South Caucasus policy, has acted jointly with Türkiye and Azerbaijan in almost all regional economic cooperation projects, especially in the field of energy and transport.

Azerbaijan-Türkiye-Georgia trilateral military cooperation

In addition to political and economic relations, all three countries have also taken initiatives to create a multilateral (Türkiye-Azerbaijan-Georgia) cooperation platform in the military and security fields. Türkiye-Azerbaijan-Georgia held joint military exercises in different years. Georgia also participated in the Black Sea Naval Cooperation Group (BLACKSEAFOR) established in 2001 under the leadership of Türkiye, along with other countries on the Black Sea coast.

Within the framework of Türkiye-Georgia military cooperation, on March 19, 2002, exercises were conducted at the border of "Posof Turkgozu" village with the participation of the soldiers of the two countries.⁶ The agreement on the fight against terrorism, organized crime and other major crimes between the Republic of Azerbaijan,

www.mfa.gov.tr/joint-communique-of-the-second-trilateral-meeting-of-the-ministers-of-fore

5 Necip Torumtay, *Değişen Stratejilerin Odağında Türkiye*, İstanbul 1996, p. 198.

6 Mete Taşkın, *Bağımsızlığından sonra Gürcistan-Türkiye ilişkileri*, Yüksek lisans tezi, İzmir 2006, p. 163.

the Republic of Türkiye, and Georgia, signed in Trabzon on April 30 of the same year, included articles related to the fight against terrorism as well as ensuring the security of the energy corridor.⁷ It was envisaged that the three countries could receive all necessary information about separatist and terrorist groups and individuals operating against them on the territory of any state and documents not containing state secrets from the other signatories of the agreement, and the parties to the agreement should do so.

On July 23, 2003, a protocol on ensuring the security of the East-West energy corridor was signed between Türkiye, Azerbaijan, and Georgia in Baku.⁸ During the period, the tripartite cooperation mechanism in the region was viewed more negatively by Russia and Armenia, which played the role of its outpost in the region and occupied the territories of Azerbaijan.

After M. Saakashvili came to power in Georgia, relations in the military field rose to a new level, many documents were signed between the two countries within the framework of NATO. Therefore, after the United States, Türkiye became the second largest country providing military and security assistance to Georgia. The main part of Türkiye's military aid to Georgia was spent on training personnel and repairing military barracks. The conducted studies show that from 1998 to 2006, the volume of supplies and product assistance of the Turkish armed forces to the Georgian army exceeded 30 million dollars.⁹

The Marneuli military airport and base, modernized with the support of Türkiye, was fully handed over to the Ministry of Defense of Georgia on December 25, 2004. Türkiye spent about 3 million dollars on the modernization of this base until 2004.¹⁰

In the studied years, the reorganization, training, equipping and modernization of the Georgian Armed Forces was carried out by Türkiye in the following units and headquarters: United Military Academy of Georgia; Tbilisi / Georgia Lilo Border Troops Command; 11th Mechanized Infantry Brigade Command; Internal Forces Advisory and Training Group Command; Georgian Special Forces Command and Training Command; Land-Aviation Technical Support Command; Air Force Command; Marneuli Airport Command.

The issues of Georgia-Türkiye cooperation in the military field came up again during the war between Russia and Georgia in 2008. During the days of the war, allegations were made in the Russian press that Türkiye provided military support to Georgia and incited the war. According to the report of the Russian Ministry of Defense, Türkiye sold 45 million dollars of weapons and ammunition to Georgia. Russia claimed that the materials provided by Türkiye under the guise of military aid developed the Georgian army and ensured the start of this movement.

7 "Azərbaycan Respublikası, Gürcüstan və Türkiyə Respublikası arasında terrorizm, mütəşəkkil cinayətkarlıq və digər ağır cinayətlərə qarşı mübarizə haqqında Saziş", Azərbaycan Respublikası Ədliyyə Nazirliyi normativ-hüquqi sənədlərin elektron bazası, 2021, www.e-qanun.az/framework/1037

8 "Azərbaycan Respublikası, Gürcüstan və Türkiyə Respublikası arasında Şərq-Qərb Enerji Dəhlizinin təhlükəsizliyinin təmin edilməsi haqqında Protokolun təsdiq edilməsi barədə Azərbaycan Respublikasının Qanunu", Azərbaycan Respublikası Ədliyyə Nazirliyi normativ-hüquqi sənədlərin elektron bazası, 9 Dekabr, 2003, www.e-qanun.az/framework/2596

9 21.yüzyılda Türk Dış Politikası, Editor: İ.Bal, Ankara 2004, pp. 432-433.

10 "Turkish Chief of General Staff Visits Georgia", RFE/RL Newsline, June 26, 2000, www.rferl.org/newsline/2000/06/270600.asp.

Trilateral defense cooperation between Georgia, Azerbaijan, and Türkiye has entered a new stage since 2012. This cooperation aimed at strengthening regional security, and concurrently effective implementation of common goals and interests. In this framework, regular consultations and joint training were held at the level of ministers and specialists.¹¹ Despite the change of government in Georgia in 2012, prolonging cooperation within the tripartite security format was announced at the meeting held in Batumi, in 2013. Although the tripartite mechanism has been implemented mainly at the level of foreign affairs ministers, since 2014, defense ministers have also joined the process. On August 19, 2014, an agreement on joint military exercises was signed in Nakhchivan. The agreement was supposed to improve the combat capability of the armed forces of all three countries.¹²

It is clear from the analysis that the tripartite relations developed in the military field between Türkiye-Azerbaijan-Georgia also served to align these countries to NATO standards. In this regard, one of the big initiatives was the holding of tripartite meetings between the defense ministers of the three countries. After Montenegro was invited to NATO at the beginning of December 2015, Türkiye took quick initiatives to evaluate Georgia's desire to join NATO. Within the framework of the defense ministers meeting of Türkiye, Azerbaijan, and Georgia organized for the third time in 2015, the significance of regional and global dialogue was emphasized and confidence was expressed that the dialogue in this format will be an example for other countries. In May of the same year, a meeting of the First Turkish-Azerbaijani-Georgian Armed Forces Commanders was organized.¹³

As a continuation of this union, in May 2016, the defense ministers of Türkiye, Azerbaijan, and Georgia met in Gabala and reached an agreement to conduct exercises to increase joint military training.¹⁴ Türkiye and Georgia continued active cooperation within NATO. From November 10 to 12, 2016, the international exercise "Georgia-NATO-2016" was held in Georgia, in which the Turkish military also participated.¹⁵

At the International Defense Industry Exhibition (IDEF17) held in Istanbul in May 2017, the defense ministers of Georgia and Türkiye decided to hold a tripartite meeting with the participation of the Minister of Defense of the Republic of Azerbaijan in Batumi at the end of that month.¹⁶ In the meeting held in Batumi on May 23, was decided

11 "Bilateral Defence Cooperation", The official site of Ministry of Defence of Georgia, 2021, <https://mod.gov.ge/en/page/40/bilateral-defence-cooperation>.

12 Doğan Şafak Polat, "Kafkasya'da Türkiye, Azerbaycan ve Gürcistan İttifakının Bölgesel Güvenliğe Etkileri", İstanbul Gelişim Üniversitesi Sosyal Bilimler Dergisi, No.6 (2), 2019, p. 259.

13 Burhanettin Duran, Kemal İnat, Türk Dış Politikası Yıllığı. 2015, İstanbul 2015, p. 335.

14 "Azərbaycan, Gürcüstan və Türkiyə Müdafiə nazirlərinin üçtərəfli görüşü keçirilib", Azərbaycan Respublikası Müdafiə Nazirliyinin rəsmi internet saytı, 15 may, 2016, <https://mod.gov.az/az/news/azerbaycan-gurcistan-ve-turkiye-mudafie-nazirlerinin-ucterefli-gorusu-kecirilib-13022.html>

15 Лариса Алексанян, "Эволюция турецко-грузинских отношений: новые тенденции (экономический и военно-политический аспекты)", Проблемы постсоветского пространства, No. 4 (2), 2017, p. 153.

Yalçın Sarıkaya, "Türkiye-Gürcistan-Azerbaycan Üçlü İlişkilerinin Savunma İşbirliği Boyutu", Karadeniz Araştırmaları, No. XVI/64, 2019, p. 592.

16 Yalçın Sarıkaya, "Türkiye-Gürcistan-Azerbaycan Üçlü İlişkilerinin Savunma İşbirliği Boyutu",

to continue the joint exercises. In June, “Caucasian Eagle” exercises were held at the Vaziani base near Tbilisi, in which the special forces of the three countries took part.¹⁷

The defense ministers of Türkiye, Azerbaijan, and Georgia held another meeting in Giresun on March 31, 2018. There were discussions on deepening trilateral cooperation, and establishment of joint production enterprises in the field of defense industry, a memorandum of understanding was signed between the three countries.¹⁸

Trilateral cooperation was also manifested in multilateral military activities from time to time. In this regard, on March 18-29, 2019, joint NATO-Georgia exercises were held at the NATO-Georgia Training Center located at the Krtsanisi military base near Tbilisi. In the indicated training including Azerbaijan and Türkiye, 24 countries participated.¹⁹

On September 2, 2019, a computer-supported command post exercise was held in Baku with the participation of Türkiye and Georgia. As part of the exercise, the necessary activities were carried out using computers, to ensure security, to prevent possible terrorist attacks on the Baku-Tbilisi-Ceyhan main export oil pipeline, the Baku-Tbilisi-Erzurum natural gas pipeline, and the Baku-Tbilisi-Kars railway line. The training called “Enternity-2019” lasted four days. In the same month, the special forces of Türkiye, Azerbaijan, and Georgia held joint military exercises “Caucasian Eagle – 2019” in Baku.²⁰

Conclusion

The analyses conducted to a certain extent indicated that Azerbaijan-Türkiye-Georgia cooperation played a significant role in ensuring political stability in the South Caucasus at the end of the 20th century and the beginning of the 21st century, in the implementation of regional economic projects, and in ensuring military security. The parties were able to take a common position in the approach to the political processes taking place in the world and the region, and using their overlapping interests, they were able to create a favorable environment for cooperation. This cooperation platform operated based on “win-win” principles and served each party’s interests. In the studied period, Türkiye tried to create the Türkiye-Georgia-Azerbaijan axis in the South Caucasus region, not only economically and politically, but also in terms of military

Karadeniz Araştırmaları, No. XVI/64, 2019, p. 592.

17 “Türkiye, Gürcistan ve Azerbaycan’dan Ortak Tatbikat: Kafkas Kartalı”, Habereyup, 2017, www.habereyup.com/turkiye-gurcistan-ve-azerbaycan-dan-ortak-tatbikat-kafkas-kartali_8127.html

18 “Azərbaycan Respublikası Hökuməti, Gürcüstan Hökuməti və Türkiyə Respublikası Hökuməti arasında müdafiə sahəsində əməkdaşlıq haqqında Anlaşma Memorandumu”, Azərbaycan Respublikası Ədliyyə Nazirliyi normativ-hüquqi sənədlərin elektron bazası, 2018, www.e-qanun.az/framework/40367;

“Azərbaycan, Türkiyə və Gürcüstan Müdafiə nazirlərinin görüşü keçirilib”, Azərbaycan Respublikası Müdafiə Nazirliyinin rəsmi internet saytı, 31 mart, 2018, <https://mod.gov.az/az/news/azerbaycan-turkiye-ve-gurcistan-mudafie-nazirlerinin-gorusu-kecirilib-22155.html>

19 “Türkiye NATO-Gürcistan Ortak Eğitim ve Tatbikatına Katılacak”, Sputnik, 2019, https://tr.sputniknews.com/avrupa/20190311103_8141952-turkiye-natogurcistan-ortak-egitim-tatbikat/

20 Ruslan Rehimov, “Kafkas Kartalı Tatbikatı Sürüyor”, Anadolu Ajansı, 25 Eylül, 2009, www.aa.com.tr/tr/turkiye/kafkas-kartali-tatbikati-suruyor/1593655

and security. Increasing the defense capacity of Georgia and ensuring its security are directly related to the security of energy and transport routes passing through the territory of Georgia, which are of interest to Azerbaijan and Türkiye. Consequently, a strong, secure Azerbaijan and Georgia formed a link between Türkiye and Russia. It is no coincidence that the military agreements signed between Türkiye and Georgia characterized Georgia's attempts to balance the Russian threat.

ჩინარა გაბილი საფაროვა

აზერბაიჯან-თურქეთ-საქართველოს პოლიტიკური და სამხედრო თანამშრომლობა სამხრეთ კავკასიაში XX საუკუნის ბოლოს - XXI საუკუნის დასაწყისში

რეზიუმე

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სამხრეთ კავკასია თურქეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად იქცა. ამავდროულად, სამხრეთ კავკასიის ორ ქვეყანას – აზერბაიჯანსა და საქართველოს, რომლებმაც განვითარების დამოუკიდებელი გზა აირჩიეს, თურქეთთან თანამშრომლობა სჭირდებოდათ. სამხრეთ კავკასიის ორივე სახელმწიფოსათვის თურქეთის რესპუბლიკა იყო სერიოზული და სანდო პარტნიორი როგორც ეკონომიკური, ისე, პოლიტიკური, სამხედრო და უსაფრთხოების თვალსაზრისით.

XX საუკუნის ბოლოს და XXI-ე საუკუნის დასაწყისში რეგიონში ახალმა გეოპოლიტიკურმა და გეოეკონომიკურმა პირობებმა აიძულა სამივე სახელმწიფო, დაემყარებინათ მჭიდრო კავშირები პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო და უსაფრთხოების სფეროებში. შედეგად შეიქმნა აზერბაიჯანი-თურქეთ-საქართველოს თანამშრომლობის ღერძი ანუ პლატფორმა, რომელიც მიმდინარე ასწლეულის დამდეგიდან რეგიონში თანამშრომლობისა და განვითარების სიმბოლოდ იქცა.

სტატიაში განხილულია აზერბაიჯან-თურქეთ-საქართველოს პოლიტიკური და სამხედრო თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებები სამხრეთ კავკასიაში XX საუკუნის ბოლოს და XXI-ე საუკუნის დასაწყისში; გაშუქებულია ამ თანამშრომლობის ფორმირების პროცესის ანალიზი. მთავარი დასკვნა ის არის, რომ აზერბაიჯანის, თურქეთისა და საქართველოს თანამშრომლობამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სამხრეთ კავკასიაში პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფაში, რეგიონული ეკონომიკური პროექტების განხორციელებასა და სამხედრო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში.

მხარეებმა შეძლეს ერთიანი პოზიციის დაკავება მსოფლიოსა და რეგიონში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებისადმი და შექმნეს ხელსაყრელი გარემო თანამშრომლობისთვის, რომელიც თითოეული მხარის ინტერესებს ემსახურება.

კაპიტანი სიმონ შავგულიძე - გეომეტრიის გზა

1918 წლის 16 მაისს ქუთაისში, ქალაქის ცენტრალური ბულვარის მოპირდაპირე მხარეს, მთავარანგელოზის ეკლესიის ეზოში, დაკრძალეს 24 წლის შტაბს-კაპიტანი სიმონ შავგულიძე¹ - ახალგაზრდა ოფიცერი, რომელიც 1 აპრილის ღამეს, ბათუმში, ანარიის ფორტის დაცვას მეთაურობდა და მასთან მყოფ ოფიცრებისა და ჯარისკაცების უდიდეს ნაწილთან ერთად, ოსმალურ არმიასთან ბრძოლაში დაიღუპა.² დღეს ქუთაისში აღარც მთავარანგელოზის ეკლესია და აღარც სიმონ შავგულიძის საფლავი. ეკლესიის ადგილზე საბჭოთა პერიოდში ადმინისტრაციული შენობები აშენდა, ხოლო საფლავის ადგილას კი ტროტუარი, თუმცა ოფიცრის ნათესავები ყოველ აღდგომას მერიის წინ მდგარ ცაცხვის ხესთან მიდიან, სადაც ბზასა და წითელ კვერცხებს ტოვებენ.³

სიმონ შავგულიძის სახელი და ბიოგრაფია ქართული საისტორიო და სალიტერატურო წრეებისათვის უცხო არ არის, არსებობს მის შესახებ დანერგილი ორიოდე სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის სტატიაც. პირველად ახალგაზრდა ოფიცრის შესახებ 1989 წლის 10 მარტის „ლიტერატურული საქართველო“ ნომერში გამოქვეყნა სტატია თინათინ შავგულიძემ. ავტორს მოთხრობილი აქვს ანარიის ფორტისათვის ბრძოლაში დაღუპული შავგულიძის თავგადასავალი 1918 წელს ქართულ პრესაში დაბეჭდილი ზოგიერთ სტატიაზე დაყრდნობით,⁴ ასევე გამოყენებული აქვს სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე სიმონის მიერ საკუთარი დისადმი გაგზავნილი პირადი წერილი.⁵ იმავე წლის 17 მაისს, გაზეთ „ქუთაისში“ სიმონის შესახებ სტატია გამოქვეყნა იროდიონ ერემეიშვილმა. მისი პუბლიკაცია თათია შავგულიძის წერილის მოკლე შინაარს წარმოადგენს, მაგრამ განსხვავდება იმით, რომ იროდიონი ითხოვდა ქუთაისში იმ ქუჩას, რომელზეც მდებარე სახლში სიმონი დაიბადა და ცხო-

1 შავგულიძე თ., გმირის გმირული ვალი, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1989 წ., 10 მარტი. გვ. 6.

2 იქვე. გვ.6.

3 მაკარიძე ო., ინტერვიუ გიორგი შავგულიძესთან. http://psnews.ge/index.php?m=68&news_id=56729 . ბოლოს ნანახია 12.14.2023.

4 ავტორს გამოყენებული აქვს გაზეთ „სახალხო საქმის“ 1918 წლის 14 აპრილის, „ხალხის მეგობრის“ 1918 წლის 30 აპრილისა და 16 მაისის, „სოციალ-დემოკრატის“ 1918 წლის 16 მაისის და ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ 1918 წლის N8-ში დაბეჭდილი ინფორმაცია. იხ. შავგულიძე თ., გმირის გმირული ვალი, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1989 წ., 10 მარტი, გვ. 6.

5 შავგულიძე თ., გმირის გმირული ვალი, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1989 წ. 10 მარტი, გვ. 6. 2001 წელს თათია შავგულიძემ ჟურნალ „ომეგაში“ გამოქვეყნა სტატია „მაშინ ბათუმის ბედი წყდებოდა“. არ ვიცი თათია და თინათინ შავგულიძე ერთი პიროვნებაა თუ სხვადასხვა, მაგრამ განსხვავება ორ სტატიას შორის უმნიშვნელოა. პირველი სტატიისგან განსხვავებით, მეორეში ავტორს აღნიშნული აქვს, რომ სიმონის ცხედარი მისმა 14 წლის ძმამ, შალვამ მაღულად გამოიტანა ბრძოლის ველიდან. სავარაუდოდ, ეს ზეპირი გადმოცემა, რომელიც ნაკლებად სარწმუნოა, მას სიმონის ნათესავებმა უამბეს. მეორე სტატიაში თათია შავგულიძეს ასევე დაბეჭდილი აქვს სიმონის 4 ფოტო და დისადმი გაგზავნილი წერილის ფოტოასლი. იხ. შავგულიძე თ., მაშინ ბათუმის ბედი წყდებოდა, ჟურნალი „ომეგა“, 2001, N 7, გვ. 52-55.

ვრობდა, მისი სახელი მინიჭებოდა.⁶ ცხრა წლის შემდეგ, 1998 წელს, ისტორიკოსმა გოჩა საითიძემ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოაქვეყნა პოპულარული ხასიათის წერილი სიმონ შავგულიძის შესახებ. მის სტატიაში მხოლოდ ერთი ფაქტობრივი სიახლეა, დაკონკრეტებულია, რომ შავგულიძე საქართველოში ყოფნისას პირველი პოლკის ოფიცერი იყო, ასევე ბრძოლის დეტალები თ. შავგულიძის სტატიისგან ცოტა განსხვავებულია, რადგანაც შავგულიძისაგან განსხვავებით, გოჩა საითიძეს გამოყენებული აქვს 1920 წელს ჟურნალ „მხედარის“ N14-ში გამოქვეყნებული ინფორმაცია.⁷

მთლიანობაში შეგვიძლია ვთქვათ, რომ სიმონ შავგულიძის ბიოგრაფიის შესახებ აქამდე არსებული ცოდნა ემყარებოდა მისი დალუპვის თანადროულ პერიოდული პრესის მასალებს და მის მიერ დისადმი გაგზავნილ წერილს. აღნიშნული წყაროთმცოდნეობითი ბაზა ბევრ ხარვეზს შეიცავს. მართალია, ის გამოდგება და პირველხარისხოვანი წყაროა სიმონის დალუპვის გარემოებებისა და ქართული საზოგადოების რეაქციის შესასწავლად, მაგრამ მანამდელი მისი სამხედრო კარიერის შესახებ არ წარმოადგენს სარწმუნო ინფორმაციას. ამის თქმის საშუალებას ამ მასალის პირველწყაროებთან შედარება გვაძლევს. პირველწყაროები, კერძოდ კი სიმონის შესახებ რუსეთის სამხედრო საისტორიო არქივში (Российский Государственный Военно-исторический архив) დაცული დოკუმენტები რუსულ არმიაში მისი სამხედრო კარიერის ზუსტ სურათს გვიხატავს. დოკუმენტებში შევხვდებით მისი დაჯილდოებისა თუ ნოდებათა მინიჭების ბრძანებებს დამსახურებების აღწერებითურთ, სამხედრო სასწავლებლის შეფასებებს, თანამდებობებს და ა.შ. მართალია, თავად რუსეთის არქივში ფიზიკურად მუშაობის საშუალება არ მომცემია, მაგრამ ვისარგებლე ამ არქივიდან პირველი მსოფლიო ომის შესახებ არსებული დოკუმენტების ელექტრონული ბაზით, რომელიც განთავსებულია საიტ gwar.mil.ru-ზე. იმპერიის პერიოდის არმიაში სამსახურის აღმნიშვნელი დოკუმენტების გარდა, ავტორებს არ აქვთ გამოყენებული ანარიის ფორტის ბრძოლის თანადროული პრესის ზოგიერთი ნომერი, მათ შორის კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გაზეთ „ხალხის მეგობრის“ 1918 წლის 14 და 19 მაისის გამოშვებაში დაბეჭდილი სტატიები, რომლებიც ძალიან მნიშვნელოვან ცნობებს გვანვდის ანარიის ფორტზე მომხდარი ბრძოლის შესახებ. ამავდროულად, შევისწავლე ბათუმის ფორტების სისტემა და 2019 წლიდან რამდენჯერმე მოვანყვე ექსპედიცია ბათუმის მიმდებარედ ანარიის ფორტის ნანგრევებზე, რათა ადგილზე უკეთ განმესაზღვრა ამ ფორტის მნიშვნელობა ბათუმის დაცვის საქმეში და შესაბამისად, შავგულიძის რაზმის ბრძოლის მნიშვნელობაც. ფორტის შესწავლა და იქიდან გადაშლილი ხედები, ნათლად წარმოგადგენინებს სიმონის მიერ დალუპვამდე

6 ერემეიშვილი ი., სიმონ შავგულიძის სახელი უკვდავსაყოფად, გაზ. „ქუთაისი“, 1989 წ., 17 მაისი, გვ. 3.

7 საითიძე გ., გმირი ქართველთა – სიმონ შავგულიძე, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1998 წ., 19 ივნისი, გვ. 6. მართალია, სტატიას არ აქვს მითითებები, მაგრამ ტექსტების შედარებისას აშკარაა, რომ ავტორმა გამოიყენა ჟურნალ „მხედარის“ 1920 წლის N14-ში (გვ. 8-9) დაბეჭდილი მასალა. იხ. ასევე, საითიძე გ., სახელოვანი კაპიტანი, გაზ. „ლიტერატურული მესხეთი“, 2001 წ., N12, გვ. 8; საითიძე გ., საქართველოს სამხედრო საქმის ისტორიიდან (1918-1921წწ.), ახალი ეპოქის დასაწყისი – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921), საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული. კავკასიის უნივერსიტეტი. თბ., 2018, გვ. 127-129.

რამდენიმე დღით ადრე საკუთარი დისადმი გაგზავნილ წერილში აღწერილ განცდებს.⁸

სიმონი 1894 წლის 29 მარტს ქუთაისში დაიბადა, სასულიერო პირის ოჯახში.⁹ მისი მამა იობი, მღვდელი იყო და სიმონის გარდა 12 შვილი ჰყავდა. სიმონმა დაწყებითი განათლება ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში მიიღო, ხოლო მოგვიანებით კი სწავლა თბილისის სასულიერო სემინარიაში განაგრძო.¹⁰ თბილისის სემინარია ის ადგილი იყო, სადაც მეფის რეჟიმის მარწმუნები და მკაცრი პოლიტიკა სემინარისტებისადმი, სასულიერო მოღვაწეობის მოსურნე ახალგაზრდების არცთუ მცირე ნაწილს რევოლუციონერებადაც კი გადააქცევდა ხოლმე. სიმონიკა, როგორც მას მისი მეგობრები ეძახდნენ, სემინარიის მკაცრ რეჟიმს ვერ ეგუებოდა და უკმაყოფილო სტუდენტთა რიგებს შეუერთდა, რაც საბოლოო ჯამში მისთვის 1913 წლის თებერვალში სემინარიიდან გარიცხვით და სიმფეროპოლის სემინარიაში გადასვლით დასრულდა.¹¹ სიმონმა 1914 წელს სიმფეროპოლში დაასრულა თავრიდის სასულიერო სემინარია.¹² შავგულიძის მიერ სემინარიის დასრულება პირველი მსოფლიო ომის დაწყებას დაემთხვა, რუსეთის იმპერიაში დაიწყო მობილიზაცია. მობილიზაციის შედეგად, ჯარის პირადი შემადგენლობის ზრდა და ომის მნიშვნელოვანი დანაკარგები ახალ ოფიცერთა დიდი რაოდენობით მომზადებას მოითხოვდა, ამიტომ იმპერიის მასშტაბით დაიწყო მოკლევადიანი სამხედრო სასწავლებლების – პრაპორშიკთა სკოლების გახსნა. 1914 წელსვე უკვე 11 ასეთი სკოლა ფუნქციონირებდა 3-4 თვიანი სწავლების კურსით, სულ ომის დროს კი 41 ასეთი სკოლა გაიხსნა, სადაც 100 000-ზე მეტი უმცროსი ოფიცერი მომზადდა.¹³ პრაპორშიკთა სკოლები კომპლექტებოდა სამხედრო საქმისთვის ვარგისი სამაზრო სასწავლებელ დამთავრებულ, უმაღლესი დაწყებითი განათლების, საშუალო განათლების მქონე, ასევე სტუდენტებისა თუ უმაღლესი განათლების მქონე პირთაგან. პრაპორშიკთა სკოლებში ფრონტიდან ასევე აგზავნიდნენ გამორჩეულ რიგითებსა თუ უნტერ-ოფიცრებს.¹⁴ სემინარიის კურსდამთავრებული სიმონ შავგულიძე სწორედ ერთ-ერთ ასეთ სამხედრო სკოლაში, კერძოდ კი 1914 წლის 1 ოქტომბერს, პრაპორშიკთა კიევის პირველ სამხედრო სასწავლებელში შევიდა, რომლის ოთხთვიანი კურსის პირველი თანრიგით დასრულების შემდეგ, 1915 წლის 1 თებერვალს პრაპორშიკის წოდება მიიღო.¹⁵ პრაპორშიკთა სასწავლებლის პირველ თანრიგზე დამთავრების მიუხედავად, მისი საშუალო შეფასება არცთუ მაღალი იყო. მაქსიმალური 12 ქული-

8 თავის დროზე საქართველოს პირველი რესპუბლიკის ბლოგზე გამოვაქვეყნე ამ სტატიის მცირე, პოპულარული ვერსია. იხ. https://pirvelirespublika.blogspot.com/2020/04/blog-post.html?pref=fb&fbclid=IwAR2FHgF_OHMZ2MuCM69PtixaqaleThJVdDVtWl8peNqzb-jzT1u8JHld9Nc

9 Российский Государственный Военно-исторический архив (შემდეგში РГВИА). Фонд 408. Опис 1. Дело 12699. Л. 35. აქამდე ცნობილი იყო სიმონის დაბადების წელი, მაგრამ არა თვე და რიცხვი, აქედან გამომდინარე, ითვლებოდა, რომ ის 23 წლის ასაკში დაილუპა, სინამდვილეში კი ის 24 წლის გახდა დალუპვამდე ორი დღით ადრე.

10 შავგულიძე თ., გმირის გმირული ვალი, გვ. 6.

11 საითიძე გ., გმირი ქართველთა – სვიმონ შავგულიძე, გვ. 6.

12 РГВИА. Фонд 408. Оп. 1. Д. 12699. Л. 35.

13 Волков С., Русский Офицерский Корпус, Москва, 2003, с. 179-181.

14 . Волков С., с.180.

15 РГВИА. Фонд 408. Оп. 1. Д. 12699. Л. 35.

დან, მან მეთაურობაში 7,38; მეცნიერებაში – 7,5 ხოლო სამწყობრო მომზადებაში – 7 ქულა მიიღო.¹⁶

პრაპორშიკთა სამხედრო სკოლის დასრულებისთანავე სიმონი გენერალ-ადიუტანტ კორნილოვის სახელობის 57-ე მოდლინის ქვეითი პოლკის მეტყვიამფრქვევეთა გუნდში (ასეული) უმცროს ოფიცრად ჩაირიცხა. 1916 წელს მას მიანიჭეს პოდპორუჩიკის (უმცროსი ლეიტენანტი), 1916 წლის ოქტომბერში – პორუჩიკის (ლეიტენანტი), ხოლო 1917 წლის 11 აპრილს კი შტაბს-კაპიტანის სამხედრო წოდება.¹⁷ საინტერესოა, რომ სიმონი შტაბს-კაპიტანის წოდებით დაიღუპა, მაგრამ სიკვდილიდან 8 თვის შემდეგ, 1918 წლის 30 ნოემბერს, საქართველოს სამხედრო სამინისტრომ მას კიდევ უფრო მაღალი – კაპიტანის სამხედრო ჩინი მიანიჭა.¹⁸ ამიტომ არ არის გასაკვირი თუ მისი დაღუპვის თანადროულ წერილებში მას ხან შტაბს-კაპიტანად მოიხსენიებენ, ხან კიდევ, შეცდომით, კაპიტანად, ხოლო 1918 წლის ნოემბრის შემდეგ პუბლიკაციებში კი მისი კაპიტანად მოხსენიება სწორი.

მოდლინის 57-ე ქვეით პოლკში ჩარიცხვის შემდეგ, მსოფლიო ომში სიმონი ავსტრია-უნგრეთისა და გერმანიის იმპერიის ჯარების წინააღმდეგ იბრძოდა. ომში ჩართვიდანვე მალევე, 1915 წლის 14 მარტს, სოფელ მიკუევთან მომხდარ ბრძოლაში იგი დაიჭრა,¹⁹ მოგვიანებით კი მომწამლავი გაზით მოინამლა.²⁰ სიმონმა 1915-1917 წლებში მრავალი სამხედრო ჯილდო მიიღო, კერძოდ: სტანისლავის მესამე ხარისხის ორდენი; სტანისლავის მეორე ხარისხის ორდენი ხმლით; წმინდა ანას მეოთხე ხარისხის ორდენი წარწერით „სიმამაცისათვის“, ასევე, წმინდა ანას მესამე ხარისხის ორდენი და ოფიცერთათვის სანუკვარი და ყველაზე მნიშვნელოვანი – წმინდა გიორგის ორი ორდენი – წმინდა გიორგის იარაღი და წმინდა გიორგის მეოთხე ხარისხის ორდენი.²¹ საარქივო დოკუმენტებმა შემოინახა სიმონის წმინდა გიორგის იარაღითა და მეოთხე ხარისხის ორდენით დაჯილდოების მიზეზები. ორივე ორდენი შავგულიძემ 1916 წლის მაისსა და ივნისში, ბრუსილოვის გარღვევისას (22 მაისი – 7 სექტემბერი)²² დაიმსახურა, როდესაც რუსულმა არმიამ წარმატებული შეტევითი ოპერაცია განახორციელა. ამ ოპერაციის მსვლელობისას 57-ე ქვეითი პოლკი, სადაც შავგულიძე ირიცხებოდა, მერვე კორპუსის დანაყოფი იყო, რომელიც თავის მხრივ მერვე არმიას ექვემდებარებოდა. მერვე არმია და მასში შემავალი სამხედრო ნაწილები როვნოდან – ლუცკი-კოველის მიმართულებით უტევდნენ მოწინააღმდე-

16 Циркуляры Главного Штаба 1915 N1-182, Офиальные издания, с. 1094.

17 РГВИА. Фонд 408. Оп. 1. Д. 12699. Л. 35. დოკუმენტში პრაპორშიკის წოდების მინიჭების თარიღად შეცდომით 1914 წლის 1 თებერვალი დასახელებული, თუმცა იქვე წერია, რომ 1914 წლის 1 ოქტომბერს ჩაირიცხა არმიაში შავგულიძე და ასევე მითითებულია, რომ გაიარა 4 თვიანი კურსი. შესაბამისად, უნდა ეწეროს 1915 წლის 1 თებერვალი. ის, რომ მან 1915 წლის 1 თებერვალს დაასრულა სწავლა ზემოთ აღვნიშნე და დავიმონე შესაბამისი დოკუმენტი.

18 ბრძანება რესპუბლიკის ჯარების მიმართ, 30 ნოემბერი 1918 წ. ქ. ტფილისი N 188. ჟურნალი „რესპუბლიკის ჯარი“, 1918 წ., 29 დეკემბერი, გვ. 3.

19 РГВИА. Фонд 16196. Оп. 1. Д. 1188. Л. 275.

20 დამსწრე ჯარისკაცი, კაპიტანი სიმონ შავგულიძე. ჟურნალი „მხედარი“ 1920, N14. გვ. 8.

21 РГВИА. Фонд 408. Оп. 1. Д. 12699. Л. 35. აქამდე პრესის მასალებზე დაყრდნობით, ცნობილი იყო, რომ თითქოს სიმონს მიღებული ჰქონდა ვლადიმერის ორდენიც (იხ. შავგულიძე თ., გმირის გმირული ვალი. გვ. 6; გაზ. „ხალხის მეგობარი“, 1918 წ., 16 მაისი. გვ.2), თუმცა ოფიციალური დოკუმენტებით ეს არ დასტურდება.

22 ახალი სტილით 4 ივნისი – 20 სექტემბერი.

გეს. მოახერხეს კიდევ მონინალმდეგის თავდაცვის გარღვევა და ლუცკი აიღეს, თუმცა საბოლოო ჯამში მათი შეტევა ლუცკსა და კოველს შორის შეაჩერა მონინალმდეგემ.

ამ ოპერაციის ფარგლებში, სიმონმა წმინდა გიორგის იარაღი 1916 წლის 24 მაისს (ძველი სტილით) გამოჩენილი სიმამაცისა და საზრიანობის გამო მიიღო. იმჟამად ის მეტყვიამფრქვევეთა რაზმის უმცროსი ოფიცერი, თავის რაზმთან ერთად იმყოფებოდა მოდლინის 57-ე პოლკის მესამე ბატალიონის მეთაურის დროებით დაქვემდებარებაში. მან მიიღო დავალება, დადევნებოდა მონინალმდეგეს სოფელ კნერუტის,²³ სიმაღლე 112-ის და შემდეგ კი ნოვოსიოლკის²⁴ მიმართულებით. ამ დროს მზვერავებმა მოიტანეს ინფორმაცია, რომ მონინალმდეგე სამი ბატალიონის ძალებით უტევედა და გარს უვლიდა მესამე ბატალიონის მარჯვენა ფლანგს. სიმონის პირადი ინიციატივით, მისი რაზმი 9 ტყვიამფრქვევით დაიძრა სიმაღლე 112-ის ჩრდილოეთ ფერდობისაკენ და ქარიშხლისებური ცეცხლით შეაჩერა მონინალმდეგის შეტევა. ამის შემდეგ, როდესაც აღმოაჩინეს მონინალმდეგის უფრო ღრმა შემოვლითი მანევრი, 4 ტყვიამფრქვევის ძალებით დაიძრა შემტევი მონინალმდეგის ფლანგისაკენ. დამიზნებითი და შეწყობილად წარმოებული ცეცხლით, მოქმედების უნარი დააკარგინა მონინალმდეგეს და ჩაშალა მისი განზრახული შეტევა. მიაყენა მას უზარმაზარი დანაკარგი, რისი წყალობითაც შეტევაზე გადასულმა მესამე ბატალიონმა წარმატებას მიაღწია და ტყვედ აიყვანა მტრის 13 ოფიცერი და 500 დაბალი რანგის სამხედრო.²⁵

ქართველმა ოფიცერმა მეოთხე ხარისხის წმინდა გიორგის ორდენი კი 1916 წლის 5 ივნისს (ძველი სტილით) სოფელ კორიტნიცასთან²⁶ გამოჩენილი სიმამაცისათვის დაიმსახურა. იმ დროისათვის სიმონი მეტყვიამფრქვევეთა ოცეულით მეოთხე ბატალიონის შემტევი ასეულის წინა ხაზზე, მონინალმდეგის არტილერიისა და ტყვიამფრქვევების გამანადგურებელი ცეცხლის ქვეშ იმყოფებოდა. მისი პირადი ხელმძღვანელობით, მისმა ოცეულმა ტყვიამფრქვევეთა დამიზნებითი ცეცხლით, ხელი შეუშალა მონინალმდეგეს, რომ ცეცხლი გაეშალა შემტევი ასეულისათვის. ამის შემდეგ მიუახლოვდა მტრის სანგრებს, პირველი შეიჭრა მონინალმდეგის სასარკინო და თვითონ ჩაიგდო ხელში მონინალმდეგის მოქმედი ტყვიამფრქვევები.²⁷

23 კნერუტი - დღევანდელი სოფელი ზაბოლოტინცი უკრაინაში, როვნოს ოლქის მლინოვის რაიონში. ლუცკის აღმოსავლეთით 20-22 კილომეტრში.

24 ნოვოსიოლკი - სოფელი უკრაინაში, როვნოს ოლქის მლინოვის რაიონში. ლუცკის აღმოსავლეთით 20-21 კილომეტრში.

25 РГВИА. Фонд - Печатные издания. О - Печатные издания. Д. 14851 (Приказы армии и флоту за февраль месяц 1917 г.). Л. 680.

26 კორიტნიცა - სოფელი უკრაინაში, ვოლინის ოლქის ლოკაჩინსკის რაიონში. ლუცკის სამხრეთ-დასავლეთით 38 კილომეტრში.

27 РГВИА. Фонд - Печатные издания. О - Печатные издания. Д. 14851 (Приказы армии и флоту за февраль месяц 1917 г.). Л. 674. აქამდე გავრცელებული იყო ვერსია, თითქოს შავგულიძე ბრუსილოვის გარღვევის დროს, მეთაურობდა მეტყვიამფრქვევეთა ათასეულს და თითქოს ფრონტის სარდლის პირადი დავალებით, მას ორად უნდა გაეყო ავსტრიელთა თავდაცვა და გზა გაეთავისუფლებინა არმიის ძირითადი ძალებისთვის. იგი თითქოს შეიჭრა მტრის სიღმეში 18-20 კილომეტრით და 7 ივნისს პირველი შევიდა ლუცკში, რის გამოც წმინდა გიორგის იარაღი და ორდენი მიიღო (იხ. შავგულიძე თ., გმირის გმირული ვალი. გვ. 6). როგორც დაჯილდოვების ბრძანებების აღწერებში ვნახეთ, ეს ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება.

1917 წლის რუსეთში მომხდარმა თებერვლის რევოლუციამ, ხოლო შემდეგ კი ოქტომბრის ბოლშევიკურმა გადატრიალებამ ფრონტებზე მყოფი რუსული ჯარის სრული დემორალიზაცია გამოიწვია, ჯარისკაცები საკუთარი ნებით იხსნებოდნენ პოზიციებიდან და მასობრივად დეზერტირობდნენ, აღარ ემორჩილებოდნენ ოფიცერთა ბრძანებებს და ა. შ. ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ კავკასია რუსეთის იმპერიას ჩამოშორდა და აქ მხარის დროებითი მმართველობის ორგანო - ამიერკავკასიის კომისარიატი ჩამოყალიბდა. ამავდროულად, საქართველოში ეროვნულმა ყრილობამ აირჩია საქართველოს ეროვნული საბჭო, დაიწყო ქართული ეროვნული საჯარისო კორპუსის ჩამოყალიბება. 1917 წლის მეორე ნახევარში სიმონი საქართველოში დაბრუნდა. მიუხედავად 23 წლის ასაკისა, ახალგაზრდა შტაბს-კაპიტანს ზურგს დიდი საომარი გამოცდილება, საბრძოლო ჭრილობები თუ ომში დამსახურებული ორდენები უმაგრებდა. სიმონის ლიდერის პიროვნულ თვისებებს, ვაჟკაცობას და თავდაჯერებულობას მიღებული სამხედრო გამოცდილება და წარმატებები კიდევ უფრო განამტკიცებდა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ის თავდაპირველად თბილისის სადგურის კომენდანტი იყო, შემდეგ ჩაენერა ქუთაისში განლაგებულ პირველ ქართულ ქვეით პოლკში, მონაწილეობა მიიღო 1917 წლის დეკემბერში ქუთაისში მყოფ ჯარისკაცების დაშოშმინებაში, ამავდროულად, წვრთნიდა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის სამხედრო რაზმს და ბათუმში ანარიის ფორტის კომენდანტად დანიშვნამდე იყო ამ რაზმის შტაბის უფროსიც.²⁸ ქუთაისიდან ბათუმში წასვლის წინ, სიმონმა მეგობრებს უთხრა, რომ ბათუმის ციხესიმაგრის ფორტები პირველად ერთი კვირის წინ ნახა და მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და დაამატა: „ვინ იმ ერს, ვინც ამ ფორტებს მტერს დაუთმობს და თუ ვერ შეინარჩუნებს მტერს არ შეაკვდება მათი დაცვისასო“.²⁹

ბათუმი კი ოსმალური არმიის მოსალოდნელი შეტევისგან იყო დასაცავი. 1917 წლის შემოდგომაზე კავკასიის ფრონტზე მდგარი რუსული არმია ფაქტობრივად დაიშალა და ფრონტის დატოვება დაიწყო. მათ ნაცვლად დაიწყო ეროვნული სამხედრო ნაწილების შექმნა და მცდელობა, რომ მათი მეშვეობით გაემაგრებინათ ფრონტი. კარგ მდგომარეობაში არც ოსმალური არმია იყო, ამიტომ 1917 წლის დეკემბერში ერზინჯანში ამიერკავკასიის კომისარიატსა და ოსმალეთს შორის დაიდო ხელშეკრულება საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტის შესახებ. ზავის დარღვევის შესახებ მხარეებს ერთმანეთი საბრძოლო მოქმედებების განახლებამდე ორი კვირით ადრე უნდა გაეფრთხილებინათ.³⁰

მთლიანობაში ეს შეთანხმება უფრო სულის მოთქმას და მომავალი ბრძოლისთვის სამზადისს ჰგავდა, რომლისათვისაც ოსმალეთს მეტი რესურსი გააჩნდა, ვიდრე პოსტრევოლუციურ, ქაოსში ჩაძირულ სამხრეთ კავკასიას. ეროვნული სამხედრო ნაწილების შექმნის პროცესიც თითქმის უიმედო საქმედ მოსჩანდა. ომით დაღლილი ჯარისკაცები რევოლუციის ეიფორიას მისცემოდნენ, მათ აღარც ბრძო-

28 დადიანი შ., ჩემი სიტყვა ამხანაგ სიმონიკას, გაზ. „ხალხის მეგობარი“, 1918 წ., 16 მაისი. გვ. 1-2; ამხ. სიმონ შავგულიძე, ბიოგრაფილი ცნობები, გაზ. „ხალხის მეგობარი“, 1918 წ., 16 მაისი. გვ. 2.

29 ქვილიშორელი, სიმონ შავგულიძის ხსოვნას, გაზ. „ხალხის მეგობარი“, 1918 წ., 16 მაისი. გვ. 2.

30 ანდერსენი ე., საქართველო და საერთაშორისო შეთანხმებები 1918-1921 წლებში. ინგლისურიდან ქართულად თარგმნა მერი ბინაძემ. თბ., 2020, გვ. 44-45.

ლის გაგონება უნდოდათ, აღარც ყაზარმული ცხოვრების რუტინა, აღარც სანგრე-ბის აუტანელი ყოფა, არამედ დროულად სახლებში დაბრუნებას და რევოლუციის პოტენციური სიკეთეების მიღებას ესწრაფვოდნენ. ამ დროს გარე საფრთხე მათ ავიწყდებოდათ და რევოლუციის სიკეთეების ძალით დაპატრონების მცდელობებში კი სოფლებსა და ქალაქებში დიდ არეულობას იწვევდნენ. კავკასიის არმიის სარდალი გენერალი ილია ოდიშელიძე, ასეთ სამხედრო ნაწილებს არასამწყობრო ბანდებს ამსგავსებდა.³¹ ქართული კორპუსის სწორედ ასეთ ქვედანაყოფებს უნდა დაეცვა ბათუმი ოსმალებისგან, რომელთაც მუსლიმი მოსახლეობის დაცვის მოტივით ერზინჯანის ზავი დაარღვიეს და 1918 წლის თებერვალში საბრძოლო მოქმედებები განაახლეს. ამას დაემატა ისიც, რომ ბრესტ-ლიტოვსკის სეპარატული ზავით (1918 წლის 3 მარტი ახალი სტილით), საბჭოთა რუსეთმა ამიერკავკასიის კომისარიატის პოზიციის გაუთვალისწინებლად, ოსმალეთს ფაქტობრივად ყარსის, ბათუმის და არდაგანის ოლქებიც გადასცა.³² ბრესტ-ლიტოვსკის შემდეგ ამ საკითხზე ტრაპიზონშიც მოლაპარაკებები გაიმართა ოსმალეთსა და ამიერკავკასიას შორის, სადაც ოსმალეთი ძალის პოზიციიდან საუბრობდა და მოლაპარაკებებიც უშედეგოდაც დასრულდა. ოსმალეთმა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების აღსრულება ომით გადაწყვიტა, ბათუმს კი ქართული კორპუსის გარნიზონი იცავდა, სამხედრო ნაწილები, რომელსაც კავკასიის არმიის სარდალი ოდიშელიძე არასამწყობრო ბანდებს ამსგავსებდა. აქედან გამომდინარე, არ არის გასაკვირი, რომ ოსმალურმა არმიამ ბათუმი მინიმალური ბრძოლის შემდეგ, 1918 წლის 1 აპრილს (ძვ. სტილით) აიღო. ერთ-ერთ იშვიათ გამონაკლისს კი ვინც ბოლომდე იბრძოლა, ანარიის ფორტის გარნიზონი წარმოადგენდა სიმონ შავგულიძის მეთაურობით.

ანარიის ფორტი ბათუმის ციხესიმაგრის ათზე მეტი ფორტისაგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამაგრებული პუნქტი იყო, აგებული ბათუმის აღმოსავლეთით, დღევანდელი ფერიის თემის სოფელ მნათობის აღმოსავლეთით არსებულ სტრატეგიულ სიმაღლეზე – 361,6.³³ ფორტი შედგებოდა ბეტონირებული კაზემატისაგან, ასევე კარგად გამაგრებული ბეტონირებული სარტილერიო და ტყვიამფრქვევის პოზიციებისაგან და ზემოდან დასცქეროდა ქალაქს და მის შემოგარენს. ფორტის დანიშნულება ორგვარი იყო: ის გამოდგებოდა ქალაქის დასაცავად ხმელეთიდან, აკონტროლებდა რა ქალაქისკენ სამხრეთ-აღმოსავლეთიდან და ნაწილობრივ სამხრეთიდან მომავალ გზებს და დაჰყურებდა სხვა ფორტებს თავზე, ხოლო ამავე დროულად წარმოადგენდა კარგ სადამკვირვებლო პოსტს ზღვაზე მოწინააღმდეგის მოძრაობის აღმოსაჩენად შორ მანძილზე.

საინტერესოა ანარიის ფორტის ბრძოლამდე და სიკვდილამდე 5 დღით ადრე, 1918 წლის 26 მარტს, სიმონის მიერ ანარიის ფორტიდან დის, – ნინასადმი გაგზავ-

31 ბახტაძე მ., ორი დოკუმენტი ქართული არმიის ჩამოყალიბებისა და მდგომარეობის შესახებ (1918-1919წლები). საქართველოს ეროვნული არქივის 2018 წლის საერთაშორისო კონფერენციის მასალები. თბ., 2019, გვ. 340-341.

32 ხელშეკრულების მეოთხე მუხლის თანახმად, ამ ოლქებიდან უნდა გასულიყო რუსული ჯარი, რომელიც რეალურად იქ აღარ იდგა და გამოდიოდა, რომ ტერიტორია უნდა დაეტოვებინა ქართულ და სომხურ ჯარს, ოლქების მოსახლეობას თავად უნდა განესაზღვრა თავისი ბედი, მეზობლებთან, განსაკუთრებით კი ოსმალეთთან ერთად. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ოსმალეთი იქნებოდა ამ პროცესის წარმმართველიცა და გამაკონტროლებელიც, რაც ფაქტობრივად ამ ოლქების ოსმალეთის შემადგენლობაში გადასვლას ნიშნავდა.

33 ფორტის კორდინატებია – 41°36'53»N 41°40'8»E

ნილი უკანასკნელი წერილი, სადაც კარგად ჩანს მისი განწყობა, განცდები და სხვა მნიშვნელოვანი დეტალებიც: „სალამი და გამარჯვება ანარიიდან! ძალიან ბევრიც რო ეძიოთ, ვერსად იპოვით ასეთ კეკლუცათ შემკობილ საცხოვრებელს. თვალ მიუწვდნენელ მთის მწვერვალზეა ჩემი სასახლე. მთელი ბათომის მიდამოებია გადაჭიმული ჩემს წინ. თვალს ვერ მოაცილებ, ისე გიტაცებს სიმშვენიერე. ცოდვა არაა, რომ ასე მშვენიერ ცის ქვეშ სიკვდილი მეფობდეს? აქ მხოლოდ სიცოცხლეს უნდა ჰქონდეს [ადგილი] და არა სიკვდილს. ყველაფერი კარგია, მაგრამ ეს ოხერი კუჭი გვიჭირვებს საქმეს. აქ რომ საქმელი გვექონდეს, აქ ცხოვრებას არაფელი აჯობებს. მართალი გითხრა გავცოცხლდი აქ მოგონებით ვცხოვრობ ეხლა მხოლოდ. მაგონდება ძველი ბრძოლები, ძველი მეგობრები და ერთგვარ სასიამოვნო ელფერს იღებს ჩემი ცხოვრება ...ამ წუთში მე იმდენად ეგოისტი ვარ, რომ არ მინდა არავის გავუზიარო ჩემი გულის თქმა, სულის განცთა ...ერთი სიტყვით მე აქ ვცხოვრობ ნინა! გესმის ამ სიტყვების შინაარსი? მე აქ ცალკე ვცხოვრობ, ჩამოშორებული ვარ პოლკზე. „ანარიის“ ფორტის კომენდანტი ვარ. ცალკეა აქ ჩემი სამეფო. თათრები³⁴ თანდათან ირგვლივ რკალივით გვეკვირან. ნავხოთ როგორ წავა საქმე. ჩემ „გმირებზე“ დიდ იმედებს ვერ ვამყარებ. ბავშვებით სტირიან, როდესაც გაუჭირდებათ ...ოი ვერ წარმოიდგენ რას არ მივცემდი ერთ ჭიქა ღვინოში ისე მენატრება. საცვლები გამოგიგზავნე, გამირეცხე. მოიკითხე ყველა ნაცნობები და მეგობრები. დედაჩემს უთხარი ნურას იჯავრებს ჩვენ არაფერი გვიჭირს. გკოცნით ყველას. თქვენი სიმონი.³⁵

სამი დღის შემდეგ, 29 მარტს სიმონი 24 წლის გახდა. მომდევნო დღეს, 30 მარტს, ფორტის გარნიზონი მოინახულა ამიერკავკასიის კომისარიატის თავმჯდომარემ, ევგენი გეგეჭკორმა და იმ დროისათვის პოლკოვნიკმა და შემდგომში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავარსარდალმა გენერალმა გიორგი კვინიტაძემ. მოგვიანებით გენერალი კვინიტაძე ამ შეხვედრას საკუთარ მემუარებშიც იხსენებდა: „ვიყავით ანარიის ფორტზე; აქაურმა კომენდანტმა გიორგის ჯვრით დამშვენებულმა შტაბს-კაპიტანმა შავგულიძემ აღნიშნა, დისციპლინა მთლიანად მოშლილია ამიტომ იმედი არ მაქვს ამ გამაგრებას შევინარჩუნებთო. არადა, ძალიან კარგი გამაგრება ჰქონდათ, თითოეული მსროლელი ყოველი მხრიდან ბეტონით იყო დაცული და სათოფურებიდან ისროდა; აქვე იყო ხელოვნური ჯებირები, შეტყობინების გზები, ბეტონის სატყვიამფრქვევო ბუდეები. ე. გეგეჭკორმა ფორტიდან წამოსვლისას გიორგის ორდენის მამაც კავალერს უთხრა: - ეს ფორტი მხოლოდ სიკვდილის შემთხვევაში უნდა დათმოთო. არის - წყნარად მიუგო გმირმა. სიტყვა შეასრულა. ბრძოლისას მოახერხა 50-მდე კაცი შეენარჩუნებინა და მათთან ერთად დაიღუპა. გული მეტუთქება ამ უაზროდ დაღუპული ოფიცრის საცოდაობით. კეთილსინდისიერი, სამშობლოსა და მოვალეობის ერთგული კაცი იყო და გმირულად დაეცა. ფორტიდან რომ მოვდიოდით ე. გეგეჭკორმა მკითხა, ნუთუ ასეთ სიმაგრეს დათმობენო. „უდისციპლინობაა, დათმობენ“, - დაბეჯითებით ვუპასუხე. ყველა ფორტზე უჩიოდნენ უდისციპლინობას, დეზერტირობას, ჯარისკაცთა დაუმორჩილებლობას“.³⁶ პრესის ინფორმაციით ან კი შესაძლოა მათივე შეთხზუ-

34 იმ დროს ქართველები ზოგჯერ ოსმალებს თათრებსაც ეძახდნენ.

35 შავგულიძე თ., მაშინ ბათუმის ბედი წყდებოდა, ჟურნალი „ომეგა“, 2001, N 7, გვ. 55.

36 Генерал Г. И. Квинитадзе. Мои Воспоминания в годы независимости Грузии 1917-1921. Париж, 1985. ციტატება მოყვანილია ნინო ქაჯაიასა და ნონა გოგიჩაიშვილის თარგმანის

ლი სიტყვებით, სიმონის მიერ ევგენი გეგეჭკორისთვის გაცემული პასუხი უფრო ვრცელი იყო – „ყოველგვარ ღონეს ვიხმარ ამ სიმაგრის დასაცავად. მხოლოდ ჩემი სიკვდილის შემდეგ შესძლებს მტერი ფორტზე ფეხის შემოდგმასო“.³⁷ შავგულიძის უკანასკნელი წერილიდან და კვინიტაძის მოგონებებიდანაც ჩანს, რომ ფორტის გარნიზონს გამორჩეული მეთაურის მიუხედავად, დისციპლინაში პრობლემები ჰქონდა, თუმცა როგორც შემდეგ აღმოჩნდა, მათ ბოლომდე იბრძოლეს.

საინტერესოა გარნიზონის პირადი შემადგენლობის რაოდენობის განსაზღვრა. როგორც ზემოთ ვნახეთ, გენერალი კვინიტაძე მოგვიანებით წერდა, რომ შავგულიძეს ბრძოლაში 50-მდე კაცი შემორჩა და ყველანი დაიღუპნენ. გაზეთ „სახალხო საქმის“ 1918 წლის 14 აპრილის ცნობით, გარნიზონი 60 კაცისგან შედგებოდა და ყველა დაიღუპა.³⁸ ჟურნალ „მხედარის“ 1920 წლის N14-ში დაბეჭდილი სტატიის მიხედვით კი, ფორტზე სიმონს 150 კაციანი გარნიზონი ჰყავდა და ბრძოლაში მის გარდა 3 ოფიცერი და 84 ჯარისკაცი დაიღუპა.³⁹ ცნობები განსხვავებულია, თან ერთ შემთხვევაში მხოლოდ დაღუპულთა რაოდენობაზეა საუბარი და არა სრულ გარნიზონზე. უფრო დეტალური ინფორმაცია გარნიზონის რაოდენობისა და დანაკარგების შესახებ გაზეთ „ხალხის მეგობრის“ 1918 წლის 14 და 19 მაისის ნომრებში გამოქვეყნდა. 14 მაისის ნომერში დაბეჭდილი ცნობის თანახმად, ანარიის გარნიზონი შედგებოდა პირველი პოლკის მე-5 და მე-12 ასეულებისაგან – სულ 200-მდე კაცისაგან. მათ განკარგულებაში იყო 7 ტყვიამფრქვევი. 31 მარტის საღამოს, ფორტის გარნიზონს მე-12 ასეული ჩამოართვეს, რომელსაც პირველ ბატალიონთან ერთად, შეტევაზე გადასვლა უბრძანეს. შეტევის ჩავარდნის შემდეგ ასეული ფორტზე არ დაბრუნებულა, დარჩენილთაგან ბრძოლის დანაკარგები კი 70-მდე დაღუპულითა და დაჭრილით განისაზღვრა.⁴⁰ 19 მაისის ნომერში დაბეჭდილი ინფორმაციის თანახმად კი, უშუალოდ ბრძოლისას ფორტზე 120 კაცი იმყოფებოდა, საიდანაც 87 დაიღუპა და გადარჩენილთაგან ხუთის გარდა ყველა დაიჭრა.⁴¹ მთლიანობაში, მართალია ყველა ცნობა ერთმანეთისგან განსხვავებულ მონაცემებს გვანჯდის, თუმცა ზოგად მასშტაბებში მაინც ერთმანეთთან ახლოს მყოფს. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფორტს ასზე ცოტა მეტი კაცი იცავდა, საიდანაც ნახევარზე მეტი დაიღუპა, ხოლო უფრო ნაკლები კი დაიჭრა.

პრესაში დაბეჭდილი მასალის მეშვეობით, თავად შავგულიძისა და ფორტის დაღუპულ მცველთა უკანასკნელი ბრძოლის სურათის აღდგენაც შესაძლებელია. მართალია, ეს ცნობები შესაძლოა გადაჭარბების ელემენტებს შეიცავდეს, მაგრამ საერთოდ სურათის დახატვის საშუალებას მაინც იძლევა.

ოსმალებმა ანარიის ფორტის მიმდებარე ქედების დაკავების შემდეგ, 1 აპრილის,

მიხედვით. კვინიტაძე გიორგი. მოგონებები, საქართველოს დამოუკიდებლობა 1917-1921 წლებში. რუსულიდან თარგმნეს ნინო ქაჯაიამ და ნონა გოგიჩაიშვილმა. წიგნი 1, თბ., 1998, გვ. 36-37.

37 ახვლედიანი გ., სიმონიკა შავგულიძე. გაზ. „ხალხის მეგობარი“, 1918 წ., 14 მაისი. გვ. 3.

38 მგზავრი. ბათომის ამბები, გაზ. „სახალხო საქმე“, 1918 წ., 14 აპრილი, გვ. 3.

39 დამსწრე ჯარისკაცი, კაპიტანი სიმონ შავგულიძე. ჟურნალი „მხედარი“, 1920, N14. გვ. 8-9.

40 ახვლედიანი გ., სიმონიკა შავგულიძე. გაზ. „ხალხის მეგობარი“, 1918 წ., 14 მაისი. გვ. 3-4. სტატიაში საუბარია იმაზეც, რომ ფორტს მოსწყდა მე-5 ასეულის ერთი ოცეული, რომელიც ფორტის „განს“ იცავდა, თუმცა რეალურად ისინიც ფორტის დამცველებად უნდა განვიხილოთ.

41 მ.დ. ოსმალები ბათომში, გაზ. „ხალხის მეგობარი“, 1918 წ., 19 მაისი. გვ. 4.

ლამის 2 საათზე, ანარიაზე იერიში დაიწყო. მათ ასევე გადაჭრეს ფორტიდან ბათუმში არსებულ შტაბამდე მიმავალი კავშირის საშუალება, რითაც ფორტი გარესამყაროს მონყვიტეს.⁴² სამი მხრიდან გარშემორტყმული ფორტის დამცველები⁴³ ბრძოლას არ წყვეტდნენ. ფორტის კომენდანტი შავგულიძე, წინა ხაზის ხან რომელ მონაკვეთზე მიიჭრებოდა ხელყუმბარებით და ხან რომელ მონაკვეთზე და ამხნევებდა საკუთარ ჯარისკაცებს.⁴⁴ ოფიცერთაგან პირველი პრაპორშიკი დავით ვანიძე დაიღუპა,⁴⁵ შემდეგ მას მიყვა პორუჩიკი აბესალომ ხარაიძე თავისი ჯარისკაცებითურთ, ხარაიძე მუცლის არეში დაჭრილი სისხლისგან იცლებოდა, მაგრამ მაინც არ უშვებდა ტყვიამფრქვევს ხელს და საბოლოოდ სისხლის დაცლასთან ერთად, სიცოცხლეს მტრის ყუმბარამ გამოასალმა.⁴⁶ დაიღუპა არტილერისტი, კაპიტანი ონისიმე დოლიძეც, რომელსაც გულში მოხვდა მტრის ნასროლი ტყვია.⁴⁷ სიმონის მცირეწლოვანმა⁴⁸ ძმამ, შალიკომ, უნტერ-ოფიცერმა ლიბრაძემ და რამდენიმე ჯარისკაცმა თითქმის ერთი საათის განმავლობაში შეაჩერეს ფორტთან 30 ნაბიჯზე მიახლოებული მონინალმდეგე.⁴⁹ იერიშის მოგერიებისას, სიმონი ფეხში დაიჭრა, მაგრამ არ იმჩნეოდა და ბრძოლას აგრძელებდა, მონინალმდეგემ კი ფორტიდან მომავალი ცეცხლის შესუსტებით შეამჩნია, რომ დამცველთა რიგები თხელდებოდა და საბოლოო შტურმზე გადავიდა.⁵⁰ ერთი ვერსიით, მონინალმდეგემ შავგულიძეს დანებება შესთავაზა, თუმცა მან უპასუხა, რომ მხოლოდ მკვდარი თუ დანებდებოდა, გადმოიღო ტყვიამფრქვევი და ფორტზე შევარდნილ მტრის მეზობოლებს ცეცხლი გაუხსნა. ამ დროს მას უკნიდან თავში მოხვდა ტყვია.⁵¹ ხოლო მეორე ვერსიით კი, ფორტის შესასვლელში მონოლილ მტერს სიმონი და კაპიტანი იოსელიანი ხელყუმბარების სროლით შეხვდნენ და ამ დროს მოხვდა მას თავში ტყვია.⁵² თითქმის მთელი გარნიზონის დაჭრისა და დაღუპვის შემდეგ, 1 აპრილის დილის 6 საათზე ფორტი დაეცა.⁵³ ქართული პრესის ინფორმაციით, რაც ოსმალების დანაკარგის შეფასებისას ვერანაირად იქნება სანდო, ოსმალო ჯარისკაცების გვამებით დაფენილი იყო ანარიის მთის კალთები⁵⁴ და მათი დანაკარგი 200-ზე მეტ კაცს უდრიდა.⁵⁵

ბათუმის დაცემიდან რამდენიმე დღის შემდეგ, ოსმალური ჯარის სარდლობის

42 ფურცხვანიძე ე., ბათუმის გმირები, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1918, N8. გვ. 5-6.

43 ახვლედიანი გ., სიმონიკა შავგულიძე. გაზ. „ხალხის მეგობარი“, 1918 წ., 14 მაისი. გვ. 3-4.

44 დამსწრე ჯარისკაცი, კაპიტანი სიმონ შავგულიძე. ჟურნ. „მხედარი“, 1920, N14. გვ. 8.

45 ფურცხვანიძე ე., ბათუმის გმირები, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1918, N8. გვ. 5-6.

46 ფურცხვანიძე ე., გვ.5; ახვლედიანი გ., სიმონიკა შავგულიძე. გაზ. „ხალხის მეგობარი“, 1918 წ., 14 მაისი. გვ. 3.

47 ფურცხვანიძე ე., გვ. 5-6; ახვლედიანი გ., გვ. 3.

48 შალვა შავგულიძე იმ დროს 14 წლის იყო.

49 ახვლედიანი გ., გვ. 3-4.

50 ფურცხვანიძე ე., გვ. 5-6.

51 ფურცხვანიძე ე., გვ. 6.

52 ახვლედიანი გ., გვ. 4. სტატიის ავტორი წერს, რომ მტერმა შავგულიძის ცხედარს წმინდა გიორგის ორდენის ჯვარი და ოქროს იარაღი აჰყარა, შესაძლოა ეს სიმართლეა ან შთაბეჭდილების გასაძლიერებელი პროპაგანდისტული ხერხი.

53 დამსწრე ჯარისკაცი, კაპიტანი სიმონ შავგულიძე. ჟურნ. „მხედარი“, 1920, N14. გვ. 9.

54 მგზავრი. ბათუმის ამბები, გაზ. „სახალხო საქმე“, 1918 წ., 14 აპრილი, გვ. 3.

55 ახვლედიანი გ., გვ. 4.

ნებართვით, დალუპულები საძმო სასაფლაოში დაკრძალეს.⁵⁶ მაისში სიმონი მშობლიურ ქუთაისში გადაასვენეს და 16 მაისს ქალაქის ბულვარის მოპირდაპირე მხარეს, მთავარანგელოზის ეკლესიის ეზოში მიაბარეს მიწას, 1905 წელს ოდესის ებრაელთა დარბევის დროს, ებრაელთა დახმარებისთვის მოკლული ქართველი ქიმიკოსის ალექსანდრე (საბა) კლდიაშვილის გვერდით. მის დასაფლავებას უამრავი ხალხი დაესწრო.⁵⁷ ორი დღის შემდეგ სიმონის გვერდით დაკრძალეს მისი თანამებრძოლი, ბათუმიდან გადმოსვენებული არტილერისტი, ასევე 24 წლის ახალგაზრდა კაპიტანი ონისიმე დოლიძე.⁵⁸

ბათუმის სამარცხვინოდ დაკარგვამ სახეში სილის განწმენის ეფექტი იქონია და შეაფხიზლა ქართული ჯარი და საზოგადოება. ქართველებმა გენერალ გიორგი მაზნიაშვილის მეთაურობით ბათუმის დაცემიდან ერთი კვირის შემდეგ, მდინარე ჩოლოქთან დაამარცხეს და შეაჩერეს ოსმალური არმიის წინსვლა.⁵⁹ გამოღვიძების თვალსაზრისით, ბათუმის ფიასკოს მნიშვნელობაზე ერთი წლის მერე წერდა გენერალი ილია ოდიშელიძე.⁶⁰ ამ შეფხიზლების საქმეში თავისი წვლილი შეიტანა სიმონ შავგულიძისა და მისი თანამებრძოლების, ანარიის ფორტის დამცველთა თავგანწირულმა ბრძოლამ და სიკვდილმა. მათი ბრძოლა გახდა სამშობლოს დაცვისა და მოვალეობის შესრულების მაგალითი, ასევე იმათი დამუნათების გზა, ვინც ბრძოლას, ბრძოლის ველიდან გაქცევა ან კიდევ დანებება არჩია. სიმონზე წერდნენ, რომ მართალია მოკვდა, მაგრამ არ მომკვდარა ის საქმე, რომელსაც თავი შესწირა.⁶¹ მასზე წერდნენ, რომ მან და მისმა თანამებრძოლებმა გამოისყიდეს ცოდვები დაკნინებული მხედრობისა,⁶² რომ „თავისი სიკვდილით მოჰბანა, მშიშარა და გადარჯულელების სახელი ქვეყანას და იმათ ვინც ცხვრის ფარასავით ტოვებდა ბრძოლის ველს და ნაძარცვი საქონლით ცდილობდა გაქცევას“.⁶³ პოეტი ქალი ფსევდონიმით ზაირა, კი ლექსში „ძამიკო სიმონის ხსოვნას“, – წერდა: მიუხედავად იმისა, რომ გული არ ითმენდა, ის არ იტირებდა გმირს, გმირს რომელიც მომავლის სიმბოლოდ და ემბლემად უნდა დარჩენილიყო.⁶⁴

1918 წლის 26 მაისს ამიერკავკასიის ფედერაცია დაიშალა და საქართველომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ბათუმში ისევ ოსმალები იდ-

56 ფურცხვანიძე ე., გვ. 6.

57 დამსწრე. ამხანაგ სიმონ შავგულიძის დასაფლავება, გაზ. „ხალხის მეგობარი“, 1918 წ., 19 მაისი, გვ. 3.

58 ნა. იანეთელი, კაპიტან ონისიმე ზ. დოლიძის ხსოვნას, გაზ. „ხალხის მეგობარი“, 1918 წ., 18 მაისი, გვ. 3-4; ამხანაგ დოლიძის დასაფლავება, გაზე. „ხალხის მეგობარი“, 1918 წ., 21 მაისი, გვ. 4.

59 მაზნიაშვილი გ., მოგონებანი, თბ., 1927. გვ. 39-41; გოგუაძე ვ., ჩოლოქის ხიდთან, გაზ. „ერთობა“, 1918 წ., 12 აპრილი, გვ. 2.

60 ბახტაძე მ., ორი დოკუმენტი საქართველოს არმიის ჩამოყალიბების და მდგომარეობის შესახებ. გვ. 342.

61 ი. ხ. მოვალეობის მსხვერპლნი კაპიტანი სიმონ შავგულიძე, გაზ. „ერთობა“, 1918 წ., 16 მაისი, გვ. 3.

62 გამყრელიძე გ., სიმონ შავგულიძე, გაზ. „ხალხის მეგობარი“, 1918 წ., 16 მაისი, გვ. 2.

63 დადიანი შ., ჩემი სიტყვა ამხანაგ სიმონიკას, გაზ. „ხალხის მეგობარი“, 1918 წ., 16 მაისი, გვ. 2.

64 ზაირა, ძამიკო სიმონის ხსოვნას, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1918, N 8, გვ. 5.

გნენ, თუმცა მსოფლიო ომში მარცხმა ისინი იძულებული გახადა ქალაქი და მთელი ოლქი დაეტოვებინათ. 1918 წლის ბოლოს ბათუმში მათ ნაცვლად ბრიტანელები შევიდნენ და ოლქი ქალაქითურთ დროებით დაიკავეს. 1920 წლის ივლისში ბრიტანელები ბათუმიდან გავიდნენ და ქალაქი ისევ ქართველებს გადაულოცეს, ქართული ჯარი კვლავ შევიდა ბათუმში. სამხედრო სამინისტროს ჟურნალ „მხედარში“ ბათუმში შესვლიდან ორიოდე თვეში, შავგულიძე და ანარიის სხვა დამცველები გაიხსენეს და ახარეს, რომ ის თავისუფალი დროშა, რომელიც სიმონს და მის თანამებრძოლებს ამაყად ეჭირათ ხელში და 1918 წლის 1 აპრილის დილის 6 საათზე ჩამოხია მტერმა, 28 თვის შემდეგ უფრო ამაყად და მედიდურად ფრიალებდა „შვინდისფრად“ კოშკის წვერზე და რომ მადლიერი სამშობლო მოწინებით იხსენებდა მათ სახელს, რომელთაც აჩვენეს პირველი მაგალითი თუ როგორ უნდა სიკვდილი სამშობლოს საკეთილდღეოდ.⁶⁵

24 წლის სიმონ შავგულიძემ მეომრის რთული გზა გაიარა ომის მთელი სამინელებების დამარცხებით, იბრძოლა და მოკვდა იქ, სადაც სხვებმა ბრძოლა არ ისურვეს, მისმა მეომრის გზამ სიკვდილის შემდეგ დამოუკიდებლად ისევ განაგრძო არსებობა, როგორც მეომრის მარადიულმა მორალურმა არჩევანმა და სიმბოლომ სამშობლოსა და მოვალეობის ერთგულებისა.

მისი სახელი საბჭოთა ეპოქამ მიჩქმალა, ისევე როგორც მისი საფლავი. 1940-იან წლებში ქუთაისის მთავარანგელოზის ეკლესიისა და იქ არსებული სასაფლაოს ადგილას ქალაქის ადმინისტრაციული შენობები აშენდა, სიმონის საფლავის ადგილას დღეს ტროტუარი და ცაცხვის ხეებია, ყოველგვარი ინფორმაციის აღმნიშვნელი აბრის გარეშე. ბათუმის მახლობლად, სოფელ მნათობის აღმოსავლეთით არსებულ მთაზე, ანარიის ფორტის ნანგრევები დღესაცაა შემორჩენილი. ფორტზე პირველად 2019 წლის 11 თებერვალს, ბათუმელი ნაცნობის ოთარ ჩხატარაშვილის მეგზურობით ავედი. მას შემდეგ კიდევ რამდენჯერმე მოვახერხე ანარიაზე ასვლა. იქ ასული ადამიანი კარგად აღიქვამ ფორტის სტრატეგიულ მნიშვნელობას, სიმალიდან ხელის გულივით დაჰყურებ ბათუმს, მის შემოგარენს, გზებს და ზღვის აკვატორიის ჰორიზონტს საკმაოდ შორ მანძილზე. გარემო და ხედები ნათლად წარმოგიდგენს და აცოცხლებს სიმონის მიერ 1918 წლის 26 მარტს გაგზავნილი წერილის შინაარსს, ადგილის მშვენიერების, გადაშლილი ხედების და განცალკევების შესახებ. ფორტი საკმაოდ კარგადაა შემონახული, მართალია დაბინძურებულია, მაგრამ სრული, თითქმის პირვანდელი სახე აქვს შენარჩუნებული კაზემატს. ფორტის ირგვლივ შემორჩენილია მეტყვიამფრქვევეთა ბეტონირებული ჯიხურები და საარტილერიო პოზიცია. ანარიის ფორტი 1918 წლის გაზაფხულის ერთ მძიმე ღამეს დაღუპული ათეულობით ქართველი მეომრის გაუტყეხელობის და უკანასკნელი ბრძოლის სიმბოლოა, მაგრამ მათი და მათი ბრძოლის შესახებ ფორტის ნანგრევებზე არაფერი მოგვითხრობს. გავესაუბრე მიმდებარე სოფლის მოსახლეობას და მათაც არაფერი იცოდნენ ფორტზე მომხდარი ამბის შესახებ. ამიტომ ვფიქრობ, რომ აუცილებელია ფორტის ტერიტორიის განმენდა და იქ საინფორმაციო დაფის განთავსება. ანარიის ფორტს აქვს პოტენციალი სამხედრო-ტურისტული ხასიათის ობიექტადაც იქცეს. ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში ასეთი ადგილები ხსოვნის მემორიალებადაა ქცეული და ჩვენც იგივე უნდა გავაკეთოთ. ამ სახით კი შავგულიძისა და მისი გარნიზონის მეომრის გზა ისევ გაგრძელდება.

65 დამსწრე ჯარისკაცი, კაპიტანი სიმონ შავგულიძე. ჟურნ. „მხედარი“, 1920, N14. გვ. 8-9.

Simon Shavgulidze – The Warrior’s Way

Summary

On the night of April 1, 1918, near Batumi, the garrison of Anaria Fort, commanded by a young, 24-year-old officer, Simon Shavgulidze, was almost destroyed in the battle with the Ottoman army and also died Simon Shavgulidze. Among the defenders of the city, Anaria Fort was one of the exceptions who fought until the end, while most of them left the city without a fight. The name of Simon Shavgulidze and his garrison became a symbol of struggle, sacrifice, and awakening in Georgian society. This article tells about the combat path of a young officer, the history of the orders he received, his last battle, and the echo of this battle in Georgian society.

Today, in the place where Simon was buried, there are sidewalks and lime trees made during the Soviet period. On the site of the Anaria fort are the ruins of the fort. There is no information about Anaria or Simon’s burial place, which needs to be corrected and an information board should be put up.



კაპიტანი სიმონ შავგულიძე



ანარიის ფორტის დაცვისას დაღუპული ოფიცრები. ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“, 1918, N 8



ანარიის ფორტის მეტყვამფრქვევითა ბეტონირებული ჯიხური

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგები და შეფასებები

სამწუხაროდ, 2008 წლის აგვისტოს ომის წინ ქართულმა პოლიტიკურმა ელიტამ არ გაითვალისწინა მერაბ მამარდაშვილის სიტყვები: „რუსეთი ეს არის ქვა, რომელიც ყოველ წუთას შეიძლება დაგეცეს თავზე. იყავით მზად სიკვდილისთვის. იყავით მზად, განსაკუთრებით, თუ თქვენი თავი ძალიან ახლოსაა ქვასთან“.¹

რუსეთის 2008 წლის სამხედრო აგრესიამ, საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციამ და ოკუპირებულ ტერიტორიებზე საოკუპაციო ჯარებისა და სამხედრო ინფრასტრუქტურის განლაგებამ მნიშვნელოვნად გააუარესა საქართველოს უსაფრთხოების გარემო. ამ ომმა ცხადყო, რომ რუსეთის ფედერაციის ხელისუფლება არ ეგუებოდა საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტს, მის არჩევანს დემოკრატიის სასარგებლოდ, დამოუკიდებელ სამინაო და საგარეო პოლიტიკას.²

ომი დასრულდა. ყველაზე მძაფრად, სწორედ ნაომარი ქვეყანა ხვდებოდა, რას ნიშნავდა ცნობილი სიტყვები: „ომი დამთავრდა, მშვიდობის გეშინოდეთ“. ოკუპირებული ტერიტორიიდან დაღუპული ქართველი მეომრების ცხედრებს დედაქალაქისკენ უჩრუმრად მოასვენებდნენ – ყოველგვარი გაცილებისა და პროცესიის გარეშე... მანქანა მანქანას მიჰყვებოდა მუხათგვერდის პანთეონისკენ... „შედეგების მომკა იწყებოდა“!

2008 წლის 12 აგვისტოს საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი, ევროპის საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილების ფარგლებში, სამხედრო მოქმედებების შეწყვეტის მიზნით, მოსკოვსა და თბილისში ჩავიდა. ექვსპუნქტიანი შეთანხმება, სხვა საკითხებთან ერთად, განსაზღვრავდა საომარი მოქმედებების დაუყოვნებლივ შეწყვეტასა და სამხედრო ძალების დაბრუნებას შეიარაღებულ კონფლიქტამდე დაკავებულ პოზიციებზე. მაგრამ რუსული და ოსური შეიარაღებული ძალები ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების მიღებიდან რამდენიმე დღის განმავლობაში მაინც აგრძელებდნენ შეტევას ქართულ პოზიციებზე და დაიკავეს დამატებითი ტერიტორიები; მათ შორის ახალგორის რაიონი, რომელიც 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტამდე საქართველოს ხელისუფლების მმართველობის ქვეშ იმყოფებოდა.

22 აგვისტოს და 8 სექტემბერს მიღწეული შეთანხმების შედეგად, რუსი ჯარისკაცების ნაწილი გაიწვიეს დაკავებული პოზიციებიდან. ამის შემდეგ მოვლენების სცენარი სამხედრო მოქმედებებიდან პოლიტიკური და დიპლომატიური მოქმედებების სფეროში დაბრუნდა. მიმდინარეობდა მწვავე განხილვები კონფლიქტის დაწყებასთან დაკავშირებით პასუხისმგებლობის შესახებ.³

2008 წლის აგვისტოში რუსეთთან გაფორმდა ექვსპუნქტიანი ხელშეკრულება, რომელიც სინამდვილეში შვიდპუნქტიანი იყო, მაგრამ სააკაშვილმა მეშვიდე

1 ლოლობერიძე ლ., რაც მაგონდება და როგორც მაგონდება, თბ., 2019, გვ. 451.

2 კუპრაშვილი ჰ., საქართველოს ეროვნული უშიშროება, თბ., 2022, გვ. 502.

3 ჩვენი ეპოქა, ტ. V, თბ., 2015, გვ. 15.

პუნქტი ამოაღებინა. საქმე ის იყო, რომ მეშვიდე პუნქტში ეწერა: აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის სტატუსი უნდა გადაენწყვიტა საერთაშორისო კონფერენციას, რომელიც უახლოეს მომავალში დასავლეთის ეგიდით ჩატარდებოდა. ამ მუხლის გაქრობით, სააკაშვილმა დასავლეთისა და გაეროს ხელ-ფეხი შეუკრა და რუსეთს სრული კარტ-ბლანში მისცა, რათა ცხინვალისა და სოხუმის „დამოუკიდებლობა“ ელიარებინა.⁴

აღნიშნულთან დაკავშირებით გავიხსენოთ სარკოზის განცხადება – „საკაშვილმა შთანხმების დოკუმენტიდან საკუთარი ხელით ამოშალა პუნქტი, რომლის მიხედვითაც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სტატუსი ფართო საერთაშორისო დისკუსიის გარეშე ვერ განისაზღვრებოდა“. სააკაშვილის მიერ ამ პუნქტის ამოღებიდან ზუსტად ორ კვირაში რუსეთმა აფხაზეთი და ე. წ. „სამხრეთ ოსეთი“ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ცნო.⁵

რაც შეეხება 12 აგვისტოს შემუშავებულ „ექვსპუნქტიან გეგმას“, იგი შემდეგში მდგომარეობდა: 1. ძალის გამოყენებაზე უარის თქმა; 2. საბრძოლო ქმედებებზე უარის თქმა; 3. ჰუმანიტარული დახმარებისთვის თავისუფალი მიმოსვლის უზრუნველყოფა; 4. საქართველოს შეიარაღებული ძალები უნდა დაბრუნდნენ მათი ჩვეულებრივი დისლოკაციის ადგილებში; 5. რუსეთის შეიარაღებული ძალები უნდა დაბრუნდნენ სამხედრო მოქმედებების დაწყებამდე არსებულ ხაზზე. საერთაშორისო მექანიზმის შექმნამდე რუსეთის სამშვიდობო ძალები განახორციელებენ უსაფრთხოების დამატებით ზომებს; 6. საერთაშორისო დისკუსიების დაწყება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის პირობების შესახებ.

საკითხის ექსპერტობა არ არის აუცილებელი იმის განსაჭვრეტად, თუ რა შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა რუსეთისათვის მეხუთე პუნქტში მოცემული „ურთიერთობის დამატებითი ზომების“ განხორციელების უფლების მინიჭებას. ის ცალსახად მეტყველებს ზოგადად დასავლური სამყაროსა და პირადად საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზის პოლიტიკურ კონფორმიზმზე რუსეთის მიმართ.⁶

ამავე დროს, ომის შედეგების შეფასების დროს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ირიბად მიაჩნება სარკოზი მეშუარეობაში, რომ მეშვიდე პუნქტი სააკაშვილმა, ჩვენდა საბედისწეროდ, საკუთარი ხელით ამოშალა: „საკაშვილისთვის მიუღებელი იყო პუნქტი, რომლის მიხედვითაც, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მომავალი სტატუსი საერთაშორისო დისკუსიის საგანი უნდა გამხდარიყო“.

ამდენად, შვიდპუნქტიანი დოკუმენტი გადაიქცა ექვსპუნქტიან დოკუმენტად და ფაქტობრივად, სააკაშვილმა თავად უბიძგა რუსეთს სოხუმისა და ცხინვალის აღიარებისაკენ.⁷

რუსეთმა აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ აღიარების შემდეგ „თანამოაზრეების“ ძებნა დაიწყო. პირველი ცდები ლათინური ამერიკის ქვეყნებზე განხორციელდა. იქ, თავისი წარმომადგენელი სეჩინი მიაგვლინა, რომელმაც და-

4 გაზეთი, „ასავალ-დასავალი“, 2021, #36, გვ. 10.

5 გაზეთი, „ასავალ-დასავალი“, 2023, # 7, გვ. 11.

6 ყალიჩავა კ., კოსოვო, აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი: თანამედროვე კონფლიქტების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი, თბ., 2021, გვ. 219.

7 გაზ. „ასავალ-დასავალი“, 2023, #15, გვ. 26.

ვალეების შესრულება კუბიდან დაიწყო. მაგრამ, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, კუბასთან ურთიერთობები გართულებული იყო. კუბაზე „გაბუტული“ იყვნენ, მიაჩნდათ, რომ რუსეთმა მათ უღალატა. სეჩინს კი ძველი მეგობრობის აღდგენა, კავშირების დამყარება სურდა. მათ შორის იმისთვისაც, რომ ამერიკელებისთვის ძველებურად მოელერებინათ მუშპტი.

მძლავრმა რუსულმა დესანტმა 2008 წლის აგვისტოში ვერაფერს მიაღწია. ფიდელ კასტრომ რუსეთის დელეგაცია არც კი მიიღო. მაგრამ სეჩინი დაჟინებული იყო, განაგრძობდა ლათინურ ამერიკაში ფრენას ლამის ყოველდღიურად. მეორედ ჩასვლისას მან მოიარა კუბა, ვენესუელა და ნიკარაგუა. ყველას სთავაზობდა რუსულ იარაღსა და რუსეთის ნავთობმომპოვებელი კომპანიების მომსახურებას, პირველ რიგში, რასაკვირველია „როსნეფტის“, რომლის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე თვითონ იყო.

შედეგად, მალე ნიკარაგუამ, შემდეგ კი ვენესუელამაც აღიარეს აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობა. ეს სეჩინის პირადი მიღწევა იყო, მან დაიყოლია დანიელ ორტეგა და უგო ჩავესი. ასეთი დავალება სეჩინისთვის არავის მიუცია – მან თვითონ მოიფიქრა, რომ ეს სვლა სწრაფად დაარსმუნებდა პუტინს ახალ თანამდებობაზე მის ეფექტურობაში. არაღიარებული რესპუბლიკების აღიარება სწრაფი და ეფექტიანი შედეგი იყო, ნავთობის შესახებ კონტრაქტების ხანგრძლივი და რთული ხელმოწერისაგან განსხვავებით.

ჩავესთან სეჩინმა საერთო ენა გაცილებით სწრაფად გამოიხატა, ვიდრე ძმებ კასტროებთან: ვენესუელის პრეზიდენტი პირველივე შეხვედრაზე გადაეხვია რუსეთის მაღალი რანგის წარმომადგენელს და წამოიძახა: „ბოლოს და ბოლოს, ჩვენ უკვე მართო არ ვართ ამერიკულ იმპერიასთან ბრძოლაში! ახლა ჩვენთან უკვე რუსეთია!“ აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ აღიარებაში რუსეთმა გულუხვად გადაიხადა: ვენესუელას მისცა მილიარდ დოლარიანი კრედიტი იარაღის შესაძენად. აგრეთვე შექმნა ნავთობის კონსორციუმი ვენესუელის ნავთობსაბადოების ერთობლივად ათვისებისათვის.⁸

პარალელურად, რუსებმა მუშაობა დაიწყეს წყნარი ოკეანის ეგზოტიკურ კუნძულოვან სახელმწიფოებთან. მათ მხარდაჭერა მიიღეს ნაუროსაგან (კუნძული 10 ათასიანი მოსახლეობით). ქვეყანას, რომელსაც „არა აქვს უფლება, მონაწილეობა მიიღოს მთავრობის და სახელმწიფოთა მეთაურების კონფერენციებში“.⁹ ამას მოჰყვა ვანუატუ, შემდეგ ტუვალუს-ჯუჯა სახელმწიფო 12 ათასი მცხოვრებით, რომელიც იძირება ოკეანის დონის ამაღლების გამო. გადმოცემით ლავროვმა ტუვალუს პრემიერ-მინისტრს „ჩემოდნით გადასცა 2 მილიონი დოლარი „ქეშად“.

აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით კუროზებსაც ჰქონდა ადგილი. მიხეილ სააკაშვილი იგონებს, რომ ტუვალუს პრემიერ-მინისტრთან შეხვედრის დროს „გრიგოლ ვაშაძე დაიხარა მისკენ და ჰკითხა: სერ, მართალია, რომ სოხუმში ჩაფრინდით? ის პასუხობს: დიახ – დიახ, მართალია და თან იღიმება. „მართალია, რომ მათი დამოუკიდებლობა აღიარეთ?“ მან უფრო გამომწვევად გაიღიმა. მაშინ ვაშაძემ მისი ჰალსტუხი მუშტზე დაიხვია, უღვაშები სახესთან მიუახლოვა, თვალი თვალში გაუყარა და მოგუდვა დაუწყო, თან ეუბნებოდა: „სერ, თქვენ ძალი-

8 ზიგარი მ., კრემლის ლაშქარი, თბ., 2019, გვ. 277-278.

9 მექვაბიშვილი ა., მსოფლიო დღეს, თბ., 2006, გვ. 179.

ან დიდი შეცდომა დაუშვით“. ეკონომიკის მინისტრ ვერა ქობალიასთან ერთად, მათი გაშველება მომიხდა...“¹⁰

აქვე აღვნიშნავთ, რომ რუსეთის დიდ გავლენას სირიის რეჟიმზე მოწმობს ამ უკანასკნელის მიერ საქართველოს სეპარატისტული ნაწილის „დამოუკიდებლობის“ ცნობა 2018 წელს, რაც მხოლოდ კრემლის საამებლად (ან მისი ზეწოლის შედეგად) გადადგმული გაუაზრებელი ნაბიჯია. ის დამასკოს არავითარ ეკონომიკურ სარგებელს არ მოუტანს და პოლიტიკურადაც წამგებიანია იმ პირობებში, როდესაც მთელი მსოფლიო საწინააღმდეგო პოზიციაზეა.¹¹

ამდენად, აფხაზეთის „დამოუკიდებლობა“ დე იურედ ცნო გაერო-ს წევრმა ხუთმა სახელმწიფომ: რუსეთმა, ნიკარაგუამ, ვენესუელამ, ნაურუმ და სირიამ. ვანუატუსა და ტუვალუს სახელმწიფოებმა 2011 წელს ჯერ აღიარეს აფხაზეთის დე ფაქტო დამოუკიდებლობა, ხოლო 2013-2014 წლებში უარყვეს აღნიშნული აღიარება. აფხაზეთის „სახელმწიფოებრივ სტატუსს“ მხარს უჭერს ასევე სამი არაღიარებული, გაეროს არანევრი ტერიტორიული ერთეული – ე. წ. „სამხრეთ ოსეთი“, დნესტრისპირეთი და მთიანი ყარაბაღის ყოფილი „სომხური არცახის რესპუბლიკა“.

ცხინვალის რეგიონის „დამოუკიდებლობის“ გამოცხადებას ასევე მხარი დაუჭირა დასახელებულმა გაერო-ს ხუთმა ქვეყანამ: რუსეთმა, ნიკარაგუამ, ნაურუმ, ვენესუელამ და სირიამ. გარდა ამისა ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობა აღიარა აფხაზეთის, დნესტრისპირეთის, მთიანი ყარაბაღის და საჰარის არაბთა დემოკრატიული რესპუბლიკის არაღიარებული, ოფიციალური სახელმწიფოებრივი სტატუსის არმქონე ქვეყნებმა. ტუვალუს კუნძულებმა 2011 წელს აღიარა „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობა, ხოლო 2014 წელს უარყო აღიარება და მხარი დაუჭირა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

გამოდის, რომ რუსეთს „პატარა წარმატებული ომი“ სჭირდებოდა საკუთარ ქვეყანაში სოციალური პრობლემებიდან ყურადღების გადასატანად (2008 წლის ეკონომიკური კრიზისი უკვე კარზე აკაკუნებდა). წლების მანძილზე პერმანენტულად დამცირებული, საკუთარი უფლებების შელახვის შემყურე (როგორც რუსეთის ელიტას ეჩვენებოდა), საერთაშორისო საზოგადოების მიერ მისი სტრატეგიული ინტერესების უგულვებელყოფით გაღიზიანებული რუსეთის პოლიტიკური ელიტა ცდილობდა დაემტკიცებინა თავისი ქმედითუნიანიანობა და თანაც ამას თუ გააკეთებდა, „პატარა ერებზე მამობრივი ზრუნვის“ საბაბით, (ტრადიციული რუსული აგრესიის ერთ-ერთი სარჩული), მას განუმტკიცდებოდა თვითრწმენა, პირველსახოვანი სახელმწიფო იმიჯი.

ომი უნდოდა აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ პოლიტიკურ ხელმძღვანელობას – ეს გადახაზავდა სახალხო დიპლომატიისა და მსოფლიო თანამეგობრობის ყველა მცდელობას კონფლიქტის სამართლიანი მოგვარების მიზნით, დიდი ხნით კარებს ჩაუკეტავდა საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების მოსურნეებს (ორივე მხრიდან), „სისხლის მდინარეს“ ჩააყენებდა ქართველ, აფხაზ და ოს ხალხებს შორის.¹²

10 სააკაშვილი მ., ძალის გამოღვიძება, თბ., 2016, გვ. 231-232.

11 სონლულაშვილი ა., ისტორია პოლიტიკა საერთაშორისო ურთიერთობები, თბ., 2021, გვ. 332.

12 დაუშვილი ა., ფიცი მწამს – ბოლო მაკვირვებს!... თბ., 2013, გვ. 87.

ის, რომ რუსებმა თბილისი არ აიღეს – ეს მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანების პროტესტის გამო კი არ მოხდა, არამედ იმიტომ, რომ რუსებს საქართველოში სწორედ სააკაშვილის ხელისუფლება სჭირდებოდათ და კიდევ ის ორი სამხედრო ბაზა – აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი.¹³

ომის შედეგებით რუსებმა მიიღეს სამხედრო ბაზები, „პატარა წარმატებული ომით“ აღიდგინეს შელახული თავმოყვარეობა, თავს იწონებენ იმით, რომ ხუთ დღეში გაანადგურეს ჯარი, რომელსაც ამერიკელი ინსტრუქტორები წვრთნიდნენ და თან აიარალებდნენ, რომ დაეხმარნენ „პატარა დაჩაგრულ ერებს“. რუსეთმა დაიბრუნა ის დაკარგული „ხმის ტონალობა“, რითაც მუდამ აოცებდა მსოფლიოს.

ომი საოცრად მომგებიანი აღმოჩნდა აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ პოლიტიკური ელიტისათვის – აღიარებამ და რუსეთთან საგანგებო ურთიერთობის დამყარებამ, ამ პოლიტიკური ელიტის ხელში თავი მოუყარა რუსეთიდან უანგარიშოდ წამოსულ მილიონებს, პრივილეგიებს და ბინა-აგარაკებს. ის, რომ ისტორიული ქართული მიწებიდან უსირცხვილოდ, უკანონოდ აჰყარეს და გამოყარეს ქართველები – ამაზე ისინი ჯერ კიდევ არ ფიქრობენ და არც მსოფლიო თანამეგობრობას ალელვებს გამორჩეულად ეს საკითხი.¹⁴

ყოველივე ამას ზედ დაერთო საქართველოს ხელისუფლების აღიარება, რომ თითქოს მან დაიწყო ომი. ეს იყო დასავლეთის ზენოლა თუ სხვა რამ, კიდევ გასარკვევია. ამ ფაქტს კარგა ხანს უმაღავდნენ საქართველოს მოსახლეობას. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია გავეცნოთ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციას #1633, რომლის მეხუთე მუხლში ვკითხულობთ: „2008 წლის 7 აგვისტოს, საქართველოს სამხედრო ძალების მიერ ცხინვალის დაბომბვის გაუფრთხილებლად დაწყებით, ესკალაცია ახალ, კერძოდ, ღია და სრულმასშტაბიანი საომარი მოქმედებების საფეხურზე გადავიდა. მიძიმე არტილერია და კასეტური ბომბები, რამაც სერიოზული საფრთხე შეუქმნა სამოქალაქო მოსახლეობას, წარმოადგინდა სამხედრო ძალის არაპროპორციულ გამოყენებას საქართველოს მხრიდან“.

ხოლო მიექვსე პუნქტში წერია, რომ „რუსეთმა განახორციელა საპასუხო შეტევა“.

საქართველოს მომაკვდინებელ ამ დოკუმენტს ხელს აწერენ: 1. გიორგი კანდელაკი; 2. გიორგი თარგამაძე; 3. დავით დარჩიაშვილი; 4. ჩიორა თაქთაქიშვილი; 5. გოკა გაბაშვილი.

ამდენად, სააკაშვილის მთავრობამ ხელი მოაწერა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციას და აღიარა, რომ 2008 წლის 7 აგვისტოს ცხინვალში ომი თავად დაიწყო.

აქ, მოვლენებს წინ გავუსწრებთ და აღვნიშნავთ, რომ 2022 წლის 16 დეკემბერს ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორმა კარიმ ხანმა 2008 წლის ომის ოთხი მონაწილე, კერძოდ, 3 ოსი სამხედრო და 1 რუსი გენერალი ადამიანების წამება-მკვლელობაში დაადანაშაულა.

ნაციონალურმა მოძრაობამ და მისმა ტელევიზიებმა ეს ფაქტი ისე „თარგმნეს“, რომ საქართველოს მიერ ომის დაწყების ვერსია „დამსხვრეულია“.

13 იქვე, გვ. 88.

14 დაუშვილი ა., დასახ. ნაშრომი, გვ. 88-89.

სინამდვილეში კი, პროკურორ კარიმ ხანს რუსეთი არ დაუფიქსირებია არც მხარედ და არც ომის დამწყებად. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჰააგის პროკურორმა მხოლოდ ოთხი ადამიანის ბრალეულობაზე ისაუბრა.¹⁵

რეალურად პასუხს ომის დაწყებაზე და მის შედეგებზე, თავად რუსეთის პოლიტიკა ღალატებს. კერძოდ, ჩვენი ჩრდილოელი მეზობლისთვის სამხრეთ კავკასიის მნიშვნელობა იმდენად დიდია, რომ მისი სტრატეგიული მდებარეობის, სატრანზიტო დერეფნის ხაზის მასზე გავლით, ზღვებზე გასასვლელების მხრივ, რომ რუსულმა სამხედრო ელიტამ დაიწყო მზადება უკვე სამხედრო ინტერვენციისათვის (მანამდე რუსეთის ხელისუფლება ძირითადად საპასპორტო პოლიტიკისა და მცოცავი ოკუპაციის მეთოდებით მოქმედებდა). სამხედრო ინტერვენციით რუსეთს არა მხოლოდ რეგიონზე კონტროლის გაძლიერება სურდა, მას უნდოდა ეპასუხა აშშ-ისა და ნატო-ს გაფართოების პოლიტიკისათვის, რომელიც ნაბიჯ-ნაბიჯ უახლოვდებოდა რუსეთის საზღვრებს.

რუსეთი დიდი ხნის განმავლობაში ემზადებოდა ამ ომისათვის, რასაც თავად რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის განცხადებებიც ადასტურებს, რომელიც მან გააკეთა: „საიდუმლო არაა, რომ ჩვენ გვქონდა გეგმა. რუსეთი ამ გეგმის ფარგლებში მოქმედებდა. ჩვენ ამ გეგმის ფარგლებში მოვამზადეთ სამხრეთ ოსეთის არმია“.¹⁶

აქვე, ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ 2008 წლის აგვისტოში საქართველო თავს ვერ დაესხმებოდა ე. წ. „სამხრეთ ოსეთს“, რადგან ეს იყო თავდაცვითი ომი რუსეთისა და სეპარატისტების წინააღმდეგ. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, „თავდაცვით ომად უნდა განვიხილოთ ნებისმიერი ომი, რომელიც საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში წარმოებს“.¹⁷

და მაინც ქართველი საზოგადოება მოუთმენლად ელოდა საქართველოში კონფლიქტის გამომწვევი მიზეზების დამდგენი საერთაშორისო მისიის, ე. წ. ტალიავინის კომისიის დასკვნას, რომელიც აგვისტოს ომის გამომწვევ მიზეზებსა და შემდგომში განვითარებულ მოვლენებს სწავლობდა. მისიამ ანგარიში 2009 წლის სექტემბერში გამოაქვეყნა.

ტალიავინის შემაჯამებელ დასკვნით ნაწილში აღნიშნულია: „2008 წლის 7 აგვისტოს ღამით (8 აგვისტოს გამთენისისას) ქალაქ ცხინვალს ინტენსიურად შეუტია ქართულია მიძიმე არტილერიამ. ქართული არმიის სხვა შენაერთები ასევე უტევდნენ ქ. ცხინვალსა და მის შემოგარენს. მალევე ბრძოლაში ჩაერთნენ რუსული, სამხრეთოსური და აფხაზური სამხედრო შენაერთები და შეიარაღებული დანაყოფები. თუმცა, ქართული იერიშის შეჩერებას სამხრეთ ოსეთში დიდი დრო არ დასჭირვებია. საპასუხოდ, რუსული შეიარაღებული ძალები, მათ შორის –საჰაერო დარტყმებითა და შავი ზღვის ფლოტის დანაყოფებით, ღრმად შეიჭრნენ საქართველოში, გადაკვეთეს ქვეყნის მთავარი, აღმოსავლეთ-დასავლეთის გზა, მიაღწიეს ფოთის პორტს და გაჩერდნენ ქვეყნის დედაქალაქთან, თბილისის ახლოს. შეიარაღებული დაპირისპირება განვითარდა და მოიცვა შიდასახელმწიფოებრივი და სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტი: ერთი მხრივ,

15 გაზ. „ასავალ-დასავალი, 2023, #15, გვ. 26.

16 მანჩხაშვილი მ., სამხრეთ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების ორი თურქული მოდელი, თბ., 2021, გვ. 52-53.

17 კობახიძე ი., კონსტიტუციური სამართალი, თბ., 2019, გვ. 219.

სამხრეთელი ოსები და აფხაზები საქართველოს წინააღმდეგ და ამავე დროს რუსეთისა და საქართველოს სამხედრო დაპირისპირება; მეორე მხრივ, ერთდროულად ორი ასეთი კონფლიქტის კომბინაცია, ძირითადად, მიდრეკილია საერთაშორისო სამართლის დარღვევისკენ. სწორედ ოსეთის არალეგალური დაჯგუფებების მიერ, რომლებსაც ადეკვატურად არ ან ვერ აკონტროლებდნენ რუსეთის რეგულარული შეიარაღებული ძალები. კიდევ ერთი საომარ მოქმედებათა ფრონტი გაიხსნა ქვეყნის დასავლეთით, სადაც აფხაზურმა ძალებმა, რუსეთის ძალების დახმარებით, აიღეს ზემო კოდორის ხეობა მცირე ქართული დასახლებით. 5-დღიანი ბრძოლის შემდეგ, 2008 წლის 12 აგვისტოს, რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა და საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ, რომელიც ევროკავშირის სახელით მოქმედებდა, მიაღწიეს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას. ამას მოჰყვა იმპლემენტაციაზე (აღსრულებაზე, - ა. ს.) შეთანხმება 2008 წლის 8 სექტემბერს, ისევე პრეზიდენტ სარკოზის დაჟინებული მცდელობის შედეგად. ეს წარმატებული პოლიტიკური ქმედება განხორციელდა საერთაშორისო საზოგადოების უმოქმედობის სანაცვლოდ, მათ შორის - გაეროს უშიშროების საბჭოსი, რომელსაც უნდა ემოქმედა მოქნილად და გადამწყვეტად, რათა გაეკონტროლებინა არნახული დაძაბულობა, რაც წინ უსწრებდა შეიარაღებულ კონფლიქტს. მას შემდეგ არავითარი პროგრესი არ მომხდარა რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარების რთულ პროცესში, გარდა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის დაარსებისა და ჟენევის მოლაპარაკებებისა...“

სხვა ადგილას კომისიის დასკვნაში კიდევ ერთხელ ხაზგასმულია, რომ „2008 წლის 7 აგვისტოს ღამით ქართული შეიარაღებული ძალების მიერ ცხინვალის დაბომბვით დაიწყო ფართომასშტაბიანი შეიარაღებული კონფლიქტი საქართველოში, რაც იყო კულმინაცია იმ მუდმივი დაძაბულობისა და ინციდენტებისა, რომელთაც ადგილი ჰქონდა დიდი ხნის განმავლობაში“.¹⁸

როგორც ვხედავთ, ტალიავინის კომისია ომის დამწყებად ქართულ მხარეს ასახელებს. არაფერს ამბობს, რომ სამხედრო ოპერაცია საქართველოს ხელისუფლებამ თავის ტერიტორიაზე, განდგომილი რეგიონის წინააღმდეგ განახორციელა. თუმცა, რამდენად იყო დამწყები საბრძოლო ოპერაციისა ქართული მხარე, ეს კიდევ საკითხავია. დასკვნაში არაფერია ნათქვამი, საიდან გაჩნდა უცბად რუსეთის შეიარაღებული ძალები ქართულ ტერიტორიაზე და ა. შ.

აქვე აღვნიშნავთ, რომ კომისიის მასალებში არის საყურადღებო მინიშნებებიც. მაგალითად, კომისიის დასკვნით „მისიამ აღმოაჩინა მაგალითი ეთნიკური ქართველების იძულებით გადაადგილებისა, რომლებიც რჩებოდნენ თავიანთ სახლებში საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგ. ასევე, ცხადი იყო, რომ ადგილი ჰქონდა ეთნიკური ქართული სოფლების სისტემურ ძარცვასა და განადგურებას სამხრეთ ოსეთში. შედეგად შეიძლება დავასკვნათ - აღნიშნულია კომისიის მასალებში - ეთნიკური წმენდა იყო ნამდვილად ეთნიკური ქართველების წინააღმდეგ სამხრეთ ოსეთში, როგორც 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის დროს, ისე მის შემდეგაც“.¹⁹

ეთნიკური წმენდა და გენოციდი საერთაშორისო სამართალში სხვადასხვა

18 ჩვენი ეპოქა, ტ. V, თბ., 2015, გვ. 8.

19 ჩვენი ეპოქა, ტ. V, თბ., 2015, გვ. 20.

კატეგორიის ტერმინებია. ცხადია, ორივე დანაშაულია. ტალიავინის კომისიის დასკვნაში რუსების ქმედება შეფასებულია, როგორც დანაშაულებრივი უმოქმედობა და ხელის შეწყობაც კი ოსური ფორმირებებისათვის, რათა მათ განეხორციელებინათ ქართველთა ეთნიკური წმენდა.

ფაქტია, ტალიავინის კომისიამ დაადასტურა ქართველი მოსახლეობის ეთნიკური წმენდა, მაგრამ არ დაადასტურა გენოციდი. ისევე, როგორც კოსოვოში დაადასტურდა სერბების მიერ ალბანელების ეთნიკური წმენდა, მაგრამ ალბანელების გენოციდი არ დაადასტურებულა.

დღევანდელი გადმოსახედიდან, ტალიავინის დასკვნა იყო ერთგვარი კომპრომისების შედეგი, რომელიც საქართველოს პოზიციებს ვერც გააძლიერებდა და ვერც დაასუსტებდა. საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში შექმნილი ვითარება საქართველოსთვის არცთუ ხელსაყრელი აღმოჩნდა.²⁰

სამწუხაროდ, კომისიამ ვერ ან არ „დაინახა“, რომ რუსული სამხედრო ნაწილები საქართველოს ტერიტორიაზე 7 აგვისტოს დილით შემოვიდნენ. საერთოდ კი, რუსული 135-ე და 693-ე პოლკები საქართველოს ტერიტორიაზე უკვე აგვისტოს დასაწყისიდან იყვნენ განლაგებული.

ეს ფაქტები საკმარისი არ აღმოჩნდა კომისიისათვის. მან ვერ შეძლო, უფრო სწორად არ მოინდომა იმის დადასტურება, რომ საქართველოს ტერიტორიაზე, საომარი მოქმედების დაწყებამდე რუსეთის სამხედრო ნაწილები უკვე შემოსული იყო.²¹

საომარი მოქმედებების ვითარებაში საქართველოს ეკონომიკამ მდგრადობის ტესტი, ავად თუ კარგად, ჩააბარა, მაგრამ სოლიდური ზარალიც ნახა. პირდაპირ დანაკარგებს რომ თავი დავანებოთ (უპირველეს ყოვლისა, ადამიანურ დანაკარგებს), უამრავი ოდენობის სახსრები იქნა მიმართული იმ ინფრასტრუქტურის აღსადგენად, რომელიც რუსეთის სამხედრო ინტერვენციამ გაანადგურა. ეს არის სამოქალაქო და ეკონომიკური ინფრასტრუქტურა – გზები, კომუნიკაციები, სხვადასხვა ტიპის და მასშტაბის სამრეწველო თუ სანარმოო ობიექტები, რომლებზეც რუსულმა ტანკებმა და ავიაგამანადგურებლებმა არაერთი იერიში მიიტანეს...

რუსული აგრესიის დროს მრავალჯერ დაიბომბა ისეთი ობიექტები, რომელთა გამართულ მუშაობაზე დიდწილად იყო დამოკიდებული მთლიანად ქართული ეკონომიკის ფუნქციონირება. რუსული ჭურვები ჩამოიყარა თბილისის საავიაციო გაერთიანებაში, რომელიც წინა წლებში ქართული ექსპორტის დაახლოებით 10%-ს უზრუნველყოფდა. ავიაბომბების მსხვერპლი გახდა კასპის ცემენტის ქარხანა – გერმანული „ჰაიდელბერგ ცემენტის“ კუთვნილი ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სანარმოო ობიექტი, რომლის პროდუქტიც როგორც საშინაო, ისე საგარეო ბაზრების მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იყო მიმართული.

სერიოზულად იზარალა საქართველოს რკინიგზამ. კასპთან დაზიანებულმა სარკინიგზო ხიდმა ორმხრივი ზარალი გამოიწვია: ერთი მხრივ, პირდაპირი ხარჯები (მის აღსადგენად გაწეული), მეორე, ყოველდღიურად ტვირთების გაუტარებლობის შედეგად დაკარგული შემოსავალი (ფინანსურმა დანაკარგმა 30 მლნ. ლარს მიაღწია).²²

20 იქვე, გვ. 26.

21 ყალიჩავა კ., დასახ. ნაშრომი, გვ. 218.

22 ჩიტაძე ნ., გეოპოლიტიკა, თბ., 2011, გვ. 581-582.

ტურიზმის სექტორი აგვისტოში განვითარებული მოვლენების ერთ-ერთი პირველი მსხვერპლი აღმოჩნდა. პირდაპირი ზეგავლენა განიცადა იმ ძირითადმა ბუნებრივმა რესურსებმა (ბიომრავალფეროვნება, ბალნეოლოგიურ-კლიმატური პირობები, ესთეტიკური ღირებულებები), რომელიც ძირითადად ტურისტულ პოტენციალს წარმოადგენდა.

საომარი მოქმედებების დროს ფოთის პორტის ბლოკირებისა და საავტომობილო მაგისტრალის გადაკეცვის, ასევე სარკინიგზო ინფრასტრუქტურის დაზიანების და საავიაციო მიმოსვლის შემცირების, ასევე საბანკო და სხვა სექტორებში ამუშავებული დროებითი შეზღუდვების გამო, ქვეყანაში ტვირთების მოძრაობა და სავაჭრო ოპერაციების მოცულობა მნიშვნელოვნად შემცირდა.

მშვიდობიანი მოსახლეობის და სამხედრო პერსონალის, სამხედრო და სამოქალაქო ინფრასტრუქტურის დაზიანებისა და განადგურების გარდა, 2008 წლის აგვისტოს რუსულმა სამხედრო აგრესიამ საქართველოში ეკოლოგიური კატასტროფა გამოიწვია. როგორც ოფიციალური, ისე სხვადასხვა საერთაშორისო საინფორმაციო წყაროს, თვითმხილველთა ჩვენებებისა და ექსპერტების შეფასების მიხედვით, რუსულმა სამხედრო ინტერვენციამ მნიშვნელოვანი ზიანი მიყენა კავკასიისა და შავი ზღვის ეკოსისტემებს.

საქართველოს გარემოსდაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, აგვისტოს მეორე ნახევარში, რუსული შეიარაღებული ძალების მიზანმიმართული ქმედებების შედეგად, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ასობით ჰექტარი უნიკალური ტყე განადგურდა. მაგლითად, ბორჯომის ხეობაში ვიზუალური დათვალიერებით, მთლიანად განადგურებულ იქნა ტყის მასივის 250 ჰექტარზე მეტი, ხოლო ატენის ხეობაში (შიდა ქართლის რეგიონი), დამწვარი ტყის მასივმა 50 ჰექტარი შეადგინა. გარდა ამისა, რუსული სამხედრო ავიაციის ქმედების შედეგად ცეცხლი გაუჩნდა კასპის რაიონის, დაბა სურამის, ხარაგაულისა და კოჯრის ტყეებს.

რაც შეეხება შავ ზღვას, ექსპერტთა შეფასებით, ზღვაში ჩაიღვარა დაახლოებით 50-70 ტონა ნავთობი და ნავთობპროდუქტები, რაც საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლისათვის უპრეცედენტო შემთხვევას წარმოადგენდა.²³

ომის შედეგად დაიკარგა სოფლები, სასაფლაოები, სალოცავები, მატერიალური კულტურის ძეგლები... ლიახვის პირზე, ხეობის დასაწყისში მოზრდილ ქართულ სოფელ ვანათში ქართველების ნასახივ ალარ არის. არც პატარა ლიახვის ხეობის ზემო სოფლებში – ქსუისში, ერედვში, საცხენეთში, ხადურთანკარში, ბელოთში, ანერისხევში...

თითქმის 30 წელიწადზე მეტია, ქართველი მოსახლეობა ველარ მიდის გერში მოსალოცად. ამიტომაც გორის მახლობლად, ბერბუკის დევნილთა დასახლებაში გერის წინადა გიორგის ტაძარი ააგეს. შიდა ქართლის მოსახლეობის ნაწილი კი გერისთობის დღეებში არბოს წმინდა გიორგის ტაძარში მიდის.²⁴

ქართველ პოლიტიკოსებში განსხვავებული დამოკიდებულება არსებობდა აგვისტოს ომის შეფასებისადმი. ბუნებრივია, ნაციონალურ მოძრაობას საკუთარი პოზიცია გააჩნდა ომის დაწყების და დასრულების შესახებ, თუმცა არსებობ-

23 ჩიტაძე ნ., დასახ. ნაშრომი, გვ. 582-583.

24 შოშიტაშვილი ნ., გერის წმინდა გიორგის სალოცავი და გერისთობა, ჟურნ. „ისტორიანი“, 2023, #3, გვ. 79.

და განსხვავებული, ზოგიერთ შემთხვევაში კრიტიკული დამოკიდებულებაც. მაგალითისთვის საინტერესოა „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერის ირმა ინაშვილის ბრალდებები ნაციონალური მოძრაობისადმი:

„1. ვინ ჩააბარა და ვინ გაყიდა კოდორი და ახალგორი? 200 დასახლებული პუნქტი, ქალაქი, სოფელი, დაბა და ამათგან უამრავში, თუნდაც იგივე კოდორის ხეობაში, უამრავ დასახლებულ პუნქტებში საერთოდ არ ყოფილა საომარი მოქმედება, ერთი ტყვიაც არ გავარდნილა. ვინ უბიძგა სამხედროებს, პოლიციას, სპეცსამსახურებს, გამგეობებს, სხვა სახელმწიფო სტრუქტურებს – ვინ უბიძგა და ვინ დაატოვებინა ეს ტერიტორიები? ტექნიკაც დატოვეს, ყველაფერი დატოვეს და ეს ბრძანებები დღესაც დაცულია საიდუმლო არქივებში!

2. ვინ გადასცა უბრძოლველად რამდენიმე მილიარდის ღირებულების შეიარაღება და სამხედრო ბაზები სენაკში, ფოთში, სხვაგან... ვინ ჩააბარა მოღალატეობრივად ეს შეიარაღება რუსებს?

3. ვინ გადასცა დავითგარეჯი, მამისონის უღელტეხილი, შუშანიკის ციხე-კოშკი, 60-ზე მეტი სტრატეგიული პუნქტი ვინ გადასცა მეზობელ ქვეყნებს?

4. ვინ მიყიდა ყველა სტრატეგიული ობიექტი ძირითადად რუსეთს და სხვა ქვეყნებს?

5. საქართველო-რუსეთი-ევროკავშირის შეთანხმებიდან ვინ ამოიღო მეშვიდე პუნქტი, რომელშიც მკაფიოდ ეწერა, რომ სოხუმს და ცხინვალს საერთაშორისო შეთანხმების გარეშე რუსეთი ვერ აღიარებდა?

6. ვინ მოაწერა ხელი სტრასბურგში რეზოლუციას, სადაც წერია, რომ ომი საქართველომ დაიწყო და კასეტური ბომბებიც საქართველომ გამოიყენა?

7. ვინ მიატოვა მშვიდობიანი მოსახლეობა? ვინ მიატოვა წვევამდელები? ვინ მიატოვა ბრძოლის ველზე დაღუპულები, რომლებიც პატრიარქმა გადმოსაყენა?“²⁵

ყველა უბედურებასთან ერთად, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ საქართველომ სუვერენიტეტი და ფუნქცია დაკარგა რეგიონში, რაც თვალნათლივ გამოჩნდა უკვე 2009 წლიდან. საქართველოს ბედი სხვა ქვეყნებში წყდებოდა. ჩვენს ზურგს უკან ლაპარაკობდნენ გეოპოლიტიკურ პრობლემებზე თურქეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი, ევროპა და ამერიკა. ბჭობდნენ, როგორ უნდა გადანყვეტილიყო საქართველოს ბედი და განაწილებულიყო მისი ტერიტორიები.

საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა ომის შედეგების უარყოფითი მიმართულება მიხეილ სააკაშვილის ქმედებებს მიაწერა და ამიტომ მათ ნაწილში გაჩნდა საპროტესტო განწყობა. 2009 წლის 9 აპრილს სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით რუსთაველის პროსპექტზე ათიათასობით კაცი გამოვიდა, რაც 2007 წლის ნოემბრის შემდეგ უდიდესი ოპოზიციური საპროტესტო დემონსტრაცია იყო. მოქალაქეთა პროტესტის ჩასახშობად ძალოვანი სტრუქტურები იქნა გამოყენებული.²⁶

ჩვენმა ხელისუფლებამ რომ პოლიტიკური შეცდომები დაუშვა და მტრის ანკესზე წამოეგო, ფაქტია. ამას მოჰყვა ის შედეგები, რასაც დღემდე ვიმკით. 2008

25 გაზ. „ასავალ-დასავალი“, 2023, #15, გვ. 27.

26 ჩვენი ეპოქა, ტ. V, თბ., 2015, გვ. 29.

წლის აგვისტოს ომი და მისი შედეგები მარტივი შესაფასებელი არ არის იმ განსხვავებული პოლიტიკური პოზიციების ფონზე, რაც საქართველოში არსებობს. თუმცა ხსენებული საკითხის მიმართ ყველა განსხვავებული პოზიციის შესწავლა და ანალიზია საჭირო, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი პოზიციების წარმოჩენა და შეფასება. ფაქტია, რომ 2008 წლის აგვისტოს ომმა ახალი პოლიტიკური პროცესების დაწყებას უბიძგა საქართველოში.

Avtandil Songulashvili

Results and Assessments of the August 2008 War between Russia and Georgia

Summary

After the August 2008 war, Georgia lost 20% of its territory. All this was accompanied by the Georgian government's admission as if it had started the war. Actually, it was a defensive war against Russia and separatists, because according to the Georgian constitution, «any war waged within the internationally recognized borders of Georgia should be considered a defensive war.»

In addition to the damage and destruction of the civilian population and military personnel, and military and civil infrastructure, the Russian military aggression of August 2008 caused an ecological disaster in Georgia.

It is a fact that the government of Georgia made political mistakes and fell into the enemy's trap. This resulted in the outcomes we are still reaping and no progress is seen to regain the lost territories.

არბოში მცხოვრები ჟურნალები და პოლემიკური ხელისუფლება

1921 წლის 25 თებერვალს, დამოუკიდებელი საქართველოს პირველმა რესპუბლიკამ არსებობა შეწყვიტა. ძალადობრივი გზით მოსული საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, ქვეყანა რეპრესიებმა მოიცვა. ბოლშევიკები დევნიდნენ განსხვავებული პოლიტიკური შეხედულების მქონე ადამიანებს. ეს გამოიხატებოდა, როგორც საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევით,¹ ასევე ხალხის მტრად მიჩნეულ პიროვნებათა გადასახლებით, ან ფიზიკური ლიკვიდაციით. წითელი ტერორი განსაკუთრებული სიძაფრით მალალი სოციალური წრის წარმომადგენლებს შეეხოთ. ქონებაჩამორთმეული ადამიანების დასჯის მიზეზად მითითებული იყო: „როგორც თავადი და დაუძინებელი მტერი მშრომელებისა“. საზოგადოებისათვის საშუალო წევრებად გამოცხადებულ ადამიანებს ართმევდნენ: მიწას, საცხოვრებელ სახლს, პირუტყვს. თავად-აზნაურებისთვის ჩამორთმეული უძრავ-მოძრავი ქონება სახელმწიფოს გადაეცა.² ასეთივე ბედი ეწიათ სოფელ არბოში მცხოვრებ ჟურნალებს. საბჭოთა ხელისუფლებამ ბალ-ვენახი ჩამოართვა დურმიშხან ჟურნალის³ ქალიშვილს, ნინო ჟურნალს.⁴ 1927 წლით დათარიღებულ დოკუმენტში:

1 სოსიაშვილი გ. , დიციის ისტორია, თბ., 2011, გვ. 49.

2 G. Sosiashvili, Political repressions in Georgia during the I Quarter of the XX Century, An international Quarterly Journal of Social Science „Black Sea“, Issue 44, 2019, 360-374; გ. სოსიაშვილი, XX საუკუნის I მეოთხედის უცნობი დოკუმენტი შიდა ქართლში რეპრესირებული თავად-აზნაურების შესახებ, წიგნში: შიდა ქართლის ისტორიის საკითხები, თბ., 2013, გვ. 3-13.

3 დურმიშხან ჟურნალი (1830-1901 წ.წ.) ქართული საზოგადოების ცნობილი წარმომადგენელი გახლდათ. იგი სხვადასხვა დროს იყო ცხინვალის და სურამის ბოქაული. 1877-1778 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომში, დურმიშხან ჟურნალი ხელისუფლების დავალებით ფარულ მოლაპარაკებას აწარმოებდა ოსმალეთის მიერ დაპყრობილ ტერიტორიაზე მცხოვრებ მუსლიმ ქართველებთან, მათ შორის, შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილთან. აჭარის შემოერთების შემდეგ, დურმიშხან ჟურნალი ბათუმის პოლიცემისტერის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა. დურმიშხან ჟურნალის ოჯახი აქტიურად იყო ჩართული საზოგადოებრივ საქმიანობაში. სწორედ დურმიშხანს მიანდო დიმიტრი ყიფიანმა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბათუმის განყოფილების დაარსება. დურმიშხან ჟურნალის მეუღლის, ქეთევან ჟურნალის სახელს უკავშირდება ბათუმის თეატრის დაარსება. გ. სოსიაშვილი, არბო, პარიზი, ლიმა...თბ., 2022, გვ. 59, 78-79; გ. სოსიაშვილი, XIX საუკუნის II ნახევრის ბათუმის კულტურული ცხოვრების ისტორიიდან (ნინო ჟურნალის მოგონებების მიხედვით), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის შრომათა კრებული, XIX, თბ., 2023, გვ. 203-216.

4 ნინო დურმიშხანის ასული ჟურნალი ცოლად ჰყავდა რუსეთის იმპერიის სამხედრო სამსახურში მყოფ გენერალ-ლეიტენანტ ილია მაქარაშვილს. დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ნინო ჟურნალმა მეუღლის დახმარებით ჟურნალების მშობლიურ სოფელში, არბოში ორსართულიანი სახლი ააშენა და ასევე ჟურნალების საკუთრებაშივე არსებული ბათუმში დონდუკოვ-კორსაკოვსკაიას და სმეკალოვსკაიას ქუჩების გადაკვეთაზე არსებული ქვითნაშენი ორსართულიანი სახლი შეაკეთა. ამას ადასტურებს 1906 წლით დათარიღებული დოკუმენტი: „მისი უდიდებულესობა იმპერატორის ბრძანების აღმასრულებელი ფურცელი ქეთევან ჟურნალის, ნინო მაქარაშვილისა და გიორგი ჟურნალის ქონების დავის შესახებ“. დავა ეხებოდა ბათუმის საცხოვრებელ სახლს, მიწის ნაკვეთს, ასევე, სოფელ არბოსა და ტბეთში არსებულ დურმიშხან ჟურნალის და ქეთევან ნამორაძის კუთვნილ მამულებს. საბოლოოდ, ბათუმის მომრიგებელი განყოფილების მომრიგებელმა მოსამართლემ, 1908 წელს მიღებული

„სიები ყოფილი თავადების, აზნაურების და მემამულეებისა ტყვიავის და შინდისის ზონების მიხედვით“, რომელიც გორის არქივშია დაცული, ვკითხულობთ: „მაკარაშვილი ნინა დურმიშხანის ასული – 55 წლის ქართველი, ყოფილი აზნაური,⁵ სოფელ არბოს მცხოვრები, 17 წლამდე (1917 წ.) ჰქონდა ასი მეთაედი სახნავი მიწის ნაკვეთი. მის მეუღლეს ილიას⁶ ჰყავდა 6 მონა.⁷ ძალზედ ავინროვებდა გლეხებს, ძალით ართმევდა საქონელს,⁸ მეზობელი სოფლებიდან მსხვილფეხა საქონელის (ნახირის) გადარეკვაში სულზე 50 კაპიკ გამოსასყიდს იღებდა. 17-21 წწ. მისთვის მამული არ ჩამოურთმევიათ. მისი მეუღლე გარდაიცვალა 17 წელს.⁹ გლეხებთან უხეში ურთიერთობა ჰქონდა. 21-28 წწ. მიწის რეფორმის გატარებისას¹⁰ მამული ჩამორთმეულ იქნა და ამჟამად სამი მეთაედი ბალი აქვს, რომელიც იჯართაა გაცემული. გლეხებთან აქვს მტრული დამოკიდებულება, გლეხებსაც ეზიზღებათ ისინი. აქვს სახლი, ჰყავს სამი მოსამსახურე. ვაჟი მიხეილი¹¹ სწავლობს საზღვა-

გადაწყვეტილებით, ნინო დურმიშხანის ასულს ჟურნალების ქონების ნახევარი დაუტოვა. გ. სოსიაშვილი, არბო, პარიზი, ლიმა... გვ. 313. არბოს სახლს რაც შეეხება, ის მთლიანად ნინო ჟურნულს დარჩა.

5 ჟურნულთა საგვარეულო პატარა ლიახვის ხეობაში, კერძოდ, სოფელ არბოში ქსნის ხეობიდან გადმოსახლდა. XIX საუკუნის 70-იან წლებში შედგენილ მორიგე ჯარის დავთარში არბოში უკვე იხსენიებიან ჟურნალები. ჟურნულთა საგვარეულოს ერთ-ერთი წარმომადგენელი, შალვა ჟურნული, რომელიც ზემოთ მითითებული დურმიშხან ჟურნულის მამა გახლდათ, 1804 წლის მთიულეთის აჯანყებაში მონაწილეობდა, რის გამოც იგი დაკავებული იქნა. სოსიაშვილი გ., არბო, პარიზი, ლიმა ... გვ. 49.

6 იგულისხმება ნინო ჟურნულის მეუღლე, გენერალ-ლეიტენანტი ილია საყვარელას ძე მაქარაშვილი (1854-1912 წ.წ.), რომელიც 1897 წელს ჯერ კავკასიის გრენადერთა საარტილერიო ბრიგადის პირველი ბატარეის, ხოლო შემდეგ თურქესტანის 2-ე და 52-ე საარტილერიო ბრიგადის მეთაური გახლდათ. სოსიაშვილი გ., არბო, პარიზი, ლიმა... გვ. 127.

7 დოკუმენტი დათარიღებულია 1927 წლით, თუმცა მითითებულია მიწის რეფორმის გატარების თარიღი 1921-1928 წ.წ., რაც, უზუსტობაა.

8 ბოლშევიკები მსგავსი მეთოდებით უსწორდებოდნენ მათთვის მიუღებელ, საზოგადოებაში ავტორიტეტის მქონე პიროვნებებს. ნინო დურმიშხანის ასული ჟურნული არაერთი საქველმოქმედო ღონისძიების სულისჩამდგმელი იყო, იგი განსაკუთრებით ხელმოკლე ოჯახის წარმომადგენელ მოსწავლეებს ეხმარებოდა. არბოში დაბადებული ცნობილი ქართველი მწერალი, ნიკო ლომოური ნინო ჟურნულს ასე ახასიათებდა: „ამ დიდებულმა გრძნობამ მოყვასის სიყვარულის და სიბრალულისამ ამ ჟამად თავის მოციქულებათ გამოიწვია პატივცემულნი ნინო დურმიშხანის ასული მაკარაშვილისა და წინამძღოლი გორის მაზრის თავად-აზნაურთა ბ-ნი გიორგი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ დავითაშვილი. ამათ თავიანთი სათნოიანის გულით და განათლებულის გონებით შენიშნეს სავალალო მდგომარება აქაურ ღარიბ მოსწავლეთა და გულმოდგინებით გაუწოდეს მათ ხელი შველისა და დახმარებისა. ამ ჟამად შეგროვილი ფული დანიშნულია ორის სასწავლებლის შეუძლებელ მონაფეთათვის: საქალაქო პროგიმნაზიისა და საქალაქო სკოლისა. სრული შემოსავალი ამ საღამოსი გახლდათ 492 მ და 39 კ. აქედგან დაიხარჯა 163 მ. და 76 კ. აღნიშნულ კეთილ საქმისათვის დარჩა 328 მ. და 63 კ. პატივცემულ ნ. დ-ასულს მაკარაშვილისას და თავადს ბაგრატიონ-დავითაშვილს განზრახვა აქვთ გამართონ ამგვარივე საღამო იმავე აზრით თიბათვის დამდეგს გორის ციხეში“. ლომოური ნ., პუბლიცისტური წერილები, ხათუნა მურადაშვილის რედ. თბ., 2002, გვ. 181.

9 დოკუმენტში უზუსტობაა, გენერალი ილია მაკარაშვილი, როგორც მისი ეპიტაფიიდან ირკვევა, 1912 წელს გარდაიცვალა.

10 დოკუმენტში, რომელიც 1927 წლით არის დათარიღებული, მითითებულია მიწის რეფორმის თარიღი 1921-1928 წ.წ., რაც, ცხადია, უზუსტობაა, სავარაუდოდ უნდა ეწეროს 1921-1926 წ.წ.

11 მიხეილი ნინოს და ილიას უმცროსი შვილი გახლდათ. იგი 1922 წელს სასწავლებლად

რგარეთ, ჰყავს 60 წლის ძმა გიორგი ჟურული. ამ ტექსტს ახლავს მინანერი: მისი ძმა ჟურული გიორგი¹² იმყოფება საზღვარგარეთ“.¹³

ნინო დურმიშხანის ასულის მიმართ ბოლშევიკების ზენოლა ამით არ დასრულებულა. მას როგორც მეფის რუსეთის გენერლის მეუღლეს, გორის რაიალმასკომის პრეზიდენტის 1933 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ქონება მთლიანად (მათ შორის საცხოვრებელი სახლი) ჩამოართვეს და სოფლიდან გაასახლეს. ამის მიზეზად გადაწყვეტილებაში მითითებულია ადგილობრივ გლეხთა უკმაყოფილობა. დოკუმენტში: „ამონანერი გორის რაიალმასკომის პრეზიდენტის 1933 წ. სექტემბერი 19. სხდომის ოქმიდან # 29/100\$“ ვკითხულობთ:

„მოისმინეს: ნინო მაკარაშვილი ჟურულის შესახებ ტირძნისი სას. საბჭოს დადგენილება ბალ. ვენახის ჩამორთმევის და მისი სოფლიდან გასახლების შესახებ (მომხს. ამხ. სტეფანოვი, რომელსაც დავალებული ჰქონდა რაი აღმასკომის მიერ ამ საკითხის ადგილობრივ გამოკვლევა)

აზრი გამოსთქვას: კალანდაძემ. კეკელიშვილმა. ელეგაშვილმა

დაადგინეს: ვინაიდან დიდი უკმაყოფილებაა სოფ. არბოში მცხ. კოლმეურ. და ინდივიდ. გლეხობის შორის ყოფ. გენერლის ცოლის ნინო ჟურულის შესახებ. რომელიც ამუშავებს თავის ვენახს დაქირავებული შრომით. რაოდენობით 1 გაქტ. (იგულისხმება ჰექტარი), ხილ-ბალი 0.5 გა. სახლი ხუთ ოთახიანი ამისათვის დადასტურდეს ტირძნისის სას. საბჭოს პრეზიდენტის დადგენილება ქონების ჩამორთმევაზე. მხოლოდ ერთი ოთახი და სამოსახლო ადგილი დარჩეს ჟურულის მოსამსახურეს, ქონება კი გადაეცეს არბოს კოლმეურნეობას. ნინო მაკარაშვილი ჟურულისა გასახლებულ იქნეს აღნიშნულ სოფლიდან დასტური ეთხოვოს საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.

თავმჯდომარე: ერ. კალანდაძე.

მდივანობდა: არბოლიშვილი.

ასლი დედანთან სწორეა:

საქმის მწარმოებელი (ე. მცხვეთაძე)“.¹⁴

როგორც დოკუმენტიდან ირკვევა, ნინო დურმიშხანის ასულის ქონება კოლმეურნეობას გადაეცა. არბოში არსებული, ცნობილი ქართველი არქიტექტორის, სიმონ კლდიაშვილის მიერ დაპროექტებული და ნინო ჟურულის მიერ აშენებული

საფრანგეთში გაემგზავრა და იქვე დამკვიდრდა. მიხეილ მაქარაშვილმა ძალზე საინტერესო მოგონებები დატოვა. იხ. გ. სოსიაშვილი, მიხეილ მაქარაშვილის წერილები და მოგონებები, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიის და ხელოვნების ისტორიის სერია, 2023, # 2, გვ. 57-73. მიხეილ მაქარაშვილის ერთ-ერთი შვილი გიორგი (გოგი) საცხოვრებლად გადავიდა პერუში, კერძოდ, ქალაქ ლიმაში. იხ. გ. სოსიაშვილი, ილია მაქარაშვილის შთამომავლები პერუსა და საფრანგეთში, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიის და ხელოვნების ისტორიის სერია, 2021, # 1, გვ. 77-111. იგი 2022 წელს გარდაიცვალა.

12 იგულისხმება საქართველოს პირველი რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი გიორგი ჟურული

13 საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო, გორის რაიონული არქივი, ფონდი # 2, ანანური # 1, საქმე # 495, ფურც. 16. ცნობილია, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსიის შემდეგ გიორგი ჟურული ემიგრაციაში წავიდა და ოჯახთან ერთად საფრანგეთში დამკვიდრდა.

14 საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო, გორის რაიონული არქივი, ფონდი # 4, ანანური # 1, საქმე # 135, ფურც. 23.

სახლის ერთ ოთახში ბოლშევიკებმა საცხოვრებლის მეპატრონის მოსამსახურე დატოვეს.

სოფლიდან გაძევებული ნინო ჟურული-მაქარაშვილისა 1948 წელს გარდაიცვალა. როგორც ჩანს, მის ქალიშვილს, ირინა ილიას ასულს სურვილი ჰქონდა, დედა არბოს წმინდა გიორგის ტაძარში, მშობლების, მეუღლის და შვილის გვერდით დაეკრძალა, თუმცა ხელისუფლების წარმომადგენლებმა ამაზე უარი უთხრეს. საფრანგეთში მცხოვრები მიხეილ ილიას ძე მაქარაშვილი თავის მოგონებებში წერს: „დედაც არბოში გარდაიცვალა 1948 წლის 4 სექტემბერს, მაგრამ ბოლშევიკებმა არ დააკრძალვინეს იგი ეკლესიაში. ჩემი დის ირას წერილით შევიტყვე, რომ იგი სოფლის სასაფლაოზე დაკრძალეს“.¹⁵ არბოში არსებული სახლი, რომელიც ბოლშევიკებმა გენერალ ილია მაქარაშვილის ქვრივს ნინო ღურმიშხან ასულს ჩამოართვეს, 1957 წელს მის შვილს, კანონიერ მფლობელს – ირინა ილიას ასულ მაქარაშვილს დაუბრუნდა. სახლში დროებით იყვნენ შესახლებულები მაქარაშვილების ყოფილი მოსამსახურეები – ბეკოშვილები, რომლებსაც კანონიერმა მეპატრონეებმა საშუალება მისცეს მუდმივი თავშესაფრის პოვნამდე ცხოვრება გაეგრძელებინათ და კარ-მიდამოსთვის ყურადღება მიექციათ. ირინა და მისი მეუღლე ანატოლი კიზირია¹⁶ სოფელში ზაფხულობით ჩადიოდნენ. ირინა მაქარაშვილმა არბოში არსებული სახლი და ქონება 1979 წელს, ანდერძით, ილია მაქარაშვილის ძმის კონსტანტინეს შვილთაშვილს, მერაბ მაქარაშვილს (გარდ. 2022 წელს) გადასცა. ნინო ჟურულის მსგავსად, ბოლშევიკებმა მამულები ჩამოართვეს ყოფილ აზნაურებს, არბოში მცხოვრებ ალექსანდრე მალხაზის ძე ჟურულს, ასევე, ვლადიმერ ალექსანდრე ძე ჟურულს. ზემოთ წარმოდგენილ 1927 წლით დათარიღებულ დოკუმენტში: „სიები ყოფილი თავადების, აზნაურების და მემამულეების ტყვეების და შინდისის ზონების მიხედვით“, ვკითხულობთ: „...5. ჟურული ალექსანდრე მალხაზის ძე – 64 წლის ქართველი ყოფილი აზნაური, სოფელ არბოს მაცხოვრებელი, 17 წლამდე (1917 წ) ჰქონდა ექვსი მეთათედი მიწის ნაკვეთი, რომელიც გაცემული ჰქონდა იჯარით და გლეხობისგან იღებდა დიდ ღალას. გლეხებს ავინროვებდა. 17-21 წწ მამული არ ჩამოართვეს. ამუშავებინებდა მიწას და გლეხობას

15 ნაცვლიშვილი პ., მაქარაშვილები: არბო, პარიზი, ლიმა... არბო. გაზ. „სამშობლო“, 1992 წ., მაისი, გვ. 8.

16 ანატოლი კიზირია დაიბადა 1889 წელს სენაკის მაზრის სოფელ ნოსირში. 1913 წელს დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტი, ხოლო 1916 წელს პეტროვსკო-რაზუმოვსკის სასოფლო-სამეურნეო აკადემია. ანატოლი კიზირია 1923-1936 წლებში თბილისის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატსა და სენაკის მაზრის რევკომში მუშაობდა. 1932-1938 წ.წ. იგი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მექანიზაციის და ელექტრიფიკაციის კათედრის გამგის პოზიციას იკავებდა, 1938-1971 წ.წ. კი საქართველოს ზოოვეტერინალური სასწავლო-საკვლევო ინსტიტუტის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის კათედრას ედგა სათავეში. 1973-1976 წლებში ანატოლი კიზირია საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ინსტიტუტში კონსულტანტი იყო. სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დარგში მოღვაწე ქართველი მეცნიერი 1947 წელს სოფლის მეურნეობის დოქტორი გახდა, 1948 წელს კი პროფესორი. 1957 წელს ანატოლი კიზირია საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემიის წევრ-კორესპონდენტად აირჩიეს. <http://www.gaas.dsl.ge/> ანატოლი კიზირია 1976 წელს ხანგძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. მის სახელს უკავშირდება ჟურულების მშობლიურ სოფელში, მდ. პატარა ლიხვზე ჰიდრო ელექტრო-სადგურის მშენებლობა. <http://www.gaas.dsl.ge/>

ავინროვებდა. იღებდა დიდ ღალას. 21-28 (?) წ.წ.¹⁷ მინის რეფორმის გატარებისას მამული ჩამოერთვა და ამჟამად აქვს სამი მეათედი მინის ნაკვეთი, რომლის ნაწილი იჯარით აქვს გაცემული. ნაწილს ამუშავენ დაქირავებული მუშა ხელით. განდევნილი არ ყოფილა. გლეხებთან დაძაბული ურთიერთობები აქვს. ვაჟი შალვა 25 წლისაა, ცხოვრობს ქ. თბილისში პროფესიით ექიმია, მას ჰყავს მეუღლე და ქალიშვილი, რომლებიც აგრეთვე თბილისში ცხოვრობენ. ალექსანდრეს ჰყავს ქალიშვილი თამარი 22 წლის.¹⁸

6. ჟურული ილია მალხაზის ძე – 75 წლის ქართველი, ყოფილი აზნაური, სოფელ არბოს მაცხოვრებელი. 17 წლამდე (1917 წ) გააჩნდა ექვსი მეათედი მინის ნაკვეთი, რომელიც გაცემული ჰქონდა იჯარით. იგი მეფის ჯარში მსახურობდა პოლკოვნიკის ჩინით. 17-21 წწ მამული არ ჩამოართვეს. ცხოვრობდა სოფელში. გლეხებთან ჰქონდა უხეში დამოკიდებულება. 21-28(?) წწ მინის რეფორმის გატარებისას მამული ჩამოერთვა და ამჟამად აქვს სამი მეათედი მინის ნაკვეთი და ბალი, რომელსაც იჯარით გასცემს. ცხოვრობს სოფელში საკუთარ სახლში. განდევნილი არ ყოფილა. აქვს ოჯახი: მეუღლე ტერეზა 50 წლის. ვაჟი შურა 35 წლის, რომელიც მუდმივად იმყოფება თბილისში, სადაც მსახურობს, მაგრამ კონკრეტულად სად, არ არის ცნობილი, იგი იშვიათად ჩამოდის სოფელში. ჰყავს ძმა ვასილი 47 წლის, 17 წლამდე (1917 წ) ჰქონდა ექვსი მეათედი მინის ნაკვეთი, სოფელში არ ცხოვრობდა, მსახურობდა...¹⁹ უწყებაში. 1917-21 წწ. იმყოფებოდა სახლში. მამული არ ჩამოართმევია 21-28 წწ. ამჟამად აქვს ორი მეათედი მინის ნაკვეთი, რომელიც იჯარით არის გაცემული, თვითონ უსინათლოა. ჰყავს ვაჟი გრიგოლი 40 წლის, რომელიც მსახურობს... სოფელში არ ჩამოდის, ამჟამად იგი იმყოფება ბაქოში და იქ მსახურობს. ჰყავს მეუღლე და ქალიშვილი, რომლებიც აგრეთვე ბაქოში იმყოფებიან, გლეხების დამოკიდებულება მათი ოჯახისადმი ლოიალურია.

7. ჟურული ვლადიმერ (ვატია) ალექსანდრეს ძე – 32 წლის ქართველი, ყოფილი აზნაური, სოფელ არბოს მცხოვრები.²⁰ მისი მამა იყო ბოქაული. გარდაიცვალა 1913 წელს. თვითონ ჯარში იყო. 17-21 წწ. მსახურობდა ახალციხეში, სად უცნობია, სოფელში არ ჩამოდიოდა. 21-28 (?) წწ მინის რეფორმის გატარებისას ჩამოერთვა ხუთი მეათედი მინის ნაკვეთი. ამჟამად აქვს ბალი 1/4 მეათედი, რომელიც 25 წელს მიჰყიდა სოფელ არბოში მცხოვრებ გლეხ²¹ ვლადიმერს. თვითონ სოფელში არ ჩამოსულა, ამჟამად სად იმყოფება არ არის ცნობილი. სახლი აქვს, ხოლო ოჯახი არ გააჩნია“.²²

1927 წლის 21 იანვრის მდგომარეობით, სოფელ არბოს ამომრჩეველთა სიაში ჟურულთა საგვარეულოს წარმომადგენლებს, რომლებიც ზემოთ მითითებულ

17 სავარაუდოდ, უნდა ეწეროს 1921-1926 წ.წ.

18 დოკუმენტს მინაწერი აქვს, საიდანაც ირკვევა, რომ ალექსანდრე მუშაობდა კოლმეურნეობაში, ხოლო მისი შვილი (სავარაუდოდ ვაჟი) ცხოვრობდა თბილისში.

19 სიტყვა გამოტოვილია.

20 ალექსანდრე ჟურულს კიდევ ერთი ვაჟი ჰყავდა – შალვა ალექსანდრეს ძე ჟურული. გაზ. „თბილისში“ გამოქვეყნებული ნეკროლოგის მიხედვით, იგი 1959 წელს გარდაიცვალა. მას ჰყავდა სამი ქალიშვილი: თეონა, მარი და თამარი. გაზ. „თბილისი“, 1959 წ., # 215.

21 გვარი არ იკითხება.

22 საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო, გორის რაიონული არქივი, ფონდი # 2, ანაწერი # 1, საქმე # 495, ფურც. 16.

დოკუმენტში იხსენიებიან, გლეხის სოციალური სტატუსი აქვთ. შურული ვასილ მალხაზის ძე (დაბ. 1850 წ.) – გლეხი; შურული ილია მალხაზის ძე (დაბ. 1856 წ.) – გლეხი; შურული ალექსანდრე მალხაზის ძე (დაბ. 1867 წ.) – გლეხი; შურული თამარა ალექსანდრეს ასული (დაბ. 1905 წ.) – გლეხი; შურული მიტო ლევანის ძე (დაბ. 1897 წ.) – გლეხი; შურული ნადია დავითის ასული(დაბ. 1909 წ.) – გლეხი“.²³

ამავე დოკუმენტის თანახმად, ილია შურულს ჰყავდა ვაჟი – 1892 წელს დაბადებული შურა (დოკუმენტის შედგენის დროს, 1927 წელს, ის 35 წლის ყოფილა). მის შესახებ წერია, რომ უცნობი იყო სად მსახურობდა, მუდმივად ცხოვრობდა თბილისში და სოფელში (არბოში) იშვიათად ჩამოდიოდა. შურა (ალექსანდრე) ილიას ძე შურული სამხედრო პირი იყო. მან 1909 წელს დაამთავრა პეტერბურგის მიხეილის საარტილერიო სასწავლებელი. მსახურობდა რუსეთის იმპერიის არმიის 47-ე საარტილერიო ბრიგადაში, რომლის რიგებშიც მონაწილეობდა I მსოფლიო ომში 1914-1918 წ.წ. ჰქონდა პორუჩიკის, შტაბს-კაპიტნის, ომის ბოლოს – კაპიტნის ნოდებები. დაჯილდოებული იყო წმ. სტანისლავის III და II 1915 (წ.), წმ. ანას IV 1915 (წ.) და II 1916 (წ.) ხარისხის ორდენებით; წმ. გიორგის ოქროს იარაღით „მამაცობისთვის“ (1917 წ.) – 1916 წლის 29 მაისს, სოფ. ბობულინცესთან გერმანელების წინააღმდეგ ბრძოლაში თავის გამოჩენისთვის.²⁴

1918-1921 წლებში ალექსანდრე შურული იყო საქართველოს ჯარის პოლკოვნიკი. იგი საარტილერიო დივიზიონს მეთაურობდა.²⁵ 1920 წელს, შავი ზღვის სანაპიროზე ყოფნის პერიოდში, ალექსანდრე შურული ჩრდილოეთ კავკასიაში დამარცხებული რუსული „მოხალისეთა არმიის“ სამხედრო ნაწილებს ფოთიდან ყირიმში ევაკუაციის განხორციელებაში დაეხმარა. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, 1921-1924 წლებში, მსახურობდა წითელ არმიაში, სადაც მე-2 ქართულ შეერთებულ საარტილერიო დივიზიონს ხელმძღვანელობდა. მალე სამხედრო კარიერას ჩამოცილდა და სხვადასხვა სამეურნეო თანამდებობაზე საქმიანობდა. 1937 წელს, „ტყვარჩელნახშირის“ მომარაგების რწმუნებულის პოზიციას იკავებდა. საბჭოთა ხელისუფლების მიერ ალექსანდრე შურული სამჯერ იყო დაპატიმრებული 1922, 1924 და 1931 წლებში, „ჯამუშობის“ და „კონტრრევოლუციური საქმიანობის“ ბრალდებით. იგი 1937 წელს კვლავ დააპატიმრეს და დახვრიტეს.²⁶ შუ-

23 საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო, გორის რაიონული არქივი, ფონდი # 3, ანაწერი # 1, საქმე # 471, ფურც. 12. არბოში მცხოვრები შურულების შესახებ იხ. გ. სოსიამვილი, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ფინანსთა მინისტრის – გიორგი შურულის ოჯახი და სოფელი არბო, შურნ. „ისტორიანი“, 2020, #5 (113), გვ. 41-49.

24 როგორც ირკვევა, შურულთა საგვარეულოს არაერთი წარმომადგენელი სამხედრო სფეროში მოღვაწეობდა. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკაში“ 1918 წელს კიდევ ერთი სამხედრო პირი პრაპორშჩიკი შურული იხსენიება (თუმცა მისი სახელი მითითებული არ არის). იგი შტაბს კაპიტან დილმელაშვილთან ერთად დაუპატიმრებიათ: მეციხოვნე ჯარის უფროსის განკარგულებით დააპატიმრეს შტ. კაპიტანი დილმელაშვილი და პრაპ. შურული დებოშისთვის“. იხ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918 წ., #, 48.

25 ალექსანდრე შურულის ძმა – კონსტანტინე შურული კავკასიის მე-6 მსროლელთა პოლკის შტაბს-კაპიტანი იყო. იგი 1916 წელს საბრძოლო მოქმედებების დროს დაიღუპა. შურნალის „თეატრი და ცხოვრება“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ ნეკროლოგში ვკითხულობთ: „კონსტანტინე ილიას ძე შურული კავკასიის ასპარეზზე ბრძოლის ველზე მოკლული. დაკრძალეს მარიაპოლისთვის 7 დიდუბეში. შეუდრეკელი და მამაცი მეომარი იყო, ჯარის კაცთა სათაყვანო და ამხანაგთა საყვარელი“. შურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1916, # 34, გვ. 9.

26 <https://amp.ka.autograndad.com/478566/1/%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%A5>

რულთა მშობლიურ სოფელში, არბოში, რომელიც მდ. პატარა ლიხვის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს, დღეს შემორჩენილია მხოლოდ ნინო ჟურულის მიერ აშენებული (არქიტექტორ სიმონ კლდიაშვილის მიერ დაპროექტებული) ორსართულიანი სახლის ნანგრევი და ასევე, შედარებით გადარჩენილი, XIX საუკუნის მეორე ნახევარში აშენებული ერთსართულიანი სახლი, რომელიც „ჟურულების სახლის“ სახელწოდებით არის ცნობილი. ის კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაშია შეტანილი. სამწუხაროდ, დღეს სოფელ არბოში ჟურულები აღარ ცხოვრობენ.

Giorgi Sosiashvili

Juruli's residing in village Arbo and the Bolshevik government

Summary

Историки США Дж. Маккарти и К. Маккарти тоже отмечали, что с 30-го марта до 1-го апреля армяне убили в Баку от 8-ми до 12-ти тысяч мусульман и что половина тюркского населения Баку сбежала из города.

Посол Германии в Стамбуле Бернсдорф, подтверждавший уничтожение азербайджанцев и раскрывший суть произошедшего в Баку, на встрече с Мамед Эмином Расулзаде говорил:

«Происходящее в Баку – это больше армянское движение, чем большевистское».³⁴

Русский исследователь А. Попов тоже писал, что отдельные армянские отряды обращались жестоко с пленными азербайджанцами.³⁵

Массовое убийство азербайджанцев в Баку признавали и большевики. Так, Н. Нариманов в своей статье «Что нужно сделать, чтобы гражданская война не приняла национальную окраску», опубликованную 23-го мая 1918 года, признавался:

«Каждому лицу, далекому от фанатизма, известно, что в гражданской войне, идущей в Закавказье, погибает 99 процентов одной нации. Сказанное мной полностью подтверждают Иреванская губерния, Ленкоранский уезд, Кубинский, Шемахинский регионы».³⁶

В дальнейшем, в статьях «С каким лозунгом мы идем на Кавказ» и «Взгляд на завоевание Кавказа», написанных в феврале 1919 года, Н. Нариманов отмечал:

«Дашнаки под большевистскими лозунгами угнетали азербайджанское население. В такой ситуации советское правительство приняло решение начать гражданскую войну на Кавказе. Под названием гражданской войны в Баку были совершены кровавые события. Советская власть в Баку являлась инструментом в руках у дашнаков. В такой ситуации азербайджанцы отвернулись от советской власти. Армянские отряды зверски убивали азербайджанцев, не обращая внимания на их политическую принадлежность».³⁷

Из документов следственной комиссии, созданной впоследствии Азербайджанской Демократической Республикой, расследовавшей мартовские и сентябрьские события 1918 года, становится ясно, что армяне в Баку в массовом порядке убивали азербайджанцев без различия их политической принадлежности. Так, азербайджанский историк Р. Исмаилов, являвшийся свидетелем мартовского события, писал:

«Дело дошло до того, что дашнаки, говоря, что «мы не знаем ни большевиков, ни социалистов, ты мусульманин, и этого достаточно», убивали даже социалистов-мусульман...».³⁸

Мирза Бала Мамедзаде, являвшийся одним из видных деятелей национального движения Азербайджана, писал, что во время мартовской резни в Баку погибли 14 тысяч безоружных и невинных тюрков.³⁹

34 Письмо М.Расулзаде министру иностранных дел Мамед Хасан бей Эфенди. 19.07.1918. № 11. – ГААР, ф.894, оп.10, д. 31, л. 2.

35 Попов А. Из истории революции в Восточном Закавказье 1917-1918 гг. – Журн. “Пролетарская революция”, 1924, №11(34), с. 153-161.

36 Нариманов Н. Избранные произведения. Т. 2. 1918-1921. Баку, 1989, с. 151.

37 Там же, с. 176-196.

38 İsmayılov R. Azərbaycan tarixi. Bakı, 1993, с. 134.

39 Məmmədzadə M. Milli Azərbaycan hərəkəti. Bakı, 1992, с. 92.

Интересным был взгляд И. Сталина на мартовские события. Впоследствии его комментировал М. Э. Расулзаде. И. Сталин, встретившийся с М. Э. Расулзаде в Баку после оккупации Азербайджана большевиками, сказал:

«Да, вы правы, мы не должны были в 1918 году отправить сюда Шаумяна».⁴⁰

19-го октября 1918 года дипломатический представитель Азербайджанской Республики при правительстве Грузии М. Джафаров в своем письме №2319 сообщал в связи с этим поверенному в делах Армянской Республики при правительстве Грузии:

«Армянские вооруженные отряды под именем большевиков в массовом порядке вырезали мирное население в Баку и Шемахе. По официальным подсчетам, только в Баку было убито более 10 тысяч мусульман, в Иреванской губернии армянские вооруженные отряды разрушили более 200 селений».⁴¹

А армянские общественные и религиозные деятели представляли мартовские события в выгодном для себя свете. По их мнению, якобы, армяне не участвовали в мартовских событиях. Неучастие в этих событиях армяне объясняли своей малочисленностью в Бакинской губернии. Впоследствии почетный председатель Армянского Национального Совета, Бакинский Епархиальный начальник Баграт отмечал в своем письме генералу В. М. Томсону от 10/23-го ноября 1918 года:

«В марте-месяце в Баку произошла вооруженная борьба за власть. В этой борьбе были убиты менее 2-х тысяч мусульман, до 1200 русских и армян».⁴²

В докладе, написанном американскому представительству, Баграт представлял мартовские события как дело османских политических деятелей, желавших захватить Кавказ и мусульманские области Востока, как создание партией Мусават благоприятной ситуации для вмешательства Османского государства с тыла, вооружение азербайджанцев, взятие ими 1500 оружий, 70-ти пулеметов, более 20-ти пушек и припасов у русских, двигавшихся по железной дороге.

Министерство Иностранных Дел Армении отмечало в своем письме, отправленном американской миссии в Баку, что в марте в Баку произошла вооруженная борьба за власть между большевистской властью и Азербайджанским Национальным Советом. Якобы азербайджанцы захватили до 1500 орудий, 70 пулеметов, более 20-ти пушек. Он писал, что в двухдневном сражении погибло 300 русских и армян и 700 азербайджанцев. Далее отмечалось:

«По преувеличенным цифрам, было убито до 1200 русских и армян, до 2000 мусульман».⁴³

Как видно, цифры, представленные Багратам и Министерством Иностранных Дел

40 Rəsulzadə M.Ə. Stalinlə ixtilal xətirələri. Bakı, 1991, s. 26-27.

41 Дипломатический представитель Азербайджанской Республики при правительстве Грузинской Республики М. Ю.Джафаров – поверенному в делах Армянской Республики при правительстве Грузии. 19.10.1918. № 2319. – АПДУДПАР, ф. 276, оп. 9, д. 42, л. 5-7.

42 Почетный председатель Бакинского Армянского Национального Совета, Бакинский Епархиальный начальник Баграт – командующему союзными войсками Бакинского района генерал-майору В.М.Томсону. 10/23.11.1918. – АПДУДПАР, ф. 276, оп. 9, д. 3, л. 71-81.

43 МИД Армении – главе американской миссии в Баку. – АПДУДПАР, ф. 276, оп. 9, д. 3, л. 21-26.

Армении были одинаковыми. Но были и деятели, говорившие об участии армян в этой резне. Так, Ов. Качазнуни, признававший связь дашнаков с большевиками во время этих событий, писал:

«Армянская Революционная Партия Дашнакцутюн в Баку, опасаясь татарского господства, имела довольно тесную связь с местными большевиками и даже способствовала им... С точки зрения безопасности армянского населения Баку, диктатура большевиков была значительно приемлемее, чем диктатура Мусавата... В Баку мы находились под влиянием большевиков. При нашем содействии в Баку большевики разгромили Мусават (в марте 1918 г.), а мы, при содействии большевиков и русского элемента, сумели защитить Баку от турко-татарского нападения».⁴⁴

Необходимо отметить, что дашнаки с самого начала периода возникновения Бакинской коммуны, с одной стороны, обещали большевикам помощь, а с другой стороны, вели секретные переговоры о борьбе против большевиков и захвате власти.⁴⁵ Наряду с этим, они поддерживали тайные связи и с английским командованием в Персии. Впоследствии А. Микоян в своей статье «О партии Дашнакцутюн», опубликованной 18-го мая 1918 года, объяснял объединение враждовавших между собой рабочих, капиталистов, собственников и даже духовенства вокруг Дашнакцутюн независимо от их политической принадлежности и социального положения и их мирное сосуществование как результат отсталости армянского народа.⁴⁶

В результате геноцида, часть азербайджанского населения, выжившего во время мартовской резни, превратилась в беженцев, национальные силы в Баку ослабели и объявление государственной независимости Азербайджана замедлилось.

Резня не ограничилась только городом Баку. Подобные события были совершены в Шемахе, Губе, Хачмазе, Ленкаране, Гаджигабуле и Сальяне. Карательными отрядами, отправленными С. Шаумяном с особыми поручениями, командовали Т. Амиров, С. Лалаев и Амазасп, и др. Больше всех от дашнакских грабежей пострадал Шемахинский уезд. Здесь было разрушено 72 селения.

В Губинском уезде были убиты 2 тысячи человек. Их имущество было разорено и сожжено. Люди Амазаспа украли из города Губы 4 миллиона рублей денег, золото, алмазы и другие ценные вещи. Они полностью разрушили 122 селения Губинского уезда. В этих селениях было убито 60 мужчин, женщин и детей, 53 мужчины были ранены.⁴⁷

Согласно английским источникам, в мае 1918 года армяне полностью разрушили на Восточном Кавказе 250 азербайджанских селений.⁴⁸ Население было убито или превращено в беженцев.

44 Качазнуни Ов. Дашнакцутюн больше нечего делать. Тифлис, 1927, с. 20-21.

45 Контрреволюционная роль партии Дашнакцутюн. – АСГБАР, Л-164, л.172.

46 Микоян А. О партии Дашнакцутюн. – Известия Совета Рабочих, Солдатских и Матросских Депутатов, 18.05.1918. № 92 (314); АПДУДПАР, Л-164, л. 296.

47 Доклад члена Чрезвычайной Следственной Комиссии Новацкого председателю той же комиссии о разгроме гор. Кубы и селений Кубинского уезда и насилиях, совершенных над жителями упомянутого города и селений. – ГААР, ф.1061, оп.1, д.95, л. 5-8.

48 FO to Derby in Paris, 27.7.1918. – FO 371/3301.

В связи с этим на заседании азербайджанской фракции Сейма, проведенном 10-го апреля, М. Э. Расулзаде говорил:

«В Иреванской губернии систематически убивают мусульман и уже имеется 80 тысяч беженцев».⁴⁹

Возникла ужасная ситуация. 15-го апреля на заседании азербайджанской фракции Сейма были озвучены мнения о полном разрушении азербайджанских селений армянскими отрядами, о построении раздетых женщин по обочинам дорог, по которым проходили армянские банды, жестоком убийстве младенцев. Было сказано о разрушении в Карсской области около 82-х мусульманских селений отрядами капитана Мовсеяна и генерала Арешева. В действительности, эта цифра была больше.⁵⁰

Хотя азербайджанская фракция в Сейме и потребовала пресечь резню против азербайджанцев, армяне отказались от этого. И это обострило отношения в Сейме.

На заседании Транскавказской мирной делегации, проведенном 27-го мая в Батуме под председательством А. И. Чхенкели (участники: Н. Я. Николадзе, М. Г. Гаджинский, Р. И. Качазуни, М. Э. Расулзаде, А. И. Хатисов, В. И. Гоздава-Соколовский), был зачитан ультиматум турецкой стороны. В ультиматуме говорилось о том, что в Баку и его окрестностях бандиты под именем революционеров пролили кровь сотен тысяч турков и мусульман, что подобную судьбу проживает тюркское и мусульманское население и в других частях Кавказа, и что османское правительство не хочет допустить анархию на Кавказе.⁵¹

Обострились межнациональные отношения и внутри Сейма. Главной причиной напряженности были отношения между тремя народами. Эти народы уже не могли жить вместе. Они стремились к созданию своих независимых государств. С целью защиты притязаний армян, азербайджанцы возлагали свои надежды на Османское государство. Армяне, желавшие создать несуществовавшую ни в какой период истории «Великую Армению» на территории от Черного моря до Средиземного моря, надеялись на страны Антанты. Южный Кавказ находился в преддверии создания новых государств.⁵²

49 Протокол совместного заседания всех мусульманских сеймовых фракций. 10.04.1918. – ГААР, ф. 970, оп.1, д. 1, л. 26-27.

50 Протокол совместного заседания всех мусульманских сеймовых фракций. 15.04.1918. – ГААР, ф. 970, оп.1, д. 1, л. 28-29.

51 Журнал заседания Закавказской мирной делегации. Батум. 27.05.1918. №9. – ГААР, ф.1864, оп.1, д. 34, л.1-4.

52 Из доклада зав. информационного отдела Азербайджанского комиссариата отдела внешних сношений А. Шепотева о взаимоотношениях закавказских республик с Россией и Турцией, о роли стран Антанты и Германии в истории отношений республик Закавказья с Россией и Турцией. 04.11.1920. – РГАСПИ, ф. 670, оп. 1, д. 51, л. 3-5.

Ethnopolitical Situation the South Caucasus alter the October Revolution in Russia

Summary

The presented article examines ethno-political processes taking place in the South Caucasus following the Bolsheviks' rule in Russia in October 1917, based on archival materials and authoritative documentaries from Azerbaijan, Russia, the UK and Georgia. It is shown that after the Bolsheviks overthrew the Provisional Government in Petrograd, the Soviet government was established in Baku shortly after. The Baku Soviet carried out anti-Azerbaijani policy. The slogans of the Bolsheviks for the self-determination of nations fueled the national feelings of the peoples. Under such circumstances, national parties were more influential in the South Caucasus. National feelings were so powerful that even socialist parties were nationalistic.

The domination of the Bolsheviks in Baku would have led to the control of the whole South Caucasus. Therefore, representatives of US, UK and France in Tbilisi created the Transcaucasian Commissioner consisting of Azerbaijani, Georgian and Armenian figures. Thus, after the February Revolution, there were three powers in the South Caucasus - the Provisional Government, the Soviets and the National Councils, but after the October Revolution the Provisional Government were overthrown, only the Soviets and the National Councils stayed. If the Soviets tried to protect the integrity of Russia under the Communist ideology, National Soviets first demanded autonomy and then independence. The indigenous peoples would link their future with the National Councils.

Russia's Caucasus Front collapsed after Russia declared its withdrawal from the war and signed a peace treaty with Germany and its allies. The enemies have expanded their activities to occupy the South Caucasus, in particular, to capture Azerbaijan oil. Returning with the Russian army, the Armenian armed groups who committed massacres against civilians in Eastern Anatolia, have begun mass slaughters in different parts of the South Caucasus. Anarchy and bloody events dominated the region. The Transcaucasian Commissioner could not prevent massacres and solve national conflicts. This further aggravated bloody incidents. In such circumstances, each of the peoples living in the region was thinking about building their own destiny.

The abovementioned issues and the territorial claims, bloody conflicts, invasions and other problems among the peoples living in the region in the current complex socio-political and military environment are investigated on the basis of the most prominent archive sources and documentary materials.

**საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანკარის საქაროს
საქმიანობის ასახვა თურქული პრესის ფურცლებზე
(07.02 – 31.03.1921)¹**

ანკარის მთავრობასა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებას საფუძველი 1920 წლის შემოდგომაზე ჩაეყარა, როდესაც პოლკოვნიკი კიაზიმ დირიქი 1920 წლის 23 ოქტომბერს საქართველოში თურქეთის დიდი ეროვნული კრების მთავრობის უფლებამოსილ წარმომადგენლად დაინიშნა.² იგი საქართველოში 13 ნოემბერს ჩამოვიდა და საქართველოს მთავრობის წევრებს შეხვდა. აღსანიშნავია, რომ მას საქართველოში კარგად შეხვდნენ. რაც აისახა კიდევ თანადროულ ქართულ პრესაში.³ ამავე წელს, დეკემბრის შუა რიცხვებში მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდა ანკარის მთავრობის ელჩი საბჭოთა რუსეთში ბეჟირ სამი ბეი. მან მოლაპარაკებები გამართა აკაკი ჩხენკელსა და ნოე რამიშვილითან,⁴ სადაც, ანკარაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლობის გახსნის საკითხი გადაწყდა.⁵

1920 წლის 27 დეკემბერს საქართველოს წარმომადგენლობა ანკარაში გასამგზავრებლად თბილისიდან ბათუმისაკენ დაიძრა. დელეგაციის ხელმძღვანელობდა პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე სიმონ მდივანი. წევრები იყვნენ – სამხედრო მრჩეველი, გენერალი ერისთავი, მისიის საქმეთა მწარმოებელი – არისტო ჭუმბაძე, ატაშე მელიტონ (ოსმან ბეი) ქარცივაძე, ზია ბეი აბაშიძე,⁶

1 სტატია წარმოადგენს 2019 წლის 22 თებერვალს გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილ მეექვსე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე ნაკითხული მოხსენების ვრცელ და გადამუშავებულ ვერსიას; ტრანსლიტირებული საგაზეთო მასალების მოწოდებისთვის ავტორი მადლობას უხდის პროფესორ სერფილ სურმელის, რომელსაც ამ მასალის გარკვეული ნაწილი გამოყენებული აქვს თავის მონოგრაფიაში: Sürmeli S., Türk-Gürcü İlişkileri (1918-1921), Atatürk Araştırma Merkezi yayınları, Ankara, 2001, p. 616-623.

2 Dayı S. Esin, (Derinsu), Elviye-i Selase'de (Kars, Ardahan, Batum) Milli Teşkilatlanma, Kültür ve Eğitim Vakfı Yayınları, Erzurum, 1997, s. 265.

3 Kavrelişvili R., Gürcü Basınında Türkiye (1866-1939), Bilge Kültür Sanat Yayınevi, İstanbul 2022, s.159-168.

4 ჯანელიძე ო., საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ნარკვევები, თბ., 2018, გვ. 320.

5 სვანიძე მ., დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება საქართველოსა და ქემალის მთავრობებს შორის, ქართული დიპლომატია (წელინდეული), 7, თბ., 2000, გვ. 149.

6 სავარაუდოდ, ზია ბეი აბაშიძე, რომელსაც თარჯიმნის მოვალეობა უნდა შეესრულებინა, აღარ ჩასულა ანკარაში. სიმონ მდივანი ორჯერ, წერილობით ითხოვს სტამბოლში საქართველოს კონსულ გოგოლიშვილისგან პიროვნებას, რომელსაც გამართულად შეეძლებოდა ფრანგულ და თურქულ ენებზე საუბარი. იგი აქვე მიუთითებს, რომ საქართველოს წარმომადგენლობის სიაში ჩართული იყო ასეთი პიროვნება ზია ბეი აბაშიძის სახით. მაგრამ, ანკარის მთავრობისთვის თურქეთის ტერიტორიაზე ზია ბეის ჩასვლა მიუღებელი აღმოჩნდა. სიმონ მდივანის გოგოლიშვილისადმი ზია ბეის საკითხთან დაკავშირებით მიწერილი პირველი წერილი უთარილოა. მეორე წერილი თარიღდება 1921 წლის 24 თებერვლით (იხ. საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 2118, სიმონ მდივანის პირადი არქივი, საქ. № 10; 35).

ორი ოფიცერი დავალებისთვის – ემუხვარი და ლეიტენანტი დიმიტრი შალიკაშვილი, ორი ჯარისკაცი შიკრიკად.⁷

ანკარაში საქართველოს წარმომადგენლობის დელეგაცია 31 იანვარს საღამოს 19 საათზე ჩავიდა.⁸ იგი დაბინავდა ადგილობრივი მთავრობის მიერ მათთვის ქალაქის გარეუბანში, ჯებეჯიში, რკინიგზის სადგურის მიმდებარედ, სამხედრო საავადმყოფოს მახლობლად გამოყოფილ კერძო სახლში, რომელიც მისიის თურქეთში საქმიანობის მოკლე პერიოდში საელჩოს ფუნქციას ასრულებდა.⁹

8 თებერვალს ს. მდივანი მუსტაფა ქემალ ფაშას შეხვდა და რწმუნებათა სიგელი გადასცა. ამგვარად, ანკარის მთავრობამ ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა დე-იურედ და მასთან დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარა.¹⁰

აღსანიშნავია, რომ საქართველოს წარმომადგენლობა ანკარაში საკმაოდ აქტიურად თანამშრომლობდა ადგილობრივ პრესასთან. საარქივო მასალიდანაც ჩანს, რომ ეს აქტიურობა რამდენიმე მიზანს ემსახურებოდა. ერთი იყო აეხსნა და ეცნობებინა თანადროული თურქული საზოგადოებისთვის ანკარაში ჩამოსვლის მიზეზი და მიზნები. ხოლო მეორე, საქართველოს წინააღმდეგ ბოლშევიკური აგრესიის დროს ანატოლიის სააგენტოს საშუალებით ევროპელი კორესპონდენტებისთვის ეცნობებინა ბოლშევიკთა დესტრუქციული ქმედებების შესახებ. აღნიშნულის დასტურია სიმონ მდივნის მიერ 1921 წლის 3 მარტს ანატოლიის სააგენტოს სახელზე გაგზავნილი წერილი.¹¹ საქართველოს წარმომადგენლობის საქმიანობით დაინტერესებული იყო ადგილობრივი ყოველკვირეული გაზეთ „კომერციას“ რედაქციაც. სწორედ ამ გაზეთის რედაქტორს გამოუგზავნია წარმომადგენლობისთვის გაზეთის ორი ეგზემპლარი, მათგან ერთი იყო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელზე.¹² ბუნებრივია, საქართველოს წარმომადგენლობა ანკარაში მხოლოდ ადგილობრივ პრესასთან თანამშრომლობით ვერ შემოიფარგლებოდა, რადგან მისი საქმიანობით დაინტერესებული იყვნენ სხვა ქვეყნების სააგენტოებიც.¹³

როგორც ჩვენს ხელთ არსებული მასალიდან ირკვევა, სხვა, ადგილობრივ გაზეთებთან შედარებით, საქართველოს წარმომადგენლობის მიმართ უფრო მეტი ყურადღება გაზეთ „ჰაქიმეთი მილლიეს“ რედაქციას გამოუჩენია.¹⁴ საინტერე-

7 დიმიტრი შალიკაშვილის თურქული დღიურები (საქართველოს წარმომადგენლობა თურქეთში 27 დეკემბერი 1920 – 20 მარტი 1921), ქართულ და თურქულ ენებზე, ქართულიდან თარგმნა და გამოსაცემად მოამზადა როინ ყავრელიშვილმა, KTÜ Karadeniz Araştırmaları Enstitüsü yayınları, Trabzon, 2013, გვ. 87.

8 იქვე, გვ. 110.

9 ჯანჯღავა გ., ანკარაში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის გახსნის 100 წლისთავი, ჟურნალი „ისტორიანი“, №2(119), აპრილი, თბ., 2012, გვ. 31.

10 სვანიძე მ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 153.

11 საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 2118, საქმე №10.

12 საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 2118, საქმე №10.

13 ჯანჯღავა გ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 31.

14 Hâkimiyet-i Milliye, თურქულენოვანი გაზეთი, მისი გამოცემა დაიწყო ანკარაში 1920 წლის 10 იანვარს, როგორც „ანატოლიის და რუმელიის თავდაცვის საზოგადოების წარმომადგენლობითი კომიტეტის“ საგამომცემლო ორგანომ, რომლის თავმჯდომარე თურქეთის ეროვ-

სოა ხსენებული გაზეთის კორესპონდენტის მიერ სვიმონ მდივანისგან 1921 წლის 7 თებერვალს აღებული ინტერვიუ. საელჩოს შენობაში მისული კორესპონდენტი შემდეგნაირად აღწერს საელჩოს წევრთა სამუშაო ოთახებს და მათ ხასიათს:

„ისინი მუშაობდნენ დიდ დარბაზში, რომელიც სამხედრო ოფიცრებისთვის განკუთვნილ უპრეტენზიო დარბაზებს ჰგავდა. ის და მისი დელეგაცია ცერემონიულად გამოიყურებოდა, თითქოს ჯერ კიდევ გუშინ გამოვიდნენ არისტოკრატიული სასახლეებიდან. ახალგაზრდა ოფიცერმა მიმიყვანა დიდ შაჰ-ნიშიში,¹⁵ რომელიც გადაჰყურებს ანკარას შიშველ და თოვლიან ბორცვებს. ანატოლიურ ფარდაგებზე ორი უბრალო სავარძელი იყო. მისი აღმატებულება ელჩი სარკასტული და არაცერემონიული ლიმილით მოვიდა და მითხრა, რომ ჩემს კითხვებზე პასუხები ძალიან მოკლე იქნებოდა და ამის გამო მოიბოდიშა“.¹⁶

ჩანს, რომ კორესპონდენტსა და მდივანს შორის ნამდვილად არ ყოფილა ხანგრძლივი საუბარი. კორესპონდენტი პირველი შეკითხვით, ანატოლიაში სტუმრობის შემდეგ მდივანის შთაბეჭდილებებით ინტერესდება, რაზეც მდივანი მოკლე პასუხს აძლევს და თურქებისადმი საკუთარ პოზიტიურ განწყობას გამოხატავს.

„თურქები ჩვენთვის უცხონი არ არიან და განსაკუთრებით, თურქეთი არის ქვეყანა, რომელიც ადრიდანვე გვიყვარს, როგორც მეზობელი. ჩვენ, [თურქეთის] ყველა კუთხეში დიდი კეთილგანწყობით და პოზიტიურად დაგვხვდნენ. თურქების მიმართ ჩვენი გრძნობა თურქების სიდიადეს შეესაბამება“.

აქვე, კორესპონდენტი ს. მდივანს ანატოლიის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზე აზრს ეკითხება. პასუხისას, მდივანი აქცენტს აკეთებს ანატოლიის ბუნებრივ მდებარეობასა და სიმდიდრეზე. მისივე თქმით, როდესაც მთელი მსოფლიო შიმშილობს, ანატოლიაში ეს არ იგრძნობა. „ხოლო, ეკონომიკური სიძლიერე თურქეთის გამარჯვების სანინდარი გახდება“, – განაცხადა მდივანმა. საქართველოს მდგომარეობასთან დაკავშირებით კორესპონდენტის კითხვაზე სიმონ მდივანის პასუხი მეტად მოკლეა. მდივანი ლაკონურად მიმოიხილავს ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ მოპოვებულ დამოუკიდებლობას და იმ რთულ გზას, რაც საქართველომ გამოიარა: „დამოუკიდებლობის შენარჩუნებას დასჭირდება ხანგრძლივი შრომა, დაცვა და შენარჩუნება. ამისათვის საქართველოში არსებობს სათანადო მონდომება ...რაც შეეხება ქვეყნის სიმდიდრეს, იგი არ არის ანატოლიასავით მდიდარი“, – აღნიშნავს მდივანი.¹⁷

გაზეთის კორესპონდენტს, ასევე, გამოუხატავს ინტერესი ქართულ-რუსულ და სხვა სახელმწიფოებთან საქართველოს ურთიერთობებთან დაკავშირებით. სიმონ მდივანის პასუხი არის როგორც კონკრეტული, ასევე ზოგადი ხასიათის: „რუსებმა დაადასტურეს ჩვენი დამოუკიდებლობა, გუშინ მიღებული დეკრეტით შევიტყე, რომ ჩვენი მთავრობა დაამტკიცა ქვეყნის პარლამენტმა. ჩვენ ვართ დემოკრატიული რესპუბლიკა. ჩვენ შორის არიან ბოლშევიკები, მაგრამ ჩვენი

ნულ- განმათავისუფლებელი ბრძოლის დროს მუსტაფა ქემალ ფაშა იყო.

15 ქუჩის მხარეს შეჭრილი ოთახის ნაწილი.

16 *Hakimiyet-i Milliye, 7 Şubat* (თებერვალი) 1337/1921, № 102, (*Gürcistan Sefiri ile Mülakat*/ინტერვიუ საქართველოს ელჩთან).

17 *Hakimiyet-i Milliye, 7 Şubat* (თებერვალი) 1337/1921, № 102, (*Gürcistan Sefiri ile Mülakat*/ინტერვიუ საქართველოს ელჩთან).

პრინციპია სოციალიზმი, ამ პრინციპის ფარგლებშია მოქცეული ჩვენი ურთიერთობა სხვა სახელმწიფოებთან“.¹⁸

რაც შეეხება საქართველოსა და თურქეთს შორის სამშვიდობო საკითხებს, მდივანი კორესპონდენტს პასუხობს, რომ ის სპეციალურად ჩამოვიდა ამ საკითხის მოსაგვარებლად და განსახილველად. ხოლო მიზანი, თურქებთან კარგი ურთიერთობა, სამართლიანობის მაქსიმალურად დაცვა და მოკავშირეობაც კი, რომელიც ფაქტობრივად, ორივე მხარის ინტერესებში იყო. მდივანი აქვე აღნიშნავს, რომ ნუხდა, რადგან ამ საკითხთან დაკავშირებით ჯერჯერობით ბევრს ვერაფერს იტყოდა.¹⁹

კორესპონდენტის თქმით, ინტერვიუს დასრულების შემდეგ, როდესაც იგი გასვლას აპირებდა, მდივანს მისთვის უცნობებია ადგილობრივ პრესაში საქართველოს წარმომადგენლობის წევრთა სახელების და გვარების არასწორად მითითების ფაქტი და მისგან, ამ გაზეთში, ზემოაღნიშნული შეცდომების ჩასწორება უთხოვია. როგორც ჩანს, წარმომადგენლობის წევრთა ნაწილის სახელები, უფრო კი გვარები იყო შეცდომით დაწერილი. რადგან, მდივანს საკუთარი სახელის და გვარის გარდა ჩასასწორებლად მიუცია ერისთავის, ჭუმბაძის, შალიკაშვილის, ემხვარის, ქარცივაძის (სახელი: ოსმან ბეი, ჩანს სწორად ჰქონიათ მითითებული), ორი სამხედროს სახელი და გვარი. რაც შეეხება ზემოაღნიშნულ პიროვნებათა თანამდებობებს, ისინი სწორადაა მითითებული.²⁰

კორესპონდენტი დასძენს, რომ მდივანმა მას გადასცა დეპეშის ტექსტი, რომელიც მიღებული ჰქონდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელ საბახტარიშვილისგან.²¹ დეპეშაში აღნიშნულია: „მოხარული ვარ გაცნობოთ, რომ 1921 წლის 17 იანვარს პარლამენტმა დაამტკიცა ჩვენი მთავრობა. გილოცავთ რა ჩვენი ისტორიული დამოუკიდებლობის ამ ბედნიერ დღეს, ვიმედოვნებ, რომ თქვენ იმოქმედებთ ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობისა და მომავალი ბედნიერებისთვის“.²²

ამავე გაზეთის შემდეგ ნომერში არის ინფორმაცია სიმონ მდივნის მუსტაფა ქემალ ფაშასთან აუდიენციის შესახებ. აღნიშნულია, რომ მის აღმატებულება საქართველოს ელჩს, მდივანს, რომელიც ეროვნულ მთავრობასა²³ და საქართველოს შორის სამშვიდობო მოლაპარაკებების დაწყების მიზნით ახლახან ჩავიდა ანკარაში, დღეს მთავრობის სახლში მისი აღმატებულება მუსტაფა ქემალ ფაშა მიიღებდა.²⁴

18 იქვე; Sürmeli S., Türk-Gürcü İlişkileri (1918-1921), Atatürk Araştırma Merkezi yayınları, Ankara, 2001, გვ. 619 (ავტორი იმონმებს გაზეთის Yeni Gün (იენუ გუნ) 1921 წლის 8 თებერვლის ნომერს (№527-147), სადაც აღნიშნულია, რომ ს. მდივანმა ზემოთხსენებული დეპეშა ანკარის მთავრობის საგარეო საქმეთა სამინისტროს გაუგზავნა.

19 Hakimiyet-i Milliye, 7 Şubat (თებერვალი) 1337/1921, № 102.

20 Hakimiyet-i Milliye, 7 Şubat 1337/1921, № 102.

21 არასწორადაა მითითებული საბახტარიშვილის სახელიც, იგი იკითხება, როგორც დარასინივილ.

22 Hakimiyet-i Milliye, 7 Şubat (თებერვალი) 1337/1921, № 102, (Gürcistan Sefiri ile Mülakat/ინტერვიუ საქართველოს ელჩთან).

23 იგულისხმება თურქეთის დიდი ეროვნული კრების მთავრობა.

24 Hakimiyet-i Milliye, 8 Şubat (თებერვალი) 1337/1921, № 103, (Türk-Gürcü Sulhu/ თურქულ - ქართული მშვიდობა).

„ჰაკიმეთი მილიეს“ ყურადღების ცენტრში კვლავ რჩება მუსტაფა ქემალ ფაშასთან საქართველოს წარმომადგენლობის შეხვედრის თემა, რომელსაც გაზეთმა 9 თებერვლის ნომერში საკმაოდ ვრცელი ადგილი დაუთმო. სანამ მკითხველს უშუალოდ აუდიენციის საკითხების შესახებ ინფორმაციას მიაწვდიდა, რედაქციას გაკეთებული აქვს მოკლე შესავალი. იგი მიანიშნებს წინა დღის ნომერში გასულ ინფორმაციაზე და ადასტურებს საქართველოს წარმომადგენლობის დელეგაციის მთავრობის სახლში დიდი ეროვნული კრების თავმჯდომარის მუსტაფა ქემალ ფაშას მიერ მიღებას.²⁵

საგაზეთო სტატიის ალწერილია საქართველოს წარმომადგენლობის ქემალ ფაშასთან ვიზიტის დეტალები. მთავრობის სახლამდე დელეგაციის მისვლასთან დაკავშირებით ნათქვამია:

„ორის ნახევარზე საელჩოს დელეგაციამ საავადმყოფოს მიმდებარედ არსებული საელჩოს შენობა სამი მანქანით დატოვა. პირველ მანქანაში მისი აღმატებული ელჩი მდივანი და საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკურ საქმეთა დირექტორი ჰიქმეთ ბეი იმყოფებოდნენ, მეორე მანქანაში სამხედრო მრჩეველი გენერალური ერისთავი და ადიუტანტი მუზაფერ ბეი, ხოლო მესამე მანქანაში. საქმეთა მწარმოებელი ჭუმბაძე და ორი ბადრაგის ოფიცერი. დელეგაცია მთავრობის წევრებს შეუერთდა²⁶ და სამის ათ წუთზე დიდი ეროვნული კრების თავმჯდომარემ მიიღო“.²⁷

მუსტაფა ქემალ ფაშასთან

საგაზეთო სტატიის ამ ნაწილში ალწერილია სიმონ მდივნის მუსტაფა ქემალ ფაშასთან შეხვედრის დეტალები, რაც მნიშვნელოვანია აუდიენციისას წინა პლანზე წამოყენებული საერთო ინტერესების მქონე საკითხების, ასევე, ორივე მხარის ურთიერთდამოკიდებულების თვალსაზრისით. გაზეთის თანახმად, მუსტაფა ქემალ ფაშა, ქართველი ელჩი და მისი გარემოცვა გულთბილად მიესალმნენ ერთმანეთს. ელჩმა რწმუნების სიგელი გადასცა მუსტაფა ქემალ ფაშას (გაზეთში უცვლელადაა დაბეჭდილი სიგელის ტექსტი),²⁸ რის შემდეგაც, ელჩმა და მუსტაფა ქემალ ფაშამ სიტყვები წარმოთქვეს.²⁹

ქართველი ელჩმა განაცხადა, რომ იგი ჩამოვიდა, როგორც გულთბილი და გულწრფელი დიპლომატი. მუსტაფა ქემალ ფაშას აღფრთოვანება გამოუხატავს მისი ასეთი უბრალოებისა და გულწრფელობის გამო. ქართველმა ელჩმა თავისუფლება და დამოუკიდებლობაზე შეყვარებული ქართველი ერის სახელით მიულოცა თურქ ერს, რომელიც, ასევე, სიყვარულით იცავდა თავის თავისუფლებას

25 Hâkimiyet-i Milliye, 9 Şubat (თებერვალი) 1337/1921, № 104, (Gürcistan Heyeti'nin Kabulü/საქართველოს დელეგაციის მიღება).

26 როგორც ჩანს, საქართველოს წარმომადგენლობის დელეგაციას ქემალ ფაშასთან აუდიენციამდე ანკარის მთავრობის წევრები დახვდნენ.

27 Hâkimiyet-i Milliye, 9 Şubat (თებერვალი) 1337/1921, № 104, (Gürcistan Sefiri Simon Mdivani'nin Nutku ile Mustafa Kemal Paşa'nın Nutku/საქართველოს ელჩის სიმონ მდივნის და მუსტაფა ქემალ ფაშას მისასალმებელი სიტყვები).

28 ყოველი შემთხვევისთვის, ასე აქვს მითითებული გაზეთის რედაქციას.

29 სიმონ მდივანი იყო პირველი უცხოელი ელჩი, რომელმაც თურქეთის დიდი ეროვნული კრების მთავრობის თავმჯდომარეს, მუსტაფა ქემალ ფაშას რწმუნებათა სიგელები გადასცა (იხ. Bayur, Y., Türkiye Devleti'nin Dış Siyaseti, Milli Mecmua Basimevi, İstanbul, 1938, s. 69).

და დამოუკიდებლობას. მან აქვე დასძინა, რომ სამართლიანობა და სიმართლე თურქების მხარეზე იყო და საბოლოო გამარჯვება აუცილებლად მათ დარჩებოდათ. ასევე, მიუთითა თურქი ერის მიერ მიცემულ მაგალითზე, რომელიც მან საკუთარი დამოუკიდებლობის დაცვის თვალსაზრისით ყველა სხვა ერს აჩვენა. პასუხად მუსტაფა ქემალ ფაშამ აღნიშნა: თურქეთის ხალხი გამოირჩეოდა განსაკუთრებული სიყვარულით საკუთარი დამოუკიდებლობისადმი და დღევანდელი ბრძოლა მიმართული იყო თურქეთის სრული დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად. ქემალ ფაშასვე თქმით, [თურქეთის] აღმოსავლეთი საზღვრების უსაფრთხოება მათთვის მნიშვნელოვანი საკითხი იყო. ხოლო, ქართველი ერი წარმოადგენდა მნიშვნელოვან ფაქტორს აღმოსავლეთში ვითარების განსაზღვრაში, რადგან მას ეს მისია დააკისრა გეოგრაფიულმა მდებარეობამ და ისტორიამ.

კორესპონდენტის მიხედვით „ასეთ გულწრფელ ატმოსფეროში ხანმოკლე საუბრის შემდეგ, მისმა აღმატებულებამ ელჩმა განაცხადა, რომ ძალიან ბედნიერია მისი უდიდებულესობა ფაშასა და მის იდეებს შორის აზრებისა და გრძნობების თანხვედრით და რომ ეს დღე ბედნიერ მოგონებად დარჩება მის ცხოვრებაში. ხოლო, მისმა აღმატებულებამ მუსტაფა ქემალ ფაშამ განაცხადა, რომ უაღრესად კმაყოფილი დარჩა საუბრით და მადლობა გადაუხადა ელჩს იმ განცხადების გამო, რომ ის მხოლოდ დიპლომატის ჩვევებით არ შემოიფარგლებოდა“.

ელჩთან საუბრის შემდეგ მუსტაფა ქემალ ფაშამ გენერალს³⁰ მიმართა და განაცხადა, რომ მას პატივი აქვს მიესალმოს ქართულ არმიას, რომელიც განსაკუთრებულ ძალისხმევას იჩენს [საკუთარი] ერის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში, რაც თვალნათლივ ჩანს. პასუხად, გენერალმა მადლიერება გამოხატა.³¹

აუდიენციის შემდეგ საელჩოს დელეგაცია გამცილებლების თანხლებით უკან დაბრუნდა. აუდიენციას საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკურ საქმეთა გენერალური დირექტორი ჰიქმეთ ბეი³² ესწრებოდა.³³

გაზეთის ამავე ნომერში გამოქვეყნებულია რწმუნებათა სიგელის გადაცემის დროს სიმონ მდივნისა და მუსტაფა ქემალ ფაშას მიერ წარმოთქმული სიტყვები. საქართველოს ელჩის, მდივნის სიტყვა.

თქვენო აღმატებულებავე, ფაშა!

წარმოგიდგენთ ჩემს რწმუნებათა სიგელს მასზედ, რომ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ დამნიშნა თურქეთის დიდი ეროვნული ასამბლეის წინაშე სრულუფლებიან წარმომადგენლად და ნება მომეცით გადმოგცეთ ის მეგობრული გრძნობები, რასაც გამოხატავს ჩემი მთავრობა ანკარის მთავრობის მიმართ.

30 იგულისხმება ქართველი გენერალი ერისთავი (იხ. შალიკაშვილი დ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 119).

31 Hâkimiyet-i Milliye, 9 Şubat (თებერვალი) 1337/1921, № 104, (Gürcistan Sefiri Simon Mdivani'nin Nutku ile Mustafa Kemal Paşa'nın Nutku/საქართველოს ელჩის სიმონ მდივნის და მუსტაფა ქემალ ფაშას მისასალმებელი სიტყვები).

32 ჰიქმეთ ბეი (Hikmet Bayur), თურქეთის დიდი ეროვნული კრების გახსნის შემდეგ, 1920 წლის 1 ოქტომბერს საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკურ საქმეთა გენერალური დირექტორი გახდა.

33 Hâkimiyet-i Milliye, 9 Şubat (თებერვალი) 1337/1921, № 104, (Gürcistan Sefiri Simon Mdivani'nin Nutku ile Mustafa Kemal Paşa'nın Nutku/საქართველოს ელჩის სიმონ მდივნის და მუსტაფა ქემალ ფაშას მისასალმებელი სიტყვები).

საქართველოს მთავრობა სრულად აფასებს იმას, რომ ანკარის მთავრობა ეწევა იძულებით ბრძოლას ისტორიული სამართლიანობისათვის და მეორეს მხრივ, არ თმობს [საკუთარ] დამოუკიდებლობას. ასევე ის [საქართველოს მთავრობა] სრულიად დარწმუნებულია, რომ ანკარას მთავრობას, რომელიც მზად არის ამ საქმისთვის [დამოუკიდებლობისათვის] უდიდესი მსხვერპლი გაიღოს, ესმის, რამდენად წმინდაა ეროვნული დამოუკიდებლობა მისი მეზობლისთვის, საქართველოს მთავრობისთვის, რომელმაც შეძლო ასწლიანი ტყვეობის შემდეგ კვლავ აღედგინა ფეხქვეშ გათელილი სამართლიანობა.

ეს წუთები გვავალდებულებს დავამყაროთ ისეთი ურთიერთობები საქართველოსა და თურქეთს შორის, დაფუძნებული [განვლილი] ისტორიის გაკვეთილებზე, რომ ორივე ერმა მუდმივად უზრუნველყოს [საკუთარი] არსებობის გარანტია და არც ისე შორეული იმედების შესაბამისად ცხოვრება. თავს უფლებას მივცემ განვაცხადო, რომ მე აქ პოლიტიკის საკეთებლად არ მოვსულვარ, არამედ როგორც პიროვნება, რომელიც ერთგულია თავისი სამშობლოსადმი და ამავე დროს, დიდად აფასებს თავის მეზობელს, თურქ ერს.

მზად ვარ მთელი ძალით ვემსახურო ამ დიდებულ ისტორიულ საქმეს. ერთი წუთითაც არ მაგინყდება, რომ ჩემი მოკრძალებული ძალები არ იქნება საკმარისი ამ მნიშვნელოვანი მოვალეობის შესასრულებლად. თუმცა [მჯერა], რომ დიდი ეროვნული კრება და მისი ჭკვიანური პოლიტიკა მისცემს საშუალებას პრაქტიკაში განხორციელდეს თურქეთსა და საქართველოს შორის მეგობრული ურთიერთობების დამყარების იდეა ეროვნული ძალების გაძლიერებისა და ორივე ქვეყნის განვითარების უზრუნველსაყოფად.

მისი აღმატებულება მუსტაფა ქემალ ფაშას სიტყვა.

თქვენო აღმატებულებავე, ბატონო ელჩო!

მოხარული ვახლავართ, თქვენი კეთილშობილების სახით, მივესალმო ქართველ ერს, რომელთანაც ჩვენ უნდა დავამყაროთ ურთიერთობა გულწრფელობის ნიადაგზე. დიდი სურვილი მაქვს, რომ ეს ნდობა რაც შეიძლება მალე დამყარდეს.

განსაკუთრებულ მადლობას გიხდით ჩვენი ერის თავისუფლად და დამოუკიდებლად ცხოვრების უფლების მოპოვებისთვის განეული ბრძოლის ლეგიტიმურობასა და საბოლოო გამარჯვებასთან დაკავშირებით გამოხატული თქვენი დამოკიდებულების გამო.

თურქეთის დიდი ეროვნული კრების მთავრობამ 1920 წლის 21 ოქტომბრის ნოტაში, რომელიც თქვენი მთავრობის საგარეო საქმეთა სამინისტროს გადასცა, აღნიშნა, რომ დამოუკიდებელი და ძლიერი საქართველოს არსებობა ჩვენს ინტერესებშია. ახლაც ვადასტურებ თურქეთის დიდი ეროვნული ასამბლეის მთავრობის ამ მოსაზრებას. თუმცა დავამატებ, რომ თურქეთს, რომელიც იბრძვის საკუთარი მომავლის თავადვე განსაზღვრის უფლებისთვის, ეს უფლება ბუნებრივად მიაჩნია ყველა ერისთვის და განსაკუთრებით მეზობელი ქართველი ერისთვის.

მინდა ვთხოვო თქვენს კეთილშობილებას, აცნობოთ თქვენს მთავრობას ჩვენი სურვილი ქართველი ერის ბედნიერებასა და განვითარებასთან დაკავშირებით. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი აქ ყოფნა და ის იშვიათი თვისებები, რამაც მოგიყვანათ ასეთი მნიშვნელოვანი მოვალეობის შესასრულებლად, ყოველდღიურად უფრო გულწრფელს გახდის იმ კავშირებს, რომლებიც აერთიანებს ორივე ერს“.

საქართველოს ელჩის მისი აღმატებულება მდივნის მიერ მის აღმატებულება მუსტაფა ქემალ ფაშასთვის გადაცემული რწმუნებათა სიგელი

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა გაცნობებთ, რომ ანკარაში თურქეთის დიდი ეროვნული ასამბლეის მთავრობის წინაშე სრულ უფლებამოსილ წარმომადგენლად დაინიშნა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე სიმონ მდივანი.

ხსენებული პირი, ბატონი სიმონ მდივანი, უფლებამოსილია აწარმოოს მოლაპარაკებები და დადოს შეთანხმებები ყველა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ფინანსურ და სხვა საკითხებზე.

მითითებულ საკითხებთან დაკავშირებით, ბეჭდით დალუქული და ხელმოწერილი წინამდებარე რწმუნებათა სიგელები ზემოაღნიშნულ პიროვნებას (სიმონ მდივანს, - რ.ყ.) პირადად ჩაბარდა.

რესპუბლიკის მთავრობა გთხოვთ, გამოეცხადოს სრული ნდობა ბატონ სიმონ მდივანს და მის განცხადებებს საქართველოს მთავრობის სახელით.

თბილისი -25 დეკემბერი 1920 წ.

საგარეო საქმეთა მინისტრი საბახტარიშვილი

მთავრობის მეთაური ყორდანიას³⁴

ჩანს, რომ „ჰაკიმეთი მილიეს“ რედაქცია დიდი ყურადღებით აკვირდებოდა საქართველოს გარშემო მიმდინარე მოვლენებს, რომელიც ეხებოდა წითელი არმიის ექსპანსიას საქართველოს მიმართ. ამის დასტურია კიდევ ერთი ინტერვიუ სიმონ მდივანთან, გამოქვეყნებული 23 თებერვლის ნომერში სათაურით „მისი უმაღლესობა საქართველოს ელჩის განცხადება“.

„საელჩოში სინყნარე იყო, ისევე, როგორც ჩემი პირველი ვიზიტისას³⁵, ვიფიქრე, რომ ყველა მათგანი სამუშაო მაგიდასთან დამხვდებოდა. არავინ იყო. თუმცა, როცა ჩემი ვიზიტის შესახებ შეატყობინეს, მისი აღმატებულება ელჩი კიბის თავზე დამხვდა. მან მოიბოდიშა, რადგან თავის ოთახში უნდა შევეყვანე, სადაც უფრო თბილოდა. ოთახში იყო მისაღები ოთახის მაგიდა, უბრალო მომწვანო ფერის სავარძლით. ხოლო კედლები, მორთული იყო კაისერის და კირშეჰირის ხალიჩებით. მისი აღმატებულება ელჩი ძალიან მნიშვნელოვანი საქმით იყო დაკავებული. ის დაფიქრებული იყო. „ძალიან მჭირდებოდა, აი, სტუმრის მოსვლა“, - ამბობდა და გაღიმებას ცდილობდა. გაუკვირდა, რომ მის მიერ შემოთავაზებულ სიგარეტზე უარი ვთქვი, რადგან არ ვენეოდი. შემდეგ კი თქვა, რომ ისეთი დრო იყო, როცა ძალიან ცოტა უნდა ელაპარაკა. თუმცა, ჩემს კითხვებზე პასუხის გაცემას არ დააყოვნებდა. ვკითხე, თუ როდის დაიწყო ბოლო შეტევა ქართულ ფრონტებზე და რა იყო ამის მიზეზი.

- შეტევა 11 თებერვალს დაიწყო, თქვა მან. ხოლო, 15 და 16 თებერვალს აზერბაიჯანელების შეტევამ ეს შეტევა კიდევ უფრო გააძლიერა. ამ დროს საბჭოებს კავკასიაში მე-11 არმია ჰყავდათ. სავარაუდებელია, რომ თავდასხმა ამ არმიამ

34 Hakimiyet-i Milliye, 9 Şubat (თებერვალი) 1337/1921, № 104, (Gürcistan Sefiri Simon Mdivani'nin Nutku ile Mustafa Kemal Paşa'nın Nutku/საქართველოს ელჩის სიმონ მდივნის და მუსტაფა ქემალ ფაშას მისასალმებელი სიტყვები); ჯანჯღავა გ., დასახელებული სტატია, გვ. 32-33.

35 აქედან დასტურდება, რომ ინტერვიუს ასაღებად ორივეჯერ მისულა ერთი და იგივე კორესპონდენტი. აღნიშნული სტატიის ბოლოს მხოლოდ მისი ინიციალებია მითითებული: C. S. ამ ეტაპზე მისი სრული სახელი და გვარი უცნობია.

მოაწყობ. თუმცა, ჯერ ვერ ვიტყვით, რომ მოსკოვმა ამ საკითხზე ბრძანება გასცა. მაგრამ თუ არის სიმართლე, ეს არის ის, რომ სომხეთსა და აზერბაიჯანში დისლოცირებულმა წითლებმა მიიღეს ამ თავდასხმაში მონაწილეობა. ჩვენ ამის შესახებ ინფორმაცია არ გვქონდა. ფაქტობრივად, ჩვენსა და ამ ერებს შორის მტრობის გაღვივების არანაირი საფუძველი არ არსებობდა. საომარი მოქმედებები უმიზეზოდ, ომის გამოცხადების გარეშე დაიწყო. ჯერ კიდევ ამ თავდასხმამდე სომეხთა სახალხო კომისარმა ბეჰზადიანმა³⁶ გამოგვიგზავნა ნოტა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ მას სურდა საქართველოში ჩამოსულიყო ჩვენსა და სომეხებს შორის ყველა გადაუჭრელი საკითხის განსახილველად. ჩვენ მას ველოდებოდით. ბეჰზადიანმა პოლიტიკურად იცრუა. ჩვენ და სომეხებს გვეყოფს საზღვრები და რწმენა. აქედან გამომდინარე, ჩვენ ჯერ ხელისუფლებაში მყოფ დაშნაკებს, შემდეგ კი საბჭოებს, რომლებმაც დაიკავეს დაშნაკების ადგილი, მოლაპარაკება შევთავაზეთ და მოვითხოვეთ ყოველგვარი მტრული მიდგომების გარეშე ჩვენს შორის არსებული ყველა შეთანხმებისა და ხელშეკრულების გადახედვა. ეს უკანასკნელი ინციდენტი ჰგავს 1918 წელს დაშნაკების მიერ [ჩვენზე] განხორციელებულ თავდასხმას იმ დროს, როდესაც ინგლისელები ბათუმში იმყოფებოდნენ. მაშინ ისინი [დაშნაკები] ინგლისელებს ენდობოდნენ. ახლა დასტურდება ეჭვი საბჭოელთა მიმართ... ბოლშევიკები რომ არ ყოფილიყვნენ იქ, ეს ომი არ მოხდებოდა. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ეს ქმედებები აზერბაიჯანისა და სომეხების სახელით ხორციელდება.

- რამდენად არის საქართველო მზად ამ კონფლიქტისთვის?

ჩვენ საკმარისად მზად ვართ, დავიცვათ თავი მათგან, ვინც თავს დაგვესხმება. კონფლიქტამდე მხოლოდ ორი სამხედრო შენაერთი გვყავდა შეიარაღებული. მაგრამ, შემდეგ იძულებული გავხდით მობილიზაცია მოგვეხდინა.

- თავდამსხმელთა ძალების ოდენობაზე თუ გაქვთ რაიმე ინფორმაცია, ბატონო?

- ამბობენ, რომ ის ამჟამად სამი არმიისაგან შედგება.

წინა დღით ბათუმში ხომალდი ჩავიდა. გაქვთ რაიმე ინფორმაცია ამ საკითხთან დაკავშირებით? მაინტერესებს რას გულისხმობენ ფრანგები ამაში?

- ამ საკითხზე არაფერი ვიცი. თუმცა, დღეს ბათუმში ქართველები არიან.

- როგორ პროგნოზირებთ ომის დასრულებას?

- არ ვიცი, რა უნდათ. მე მხოლოდ ის ვიცი, რაც ჩვენ გვინდა. ჩვენს მიწებზე სრული დამოუკიდებლობა... მათგან არაფერი გვინდა. ჩვენ, დამოუკიდებლობა არა მხოლოდ ჩვენი ერის, არამედ ყველა ერის, მათ შორის თურქეთისთვისაც გვინდა. ჩვენ მათ საქმეებში არასდროს ვერეოდით. კომუნისტები იქნებიან, ბოლშევიკები თუ მენშევიკები, ჩვენს საქმეში ნუ ჩაერევიან. ვფიქრობ, ეს სიტყვები აგისხნით, თუ როგორ დასრულდება ომი.

- საქართველოში არსებულ მდგომარეობაზე თუ გაქვთ რაიმე წარმოდგენა?

- ქართველების სულიერი მდგომარეობა გამოიხატება იმაში, რომ სიკვდილის ფასად შეინარჩუნონ სამშობლო და ჩვენი უკანასკნელი გამარჯვება, რაც ამის დასტური და შედეგია. საქართველოში არ არსებობს სასოწარკვეთა.

- ნება მიბოძეთ დაგისვით ბოლო შეკითხვა, რას ფიქრობთ ჩვენთან ურთიერთობაზე?

36 ალექსანდრე არტემის ძე ბეჰზადიანი - სომხური წარმოშობის საბჭოთა დიპლომატი.

- ძალიან გულთბილი მოლაპარაკებები მაქვს დიდი ეროვნული კრების მთავრობასთან. შედეგის დიდი იმედი მაქვს. დარწმუნებული ვარ, სამოქალაქო სამართლის თვალსაზრისით, [ჩვენს შორის] ორივე ერის ინტერესებთან თავსებადი ურთიერთობა დამყარდება. სწორედ, ამ საქმის გასაკეთებლად ჩამოვედი.

მე მას მადლობა გადავუხადე და დავემშვიდობე. C. 5³⁷

საქართველოს დელეგაციის ანკარიდან გამგზავრებას „ჭაქიმიეთი მილლიეს“³⁸ გარდა ეხმაურება გაზეთი „ანადოლუდა იენი გუნ“.³⁹ ამ უკანასკნელის ცნობით, „ანკარაში საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი“⁴⁰ ბატონი მდივანი და საელჩოს წევრები დღეს ჩვენი ქალაქიდან ანტალიის გავლით გაემგზავრებიან“.⁴¹

მომდევნო ნომერში დასტურდება საქართველოს წარმომადგენლის ს. მდივნის და წარმომადგენლობის წევრების 22 მარტს გამგზავრების ფაქტი. ისინი სტამბოლში დილით, მატარებლით გამგზავრებულან.⁴² ქართველ დიპლომატებს დიდი ეროვნული კრების მთავრობის სახელით საგარეო საქმეთა სამინისტროს მდივნის მოადგილე სუათ (დავაზ) ბეიმ მოუწყო გაცილება. ბოლშევიკების მიერ ოკუპირებული საქართველოს საქმეთა მართვა კი ჩაიბარა ანკარაში არსებულ მარუსეთის საბჭოთა ხელისუფლების საელჩომ.⁴³ საქართველოს წარმომადგენლობის ანკარიდან გამგზავრების შესახებ შედარებით მეტი ინფორმაცია არის „ჭაქიმიეთი მილლიეს“ 31 მარტის ნომერში. ამ მასალის მიხედვით, მდივანმა საელჩო თავის ძმას, ამხანაგ მდივანს⁴⁴ გადააბარა და სტამბოლში გაემგზავრა. ხოლო, დარჩენილი თანამშრომლების ნაწილი, ასევე სტამბოლში, 30 მარტს ინებოლუს გზით გამგზავრებულან.⁴⁵

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასა და ანკარის მთავრობას შორის დიპლომატიური ურთი-

37 Hakimiyet-i Milliye, 23 Şubat (თებერვალი) 1337/1921, № 116, (Gürcü Sefiri Cenablarının Beyanati/მისი აღმატებულება ქართველი ელჩის განცხადება).

38 Hakimiyet-i Milliye, 22 Mart 1921, No:139, (Gürcü Sefiri Bugün Gidiyor/ქართველი ელჩი დღეს მიემგზავრება).

39 Anadolu'da Yenigün, გამოდის 1918 წლის 2 სექტემბრიდან, სტამბოლში, მეპატრონე და მთავარი რედაქტორი იუნუს ნადი აბალიოღლუ.

40 აღსანიშნავია, რომ ამ ნომერში ს. მდივანი წარმომადგენლად იხსენიება, ხოლო, მომდევნო ნომერში - ელჩად.

41 Anadolu'da Yenigün, 22 Mart 1337/1921, № 562-183, (Gürcü Sefareti Heyeti Ankara'dan Gidiyor/ქართული საელჩო დღეს ანკარიდან მიდის).

42 Şimşek D. Çini, Ankara'da Açılan İlk Gürcistan Temsilciliği ve Türk-Gürcü İlişkileri, Sancak Yayıncılık Matbaacılık Reklam San Tic. Ltd. Şti, Ankara, 2019.s. 261 (22 მარტს სტამბოლში გაემგზავრნენ სიმონ მდივანი, გენერალი ერისთავი, ქარცივაძე და ადიუტანტი მახიაშვილი. ანკარაში დარჩნენ შალიკაშვილი და ჭუმბაძე. იხ. დიმიტრი შალიკაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 159. როგორც ჩანს, შალიკაშვილი და ჭუმბაძე 30 მარტს გაემგზავრნენ სტამბოლში).

43 Anadolu'da Yenigün, 23 Mart 1337/1921, № 563-184, (Gürcü Sefareti Heyeti Dün Gitti/საქართველოს საელჩოს წევრები გუშინ გაემგზავრნენ).

44 იგულისხმება ბუდე მდივანი. ქართველი ბოლშევიკი, რევოლუციონერი, პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე.

45 Hakimiyet-i Milliye, 31 Mart 1337/1921, № 147, (Gürcü Sefareti Maiyetinin de Azimeti/საქართველოს საელჩოს თანმხლები წევრების გამგზავრება).

ერთობების დამყარება ისტორიულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. მისი ხანმოკლეობის მიუხედავად, როგორც ქართულ, ასევე თანადროულ თურქულ პრესაში აღნიშნული ფაქტის შესახებ ცოტა, მაგრამ მკითხველისთვის საინტერესო ინფორმაცია გამოქვეყნდა. მათი შეჯერება იმ პერიოდის ამსახველ, ასევე მწირ საარქივო დოკუმენტებთან თუ საისტორიო ლიტერატურასთან, კიდევ ერთხელ გვაძლევს საშუალებას გავიხსენოთ, თუ რა რთულ პოლიტიკურ ვითარებაში უწევდა ანკარაში საქართველოს წარმომადგენლობას საქმიანობა.

Roin Kavrelishvili

**Reflection of the Activities of the Ankara Embassy of the Democratic Republic of Georgia on the pages of the Contemporary Turkish Press
(07. 02 – 31. 03. 1921)**

Summary

The establishment of diplomatic relations between the government of the Democratic Republic of Georgia and the government of the Great National Assembly in Ankara was a historical event for both sides. On November 13, 1920, the representative of the government of the Grand National Assembly of Turkey, Colonel Kiazim Dirik, came to Tbilisi and met with the members of the government of the Democratic Republic of Georgia. Thus, diplomatic relations were established between the two sides. In response, by the decision of the Government of Georgia, on December 27, 1920, a representative of Georgia was sent to Ankara under the leadership of Mdivani Simon.

The article discusses the contents of the articles published in the local Turkish press (Hakimiyet-i Milliye, Anadolu'da Yeni Gün) about the activities of the Georgian representation after the arrival in Ankara and the audience held with Mustafa Kemal Pasha, the head of the government of the Grand National Assembly of Turkey. They are interesting from the point of view of the ongoing negotiations between the two sides, the Ankara government's recognition of the independence of the Democratic Republic of Georgia, and the Ankara government's position towards Georgian political events taking place at that time.

დამოუკიდებელი საქართველო და თეთრი რუსეთი (1918-1920 წწ)¹

რუსეთის ვრცელ ტერიტორიაზე მიმდინარე სამოქალაქო ომი დიდ გავლენას ახდენდა დამოუკიდებელი საქართველოს როგორც საშინაო ისე საგარეო ვითარებაზე. ეს ომი ძირითადად სამი ეტაპისაგან შედგებოდა. სამოქალაქო ომის პირველი პერიოდი მიმდინარეობდა 1917 წლის ოქტომბრიდან 1918 წლის 11 ნოემბრამდე. იგი ემთხვეოდა დამოუკიდებელი საქართველოს გერმანიასთან სტრატეგიული თანამშრომლობის პერიოდს და პირველი მსოფლიო ომის დასრულებას. საბჭოთა სახელმწიფოს წარმოქმნას მოჰყვა თეთრი მოძრაობის წარმოშობა. ჩამოყალიბდა ორი ურთიერთსაინანაღმდეგო ბანაკი, რომელნიც ეგზისტენციურად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ამავე დროს არ უნდა დაგვავიწყდეს რომ, მთელი ამ პირველი პერიოდის მანძილზე, გრძელდებოდა, როგორც მაშინ ქართულ პრესაში უწოდებდნენ მსოფლიო ომს – დიდი ომიანობა. ამგვარმა რეალობამ გამოიწვია, ანტანტის სახელმწიფოების სამხედრო ძალების ჩარევა და მონაწილეობა რუსეთის სამოქალაქო ომში, რა თქმა უნდა, ანტისაბჭოთა ფრონტის მხარეზე, თუმცა, არა მსხვილმასშტაბიანი სამხედრო ოპერაციების სახით. ანტანტის მონაწილეობას არ შეუსრულებია გადამწყვეტი როლი სამოქალაქო ომის მიმდინარეობაზე, როგორც საბჭოთა რუსული ისტორიოგრაფია ირწმუნებოდა. ჩვენთვის უფრო საინტერესოა, ის სახელმწიფოები და სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები, რომელნიც არსებობდნენ რუსეთის ევროპულ ნაწილში, საქართველოს ახლო სამეზობლოში. ესენი იყო:

სრულიად დონის მხედრობა ანუ დონის რესპუბლიკა – კაზაკთა სახელმწიფო, რომელიც 1918 წლის მაისში ჩამოყალიბდა და 1920 წლის დასაწყისში დაიკავა საბჭოთა არმიამ;

რუსეთის სახელმწიფო, რომელიც გამოცხადდა უფის დირექტორიის კონსტიტუციის საფუძველზე. 1918 წლის 23 სექტემბერს. 1918 წლის 18 ნოემბრის სახელმწიფო გადატრიალების შედეგად, რუსეთის სახელმწიფოს უმაღლეს მმართველად და მთავარსარდლად გამოცხადდა ადმირალი ალექსანდრე კოლჩაკი;

ბელორუსიის სახალხო რესპუბლიკა. დამოუკიდებლობა გამოაცხადა გერმანული ოკუპაციის პირობებში, 1918 წლის მარტში. იმავე წლის დეკემბერში დაამხო საბჭოთა რუსეთმა;

ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა კავშირის რესპუბლიკა ანუ შემოკლებით – მთიელთა რესპუბლიკა. კავკასიელთა რესპუბლიკა გამოცხადდა ჯერ კიდევ 1917 წლის მაისში, მაგრამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1918 წლის 11 მაისს, ბათუმის კონფერენციის მიმდინარეობის დროს;

1918 წლის იანვარ-თებერვალში ჩამოყალიბდა ყუბანის სახალხო რესპუბლიკა. მთავრობას თავმჯდომარეობდა ალექსანდრე რიაბოლოვი. რესპუბლიკა არსებობდა 1920 წლის დასაწყისამდე, საბჭოთა ოკუპაციამდე. ყუბანის რესპუბლიკამ,

¹ სტატია შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფუნდამენტური კვლევების 2022 წლის გრანტით გათვალისწინებული პროექტის „საქართველოს პირველი რესპუბლიკა“ (მიფრი FR 21 - 13500) ფარგლებში.

რომელიც ყოყმანობდა ორიენტაციის საკითხზე, საბოლოოდ უკრაინას ამჯობინა დობროარმიასთან ეთანამშრომლა. მიუხედავად ამისა, ყუბანის კაზაკებმა მასობრივად დაიწყეს დეზერტირობა და თეთრგვარდიელთაგან გამიჯვნა, რაც დენიკინის არმიის დამარცხების ერთ-ერთი მიზეზი შეიქმნა;

თავდაპირველად უკრაინის სახალხო რესპუბლიკა, შემდგომში კი უკრაინის სახელმწიფო – ჰეტმანატი, რომლის სათავეში იმყოფებოდა ჰეტმანი პავლე სკოროპადსკი. მან მოახწო სახელმწიფო გადატრიალება და დაამხო უკრაინის რესპუბლიკა. ჰეტმანატმა შეწყვიტა არსებობა 1920 წლის ნოემბერში, საბჭოთა ოკუპაციის შედეგად.

ყოფილი რუსეთის იმპერიის აღმოსავლეთ ევროპულ ნაწილში ჩამოყალიბდა ბალტიისპირეთის სამი დამოუკიდებელი სახელმწიფო: ლიტვის, ლატვიის, და ესტონეთის სახელმწიფოები;

კიდევ იყო რუსეთის პოსტიმპერიულ სივრცეში წარმოქმნილი სახელმწიფოებრივი თუ ფაქტობრივად დამოუკიდებლად მოქმედი მთავრობები: ბაიკალისპირეთში ფუნქციონირებდა ე. წ. ზემოუდინსკის სათემო მთავრობა; ინგერმანლანდია (ხოიგოკუნტა); შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკა და სხვები.

სამოქალაქო ომის პირველ პერიოდში, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ჩრდილოეთიდან ესაზღვრებოდა არასტაბილური ჩრდილოეთ კავკასია, რომელიც ხან საბჭოთა რუსეთს დაქვემდებარებულ მცირე საბჭოთა რესპუბლიკებს წარმოადგენდა, ხან კი თეთრგვარდიული არმიებისა და კაზაკთა შეიარაღებული ფორმირებების ხელში იყო. 1918 წლის 1 მარტიდან საქართველოს დაუმეზობლდა ე. წ. თერგის საბჭოთა რესპუბლიკა, რომელიც რსფსრ-ში შედიოდა. თერგის სახალხო საბჭოს და სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეები გახლდნენ ბოლშევიკები ე. ბოგდანოვი და ნოე ბუაჩიძე.

როგორც ჩანს, არეულობის დროს, მიიტაცეს საქართველოში გამოსაგზავნი მარცვლეულის ტვირთები. საქართველოს წარმომადგენლის ბიქტორ თევზაიას კითხვაზე, თუ რა მოხდა, თერგის მთავრობის თავმჯდომარემ ბოგდანოვმა უპასუხა: „ჩვენ მომხრე ვართ სურსათის მოწოდების, მაგრამ ამასთანავე უნდა გადმოგცეთ სტალინის დეპეშა, ამასთან დაკავშირებით, ის იწყება ასე: „კატეგორიულად გიცხადებთ, რომ კავკასიაში არავითარი სურსათი არ გაგზავნოთ“.² საბჭოთა კრემლი თავის სატელიტ რესპუბლიკებს მკაცრად უკრძალავდა დამოუკიდებელ საქართველოსთან სავაჭრო და საერთოდ, ურთიერთობას. გერმანიის ყოფნამ საქართველოში შეასუსტა საბჭოთა რუსეთის ყურადღება კავკასია-საქართველოს მიმართ. ამ მხრივ, თუ როგორ ხედავდა კავკასიის რეგიონს რუსული საბჭოთა ხელისუფლება, ნაწილობრივ წარმოდგენას გვაძლევს საგარეო საქმეთა კომისრის გიორგი ჩიჩერინის მოხსენება საბჭოების ყრილობაზე, რასაც ყურადღება დაუთმო გაზეთმა „ერთობამ“. ჩიჩერინის აზრით და „ერთობის“ ინტერპრეტაციით, გერმანიის მარტივად შესვლა საქართველოში განაპირობა ქვეყნის მთავრობამ, რომელიც შეძლებულ კლასებს ეყრდნობოდა და „მტრულად იყო განწყობილი საბჭოთა რუსეთისადმი“. მიყვებით მოვლენების ჩიჩერინისეულ გადმოცემას და ინტერპრეტაციას: საბჭოთა რუსეთმა სცადა მოლაპარაკების დაწყება ე. წ. ამიერკავკასიის მთავრობასთან, მაგრამ „ვერას გახდა“. ამის შემდეგ გერმანიამ რუსეთს მისცა წინადადება, რომ თვითონ იკისრებდა ორ მხარეს შორის „საქმის მოგვარებას“ ანუ

2 გაზ. „ერთობა“, 1918 წ., 22 ივნისი.

ჩვენი სიტყვებით – შუამავლობას. რუსეთი დათანხმდა, მაგრამ გრაფ მირზახის წინადადების მაგივრად, მოლაპარაკების ადგილად შერჩეულიყო კიევი, არჩია – ვლადიკავკაზი.

ამის შემდეგ, მირზახმა რუსეთის ხელისუფლებას აცნობა, რომ ამიერკავკასიის მთავრობის წარმომადგენლები – მაჩაბელი და წერეთელი, მიემგზავრებოდნენ მოსკოვში, მაგრამ სწორედ ამ დროს დაიშალა ამიერკავკასია და ეროვნულმა საბჭომ გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა. ჩიჩერინის მიხედვით, საქართველოს მთავრობამ მოსკოვში მიავლინა ხუნდაძე, რომელთანაც მოსკოვს ჯერჯერობით მოლაპარაკება არ უნარმოებია. ამის შემდეგ ჩანს, მოსკოვი ცდილობდა გერმანიის ელჩის გრაფ მირზახის დარწმუნებას, რომ არც საქართველოს, არც აზერბაიჯანის და არც ჩრდილო კავკასიის მოსახლეობის უმრავლესობას არ სურდა რუსეთისაგან გამოყოფა.³

ჩიჩერინის ინფორმაციის მიხედვით, საქართველომ გერმანიას, რკინიგზის საშუალებით, გზა გაუხსნა ბაქოსკენ. სომხეთში ოსმალები იმყოფებოდნენ. ასეთი იყო ვითარება. მოკლედ, ჩანდა რომ ჩიჩერინი და რუსეთის მთავრობა თავს იკავებდნენ იმ ეტაპზე საქართველოსთან მოლაპარაკებისაგან. ეს იყო ჯერ კიდევ 1918 წლის აგვისტოს დასაწყისი.

1918 წლის ნოემბერ-დეკემბრიდან საქართველოს გეოპოლიტიკური ვითარება რადიკალურად შეიცვალა. მთავარი საფრთხეები ისევ ჩრდილოეთიდან მომდინარეობდა, სადაც დაიწყო სამოქალაქო ომის მეორე ეტაპი. იგი მიმდინარეობდა 1918 წლის ნოემბრიდან და გრძელდებოდა 1920 წლის მარტ-აპრილის მიჯნამდე. წლინახევრის განმავლობაში წარმოებდა დიდმასშტაბიანი ბრძოლები საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ და ანტიბოლშევიკურ თეთრ არმიებს შორის. თეთრ არმიას უწოდებდნენ 1917 წლის ბოლოს შექმნილ ე. წ. მოხალისეთა არმიას (დობროარმია).

მთელი რუსეთის ტერიტორიაზე გაშლილი ფრონტების სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთის რაიონები, ხან ერთი, ხან მეორე მხარის კონტროლქვეშ ექცეოდა და საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებს საშიშად უახლოვდებოდა ან უმეზობლდებოდა. ასეთი ვითარება ხშირად იქმნებოდა ჩრდილო კავკასიისა და სოჭი-ტუაფსე-სოხუმისათვის ბრძოლების დროს. 1918 წლის ზაფხულ-შემოდგომის დასაწყისში სწორედ სოჭი-ტუაფსეს რაიონში გადაიკვეთა საქართველოს, მოხალისეთა არმიისა და ბოლშევიკური რუსეთის მომხრე შეიარაღებული ფორმირებების ინტერესები. როგორც ცნობილია, საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ საზღვრებთან ეპიზოდურად, ჩნდებოდნენ ხან საბჭოთა რუსეთის, ხან თეთრი რუსეთის მომხრე შეიარაღებული რაზმები და უშუალო საფრთხეს უქმნიდნენ საქართველოს ტერიტორიას.

საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ საზღვარზე რომ ნათელი წარმოდგენა გვექონდეს, უნდა გავიხსენოთ, რომ მისი დაზუსტებისათვის იზრუნა ჯერ კიდევ ამიერკავკასიის განსაკუთრებულმა კომიტეტმა. 1917 წლის 30 ოქტომბერს განსაკუთრებულმა კომიტეტმა მიიღო წინასწარი დადგენილება, 1904 წელს სოხუმის ოკრუგისათვის გაგრის რაიონის დაბრუნების შესახებ. იმავე ხანებში, 1917 წლის 7 დეკემბერს ამიერკავკასიის კომისარიატმა მიიღო დადგენილება, რომელშიც ვკითხულობთ: „გაუქმდეს 1904 წლის 25 დეკემბერს უზენაესად დამტკიცებული მინისტრთა კომიტეტის დებულება, აღდგეს სოხუმის ოლქის ძველი ისტორიული საზღვარი მის

3 გაზ. „ერთობა“, 1918 წ., 11 აგვისტო.

შემადგენლობაში გაგრისა და ბზიფის რაიონების შეტანის გზით“.⁴ შემდგომში, 1918 წლის 9 თებერვლის სხდომაზე, ეროვნულმა საბჭომ დააზუსტა, რომ საქართველოს საზღვრებში აფხაზეთი შედიოდა ენგურიდან მდინარე მდომთამდე.⁵

აი, ამ საზღვრებში წარმოდგენილი საქართველო და აფხაზეთი, როგორც ჩანს, მიუღებელი იყო როგორც წითელი, ისე თეთრი რუსეთისთვის და ისინი ერთმანეთზე აღმატებული მონდომებით, ცდილობდნენ ან საქართველოს დაპყრობას ან უკეთეს შემთხვევაში, მისთვის ტერიტორიების წართმევას. პირველად, აფხაზეთის ადგილობრივი ბოლშევიკები აჯანყდნენ და საბჭოთა რუსეთის დახმარებით ცდილობდნენ საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებას. 1918 წლის 16 თებერვალს მათ სოხუმი აიღეს, რევოლუციური კომიტეტის სახელით, რომელსაც თავმჯდომარეობდა ცნობილი აფხაზი ბოლშევიკი ევრემ ეშბა. 21 თებერვალს სოხუმი სახალხო გვარდიამ გაანთავისუფლა.

მეორე „საბჭოთა ხელისუფლება“ უფრო ხანგრძლივი აღმოჩნდა და 1918 წლის 8 აპრილიდან 17 მაისამდე არსებობდა აფხაზეთში. „ისევ სოხუმში მივდივართ“, – ჩანერა სოციალ-დემოკრატიული წითელი გვარდიის შტაბის უფროსმა ვალიკო ჯუღელმა დღიურში. 17 მაისს გვარდიელებმა მძიმედ დაამარცხეს კოდორთან გამაგრებული ბოლშევიკების რაზმი და იმავე დღეს განთავისუფლებულ სოხუმში შევიდნენ. ისევ ჯუღელის „ჩანაწერების“ მიხედვით წარმოვიდგინოთ 17 მაისის აფხაზეთის დედაქალაქის ქუჩები: „შეუძლებელია, აღვწერო, როგორი აღფრთოვანებით გვხვდებოდნენ გათავისუფლებული სოხუმელები. მოზეიმე ხალხი სიხარულის შეძახილებით გვეგებებოდნენ და ყვავილებს გვესროდნენ. ზეიმობდა არა ბურჟუაზია, რომელიც საკმაოდ თავშეკავებულად გვხვდებოდა, არამედ ნამდვილი დემოკრატია, რომელიც ბოლშევიკების ტყვეობიდან გათავისუფლდა“.⁶ მაგრამ მთელი აფხაზეთი ჯერ არ იყო განთავისუფლებული. აფხაზეთა სახალხო საბჭომ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას სთხოვა დახმარება, რის შემდეგაც 11 ივნისს ორ მხარეს შორის ხელშეკრულება გაფორმდა. ხელშეკრულების საფუძველზე აფხაზეთის ტერიტორიაზე გაიგზავნა სამხედრო ექსპედიცია გიორგი მაზნიაშვილის მეთაურობით, რომელიც დაინიშნა აფხაზეთის გენერალ-გუბერნატორად და შავიზღვისპირეთის ქართული ძალების სარდლად. ზემოაღნიშნული აფხაზეთა სახალხო საბჭოს დელეგაციისა და საქართველოს მთავრობის 11 ივნისის ხელშეკრულების მეოთხე პუნქტის მიხედვით, „აფხაზეთში წესრიგის დასამყარებლად საქართველოს მთავრობა სახალხო საბჭოს განკარგულებაში აგზავნის გვარდიას“.⁷

როდესაც გენერალი მაზნიაშვილი სოხუმში თავისი მოვალეობის შესრულებას შეუდგა, ბოლშევიკურ რაზმებს უკვე გუდაუთა და ახალი ათონი აღებული ჰქონდათ, სადაც მათ დაამარცხეს მცირერიცხოვანი ქართული რაზმი. გენერალ გიორგი მაზნიაშვილის ექსპედიციამ ბოლშევიკური ჯარებისაგან ბრძოლებით გაანთავისუფლა ახალი ათონი და გუდაუთა – 23 ივნისს, გაგრა – 28 ივნისს, ადლერი – 29 ივნისს, სოჭი – 6 ივლისს და ტუაფსე – 26 ივლისს.

4 აფხაზეთი საქართველოა. ისტორიული რაკურსი. საგრანტო პროექტის შემსრულებლები: ზურაბ პაპასქირი (ხელმძღვანელი), ზურაბ ხონელიძე, ლია ახალაძე, ჯემალ გამახარია, ბეჟან ხორავა, კახა კვაშილავა, კახაბერ ყალიჩავა. თბ., 2021. გვ. 351 (შემდეგში: ზ. პაპასქირი და სხვ).

5 აფხაზეთი საქართველოა. ზ. პაპასქირი და სხვ. გვ. 353.

6 ჯუღელი ვ., მძიმე ჯვარი (სახალხო გვარდიელის ჩანაწერები), თბ., 2022. გვ. 78.

7 აფხაზეთი საქართველოა. ზ. პაპასქირი და სხვ. გვ. 357.

მაზნიაშვილმა ამის შემდეგაც განაგრძო წინსვლა, თუმცა, არა საკუთარი ინიციატივით, არამედ ყუბანის რადის წარმომადგენლის თხოვნით და დაიკავა ხადიჟენსკი, სადაც პირველად შეხვდა მოხალისეთა არმიის მზვერავს, რასაც მოჰყვა მოხალისეთა არმიისა და ქართული ჯარის პირველი კონტაქტი და შემდგომში მათი დამეზობლება. ეს ბუნებრივი პროცესი იყო, რადგან რუსეთის საბჭოთა ჯარები მარცხს განიცდიდნენ და უკან იხევდნენ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიიდან.

ერთ-ერთი ე. წ. ტამანის არმიის ნაწილები, მოხალისეთა არმიასთან ბრძოლისა და უკან დახვევისას, ტუაფსეს მოადგა და აიღო კიდეც. ეს იყო ახალშექმნილი ერთ-ერთი საბჭოთა რუსული არმია, რომელმაც სახელი ფორმირების ადგილის – ტამანის ნახევარკუნძულის მიხედვით მიიღო. მას შემდეგ, რაც თეთრგვარდიულმა მოხალისეთა არმიამ ეკატერინოდარი დაიკავა, ტამანის 27 000-იანი არმია მოწყვეტილი აღმოჩნდა წითელი არმიის ძირითადი ძალებისაგან. ტამანელების მიზანი იყო ტუაფსეს გავლით, გაერღვიათ მტრული სივრცე და წითელ არმიას შეერთებოდნენ. რუსულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ტამანის არმიამ დაამარცხა „მენშევიკური საქართველოს ქვეითი დივიზია“ და ხელში ჩაიგდო 16 ქვემეხი, 10 ტყვიამფრქვევი და სხვ.

ამიტომ მათ მიერ ტუაფსეს დაკავება დროებით ღონისძიებას წარმოადგენდა, რის გამოც საბჭოელებმა მალე დაცალეს ქალაქი და გაქცევა განაგრძეს. მცირერიცხოვანი ქართული რაზმი ისევ რამდენიმე დღის წინ დაკარგულ ტუაფსეში შევიდა. ამის შემდეგ, როგორც გ. მაზნიაშვილი წერს, ქართულმა ჯარმა ტუაფსე ისევ დატოვა მისი ბრძანებით, რათა იქ გამოჩენილ მოხალისეთა არმიასა და ქართულ ჯარს შორის გართულებები თავიდან აეცილებინა. ტუაფსე საბოლოოდ „დობროარმიამ“ დაიკავა. რაც შეეხება სოჭს, მის დათმობას, როგორც ჩანს, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა თავიდანვე არ აპირებდა და მისი მითითებით, ქალაქში სასწრაფო წესით გადაისროლეს სახალხო გვარდიისა და ჯარის ნაწილები, ვალიკო ჯულელისა და გენერალ ალექსანდრე კონიაშვილის მეთაურობით. ჩვენ არ შევხებით გენერალ გიორგი მაზნიაშვილის სამხედრო ექსპედიციის პერიპეტიებს. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მოხალისეთა არმიის სარდლობამ საჭიროდ ჩათვალა, რომ ურთიერთობები გაერკვია საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლებასთან და მოლაპარაკებები შესთავაზა საქართველოს.

1918 წლის 25-26 სექტემბერს გაიმართა მოლაპარაკებები მოხალისეთა არმიის სარდლობისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციებს შორის. „დობროარმიას“ წარმომადგენდნენ: არმიის მთავარსარდალი მიხეილ ალექსევი, გენერალი ანტონ დენიკინი, სახელმწიფო სათათბიროების მემარჯვენე შოვინისტი დეპუტატი ვასილი შულგინი, ვ. სტეპანოვი, გენერალი ივან რომანოვსკი, კავალერიის გენერალი აბრამ დრაგომიროვი, გენერალ-ლეიტენანტი ალექსანდრ ლუკომსკი, ყუბანის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ლუკა ბიჩი და მთავრობის წევრი ნ. ვორობიოვი. საქართველოს რესპუბლიკიდან მოლაპარაკებას აწარმოებდნენ ევგენი გეგეჭკორი და გენერალი გიორგი მაზნიაშვილი. დღის წესრიგი ითვალისწინებდა რამდენიმე საკითხს: საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი; საზღვრების დადგენა; საქონლის გაცვლა-გამოცვლა; რუსების მდგომარეობა საქართველოში და რუსეთის ქონების რეკვიზიციის საკითხი.

საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი ერთობ იოლად გადაწყდა, რადგან მთავარსარდალმა ალექსეევმა განაცხადა: „დობროარმია“ არ ილაშქრებს საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, სცნობს მას სავსებით და იცო-

დეს საქართველომ რომ ამ მხრივ იგი სრულიად უზრუნველყოფილია, მაგრამ თუ „დობროარმია“ იღებს თავის თავზე ასეთ ვალდებულებას, ის უნდა მოელოდეს საქართველოსაგანაც ამგვარივე განწყობილებას“.⁸ მთავარსარდლის შემდეგ, მისი პოზიცია გენერალმა დენიკინმაც დაადასტურა. ყუბანის რესპუბლიკის წარმომადგენელმა აგრეთვე განაცხადა: „საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა ჩვენში, რა თქმა უნდა, არ იწვევს არავითარ ეჭვს და ჩვენ ვიღებთ ამას სავსებით, რადგან ყოველთვის, მთელი ისტორიის მანძილზე ყუბანსა და საქართველოს შორის სუფევდა მეგობრობა და ეს მეგობრობა შემდეგშიაც იქნება“.⁹ სხვა საკითხებზე, მიუხედავად აზრთა განსხვავებებისა, მაინც ხერხდებოდა შეთანხმება და ისინი როგორც ჩანს, არ აღმოჩნდა მხარეებისთვის პირველხარისხოვანი. პირველხარისხოვნად და პრინციპულად, მხარეების მიერ, მიჩნეულ იქნა საზღვრების და აქედან გამომდინარე, გაგრის, განსაკუთრებით კი – სოჭის საკითხი. ეს საკითხები ცხადია რომ გადაბმული იყო ერთმანეთთან.

პირველად ეს საკითხი მოხალისეთა არმიის მთავარსარდალმა დასვა და მწუხარება გამოთქვა, რომ სოჭში და ადლერში ქართველი ხელისუფლები იმყოფებოდნენ და განა შეიძლებოდა რომ ლაპარაკი ყოფილიყო ამ ოლქებზე, როგორც „ქართულ ოლქებზე“. „ეს ოლქები რუსულია და შედის რუსეთის ტერიტორიაში“, – განაცხადა ალექსეევმა. რუსი გენერლის მთავარი არგუმენტი ის იყო, რომ ტერიტორიებს ის ყოფდა 1905 წლის (თუ 1904 წლის? – დ. შ.) შავიზღვისპირეთის გუბერნიის გადამიჯვნის მიხედვით. „მხოლოდ იმ აუცილებელი პირობით ჩვენ შეგვიძლია მოვრიგდეთ ერთმანეთში“. ყუბანის წარმომადგენელი ბიჩიცი, მიუხედავად მისი ლოიალური დამოკიდებულებისა საქართველოს მიმართ, ამ საკითხში ალექსეევის პოზიციას იზიარებდა: „ვფიქრობ, რომ 1905 წლის გადამიჯვნის მიხედვით, შავი ზღვის გუბერნია მთლად უნდა შევიდეს ყუბანის ტერიტორიაში“.

ევგენი გეგეჭკორის საკმაოდ პრეტენზიულ მოთხოვნებზე უნდა გაეცა პასუხები. მან დიპლომატიური ტაქტით და ამავედროულად პრინციპული შეუვალობით, თანმიმდევრულად გასცა ყველა კითხვას პასუხი და თანაც ისეთი ობიექტურობით, რომ მოწინააღმდეგეს სათქმელი არაფერი დაუტოვა. მეტიც, მის პასუხებს და პოზიციას ყუბანის წარმომადგენლებმაც კი დაუჭირეს მხარი. საილუსტრაციოდ შეიძლება გავისხენოთ, გენერლების პრეტენზია, თითქოს რუს მოსახლეობას და ზოგადად რუსებს, ცუდად ეპყრობოდნენ საქართველოში. ამ პრეტენზიას, გეგეჭკორის პასუხის შემდეგ, გამოეხმაურა ყუბანელი ბიჩი: „იმ ცნობებს, ვითომ საქართველოში რუსებს ავიწროებენ, ჩვენ ვეგებებოდით კრიტიკულად და ფრთხილად. მე კარგად ვიცნობ ქართველებს, მე ეს არ მჯეროდა და ამიტომ გეგეჭკორის ნათქვამი ყველაფერი მჯერა და ყუბანის მთავრობის სახელით შემიძლიან განვაცხადო, რომ ეს საკითხი მიმაჩნია სრულებით ამონურულად“.¹⁰

დებატები გაიშალა საზღვრების შესახებ. გეგეჭკორმა, უპირველეს ყოვლისა, ალექსეევის პრეტენზიებს შესაბამისი კვალიფიკაცია მოუძებნა და შეაფასა, როგორც „ბრალდებები“. პირველი სიტყვის შემდეგ, როგორც ჩანს, ქართულმა დელეგაციამ გადანყვიტა სოჭი-ტუაფსეს საკითხის ფაქტობრივი მდგომარეობა წარმოედგინა რუსული მხარისათვის და ამიტომ სიტყვა აიღო გენერალმა გიორგი

8 მაზნიაშვილი გ., მოგონებანი, ბათუმი, 1990. გვ. 80.

9 იქვე, გვ. 84.

10 მაზნიაშვილი გ., მოგონებანი, გვ. 98.

მაზნიაშვილმა. გენერლის განმარტებით, მას შემდეგ, რაც იგი მთავრობის მიერ დაინიშნა ქართული ჯარის სარდლად, იგი შეუდგა შავი ზღვის სანაპირო ქალაქების „განთავისუფლებას, იქ შემოჭრილი ბოლშევიკებისაგან. რიგი ქალაქების შემდეგ, 1918 წლის 14 ივნისს მან „დაიჭირა ტუაფსე“. გენერალმა ამასთანავე განმარტა, რომ იმ დროისათვის, მან არც კი იცოდა, „დობროარმიის“ არსებობის შესახებ. გადმოვცემთ მაზნიაშვილის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას, რუსული დელეგაციისათვის. ტუაფსეს „დაჭერის“ შემდეგ, ყუბანის მთავრობის წარმომადგენლის თხოვნით, ქართულმა ჯარმა წაიწია წინ – ბელორეჩენსკისაკენ და დაიკავა ხოდიჟენსკი. ამის შემდეგ, მაზნიაშვილს მოუხდა მძიმე ბრძოლით მოეგერიებინა, ნოვოროსიისკთან მოხალისეთა არმიის მიერ დამარცხებული და უკუქცეული ბოლშევიკების 11 000-იანი „ურდოს“ შემოტევა. აღნიშნული დეტალები მაზნიაშვილს იმიტომ დასჭირდა, დაესაბუთებინა, რომ ქართული ჯარის მიზანი არ იყო ტერიტორიების დაპყრობა: „ჩემი ნათქვამიდან ჩანს, რომ ჩემს წინსვლას არა ჰქონდა დაპყრობითი მიზანი, რომ ამას ჩავდიოდი ყუბანის წარმომადგენლის თხოვნით ბოლშევიკებისაგან თავდაცვის მიზნით“. რაც შეეხება ქალაქ ტუაფსეს, მაზნიაშვილმა, თბილისში წასვლის წინ ქალაქში დანიშნა მოხელეები, „წესრიგის დასამყარებლად“. მან საბრძოლო რაიონის უფროსად დანიშნა გენერალი მასლოვსკი, ხოლო გენერალ-გუბერნატორობა და საერთო მმართველობა გადააბარა გენერალ ტარასი ვაშაკიძეს, (ცნობილ „შაითან კაპიტანს“, - დ. შ.). ამის შემდეგ, ქართულმა ჯარის ნაწილებმა და მასლოვსკის რაზმმა ხელახლა აიღო ტუაფსე.

მაზნიაშვილის სიტყვის შემდეგ მიმდინარე დებატების დროს, მოხალისეთა არმიის გენერლებისა და სახელმწიფო სათათბიროს ცნობილი მემარჯვენე შოვინისტის შულგინის მხრიდან გაისმა მოთხოვნები, რომ ქართულ ჯარს უნდა დაეტოვებინა მის მიერ აღებულ-დაკავებული ქალაქები, რაზეც პირველი განმარტება გააკეთა ევგენი გეგეჭკორმა: მისი განმარტებით, საქართველოს არ შეეძლო სოჭის დატოვება და საჭირო იყო ტუაფსეს „შენარჩუნებაც“, მანამ სანამ საერთო მდგომარეობა არ გაირკვეოდა. მიუხედავად ამისა, ქართული მხარე უთმობდა მოხალისეებს ტუაფსეს, და ეს საქართველოს მხრიდან იყო „დიდი დათმობა“, რომ საკითხს ზედმეტი გართულება არ გამოეწვია.¹¹

შემდგომი ერთ-ერთი გამოსვლის დროს, გეგეჭკორმა მოხალისეთა დელეგაციას შესთავაზა: „ამ რაიონში ჩვენი დროებითი ყოფნა, ჩვენი მცხოვრებლების ინტერესების დასაცავად თქვენში დავას არ უნდა ინვესტეს და ვფიქრობ, რომ ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ ფორმულა: სოჭის ოლქი დროებით საქართველოს რჩება“.¹² გეგეჭკორის ფორმულამ დებატების გამწვავება გამოიწვია. ახლა ყუბანის წარმომადგენელმა გაგრის კუთვნილების საკითხი წამოჭრა: „გაგრას რას უპირებთ? შთაბეჭდილებაა ისეთი, რომ ქართველები ამ უკანასკნელს თავისად თვლიან“. თურმე, ვორობიოვის დასაბუთების მიხედვით, პრინც ოლდენბურგს, 10 მილიონი მანეთი დაუხარჯავს ოლქის აშენებაში და ეს საკმარისი არგუმენტი იყო, რომ გაგრა და მთელი გაგრის ოლქი ყუბანის სახალხო რესპუბლიკას მიჰკუთვნებოდა: „იქ ჩახარჯული ფული წმინდა რუსულია...“ რაც შეეხება აფხაზებს, ჩვენ გვაქვს ცნობებიო, – ირწმუნებოდა ყუბანის წარმომადგენელი, რომ „აფხაზები არაფერს ზოგავენ და

11 მაზნიაშვილი გ., მოგონებანი, გვ. 97.

12 იქვე, გვ. 101.

ცდილობენ ისევ შევიდნენ რუსეთის შემადგენლობაში“.¹³ დენიკინი სოჭში ქართული ჯარის ყოფნის წინააღმდეგ გამოვიდა. კონფერენციის მეორე დღესაც, დებატები კვლავ სოჭს, გაგრას და საზღვრების საკითხს ეხებოდა. სხვა მონაწილეები, მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის შესაბამისობის საკითხს სვამდნენ და ქართველების სიმცირეს უსვამდნენ ხაზს. სოჭის და საზღვრების საკითხმა ყველა სხვა განსახილველი თემები გადაფარა.

ვნებების დაცხრომას შეეცადა გეგეჭკორი. მან თემატურად გამოყო საკითხები და თანმიმდევრობით ჩამოაყალიბა თავისი ანუ, ამ შემთხვევაში – საქართველოს რესპუბლიკის პოზიცია. ქართველი დიპლომატის ანალოგიით, ჩვენც გამოვყოთ თემებს: აფხაზეთის საკითხი – აფხაზ მოსახლეობასთან, საქართველოს მთავრობამ უკვე აწარმოა მოლაპარაკება, მიაღწია გარკვეულ შედეგებს და მისი აქ განხილვა, შედეგს ვერ მოიტანს, – განმარტავდა საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი.

სოჭის საკითხი – გეგეჭკორმა კვლავ გაიმეორა თავისი ფორმულა: „სოჭის ოლქი ჩვენ გვიჭირავს დროებით“. რაც შეეხება „მის საბოლოო ბედზე ლაპარაკი გვექნება სხვა უფრო კომპეტენტურ კრებაზე, რადგან აქ, ამ კრებაზე, სრულიად დაუშვებელია ერების ბედ-იღბლის გადაწყვეტა“. ქართველი დიპლომატის პოზიცია სრულიად რელევანტური იყო და მან აგრძობინა შეხვედრის მონაწილეებს, რომ მათ მოლაპარაკებებს ლეგიტიმურობა აკლდა: „ჩემი აზრით, დღევანდელ კრებას არა აქვს კომპეტენცია“.

სოჭის პრობლემა გადამწყვეტი აღმოჩნდა მოლაპარაკებების შედეგებისთვის. გენერალმა ანტონ დენიკინმა კატეგორიულად დასვა საკითხი: „უნდა გადავწყვიტოთ გარკვევით საზღვრების საკითხი. თუ საქართველოს წარმომადგენელი უარს არ იტყვიან სოჭის ოლქზე, მაშინ, ჩემი აზრით, ჩვენ უნდა შევწყვიტოთ ყოველგვარი ლაპარაკი“. მისი ანალოგიით, კატეგორიული იყო მთავარსარდალ ალექსეევის პოზიციაც: „ჩვენ ვერ დავთმობთ რუსეთის მიწა-წყალს, როგორც არის სოჭი და გაგრის ოლქები“.¹⁴ მაგრამ რუს გენერლებზე არანაკლები შეუვალი აღმოჩნდა ამიერკავკასიის კომისარიატის ყოფილი თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა ყოფილი კომისარი ევგენი გეგეჭკორი. „ჩვენ გვაქვს უკვე საქმე ყველა დემოკრატიულ ორგანიზაციებისა და პარტიების დადგენილებებთან, რომლებიც პირდაპირ მოითხოვენ სოჭის ოლქის დატოვებას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრებში და ამას თქვენ არ შეგიძლიათ ანგარიში არ გაუწიოთ“. ცოტა უფრო გვიან კი გეგეჭკორმა საბოლოოდ დაამატა: „სოჭი თანახმად მცხოვრებლების სურვილის, დროებით უნდა დარჩეს საქართველოს საზღვრებში“.¹⁵

მუდამ ტაქტიანი და განონასწორებული ქართველი დიპლომატის კატეგორიული პოზიცია, ტექსტიდან ისე ჩანს, რომ ოპონენტებისათვის მოულოდნელიც კი აღმოჩნდა და ალექსეევმა ჰკითხა კიდევ: „თქვენ ხომ არა ხართ შებოროკილი თქვენს პასუხში?“ ჩანს, მოხალისეთა არმიის მთავარსარდალი ფიქრობდა, რომ გეგეჭკორის დაჟინება გამონვეული იყო, საქართველოს მთავრობის მიერ მიცემული დირექტივით, რომ არ დაეთმო სოჭი და საერთოდ, არ მიელო, დობროარმიის გადაჭარბებული პრეტენზიები. ალექსეევმა 10 წუთით სხდომა დახურა, იმ მიზნით, რომ იქნებ არაოფიციალურად მაინც მიელო გეგეჭკორის და ქართული მხარის

13 იქვე, გვ. 101-102.

14 მაზნიაშვილი, მოგონებანი, გვ. 109.

15 იქვე, გვ. 112.

თანხმობა, მაგრამ არაფერი გამოვიდა. სხდომის განახლების შემდეგ, ალექსეევის კითხვაზე, ხომ არ შეცვლილა ქართული მხარის პოზიცია, გეგეჭკორმა კიდევ ერთხელ და საბოლოოდ დააფიქსირა ქართული მხარის პოზიცია: „საკითხისადმი ობიექტური მიდგომა, თავმოყვარეობის გარეშე, შესაძლებლობას მოგვცემდა, გადაგვეწყვიტა ეს საკითხი იმ ფორმით რომელიც მე წარმოვადგინე. სრულიად მისაღებად ვთვლი ჩვენ ფორმულას – სოჭის ოლქის დროებით დატოვება საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში“.

რუსული მხარის შოვინისტური „თავმოყვარეობა“ უფრო ძლიერი აღმოჩნდა რაციონალურ მიდგომაზე. დობროარმიის მთავარსარდალმა განაცხადა: „ძალიან მეძნელება ყველა ამის თქმა, მაგრამ ვაცხადებ რომ რადგანაც მთავარი საკითხის შესახებ ვერ გამოვიტანეთ დადებითი გადაწყვეტილება, სხდომას დახურულად ვაცხადებ“.¹⁶

ეკატერინოდარის მოლაპარაკებები უშედეგოდ დამთავრდა. ქართული ჯარი გამოვიდა ტუაფსედან, მაგრამ სოჭი და მისი ოლქი ჯერჯერობით რჩებოდა საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში. იქ რჩებოდა სახალხო გვარდიის 3 000-კაციანი რაზმი, ვალიკო ჯუღელისა და გენერალ კონიაშვილის მეთაურობით. ალექსანდრე კონიაშვილმა მაზნიაშვილისგან გადაიბარა სოჭის ოლქისა და შავისზღვისპირეთის ქართული ჯარების სარდლობაც ანუ როგორც მაზნიაშვილი წერს, – გენერალ-გუბერნატორობა.

ეკატერინოდარის მოლაპარაკებების შედეგების და მხარეთა პოზიციების ობიექტური შემფასებელი იქვე – დობროარმიის დელეგაციაში აღმოჩნდა. ეს იყო გენერალი ევგენი მასლოვსკი, რომელიც შემდგომში, ემიგრაციაში ყოფნის დროს მემუარებში წერდა: „სწორედ საქართველომ პირველმა სცადა დაემყარებინა მეგობრული ურთიერთობები, ხოლო გენერალმა დენიკინმა, როგორც ვთქვი, უკუაგდო მისთვის მეგობრობის გამოწვევილი ხელი“. შემდეგ: „სრულიად არასაჭირო უტაქტობის წყალობით, ქართული დელეგაციის მიმართ, ჩვენ ვერაფერი მოვიგეთ, ხოლო შევიძინეთ, კეთილგანწყობილი და სასარგებლოს ნაცვლად, ზედმეტი არაკეთილგანწყობილი მეზობელი“;¹⁷ – მასლოვსკი დენიკინსა და ალექსეევს „პოლიტიკურ ახლომხედველობაში“ ადანაშაულებდა. სოჭის შენარჩუნების საკითხი, გარდა სამხედრო-სტრატეგიული მოსაზრებებისა, ეყრდნობოდა, ადგილობრივი მოსახლეობის სოციალისტურად და დემოკრატიულად განწყობილი წრეების საქართველოსადმი მხარდაჭერას და ეს არ იყო მხოლოდ საქართველოს მთავრობის „იმპერიალისტური“ მისწრაფებები. 1918 წლის 18 სექტემბერს შემდგარმა სოჭის ოლქის სოციალისტური პარტიების გაერთიანებული საბჭოს სხდომამ შეიმუშავა რეზოლუცია, რომლითაც მიმართა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას. საბჭო უარყოფდა საკუთარი ოლქის ტერიტორიის დაკავების შესაძლებლობას, როგორც საბჭოთა ისე მოხალისეთა არმიის მხრიდან. სოჭის დემოკრატია სთხოვდა საქართველოს მთავრობას, დროებით შეეერთებინა ოლქი რესპუბლიკისათვის.

16 გ. მაზნიაშვილის მოგონებების ეს ეპიზოდი, შედარებულია მთავარ წყაროსთან და ზუსტად ემთხვევა „Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии. Тифлис. 1919. Стр., 391-107-ს.

17 Воспоминания генерала Е. В. Масловского. «Некоторые страницы моей жизни». Предоставлена С. Машкевичем (Нью-Йорк). Стр. 1325. <https://cyberleninka.ru/article/n/dobrovolcheskaya-armiya-i-gruziya-v-1918-godu>

რეზოლუციის მეექვსე მუხლი იუნყებოდა: „ოლქის განვითარება ფაქტობრივი თავისუფლების საფუძვლებზე, უფლებები და სახალხო მმართველობა, მიწის რეფორმის გატარება, თვითმმართველობის დემოკრატიული ფორმის შემოღება, კლასობრივი ბრძოლა პროლეტარიატისა და გლეხობის საბოლოო იდეალებისათვის, შესაძლებელია მხოლოდ ოლქის საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან შეერთების პირობებში. ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, სოჭის ოლქის სოციალისტური პარტიების (სოციალ-დემოკრატების და სოციალისტ-რევოლუციონერების) გაერთიანებული საბჭო ერთხმად გამოთქვამს სურვილს, რომ: „1. საქართველოს მთავრობამ საგანგებო დეკრეტით სასწრაფოდ გააფორმოს სოჭის ოლქის დროებითი შეერთება რესპუბლიკასთან“.¹⁸ 20 სექტემბერს გაერთიანებული საბჭოს რეზოლუცია დაადასტურა ქალაქ სოჭის მოქალაქეთა, მუშათა საბჭოებისა და სხვა ორგანიზაციების ხალხმრავალმა საზოგადო შეკრებამ. ორივე რეზოლუციას ხელს აწერდა გაერთიანებული საბჭოს და შეკრების თავმჯდომარე პეტრე იზმაილოვი.

სოჭის მოსახლეობა და დემოკრატიული საზოგადოება შემდგომ თვეებშიც მყარად იდგა პროქართულ ორიენტაციაზე. 1919 წლის 5 იანვარს კვლავ შედგა ამჯერად სოჭის დემოკრატიული ორგანიზაციის პლენარული სხდომა, რომელიც ქალაქში ქართული გარნიზონის ჩაყენებას მოითხოვდა. სიტუაცია მოხალისეთა არმიის ხელმძღვანელობასა და საქართველოს ხელისუფლებას შორის იმდენად დაიძაბა, რომ ბრიტანეთის მხარემ შუამავლობა გადაწყვიტა. ბრიტანული მისია დობროარმიის გენერლებს და მათ ლიდერს – ანტონ დენიკინს უჭერდა მხარს. ამერიკელი მეცნიერი-ისტორიკოსი ფირუზ ქაზემზადე ირონიით შენიშნავს – „სოჭის დემოკრატიული საზოგადოებების მიმართვა და საქართველოს დემოკრატიის შეფასება მადრიგალს ჩამოჰგავდა“. მაგრამ რა ვუყოთ, რომ სოჭელები რუსულ ბოლშევიზმს და თეთრი გენერლების შოვინიზმს ქართულ დემოკრატიას ამჯობინებდნენ – ამ უკანასკნელმა იხსნა ადგილობრივი მოსახლეობა ორი „საზარელი განსაცდელი-საგან - ანარქიისა და დიქტატურისაგანო.“¹⁹ რეზოლუციას სოჭის ყველა წამყვანი რევოლუციური და სოციალისტური ორგანიზაცია აწერდა ხელს: ქალაქის დუმის სოციალისტები, გლეხთა საბჭო, სოციალ-დემოკრატიული და ესერთა სოჭის კომიტეტები. ცხადია, გერმანიის საქართველოში ყოფნის პერიოდში, მოხალისეთა არმიასა და საქართველოს მხედრობას შორის მშვიდობიანი სტატუსქვო არ დარღვეულა. მაგრამ გერმანელთა საქართველოდან წასვლის შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა. ერთიანი და განუყოფელი რუსეთის ლოზუნგის ერთგული მოხალისეთა არმიის გენერლები, სოჭში ქართველების ყოფნას დიდ ხანს ვერ შეურიგდებოდნენ.

სოჭის და ზოგადად – საქართველოსა და თეთრი რუსეთის საზღვრების კრიზისი გრძელდებოდა და კიდევ უფრო გამძაფრდა კავკასიაში დიდი ბრიტანეთის მისიის შემოსვლის შემდეგ. ბრიტანეთის მისიისათვის დენიკინის დობროარმიის მასშტაბური ანტიბოლშევიკური მიზნების მხარდაჭერა უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე სოჭის პრობლემისა ან თუნდაც საქართველოს დემოკრატიის სუსტი ხმა. 1918 წლის 28 დეკემბერს ბრიტანულმა მისიამ წარმოადგინა სპეციალური პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა სოჭის ოლქის დემილიტარიზაციას. დობროარმიასაც და ქართულ მხედრობასაც უნდა დაეტოვებინათ სოჭის ოლქი. შეთანხმე-

18 Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии. Тифлис. 1919. Стр., 389.

19 ქაზემზადე ფ., ბრძოლა ამიერკავკასიისათვის, 1917-1921მ თბ., 2016, გვ. 294.

ბის მიხედვით, სოჭში რჩებოდა ქართული ადმინისტრაცია.

სამმხრივი შეთანხმება მხოლოდ ერთმა მხარემ – საქართველოს ხელისუფლებამ შეასრულა – ქართული მხედრობა სოჭიდან 1918 წლის 29 დეკემბერს გამოვიდა. დენიკინმა უგულვებლყო ქართული მხარის პროტესტი და ბრიტანული მისიის მოწოდებები და 1918 წლის 2 თებერვალს (სხვა ვერსიით – 6 თებერვალს) სოჭი დაიკავა, სადაც მცირე რაზმით იდგა გენერალი ალექსანდრე კონიაშვილი. ქართულმა რაზმმა სერიოზული წინააღმდეგობა ვერ გაუწია ჭარბ მოხალისეთა არმიის ნაწილებს და მძიმე დანაკარგებით უკან დაიხია. კონიაშვილი, პოლკოვნიკი წერეთელი და მურმან ხოჭოლავა – საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენელი სოჭში, დობროარმიამ დაატყვევა, თუმცა მალევე გაანთავისუფლა. ამის შემდეგ, დობროარმიამ ადლერი აიღო და 10 თებერვალს გაგრაში შევიდა. დენიკინელთა არმია ახალ საზღვარზე – მდინარე ბზიფის სანაპიროზე განლაგდა.

დენიკინმა ბრიტანელ სარდლებს – ახლო აღმოსავლეთში ჯორჯ მილნს და სამხრეთ კავკასიაში ფორესტიე უოკერს მემორანდუმი გაუგზავნა, რომლითაც მოითხოვდა: 1. სოხუმის ოკრუგის ნეიტრალურ ზონად გამოცხადებას; 2. ქართული ჯარისა და ადმინისტრაციის ოლქიდან გაყვანას და 3. ოლქის გადაცემას „აფხაზური ხელისუფლებისა და აფხაზებისაგან შემდგარი სახალხო რაზმების“ ხელში.²⁰ დენიკინელები საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ საზღვრად – მდ. ენგურს განიხილავდნენ. ბრიტანელებმა დენიკინის პროექტი უარყვეს. ქართული მხარისათვის არც ბრიტანელების პროექტი იყო მისაღები, რომელიც სოჭის ოლქისა და გაგრის ნეიტრალურ ზონად გამოცხადებას გულისხმობდა და საზღვრად მდ. ბზიფს მიიჩნევდა.

გენერალი დენიკინი ცდილობდა საქართველოს წინააღმდეგ, პრორუსულად განწყობილი აფხაზი სეპარატისტები გამოეყენებინა. 1919 წლის თებერვალში, მან ტელეგრამებით მოუწოდა ბრიტანელ გენერლებს მილნსა და უოკერს, რომ მხარი დაეჭრათ მისთვის, რათა ქართული ჯარი აფხაზეთიდან განედევნა და ჩაეშალა აფხაზთა სახალხო საბჭოს არჩევნები. ბრიტანული მისია ცდილობდა კონფლიქტურ მხარეებს შორის საქმე შეიარაღებულ შეჯახებამდე არ მისულიყო. მართალია, ბრიტანეთი ძირითადად დენიკინისა და თეთრი გენერლების ანტიბოლშევიკურ ბრძოლას უჭერდა მხარს, მაგრამ ამავდროულად, ცდილობდა კავკასიური რესპუბლიკებიც დაეცვა რუსული აგრესიისაგან. ბრიტანეთის მისიას ნოე ყორდანიამაც მიმართა. ის მოაგონებდა შუამავლებს რომ ქართული მხედრობა სოჭიდან მხოლოდ იმის გამო გამოვიდა, რომ სადაო ზონის ნეიტრალიზაცია მომხდარიყო. საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე წინადადებას აძლევდა ბრიტანელებს, რომ მოხალისეთა არმიისაგან განმედილიყო სოჭის ოლქი და მისი ნეიტრალიზება გაგრძელებულიყო, სანამ პარიზის კონფერენცია არ გადაწყვეტდა ოლქის კუთვნილების საკითხს. მაგრამ ახლა გამოდიოდა, რომ მოხალისეთა არმიამ მხოლოდ სოჭის ოლქი კი არ მიითვისა, არამედ გაგრაც მიისაკუთრა. დობროარმიის აგრესია ახალი მომხდარი იყო, რომ საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ პარლამენტს საკუთარი მოსაზრება მოახსენა: „ჩვენ გვეუბნებიან, რომ ბზიფის წყალი არის თქვენი საზღვარიო, მაგრამ ეს ასე არაა“. აქ ყორდანიამ ისტორიაც კი მოიშველია, რასაც ადრე ნაკლებად აკეთებდა: „საუკუნეთა განმავლობაში გაგრის ტერიტორია

20 აფხაზეთი საქართველოა. ზ. პაპასქირი და სხვ., გვ. 369.

საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა, ამიტომ ჩვენ მას ვერ დავთმობთ...“.²¹ მსგავსი შემტვევი პათოსითაა გამსჭვალული სოციალ-დემოკრატიული „ერთობის“ ინფორმაცია, სხვა სიტყვებით, მაგრამ იგივე შინაარსით: „თუ დენიკინი არ გავიდა გაგრის ოლქიდან, ისინი უნდა გავდევნოთ. გაგრა ჩვენ მიგვაჩნია სტრატეგიულ საზღვრათ, ისინი გვეუბნებიან რომ თქვენი სტრატეგიული საზღვარი ძიძის (ბზიფის) მდინარეაო. ეს მდინარე არავითარს ჩვენ სტრატეგიულ საზღვარს არ წარმოადგენს, ჩვენი საზღვარი უნდა იყოს ის, რომელიც საუკუნოებით ყოფილა, გაგრის ქიშკარი, ურომლისოდაც შეუძლებელია სახელმწიფოს არსებობა“.²²

1919 წლის 17 აპრილს, დამფუძნებელი კრების მე-11 სხდომაზე განიხილეს სოჭის ოლქის ფრონტზე არსებული მდგომარეობა. წარმოდგენილი იქნა ორი რეზოლუცია. სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის რეზოლუციის მიხედვით: დამფუძნებელი კრება აცხადებდა, რომ მთავრობამ ყოველი ღონე იხმარა სოჭის ფრონტზე ჩვენი რესპუბლიკის უდავო და სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად. აუცილებელი გახდა იარაღით აღდგენა ჩვენი დემოკრატიის უფლებებისა. „დამფუძნებელი კრება დარწმუნებულია რომ საქართველოს რევოლუციონური გვარდია და ჯარი, მთელი თავისი რევოლიუციონური გატაცებით დაიცავს ამ შავზნელ შეიარაღებულ რეაქციის შემოსევისაგან ჩვენს დემოკრატიულ რესპუბლიკას“. აქ იგულისხმებოდა, ქართული ჯარის მიერ მდინარე ბზიფზე გადასვლა, გაგრის ოლქის და მდინარე მესხადირის „სტრატეგიული პუნქტის“ დაკავება.

საწინააღმდეგოდ ამისა, წარმოდგენილი იყო სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქციის რეზოლუცია, რომელიც მიიჩნევდა, რომ „ომის გამოცხადება ან მისი განახლება შეუწყნარებელია“. ამის შემდეგ, ესერების რეზოლუცია ერთის მხრივ მოითხოვდა „რევოლუციის მონაპოვართა დაცვას“ და ამასთანავე, აყენებდა საკითხს, რომ დამფუძნებელ კრებას დაევალებინა მთავრობისათვის „დაუყოვნებლივ დაამყაროს კონტაქტი და კავშირი ყველა იმ ძალებთან, რომელნიც იბრძვიან დენიკინის რეაქციონურ ძალების წინააღმდეგ, რათა ამიერკავკასიის და რუსეთის რევოლიუციონურ დემოკრატიის საერთო ძალ-ღონით აილაგმოს ფეოდალთა შავი რეაქცია“. ანუ, ესერები მოითხოვდნენ საბჭოთა რუსეთთან სამხედრო თანამშრომლობას, მოხალისეთა და ანტანტის წინააღმდეგ.

დამფუძნებელმა კრებამ პირველ, – სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის რეზოლუციას დაუჭირა მხარი.²³ ბრიტანეთის მისიის სამშვიდობო პროექტებს ახლა საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლება გადაუდგა და ენერგიული მოქმედების გზას დაადგა. ჯერ კიდევ მარტის თვეში დაიწყო ქართული სამხედრო ნაწილების შესვლა და განლაგება სოხუმის ოლქის ტერიტორიაზე. მთავარ ძალას კვლავ ვალიკო ჯუღელის ან უკვე სახალხო გვარდიის ნაწილები წარმოადგენდნენ. 16-20 აპრილს დაიწყო და მიმდინარეობდა გაგრის განთავისუფლების ოპერაციები, რომელიც გაგრის განთავისუფლებით დამთავრდა. ქართული ჯარი მდინარე მესხადირის სანაპიროებთან განლაგდა. 17 აპრილის დილის შვიდი საათიდან, როცა გვარდიელებმა მდინარე ბზიფი გადალახეს, როგორც ვალიკო ჯუღელი იხსენებს, ინგლისელმა პოლკოვნიკმა ფაინსმა ტელეფონით საუბარში სთხოვა, რომ ჯარი უკან დაებრუნებინა, მდინარის მარცხენა სანაპიროზე. მაგრამ ჯუღელმა უპასუხა,

21 გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., 20 თებერვალი.

22 გაზ. „ერთობა“, 1919 წ., 20 თებერვალი.

23 საქართველოს დამფუძნებელი კრება. სხდომის ოქმები 7 ტომად, ტ. I, თბ., 2019, გვ. 288.

რომ ეს უკვე შეუძლებელი იყო და „დაამშვიდა“ ინგლისელი პოლკოვნიკი, რომ გვარდიელები ინგლისურ პიკეტებს ხელს არ ახლებდნენ.²⁴

1919 წლის მაისში დენიკინმა სცადა გაგრის დაუფლება, მაგრამ საკმარის ძალებს ვერ მოუყარა თავი და აგრესიული გეგმები მომავლისათვის გადადო. ბრიტანელებმა აიძულეს დობროარმიის მეთაური ანტონ დენიკინი, მოლაპარაკებები გაემართა საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლებასთან. ბრიტანეთის მისია, ცხადია, შუამავლობას კისრულობდა. 1919 წლის მაისში საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას ორჯერ შეხვდა დენიკინის წარმომადგენლის სტატუსით, ბრიტანელი გენერალი ჩარლზ ბრიგსი. 23 მაისს ბრიგსთან შეხვედრას ჟორდანიასთან ერთად ესწრებოდნენ ევგენი გეგეჭკორი, ნოე რამიშვილი და გენერალი ალექსანდრე გედევანიშვილი. მხარეების მოლაპარაკება კვლავ საქართველოსა და დობროარმიის საზღვრებს ეხებოდა. საგარეო საქმეთა მინისტრმა ევგენი გეგეჭკორმა საქართველოს რესპუბლიკის პოზიცია ჩამოაყალიბა: 1. ქართული ჯარის მეხადირის სანაპიროსთან დისლოკაცია; 2. საქართველოში არსებული რუსული საკუთრების ხელშეუხებლობა; 3. სასაზღვრო დავის გადაწყვეტა პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე. თუ მოხალისეთა არმიის ხელმძღვანელობა ამ პირობებზე დათანხმდებოდა, საქართველო მზად იყო შეთანხმება დაედო მასთან.

გენერალმა ბრიგსმა დენიკინის პირობები წარმოადგინა: 1. ქართულ მხედრობას მეხადირიდან მდინარე ბზიფამდე უნდა დაეხია. 2. სოხუმში შეიძლებოდა ქართული ადმინისტრაციის დარჩენა, ოღონდ – დროებით. 3. დენიკინი საქართველოს საშინაო საქმეშიც ერეოდა და მოითხოვდა, თუ მიწების კონფისკაცია მოხდებოდა, მფლობელებს კომპენსაცია აუნაზღაურდებოდათ. მხარეები საზღვრის საკითხში ვერ შეთანხმდნენ. ამ დრომდე, საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლება სოჭს არ თმობდა და არც ჯარის დისლოკაციის ადგილის – მეხადირის დატოვებას აპირებდა. მაგრამ ამის შემდეგ, ბრიტანელების ზენოლის შედეგად, საქართველოს ხელისუფლება დათანხმდა, რომ ქართულ მხედრობას კვლავ უკან დაეხია და მდინარე ბზიფის სანაპიროზე განლაგებულიყო. ევგენი გეგეჭკორმა წერილი გაუგზავნა ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს ლოიდ ჯორჯს და მტკიცე გარანტია მოითხოვა, რომ დენიკინელებს მეხადირი არ გადმოელახათ, ხოლო ბზიფიდან მეხადირამდე ბრიტანული პიკეტები განლაგებულიყო, როგორც ნეიტრალურ ზონაში.²⁵

ამგვარ ვითარებაში მხარეები მოლოდინის რეჟიმში გადავიდნენ, რაც ფაქტობრივად დენიკინის დამარცხებამდე, 1920 წლის მარტამდე გაგრძელდა. გენერალმა ანტონ დენიკინმა საქართველოს რესპუბლიკასთან წვრილმანი ტერიტორიული პრეტენზიები ანაცვალა გონივრულ პოლიტიკას. იმის მაგივრად რომ საქართველოს რესურსი, თუ ვერ გამოიყენებდა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, მშვიდი ზურგით მაინც უზრუნველყო თავისი არმია საქართველოს მხრიდან, პირიქით, მასთან აგრესიულ პოლიტიკას ანაარმოებდა. დობროარმია თავადაც დასუსტდა და საქართველოს რესპუბლიკაც არაერთხელ აზარალა. დობროარმიის თეთრმა გენერლებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს ის, რასაც ამერიკელი ისტორიკოსი ქაზემზადე მშვენივრად მიხვდა და გააცნობიერა რომ თეთრსა და წითელ რუსეთს

24 ჯუღელი ვ., მიმე ჯვარი. სახალხო გვარდიელის ჩანაწერები, თბ., 2022. გვ. 218.

25 გაზ. „კვირის პალიტრა“, 2007 წ., №21-23. საარქივო წყაროებზე დაყრდნობით მოამზადა სიმონ კილაძემ. მასალები საქართველოს ისტორიისათვის. ვინ გადასცა სოჭის ოლქი რუსეთს.

შორის განსხვავებას არ ჰქონდა ადგილი, ორივე სხვა მცირე ქვეყნების დაპყრობის გზას ადგა. რაც შეეხება საქართველოს პოზიციას, ის ერთადერთი იყო, რაც კარგად გამოხატა ეკატერინოდარის მოლაპარაკებებზე ევგენი გეგეჭკორმა: „ჩვენი მიზანია დავიცვათ ჩვენი საზღვრები და ჩვენი რესპუბლიკა ყოველგვარი მტრული ძალებისაგან. ...ჯერჯერობით ჩვენს ამოცანას შეადგენს შენარჩუნება ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკისა, მისი ტერიტორიისა, მისი წესწყობილებისა და მისი უფლებებისა და ჩვენ გავუმკლავდებით ყველას, ვინც კი მოინდომებს ამის წართმევას, ბოლშევიკები იქნებიან ისინი თუ სხვა ვინმე. ფართე დაპყრობით პერსპექტივებს ჩვენ არ ვისახავთ. ჩვენ გვინდა მხოლოდ ჩვენი ერი გადავარჩინოთ ფიზიკურ განწყვეტას...“.²⁶

სოჭის და ზოგადად საზღვრების საკითხმა, ხანგრძლივი დებატები გამოიწვია საქართველოს დამფუძნებელ კრებაში და პრესაში. პარტიების უმრავლესობა თითქოს პატრიოტულმა აღტკინებამ მოიცვა. ისინი სოჭის ოლქის შენარჩუნებას და დენიკინელთა წინააღმდეგ მოქმედების გაგრძელებას მოითხოვდნენ. „ჯიქეთი საქართველო-აფხაზეთის ბუნებრივი გაგრძელებაა, იგი აფხაზ-უბიხების სამშობლოა და ავტონომიურ აფხაზეთთან ერთად დღეს საქართველოს კანონიერ საზღვრებში შემოდის“, – წერდა ეროვნულ-დემოკრატიული გაზეთი „საქართველო“.

1919 წლის 17 აპრილის დამფუძნებელი კრების სხდომაზე, საგარეო საქმეთა მინისტრმა, ევგენი გეგეჭკორმა განცხადება წაიკითხა. მინისტრმა დეპუტატებს გააცნო ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ რაიონში შექმნილი სამხედრო ვითარება და აუხსნა, რამ გამოიწვია მთავრობის მიერ მიღებული ზომები. ეს ის დრო იყო, როცა სახალხო გვარდიელები და ჯარის ნაწილები შეტევაზე გადავიდნენ და გაგრის დაკავებისათვის იბრძოდნენ. მოკლედ მინისტრის განცხადების შესახებ:

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას ჰქონდა „მოკავშირეთა სარდლობის“ მიერ დაპირებული გარანტია, რომ დენიკინი არ გადმოლახავდა სოჭის ოლქის საზღვრებს. მიუხედავად ამისა, დენიკინი და მისი შტაბი, „ვერაგულად დაეცა ჩვენს ჯარებს“, დაიკავა სოჭისა და გაგრის ოლქები და მოვიდნენ მდინარე ბზიფამდე. მიუხედავად ჩვენი ცდებისა, მოკავშირეთა მისიამ ვერ შეძლო გარანტიების უზრუნველყოფა და ამიტომ სამი თვის ცდის შემდეგ „საქართველოს მთავრობას რასაკვირველია, არ ჰქონდა უფლება... არ დაეჭირა ის პუნქტი, რომელიც მას სტრატეგიულად საჭიროდ და აუცილებლად მიაჩნია, და ამიტომაც მთავრობამ ეს გადაწყვეტილება მიიღო“. მინისტრს მხედველობაში ჰქონდა და მოახსენა კიდევ კრებას, რომ გვარდია და ქართული ჯარი გავიდა მდინარე ბზიფამდე და „წაიწია წინ“.

„მე მგონია, მოქალაქენო, ამ საპასუხისმგებლო მომენტის დროს მთელი ჩვენი ხალხი კვლავინდებურად, ისე, როგორც წინად, ფეხზე დადგება და შეეცდება შეებრძოლოს ყოველნაირ საფრთხეს, არის ეს საფრთხე მოხალისეების რეაქციისა, თუ ბოლშევიკების ანარქიისა. აი სწორედ ამ იმედით, ამ ხალხის თანაგრძნობით, ჩვენ გადავდგით ეს ნაბიჯი და ჩვენ დარწმუნებულნი ვართ რომ მთელი ხალხი ერთსულოვანად დაიცავს ჩვენს რესპუბლიკას და თავისუფლებას (ტაში)“.²⁷

აქ ჩვენ მხოლოდ კრების სხდომაზე გამომსვლელებს და საერთო პათოსს გადმოვცემთ. რაჟღერ არსენიძე (სოციალ-დემოკრატი): ჩვენი რესპუბლიკის მთავრო-

26 მაზნიაშვილი გ., მოგონებანი, გვ. 93-94.

27 საქართველოს დამფუძნებელი კრება. სხდომის ოქმები 7 ტომად, ტ. I, თბ., 2019. გვ. 272-273.

ბას მიზნად არა აქვს სისხლისღვრა, სამოქალაქო და არც საგარეო ომი. მას ერთი მიზანი აქვს – ქვეყნის საზღვრების დაცვა და მშვიდობა მეზობლებთან. საქართველო არც ერთხელ არ გამოსულა „თავდამსხმელის როლში, არამედ სულ თავს იცავდა. ახლაც ასე მოხდა. საქართველო იძულებული გახდა, რომ ხელი იარაღისათვის მოეკიდა. ამჯერად ჩვენ საქმე არა გვაქვს რომელიმე სახელმწიფოსთან. ჩვენი მონინალმდეგე არის ჯარი, რომელიც ვისაც დაიპყრობს იმას იმორჩილებს, არბევს, სძარცვავს და მოპოვებული ქონებით ცხოვრობს. მასთან არ სჭრის ზავი და მოლაპარაკება“. არსენიძე ხაზს უსვამდა, რომ განსხვავებით მოხალისეთა არმიისაგან, საქართველოს არავითარი გაუგებრობა არ ჰქონდა ყუბანის რესპუბლიკასთან და შავიზღვისპირეთის მოსახლეობასთან.

თევდორე ლლონტი (სოციალისტ-ფედერალისტი): ფედერალისტური პარტია მხარს უჭერდა საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცებისაკენ მიმართულ ყოველგვარ ქმედებას. ორატორმა მიიჩნია, რომ დენიკინის არმიის გამარჯვება ნიშნავდა საქართველოს დამოუკიდებლობის „განადგურებას“. დენიკინს უნდოდა რომ საქართველოში არავითარ დემოკრატიას არ ეარსება, ეს იყო რეაქციონური ძალა, რომლის არსებობაც კი უბედურების მომტანი იქნებოდა საქართველოსათვის ადრე თუ გვიან. ამიტომ სოციალისტ-ფედერალისტი ორატორი მიესალმებოდა „ჩვენი ჯარის შეტევაზე გადასვლას დენიკინის ჯარების წინააღმდეგ, როგორც რეაქციონური ძალების მოსასპობად მიღებულ ზომას.“ თ. ლლონტის სიტყვა არ იყო მოკლებული ემოციას, როცა მოითხოვდა დენიკინის „ბანდის“, ამ „სახელმწიფოებრივი პროტოპლაზმის“ მოსპობას. მეტიც, მან დენიკინის არმიის განადგურება საერთაშორისო დემოკრატიათა საქმედ გამოაცხადა და „საერთაშორისო რევოლუციის თვალსაზრისით უნდა შევხედოთ ჩვენს შესვლას სოჭის ოლქში“, – განაცხადა. ეს უკვე პატრიოტულ-სოციალისტური ექსტაზი გახლდათ. ლლონტმა დეპუტატებს განუმარტა, თუ როგორ სიხარულს გამოიწვევდა ქართული ჯარის შესვლა სოჭში. როგორც ჩანს, ფედერალისტ დეპუტატს ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა მოხალისეთა არმიის სამხედრო რესურსზე.

ივანე გობეჩია (ესერი): როგორც ყოველთვის, ესერი დეპუტატის გამოსვლა, ახლაც კრიტიკულ-რადიკალური იყო მთავრობის მიმართ. მან მთავრობა დაადანაშაულა, რადგან ამ უკანასკნელმა, დამფუძნებელი კრების დაუკითხავად დაიწყო მოქმედება მოხალისეთა არმიის წინააღმდეგ და ამით დაარღვია დამფუძნებელი კრების „პრესტიჟი“ და „კომპეტენცია“. ესერმა დეპუტატმა შემთხვევა არ გაუშვა ხელიდან და მთავრობას ბრალი დასდო საკანონმდებლო ორგანოს, დამფუძნებელი კრების უფლებამოსილების დარღვევაში. მეტიც, ესერთა ფრაქციამ „ენერგიული პროტესტი“ გამოთქვა მთავრობის მისამართით. ესერ დეპუტატს სხვა შენიშვნაც ჰქონდა მთავრობის მიმართ. გობეჩია იმეორებდა მთავრობის პოზიციას, რომ ის საქართველოს მტრად მიიჩნევდა მოხალისეთა არმიასაც და მასთან მებრძოლ ბოლშევიკებსაც და კითხულობდა: თუ ორივე მხარეს უნდა ვებრძოლოთ, აქვს ამისი შესაძლებლობა საქართველოს? „ნუ თუ შეგვწევს ძალა ყველას ვებრძოლოთ?“ – რიტორიკულად სვამდა კითხვას ესერი დეპუტატი და უარყოფითად სცემდა პასუხსაც, რომ საქართველო არ იყო იმდენად ძლიერი, ორივე მტერს ვებრძოლებოდა. ივანე გობეჩია სთავაზობდა მთავრობას, დახმარება მოხალისეთა არმიის წინააღმდეგ მებრძოლი ბოლშევიკებისათვის გაენიათ.

ხელმეორედ განმარტებისათვის გამოსულმა გეგეჭკორმა გაიმეორა თვალსაზრისი, რომ მოხალისეთა არმიაც და ბოლშევიკებიც, გამარჯვების შემთხვევაში

- ორივე საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგი იყო და საფრთხეს წარმოადგენდნენ.

გიორგი გვაზავა (ეროვნულ-დემოკრატი) „დიდი სიხარულით“ მიესალმა მთავრობის მიერ მიღებულ ზომებს, როგორც ქართული სახელმწიფოებრიობის განმტკიცებისკენ გადადგმულ ნაბიჯებს. სახელმწიფოსთვის აუცილებელია საკუთარი საზღვრების დადგენა და დაცვა და აქ მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს, მონინააღმდეგე რევოლუციონერია თუ არა. პარიზში რუსმა პოლიტიკოსებმა შექმნეს კომიტეტი, რომელშიც შედიან სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლები, მაგ., კადეტი მილიუკოვი, ექსმინისტრი საზონოვი, ესერი ბორის სავინკოვი და ა. შ. ამ კომიტეტის მიზანია გაერთიანება და რუსეთის აღდგენა ძველი იმპერიის საზღვრებში. ამიტომ, მნიშვნელობა არა აქვს, პარტიულობას, მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მოხალისეთა არმიას, საქართველოს განადგურება უნდა. ამიტომ, „ჩვენ სრულიად ვიზიარებთ მთავრობის აზრს და მხარს უჭერთ იმ ნაბიჯს, რომელიც გადადგა მან“.²⁸

როგორც ზემოთ აღინიშნა, დამფუძნებელ კრებაში წარმოდგენილი იყო ორი რეზოლუცია. ერთი იყო ესერების რეზოლუციის პროექტი, რომელიც იწონებდა მოხალისეთა არმიის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედების განახლებას, მაგრამ მოითხოვდა, დენიკინთან მეზობლ ძალებთან, ე. ი. ბოლშევიკურ რუსეთთან კავშირის დამყარებას. კრებამ მიიღო სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მიერ შემუშავებული რეზოლუციის პროექტი, რომელიც იწონებდა მთავრობის მიერ მიღებულ ზომებს. ასე რომ საბოლოოდ, დამფუძნებელი კრების ყველა ფრაქციამ მხარი დაუჭირა მოხალისეთა არმიის წინააღმდეგ შეტევას და საქართველოს კანონიერი საზღვრების აღდგენას, რომელიც უნდა გამოხატულიყო გაგრის რაიონიდან დენიკინელთა განდევნით. 1919 წლის მაისში ბრიტანეთის მისია კიდევ ერთხელ შეეცადა დაერეგულირებინა საქართველოსა და მოხალისეებს შორის ურთიერთობა საზღვრების საკითხში. დენიკინელები ისევ მოითხოვდნენ გაგრის მონაკვეთიდან ქართული ჯარის გაყვანას. მოლაპარაკებიდან კვლავ არაფერი გამოვიდა.

დაახლოებით ამგვარი ძალთა და აზრთა განწყობილება იყო საქართველოს მთავრობაში და საკანონმდებლო კრების ფრაქციებში 1919 წლის გაზაფხულისთვის, როცა მოვლენები საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ სასაზღვრო რეგიონში დაძაბული მშვიდობიანობის ვითარებაში გრძელდებოდა. 1919 წლის თებერვალ-აპრილის მოვლენების შემდეგ, საქართველოსა და მოხალისეთა არმიის წინააღმდეგობა, გაგრძელდა სხვა გეოგრაფიულ რაიონში და სხვა ფორმით.

1919 წლის გაზაფხულზე, დენიკინის არმიამ ჩრდილო-კავკასიის მთიელთა რესპუბლიკას შეუტია. მთიელები მამაცურად ებრძოდნენ დამპყრობლებს, მაგრამ დამარცხდნენ. მოხალისეთა არმიამ მთელი მთიელთა რესპუბლიკა დაიპყრო, რომლის მთავრობამაც თბილისს შეაფარა თავი. საქართველოს დედაქალაქში მიმდინარეობდა მთიელთა რესპუბლიკის მეჯლისის მუშაობა, გამოდიოდა გაზეთი და სხვ.

1919 წლის 1 ივნისს საგარეო საქმეთა მინისტრმა ევგენი გეგეჭკორმა დამფუძნებელ კრებას მოახსენა საქართველოს ჩრდილოეთით შექმნილი მდგომარეობის შესახებ. მინისტრმა კრებას განუმარტა თეთრგვარდიელი გენერლის დენიკინის მოხალისეთა არმიის მიერ მთიელთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეჭრისა და დერბენტისა და პეტროვსკის ალების შესახებ. ჯერ გეგეჭკორმა, შემდეგ სამხე-

28 საქართველოს დამფუძნებელი კრება. სხდომის ოქმები 7 ტომად, ტ. I, თბ., 2019, გვ. 285.

დრო მინისტრმა ნოე რამიშვილმა და ყველა ფრაქციამ, ერთხმად დაუჭირეს მხარი სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მიერ წარმოდგენილ „ფორმულას“ რომელშიც ვკითხულობთ (შემოკლებით): „დამფუძნებელი კრება დარწმუნებულია, რომ ჩვენი სახელოვანი ჯარი და გვარდია ღირსეულად შეხვდება მტერს და მთელ თავის ძალღონით დაიცავს საქართველოს რესპუბლიკის ღირსებას და ხელშეუხებლობას. დამფუძნებელი კრება მოუწოდებს მთელს დემოკრატიას, მთელს ერს, შემოკრბეს მთავრობის გარშემო“.²⁹ ყველა ფრაქციის ერთსულოვნება მოხსენებებით გამოთქვეს სოციალისტ-ფედერალისტმა შ. მესხიშვილმა, ესერმა ი. გობეჩიამ, ეროვნულ-დემოკრატიკმა სპ. კედიამ, სოციალ-დემოკრატებმა რ. არსენიძემ, ვ. ჯუღელმა და სხვ. როგორც იტყვიან, დამფუძნებელი კრება გახდა მთელი ფრაქციული სპექტრის, პოზიციისა და ოპოზიციის იშვიათი ერთიანობის მონმე.

დობროარმიის აგრესიის საფრთხე რეალური გახდა იმდენად, რომ საქართველომ და აზერბაიჯანმა 1919 წლის 16 ივნისს ურთიერთდახმარების ხელშეკრულება გააფორმეს. საქართველო და აზერბაიჯანი მაშინაც ენერგიულად ეხმარებოდნენ მთიელებს, როცა ეს უკანასკნელნი 1919 წლის აგვისტოში აჯანყდნენ. დახმარება გამოიხატებოდა იარაღით, სამხედრო სპეციალისტებით, ფინანსურად, დიპლომატიური დემარშებით და სხვ. მთიელთა რესპუბლიკისა თუ აჯანყებულთა მხარეზე იბრძოდა ქართული ლეგიონი ლეო კერესელიძის მეთაურობით, რომელიც ერთ ხანს მთიელთა რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი იყო.

მთელი ამ თვეების განმავლობაში, მიმდინარეობდა ცდები, რომ გარკვეულნი ლად მოგვარებულიყო საქართველოსა და მოხალისეთა არმიის ურთიერთობა. დენიკინის მიზანი იყო, საქართველოს შეენწყვიტა მთიელთა რესპუბლიკისათვის სამხედრო-პოლიტიკური მხარდაჭერა, თუმცა ეს ისე უნდა მომხდარიყო, რომ გენერლის პრეტენზიები უცვლელად დარჩენილიყო საზღვრების საკითხში. დენიკინმა თბილისის მთავრობასთან მოსალაპარაკებლად გამოგზავნა გენერალი ნიკოლაი ბარათოვი, როგორც თავისი წარმომადგენელი თბილისში. მოლაპარაკებები უშედეგოდ დასრულდა, რადგან ქართველები უკან არ იხევდნენ.

დენიკინმა ბრიტანელებს მოსთხოვა, როგორმე უზრუნველყოთ მისთვის ზურგის უსაფრთხოება. მას შემდეგ, რაც თეთრი გენერლის ვერც ეს მოთხოვნა იქნა უზრუნველყოფილი, 1919 წლის ნოემბერში, დენიკინმა გენერალი ბარათოვი თბილისიდან გაიწვია, ხოლო სამხრეთ რუსეთის თეთრმა მოძრაობამ, საქართველო ეკონომიკურ ბლოკადაში მოაქცია. ქაზემზადეს მოჰყავს ამონარიდი დენიკინის 1919 წლის 19 ნოემბრის ბრძანებიდან: „საქართველოსა და აზერბაიჯანის თვითგამოცხადებულ წარმონაქმნებს, რომლებიც რუსული სახელმწიფოს ინტერესების საზიანოდ აღმოცენდნენ და რუსული სახელმწიფოებრიობის იდეისადმი აშკარად მტრულად არიან განწყობილნი, საშუალებას ვერ მივცემ, სურსათის მარაგები ბოლშევიკებისაგან განთავისუფლებული რუსეთის ტერიტორიების ხარჯზე მიიღონ“.³⁰

დენიკინი კვლავ მოითხოვდა ქართველებს საერთოდ „გაენმინდათ“ სოჭის ოლქი და უკან დაეხიათ. რას გულისხმობდა დენიკინი სოჭის ოლქის „განმენდაში“? საქმე ის გახლდათ, რომ შავიზღვისპირეთში, თვეების მანძილზე მიმდინარეობდა ე. წ. ჩერნომორიეს გლეხთა მოძრაობა, მოხალისეთა არმიისა და თეთრი გენერლების წინააღმდეგ. ამ გლეხურ გამოსვლებს მწვანეების მოძრაობასაც უწოდებ-

29 საქართველოს დამფუძნებელი კრება. სხდომის ოქმები 7 ტომად, ტ. II, თბ., 2019, გვ. 75.

30 ქაზემზადე ფ., ბრძოლა ამიერკავკასიისათვის. 1917-1921, თბ., 2016. გვ. 306-307.

დნენ. ოქტომბერში მოხალისეთა არმიის ნაწილებმა მწვანეების ჯანყი ჩააქრეს. ცნობილი იყო რომ საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლება აქტიურად უჭერდა მხარს მწვანეებს და ეხმარებოდა კიდევ მათ. აჯანყების დამარცხების შემდეგ, საქართველო მაინც განაგრძობდა მწვანეების დახმარებას. 1919 წლის 18 ნოემბერს, საქართველოს ხელისუფლების ფარული მხარდაჭერით, გაგრაში შედგა შავიზღვისპირეთის გლეხობის დელეგატთა ყრილობა, რომელმაც აირჩია „განთავისუფლების კომიტეტი“. ამ უკანასკნელმა შექმნა სახალხო ლაშქარი, რომელიც ადღერის მიმართულებით დაიძრა. მას ფარულად მხარს უჭერდა სახალხო გვარდია. საქართველოს ხელისუფლება თითქოს ოფიციალურად, გაემიჯნა სახალხო გვარდიის თვითნებურ მოქმედებას. ყოველ შემთხვევაში, იგი უფროსი და, დენიკინელების წინააღმდეგ პირდაპირ შეტევით მოქმედებას. ზემოაღნიშნული დენიკინის ქედმაღლური ბრძანება, როგორც აღვნიშნეთ, 1919 წლის 19 ნოემბერს გამოიცა, ამ დროს თეთრგვარდიელი გენერალი წარმატების ზენიტში იმყოფებოდა. დაახლოებით ამ დროს წარმოთქვა ლევ ტროცკიმ თავისი ცნობილი სიტყვები, ჩვენ უკვე გარდაცვლილები ვართ, საქმე მეკუბოვეზეაო. მაგრამ უკვე ორი თვის მერე, დენიკინი იძულებული გახდა ტონი შეეცვალა და ელიარებინა სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების დე ფაქტო დამოუკიდებლობა, მას შემდეგ, რაც იგივე გააკეთეს ანტანტის წამყვანმა სახელმწიფოებმა. თუმცა ეს „ცნობა“ ნაძალადევი, ფორმალური და ბუნდოვანიც კი იყო. აი რა განაცხადა 1920 წლის თებერვალში ანტონ დენიკინმა: „1. მე ვაღიარებ განაპირა მხარეებში არსებული იმ მთავრობების ფაქტობრივ დამოუკიდებლობას, რომლებიც აწარმოებენ ბოლშევიზმთან ბრძოლას.

2. განაპირა მხარეების ურთიერთობის დამყარება რუსეთთან მოხდება საერთო-რუსული მთავრობის განაპირა მხარეების მთავრობებთან მოლაპარაკებების გზით, ამასთან, დაშვებული იქნება შეთანხმების სახელმწიფოების შუამავლობა“.

რა თქმა უნდა, „ერთიანი და განუყოფელი რუსეთის“ ლოზუნგის ისეთი ერთგული ჯარისკაცისაგან, როგორც ანტონ დენიკინი იყო, რომელიც განაპირა მთავრობებზე საუბარი წარმოუდგენელი დათმობის მანიშნებელი იყო. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, დენიკინმა იმდენი მაინც მოახერხა, რომ არცერთი სახელმწიფო კონკრეტულად არ დაუსახელებია. მაგრამ აღიარების პროცესი მაინც დაიწყო. 1920 წლის მარტში დენიკინმა მოსალაპარაკებლად დელეგაცია გამოგზავნა საქართველოსა და აზერბაიჯანში, თითქოს ანტიბოლშევიკური სამხედრო შეთანხმებისათვის. მოინიშნა მოლაპარაკებების თემატიკაც – საქართველოსათვის ეკონომიკური ბლოკადის მოხსნა; საქართველოს დახმარების საკითხი კაზაკებისათვის, რომელნიც ბოლშევიკებს ებრძოდნენ და სხვ.³¹ მაგრამ ამგვარ მოლაპარაკებებს პერსპექტივა აღარ ჰქონდა, ყოველ შემთხვევაში, უშუალოდ დენიკინისათვის. ფირუზ ქაზემზადემ უფრო მოხდენილად დანერა: ისტორიას დენიკინისათვის იმის დრო აღარ დაუტოვებია, ამ ახლებური დამოკიდებულების გულწრფელობა დაემტკიცებინაო.³² ჩვენ კი იმას დავამატებდით, რომ პოსტიმპერიული სახელმწიფოებისთვის, მხოლოდ ჩასაძირავად განწირული რუსი გენერლები და პოლიტიკოსები თუ იმეტებდნენ ბუნდოვან დაპირებებს და ისიც იმ შემთხვევაში, როცა ამ მინიმუმის განხორციელება კი აღარ შეეძლოთ.

31 Раевский А., Английская интервенция и мусаватское правительство. Баку. 1927. Стр., 177.

32 ქაზემზადე ფ.. ბრძოლა ამიერკავკასიისათვის, გვ. 309.

1918-1919 წლები იყო თეთრი მოძრაობის შექმნის, აღმავლობისა და ძლიერების პერიოდი. დენიკინის კონტროლქვეშ არსებულ დიდ ტერიტორიაზე, მცირე ხნის მანძილზე, წარმოიქმნა ან არსებობა გააგრძელა მრავალმა პოლიტიკურმა პარტიამ და ჯგუფმა. ბუნებრივია რომ ამ ტერიტორიაზე სჭარბობდნენ მემარჯვენე მიმართულების ნაციონალისტური პარტიები და მიმდინარეობები. ჩვენთვის საინტერესოა, როგორ წარმოედგინათ ამ პარტიებს და პოლიტიკურ ორგანიზაციებს, ეროვნებებისა და ეთნოსების ადგილი მომავალ რუსეთში, როგორი იყო მათი პოზიცია ეროვნულ საკითხში. ზოგიერთი მათგანი გავიხსენოთ.

მათი უმრავლესობა მიზნად ისახავდა რუსეთის მონარქიის აღდგენას. ერთ-ერთი მსხვილი ორგანიზაცია, რომელიც ცდილობდა გამაერთიანებელი როლი შეესრულებინა ანტიბოლშევიკურ მოძრაობაში, იყო „რუსეთის სახელმწიფოებრივი გაერთიანების საბჭო“, რომელიც 1918 წლის სექტემბერში შეიქმნა და ძირითადად დობროარმიის კონტროლქვეშ არსებულ სამხრეთ რუსეთის ტერიტორიაზე მოქმედებდა.

ერთ-ერთი გავლენიანი პოლიტიკური ორგანიზაცია იყო „რუსული ნაციონალური თემების კავშირი“. მისი მიზანი ჩამოყალიბებული იყო წესდებაში: „რუსული ნაციის გაერთიანება, გაძლიერება და აღორძინება რომელიც დიადი კულტურული ღირებულებების მატარებელია და ემსახურება მთელი კაცობრიობის ინტერესებს. დიადი, ერთიანი და განუყოფელი რუსეთის აღდგენა და აყვავება. რუსეთის სახელმწიფოს აღდგენა საზღვრებში, რომელშიც არსებობდა 1914 წლამდე, პოლონეთის გამონაკლისით“. შეგვიძლია აქ შეგვეწყვიტა ციტირება, რადგან „რუსული თემთა კავშირი“, რომელიც ყველაზე გავლენიან პოლიტიკურ ორგანიზაციას წარმოადგენდა დენიკინურ სამხრეთ რუსეთში, არ ცნობდა იმ დროს არსებულ არც დამოუკიდებელ საქართველოს და არც სხვა პოსტიმპერიულ ყოფილი კოლონიების დამოუკიდებლობას.

მაგრამ რას პირდებოდნენ რუსი მეთემე ნაციონალისტები ყოფილ კოლონიებს? „რუსულმა ნაციამ და აღორძინებულმა რუსეთმა უნდა დაიკავოს წამყვანი მდგომარეობა, ხალხი-მეპატრონის მდგომარეობა, კუთვნილი ისტორიული უფლებით... რუსეთის ტერიტორიის შემადგენლობაში შემავალი ეროვნებები (და არა – ერები, - დ. შ.) სარგებლობენ ნაციონალ-კულტურული და რელიგიური თვითგამორკვევის უფლებით“.³³

1919 წლის ივნის-ივლისში გაიმართა მემარჯვენე ნაციონალისტური ორგანიზაციების რამდენიმე ყრილობა, თითქოს გამაერთიანებელი ცენტრალური ორგანიზაციის შექმნის მიზნით. ერთ შემთხვევაში შეიქმნა „მემარჯვენე ნაციონალური ბლოკი“, მეორე შემთხვევაში კი – „სრულიად რუსეთის მონარქისტული კავშირი“. მიუხედავად ამისა, გაერთიანება არ მოხერხდა, იმის გამო, რომ მონარქიის აღდგენის იდეას იმდენი მომხრე აღარ ჰყავდა. მონარქიის იდეას თეთრი გენერლებიც კი აღარ უჭერდნენ ღიად მხარს, მაგ., კოლჩაკი და კრასნოვი.

მოსალოდნელი იყო რომ მემარჯვენე ნაციონალისტებისა და მონარქისტებისაგან განსხვავებით, შედარებით ცენტრისტულ-ლიბერალური პარტიები უფრო ღმობიერნი იქნებოდნენ ეროვნულ საკითხში. ასეთთა მიმართულებას ეკუთვნოდა ე. წ. „რუსეთის აღორძინების კავშირი“, რომელშიც შედიოდნენ: მემარცხენე

33 Бутаков Я., Русские националисты и белое движение в 1919 году. <https://cyberleninka.ru/article/n/russkie-natsionalisty-i-beloe-dvizhenie-na-yuge-rossii-v-1919-g>

კადეტები, ენესები ანუ სახალხო სოციალისტები ან მემარჯვენე ესერები. მაგრამ „აღორძინებულ რუსეთში“ ისინიც მოიაზრებდნენ 1914 წლამდე საზღვრებს, გარდა პოლონეთისა და ფინეთისა. კადეტების ლიბერალურად განწყობილი ნაწილი უფრო დამთმობი იყო და მომავალ რუსეთში უშვებდა უკრაინის ავტონომიას, ხოლო ლატვიას და ლიტვას გერმანიას უთმობდა, მაგრამ ეს ხდებოდა ჯერ კიდევ გერმანიის ძლიერების ხანაში – 1918 წელს. გერმანიის დამარცხების შემდეგ, კადეტები კიდევ უფრო დაუახლოვდნენ მემარჯვენეებს, ანტანტის ორიენტაცია აიღეს და კონსტიტუციური მონარქიის ლოზუნგს მიემხრნენ.³⁴ მოგვიანებით კადეტებმა შექმნეს ე. წ. „ნაციონალური ცენტრი“ და ორიენტაცია აიღეს რუსეთის ნაციონალური ძალებისა და ერთობის პოზიციისკენ. რაც მთავარია, მათთვისაც წმინდა იდეას წარმოადგენდა „ერთიანი რუსეთი“. კადეტები რუსეთის აღორძინების პრაქტიკულ განმახორციელებლად თვლიდნენ თეთრ გენერლებს და მჭიდროდ თანამშრომლობდნენ კოლჩაკთან, იუდენიჩთან და დენიკინთან.

1919 წლის ნოემბერში ხარკოვში ჩატარდა კადეტების კონფერენცია, რომელსაც უნდა განესაზღვრა სტრატეგიული პოზიციები. კონფერენციამ კიდევ ერთხელ გარკვევით დაუჭირა მხარი „სამხედრო დიქტატურას“ რუსეთში. რეზოლუციაში ეროვნული საკითხის შესახებ, კონფერენციამ უარყო რუსეთის ფედერაციულ საწყისებზე მოწყობის იდეა, ცენტრალიზებული სამხედრო დიქტატურის სასარგებლოდ.

რაც შეეხება მემარცხენე ტიპის პარტიებს, ისეთებს, როგორც იყვნენ – ესერები, სოციალ-დემოკრატი მენშევიკები, ანარქისტები და მსგავსნი მათნი, ისინი, მცირე გამონაკლისის გარდა, მემარჯვენე ფრონტის მიერ არ განიხილებოდნენ მოკავშირეებად ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში. პირიქით, ყველა სახეობის სოციალისტური პარტია თუ ორგანიზაცია, ანტიბოლშევიკურ ბანაკს მიაჩნდა რუსეთის დამღუპველ და მტრულ ძალად.

ანტიბოლშევიკური ფართო ფრონტი, თავისი სამხედრო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური სპექტრით, მთლიანად გამოდიოდა „ერთიანი და განუყოფელი რუსეთის“ ლოზუნგით და ძირეულად გამორიცხავდა პოსტიმპერიულ სივრცეში წარმოქმნილ ახალი დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოების არსებობას. ეს მყარად იცოდნენ საქართველოში და სამართლიანად განიხილავდნენ რუსეთის თეთრ მოძრაობას, დამოუკიდებელი საქართველოსათვის მტრულ რეაქციულ ფაქტორად და ეგზისტენციალურ საფრთხედ.

ანტიბოლშევიკური პარტიები და ორგანიზაციები, როგორც პოლიტიკური ძალა, მთლიანად იყო დამოკიდებული თეთრი არმიებისა და გენერლების სამხედრო წარმატებებზე. 1919 წლის იანვარში ჩრდილოეთ კავკასიის დაპყრობისა და საბჭოთა მეთერთმეტე არმიის დამარცხების შემდეგ, დენიკინის არმია დონბასში და დონის რაიონებში შევიდა. დენიკინის არმიის გარშემო გაერთიანდა სამხრეთ რუსეთის ტერიტორიაზე მოქმედი ყველა სხვა არმია და სამხედრო ძალა. გაერთიანებულ ძალებს ეწოდებოდათ სამხრეთ რუსეთის შეიარაღებული ძალები – დობროარმიის, დონის, კაზაკთა, თურქესტანისა და შავი ზღვის ფლოტის შემადგენლობით. მიუხედავად გაერთიანებისა, საბჭოთა არმიების და შეიარაღებული ძალების რაოდენო-

34 Можаяева Л., Партии и организации антибольшевистского лагеря. Новый исторический вестник. 2007. 08. 03. Стр., 1-11. <https://cyberleninka.ru/article/n/partii-i-organizatsii-antibolshevistskogo-lagerya-1>

ბა ბევრად სჭარბობდა თეთრების ძალებს. ადრე თუ გვიან, უპირატესობა საბჭოთა ჭარბი არმიების მხარეზე უნდა გადასულიყო და ასეც მოხდა.

1919 წლის 12 სექტემბერს ანტონ დენიკინმა მოსკოვზე საერთო შეტევის ბრძანება გასცა. ოქტომბრის ბოლომდე შეტევა წარმატებით მიმდინარეობდა. მაგრამ ოქტომბრის მეორე ნახევარში ფრონტის ცალკეულ მონაკვეთებზე საბჭოთა არმიებმა უკვე მიაღწიეს გადამწყვეტ რაოდენობრივ უპირატესობას. საილუსტრაციოდ შეიძლება გავიხსენოთ, რომ ორიოლ-კურსკის მონაკვეთზე საბჭოელების 62 000-იანმა ხიშტმა წამოიწყო კონტრშეტევა თეთრების 22 000-იანი ხიშტის წინააღმდეგ. დაახლოებით ასეთი ძალთა შესაბამისობა იყო მოსკოვის წინააღმდეგ განლაგებული ფრონტის სხვა მონაკვეთებზეც. ოქტომბრის ბოლოს დენიკინელები უკვე ძალაგამოცლილ თავდაცვაზე გადავიდნენ, ხოლო 1920 წლის დასაწყისში ზედიზედ დატოვეს ხარკოვი, კიევი, კურსკი, როსტოვი... და მთელი რიგი სტრატეგიული პუნქტები, რაც მალე „სამხრეთ რუსეთის შეიარაღებული ძალების“ საერთო უკანდახვევაში გადაიზარდა.

სხვათა შორის, ომის ამ გადამწყვეტ ფაზაში, ეროვნული პრობლემის შეუფასებლობამ და თანდაყოლილმა შოვინიზმმა, საბედისწერო როლი ითამაშა დენიკინისა და მისი არმიისათვის.

საბჭოთა რუსეთს, გარდა „სამხრეთ რუსეთის შეიარაღებული ძალებისა“, ებრძოდა პოლონეთი. დენიკინის ვერსიის მიხედვით, მან პოლონეთს შესთავაზა ერთობლივი მოქმედება საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, 1919 წლის შემოდგომაზე, რაც ითვალისწინებდა საბჭოთა მეთორმეტე არმიის განადგურებას. ეს არმია დისლოცირებული იყო კიევის ახლოს და მისი ლიკვირება ძნელი არ იყო, მთავარსარდლის აზრით. მაგრამო, – წერს დენიკინი, მოგვიანებით თავის ერთ-ერთ ნარკვევში, პილსუდსკიმ საიდუმლო კავშირი დადო საბჭოთა რუსეთთან და მასთან სამხედრო მოქმედებები შეწყვიტა, რამაც საბჭოთა მხარეს საშუალება მისცა, მთელი სამხედრო რესურსი მიემართა მოხალისეთა არმიების წინააღმდეგ.

დენიკინი მოგვიანებით ირწმუნებოდა რომ მან ცნო პოლონეთის სრული დამოუკიდებლობა, ჯერ კიდევ გერმანულ-ავსტრიული ზეგავლენების პერიოდში.³⁵ მაგრამ დენიკინის რწმუნებებს ეწინააღმდეგება სხვა მონაცემები. განსხვავებული ინფორმაციების მიხედვით, ერთიანი და განუყოფელი რუსეთის იდეის ერთგულმა დენიკინმა, არ სცნო პოლონეთის დამოუკიდებლობა და მისთვის მხოლოდ ავტონომიის შესაძლებლობა დაუშვა, ისიც 1815 წლის ვენის კონგრესის მიერ ცნობილი საზღვრების ჩარჩოში. ამ ვერსიის თანახმად, დენიკინმა არ დაუთმო პოლონელებს და მათს ლიდერს იოზეფ პილსუდსკის და ამის შედეგად მოიმკო, პოლონელების დროებითი დაზავება საბჭოთა რუსეთთან. დენიკინის სიჯიუტე კი მოხალისეთა არმიას უპირობო დამარცხებად დაუჯდა.³⁶

1920 წლის მარტ-აპრილიდან დაიწყო რუსეთში მიმდინარე სამოქალაქო ომის მესამე დამასრულებელი ეტაპი. 1920 წლის 22 აპრილს (4 აპრილს), სამხრეთ რუსეთის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად, გადამდგარი დენიკინის ნაცვ-

35 Буккер И., Генерал Деникин о предательстве Польши и Самостиинности Украины. 2006. 11. 07. <https://www.pravda.ru/world/190368-denikin/>

36 Юзеф Пильсудский и его амбициозные планы о создании Великой Польши. Международные отношения. Казань. М., 2020; 8(4). <https://cyberleninka.ru/article/n/yuzef-pilsudskiy-i-ego-ambitsioznye-plany-o-sozdanii-velikoy-polshi> .

ლად, არჩეული იქნა ბარონი პიოტრ ვრანგელი. ბედის ირონია იმაში მდგომარეობდა, რომ უმაღლეს სამხედრო ჩინოსანთა საბჭოს სხდომაზე მოსულმა ვრანგელმა თან მოიტანა ანტანტის საბჭოს დოკუმენტი, რომელიც იტყობინებოდა, რომ ანტანტა აღარ გააგრძელებდა თეთრი მოძრაობის მხარდაჭერას და მოუწოდებდა წინააღმდეგობის შეწყვეტისაკენ. ეს, ცხადია, თეთრი მოძრაობის დასასრული იყო.

ჩვენთვის გარკვეული დაინტერესების საგანია, როგორ უყურებდა ვრანგელი და მისი ახალი მთავრობა ეროვნულ საკითხს და ერების მონყობას, ვითომ მომავალ რუსეთში, რომლისაც აღარავის სჯეროდა. ამგვარ ჩაძირვად პროცესში მყოფი, ყირიმის ნახევარკუნძულს შეხიზნული ვრანგელი, მოსალოდნელი იყო, რომ დათმობდა ეროვნულ საკითხში და უარყოფდა „ერთიანი და განუყოფელი რუსეთის“ იდეას. ბარონ ვრანგელისაგან ყველაზე მეტად მოელოდნენ დამოუკიდებელი უკრაინის იდეის მხარდაჭერას, რადგან, ის ნახევრად უკრაინელი იყო – დედის მხრიდან. მეტ დათმობებს მოითხოვდნენ ახალი დიქტატორისაგან – დონისა და ყუბანის კაზაკებიც. კაზაკებთან შეთანხმება მართლაც მოხდა – ფედერალიზმის პრინციპებზე, საშინაო საქმეებში ჩაურევლად და დამოუკიდებელი თვითმმართველობის საფუძველზე. კიდევ უფრო მეტი იყო დათმობა უკრაინისა და უკრაინელთა მიმართ: „უკრაინელი ხალხი თვითონ გადანყვეტს თავის ბედს, – აცხადებდა თეთრი მოძრაობის უკანასკნელი იმედი ბარონი ვრანგელი, – მე დავუმტკიცებ ამას უკრაინელ ხალხს მარტო სიტყვებით კი არა, არამედ საქმით, შეგიძლიათ ეს ჩემგან უთხრათ უკრაინელ გლეხს“. უკრაინას უნდა მიეღო ავტონომიის სტატუსი და აერჩია თავისი ლიდერი – ჰეტმანის სახით. ვრანგელის დანაპირები ავტონომია, ყველაზე დიდი დათმობა იყო ეროვნული მონყობის სფეროში თეთრ გენერლებს შორის. მეტიც, ვრანგელსა და უკრაინის დიქტატორ სიმონ პეტლიურას შორის მოლაპარაკებები მიმდინარეობდა უკრაინის შესაძლო დამოუკიდებლობაზე, მაგრამ ამასობაში თეთრი მოძრაობა დამარცხდა კიდევ საბოლოოდ. ბარონი ვრანგელი არც მახნოსთან კომუნიკაციას გამოიციხავდა, მაგრამ მეზობელი ანარქისტის ნესტორ მახნოსათვის, თეთრ გენერალთან შეთანხმება გამოიციხული იყო. მახნოს ანარქისტებმა თეთრების მიერ მასთან მიგზავნილი მომლაპარაკებელიც კი მოკლეს.

ვრანგელის შედარებითი ლოიალური ეროვნული პოზიცია ჩრდილო კავკასიელებსა და განსაკუთრებით დაღესტნელებზე ვრცელდებოდა, რომლებსაც ავტონომიურობის საფუძველზე პირდებოდნენ საშინაო საქმეებში თავისუფლებას.

კატასტროფულ მდგომარეობაში მყოფი და ყირიმის ნახევარკუნძულზე გარიყული თეთრი მოძრაობა, უკვე იძულებული იყო, მეტი ანგარიში გაეწია სამხრეთ კავკასიის დამოუკიდებელი სახელმწიფოების, – აზერბაიჯანისა და განსაკუთრებით კი საქართველოსათვის. მაგრამ ამ დროისათვის ორივე მხარის შესაძლებლობები შეზღუდული იყო. საქართველოს საბჭოთა რუსეთთან უკვე დადებული ჰქონდა სამშვიდობო ხელშეკრულება, ხოლო ვრანგელის კარიკატურული სახელმწიფო აღარავითარ ძალას წარმოადგენდა, როგორც ანტისაბჭოთა ფაქტორი. ერთადერთი, რაც საქართველოს შეეძლო, ეს იყო ჰუმანური აქცია, რომ ნაწილობრივ და დროებით შეეფარებინა სამხრეთ რუსეთიდან ყირიმისაკენ ლტოლვილი, თეთრი არმიების ჯარისკაცები და ოფიცრები. სხვათა შორის, იგივეს აკეთებდა საქართველოს ხელისუფლება, გამოქცეული ნითელი არმიების ლტოლვილი ჯარისკაცებისა და ოფიცრების შემთხვევაშიც.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას რომ თეთრი არმიების გენერალიტიტმა და ხელმძღვანელობამ, დემარკაციულ-ტერიტორიულ წვრილმანებს გადააყოლა, სა-

ქართველოს ხელისუფლებასთან კეთილგანწყობა, რომელიც შესაძლოა მისი დამარცხების ერთ-ერთი მიზეზთაგანიც აღმოჩნდა. საქართველოსთან, კავკასიის სხვა ქვეყნებთან თუ მოკავშირეობით არა, ყოველ შემთხვევაში, ლოიალური, არაკონფლიქტური ურთიერთობით, დენიკინის არმიას, მტკიცე, არამტრული ზურგი მაინც ექნებოდა და იქნებ საბჭოთა რუსეთის შეტევებისათვის გაეძლო.

1920 წლის გაზაფხულზე, მოხალისეთა არმია სასტიკად დამარცხდა საბჭოთა რუსეთთან ბრძოლაში. ანტისაბჭოთა გენერლები: ალექსეევი, იუდენიჩი, კორნილოვი, დენიკინი, კოლჩაკი თუ მათი უკანასკნელი მოჰიკანი – ვრანგელი, დიადი და განუყოფელი რუსეთის აღდგენის იდეას გადაჰყვნენ. შეიძლება ითქვას რომ თეთრი რუსეთის ეგზისტენციური საფრთხე, რომელიც ორი წლის განმავლობაში მუდმივად ექიშებოდა და ემუქრებოდა სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებს, დამოუკიდებელი საქართველოს კარიბჭესთან დაიმსხვრა.

საქართველოს რესპუბლიკის ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთ საზღვრებთან კი, ახალი გეოპოლიტიკური რეალობა ჩამოყალიბდა, საბჭოთა რუსეთის დამეზობლების სახით.

Dimitri Shvelidze

Independent Georgia and White Russia (1918-1920)

Summary

In 1918-1920, the government of independent Georgia tried its best not to interfere in the ongoing civil war in Russia. Nevertheless, Georgia had a constantly tense relationship with the Central Command of the so called White Movement of South Russia and especially with its leader - General A. Denikin. The generals of the White Guard armies preferred border claims to the good relationship with the Georgian government.

Anti-Soviet generals: Alekseev, Denikin, Kolchak and Wrangel, did not betray the idea of restoration of a unified and indivisible Russia. General Denikin's conflicting attitude towards the newly established post-imperial independent states (Georgia, Azerbaijan, Mountainous Republic, Ukraine, etc.) became one of the reasons for its defeat.

**ეპრაელთა სოციალური მდგომარეობისათვის XIX საუკუნის
მეორე ნახევრის საქართველოში
(იეჰუდა ჰალევი ჩორნის მიხედვით)**

XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში იმოგზაურა გამოჩენილმა ებრაელმა მოგზაურმა და სწავლულმა იეჰუდა ჰალევი ჩორნიმ.¹ იგი ცდილობდა მოეპოვებინა ინფორმაცია ათი დაკარგული ტომის შთამომავლების შესახებ, რომლებიც ისტორიის ძნელბედობით გაფანტულნი იყვნენ სამხრეთ კავკასიაში, ირანსა თუ შუა აზიაში. ჩორნიმ საკმაოდ დიდი ხანი დაყო საქართველოში და თავდაუზოგავი მუშაობის შემდეგ, ძვირფასი მასალა დააგროვა საქართველოს ებრაელების სოციალური, რელიგიური თუ სამეურნეო ყოფის შესასწავლად. მოპოვებულ მასალას მკვლევარი სისტემურ სახეს აძლევდა და აქვეყნებდა რუსული და ებრაულენოვანი პერიოდიკის ფურცლებზე. მოგზაურობის დროს იგი თვალს ადევნებდა როგორ მშვიდობიანად ცხოვრობდნენ მისი თანატომელები მათთვის უცხო გარემოში, როგორ იზიარებდნენ ერთმანეთის ჭირსა და ლხინს, როგორ ურთიერთობდნენ ერთმანეთთან და ხშირად გაკვირვებული აღნიშნავდა, რომ მისი ერის წარმომადგენელთათვის ეს სულაც არ იყო უცხო გარემოცვა, პირიქით, ხშირად ქართველები და ებრაელები, როგორც თანამოძმეები და თანატომელები, ისეთ სიახლოვეს იჩენდნენ, რაც ევროპული და რუსული „პოგრომების“ მნახველი მკვლევრის განცვიფრებას იწვევდა. იმოგზაურა საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში და დატოვა ძვირფასი ეთნოგრაფიული მასალა, რომელიც ღირებულია არა მხოლოდ ებრაული, არამედ XIX საუკუნის ქართველების იდენტობის შესასწავლად.²

მოგზაურმა კავკასიის ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილების უფლება მიიღო ადგილობრივი ადმინისტრაციისაგან, კერძოდ, კავკასიის მეფისნაცვლის, დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვისაგან. ჩორნიმ თითქმის ათი წელი დაყო კავკასიაში. იგი პირისპირ ხვდებოდა ადგილობრივი ებრაული თემის წარმომადგენლებს, აგროვებდა ზეპირ გადმოცემებს, ძველ ნივთებს, აწესრიგებდა თემის შიდა რელიგიურ საქმეებს, აკვირდებოდა ადგილობრივ მოსახლეობასთან ებრაელების თანაცხოვრების შედეგებს და საკუთარ მოსაზრებებს ინერდა. მოპოვებულ მასალას აქვეყნებდა კორესპონდენციების სახით. მასალის ნაწილი მის პირად არქივშია დაცული. ჩორნის მთავარ დახმარებას უწევდა „ებრაელთა შორის განათლების გავრცელების საზოგადოება“ (Aliance

1 იეჰუდა ჰალევი ჩორნი (1835-1880წწ.) დაიბადა ქალაქ მინსკში შექმნილი ებრაელის ოჯახში. მან მიიღო კარგი განათლება და უარი თქვა მშობლების მონოღებზე – გამხდარიყო მეღვინე. იეჰუდა ჩორნიმ მთელი ცხოვრება შეაღია უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების ცხოვრებისა და ისტორიის შესწავლას. იგი უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა ებრაულ თემში.

2 ჩოჩიშვილი დ., ქართველებისა და ებრაელების იდენტობის პარალელები მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში (იეჰუდა ჩორნის მიხედვით), ეთნოკულტურული მრავალფეროვნება და ინტერკულტურული კომუნიკაცია საქართველოში (საერთაშორისო კონფერენციის მოხსენებათა კრებული), თბ., 2021, გვ. 27.

Israelite Universal)³, რომელიც აფინანსებდა მის ძირითად მარშრუტს. მოგზაურს ადგილზე ფინანსურ და სხვა მატერიალურ დახმარებას (გამყოლი, კვება, საცხოვრებელი...) უწევდნენ ადგილობრივი ებრაული თემის წარმომადგენლები, რომლებსაც დიდ პატივად მიაჩნდათ ემასპინძლათ სახელგანთქმული სწავლული თანამოძმისთვის. მან შეისწავლა რუსეთის სამხრეთ ნაწილის ებრაელების ცხოვრება: სტავროპოლი, ყუბანი, თერგისპირეთი, დაღესტანი, საქართველო და სხვ. სწორედ იმიტომაც მისი დასკვნები და მოსაზრებები საინტერესო და ფასეული, რომ იგი სხვადასხვა ადგილას უშუალოდ ეცნობოდა ებრაელთა ცხოვრებას, მათ ურთიერთობას ადგილობრივ მოსახლეობასთან, მათ რელიგიურ და სოციალურ მდგომარეობას. ჩორონის დასკვნები, რომლებშიც ავტორის აღფრთოვანებაა გამოხატული ებრაელებისა და ქართველების მეგობრულ დამოკიდებულებაზე საქართველოში, კიდევ ერთხელ ადასტურებს ამ ორი უძველესი ერის ღირსეულ თანაცხოვრებას.

ებრაელების სოციალურ მდგომარეობას ჯერ კიდევ უძველეს ქართულ საისტორიო თხზულებებში ვეცნობით. პირველ საუკუნეში პალესტინიდან მოსული მინვევა ქრისტეს გასამართლებაზე მიიღეს საქართველოში მცხოვრებმა ებრაელებმა, რომლებსაც თავისუფლად შეეძლოთ გადაადგილება ქვეყნის საზღვრებს გარეთ, ფლობდნენ უძრავ-მოდრავ ქონებას, საკუთარ სალოცავებს... ისინი მცხეთისა და ქართლის სხვა ქალაქების სრულფასოვან მოსახლეობას წარმოადგენდნენ.

ქართლში ქრისტიანობის გავრცელებას სწორედ ებრაული დიასპორის მიერ მესიანისტური იდეების გავრცელებამ შეუწყო ხელი.⁴ ახალი რელიგიის საქადაგებლად მოსულმა წინომ სწორედ ებრაელთა თანადგომით მოიძია მცხეთაში ქრისტიანობის ორი დიდი სინმინდე – ელია წინასწარმეტყველის ხალენი და ქრისტეს კვართი, როგორც უწყვეტი კავშირი ძველი და ახალი აღთქმისა. მოგვიანებით პირველი ქრისტიანებიც რიგითი ებრაელები ხდებიან და მათ რიგებს უერთდება ებრაელი სასულიერო პირი აბიათარის სახით, რომლის პროზელიტობამ გადამწყვეტი როლი შეასრულა მცხეთის მრავალრიცხოვანი და ძლიერი ებრაული თემის დაშლასა და მთელ კავკასიაში გაბნევაში.⁵ „მოქცევაი ქართლისაი“ მოგვითხრობს აბიათარ მღვდელზე, მის ქალიშვილ სიდონიასა და სხვა გაქრისტიანებულ ებრაელებზე, რითაც ლეონტი მროველი დადებითად განაწყობს ქრისტიან მკითხველს ქართველი იუდეველების მიმართ, ვინაიდან მათ გამოისყიდეს წინაპართა დანაშაული და ინამეს ქრისტე. ქართლში პირველად სწორედ

3 ივრ. אֱלֵּי־יִשְׂרָאֵל וְיִשְׂרָאֵל – საერთაშორისო ებრაული კულტურული ორგანიზაცია, რომელიც შეიქმნა 1860 წელს საფრანგეთში. მის მისიას წარმოადგენდა ებრაელების დაცვა იმ ქვეყნებში, რომელთა მოქალაქეებსაც ისინი წარმოადგენდნენ; ასევე, ებრაელთა თემების ზნეობრივი და გონებრივი დონის ამაღლების საკითხები. ამ ორგანიზაციის დახმარებით დაარსდა სკოლები თურქეთში, ბულგარეთში, ალჟირში, მაროკოში, იერუსალიმში და სხვ. ორგანიზაციის დევიზი იყო რაბინთა სწავლება: „ყველა ებრაელი პასუხისმგებელია ერთმანეთზე“. ორგანიზაციამ დიდი ღვაწლი დასდო სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრებ ებრაელებს და დღესაც აგრძელებს საქმიანობას.

4 ჩოჩიშვილი დ., ქართულ-ებრაული ურთიერთობების ისტორია (ძვ. წ. მე-6 მე-4 სს). თბ., 2006, გვ. 112.

5 როგორც მკვლევრები მიუთითებენ, პირველი ქრისტიანული თემები სწორედ იუდაურ-ქრისტიანული თემები იყო, რომელთათვისაც ადვილი აღსაქმელი იყო ქრისტიანობის სამი პიპოსტასი.

იუდაურ-ქრისტიანული თემები ჩნდება.⁶ ებრაული თემის ის წევრები, რომლებიც ქრისტიანობას იზიარებდნენ, ბუნებრივია, „გარკვეულ წინააღმდეგობას წაანყდებოდნენ თანატომელთა მხრიდან. ისინი შეეცდებოდნენ, მოეძებნათ თანამოაზრეები წარმართ ქართველებში. ასე თანდათან, გარკვეული წინააღმდეგობის გადალახვით ქრისტიანობა იჭრებოდა ქართველთა შორისაც“.⁷

შუასაუკუნეებში ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებამ და სამეფო ტახტზე ბაგრატიონთა გვარის აღზევებამ ებრაულ თემას სხვა შინაარსი მისცა. ბაგრატიონებმა ქრისტეს, მარიამ ღვთისმშობლისა და დავით წინასწარმეტყველის შთამომავლებად გამოაცხადეს თავი. შესაბამისად, ბიბლიურმა თემატიკამ ქრისტიანული რელიგიის გავრცელებასთან ერთად, სხვა დატვირთვა მიიღო ქართულ სინამდვილეში. გვიანი შუასაუკუნეების საქართველოს ისტორია ებრაელების მხოლოდ ერთ სოციალურ ფენაზე მოგვითხრობს – ისინი ფეოდალებისა და ეკლესიის ყმებს წარმოადგენდნენ, რომლებიც გადასახადების სხვადასხვა რაოდენობას იხდიდნენ. მათ ქართველი ყმებივით ყიდდნენ და ყიდულობდნენ ქართველი ფეოდალები. თუმცა მოგვიანებით შეძლებული ებრაელები თვითონვე ხდებიან ყმების პატრონები და ზოგჯერ ქრისტიან ყმებსაც ფლობენ: „ებრაელებს რომ ქრისტიანი ყმები ჰყავდათ, მრავალი საბუთიდან ირკვევა“, – წერს ე. მამისთვალიშვილი და საბუთად მოაქვს XVIII საუკუნის ნასყიდობის წიგნი, სადაც საუბარია ავღანელების მიერ გაყიდული კობალაძეების ებრაელის მიერ „დახსნის“ შესახებ. ასევე მორიგი საბუთი, 1769 წლის არზა, სადაც ებრაელების მიერ ქართველი ბავშვების შესყიდვის შესახებ არის საუბარი.⁸ შეძლებული ებრაელების მიერ ნაყიდი ქრისტიანი ბავშვები ხშირად იუდაიზმზე გადაჰყავდათ, რაც XIX საუკუნის დასაწყისში, დავით ბატონიშვილის სამართალში სასტიკად აიკრძალა: „კათოლიკებსა და სომხებს ეკრძალებათ თავიანთ სარწმუნოებაზე მოაქციონ გაბატონებული რელიგიის ადამიანები, ე. ი. მართლმადიდებელი ქართველები. იგივე ქმედება მაჰმადიანებისა და ებრაელებისაგან იკრძალება სიკვდილით დასჯით“.⁹ ფეოდალებისა და ეკლესიის ებრაელთა უფლებრივ მდგომარეობას თუ შევადარებთ, ხშირად საეკლესიო ყმები უფრო თავისუფალნი იყვნენ და ნაკლებ შევიწროებას განიცდიდნენ. მემამულის მიერ შენუხებული ზოგიერთი ებრაელი ცდილობდა ბატონს გაქცეოდა და ეკლესიას მიკედლებოდა. ეკლესიაც თავის მხრივ ასეთ ვაჭარს, როგორც „თეთრითა და სანთელ-საკმევლით“ მოვაჭრეს, თავის მფარველობას სთავაზობდა. საქართველოში მცხოვრები ებრაელების სოციალური მდგომარეობა ძირითადად ქართველი ყმა-გლეხების მდგომარეობისაგან არ განსხვავდებოდა. ცარიზმის დამკვიდრების შემდეგ საქართველოში ბევრ სხვა უბედურებასთან ერთად გაჩნდა სიტყვა ანტისემიტიზმიც.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში, როდესაც რუსეთის იმპერიამ საბოლოოდ მოიკიდა ფეხი საქართველოში, გაიზარდა ის ეკონომიკური არეალი, რაც მანამდე არსებობდა ქართული ეკონომიკური სივრცისთვის. საგარეო მშვიდობიანობამ და გარეშე საფრთხეების შემცირებამ საქართველოს ეკონომიკას სხვა გასაქა-

6 მამისთვალიშვილი ე., ქართველ ებრაელთა ისტორია, თბ., 1995, გვ. 143-144.

7 იქვე.

8 მამისთვალიშვილი ე., ქართველ ებრაელთა ისტორია, თბ., 1995, გვ. 173-174.

9 იქვე, გვ. 175.

ნი მისცა. ქართველი ებრაელები, ადგილობრივ სომხებთან ერთად, ყოველთვის მოიაზრებოდნენ ქართული ეკონომიკისა და ალებ-მიცემობის ერთ-ერთ მთავარ მონაწილედ. ქართველ ფეოდალებს ეს ხელობა სამარცხვინოდ მიაჩნდათ.

მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში ებრაელთა მონაწილეობის შესახებ ცნობები შედარებით მწირია, თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ პერიოდშიც საქართველოში მცხოვრები ებრაელები აქტიურად მისდევდნენ ალებ-მიცემობას როგორც რუსეთის იმპერიაში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ეს აქტიურობა შედარებით მეტად დასავლეთ საქართველოში შეინიშნება.

საქართველოში რუსეთის იმპერიის შემოსვლამ ქართული სახელმწიფოებრიობა გააუქმა და სხვა რეალობას ჩაუყარა საფუძველი. იმპერიული მმართველობა ებრაელების მიმართ დიდი სიმპათიით არ გამოირჩეოდა. ჯერ კიდევ 1826 წელს დაწესდა კონტროლი ებრაელთა რელიგიურ და კულტურულ საქმიანობაზე, დაინიშნა ცენზორი ებრაულ წიგნებზე, ხოლო 1836 წელს ყველა სტამბა დაიკეტა, რომლებიც ებრაულ წიგნებს გამოსცემდა. 1840 წელს ნიკოლოზ პირველის ბრძანებით დაარსდა „რუსეთის ებრაელობის ძირფესვიანად გარდაქმნის ღონისძიებათა დამდგენი“ საგანგებო კომიტეტი, რომელსაც რამდენიმე ამოცანა უნდა განეხორციელებინა იმპერიის მასშტაბით: უნდა დაარსებულიყო ებრაული სასწავლებლები, რომლებიც დაუპირისპირდებოდნენ თალმუდისტურ მოძღვრებას, ებრაელები უნდა დაემორჩილებინათ საერთო მმართველობისათვის და აეკრძალათ კაბალა, უნდა აკრძალულიყო ებრაელთა სპეციფიკური სამოსის ტარება (მისი ტარებისთვის ჯარიმა უნდა დაწესებულიყო).

იმპერატორის ბრძანების შესრულებამ საწინააღმდეგო ეფექტი გამოიღო – ებრაელი ახალგაზრდები, რომლებსთვისაც სპეციალური სასწავლებლები შეიქმნა, იმპერიის ხალხებთან მათი ასიმილაციის თვალსაზრისით, ქვეყანას მოეწვლინენ იურისტების, ტექნოლოგების, ექიმების, ინჟინრების სახით, რომლებიც საკუთარი ტრადიციებისა და რელიგიის ერთგულნი რჩებოდნენ. ამან მორიგი საკანონმდებლო ცვლილება მოითხოვა და 1886-1887 წლებში შეიზღუდა უმაღლეს სასწავლებლებში ებრაელი სტუდენტების კონტინგენტი (მათი რაოდენობა განისაზღვრა 3-10%-მდე).

XIX საუკუნის სამოციან წლებში რუსეთის იმპერიაში დაიწყო ანტისემიტიზმის აზვირთება. დაიწყო ე. წ. „პოგრომები“, ებრაელებს ბრალს სდებდნენ რუსეთის სახელმწიფოებრივი ინტერესების საწინააღმდეგო ქმედებებში.

სწორედ ასეთ ბოზოქარ დროს მოუწია დიდ მოგზაურსა და სწავლულს იოსებ იეჰუდა ჰალევი ჩორნის კავკასიაში მოგზაურობა. მას გადამწყვეტილი ჰქონდა მოეძებნა ისტორიული დაკარგული ათი მუხლის შთამომავლები, აღენერა მათი ცხოვრება, ეთნოგრაფიული შტრიხები, მოეძებნა ებრაელობასთან დაკავშირებული ძველი ნივთები, წიგნები, ხელნაწერები, დაემყარებინა ებრაულ თემებში რელიგიური წესრიგი. საქართველოში მოგზაურობისას ჩორნის რუსეთის იმპერიის სხვა კუთხეებთან შედარებით განსხვავებული მდგომარეობა დახვდა. ამან ისე განაცვიფრა მრავლის მნახველი მოგზაური, რომ ხშირად ვერ მალავდა აღფრთოვანებას, როდესაც საუბრობდა ებრაელებისა და ქართველების, ებრაელებისა და სომხების მშვიდობიანი, მეგობრული თანაცხოვრების შესახებ: „ერთმანეთის მიმართ სიყვარულითა და პატივისცემით არიან განწყობილი..... წყნარად

და უზრუნველად ცხოვრობენ, მადლობა ღმერთს“.¹⁰ ჩორნის ცნობებით, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ებრაელები, მათი ტრადიციები და ცხოვრების წესი ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა და ხშირად იმ კუთხთა მკვიდრი ქართველების წესების მსგავსი იყო. სხვადასხვა კუთხის ქართველ ებრაელებში რომ ცხოვრების წესები ერთმანეთისგან განსხვავდებოდა, ეს იმ კუთხეთა ტრადიციების გავლენა იყო, სადაც ეს ებრაული თემი ცხოვრობდა, თუმცა ებრაული თემები ინახავდნენ საკუთარ ტრადიციებსა და იდენტობას.

ჩორნიმ თითქმის მთელი საქართველო შემოიარა, მის მიერ დატოვებული ცნობები თანაბრად გვიხატავს როგორც ებრაელების, ასევე ქართველების შესახებ ფასდაუდებელ ეთნოგრაფიულ ცნობებს. ჩორნი განასხვავებდა ახალციხეში მცხოვრები ებრაელების ტრადიციებს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ებრაელთა წეს-ჩვეულებებისგან. ეს არც არის გასაკვირი, რადგან იქაური მოსახლეობა, მათ შორის ებრაელებიც, მნიშვნელოვნად გამოირჩეოდა თანამოქმედებისაგან არსებული ისტორიულ-პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის გამო.¹¹

ჩორნის მიერ დატოვებული ფასდაუდებელი ცნობებით შეგვიძლია თვალი მივადევნოთ ებრაელთა სოციალურ მდგომარეობას საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ებრაელების გარკვეული ნაწილი როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში ცხოვრების სხვადასხვა დონით გამოირჩევა. იეჰუდა ჩორნიმ მოინახულა ებრაული დიასპორის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი პუნქტი და აღწერა ამ დროის ებრაელების ცხოვრების პირობები და ეკონომიკური შესაძლებლობები. მიუხედავად იმისა, რომ ებრაელთა გარკვეული ნაწილი საკმაოდ შეძლებულად ცხოვრობდა, XIX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში მსხვილი კაპიტალისტი მათ შორის მაინც არ ირიცხებოდა რასაც გაზეთ კავკაზის ერთი ცნობაც ადასტურებს: „საქართველოს ებრაელები დაფანტულნი არიან ამიერკავკასიის ბევრ ადგილებში. ისინი ბინადრობენ სამეგრელოში, იმერეთში, ახალციხეში და სურამში. ყველა ესენი მისდევენ წვრილ ვაჭრობას და მიუხედავად ვაჭრობისადმი მათი მიდრეკილებისა, მათ შორის არც ერთი კაპიტალისტი არ არსებობს“.¹²

ჩორნის შესაბამისი დოკუმენტაციით უზრუნველყოფდნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, რის წყალობითაც მოგზაური უპრობლემოდ სტუმრობდა ნებისმიერ ებრაულ თემს.

იეჰუდა ჩორნი თბილისში ყირიმიდან ჩამოვიდა. 1869 წლის 14 მაისს მოგზაური უკვე გორშია. იმ დროინდელ გორში სულ 40-მდე ებრაული ოჯახი მოითვლებოდა, მათგან დაახლოებით 16-17 ოჯახი ერთ შენობაში ცხოვრობდა, სადაც ჩორნის უმასპინძლეს: „ქალაქში მთის თავზე, ძველი ციხის გვერდით მდებარე სახლს მივადექით, აქვე იყო ისრაელების პატარა სასტუმროც, სადაც მრავალმათგანს შევხვდი, მათ შორის რაბი იაკობსაც ცხინვალიდან, ასევე სურამიდან,

10 ჩორნი იეჰუდა, „მოგზაურობა საქართველოში, იმერეთში, სამეგრელოში, გურიასა და არარატის ქვეყანაში (არმენია)“; თარგმნა იცხაკ დავითმა, დავიდი ი., ნაწერები, ტ. I. თელავი-იერუსალიმი, 197, გვ. 206.

11 იველაშვილი თ., ცაგარეიშვილი თ., გვიხმობს მამული მამა-პაპათა, თბ., 1995, გვ. 105.

12 Газ. „Кавказ“, 1861, N72.

ბრეთიდან და ქარელიდან ჩამოსულ ისრაელებს“.¹³

გორში ებრაული თემის გარდა, ჩორნის ადგილობრივმა ხელისუფლებამაც მოუწყო შეხვედრა. ჩორნიმ ისარგებლა შემთხვევით და სთხოვა ქალაქის მმართველებს, რომ რკინიგზის მშენებლობაზე დასაქმებული მუშებისთვის მიეცათ გაფრთხილება, რომლებიც დასცინოდნენ და აბუჩად იგდებდნენ ებრაელებს. ჩორნიმ მიაღწია იმას, რომ ქალაქის თავი პირადად წავიდა ინჟინერთა უფროსთან და დაავალა მისი ხელქვეითებისადმი განკარგულების გაცემა, რათა ამიერიდან მსგავსად აღარ მოქცეულიყვნენ.¹⁴ მოგზაური ცდილობდა, თავისი თანამოძმე ებრაელებისათვის სასულიერო პირებისგანაც მიეღო წყალობა, მათ შორის ეგზარქოსისგან.

ჩორნი საკმაოდ ხშირად ხვდებოდა შეძლებულ ებრაელებს ცხინვალში, ქუთაისში. მათ ოჯახებში ჰქონდათ ევროპული ავეჯი, ნივთები, ტანსაცმელი... მაგალითად, ცხინვალის რაბი იაკობის სახლი „...ორსართულიანია, ალიზითა და გაჯითაა ნაშენი. ბინა შედგება ორი დიდი დარბაზისგან და ორი ლამაზი ოთახისგან. შუშაჩასმული, დიდი ფანჯრები ფარდებითაა მორთული, იატაკი ფიცრებითაა მოგებული, როგორც ევროპელებმა იციან...ასევეა თავადებისა და ქართველების სახლებშიც, სადაც კი ვიყავი.“¹⁵ ებრაელები „...სახლებს ევროპულ ყაიდაზე აშენებენ, კარგი გემოვნებით. სწორედ ისე, როგორც მათი მეზობელი ქართველები და სომხები“.¹⁶ ცხინვალელი ებრაელები ქართველებთან და სომხებთან ერთად აღნიშნავენ სხვადასხვა დღესასწაულებს, დადიან ერთმანეთთან ჭირსა და ლხინში. ჩორნი ორ ებრაულ ქორწილში იმყოფებოდა და საკუთარი თვალით ნახა მათი კეთილმეზობლური დამოკიდებულება. ჩორნის მიხედვით, საქართველოს ყველა კუთხეში ქართველები და ებრაელები მეგობრულად და კეთილმეზობლურად ცხოვრობენ. ისინი ერთმანეთის ლხინსა და ჭირს იზიარებენ, იცავენ საკუთარ ტრადიციებსა და ცხოვრების წესს. ამავე დროს, ერთმანეთს ხელს არ უშლიან წესების ასრულებაში, უფრო მეტიც, ხშირად იღებენ მონაწილეობას ერთმანეთის სადღესასწაულო თუ სამგლოვიარო რიტუალებში. როდესაც ვიღაცა გარდაიცვლებოდა, მის გლოვაში მთელი ჯამაათი იღებდა მონაწილეობას, ასევე ქართველები და სომხები. მოგზაური აღნიშნავს, რომ მსგავსი ქმედება ხელს უწყობდა თემის წევრების დახმარებას და ინარჩუნებდა თემის ერთიანობას.

ჩორნის მოგზაურობის დროს ქუთაისში საკმაოდ ბევრი ებრაელი ცხოვრობდა და რიცხოვნობით ქართველების შემდეგ პირველ ადგილზე იყვნენ. ისინი კომპაქტურად, მჭიდროდ იყვნენ დასახლებულნი ქალაქის ცენტრთან ახლოს, მაშინ, როდესაც ქუთაისის დანარჩენი მოსახლეობა უფრო გაფანტულად ცხოვრობდა.¹⁷

ჩორნი რაჭაში მოგზაურობის დროს განსაკუთრებით აღნიშნავს ქართველებისა და ებრაელების მეგობრულ თანაცხოვრებას: „... აქაური მკვიდრი მცხო-

13 ჩორნი იეჰუდა, „მოგზაურობა საქართველოში, იმერეთში, სამეგრელოში, გურიასა და არარატის ქვეყანაში (არმენია)“; თარგმნა იცხაკ დავითმა, დავიდი ი., ნაწერები, ტ. I. თელავი-იერუსალიმი, 197, გვ. 136.

14 იქვე.

15 იქვე, გვ. 138.

16 იქვე, გვ. 139.

17 მამისთვალისვილი ე., ქართველ ებრაელთა ისტორია, თბ., 1995, გვ. 129.

ვრებლები კარგად ექცევიან ისრაელებს, არაფერს უშავებენ და მშვიდობით ცხოვრობენ. ესენი არიან ქართველები და სომხები“.¹⁸

ეს ყველაფერი ჩორნის კმაყოფილებას იწვევდა, თუმცა ებრაელებს არ სურდათ საკუთარი შვილებისათვის მიეცათ განათლება და ბავშვობის ასაკიდანვე გვერდით იყენებდნენ, როგორც დამხმარე მუშახელს, რაც მოგზაურის აღშფოთებას იწვევდა. შეძლებულ ებრაელ ვაჭრებს სავაჭრო ურთიერთობები ჰქონდათ ოსმალეთისა და ირანის მსხვილ სავაჭრო ცენტრებთან – სტამბოლი, ყარსი, არზრუმი, თავრიზი და სხვა. რკინიგზის გაყვანის შემდეგ ვაჭრების გარკვეული ნაწილი ნაწილობრივ ან სრულად წყვეტდა კავშირს აზიის ქვეყნებთან და რუსეთის სავაჭრო ქსელში ებმებოდა. რუსეთის იმპერიაში განხორციელებული რეფორმების ფონზე სწრაფად დაიწყო კაპიტალიზმის გავრცელება. წვრილმან ალბ-მიცემობას უკვე მსხვილი სავაჭრო გარიგებები ცვლიდა. ამ სავაჭრო მართონში ძირითადად უნარიანი ადამიანები ებმებოდნენ და ხშირად საერთაშორისო ასპარეზზეც გადიოდნენ. სომეხ, ქართველ ვაჭრებთან ერთად, ებრაელი ვაჭრებიც ჩაერთნენ მსხვილ სავაჭრო გარიგებებში, რომელიც იმპერიის საზღვრებს გასცდა. ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტებით შეიძლება ვიმსჯელოთ, როგორი ინტენსივობით გადიოდნენ საქართველოდან ებრაელი ვაჭრები. მაგალითად, 1866 წელს საზღვარგარეთ სავაჭროდ წასვლის ნებართვა მიუღია 62 ებრაელ ვაჭარს, 1867 წელს 44 კაცს, მათ შორის არიან ქუთაისის, კულაშის, ცხინვალის, ბრეთის, ახალციხის ებრაელები. ამ ვაჭართაგან ყველაზე მეტი ქუთაისის მკვიდრი ყოფილა.

გარდა ამისა, საკმაოდ აქტიურები ჩანან ახალციხელი ებრაელი ვაჭრებიც. 1876 წელს ახალციხის 2599 კომლიდან 379 ებრაული ოჯახი ყოფილა. მათი მეტი ნაწილი ვაჭრობას მისდევდა. საქონელი შემოჰქონდათ ოსმალეთიდან, რუსეთიდან, ირანიდან... მოსკოვიდან ჩამოჰქონდათ ჩითი, მაუდი და სხვა, ირანიდან ხალიჩები, თბილისიდან ღვინო, მატყლი დაა. შ. ახალციხელი ვაჭრების რიცხვი თანდათან შემცირდა და 10 წლის შემდეგ პირველობა სომხებმა იგდეს ხელში. სამაგიეროდ მე-2 გილდიის ვაჭრების ჩამონათვალში ებრაელთა რაოდენობამ მოიმატა თბილისელ ვაჭრებს შორის, სადაც ახალციხიდან გადმოსულ ვაჭართა რაოდენობა იყო 17.

სავაჭრო საქმიანობაში განსაკუთრებით ქუთაისელი ებრაელები გამოირჩეოდნენ, რომელთა მთავარი სავაჭრო ქალაქი სტამბოლი იყო. გარდა ლეგალური სავაჭრო ურთიერთობებისა, ხდებოდა კონტრაბანდის ან განუბაჟებელი საქონლის შემოტანაც. მაგალითად, 1885 წელს ძმებ ხანანაშვილების წინააღმდეგ აღძრულა სისხლის სამართლის საქმე – ედავებოდნენ განუბაჟებელი საქონლის შემოტანას. სასამართლომ მათ ჯარიმა დაუწესა. რკინიგზის გაყვანის შემდეგ ქუთაისელმა ვაჭრებმა გეზი რუსეთისკენ აიღეს: მოსკოვი, ნოვგოროდი, ოდესა, ხარკოვი, ვარშავა და სხვა. ქუთაისელ ებრაელ ვაჭრებს ამ ქალაქებიდან ძირითადად ფართალი, საგალანტერიო საქონელი შემოჰქონდათ. ასევე შემოჰქონდათ არასეზონური საქონელი – რუსეთის დიდ ბაზრებზე ყიდულობდნენ ჩამოფასებულ, არასეზონურ საქონელს და საქართველოში დიდი მოგებით ყიდდნენ.

18 ჩორნი იჭუდა, „მოგზაურობა საქართველოში, იმერეთში, სამეგრელოში, გურიასა და არარატის ქვეყანაში (არმენია)“; თარგმნა იცხაკ დავითმა, დავიდი ი., ნაწერები, ტ. I. თელავი-იერუსალიმი, 1976, გვ. 155.

საქართველოდან გაჰქონდათ დაუმუშავებელი აბრეშუმი, ბენვეული, ქალის თმა, საინტერესოა, რომ ქუთაისელი ებრაელი ვაჭრები ვაჭრობდნენ კვერცხის პარტიით – 50-60 ვაგონი კვერცხი იგზავნებოდა წლის განმავლობაში რუსეთში. ასევე ბუმბული, ძველი ხალიჩები, ხილი, ვაშლის ჩირი და სხვა. სუფუნის, ბანძის, კულაშისა და საჩხერის ებრაელების მიერ XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან რუსეთში დიდი რაოდენობით იგზავნებოდა ნახმარი ბამბა, სპილენძი, ბუმბული, აბრეშუმის ძაფი, ლობიო.... საუკუნის დასასრულს ქუთაისელ ებრაელ ვაჭრებს შორის რამდენიმე იმდენად დანინაურდა, რომ დიდი კაპიტალი შეიძინა და საბანკო საქმიანობაშიც ჩაება. 1914 წელს თბილისში დაარსებულ კავკასიის სავაჭრო-სამრეწველო ბანკის დამფუძნებელთა შორის (სულ 20 კაცი) 2 ქუთაისელი ებრაელი იყო – რიჟინაშვილი და იაკობიშვილი. ქუთაისელი ებრაელების შემდეგ გაბატონებული პოზიცია სავაჭრო იერარქიაში სამეგრელოს ებრაელ ვაჭრებს ეკავათ, შემდეგ რაჭის ებრაელებს. თუ აღმოსავლეთ საქართველოში მე-19 საუკუნის დასაწყისში შედარებით პასიური იყო ებრაელების ხვედრითი წონა ეკონომიკურ ცხოვრებაში, მოგვიანებით ვითარება იცვლება და ებრაელი ვაჭრებიც ერთვებიან ალბე-მიცემობის პროცესში. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც რუსეთის იმპერიაში ბატონობა გაუქმდა და რეფორმებიც განხორციელდა.

XIX საუკუნის მეორე ნახევრისთვის ებრაული მოსახლეობის ძირითადი ნაწილი დაკავებული იყო უმთავრესად სოფლად საქონლის დატარებით, ამავე დროს ადგილობრივ დუქნებსა და სახლებში ყიდდნენ ტილოს, თუთუნს, დამარილებულ თევზს, ჩითს, აბრეშუმს და სხვა. ეს საქონელი მათ უფრო თბილისიდან, ქუთაისიდან ან გორიდან ჩამოჰქონდათ. ცარიზმი ებრაელთა ასიმილაციისა და გაქრისტიანების მიზნით ებრაული სასულიერო პირების მიმართ ახორციელებდა მიზანმიმართულ პოლიტიკას. ამას ხელს უწყობდა ზოგიერთი სასულიერო პირის არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება დაკისრებული მოვალეობებისადმი. ეს პრობლემა საქართველოში მოგზაურობის დროს არსად შეხვედრია ჩორნის, მიუხედავად ამისა, მან მრავალ ჯამაათში შეცვალა თემის წინამძღოლი და გაბაეები, რამაც მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში პროტესტიც კი გამოიწვია: „რამი გვინდა რაბი და გაბაებიო, განა ბატონები უწინდებურად უნდა დავნიშნოთ და თავზე დავისვათო? ახლა ჩვენ თავისუფლები ვართ ბატონის სამსახურისგან, არ გვინდა ახალი ბატონი“.¹⁹ ეს იმის დასტურია, რომ ქართველი ებრაელობა ადგილობრივ მოსახლეობასთან სრულიად იყო ინტეგრირებული და იზიარებდა იმ პიროვნული თუ მოქალაქეობრივი თავისუფლების ხარისხს, რომელიც ძირითადად მკვიდრი მოსახლეობისთვის იყო დამახასიათებელი.

19 ჩორნი იუჰუდა, „მოგზაურობა საქართველოში, იმერეთში, სამეგრელოში, გურიასა და არარატის ქვეყანაში (არმენია)“; თარგმნა იცხაკ დავითმა, დავიდი ი., ნაწერები, ტ. I. თელავი-იერუსალიმი, 1976, გვ. 205.

On the social status of Jews in Georgia in the second half of the 19th century (according to Yehuda Halevi Chorni)

Summary

Arrival, settlement, and integration in common Georgian state of Jewish community had been lasted for centuries. The Jewish refugees exiled by the king of New Babylon, Nabukodonosor were spread the entire Near East. The part of Jewish community settled in Kartli Region and during the centuries they founded the unique phenomenon with the local Georgian residents known as Georgina-Jewish Relationship.

The Jewish accommodated in Georgian cities. They perceived the Georgian language; however, they kept their own identity and faith. The Jewish shared Georgians' joy and sorrow during times of hardship or prosperity. In accordance with the historical sources, the independent Georgian state was distinguished with a tolerant policy towards the Jewish ethnicity: Jewish community possessed its own real estate and movable property, shrines, and temples, they were allowed to move freely, the Jewish were frequently appointed for the honorable places at the high social level of the country. The famous researched involved in investigation of Georgian-Jewish relationship (Itzhak David, E. Mamistvalishvili etc.) simultaneously confirmed that no precedent of Jewish ethnic oppression is fixed in Georgian narrative sources.

The condition has been changed after losing the independency of Georgian state. The policy of Russian Empire aspired to Russification and full assimilation of small peoples. Therefore, it contributed the lots of facts of ethnic oppression and bullying.

Georgians and Jewish inhabited in Georgia were not exceptions. However, should be emphasized that Jewish legal states in European countries and in borderless Russian Empire was worse rather than among Georgian Jewish.

The numerous of „programs'' which was a normal fact, were simply foreign to Georgians. Hence, the social condition of Jewish people inhabited in Georgia was the same with the residents of Georgia that was a part of Russian Empire. We are able to confirm that fact based on the rich narrative sources created by the famous Jewish traveler Yehuda Halevi Chorni who visited Georgia in the second half of the 19th century. The traveler gifted us unvaluable information about relationship of Georgians and Jewish – how those two nations lived side by side, how they created, prayed at the different churches and temples, and preserved their ethnic identity, though.

ქართული იდენტობის ევროპული მოდელი ნაციონალიზმის ეპოქაში

*„ეხლა კი დავიღუპეთ! ... აგერ, ინგლისელთა გემები მისცურავენ. ევროპა წავიდა, ჩვენ ისევ მარტონი დავრჩით აზიაში. იმ გემებმა წაიღეს ჩვენი უკანასკნელი იმედი და დავგიტოვეს და-მო-უ-კი-დებ-ლო-ბა!.. მიიხედ-მოიხედე გარსშემო, ბესო! უხარიანთ! იცინიან! ქეიფობენ! ხა-ხა-ხა! ერთი ჰკითხე, ბესო, ამ ტუტუცებს, რად იცინიან? რა უხარიანთ? რად მოიღბენენ? ამათ რომ ჭკუა ჰქონდეთ და ხვალინდელის დანახვა შეეძლოთ, ცხარე ცრემლით იტირებდნენ და მომავალ ვაებას დღესვე იგლოვებდნენ. ეხლანდელი ხელისუფალნი ოდესმე მოიგონებენ დღევანდელ დღეს და კვაჭი კვაჭანტირაძეს, მაგრამ გვიანლა იქნება თითზე კბენანი. აქამდის ჩვენ ორი გზა გვქონდა: ან რუსეთი, ან ევროპა. ეხლა ერთი გზა ღა დავგვრჩა – მოსკოვის გზა, ისიც წითელი და ეკლიანი“.*¹

ასე ეხმაურება მიხეილ ჯავახიშვილის რომანის „კვაჭი კვაჭანტირაძე“ მთავარი გმირი ბრიტანელების მიერ ბათუმის დატოვებას 1920 წლის ზაფხულში. კვაჭი კვაჭანტირაძის ეს სიტყვები ეპოქალური მნიშვნელობისაა – ისინი კარგად ასახავენ იმედგაცრუებას, რომელიც 1920-იან წლებში დასავლეთისგან მიტოვებული საქართველოს ინტელექტუალურ წრეებში გაჩნდა. ამასთან ერთად, ბრიტანელთა მიერ ბათუმის ოლქის ოკუპაციის დასრულებით გამოწვეული საყოველთაო სიხარულში კვაჭი კვაჭანტირაძის მიერ შეტანილი დისონანსი ქართველი ხალხის მარადიულ გზაჯვარედინზე, ეგზისტენციური არჩევანის წინაშე ყოფნის ერთგვარი შეხსენებაა. მიხეილ ჯავახიშვილმა „კვაჭი კვაჭანტირაძე“ 1925 წელს გამოსცა, როდესაც საქართველოს საბჭოთა ოკუპაციიდან მხოლოდ ოთხი წელი იყო გასული. დამოუკიდებლობის დაკარგვიდან მალევე, 1930-იანი წლების დასაწყისში, საქართველოში დიდი ხნით დასრულდა დებატები ქვეყნის ევროპული მომავლის გარშემო, გაქრა დასავლური დისკურსი, რომელიც მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში ახალი ეროვნული იდენტობის ფორმირების პროცესის მნიშვნელოვანი შემადგენელი იყო. „ქართული კულტურის ევროპული CV მეცხრამეტე საუკუნემდე ბევრად ადრე გაჩნდა, ხოლო მეცხრამეტე საუკუნის ინტელექტუალურმა მოძრაობამ ამ CV-ის უზარმაზარი კორპუსი შექმნა“.²

ჩვენი ნაშრომის მიზანი არ არის ქართულ ცნობიერებასა და იდეათა ისტორიაში დასავლეთის სახის შესწავლა. მიუხედავად ამისა, დამოუკიდებლობის შემდგომ პერიოდში დასავლეთთან დაკავშირებული წინააღმდეგობრივი პროცესის გასაანალიზებლად მნიშვნელოვანია შევხვით დასავლურ დისკურსს როგორც ახალი (მოდერნული) ქართული იდენტობის ფორმირების პროცესის ნაწილს. ქართულენოვანი აკადემიური სივრცე იცნობს ნაშრომებს, რომლებიც საქართველოში დასავლეთისადმი დამოკიდებულებას ღრმა ისტორიული პერსპექტივიდან სწავლობს, თუმცა ჩვენი კვლევის შემთხვევაში საყურადღებოა

1 ჯავახიშვილი მ., კვაჭი კვაჭანტირაძე და მისი თავგადასავალი, ტიფლისი, 1925, გვ. 396-397.

2 საბანაძე გ., ჯგერენაია ე., ევროპა როგორც მასწავლებელი, თბ., 2017, გვ. 10.

დასავლეთი როგორც თანამედროვე ქართველი ერის და შემდგომში ეროვნული სახელმწიფოს ფორმირების ორიენტირი, – „შორეული ახლობელი,“³ რომლისკენ სწრაფვა იმედებისა და იმედგაცრუებების ერთგვარი ნაზავია.

ადრიან ბრისკუს შეხედულებით, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ქართველებისთვის ევროპის სახე-ხატი სამი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული წარმოდგენით იყო განსაზღვრული: ევროპა, როგორც გეოპოლიტიკური სივრცე, ევროპა როგორც პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური პროგრესის მოდელი და ევროპა როგორც თანამედროვე ცივილიზაციის აკვანი. ამ წარმოდგენებმა არაერთმნიშვნელოვანი გავლენა იქონიეს საქართველოს ისტორიაზე, დაწყებული მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში აღმოცენებული ეროვნული მოძრაობით, გაგრძელებული მეფის რუსეთის დამხობის შემდეგ პირველი ქართული სახელმწიფოს შექმნით და დამთავრებული საბჭოთა კავშირის დაშლით. მიუხედავად ამგვარი არაერთმნიშვნელოვნებისა, მთელი ამ ხნის განმავლობაში საქართველოში არსებობდა პრეტენზია იმისა, რომ ქვეყანა ევროპის ნაწილს წარმოადგენდა, რადგანაც სწორედ მასთან იყო დაკავშირებული პროგრესისა და უკეთესი მომავლის სურვილი. „მომავლის მოლოდინით დატვირთული ევროპის სახე-ხატი საქართველოში კატალიზატორის ფუნქციას ასრულებდა, რამდენადაც „მოლოდინის ჰორიზონტს“ შლიდა და ახალ „მოლოდინის სივრცეს“ ქმნიდა.⁴ ბრისკუს მიერ აღნიშნული არაერთმნიშვნელოვნება ისტორიული პროცესის შედეგია. რთული, წყვეტილებითა და რადიკალური ტრანსფორმაციებით გაჯერებული ისტორია, არასტაბილური პოლიტიკური და კულტურული გარემო ხელს უშლიდა საზოგადოების ჰომოგენურ განვითარებას, დასავლურ პოლიტიკურ და კულტურულ სივრცეში სრულფასოვან ინტეგრაციას. გასული ორი საუკუნის მანძილზე საქართველომ არაერთხელ „აღმოაჩინა“ ევროპა, შეხვდა და დაუახლოვდა მას. დასავლური განვითარების გზაზე მიღწეულ წარმატებებს კრახი, იმედგაცრუება და ამ გზიდან ხანგრძლივი ჩამოშორება მოჰყვა. ვფიქრობ, რომ საქართველოს საზოგადოებაში დღეს არსებული წინააღმდეგობები მნიშვნელოვნად არის განპირობებული წინააღმდეგობრივი ისტორიული პროცესით.

1860-იან წლებში დაწყებულ საზოგადოებრივ მოძრაობას, რომელიც ქართული საზოგადოების ტრანსფორმაციას და ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბებას ისახავდა მიზნად, სათავეში ჩაუდგა დასავლური იდეების მატარებელი ინტელექტუალური ელიტა. ამ პერიოდიდან საქართველოში განვითარდა ტენდენცია, რომელსაც დასავლურ ლიბერალურ ნაციონალიზმს უწოდებენ. ქართველები ეროვნულობის დასავლურ პარადიგმას ეზიარნენ და სამაგალითოდ დასავლური ეროვნული მოძრაობა დაისახეს.⁵ ახალი მოძრაობის გამორჩეული წარმომადგენლებისთვის ევროპა იყო ერთგვარი მოდელი საქართველოს მომავალი განვითარებისთვის. დასავლური გზის მნიშვნელობასა და უპირატესობაზე

3 დასავლეთის მსგავსი დეფინიცია ეკუთვნის ადრიან ბრისკუს.

4 ბრისკუ ა., ასე შორს და მაინც ასე ახლოს. ევროპის სახე-ხატი საქართველოში: იდეათა ისტორია. <https://bit.ly/3CP9beF> (ნანახია 30.04.2021).

5 ნოდია გ., „დასავლეთის იდეა ქართულ ცნობიერებაში,“ საზოგადოება და პოლიტიკა II, მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, თბ., 1999, გვ. 40.

საუბრობს სერგეი მესხი ჯერ კიდევ 1872 წელს გამოქვეყნებულ წერილში „ახალი მიმართულება ჩვენი ახალ-თაობისა“.⁶ მესხი საუბრობს უფროსი თაობის მიერ მიღებული განათლების შესახებ, რომლის წარმომადგენელთა ძირითად მიზანს ჩინოვნიკად ქცევა და იმპერიის სამსახურში ჩადგომა წარმოადგენდა. „სწავლასაც ისეთს იღებდნენ, რომ ან ჩინოვნიკად უნდა შექმნილიყვნენ და ან სულ ტყუილ-უბრალოთ, უსაქმოდ და უმიზნოდ მოეკლათ დრო“. სერგეი მესხი აღნიშნავს რომ, განსხვავებით უფროსებისგან, სამოციანელთა ახალმა თაობამ გამოავლინა ახალი და განსხვავებული ცხოვრებისადმი ლტოლვა. „რაკი ჩვენი ახალ-თაობა ნამდვილათ დარწმუნდა, რომ ეს ძველი გზა ყოველს შემთხვევაში გამოუსადეგარი და ხანდისხან მავნებელი გზა იყო, შეუდგა ახალი გზის მონახვას და ამ ახალი თაობის საქებლათ უნდა ვსთქვათ, რომ ეს ახალი გზა იმათ მალე მონახეს. ეს გზა – დასავლეთი ევროპის გზა არის“.⁷ ნიშანდობლივია, რომ სერგეი მესხი დასავლური გზის პოვნაზე საუბრობს, 1860-1870-იანი წლების ახალ თაობაში ევროპული მიმართულების აღმოჩენასა და პოპულარულობაზე. „სიკვდილის შემდეგ რომ სინანულს რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს, ჩვენ ვიტყვით იმ დაკარგულს დროსა და ახალგაზრდებს, რომელნიც ტყუილ-უბრალოთ ჩაიღუპნენ, სანამ ეს სწორი გზა მოინახებოდა. მაგრამ, რადგანაც სიკვდილის შემდეგ სინანული არაფერში გამოგვადგება, ამის გამო, უბრალო ცრემლებს თავი დავანებოთ და დავხაროდეთ, რომ ჩვენმა უკანასკნელმა ახალ-თაობამ სწორ გზას დაადგა“.⁸ ავტორის შეხედულებით, ევროპა არის ყოველგვარი ცოდნის, განათლების, წარმატების წყარო, საქართველოს წინსვლისთვის ერთადერთი და სწორი არჩევანი. დიდი მნიშვნელობის მატარებელია ევროპაში წასვლა, მასთან პირდაპირი კავშირი, განათლების მიღება, იდეების ათვისება და საქართველოში დანერგვა.

„ვინ ვაბედავს იმის თქმას, რომ დასავლეთი ევროპის ცხოვრების წაბაძვა და იქიდგან პირ-და-პირ მეცნიერების ვადმოტანა ათას წილათ უკეთესი არ იქნება ჩვენთვის, ვიდრე სხვა რომელიმე ქვეყნიდამა? განა ყოველთვის ის წყაროს წყალი არ სჯობია, რომელიც პირ-და-პირ მიწიდან ამოჩუხჩუხებს და განა არ იცით, რომ წყაროდან მოშორებული წყალი ხანდისხან ისეთს რამეებს შეითვისებს გზაში, რომ შემდეგ იმის გამოყენება თითქმის შეუძლებელია? მაშ მივესალმოთ ამ ახალ მოვლენას და გზა დაულოცოთ იმ ახალგაზრდებს, რომელნიც მიელტვიან ევროპისაკენ დედანი წყაროს დასანაფებლად“.⁹

სერგეი მესხი საუბრობს დასავლეთთან პირდაპირ კავშირზე, შუამავლის გარეშე, რაც საყურადღებო ფაქტია რუსეთის იმპერიის მიერ კოლონიზებულ ქვეყანაში. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოში დაწყებული ნაციონალური იდენტობის ფორმირების პროცესი დასავლური ტიპის სეკულარული ერთობის ჩამოყალიბებას ისახავდა მიზნად. შესაბამისად, დასავლური ვექტორი ახალი თაობის მიერ შექმნილი ეროვნული პროექტის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ელემენტად იქცა. დამოუკიდებლობადაკარგულ ქვეყანაში, სადაც არ არსებობს პოლიტიკური კლასი, შეუძლებელია ვისაუბროთ

6 მესხი ს., ახალი მიმართულება ჩვენი ახალ-თაობისა, ვაზ, „დროება“, 1872 წ., 20 ოქტომბერი.

7 იქვე.

8 იქვე.

9 იქვე.

კლასიკური გაგებით ევროპულ ორიენტაციასა და დასავლურ სივრცეში ინტეგრაციაზე. ინტელექტუალური ელიტის წარმომადგენლები ევროპას განიხილავდნენ, როგორც განვითარების იდეალურ მოდელს. ამის ამსახველია სერგეი მესხის ხსენებული პუბლიკაცია, რომელიც ერთ-ერთი პირველია ახალი ეპოქის პროდასავლელ ინტელექტუალთა ნააზრევიდან. მესხისთვის სანიმუშოა ნამდვილი, ავთენტური ევროპა ტრანსფორმაციის პროცესში მყოფი საქართველოს საზოგადოებისთვის.

ევროპით აღფრთოვანება და, ამავედროულად, გეოგრაფიული სიშორის გამო დასავლეთში განვითარებული პროცესებისაგან მოწყვეტით იმედგაცრუება იგრძნობა ჯამბაკურ ორბელიანის წერილში „ქართველების ძველი დრო გადმოსული ახლა“. ავტორი ევროპას მთელი ქვეყნის ლამპარს უწოდებს, რომელიც უკვე დიდი ხანია განათლებასა და განვითარებაზე ზრუნავს, თუმცა საქართველო მისგან უყურადღებოდ არის მიტოვებული

„ევროპიისაგან უყურადღებოდ დაგდებული საქართველო და საქართველოსგან სრულებით უცნობი ევროპია ...ვინცობაა, თუ ჩვენს მამაპაპათ ევროპიელებთან მეზობლობა ექნებოდათ, მაშინ შეიძლება ყუელას დარწმუნება, რომ ქართულები ავდენის ძვირფასის ნიჭიერებით სავსენი არიან: დიდი განათლება იქნებოდა ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ ვინ აღუდგებოდა წინაგარემოებას? – საშინელს ვეშაპსავით განოლილი ოსმალის სახელმწიფო ჩვენსა და ევროპიის შუა“.¹⁰

მე-19-20 საუკუნეების მიჯნის ინტელექტუალური წრეებიდან ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და მკაფიო დასავლური დისკურსის მატარებელი ავტორია ნიკო ნიკოლაძე. ამის თვალსაჩინო მაგალითია 1894 წელს გამოქვეყნებული მისი პუბლიცისტური წერილი „ბულგარია“, სადაც ნიკოლაძე ბიზანტიურ-რუსულ და ევროპულ მმართველობის სისტემებს შორის განსხვავებაზე და ევროპულის უპირატესობაზე საუბრობდა. ნიკოლაძე თვლიდა, რომ ქართველების, რუსების, სომხების, აზიელი ხალხების ჩამორჩენის მიზეზი იყო დესპოტური მმართველობა. ეს უკიდურესად ცენტრალიზებული სისტემა მმართველობის სათავეში მყოფი ტირანის/დესპოტის ნება-სურვილით იმართებოდა.

„ევროპაში კი დაარსდა სხვადასხვაგვარი სიმართლე, კანონი, ტრადიცია, სისტემა და ბოლოს მეცნიერებაც. მათი შემწეობით სუსტი მეფეც რომ მჯდარიყო ევროპაში ტახტზე, ეს გარემოება თითქმის არც კი დაეტყობოდა ქვეყნის საქმეებს; ისტორია, ისტორიული პროგრესი, მაინც თავისებურად, აურქარებლად, მაგრამ დაუხვევლადაც წინ მიდიოდა“.¹¹

ნიკო ნიკოლაძის შეხედულებით, დესპოტურ მმართველობას სძულს წარსული, წინაპართა ნაღვანი, არ არსებობს თაობებს შორის მემკვიდრეობითობა, რაც აფერხებს საზოგადოების თანმიმდევრულ განვითარებას.

„ევროპული წესის თვისება ის არის, რომ ყოველი ახალი თაობა განძად სთვლის წინაპრებისაგან გადმოცემულ სიმართლეს და საუნჯეს, და ზედ თვითონაც ბევრს ამატებს, ართავს, აშენებს, ისე, რომ დღევანდელ თაობას, მაგალითად, მარტო თავის ნაშრომი და შენაძენი კი არ უკავია ხელში, მთელი

10 ორბელიანი ჯ., ქართველების ძველი დრო გადმოსული ახლად, ჟურნ. „ცისკარი“, 1861, #, 11, გვ. 211.

11 ნიკოლაძე ნ., ბულგარია, ქართული მწერლობა: ტომი მეთოთხმეტე, თბ., 1997. გვ. 214-253.

ათი თუ ოცი საუკუნის სიკეთით და საუნჯით არის მდიდარი. ...ჩვენ ყველანი ერთობ ახლო ახლო ვიდევით აზიასთან, ერთობ ვემონებოდით მის მაგალითს, მის მომხიბვლელ და გამრყენელ ხასიათს“.¹²

ნიკო ნიკოლაძემ განსაკუთრებული წვლილი შეიტანა საქართველოში დასავლური დისკურსის ჩამოყალიბებასა და დამკვიდრებაში, თუმცა ეს დისკურსი არ იყო ერთადერთი და უალტერნატივო. მაგალითისთვის შეგვიძლია გავიხსენოთ სოციალისტ ივანე ჯაბაძარისა და მონარქისტ გიორგი მუხრან-ბატონის შეხედულებები, რომლებიც არ იყო გამომხატულად და სახელდებით ანტიდასავლური, თუმცა ანტიეროვნულ შინაარსს ატარებდა და კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა მცირე ერების დამოუკიდებლად არსებობის შესაძლებლობას.¹³ მსგავსი ნარატივები წინააღმდეგობაში მოდიოდა საზოგადოების განვითარების დასავლურ გზასთან, რომელიც ახალი ნაციონალური იდენტობის ფორმირებას, საზოგადოების კონსოლიდაციას და მომავალზე ორიენტირებას გულისხმობდა. საქართველოს ევროპული გზა, რომელიც საბოლოოდ 1918-1921 წლების დასავლური დემოკრატიის ჩამოყალიბებამდე მივიდა, რთული და წინააღმდეგობრივი პროცესების მიუხედავად, ძლიერი და სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა.

1860-იან წლებიდან, ინტელექტუალური ელიტის წარმომადგენელთა დასავლეთისადმი დამოკიდებულებებზე დაკვირვებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქმე გვაქვს დასავლეთთან პირისპირ შეხვედრასთან, მის ინტელექტუალურ წყაროდ გამოყენებასთან, როგორც იდეურ, ისე პრაქტიკულ, ყოფითი ცხოვრების დონეზე. ქართულენოვან პერიოდულ პრესაში ხშირად ქვეყნდებოდა წერილები, რომლებიც ევროპული საზოგადოებების ცხოვრების სხვადასხვა ასპექტებს მიმოიხილავდნენ და აცნობდნენ მას საქართველოს მოსახლეობას. ეს იყო ეპოქა, როდესაც, ტექნოლოგიური განვითარების შედეგად, გეოგრაფიულად დაშორებულ დასავლურ სახელმწიფოებში მოგზაურობა ხელმისაწვდომი გახდა. ევროპაში სხვადასხვა მიზნით გამგზავრებული ქართველები უშუალოდ ეცნობოდნენ დასავლურ სამყაროს და მიღებულ შთაბეჭდილებებს, რომლებიც ხშირად ემოციური კომპონენტებითაც იყო დატვირთული, უზიარებდნენ საკუთარ ხალხს. ალექსანდრე ხახანაშვილი, 1894 წელს, ევროპაში მოგზაურობის შემდეგ, წუხს იმ ფაქტის გამო, რომ დასავლეთში საქართველოს

„სრულებით არ იცნობენ. ...საჭიროა, რომ ჩვენმა ახალგაზრდობამ მაინც მიაქციოს ყურადღება ამ მდგომარეობას და, მსგავსათ სომხეთის ყმანვილაკაცებისა, რამდენიმე თვით ან წლოვით წავიდნენ ხოლმე სწავლის გასაგრძობათ გერმანიაში, ავსტრიაში, შვეიცარიაში, საფრანგეთში და ინგლისში. პირადათ ვაცნობა და დაახლოება იქაურ მეცნიერებთან, მწერლებთან და ხალხთან გაფანტავს ცრუ წარმოდგენას საქართველოზე და აუხსნის ნამდვილ სურვილს ქართველი ხალხისას. ...ამიტომ სასურველია, რომ იმატოს რიცხვმა ახალგაზრდა ქართველთა საზღვარგარეთ მოსწავლეთა, რომელნიც შეიქნებიან ხიდათ ქართველთა და ევროპელთა შორის“.¹⁴

12 იქვე.

13 ბაქრაძე ა., იმედი და ნიჰილიზმი, თვალსაზრისი, <https://bit.ly/36g9H9x> (ნანახია 12/12/2021).

14 ხახანაშვილი ა., როგორ გავეცნოთ ევროპას, ევროპა როგორც მასწავლებელი, თბ., 2017, გვ. 40-41.

ნიკო ნიკოლაძის წერილი „ქვეითად და რკინის გზაში“, სერგეი მესხის „ქართველი ევროპაში (ხამი მოგზაურის შენიშვნები და ფიქრები)“, პეტრე ნაკაშიძის „სამგზავრო წერილები“, ნიკო ცხვედაძის „მოკლე შენიშვნები საზღვარგარეთიდან“ მკითხველს აცნობს ევროპული ცხოვრების ნიუანსებს. გვხვდება პუბლიკაციები, რომლებიც ეხება საზოგადოების ცხოვრების ისეთ მხარეებს, როგორებიცაა ღვინის დაყენების თანამედროვე ტექნოლოგიები და მისი საქართველოში დანერგვის აუცილებლობა, მეფუტკრეობის ევროპული სტანდარტის მიხედვით განვითარება, საქართველოში ვაჭრობის და ალებ-მიცემობის განვითარების აუცილებლობა, გენდერული საკითხები, ქალებისადმი დამოკიდებულება და სხვა.¹⁵ მოდერნული ქართული იდენტობის ფორმირების საწყის ეტაპზევე გაჩნდა ევროპული დისკურსი, რომელიც მე-20 საუკუნის დასაწყისიდან პოლიტიკური საზოგადოების ჩამოყალიბების ერთ-ერთ შემადგენლად იქცა. ამ პერიოდიდან საქართველოში დომინანტური გახდა სოციალისტური იდეოლოგია. სტივენ ჯონსი, კლასიკურ გამოკვლევაში „სოციალიზმი ქართულ ფერებში: სოციალ-დემოკრატიის ევროპული გზა“, საუბრობს 1900-იანი წლების დასაწყისში სოციალისტურ მოძრაობაში განხეთქილებასა და ნოე ჟორდანიას ლიდერობით საქართველოში მენშევიზმის ტრიუმფზე. ჯონსის სიტყვებით, ამ ფაქტმა ქართული სოციალისტური მოძრაობა ეროვნული ერთიანობისა და განვითარების ევროპული გზისკენ წაიყვანა.¹⁶ მისი მტკიცებით, ქართველი სოციალისტების მთავარი შთაგონების წყარო ევროპული სოციალისტური მოძრაობა იყო და თავადაც ახდენდნენ მასზე გავლენას.¹⁷ მთავარი, რაც საქართველოს ევროპული გზის განგრძობადობას აჩვენებს, არის ის, რომ საქართველოში სოციალისტური მოძრაობა ეროვნულ მოტივებზე გადავიდა და განახორციელა ნაციონალიზმის მთავარი მიზანი – ერი-სახელმწიფოს ჩამოყალიბება.

*„ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა თერგდალეულებისგან ძლიერი პრაქტიკული ეთოსი მიიღეს მემკვიდრეობად. ...დემოკრატიული ჩვევებისა და ამავდროულად სოციალისტური იდეების აგიტატორებს, ქართველ სოციალ-დემოკრატებს დღეს ჩვენ ალბათ „სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტებს“ ვუნოდებდით“.*¹⁸

სტივენ ჯონსის ეს სიტყვები კარგად აჩვენებს საუკუნეთა მიჯნაზე განვითარებული პროცესების მემკვიდრეობითობას და საქართველოს ევროპული გზით ტრანსფორმაციას. მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში, ნაციონალიზმის ფორმირების ეპოქაში, საქართველომ განვითარების ევროპული გზა გაიარა, რაც ზუსტად თავსდება ეროვნული სახელმწიფოების შექმნის დასავლურ მოდელში. გამომდინარე აღნიშნულიდან, ლოგიკურად და ორგანულად უღერს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის, ნოე ჟორდანიას მიერ წარმოთქმული

15 აღნიშნული და სხვა წერილების ხილვა შესაძლებელია გიორგი საბანაძის და ემზარ ჯგერენაიას რედაქტორობით გამოცემულ კრებულში „ევროპა როგორც მასწავლებელი“, თბ., 2017.

16 ჯონსი ს., სოციალიზმი ქართულ ფერებში: სოციალ-დემოკრატიის ევროპული გზა. თბ., 2007, გვ. 161.

17 იქვე, გვ. 351.

18 იქვე, გვ. 354.

სიტყვა 1920 წლის 14 იანვარს, მოკავშირე სახელმწიფოთა მიერ საქართველოს დე ფაქტოდ აღიარებისადმი მიძღვნილ სხდომაზე:

*„მოქალაქენო! ნება მიბოძეთ მოგილოცოთ თქვენ, მიულოცო საქართველოს ხალხს საერთაშორისო ოჯახში გაშლილი დროშით შესვლა და იქ ევროპის ხალხის გვერდით საკუთარი ადგილის დაჭერა. ამიერიდან ქართველი ერი მიღებულია დიდი ერების მიერ, როგორც თანასწორი თანასწორთა შორის. ჩვენი დღევანდელი ცხოვრება და მომავალი გზა-კვალი მჭიდროთ, უშუამავლოთ გადაეჯაჭვა დასავლეთს და ამ კავშირის გაქარწყლება არ ძალუძს არავითარ ძალ-ღონეს და ეს დიადი ისტორიული მოვლენა მოახდინა ერთმა გარემოებამ: საქართველოს ხალხის ერთსულოვანმა გამოსვლამ და ერთი აზრის, ერთი დროშის ქვეშ ერთხმად თავის მოყრამ“.*¹⁹

ნოე ჟორდანიას გამოსვლის დასკვნით სიტყვაში ნათლად მოჩანს ეგზისტენციური, ცივილიზაციური არჩევანი, რომლის წინაშე ყოფნაც ხშირად უხდებოდა საქართველოს ისტორიის მანძილზე. იგი სიამაყით აცხადებს, რომ მთელმა ევროპამ ერთხმად განაცხადა: „კეთილი იყოს შენი დაბადება! კეთილი იყოს შენი მობრძანება! და ჩვენ გვმართებს ეს ერთსულოვანი კურთხევა გავამართლოთ საქმით - გავხდეთ ნამდვილი ევროპიელი“. ჟორდანიას სიტყვებით, საქართველომ არასდროს უნდა უარყოს გზა, რომელზეც ახლა დგას.

*„ჩვენს ირგვლივ ხდება და მოხდება დიადი ამბები. ჩვენ გვმართებს დიდი სიმაგრე, დიდი დაფიქრება, რომ ერთხელ არჩეულ გზიდან არ ... დასავლეთი და აღმოსავლეთი - აი ეს კითხვაა ჩვენს წინაშე დასმული და აქ ყოყმანი შეუძლებელია. ჩვენ მუდამ ვირჩევდით და ვირჩევთ დასავლეთს ...ჩვენი გზა მიდის ევროპისაკენ, რუსეთის კი აზიისაკენ. ვიცე, მტრები აყვირდებიან - იმპერიალისტებს ემხრობითო. ამიტომ აქ გადაჭრით უნდა ვსთქვა: მირჩევნია დასავლეთის იმპერიალისტები აღმოსავლეთის ფანატიკოსებს“.*²⁰

საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ მტკიცედ განაცხადა, რომ საქართველო მემკვიდრეა კაპიტალისტური წყობილების და არა აზიური კარჩაკეტილობის. „თუ თავი ჩვენი ჩვენ გვახლავს, ღარიბად არ ვიხსენიებით. გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს და მის ევროპასთან დაკავშირებას!“²¹ - ამ ფრაზით დაასრულა ნოე ჟორდანიამ სიტყვა საზეიმო ღონისძიებაზე. მთავრობის თავმჯდომარის ეს გამოსვლა 1920 წელს, ერთი მხრივ, მიუთითებს საქართველოს სახელმწიფოს მტკიცე არჩევანზე დასავლური განვითარების სასარგებლოდ, მეორე მხრივ კი, გვაჩვენებს, რომ ევროპული გზა არ ყოფილა ცალსახა და უალტერნატივო - მუდმივი დილემა და გზაგასაყარზე ყოფნის განცდა საქართველოს საზოგადოების განვითარების საბაზისო მახასიათებელია და დღემდე საკვანძო როლს ასრულებს სოციალურ და პოლიტიკურ პროცესებში. ნოე ჟორდანიას შეხედულებები ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ბოლოდან ატარებდა პროდასავლურ ხასიათს. იგი აცნობიერებდა, რომ საქართველო საუკუნეების განმავლობაში იყო მონყვეტილი დასავლურ სამყაროში განვითარებულ

19 საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტომი XIV: ნოე ჟორდანია. ოფიციალური დოკუმენტები, სიტყვები და გამოსვლები. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. თბ., 2018, გვ. 16.

20 საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტომი XVI: ნოე ჟორდანია, თბ., 2018, გვ. 18.

21 იქვე, გვ. 19.

პროცესებს და დიდი აღმოსავლური იმპერიების გავლენის ქვეშ რჩებოდა, თუმცა, მას მაინც შესწევდა ევროპეიზაციის უნარი.²²

1910-იანი წლებიდან ევროპისკენ სწრაფვა შეინიშნება არა მხოლოდ პოლიტიკის, არამედ კულტურის სფეროშიც, თუმცა ეს მისწრაფება არ ყოფილა ცალსახა და ერთმნიშვნელოვნად გაზიარებული. საქართველოს საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ, 1920-იან წლებში, იდენტობასა და ორიენტაციასთან დაკავშირებული საკითხები ცხარე დებატების საგნად იქცა, იმატა დასავლეთით იმედგაცრუებისა და ნიჰილისტური პათოსის შემცველმა ტექსტებმა. დასავლეთმა ვერ შეძლო დამოუკიდებელი საქართველოს გადარჩენა, თუმცა მისგან ამას აშკარად ელოდნენ და ეს მოლოდინი, ქვეცნობიერად განზილებისთვის განწირული, ქართული პოლიტიკური აზროვნების უცვლელ ელემენტად იქცა.²³ ამ დისკუსიის მოკლე მიმოხილვა მკაფიო წარმოდგენას შეგვიქმნის წინაპირობებზე, რომელსაც დაემყარა გვიან საბჭოთა და პოსტსაბჭოთა საქართველოში მიმდინარე დებატები დასავლური ორიენტაციის გარშემო.

ცისფერყანწელები, რომელთა შემოქმედებითი ჯგუფი ახალგაზრდა ქართველ პოეტებს და პროზაიკოსებს აერთიანებდა, აცხადებდნენ, რომ ქართული კულტურა ყოველთვის ევროპული იყო და იგი უნდა დაბრუნებოდა მშობლიურ ფესვებს.²⁴ გაჩნდა დისკურსი, რომელიც საქართველოს ევროპულ წარსულზე აპელირებდა. პაოლო იაშვილი 1923 წელს გამოქვეყნებულ წერილში ნუხდა ევროპული ენებიდან თარგმნილი ლიტერატურის სიმწირის გამო. მისი სიტყვებით, მე-19 საუკუნის ინტელექტუალებმა ვერ შეძლეს საქართველოს დასავლეთთან რეალური დაახლოება და ეს ახალი თაობის ამოცანაა. ევროპასა და საქართველოს შორის სიახლოვე არ იყო მხოლოდ უკანასკნელი წლების მოვლენა, შორეულ წარსულში ყველაფერი გაცილებით უკეთესად იყო; ქართველთა წინაპრები ქართულად კითხულობდნენ პლატონს და ბერძნული ფილოსოფიის საკუთარი სკოლა ჰქონდათ.²⁵ „პირველი თეზისი ცისფერი ყანწების – უარი აზიას. ...პირველი ხმა – ხმა მეზობლი პოეტების – აზიის უარყოფისა“, – წერდა ტიცციან ტაბიძე 1920 წელს გამოქვეყნებულ ტექსტში „მანიფესტი აზიას“.²⁶ მისი სიტყვებით, ცისფერყანწელებმა შეგნებულად უარყვეს საქართველოში აზიისა და ევროპის სინთეზის თეორია, რადგან საქართველოში აღმოსავლური გავლენა არ ყოფილა – ეს იყო არა გავლენა, არამედ ქართული ენისა და კულტურის განადგურება, დეგრადაცია. ტიცციან ტაბიძე საუბრობდა ქართული კულტურის ხელახალი აღორძინების და ევროპასთან დაკავშირების აუცილებლობაზე, „მიუხედავად იმისა, რომ ნოვატორობისთვის საქართველოს მზად აქვს ჭავჭავაძის წინამური და მაჩაბელის მტკვარი თუ საკირე“.²⁷

22 ბრისკუ ა., ასე შორს და მაინც ასე ახლოს. ევროპის სახე-ხატი საქართველოში: იდეათა ისტორია, <https://bit.ly/3tWOSb5> (ნანახია 30.04.2021).

23 ნოდია გ., დასავლეთის იდეა ქართულ ცნობიერებაში, გვ. 42.

24 ბრისკუ ა., ასე შორს და მაინც ასე ახლოს. ევროპის სახე-ხატი საქართველოში: იდეათა ისტორია.

25 იაშვილი პ., თარგმნილი ლიტერატურა. ევროპა თუ აზია (შემდგენელი. ნინო ხოფერია), თბ., 1997, გვ. 198.

26 ტაბიძე ტ., მანიფესტი აზიას. ევროპა თუ აზია, გვ. 301 – 303.

27 ტაბიძე ტ., ირონია და ცინიზმი. პრობლემა მემარცხენეობის პოეზიაში. ევროპა თუ აზია, გვ. 311.

საქართველოსა და ევროპის მრავალსაუკუნოვან ურთიერთობაზე საუბრობდა გრიგოლ რობაქიძე 1920 წელს ევროპის სოციალისტურ დელეგაციასთან შეხვედრაზე. რობაქიძისთვის მთავარი პრობლემა საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა იყო, რამაც ქვეყნის დასავლეთისგან დაშორება განაპირობა. „ჩვენ მივიღტვოდით მუდამ დასავლეთისკენ. ამ ლტოლვილებით არის დაღარული ყოველი ხვეული ჩვენი ისტორიის, ...მაგრამ ჩვენ მუდამ გვქონდა ტრაგედია გეოგრაფიის“. რობაქიძის შეხედულებით, აღმოსავლურმა ურდოებმა ხელი შეუშალეს საქართველოს „ქორწილს“ დასავლეთთან. საქართველო შუა გზაზე შეჩერდა, აღმოსავლეთს მოსცილდა, მაგრამ დასავლეთს ვერ ეზიარა. რობაქიძე საუბრობდა ამ პრობლემის პოლიტიკური მოგვარებისა და საქართველოს დასავლურ სივრცეში ინტეგრაციის აუცილებლობაზე.²⁸

გერონტი ქიქოძის მტკიცებით, მიუხედავად წარსულში აღმოსავლეთის უპირატესობისა, სადაც სპარსული, არაბული, სირიული, ბიზანტიური კულტურები ყვაოდა, დიდი ხანია „მსოფლიო მნათობი“ დასავლეთისკენ გადაიხარა. „ამიტომ დასავლეთის კარების გაღება უდიდეს საკითხს წარმოადგენს ყოველი თვითშემცნობი და მოქმედი ერისთვის“. მისი შეხედულებით, კამათი იმის შესახებ აღმოსავლური ორიენტაცია სჯობს თუ დასავლური, მე-20 საუკუნის დასაწყისში უკვე აზრს იყო მოკლებული. სტატიაში „დასავლეთის კარები“ (1916) ქიქოძე ვრცლად მსჯელობს დასავლეთ-ევროპული კულტურის რუსულთან უპირატესობის შესახებ. მისი სიტყვებით, ერთ მხარეს დგას მორჩილების რუსული მორალი, ხოლო მეორე მხარეს – „ძლიერი და სრულქმნილი პიროვნების ევროპული იდეალი“. ქიქოძე თვლიდა, რომ საქართველო ევროპული კულტურის ქვეყანა იყო.²⁹

„ჩვენს სამშობლოს იმდენად ძირითადი კულტურული ფონდი არ ესაჭიროება, რამდენადაც მოძრავი კაპიტალი, რაიცა უფრო ადვილი სასესხებელია დღესდღეობით. ეროვნული ნიადაგი, ამ სიტყვის პირდაპირი და ნართაული მნიშვნელობით, ჩვენც იმგვარივე გვაქვს, როგორც დასავლეთ ევროპას. ...საჭიროა, რომ დასავლეთის კარები ფართოდ გავაღოთ, რათა უხვად შემოვიდეს ევროპული იდეები და შეხედულებები. ...თუ აქამდე კულტურული იდეები გვაკლდა, ეს იმით აიხსნებოდა, რომ ჩვენს ქვეყანასა და დასავლეთ ევროპას შორის გარდაუვალი ბუნებრივი და სოციალური ზღუდეები იყო ამართული“.³⁰

გერონტი ქიქოძე იმედს გამოთქვამდა, რომ ტექნოლოგიური პროგრესის პირობებში, როდესაც გეოგრაფიული და ტოპოგრაფიული საზღვრები კარგავდა პირვანდელ მნიშვნელობას, ქართველი ერიც თავს დააღწევდა „ვიწრო და ნესტიან სენაკს“ სადაც ის დიდხანს იყო გამომწყვდეული და გამოვიდოდა ფართო კულტურულ ასპარეზზე.³¹

პროდასავლურ შეხედულებებს დაუპირისპირდა ქართველი ინტელექტუალების ერთი ნაწილი, რომელიც ვერ ხედავდა საქართველოს დასავლური განვითარების პერსპექტივებს. მათ შორის გამორჩეულია ვახტანგ კოტეტიშვილის 1920

28 გრიგოლ რობაქიძის სიტყვა (ევროპის სოციალისტურ დელეგაციას მწერალთა სახელით). ევროპა თუ აზია, გვ. 276.

29 ქიქოძე გ. დასავლეთის კარები, ევროპა თუ აზია, გვ. 330-331.

30 იქვე. გვ. 332.

31 იქვე.

ნელს გამოქვეყნებული პუბლიკაცია „აზიისაკენ“. ავტორის სიტყვებით, საქართველომ დაკარგა ძველი და მტკიცე გზები, „ვილაც“ ფრაკით შემოიჭრა შიგ და კედლებიდან ხალიჩები ჩამოხსნა. ...მზეს ზურგი შეგვაქცევინა“. გრიგოლ ორბელიანმა, რომელსაც კოტეტიშვილი ქართული ხელოვნების მოხუც ადიუტანტს უწოდებს, სცადა ამ „ვილაცის“ შემობრუნება, მკვახეთაც შეუძახა მას, მაგრამ ფრაკით შემოსილმა აჯობა. „დღეს ის „ვილაცა“ ფრაკში ყველამ შეიყვარა თითქმის“. ცხადია, ავტორი 1860-იან წლებს და თაობებს შორის დაპირისპირებას გულისხმობს. იგი არ აკონკრეტებს „ვილაცის“ ვინაობას. ნათელია, რომ ამ პერიოდიდან დაწყებულ პროცესს კოტეტიშვილი დასავლეთისკენ სვლად და აზიისთვის ზურგის შექცევად მიიჩნევს და უარყოფითად აფასებს მას. მისი შეხედულებით, ქართულ კულტურას ქართულობა აღარაფერში ეტყობოდა, „ყველა ევროპიულობის ციებ-ცხელებამ შეიპყრო. ...გაეევროპიელებამ პსიხოზის ხასიათი მიიღო. ...ევროპამ შეგვშალა და ალბათ ნაგვშლის კიდეც, თუ ასე გაგრძელდა“. კოტეტიშვილი მიიჩნევდა, რომ დადგა აზიისაკენ შემობრუნების და ფესვებთან დაბრუნების დრო, რაც უნდა გაითავისოს ახალმა თაობამ. „აზიაში დაგვიღამდა და აზიაშივე უნდა ველოდეთ ჩვენი ხელოვნების დილას. დევიზი: უკან აზიისკენ წინ წასასვლელად“.³²

ვახტანგ კოტეტიშვილის ეს ტექსტი, რომელიც ადასტურებს დასავლური პოლიტიკური და ინტელექტუალური დისკურსის გაბატონებულ მდგომარეობას, ერთ-ერთი გამონაკლისია ბოლშევიკურ ოკუპაციამდე შექმნილ ნაშრომებს შორის. იგი საერთო სურათში ერთგვარ დისონანსს ქმნის. საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვისა და საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ, ევროპით იმედგაცრუების ფონზე, იმატა საქართველოს დასავლური გზისადმი სკეპტიკური დამოკიდებულებების ამსახველმა პუბლიკაციებმა.

ევროპული მისწრაფებით იმედგაცრუების, უპერსპექტივობისა და ალტერნატივის ძიების პათოსითაა დაწერილი ნიკოლო მინიშვილის სტატია „ქართული კულტურის ახალი გზები“ (1926). ავტორის სიტყვებით, უკანასკნელი თექვსმეტი საუკუნის საქართველოს ისტორია არის მისწრაფება დასავლეთისკენ. „ჩვენი ცხოვრება ორი ათასი წლის განმავლობაში იყო ბრძოლა ჩინური კედლის შენგრევისათვის – ევროპაში. აღმოსავლეთიდან მოქნეული – ვახეთქებდით ამ კედელს თავს. და ეს კედელი ვერ შევანგრეთ“.³³ ამ „უნიადგო ცოდვილში“ გავიდა მრავალი საუკუნე.

„ჩვენ დასავლეთიდან არაფერი შემოგვადლიეს. ჩვენ ნავაგეთ – რაინდობა, ჯვარი, ქრისტე, სისხლი: დასავლეთმა არ გაანაღდა არც ერთი ეს მსხვერპლი, თუმცა მოთხოვნილება ამ სავანზე თითქოს დიდი არსებობდა უკანასკნელ დრომდე“.³⁴

მინიშვილის მტკიცებით, მთელი ამ პერიოდის განმავლობაში დასავლური კულტურა გაცვდა, ევროპა, როგორც იდეა – გათავდა. ავტორი ვარაუდობდა, რომ დასავლური კულტურის დასუსტებას განვითარებისა და სიახლის ცენტრის სხვაგან გადატანა მოყვება და ეს აუცილებლად აღმოსავლეთი იქნება. „დგე-

32 კოტეტიშვილი ვ., „აზიისაკენ“, ევროპა თუ აზია, გვ. 200-202.

33 მინიშვილი ნ., „ქართული კულტურის ახალი გზები“, ევროპა თუ აზია, გვ. 220.

34 იქვე.

ბა დრო ჩვენი გზების გადასინჯვისა. არჩევანის დრო.“³⁵ მინიშვილი იხსენებს სულხან-საბა ორბელიანს, რომელიც გულგატეხილი და „ევროპული ცინიზმით მონამლული“ დაბრუნდა. მისი სიტყვებით, ეს იყო უკანასკნელი ცდა და, ამავე დროს, ქართული პოლიტიკური რომანტიზმის დეკადანსი. საბოლოოდ ყველაფერი ჩრდილოეთმა გადაწყვიტა. ნიკოლო მინიშვილი აღნიშნავდა, რომ „ყველაფერი, რაც დღეს ხდება ევროპის საქართველოში შემოთრევისთვის, არის უნიჭო და უპათოსო განმეორება ძველის. ამას გადავატანეთ წარსული ოცი საუკუნე“.³⁶ მინიშვილისთვის საქართველოს ისტორიული ბედი თავსდებოდა ყოველთვის ერთ ფორმულაში – „წახვალ ინანებ, არ წახვალ, ინანებ.“³⁷

ნიკოლო მინიშვილის დაკვირვებით, დასავლეთისადმი დამოკიდებულების გარშემო არსებული დებატები საქართველოში აქტიური პოლიტიკის ნაწილი იყო და მიმდინარეობდა არაჯანსაღ, „შეურაცყოფილი ფსიხოლოგიის“ გარემოში, შეუძლებელს ხდიდა ისტორიული პერსპექტივის ობიექტურ შეფასებას. როგორც ჩანს, თანამედროვე პერიოდის მსგავსად, მე-20 საუკუნის დასაწყისშიც ქვეყნის პოლიტიკური და კულტურული ორიენტაციის საკითხს, დასავლეთისადმი დამოკიდებულებას თან ახლდა ემოციური შემადგენელი. „მარადიული დგომა“ დასავლეთის კარებთან ქართულ სინამდვილეში ინტელექტუალური ელიტის პოლარიზაციასა და საზოგადოებრივი აზრის რადიკალიზაციას იწვევდა ბინარული ოპოზიციური სანყისების გარშემო.³⁸ ქვემოთ დავინახავთ, რომ მინიშვილის შეხედულებები შეესაბამება დღევანდელ საქართველოში არსებულ ვითარებას და ზოგიერთი პოლიტიკოსისა თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციის ლიდერის დამოკიდებულებებს. მინიშვილის თანახმად, ევროპასთან ერთობის საკითხი უნდა მოხსნილიყო დღის წესრიგიდან ერთხელ და სამუდამოდ იმიტომ, რომ ეს გზა „საზარალო“ გამოდგა ჩვენთვის.

*„დღეს ევროპაში საქართველო აღარავის აინტერესებს, როგორც საგანი რომანტიული მზრუნველობისა და მეგობრობის. ..ამ საკითხს დღევანდელის სიმწვავეთ ქართული ეროვნული აზროვნება არ უნდა დაუბრუნდეს მომავალში. – ქართველმა ხალხმა თავის ენერგია უნდა წარმართოს სხვა, უფრო რეალური, უფრო კონკრეტული მიზნებისაკენ და გამოსჭედოს ახალი, ნამდვილი ეროვნული სახე“.*³⁹

კონსტანტინე გამსახურდია, 1922 წელს გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში „კარგი ევროპელი“ წერდა, რომ საქართველოს ტრაგედია ისტორიულად იყო მისი მარტოობა. აღმოსავლეთში საქართველოს დაეკისრა ისეთი კულტურულ-ისტორიული ამოცანების შესრულება, რომლის განხორციელებას საუკეთესო ენერგია და სისხლის შეეწირა.

„ქართველი ერი ჯვარს ეცვა ქრისტეს ჯვარისათვის და ქრისტიანული დასავლეთი ფაქტიურად არასოდეს მოგვევლეს. ...ჩვენი მეფეები და მთავრები მუდამ ევროპას უხმობდნენ, მუდამ მამველებს ეძებდნენ და გამომაუხრება

35 იქვე.

36 იქვე.

37 იქვე, გვ. 221.

38 ხოფერია ნ., ევროპული და აზიური ორიენტაციების შესახებ საქართველოში. *ევროპა თუ აზია*, გვ. 5.

39 მინიშვილი ნ., ქართული კულტურის ახალი გზები. *ევროპა თუ აზია*, გვ. 222.

მხოლოდ დელიკატურ ეპისტოლეებში იხატებოდა. დღესაც მარტოა ქართული რასა”.⁴⁰

გამსახურდიას სიტყვებით, ქართველ ერს კვლავ უსამართლოდ ექცეოდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მას სხვა ქრისტიან ხალხებზე მეტი წვლილი ჰქონდა შეტანილი ქრისტიანული კულტურის განვითარებაში. კონსტანტინე გამსახურდიას ეს წერილი იმ თვალსაზრისითაც არის საინტერესო, რომ მასში ჩნდება კარგი და ცუდი ევროპელის კლასიფიკაცია. ავტორი, გოეთეს ნააზრევზე დაყრდნობით, გამოარჩევს „კარგ ევროპიელს“, რომელსაც არაფერი აქვს საერთო „ევროპიელ კომივოიაჟორთან, სახარინის სპეკულანტთან, ევროპიელ ჟურნალისტთან.“ გამსახურდია საუბრობდა არტურ ლაისტის, როგორც კარგი ევროპელის შესახებ, ულოცავდა მას საქართველოში მოღვაწეობის 40 წლის იუბილეს და განიხილავდა ცუდი ევროპელის ანტიპოდად.

„ამიერიდან საქართველო არ იქნება არც კურორტი და არც რესტორანი, რომელშიაც უცხოელები მოვლენ, დასტკებებიან ჩვენის ამაგიტა და სტუმართმოყვარეობით და წავლენ. თუ აქამდის ყოველ ვადამთიელს ხელებგაშლილი ხვდებოდა ქართველი ხალხი, ამიერიდან ჩვენ ისეთ უცხოელს დავაფასებთ, რომელიც ჩვენ ამაგს დააფასებს“⁴¹ – წერდა კონსტანტინე გამსახურდია.

კარგი და ცუდი ევროპელის/დასავლელის, კარგი და ცუდი დასავლეთის იდეა გაღრმავდა და განვითარდა საბჭოთა ეპოქის მინურულს და პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაციის დასაწყისში, ზვიად გამსახურდიას ნააზრევსა და დამოკიდებულებებში. მამის მსგავსად, ზვიად გამსახურდიამ მაღალი კულტურის მატარებელი და გამავრცელებელი დასავლელი დაუპირისპირა მატერიალისტ, მერკანტილური ინტერესების მქონე დასავლელს.

1910-1920-იან წლებში საქართველოს კულტურულ იდენტობასთან დაკავშირებით გამართული დისკუსია გვიჩვენებს დასავლეთისადმი დამოკიდებულების არაერთგვაროვან ბუნებას. პროევროპულმა პოლიტიკურმა კონტექსტმა დასავლური დისკურსის დომინანტურობა განაპირობა, რომელიც მწვავედ გააკრიტიკა ინტელექტუალური ელიტის ნაწილმა. შეიქმნა დასავლური სამყაროს წინააღმდეგობრივი აღქმის ერთგვარი ჩარჩო, რომლის ფარგლებშიც წარმართა პროცესები უკვე 1980-იანი წლებიდან. ამ პერიოდში გამართული დებატები, რომელიც, ძირითადად, აკადემიურ სივრცეში მიმდინარეობდა, ირეკლავს საუკუნის დასაწყისის დისკუსიის პათოსს. შემდგომში, დამოუკიდებლობის საწყის ეტაპზე, აღნიშნული წინააღმდეგობრიობა პოლიტიკის ნაწილად იქცა და დღემდე მნიშვნელოვან როლს თამაშობს იდენტობის კონფლიქტური დისკურსების ჩამოყალიბებაში.

1930-იანი წლებიდან 1980-იან წლებამდე საქართველოში შეწყდა დებატები დასავლეთთან ურთიერთობის, დასავლური გავლენების, პოლიტიკური და კულტურული ორიენტაციის გარშემო. საქართველოსა და დასავლეთის ურთიერთობის „გახსენების“ ერთ-ერთ იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს დასავლეთისკენ სასონარკვეთილი სწრაფვის და იმედგაცრუების კლასიკური მხატვრული ნიმუში – მუხრან მაჭავარიანის ლექსი „საბა“, სადაც ავტორი ასე აღწერს სულხან-საბა ორბელიანის ვიზიტს ევროპაში:

40 გამსახურდია კ. „კარგი ევროპიელი“. ევროპა თუ აზია, გვ. 126.

41 იქვე, გვ. 127-128.

„ორბელიანი ლუდოვიკო მეთოთხმეტესთან
ალოდინეს და... მეთხუთმეტე კაცად შევიდა.

...

საფრანგეთს ვთხოვოთ: გვიშველისო, – სასაცილოა! –
შენი ვახტანგი ლუდოვიკოს ფეხზე ჰკიდია“.⁴²

მუხრან მაჭავარიანის ამ სტრიქონების ნიჰილისტური პათოსი და უიმედობა კარგად ასახავს საქართველო-დასავლეთის ურთიერთობის იმ მხარეს, რომელიც ანტიდასავლური განწყობების ფორმირებისა და მათით მანიპულირების მკაფიო სივრცეს ქმნის. გია ნოდიას შეფასებით, მუხრან მაჭავარიანმა ორბელიანის უშედეგო ვიზიტი საფრანგეთის მეფესთან პოპულარულ ბალადად აქცია, რომელიც სიმბოლურად ასახავს დასავლეთის უყურადღებობას საქართველოს გასაჭირისადმი.⁴³

მიუხედავად სტალინური ეპოქის დასაწყისში შეწყვეტილი დისკუსიისა და მკაცრი იდეოლოგიური წნეხისა, არის ერთი ამბავი, რომელიც საქართველოს ერთ-ერთ კუთხეში, ლოკალურ სივრცეში მოხდა. მას არ ჰქონია საერთო-სახალხო მხარდაჭერა და არ მოუხდენია გავლენა საზოგადოებრივ განწყობებზე, თუმცა იგი გვიჩვენებს დასავლეთის მბჟუტავ იმედს, რომელიც ყველაზე რთულ და საშიშ ეპოქაში ჯერ კიდევ არსებობდა საზოგადოების ნაწილში. ეს არის ე. წ. „ხევსურთა საქმე“, – ანტისაბჭოთა შეთქმულების ამბავი, რომელიც ხევსურეთში 1936 წელს დაიგეგმა.⁴⁴ საბჭოთა ხელისუფლებამ შეთქმულების შესახებ მალევე შეიტყო და მისი მოთავეები დააპატიმრა. ნიშანდობლივია, რომ შეთქმულებს აღმოაჩნდათ წერილი, რომელიც უნდა გაეგზავნათ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისთვის დახმარების სათხოვნელად. ფრაგმენტი წერილიდან:

„ჩვენი ხევსურეთის ხალხი შენუხებულ არს ბოლშევიკებით....ამერიკას გთხოვთ დიდის თხოვნით ძრიელი სახელმწიფო ხარტ და მოგვეშველენით და დახმარება გაგვინივეთ თორე ცოდო ვართ. იმედი გვაქვს რომ მოგვეშველენით. თუ გვიშველით თქვენ თუ არა ჩვენი მეშველ აღარა არი. აბა ძმებო უკანასკნელს დღეში ვართ ჩვენ მთელი ხევსურეთის წარმომადგენლები“.⁴⁵

წერილის პათოსი და ავტორთა უტოპიური იდეა, მიეღოთ ამერიკის შეერთებული შტატების დახმარება საბჭოთა საქართველოში 1936 წელს, პროდასავლური რომანტიზმისა და იდეალიზმის ერთგვარი გამოხატულებაა, რომელიც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ყალიბდებოდა და დღემდე მნიშვნელოვან როლს ასრულებს იდენტობის დისკურსის ფორმირებაში.

42 მაჭავარიანი მ., „საბა,“ <https://bit.ly/3t8Mnn0> (ნანახია 12/03/2021).

43 ნოდია გ., „დასავლეთის იდეა ქართულ ცნობიერებაში,“ გვ. 40.

44 ქევანიშვილ ე., თავისუფლებისთვის: დათვია ლიქოკელის ამბავი, <https://bit.ly/3iaUuch> (ნანახია 18/08/2021).

45 იქვე.

European Model of the Georgian Identity in the Era of Nationalism

Summary

The research question of the paper is closely related to the fundamental problems of the Georgian nation on the way to building a European nation-state. The heterogeneous attitude toward the West has historical foundations. During the modern history of Georgia, from the formation of Georgian nationalism at the end of the 19th century to the establishment of the first Democratic Republic in 1918-1921, Europe had always been a distant relative, a political space with model states for Georgia's future development. This vision of Europe remained relevant in the process of post-Soviet independence. During its first period of independence, Georgia strongly aspired to be recognized by and integrated into the Western commonwealth. The country achieved some successes in the process of European nation-state building but, despite hopes of Western support, could neither prevent nor resist occupation by Soviet Russia.

ლეონტი მროველის მონათხრობი ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის მირიანის შესახებ: ისტორია თუ პოეზია?

ლეონტი მროველი მეთერთმეტე საუკუნის ავტორია. მისი თხზულებებით იწყება წინარე მოდერნული ეპოქის ქართული ისტორიოგრაფიული ქმნილებათა კრებული „ქართლის ცხოვრება“.

ამ კრებულში ლეონტი მროველს სამი თხზულება ეკუთვნის: „ქართველ მეფეთა ცხოვრება“ , „წმ. ნინოს ცხოვრება“ და „წმ. არჩილის წამება“. პირველი მათგანი მოიცავს პერიოდს უძველესი დროიდან მეთერთმეტე საუკუნის ჩათვლით, მეორე ეძღვნება ქართველთა განმანათლებელს ანუ მეოთხე საუკუნის პირველ ნახევარს შეეხება, ხოლო მესამე ქართლის მეფის არჩილ მეორის არაბების მიერ წამების ისტორიას გადმოგვცემს.¹

ლეონტი მროველი აღნიშნული ჰაგიოგრაფიული ძეგლების რედაქტორია. „წმ. ნინოს ცხოვრების“ ორი ადრინდელი რედაქცია (მცირე და ვრცელი) დაცულია „მოქცევაი ქართლისაჲში“² და ლეონტი მროველი მათი შერწყმით ქმნის ქართველთა გაქრისტიანების ისტორიის („ნინოს მიერ ქართლის მოქცევის“) თავისებურ ვერსიას.³ „წმ. არჩილის წამების“ პროტო ტექსტი არ შემოგვრჩა, თუმცა „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი ანდერძ-მინაწერის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ლეონტი მროველამდე ის ყოფილა საკმაოდ მოკლე და დაუმუშავებელი ნაწარმოები. მისი განვრცობა და ჰაგიოგრაფიული შაბლონის მიხედვით გამართვა უნდა ეკუთვნოდეს ლეონტი მროველს.

ლეონტისეული „წმინდა ნინოს ცხოვრება“ საუკეთესო საშუალებაა ამ ისტორიკოსის წყაროებზე მუშაობის მეთოდებზე დასაკვირებლად: ორიგინალი ხელთ გვაქვს და მისი შედარება ლეონტის მიერ მოდიფიცირებულ ტექსტთან შესაძლებელია. „ორიგინალს“ ვამბობ „მოქცევაი ქართლისაჲში“ დაცული „წმინდა ნინოს ცხოვრების“ ორ რედაქციაზე იმ აზრით, რომ თავად თხზულება (ანუ „მოქცევაი ქართლისაჲში“), რომელშიც ეს რედაქციებია ჩართული (// რომლის შემადგენელ ნაწილებსაც ისინი ამჟამად წარმოადგენენ), ლეონტის მოღვაწეობაზე უფრო ადრეა შექმნილი⁴ და მის წყაროს წარმოადგენს. როგორც კვლევა აჩვენებს, ლეო-

1 „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ნაწილის სტრუქტურის და ავტორობის საკითხის შესახებ ჩემი თვალსაზრისის დასაბუთებისათვის იხ. ჩხარტიშვილი მ., საქართველო III-V საუკუნეებში, თბ., 2018, გვ. 22-27.

2 მოქცევაი ქართლისაჲსი შედგენილობის შესახებ ჩემი თვალსაზრისის დასაბუთებისათვის იხ. ჩხარტიშვილი მ., ქართული ჰაგიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი შესწავლის პრობლემები („ცხოვრებაი წმიდისა ნინოსის“), თბ., 1987.

3 ჩხარტიშვილი მ., მეტაფრასი „წმ. ნინოს ცხოვრების“ „ქართლის ცხოვრებისეული“ რედაქციის შესახებ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე (სერია: ისტორია, არქეოლოგია, ეთნოგრაფია და ხელოვნების ისტორიის სერია), 1980, #4, გვ.114-121.

4 „მოქცევაი ქართლისაჲსი“ პროტოგრაფული ვერსია შექმნილი ჩანს ვახტანგ გორგასლის ეპოქაში. ამას ერთ-ერთი (და არა ერთადერთი) არგუმენტიცაა ის, რომ მას წყაროდ იყენებს მეხუთე საუკუნის სომეხი ისტორიკოსი მოსე ხორენელი. იხ. ჩხარტიშვილი მ., ქართული ჰაგიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი შესწავლის პრობლემები („ცხოვრებაი წმიდისა ნინოსის“), გვ.23-34; ჩხარტიშვილი მ., მოსე ხორენელის „სომეხთა ისტორიის“ წყაროთა იდენტი-

ნტი მროველი სარგებლობდა „მოქცევაი ქართლისაის“ ჩვენამდე მოუღწეველი, დღეისათვის ცნობილ რედაქციებისაგან რამდენადმე განსხვავებული, ვერსიით.

რაც შეეხება „ქართველ მეფეთა ცხოვრებას“, აქ ლეონტი მროველი ხან გვევლინება რედაქტორად, ხანაც – ავტორად. რიგ შემთხვევებში მისი ჩარევა ტექსტში მეტია, რიგ შემთხვევაში – ნაკლები. იქ სადაც ისტორიული ნარატივი სხვადასხვა დროს („ჟამითი ჟამად“) შექმნილ ნაშრომებზე დაყრდნობით ახლად იყო შესადგენი (მაგალითად, „ქართველ მეფეთა ცხოვრების“ დასაწყისი ნაწილი ვახტანგ გორგასლამდე), ცხადია, ლეონტის კრეატიული ჩართულობა მეტი ხარისხით არის სავარაუდო. ამგვარი მონაკვეთისთვის, შესაბამისად, ის ავტორია. სადაც ლეონტი ისტორიული ეპოქის პირველადმწერია (და ასეთი „ქართველ მეფეთა ცხოვრების“ ბოლო მონაკვეთია, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში „მატიანე ქართლისას“ სახელით არის ცნობილი), იმ შემთხვევაშიც ის მუშაობს, როგორც ავტორი. მაგრამ ლეონტი მროველი აშკარად მხოლოდ რედაქტორია, როცა ისტორიული რეპრეზენტაციისას ძირითადად ერთ წყაროს ეფუძნება. ასეთია „ქართველ მეფეთა ცხოვრების“ ის მონაკვეთი, რომელიც მოიცავს თხრობას ვახტანგ გორგასლიდან ანუ მეხუთე საუკუნიდან მერვე საუკუნის ჩათვლით. ლეონტი მროველი ამ შემთხვევაში ეფუძნება მერვე საუკუნის ისტორიკოსის ჯუანშერ ჯუანშერიანის უკვე საკმაოდ დამუშავებულ ისტორიოგრაფიულ ტექსტს.⁵

აღნიშნული მომენტების გათვალისწინება, ასევე ლეონტის ისტორიოგრაფიული პრინციპებისა და ისტორიოსოფიული შეხედულებების⁶ ცოდნა აუცილებელია, როცა მისი ქმნილებების წყაროდ გამოყენება ან მისი როგორც ისტორიკოსის, შეფასების საკითხი დგება.

ჯერ კიდევ მეცნიერული ქართველოლოგიის დაფუძნების დროიდან, ლეონტი მროველის ქმნილებებისადმი ჩამოყალიბდა ჰიპერკრიტიკული დამოკიდებულება, რაც ნაწილობრივ დღემდე გრძელდება და რაც არ მიიმაჩნია მართებულად.

უკვე ჩატარებული კვლევების საფუძველზე შექმნილი ჩემი შთაბეჭდილება, შემდეგია: ლეონტი მროველი ცდილობს კარგად დოკუმენტირებული რეპრეზენტაციები წარმოადგინოს.⁷ მართალია, ის წყაროებს იმავითად იმონებს, მაგრამ

ფიკაციისათვის: „მოქცევაი ქართლისაი“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კონფერენცია მიძღვნილი ივანე ჯავახიშვილის 145-ე წლისთავისადმი, 2021 წლის 23–24 აპრილი, მოხსენებათა თეზისები https://www.researchgate.net/publication/357225740_On_Identification_of_Sources_of_Movses_Khorenatsi_The_Conversion_of_Kartli_mose_khorenelis_somkhetis_istoriis_tsqarota_identipikatsiisatvis_moktsevai_kartlisai#fullTextFileContent

5 ჩხარტიშვილი მ., ქართლის ერისმთავარ სტეფანოზ პირველის რეპრეზენტაცია შუა საუკუნეების ქართულ საისტორიო მწერლობაში: ჟანრის კანონი და მეტაისტორიოგრაფიული კონტექსტი, ქართული წყაროთმცოდნეობა, 2022, #24, გვ.135-157; Chkhartishvili M., *Discussing Some Features of Georgian Medieval Historiography. Two Verbal Portraits of Duke Stephanos I*. In: TEMPORIS ACTI STUDIA IN MEMORIAM.Vol. II IUS, IMPERIUM, POTESTAS LITTERAE ARS ET ARCHAEOLOGIA curavit I. Biliarsky A., Издателска къща „Гутенберг“, 2018 Институт за Исторически Изследвания Българска Академия на Науките, pp. 37-68.

6 ჩხარტიშვილი მ., წყაროებზე მითითების წესი ლეონტი მროველის თხზულებებში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე (სერია: ისტორია, არქეოლოგია, ეთნოგრაფია და ხელოვნების ისტორია), 1982.#2, 83-91

7 ამის თვალსაჩინო მაგალითია მისი ცნობა ქართული ანბანის შესახებ. იხ. Chkhartishvili M., *Narrative Sources on the Creation of Georgian Alphabet*, Pro Georgia.Journal ofKartvelological Studies,

ამის მიზეზი არის არა მისი დაუდევრობა, არამედ გარკვეული ისტორიოგრაფიული პრინციპები. ის უკრიტიკოდ არ იმეორებს წყაროთა მონაცემებს, არამედ აანალიზებს და წარმოდგენილ რეპრეზენტაციას აფუძნებს საკუთარ დასკვნებს. ამგვარი დამოკიდებულების (მონაცემის ინტერპრეტაცია და არა უბრალოდ გადმოწერა) გამო ზოგჯერ ლეონტის შეცდომა მოსდის, მაგრამ ამგვარი ცდომილებანი ფალსიფიკაციის სურვილის შედეგი არ არის, არამედ უნებლიე ხარვეზებია, რისგანაც დაზღვეულნი არც თანამედროვე ისტორიკოსები ვართ.

წინამდებარე ნაშრომში მე მინდა განვიხილო ლეონტი მროველის მთავარ ნაშრომში „ქართველ მეფეთა ცხოვრებაში“ დაცული მონაცემები ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის – მირიანის – შესახებ. ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობიდან გამომდინარე, ამ მონაცემთის ფარგლებში ლეონტი მუშაობდა როგორც ავტორი. მას ხელთ არ ჰქონია გაბმული ტექსტის შემცველი ერთი წყარო, სხვადასხვა მასალას ამუშავებდა და ასე ადგენდა ერთიან ნარატივს.

შევეცდები გავარკვიო, რამდენად შეესაბამება სინამდვილეს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მირიანი ირანელი უფლისწული იყო და ქართლის სამეფო ტახტზე ის აღმოჩნდა ქართლსა და ირანს შორის დადებული გარკვეული შეთანხმების შედეგად. საკითხი ამგვარად ისმის იმიტომ, რომ მკვლევრების ნაწილი ამ ინფორმაციას გამონაგონად თვლის.

გამოგონების მოტივად ზოგი მკვლევარი ქართლის მეფეთა განდიდების სურვილს მიიჩნევს. გვიანი ანტიკურობის ეპოქის მსოფლიო იმპერიის ანუ სასანური ირანის – სათავეში მყოფ სამეფო ოჯახთან ნათესაობა ქართლის მეფეებისათვის, მართლაც, მნიშვნელოვანი იყო. მაგრამ ის, რომ სასანურ წარმომავლობას შეეძლო გვიანანტიკურ ეპოქაში მოღვაწე ქართული სამეფო დინასტიის განდიდება, ეს გარემოება თავისთავად ცნობის მცდარობას, ცხადია, არ ნიშნავს.

ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის შესახებ ინფორმაციას გვანვდიან როგორც ქართული, ისე არაქართული წყაროები. ბიზანტიელი ავტორები ეხებიან ქართველთა მოქცევის ძირითად ფაქტებს და აქტორებს, მათ შორის, მეფესაც, თუმც საკუთარ სახელებს, ისინი არ აფიქსირებენ. მათგან განსხვავებით სომხურ წყაროებში მოცემულია მეფის სახელიც, მაგალითად, მოსე ხორენელი ამ სახელს გვანვდის „მიჰრანის“ ფორმით. ქართულ წყაროთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია „მოქცევაი ქართლისაის“ ისტორიული ქრონიკა და „წმინდა ნინოს ცხოვრების“ რედაქციები, თუმც პირდაპირ ინფორმაციას სასანიანების სამეფო ოჯახთან მირიანის ნათესაური კავშირის შესახებ არცერთი შეიცავს. სიტყვას პირდაპირ ხაზი გავუსვი იმიტომ, რომ, ჩემი დაკვირვებით, არაპირდაპირ მონაცემებს შეიცავს როგორც „მოქცევაი ქართლისაის“ ისტორიული ქრონიკა, ისე „წმინდა ნინოს ცხოვრების“ მოქცევისეული ვრცელი რედაქციაც. ამის შესახებ საუბარი ნაწილობრივ ქვემოთ მექნება.

დასმული საკითხის გარკვევა აქტუალურია ორი მიზეზის გამო: ერთი ისაა, რომ მირიანი საქართველოს ისტორიის სრულიად გამორჩეული ფიგურაა და მისი ბიოგრაფიის ყოველი დეტალის ცოდნა ძალიან მნიშვნელოვანია.

2021, # 31, გვ 101 -113; ჩხარტიშვილი მ., „თუალი იგი ბივრიტი“ ანუ კვლავ ქართული ანბანის შექმნის დროის შესახებ, იოსებ ალიმბარაშვილის დაბადებიდან 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული. რედ. ო. ჯანელიძე, გორი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, 2022, გვ. 382-419.

მეორე და ასევე ძალიან მნიშვნელოვანი გახლავთ ლეონტი მროველის და საზოგადოდ წინამოდერნული ქართული ისტორიოგრაფიის, როგორც საისტორიო წყაროს, სანდოობის საკითხი. ლეონტის მიერ მირიანის შესახებ წარმოდგენილი ნარატივი, როგორც ქვემოთ ვნახავთ, არის რეალისტური. თუ აღმოჩნდა, რომ ის ლიტერატურული ფიქციაა (ანუ პოეზიაა, როგორც არისტოტელე უწოდებდა ლიტერატურულ გამონაგონს), მაშინ დგება საკითხი საქართველოს ისტორიის ნარატიული წყაროების კვლევის ახალი მეთოდების შემუშავების აუცილებლობაზე.

აღნიშნულის გასარკვევად განვიხილოთ ლეონტი მროველის მონათხრობი მირიანზე.

ვიდრე უშუალოდ მირიანზე იტყოდეს რამეს, ლეონტი აღწერს ვითარებას, რომელიც შექმნილა სამხრეთ კავკასიაში მირიანის გამეფების წინა პერიოდში. ირანის სახელმწიფოს ხელისუფლებაში სასანიანების მოსვლის შემდგომ დაწყებული ირანელთა ფორსირებული შეტევა სომხეთზე. სპარსელებს დაუპყრიათ სომხეთი და შემოსულან ქართლშიც. ქართლის იმდროინდელი მეფე ასფაგურ ფარნავაზიანი დახმარების მოსაპოვებლად გადასულა ოსეთში, მაგრამ იქ მოულოდნელი სიკვდილი სწვევია. ასფაგურს არ ჰყოლია ვაჟი, არამედ მხოლოდ ასული. ანუ, ფაქტობრივ, მემკვიდრე არ დარჩენია. ამ ვითარებით უაღრესად შეწუხებული ქართლის ერისთავები მაეჟან სპასპეტის კარზე შეკრებილან. თავს იმხნეებდნენ, რომ მწუხარებისაგან გონება არ წართმეოდათ. მაეჟან სპასპეტი გამოსულა სიტყვით. მას უთქვამს შემდეგი: რომ გვქონდეს თუნდაც სპარსელთა ძალის მესამედი ძალა, თავს გავწირავდით სიკვდილისათვის. შევეწინააღმდეგებოდით მათ, რომ დაგვრჩენოდა ჩვენ მეფეთა ნათესავი, რომელიც დაიკავებდა ტახტს, კაცის ხორცსაც კი შევჭამდით, როგორც ჩვენი წინაპრები, მაგრამ ვითარება ისეთია, რომ ჩვენი მეზობელი სომხეთის დიდი მეფე სპარსელებს მოუკლავთ, სპარსეთს პირი გაუღია მთელი ჩვენი ქვეყნის ჩასანთქმელად, ჩვენ კი დარჩენილნი ვართ ობლად, როგორც უმწყემსო ცხვრები. ამიტომ მივეგებოთ სპარსეთის მეფეს წინ და შევევედროთ, რომ თავის ძეს შერთოს ჩვენი მეფის ასული, ვაუწყოთ ასფაგურის ასულის სასახელო შთამომავლობა: მისი ნებროთიანობა, არშაკუნიანობა და ფარნავაზიანობა და ვთხოვოთ ჩვენი რჯული არ დაგვათმობინოს, სპარსელებში არ აღგვიოს და ღირსებით გვიპყრას. თუ არ დაგვთანხმდება და მამათა რჯულს შეგვიცვლის, ჩვენზე სპარსელებს აბატონებს, ღირსებას შეგვილახავს, ჩვენ მეფეთა ნათესავს ამოწყვეტს, მაშინ ჩვენთვის სიკვდილი უმჯობესია და დავიხოცოთ ციხეებსა და ქალაქებში. ერისთავებს მოეწონათ ეს გეგმა და ამ თხოვნით და პირობით მოციქული გაუგზავნეს სპარსთა მეფეს. სპარსთა მეფეს საფუძვლიანად შეუსწავლია საკითხი. პირველ რიგში, დაუზუსტებია მცხეთის სტრატეგიული მნიშვნელობა ჩრდილოკავკასიელებთან საბრძოლველად, ასფაგურის ასულის გვარიშვილობაც დეტალურად გამოუკითხავს, შეუტყვია მისი დიდებული წარმომავლობა. ეს ყველაფერი ჭკუაში დასჯდომია და თავის ძის მცხეთაში გამეფება გადაუწყვეტია. სპარსეთის მეფემ ქართველებს ფიცით აღუთქვა, რომ შეუსრულებდა ამ სათხოვარს და ასე მოვიდა კიდევ მცხეთას. მას მიეგებნენ მაეჟან სპასპეტი და ქართლის ერისთავები. მოიყვანეს ასფაგურის ასული, სახელად აბეშურა და სპარსთა მეფემ შერთო ის თავის 7 წლის ვაჟს, რომელიც ნაშობი იყო მხეველისაგან და თან ჰყავდა სპარსთა მეფეს მის დედასთან ერთად. სპარსულად სპარსთა მეფის ძეს მიჰრანი რქმევია,

ხოლო ქართულად – მირიანი. ეს ის მირიანია, განმარტებულია ტექსტში, რომელიც სიბერის ჟამს გაქრისტიანდა წმინდა ნინოს ქადაგების შედეგად. შემდეგ ავტორი გადადის მირიანის ანუ ქასრე არდაშირის ე.ი შაჰ არდაშირის ძის ცხოვრების აღწერაზე. თავიდანვე ნაჩვენებია, რა ტერიტორიის მეფედ დასვა ირანის შაჰმა თავის ძე: ქართლი, სომხეთი, რანი, მოვაკანი და ჰერეთი (ერთგან ამ ჩამონათვალს დამატებული აქვს ეგრისიც⁸). ანუ არა მხოლოდ ქართლის მეფედ, არამედ მთელი სამხრეთ კავკასიის მმართველი გამხდარა მირიანი. სპარსთა მეფემ მირიანთან მისი დედა არ დატოვა, რადგან ძალიან უყვარდაო, განმარტავს ლეონტი. სამაგიეროდ, მამამ მირიანს დაუტოვა მამამძუძედ და განმგებლად ერთი წარჩინებული, სახელით მირვანოზი და, აგრეთვე, 40000 ათასი რჩეული სპარსი მხედარი. მაგრამ ეს მხედრები, ქართველებისათვის მიცემული პირობის პატივისცემით, ყველა უშუალოდ ქართლში როდი განალაგა, არამედ გაანაწილა ჰერეთს, მოვაკანს, სომხეთს. ამ შენაერთიდან მხოლოდ 7000 საუკეთესო მხედარი აარჩევინა მირვანოზს და მცხეთაში საკუთარი ძის მცველად დატოვა. ასეთი იყო ზავის პირობა, რომ კარნი, ციხენი, ქალაქნი სპარსელების ჯარით უნდა ყოფილიყო გამაგრებული, თუმც სხვაგან არსად სპარსელი ჯარისკაცები არ უნდა ყოფილიყვნენ. ანუ ირანელი ჯარისკაცები ქართლში დისლოცირებულ ირანულ სამხედრო ბაზებს არ უნდა გასცდენოდნენ. ამავე დროს, სპარსთა მეფეს დაუბარებია, რომ მირიანი ორივე სარწმუნოებით (ცეცხლთაყვანისმცემლობით, ისე კერპთაყვანისმცემლობით) უნდა აღზრდილიყო. ესეც დაუბარა თავის ძეს და მირვანოზს, რათა მარად ებრძოლათ ჩრდილოკავკასიელების წინააღმდეგ. საქმის ამგვარად განკარგვის შემდეგ სპარსთა მეფე წავიდა, ჩრდილოკავკასიის ხეობები დაიპყრო, დასვა იქ თავის ხალხი და ყველას მირიანის მორჩილება უბრძანა. მისი წასვლის მერე მირვანოზმა ქართლის ყველა ციხე გაამაგრა, განსაკუთრებით კი ქალაქი ნეკრესი. მირიანი იზრდებოდა ორი რელიგიით. შეიყვარა ქართველები, დაივიწყა ენა სპარსული და ისწავლა ენა ქართული, ამკობდა წარმართულ საკულტო კერებს და ქურუმებს დიდ პატივს მიაგებდა. ისტორიკოსის აზრით, ქართლის ყველა წინა მეფეს გადააჭარბა კერპების მსახურებაში, ქართლის სამეფოს დამფუძნებლის, არმაზის კულტის შემომღების, ქართული ენისათვის სახელმწიფო სტატუსის მიმნიჭებლის ფარნავაზ მეფის საფლავიც შეამკო. მემატიანის კომენტარით, მირიანი ქართველების სიყვარულით აკეთებდა ამას ყოველივეს. მცხეთიდან განაგებდა მირიანი ქართლს, სომხეთს, რანს, მოვაკანს. როცა 15 წლის გახდა, მოუკვდა ცოლი, ქართველთა მეფის ასული. ამით დასრულდა ფარნავაზიანთა მეფობა და დედოფლობა. ძალიან განიცადეს ქართველებმა დედოფლის გარდაცვალება, მაგრამ მირიანის ერთგულება განაგრძეს, რადგან არავინ დარჩა ფარნავაზიანთაგან მეფობის ღირსი. მეორე ცოლი მოიყვანა საბერძნეთით. მირიანმა ქართველთა მიმართ სიკეთის ქნა კიდევ უფრო გაამრავლა. დღენიადაგ ებრძოდა ჩრდილოკავკასიელებს. ხშირად იყო ამის გამო დარუბანდს, რადგან ისინი მოადგებოდნენ ხოლმე დარუბანდს. როცა მირიანი გახდა 40 წლის, გარდაიცვალა მამისი და ტახტზე მისი უმცროსი

8 „მოქცევაი ქართლისაის“ ისტორიული ქრონიკის მიხედვით, ეგრისიც ქართლის ნაწილია. იხ. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, 1, ტექსტები დადგენილი ავტორთა კოლექტივის მიერ ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 2020 წლის რეპრინტი, გვ, 81.

ძმა ბარტამი ავიდა. მირიანი ჯვართ წავიდა ირანში, რათა მამის ტახტი დაეკავებინა, როგორც უფროს ვაჟიშვილს. მაგრამ სპარსეთის მმართველმა წრეებმა გადაწყვეტეს მეფობა ბარტამს მიკუთვნებოდა, როგორც კანონიერი ცოლის შვილს. მირიანს საკომპენსაციოდ მისცეს კიდევ სხვა ტერიტორიები: ჯაზირეთი, შამის ნახევარი და ადარბადაგანი, ესენი დაუმატეს იმას, რაც უკვე ჰქონდა ანუ ყოველი ქართლი, სომხითი, რანი, ჰერეთი, მოვაკანი.⁹

მირიანის ბიოგრაფია ცხადია, აქ არ სრულდება, მთავარი ფაქტი მის ცხოვრებაში – გაქრისტიანება – მისი სიცოცხლის ბოლოს ხდება. მაგრამ ამჯერად აქ შევჩერდები და მოცემული ნარატივის ანალიზს დავიწყებ.

როგორც ვხედავთ, ძალიან რეალისტური სურათია. მძიმე მდგომარეობიდან ქართველებს შესანიშნავი გამოსავალი უპოვნიათ და გაჭირვება თავიანთ დიპლომატიურ წარმატებადაც კი უქცევიათ: მოლაპარაკების გზით შეუნარჩუნებიათ იდენტობა და მოუპოვებიათ მათთვის ასე საჭირო მშვიდობა. ყოველივე ამის სანაცვლოდ, ირანელი უფლისწულის ქართლის ტახტზე კი აიყვანეს, მაგრამ ამით არც არაფერს კარგავდნენ, რადგან ფარნავაზიანი მემკვიდრე ისედაც აღარ ჰყავდათ, რელიგიური იდენტობის შენარჩუნების, სპარსელებთან არალრევის და ღირსეული მოპყრობის გარანტიები მიიღეს ირანისაგან. კავკასიის კართა დაცვა თავად ქართველებისთვისაც აქტუალური გახლდათ, თუ ამას ირანის დახმარებით განახორციელებდნენ, მით უკეთესი.

მიუხედავად ამისა, როგორც უკვე აღვნიშნე, მკვლევართა ნაწილი უნდობლად ეკიდება ლეონტი მროველის ზემოთ მოყვანილ მონაცემებს. ამგვარ დამოკიდებულების განმაპირობებელი სამი მიზეზის იკვეთება სპეციალურ ლიტერატურაში.

უნდობლობის ერთ-ერთი მიზეზი შემდეგია: „მოქცევაი ქართლისაის“ მიხედვით, მირიანი ქართლის მეფე ლევის ძე იყო. ეს ეწინააღმდეგება ცნობას იმის შესახებ, რომ მირიანი იყო შაჰის შვილი.

მეორე მიზეზი სპეკულაციურია: მირიანმა ქრისტიანობა გაავრცელა ქართლში. ის რომ ირანელი უფლისწული ყოფილიყო, ირანისათვის მიუღებელ რელიგიას არ დანერგავდა და ირანს ამით არ დაუპირისპირდებოდა.

მესამე დაბრკოლებად სახელდება ქრონოლოგიური შეუსაბამობა. ლეონტი მროველის მიხედვით, მირიანი არდაშირ I-ის (224-241) შვილია. ეს შეუთავსებელია ცნობასთან იმის თაობაზე, რომ მირიანი კონსტანტინე დიდის თანამედროვე იყო. თითქმის 100 წელს მიტანებული იქნებოდა ამ დროს იგი და წარმოუდგენელია, რომ თუნდაც ენადირა, როგორც ამას „წმინდა ნინოს ცხოვრება“ გვამცნობს.

სამივე საკითხი მე უკვე განმარტებული მაქვს ჩემს ადრე გამოქვეყნებულ ნაშრომებში, რომლებშიც ვაჩვენე, რომ ჩამოთვლილი მიზეზები არ ქმნის საფუძველს, არ ვენდოთ ლეონტის მონათხრობს მირიანის შესახებ. ჩემს მსჯელობას ზემოთ ნახსენებ პირველ ორ საკითხზე აქ მოკლედ გავიმეორებ. რაც შეეხება მესამეს, მასზე პასუხსაც ნაწილობრივ გავიმეორებ, მაგრამ ამასთან ერთად, არგუმენტებს შევავსებ ახალი ინფორმაციით. ეს ინფორმაცია უცნობი არც აქამდე ყოფილა სასაზურო ირანის ისტორიისათვის, მაგრამ სიახლე ისაა, რომ ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით, პირველად იქნება მოხმობილი.

⁹ ქართლის ცხოვრება, რ. მეტრეველის რედაქციით, თბ., 2008, გვ.76-81.

„მოქცევაი ქართლისაის“ ერთ-ერთი ნაწილია ისტორიული ქრონიკა, რომელშიც წარმოდგენილია ქართველ საერო (მეფეები, ერისმთავრები) და სასულიერო (კათალიკოსები, მთავარეპისკოპოსები) იერარქთა სია მათ ზეობაში მომხდარი ორიოდ ფაქტზე მითითებით. ერთ-ერთ მოკლე ინფორმაციას მირიანის ზეობის აღნიშვნის წინ ვხვდებით: „ლევ, მამაი მირეანისი“.¹⁰ ამ ლევს მკვლევრები მიიჩნევენ ქართლის მეფედ და სწორედ ამის გამო ჩაითვალა, რომ „მოქცევაი ქართლისაის“ ქრონიკის აღნიშნული ცნობა ეწინააღმდეგება ლეონტი მროველის ცნობას მირიანის სასანური წარმომავლობის შესახებ.

მაგრამ ყველა მკვლევარს, რომელსაც ჩემამდე უცდია „მოქცევაი ქართლისაის“ ისტორიული ქრონიკის ციტირებული ცნობის ინტერპრეტაცია (მათ შორის, მათაც, რომლებიც ლეონტის ცნობას იზიარებენ), მხედველობიდან გამორჩა უმთავრესი მომენტი: „მოქცევაი ქართლისაის“ ისტორიულ ქრონიკაში ლევი მირიანის მამად კი არის წარმოდგენილი, მაგრამ მეფედ არა. საერთოდ რომ არ წარედგინა ავტორს ლევი მკითხველის წინაშე, მაშინ შეიძლებოდა როგორღაც დაგვეშვა, რომ ლევის ტახტზე ყოფნა იგულისხმება, მაგრამ როცა ლევის წარედგინა ხდება როგორც მხოლოდ მირიანის მამის, ეს უკვე არის შებრკოლების ლოდი და ისმის კითხვა: ვინ შეიძლება იყოს პიროვნება, რომელიც ქართლის მეფეთა სიაში არის დასახელებული, მაგრამ, რომელიც არ იწოდება მეფედ და მისი ამ სიაში ჩართვის საფუძვლი მის შემდგომ დასახელებული პირის მამობაა?! ამ კითხვაზე პასუხს მხოლოდ ლეონტი მროველის მიერ წარმოდგენილი მირიანის ბიოგრაფია გვაძლევს: ასეთი შეიძლება იყოს მირიანის მამამძუძე ანუ იგივე მამა, რომელიც მირიანს, მართლაც, ჰყავდა, და რომლის უფლებამოსილებანი, როგორც მცირეწლოვანი უფლისწულის რეგენტისა, ჩანს, უნდა ყოფილიყო ძალიან დიდი. მაგრამ „გამომეძიებელი“ მკითხველი, შეიძლება, შემომედავოს: ლეონტის მიხედვით მირიანის მამამძუძეს ხომ მირვანოზი ერქვა, აქ კი ლევზეა საუბარი! დიახ, ეს ასეა, მაგრამ აღნიშნული ფაქტი ხელს ვერ შეუშლის ჩემს ზემოთ მოყვანილ მტკიცებას. შესაბამის ეპოქაში ირანული სახელები საკუთარ სახელს კი არ წარმოადგენდა, არამედ ზოროასტრულ რელიგიურ ზედწოდებას. მორწმუნეს რამდენიმე სახელი შეიძლება ჰქონოდა ცხოვრების განმავლობაში, შეიძლება სახელები მომატებოდა ზოროასტრული რელიგიური გამოცდილების მომატების კვალობაზე. ასე რომ, პიროვნება, რომელიც თავიდან მირვანოზი იყო, შეიძლებოდა ლევი//რევიც გამხდარიყო და ეს ორივე სახელი ერთადაც ეტარებინა. როგორც ლეონტი მროველის მონათხრობი გვარწმუნებს, მირვანოზი ქართლში ციხე-სიმაგრეების გარდა ირანის რელიგიის პოზიციებსაც განამტკიცებდა. ანუ ის თავდადებული მორწმუნე იყო და ამიტომ რამდენიმე სახელი მისთვის სრულიად ბუნებრივია.

თუმც არც ისაა გამორიცხული, რომ სხვადასხვა პიროვნებასთანაც გვექონდეს საქმე. შესაძლოა, მირვანოზი ან ადრე გარდაიცვალა ან გარკვეული დროის მერე ირანში გაიწვიეს და ლევი მირიანის მეორე მამამძუძე//რეგენტის სახელია. ამ ორი დაშვებიდან, რომელიც არ უნდა იყოს სინამდვილის შესატყვისი, ამას ამჯერად გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია შემდეგი: ლევი//რევი, არ არის მეფე, თუმც არის მირიანის მამა. ასეთი შეიძლება იყოს მხოლოდ მირიანის მამამძუძე//რეგენტი.

10 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, 1, გვ. 83.

ამგვარად, „მოქცევაი ქართლისაის“ ისტორიულ ქრონიკაში დაცული ცნობა მირიანის მამა ლევის შესახებ კი არ აბათილებს ლეონტის ინფორმაციას მირიანის წარმომავლობის თაობაზე, – პირიქით, ირიბად მხარს უჭერს მას: მამამძუძე//რეგენტის არსებობა გასაგებია მხოლოდ იმ ნარატივის ფარგლებში, რომელსაც გვთავაზობს მირიანის სპარსული წარმომავლობის შესახებ ლეონტი მროველი.

რაც შეეხება მეორე მოსაზრებას: როგორც ირკვევა, ლეონტის მონათხრობით, მირიანი მალე გაქართველდა. ეს მოულოდნელი არაა თუ გავითვალისწინებთ, რომ ირანელი უფლისწული მცირეწლოვანი ჩამოიყვანეს ქართლში. მირიანი ქართული სახელმწიფოს სათავეში იმყოფებოდა მრავალი ათეული წლის განმავლობაში. ამიტომ, სრულიად ბუნებრივია, რომ ის პოლიტიკას უყურებდა სწორედ ამ სახელმწიფოს პოზიციებიდან, რომელსაც მართავდა. ქართული იდენტობის შენარჩუნება და გაძლიერება მისი მთავარი საზრუნავი და პოლიტიკის ძირითადი მიმართულება რომ გახდა ჯერ კიდევ გაქრისტიანებამდე, ამას სხვადასხვა ფაქტი აჩვენებს, მათ შორის, მეფე ფარნავაზის საფლავის შემკობა განსაკუთრებით მრავლისმეტყველია: ამ შესტით მირიანი იმას მიანიშნებდა, რომ იგი ქართლის სამეფოს დამფუძნებლის და ქართული იდენტობის ფორმირებაში უდიდესი წვლილის შემტანი მეფის მიერ დაწყებული საქმის გამგრძელებლად სახავდა თავს. ამ მიზნისათვის კი მირიანს უნდა ჰქონოდა იდეოლოგიური იარაღი, რომლითაც ირანს დაუპირისპირდებოდა. ამიტომ იყო, რომ ქართული წარმართული კერპების მოულოდნელად მეხის დაცემის შედეგად განადგურების მერე, მირიანმა მშობლიური ცეცხლთაყვანისმცემლობის გავრცელება კი არ მოისურვა, არამედ ერთხანს ისევ ქართული წარმართობის შენარჩუნებას შეეცადა,¹¹ მაგრამ საბოლოოდ, როცა დარწმუნდა, რომ ეს შეუძლებელი იყო და წარმართობა არ იყო ის იარაღი, რომელიც მის ქვეყანას გადაარჩენდა, ქრისტიანობაზე აიღო გეზი. მან ამოიცნო ამ კოსმოპოლიტური რელიგიის დიდი რესურსი ქართული იდენტობის შენარჩუნებისათვის. მისი ნაბიჯი ეგზისტენციალური პრობლემის რაციონალურ გადაწყვეტად უნდა განვიხილოთ. ამიტომაც არაა გასაკვირი, რომ ის მოაზროვნე ადამიანმა გადადგა.¹²

დაბოლოს, შევეხები მესამე მიზეზს. როგორც ითქვა, მკვლევართა ნაწილი ლეონტი მროველის ჩვენთვის ამჟამად საინტერესო ცნობის გაზიარებას შეუძლებლად მიიჩნევს იმის გამო, რომ ირანის ისტორიასთან ამ ნარატივის სინქრონიზება ვერ ხერხდება.

აღნიშნული ფაქტის მომიზეზებითაც ლეონტის ინფორმაციის უგულებელყოფა არაა მართებული.

ლეონტი მირიანის მამად ქასრე არდაშირს ასახელებს: „ხოლო ან ვაჟსენოთ ცხოვრებაი მირიანისი, ძისა ქასრე არდაშირისი“.¹³ „ქასრე“ ქართულ წყაროებში ირანის შაჰის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინია. ანუ საუბარია ირანის შაჰზე, რომელსაც არდაშირი რქმევია.

11 მირიანის ამ შუალედური პროექტის შესახებ იხ. ჩხარტიშვილი მ., დედის – ნინოს – სახე ქართული ერთობის ისტორიულ მეხსიერებაში და მეფე მირიანის რელიგიური რეფორმა. ამირანი: კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი საზოგადოებრივი ინსტიტუტის მოამბე XX, 2008, მონრეალი-თბილისი, გვ. 54-73 .

12 ჩხარტიშვილი მ., ქართული ეთნიკური რელიგიური მოქცევის ეპოქაში, თბ., 2009, გვ. 84-110.

13 ქართლის ცხოვრება, რ.მეტრეველის რედაქციით, გვ.78.

მკვლევართა უმეტესობამ ეს შაჰი მიიჩნია სასანიანთა დინასტიის დამფუძნებელ არდაშირ I-ად (224-241), ვფიქრობ, შემდეგი წინადადების გამო „და ამის ზემოთ იქმნა სპარსეთს ანუშირვან სასანიანი, რომელმაც მოსრნა მეფენი აჟლანნიანი, რომელ იცნობების არდაშირობით, ვითარცა წერილ არს ცხორებასა სპარსთასა“.¹⁴

ამ ბოლო ამონარიდში უეჭველია, რომ დინასტიის დამფუძნებელზეა საუბარი და მესამე საუკუნის პირველ ათწლეულებზე. მირიანი კი, როგორც ვიცით, იყო კონსტანტინე დიდის თანამედროვე და მეოთხე საუკუნის 30-იანი წლებისათვის ქართლის გაქრისტიანების მთავარი აქტორი. შესაბამისად, მკვლევრებს არდაშირ I-ის მირიანის მამად წარმოდგენა გაუჭირდათ.

მაგრამ განა აუცილებელია, რომ ქასრე არდაშირი, რომელსაც ლეონტი მროველი მირიანის მამად მოიხსენიებს, მაინცდამაინც სასანიანთა დინასტიის დამფუძნებელ არდაშირთან გავაიგივოთ? ლეონტი მროველი არდაშირს ორ სხვადასხვა წინადადებაში ახსენებს. ჯერ ასფაგურის მეფობაში მომხდარ ამბების აღწერისას და მერე მირიანის ბიოგრაფიის გადმოცემისას. მართალია, თხრობა ისეა ორგანიზებული, რომ მკითხველს იოლად შეიძლება დარჩეს შთაბეჭდილება, რომ ერთიდაიმავე არდაშირს ეხება საქმე, მაგრამ სულ სხვა სურათი შეიქმნება თუ გავითვალისწინებთ, რომ სასანიანთა დინასტიის დამფუძნებლის შემდეგ უახლოეს მომდევნო ათწლეულებში ირანის ტახტზე სხვა არდაშირიც იმყოფებოდა. ეს გახლავთ ხსენებული არდაშირ პირველის შვილიშვილი, რომელმაც ტახტზე ასვლის შემდგომ მიიღო ჰორმიზდის სახელი და ისტორიაში ცნობილია როგორც ჰორმიზდ I ან ჰორმიზდ არდაშირი. იგი ზეობდა 272-273 წლებში. ზოგი მკვლევრის გამოთვლით, ესაა 270-271 წლები,¹⁵ მაგრამ ამჯერად ამ ორიოდე წლის აცდენას არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა.

სრულიად ლოგიკურია რომ ლეონტისეულ სპარსთა მეფე სწორედ ჰორმიზდ არდაშირთან გავაიგივოთ. ასეთ შემთხვევაში მირიანი ქართლის მოქცევის დროისათვის ექვს ათეულ წელზე მეტის კი გამოდის, მაგრამ არა უმეტეს სამოცდაათი წლისა. ანუ არავითარი ქრონოლოგიური დაბრკოლება არ არსებობს იდენტიფიკაციისათვის.¹⁶

იმისთვის რომ უკეთ დავინახოთ, რამდენად დამაჯერებელი ხდება ცნობა მირიანის სასანური წარმომავლობის შესახებ თუ მის მამას ქასრე არდაშირს ირანის შაჰ ჰორმიზდ არდაშირთან გავაიგივებთ, აუცილებელია შევეხოთ ამ უკანასკნელის ბიოგრაფიულ დეტალებს.

14 ქართლის ცხოვრება, რ.მეტრეველის რედაქციით, გვ.73.

15 Fraye R. N., *The History of Ancient Iran*, München, 1984, p. 302. ზეობის წლებთან დაკავშირებით იხ. აგრეთვე სტატია Hormizd I, *Encyclopedia Britannica* <https://www.britannica.com/print/article/271807>

16 ს. რაფიც საუბრობს ლეონტის მიერ ხსენებული ქასრე არდაშირის ჰორმიზდ არდაშირთან გაიგივების ლოგიკურობაზე, მაგრამ იმიტომ, რომ ზემოთ ციტირებულ ცნობაში ნახსენებია ქასრე ანუშირვანი ანუ მეექვსე საუკუნეში მოღვაწე სასანიანი შაჰი, რაიმე რეალობის დანახვა ამ პასაჟის მიღმა მკვლევარს ეძნელება. იხ. S. H.Rapp Jr. *The Sassanian World through Georgian Eyes. Caucasian and Iranian Commonwealth in Late Antique Georgian Literature*, Ashgate, 2014, p. 241. ვფიქრობ, ამ შემთხვევაში აღნიშნული ცდომილება (ვგულისხმობ ანუშირვანის ხსენებას) უნდა იყოს *lapsus calami* და მის გამო ლეონტი მროველის მონათხრობის მთელ ინფორმაციაზე უარი არ უნდა ვთქვათ.

ჰორმიზდ არდაშირი ანუ ჰორმიზდ I იყო ენერგიული და უაღრესად წარმატებული შაჰის შაბურ I-ის (242-272) ძე. უკვე ძველ ტექსტებში ის ცნობილია „მამაცის“ ზედწოდებით, ჩანს, ტახტზე ასვლამდე მრავალ სამხედრო კამპანიაში გამორჩეულად წარმატებული მონაწილეობის გამო მამა განსაკუთრებით აფასებდა ჰორმიზდ არდაშირს და, მიუხედავად იმისა, რომ მესამე ვაჟი იყო, მას დაუტოვა ტახტი. ამის მიზეზი შეიძლება ყოფილიყო ისიც, რომ ჰორმიზდ არდაშირის დედა ითვლებოდა პართული საგვარეულოს წარმომადგენლად და, ამგვარად, ჰორმიზდ არდაშირი თავის თავში აერთიანებდა ირანის უძლიერეს გვარებს. მესამე საუკუნის 50-იან წლებში შაბურმა ჰორმიზდ არდაშირი მის მიერ დაპყრობილი სომხეთის მეფედ დასვა. ამგვარად, ჰორმიზდ არდაშირი გახდა გვირგვინოსანი უფლისწული. ეს უკვე მიუთითებდა, რომ ის იქნებოდა შაბურის მემკვიდრე. სომხეთის ტახტს ის, სავარაუდოდ, ფლობდა შაჰად გახდომამდე ანუ მესამე საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისამდე.

რადგან ჰორმიზდ არდაშირი წლების მანძილზე სომხეთის ტახტს იკავებდა, მას კავკასიის საკითხების ღრმა ცოდნა უნდა ჰქონოდა, ცხადია, არც ქართლი იქნებოდა მისთვის *terra incognita*. ქართველებისთვისაც არ იქნებოდა უცნობი მეზობელი ქვეყნის მმართველი. შესაძლოა, ამ გარემოებამაც მოახდინა გავლენა მაეჟან სპასპეტის სამშვიდობო წინადადების შინაარსზე: ქართველებს ეადვილებოდათ ჰორმიზდ არდაშირთან კომუნიკაცია.

მართალია, არდაშირ I სასანური ირანის დამფუძნებელი იყო, მაგრამ ირანის იმპერიად გარდაქმნა აშკარად მის ძეს შაბურ I-ს უნდა დაეუკავებოდა. სახელმწიფოს იმპერიული კონცეფცია შაბურის ტიტულატურაშიც გამოჩნდა: თუ არდაშირ I იწოდებოდა ირანის მეფედ, შაბური I იყო ირანისა და არაირანის მეფე. ამგვარი ფორმულირება, ცხადია, ასახავდა შაბურის ექსპანსიონისტურ მისწრაფებებს და მის მიერ ირანის, როგორც იმპერიის, კონცეპტუალიზებას. შაბურის I-ის ხელშემწყობი იმპერიის მშენებლობაში ჩანს სწორედ მისი ძე ჰორმიზდ არდაშირი.

პარალელების მოძიების თვალსაზრისით, საინტერესოა შაბურ I-ის რელიგიური პოლიტიკაც, რომელიც ასევე განაგრძო მისმა მემკვიდრემ. შაბური ზოროასტრიზმის მიმდევარი იყო. თუმცა ამ რელიგიისთვის არ მიუნიჭებია ერთადერთი რელიგიის სტატუსი და ტოლერანტული დარჩა სხვა რელიგიების მიმართაც. შაბური I რელიგიურ პლურალიზმს უშვებდა მის იმპერიაში. იგი იპყრობდა ქვეყნებს და ტყვეები მიჰყავდა ირანში, ამ მრავალფეროვანი მოსახლეობით ავსებდა მის მიერ აშენებულ ქალაქებს. ამიტომაც იმდროინდელ ირანში ბევრი სხვადასხვა სარწმუნოების ადამიანმა მოიყარა თავი. შაბური, მათ არ დევნიდა, არ დევნიდა ზოროასტრიზმის მთავარ მოწინააღმდეგე რელიგიას – მანიქეიზმსაც. მამის მსგავსი ტოლერანტობა ახასიათებდა ჰორმიზდ არდაშირს. ის კეთილგანწყობას იჩენდა მანიქეველთა მიმართ, თუმცა თავად ზოროასტრიზმის მიმდევარი იყო. ამ კონტექსტში არ შეიძლება არ გაგვახსენდეს ლეონტის მიხედვით ქასრე არდაშირის დანაბარები მირიანის აღმზრდელისადმი: მირიანი ორივე სარწმუნოებით უნდა აღზრდილიყო. ანუ პოლიტიკური პორტრეტის ეს შტრიხი – რელიგიური პლურალიზმი – ლეონტისეულ ქასრე არდაშირს აკავშირებს სწორედ ჰორმიზდ არდაშირთან. მის შემდგომ კი ირანში სარწმუნოების საკითხში ვითარება რადიკალურად შეიცვალა. ტახტზე ასულმა ახალმა შაჰმა ზოროასტრიზმი სახელმწიფო რელიგიად გამოცხადა. მის დროს მანიქეველები იდევნებოდნენ და

თავად მანი კი სიკვდილით დასაჯეს.¹⁷

ამგვარად, ლეონტი მროველის ნარატივი შესანიშნავად უთავსდება ირანის ისტორიის ფაქტებს და დაეჭვების კითხვის ადგილს თითქმის არ ტოვებს. ჰორმიზდ არდაშირი, ვფიქრობ, არის ლეონტი მროველის ქასრე არდაშირი და ამ იდენტიფიკაციის საფუძველზე უნდა გაიმართოს მირიანის ბიოგრაფიის ქრონოლოგიაც და მოხდეს თავად ლეონტის, როგორც ისტორიკოსის, კიდევ ერთხელ „რეაბილიტაცია“: ძალიან ბევრ შემთხვევაში მისი ინფორმაცია სწორია.

შაჰი ჰორმიზდ არდაშირი, სავარაუდოდ, მირიანის სამუდამოდ ქართლში დატოვებას არ აპირებდა. თავად მამის რჩეული იყო და ასეთივე გეგმები შეიძლებოდა რომ ჰქონოდა მირიანის მიმართაც. არ ვიცი, რა მონაცემს ეფუძნება ლეონტის ცნობა მირიანის დედის შესახებ, მაგრამ საინტერესოა აღნიშნული ვარაუდის თვალსაზრისით ლეონტის შემდეგი კომენტარი: სპარსთა მეფემ მირიანთან დედამისი არ დატოვა, რადგან ის უყვარდაო თავზე მეტად. ანუ ისტორიკოსი თითქოს მიგვანიშნებს, რომ მირიანი გამიზნული იყო მამის მემკვიდრედ. ეტყობა, საკმაოდ დიდხანს არ ტოვებდა მირიანს იმედი, რომ მის სამშობლოში შეიქნებოდა ხელსაყრელი ვითარება, ის შაჰი გამხდარიყო. ლეონტი აღნიშნავს ამ მიზნით მის ლაშქრობას ირანში.¹⁸ სრულმასშტაბიანი სამხედრო კამპანია თუ არა, მირიანის გარკვეული მცდელობა, მართლაც, არაა გამორიცხული. მისი შთამომავლობის გათვალისწინებით, მხარდამჭერები, ცხადია, მირიანს ეყოლებოდა. მაგრამ, ჩანს, ის პარტია, რომელზეც მას შეიძლება გათვლა ჰქონოდა, ირანში დამარცხდა. გარკვეული დროის მერე აშკარა უნდა გამხდარიყო, რომ ირანი მირიანს აღარასოდეს მიიღებდა. შესაბამისად, ზოროასტრიზმი უკვე მისი რელიგია კი არა, მისი პოლიტიკური მოწინააღმდეგეების რელიგია იყო.

ახლა კი შევაჯამოთ:

ა) ლეონტი მროველის ცნობას იმის თაობაზე, რომ ქართლის პირველი ქრისტიანი მეფე იყო ირანელი უფლისწული, მხარს უჭერს „მოქცევაი ქართლისაი“: აქ დასახელებული მირიანის მამამძუძე/რეგენტი შეიძლება კონტექსტუალურად მხოლოდ ლეონტის მიერ წარმოდგენილი ნარატივის ფარგლებში.

ბ) კონკრეტულად ირანის შაჰ ჰორმიზდ არდაშირთან ლეონტის მიერ ხსენებული სპარსთა მეფის ქასრე არდაშირის გაიგივებას მხარს უჭერს, პირველ რიგში, სახელის იგივეობა. ირანის მესამე სასანიან შაჰს ერქვა ბაბუის – სასანიანთა

17 Savoia-Vizzini G., An Introduction to the Sasanian Dynasty, 2000 სამეცნიერო პორტალი *Circle of Ancient Iranian Studies* <https://www.cais-soas.com/essays.html>

Sasanian dynasty, *Encyclopedia Iranica* <http://www.iranicaonline.org/articles/sasanian-dynasty>

ŠĀPUR I: History, *Encyclopedia Iranica* <https://iranicaonline.org/articles/shapur-i>

Hormizd I, *Encyclopedia Iranica* <https://iranicaonline.org/articles/hormozd-i>

18 როგორც აღინიშნა, ჰორმიზდ არდაშირი სულ ერთი წელი იყო ტახტზე. ლეონტის მიხედვით კი ისე გამოდის, რომ ის გარდაიცვალა მხოლოდ მაშინ, როცა მირიანი 40 წლის გახდა, მემკვიდრე მირიანის მამის გარდაცვალების დროის შესახებ, აშკარად, პირდაპირი ცნობები არ ჰქონდა. მაგრამ იცოდა რა ირანის ტახტის დასაკავებლად მირიანის მცდელობის შესახებ, ჩათვალა, რომ ეს აქტივობა პროვოცირებული იყო სწორედ იმით, რომ შაჰი გარდაიცვალა ანუ ტახტი ვაკანტური დარჩა. რაც შეეხება მირიანის დავიანებულ რეაქციას, ჩანს, იხსნება იმით, რომ მემკვიდრეობაზე პრეტენზიის განსაცხადებლად მირიანი ელოდებოდა პოლიტიკურად ხელსაყრელ მომენტს. იმის გასარკვევად თუ რამდენად ხელსაყრელი იყო მის მიერ ლაშქრობისათვის შერჩეული დრო, დამატებითი კვლევა-ძიებაა საჭირო.

დინასტიის დამფუძნებლის - სახელი. ჰორმიზდი მას ეწოდა ტახტის დაკავების შემდგომ.

გ) ჰორმიზდ არდაშირთან ლეონტისეული ქასრე არდაშირის გაიგივებას ხელს ვერ უშლის ლეონტი მროველის მონაცემები არდაშირ I-ის ანუ დინასტიის დამფუძნებლის შესახებ. ამ უკანასკნელზე ლეონტი მოთხრობის დასაწყისში აღნიშნავს, ქასრე არდაშირის შესახებ კი უფრო მოგვიანებით, როცა კონკრეტულად მირიანის ბიოგრაფიის გადმოცემას იწყებს.

დ) ლეონტისეულ ქასრე არდაშირის მესამე სასანიანი შაჰთან გაიგივებას მხარს უჭერს ის ფაქტიც, რომ იგი წლების განმავლობაში იყო სომხეთის მეფე. ამიტომ დიდი ალბათობით სავარაუდოა, ქართველებს პირადი კონტაქტი ჰქონოდათ ჰორმიზდ არდაშირთან, როგორც მეზობელი ქვეყნის მეფესთან ლეონტი მროველის მიერ აღწერილი მოლაპარაკებამდეც. შესაბამისად, არ უნდა გასჭირვებოდათ მასთან კომუნიკაცია მას შემდეგ, რაც მათი ნაცნობი სომხეთის მეფე მთელი ირანის მბრძანებელი გახდა. საერთოდ, მსგავსი გეგმა სწორედ ამ პირადი ურთიერთობით უნდა ყოფილიყო პროვოცირებული.

ე) ლეონტისეულ ქასრე არდაშირს ჰორმიზდ არდაშირთან ძალიან აახლოებას პოლიტიკური პორტრეტის შემდეგი შტრიხი: რელიგიური პლურალიზმი. ჰორმიზდ არდაშირის მამამ სასანური იმპერიის მშენებლობის პროცესში დაამკვიდრა ეს პოლიტიკა და ის გააგრძელა ჰორმიზდ არდაშირმა. და ეს შტრიხი ამ ორი სასანიანი მეფის უნიკალური მახასიათებელია. ამის შემდგომ ირანში იწყება არატოლერანტული რელიგიური პოლიტიკის ეპოქა. ლეონტის მიერ ხსენებული ქასრე არდაშირიც ფიქრობდა, რომ შესაძლებელი იყო მისი ძე ორი რელიგიის მიმდევარი ერთდროულად ყოფილიყო. და, შესაბამისად, ასევე ესახებოდა მირიანის მომავალი სახელმწიფო პოლიტიკაც.

ამრიგად, ლეონტის მიერ მოთხრობილი მირიანის ბიოგრაფია ისტორიკა და არა პოეზია, რადგან ის ასახავს რეალურად მომხდარ ფაქტებს; თუმცა აშკარად ძველი ლეგენდების თარგზუა გამოჭრილი ამბავი პატარა უფლისწულისა, რომელიც მშობლებმა ჩამოიყვანეს უცხო ქვეყანაში, დატოვეს, ალბათ იმ იმედით, რომ კიდევ ნახავდნენ. მაგრამ აღმოჩნდა, რომ განშორდნენ სამუდამოდ. პატარა უფლისწული უცხო ქვეყანაში გაიზარდა, შეეთვისა მას და მეტიც, მის ცხოვრებაში შეასრულა გადამწყვეტი როლი. აი, სწორედ ეს პოეტური ყალიბი ართულებდა მეფე მირიანის შესახებ ლეონტი მროველის ცნობების წყაროთმცოდნეობითი ღირებულების სწორად განსაზღვრას.

**The Testimonies of Leonti Mroveli on the
First Christian King of Kartli Mirian:
History or Poetry?**

Summary

The 11th century Georgian historian Leonti Mroveli provides us with a detailed biography of Mirian, the first Christian king of premodern Georgian polity Kartli. He indicates that Mirian was the son of the king of Iran and mentions the name of this king: Ardashir. Researchers identified this Ardashir with the Iranian Shah Ardashir I (224-241), the founder of the Sasanian dynasty, in which case it is impossible for Mirian to be his son, because we know for sure that the King Mirian was a contemporary of Constantine the Great. The *Vita* of the Illuminatrix of Georgians the Saint Nino presents him as still energetic man around 330s. Therefore, it was considered that the information about Iranian origin of Mirian was invented by Leonti Mroveli to glorify the kings of Kartli and the correct information is kept in mediaval Georgian historiographical writing the “Conversion of Kartli” (“Moktsevey Kartlisay”), according to which Mirian’s father was Levi, the king of Kartli.

The article aims to find out to what extent we can trust Leonti’s account of Mirian’s Persian origin. The author partially relies on her earlier results, to which she adds new arguments, and concludes that Leonti’s account is correct and Mirian’s father was specifically the third Sasanian Shah Hormizd Ardashir//Hormizd I (272-273). As for the information of the “Conversion of Kartli”, which was used by researchers to refute Leonti Mroveli’s information, in fact it also supports Leonti’s evidence: Levi mentioned here is the regent of Mirian, not the king of Kartli. But the presence of Mirian’s regent can be understood only in the context of the narrative given by Leonti Mroveli about Mirian.

Thus, the biography of Mirian, narrated by Leonti, is history and not poetry as it reflects the facts that actually happened; however it is structured according to the narratives of legends. It was just this poetic form that complicated the analysis of Leonti Mroveli’s story about the King Mirian.

საჭმომთა რაქიზის სარკასტული კრიტიკა ნოდარ დუმბაძის იუმორისტული მოთხრობების ციკლში

როდესაც საკითხი ნოდარ დუმბაძის შემოქმედების კვლევას ეხება, დაბეჯითებით შეგვიძლია განვაცხადოთ რომ, ამ ძალზედ საინტერესო შემოქმედებაში უამრავი საკითხის ირგვლივ შეიძლება კონცენტრირდეს მკვლევართა ყურადღება; სრულიად ამომწურავი კვლევა არა თუ ერთი რეცენზიის ან ნარკვევის, ვფიქრობთ, მონოგრაფიის ფარგლებშიც კი შეუძლებელია. ეს პროცესი მთებში მოგზაურობას ნააგავს: ხედავ უმაღლეს ნერტილს, მიინევ მისკენ და როგორც კი მიზნამდე მიდიხარ, ახალი უმაღლესი ნერტილი ჩნდება თვალსაწიერში, შესაბამისად, შენი გზის ფირნიშიც იქ გეგულება, მაგრამ აღიხარ და იქიდანაც კვლავ ახალი მწვერვალი ამოიზრდება. სწორედ ასეა, ნოდარ დუმბაძის სამყაროც, რაც უფრო ყურადღებით კითხულობ, რაც უფრო მეტს იკვლევ, ახალი საკვლევია პრობლემაც მეტად იჩენს თავს, კიდევ უფრო მეტი საკითხი ამოიკვეთება და ამოკრისტალდება მიმდინარე თუ ადრე განხორციელებულ კვლევათა შრეებში. ჩვენ სხვადასხვა საკითხის ვიკვლევთ მწერლის შემოქმედებაში, ვცდილობთ რამდენიმე საინტერესო მიმართულებით განვიხილოთ ეს შეუდარებელი ლიტერატურული საგანძური, ამ კონკრეტულ სტატიაში კი, კვლევის საგანს ნოდარ დუმბაძის შემოქმედების ის ნაწილი წარმოადგენს, რომელიც იუმორისტულ ციკლს განეკუთვნება და ერთი შეხედვით, მისი დანიშნულებაც მხოლოდ ერთგვარი ანეგდოტური იუმორია, რომლის მიზანიც, თითქოს, მკითხველის გართობა და გახალისებაა მარტოოდენ, მაგრამ, თუ ჩავუღრმავდებით, ამ ტიპის ნაწარმოებების დაფარული პათოსი ერთობ საინტერესოდ შეიძლება ამოიკვეთოს ზედაპირზე. მოთხრობათა ციკლის შესწავლისას, ბუნებრივია, გათვალისწინებული უნდა იყოს მწერლის თანამედროვე ეპოქა და ეპოქისთვის დამახასიათებელი გამოწვევები. ამდენად, შევეცადეთ ახლებურად შეგვეხედა აღნიშნული ნაწარმოებებისათვის და მწერლის მიერ ოსტატურად დაფარულ სარკაზმში თუ კომიზმში, საინტერესო ქვეტექსტები ამოვიკითხეთ.

როგორც ცნობილია, ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებები მეოცე საუკუნის 50-იანი წლებიდან იბეჭდებოდა იმდროინდელ პრესაში, სწორედ 1956-1957 წლებში ჟურნალ „ნიანგის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა მწერლის იუმორისტული მოთხრობის სამი წიგნი - „ყურადღება, ვინცებთ ვარჯიშს“, „გაუმარჯოს გიგილოს“ და „გლადიატორი“. შესაბამისად, მწერალი, თავდაპირველად, სამწერლო ასპარეზზე იუმორისტული ციკლის მოთხრობებით შემოვიდა და პირველი წარმატებაც სწორედ ამ ჟანრის ნაწარმოებებით მოიპოვა; და რადგან, მის შემოქმედების სხვათა შემოქმედებისგან ყველაზე დიდი განმასხვავებელი თვისება სწორედაც რომ საოცარი იუმორია, ბუნებრივია, ჩვენ არავითარ შემთხვევაში შევუშინდებოდით და გვერდს არ ავუვლიდით მისი იუმორის სერიოზულობის კვლევის სირთულეს და შევეცადეთ ამ კუთხითაც შეგვესწავლა მწერლის შემოქმედება და ჩვენი აზრით, სამართლიანად დავასკვნით, რომ იუმორს მიღმა არაერთ უაღრესად სერიოზულ საკითხზეა შესაძლებელი ყურადღების გამახვილება, რომლებიც, არსებითად მწერლის თანამედროვე ეპოქაში გავრცელებული

სისტემური თუ მენტალური პრობლემებისა და არსებული რეჟიმის მანკიერი ნიუანსების მხილებას წარმოადგენს ძირითად შემთხვევებში.

როგორც გურამ ასათიანი იხსენებს, ერთხელ, პირად საუბარში უთქვამს მისთვის ნოდარ დუმბაძეს: „მე თავისუფლება მინდოდა და სიცილი იმისთვის ავირჩიეო“. თავად გურამ ასათიანი კი ასე აფასებდა ამ ამბავს: „სიცილი ნოდარ დუმბაძისთვის თვითდამკვიდრების ისეთივე ფორმაა, როგორც მხედართმთავრისათვის ომი ან ჩიტისთვის ფრენა“.¹ ნოდარ დუმბაძისთვის სიცილი არ ყოფილა გართობის ან დაცინვის საშუალება, იგი სრული სერიოზულობით ეკიდებოდა იუმორისტულ ჟანრს, სრულად ჰქონდა გააზრებული მისი დანიშნულება. მწერლის იუმორისტული ჟანრის მოთხრობები, თავისი შინაარსით ვერასდროს იქნებოდა ისეთი პოპულარული, თუ მასში ავტორი არ წარმოადგენდა რეალისტურ სახეებსა და სიტუაციებს.

პარტიულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების სადარაჯოზე აქტიურად მდგარი ცენზურა მკაცრად უკეტავდა გზას არსებული ხელისუფლებისადმი კრიტიკული დამოკიდებულების ყოველგვარ გამოვლენას. მარწუხებში მოქცეულ მართალ სიტყვას ასპარეზი ჰქონდა დახშული, მწერალი ვალდებული (ამ სიტყვის სრული გაგებით) იყო მხოლოდ იდეალური ყოფა და იდეალური გმირები ეჩვენებინა, ამიტომ იმჟამინდელ სოციალ-პოლიტიკურ მანკიერებათა მხილება მხოლოდ იუმორის და სიცილის ნიღბით გენიალური გადაწყვეტილება იყო და რთულად შესასრულებელიც, რომელიც განსაკუთრებული ნიჭის გარეშე განუხორციელებელ იდეად ან შეუსრულებელ პროექტად დარჩებოდა, ზემოთ ჩვენს მიერ ციტირებული მწერლის სიტყვებიც უტყუარი დოკუმენტია იმისა, რომ ნოდარ დუმბაძემ მოახერხა და სრულიად გააზრებულად გადააქცია იუმორი შემოქმედებითი თავისუფლების მიღწევის ყველაზე ეფექტურ საშუალებად, ასახა რა იმჟამინდელი ყოფის მრავალი მანკიერება, გახადა ისინი მხილებისა და კრიტიკის საგანი, თანაც ეს ყოველივე ისე მოახერხა, რომ მოთხრობები კომუნისტური ცენზურისათვის მარტოდენ სამხიარულო მნიშვნელობის იუმორისტულ ჟანრად შეესაღებინა. ამ მოთხრობათა გამოქვეყნების დროს, როგორც აღვნიშნეთ, მწერალი სრულიად ახალგაზრდა გახლდათ ჯერ კიდევ და მსგავსი დაფარული პათოსი და შენიღბული კრიტიკაც კი, წარმოუდგენელ გამბედაობას საჭიროებდა ჭაბუკი ავტორისგან.

ჰრანტ თამრაზიანი, ნოდარ დუმბაძისადმი მიძღვნილ წერილში – „ნატკენი გულისა და მზენათელი სიზმრების ნიგნი“ – წერს: „ნოდარ დუმბაძეს მშობლიურ ლიტერატურაში მოჰქონდა მდიდარი ცხოვრებისეული სიმართლე, სძლევდა ახლო წარსულის ლიტერატურულ სქემებს და დაბნეულობას.

... რა თქმა უნდა, იოლი არ იქნებოდა მისი სამწერლო გზა, – ყველგან და ყოველთვის გამოჩნდებოდა ისეთი ადამიანები, – ...ზნეობრივი ბინიერების სამზეოზე გამოტანასა და მხილებას, ან დუმილს, ანდა მიჩქმალვას ამჯობინებენ. ჩვენი ნალბანდიანი – გამოჩენილი პოეტი და მხურვალე პუბლიცისტი, ასეთ დუმილს ბრმა და მავნებლურ სიყვარულად თვლიდა...“.² ნოდარ დუმბაძე კი, როგორც

1 ასათიანი გ., „მზიური ნიჭი“, წერილების კრებული „მზიანი გულის მწერალი“, რედაქტორები – გვერდნითელი გურამ, ცაიშვილი სარგის, თბ., 1960, გვ. 10.

2 თამრაზიანი ჰ., „ნატკენი გულისა და მზენათელი სიზმრების ნიგნი“ – ნოდარ დუმბაძე, მზიანი გულის მწერალი (წერილები, გამოსათხოვარი სიტყვები, მოგონებები, ლექსები ნოდარ დუმბაძე), თბ., 1986, გვ. 69-70.

ამავე წერილში ასკვნის თამრაზიანი - „ჯანსაღ სულზე ნაზიარები იუმორით დაუნდობლად ამათრახებს ნაკლსა და ბოროტებას“.

გადავიდეთ უშუალოდ ტექსტების ანალიტიკურ განხილვაზე და ვნახოთ, რამდენად თავსდება ნოდარ დუმბაძის იუმორისტული მოთხრობები საბჭოთა ეპოქის მწერლობისადმი წაყენებულ სავალდებულო მოთხოვნათა საზღვრებში, რამდენად არღვევს ამ მძიმე ჩარჩოებს და აშარჟებს თუ არა მისი იუმორი, არსებული რეჟიმის პირმშო - მთელ რიგ პროცესებს. როგორც მწერლის კრებულთა უმრავლესობაშია წარმოდგენილი თანმიმდევრობა, ჩვენც ისე გავუყვეთ და გიგლოს მოთხრობათა ციკლით დავინწყით.

თუ ყურადღების გამახვილებით ჩავუღრმავდებით, მოთხრობის შესავალ ნაწილშივე ოსტატური იუმორის ნიაღში მიზანმიმართული სარკაზმის აღმოჩენა არ გაგვიჭირდება: „ბავშვთა სამყაროს“ შესასვლელს ასეთი წარწერა ამშვენებს: „ყველაფერი ბავშვებისთვის“, რომელიც შიგ შესვლამდე საოცრად კეთილშობილურად ჟღერს.

„ბავშვთა სამყაროსი“ არ იყოს, ყველაფერი გვექონდა ბავშვისთვის, თუმცა ბავშვი არ გვეყავდა“.³ პირველ რიგში ამ წინადადებით აქცენტირებულია, რომ ეს კონკრეტული მალაზია (რომელიც, სახელწოდების მიხედვითაც და ალეგორიულადაც კონკრეტული „სამყაროა“, რაც სახელმწიფოს მიკრომოდელადაც უნდა იქნას აღქმული ამ ციტატის კონტექსტში), დგას ყალბ ლოზუნგზე, იგი ისეთივე სიცრუეზეა დაფუძნებული, როგორც ის წყობა, რომლის ნიაღშიც ეს „სამყარო“ არსებობს, აქ, რომ ყველაფერი ხელმისაწვდომია - ისეთივე სიცრუეა, როგორც საბჭოეთის იდეალოზობა. იუმორის ქარგაში სწორედ ამაზე რომ მიანიშნებს მწერალი, პირველ ყოვლისა, ციტირებული მონაკვეთის დასკვნაში ვლინდება, რადგან, შიგნიდან გარეთ განივრცობა პრობლემა და ესეც განგრძობადობაზე მიუთითებს ალეგორიულად, ანუ, მხოლოდ „ბავშვთა სამყაროს“ პრობლემა არ არის ნაჩვენები მოჩვენებითობა, - თავად მოთხრობლის ოჯახშიც იგივე გრძელდება. მაგრამ მთავარი ის არის, რომ იუმორისტულ მოთხრობათა მხოლოდ ამ ერთ პასაჟში არ აკეთებს მწერალი ანალოგიურ მინიშნებას: „ექიმი ადგა, რეცეპტები გამოწერა და ამაყად თქვა: „ - აქ მე ისეთი ექვსი თავი წამალი გამოვწერე, ვერსად ვერ იშოვით, ამიტომ პენიცილინი გავუკეთოთ“.⁴ ეს უკვე მოთხრობა „37.5“-ია, სადაც იგივე პრობლემა უკვე „ბავშვთა სამყაროში“ კი არა, მის მიღმა საბჭოთა სამყაროში იჩენს თავს. ამ ყველაფრის გარდა, ყურადსაღებია თავად ლოზუნგის გაშარჟება ლოზუნგების ეპოქაში, რაც სოლიდური საფუძველია იმისა, რომ ნებისმიერი ლოზუნგი იმდაგვარივე სიყალბედ და ფუჭ სიტყვებად იქნას გააზრებული როგორც „ბავშვთა სამყაროს“ ლოზუნგის მაგალითი გვეკარნახობს.

კომუნიზმის იდეოლოგია, რომ - მის სივრცეში მხოლოდ ყველაფრით უზრუნველყოფილი, ბედნიერი ხალხი ცხოვრობს - დუმბაძის იუმორისტულ მოთხრობებში თავდაყირაა დაყენებული და ამდენად, ჩვენი დასკვნა, რომლის მიხედვითაც ერთი ლოზუნგის მაგალითი უტოლდება ყალბი ლოზუნგების გაბიაბრუებას, სრულიად ლოგიკურია. არა თუ აბსოლუტურად უზრუნველყოფილი ხალხი არ ჩანს ამ მოთხრობებში, არამედ, ნოდარ დუმბაძის პერსონაჟები, რომლებსაც მათი ამა თუ იმ პირთან იდენტიფიცირებამდე მსგავსების გამო, საკმაოზე მე-

3 დუმბაძე ნ., იუმორისტული მოთხრობები, თბ., 2013, გვ. 5.

4 დუმბაძე ნ., იუმორისტული მოთხრობები, თბ., 2013, გვ. 143.

ტად ახლავთ რეალურ ადამიანებთან ასოცირების განცდა, ხშირად ელემენტარულ პირობებს არიან მოკლებულნი, რაც ზემოთ დამონმებულ ციტატებშიც იკვეთება და კიდევ სხვა პასაჟებშიც, მაგალითად გავიხსენოთ შვილის დაბადების მომლოდინე კაცის დიალოგი „ბებია ქალთან“: „ – მაპატიეთ, ქალბატონო, ფული არ მაქვს და ჩემზე იყოს...“

– ფული თუ არა გაქვს, ძმაო, რას აჩენ ამ ბაღებს, არ გეცოდება? ხომ არ გგონია, მე გირჩენ შვილებს“.⁵ აქაც, მთავარი ის კი არ არის რომ პერსონაჟს ფული ამ კონკრეტულ მომენტში არ აქვს, მთავარი ის არის, რომ „ფულის ქონა“ და შესაბამისად „შვილების გაჩენის უფლება“, მხოლოდ მაშინ არის ხელმისაწვდომი თუ „უნიათო“ და „სისტემას ჩამორჩენილი“ არ ხარ, ამიტომ ბებიაქალის აზრით, ადამიანმა „ხელი უნდა გაანძროს“, ანუ ქონების მითვისების არსებული გზები გამოიყენოს, სხვა შემთხვევაში შვილებს ვერავინ ურჩენს. თავად „ბებია ქალიც“ ხომ, როგორც მაშინდელ ნყოფას შეესაბამება ე. ნ. „ლევად“ ითხოვს იმ ფულს, რომელიც პერსონაჟს არ აქვს და არ აქვს სწორედ იმიტომ, რომ საკუთარი „ლევი“ გზა ვერ უპოვნია, შესაბამისად, გამოიყურება კიდევ საბჭოთა საზოგადოებას ჩამორჩენილადაც. სიღარიბე საყოველთაო პრობლემა არ არის, ვინც იცის ხერხი სიღარიბიდან თავის დაღწევისა, ვინც თავის წილ მარცხენა საშუალებას იყენებს, შვილების გაჩენის ფულიც აქვს და ვოლგის თუ ჯინსების საყიდელიც; მექრთამეობა და ფალსიფიკაცია, ლოზუნგების არ იყოს, ფესვგადგმულია საზოგადოებაში და ამას „ომარ ხაიამის“ ნიღაბიდან შემოაპარებს ავტორი:

„ღვინის მუშტარი მსაყვედურობს ისევ და ისევ:

„ომარ ხაიამ, ჯამს შაქრიან ღვინით ნუ მივსებ!“

ვირო, ჭაჭაზე შაქარწყალი თუ არ დავასხი,

მა, სუფთა ღვინით შენ მიყიდი „ვოლგას“ და ჯინსებს?!“⁶

ამიტომ გიგილოს მამაც იძულებულია ფეხი აუწყოს სისტემას, მიჰყვეს დინებას და შედგეს ჭეშმარიტ საბჭოელად: „მეორე დღესვე გავსინჯე ჩემი სანყოფი, ზედმეტ შაქარსა და კარაქს რეალიზაცია ვუყავი“.⁷

შაქარწყლის ღვინოდ გასაღებისა და სანყოფებში მოპარული შაქარ-კარაქის არ იყოს, უამრავ საქმეს ემჩნევა მოუნესრიგებლობის და ფალსიფიკაციის შედეგი, რასაც ასევე არაერთი პასაჟიდან გვაჩვენებს მწერალი:

„სამარის გარდა არ სწორდება არაფრით კუზი!

ეგ ყველამ ვიცით, მაგრამ, ღმერთო, იქნებ შენ მითხრა,

ამ პრობკით დაცულ ლიმონათში საიდან – ბუზი?!“⁸

ვფიქრობთ, ეს შინაარსიც მხოლოდ ლიმონათში მომწყვედელი ბუზის პრობლემას არ შეეხება, რამდენადაც საბჭოთა ამბიციური და ილუზორულად მონესრიგებული სახელმწიფო საკმაოდ კომიკურად გამოიყურება ამ იუმორისტულ სტრიქონებში. განზოგადების უფლებას და შესაძლებლობას კი სწორედ ის გვაძლევს, რომ მოთხრობებში სხვაგანაც არაერთგზის არის გამომზეურებული რეჟიმისთვის დამახასიათებელი ბიუროკრატიული სიმახინჯე, რომელიც ამა თუ იმ პროფესიული სისტემიდან საყოფაცხოვრებო სიტუაციებსა და ზოგადად საზო-

5 დუმბაძე ნ., იუმორისტული მოთხრობები, თბ., 2013, გვ. 8.

6 დუმბაძე ნ., იუმორისტული მოთხრობები, თბ., 2013, გვ. 73.

7 დუმბაძე ნ., იუმორისტული მოთხრობები, თბ., 2013, გვ. 28.

8 დუმბაძე ნ., იუმორისტული მოთხრობები, თბ., 2013, გვ. 74.

გადოებრივ კომუნიკაციაშიც გადმოზრდილა და აღბეჭდილა.

მაგალითად, გავისხენოთ გიგილოს ძეგლის სუფრის აღწერა, რომლის კომიკურობაც დიდად სცდება იუმორის ფარგლებს და საბჭოთა რეჟიმის პირმშო ადამიანთა კომიკურ სახეებს გვიხატავს. სტუმარ-მასპინძელიც და სუფრის წინამძღოლიც (რომელიც ტრადიციული თამადის სოციალისტური ტრანსფორმაციის უბადლო ნიმუშია), ერთიანობაში, განზოგადებულად წარმოადგენენ კომუნისტურ საზოგადოების მიკრო მოდელს, რომელსაც თავისი სახე-სიმბოლოებიც ჰყავს და მოთხრობაში წარმოდგენილი პერსონაჟები, სავარაუდოდ (ამის მინიმუმებიც საკმარისზე მეტია), პროტაგონისტები არიან კონკრეტული მოხელეებისა და პიროვნებებისა. თამადის ნათქვამი დაზეპირებული სადღეგრძელოები პოლიტიკურ აგიტაციას უფრო წააგავს, ვიდრე ტრადიციულ სადღეგრძელოებს, ხოლო თამადის მოადგილის (რომელიც ამასთანავე თამადის სამსახურებრივი მოადგილაცაა) მიერ წარმოთქმული სადღეგრძელო თამადის პიროვნების და საქმიანობის შექება უფრო მეტადაა, ვიდრე ახალშობილის დალოცვა. ცხადია, რომ, აქ ავტორი პირფერობას, არაგულწრფელობას, სარგებლის მიღების პერსპექტივაზე აგებულ ურთიერთობებს აკრიტიკებს, რაც სამწუხაროდ, მეტნაკლებად, ყველა დროისთვის არის დამახასიათებელი, თუმცა კომუნისტური საზოგადოებაში ეს ყოველივე პიროვნულ თვისებად კი არა, სისტემურ მანკიერებად გვევლინება, რამდენადაც, ნებისმიერი თავისუფალი აზრი, რაც სისტემისადმი პირმოთნეობის გარეშე შეიძლება გამოხატოს ადამიანმა, დამლუპველი შეიძლება აღმოჩნდეს პირდაპირი გაგებით. ნოდარ დუმბაძე, არსებული პირობების მიუხედავად, ახერხებს, ნათელი და ობიექტური წარმოდგენა შეგვიქმნას იმ პერიოდის საზოგადოების ცნობიერებაზე, მიზნებსა და მისწრაფებებზე, რომლებიც ძირითადად სისტემის გავლენათა შედეგებთან ასოცირდება. მწერალი ერთ ოჯახში, ერთი მაგიდის ირგვლივ კრებს მრავალფეროვან საზოგადოებას და მათ სახეებში აერთიანებს სხვა და სხვა სოციალური ჯგუფის ტიპურ სურათებს.

თამადის მოადგილის სადღეგრძელოს მიხედვით, ახალშობილი არის ის პიროვნება, რომელმაც თავი მოუყარა ყველა მათგანს „ერთ მძღავრ, მონოლითურ კოლექტივად. დიდ ინტერესს იწვევს მისი (ახალშობილის) ასეთი მათრგანიზებული უნარი გაჩენის პირველი დღიდან“.⁹ ამდაგვარი ტექსტები, პარტიული სხდომის ოქმებიდან და მოხსენებებიდან ცხოვრებაში გადმოღებული ფრაზებია. ხოლო მწერალი გამოკვეთს საფრთხეს, რომ – საქართველოში, შესაძლოა პარტიულობამ და ბიუროკრატიათა თანდათან შთანთქმას სუფრაც, სადღეგრძელოც, ადათიც და ტრადიციაც.

ამავე სუფრის თანამეინახე „სახელოვანი პოეტი“ ჭიჭიკო კვერნაძეც პროლეტარული მწერლობის კრებითი სახეა, იგი მწერალთა და ხელოვანთა იმ კატეგორიას განაზოგადებს, რომელთაც ყვარყვარიზმი შეჰყრიათ და „ყველა პარტია ეკუთვნით“, შემოქმედებაში კი მხოლოდ ხოტბის ობიექტებს ცვლიან პერიოდულად. შესაბამისად მის მიერ ერთი ლექსის ყოველ ახალშობილზე მორგება ისე, თითქოს ინდივიდუალურ მიძღვნას კითხულობს, ბევრად უფრო შინაარსობრივად ტევად მინიმუმად გვესახება ვიდრე სიუჟეტიდან ჩანს ერთი შეხედვით.

საზოგადოებაში გავრცელებულ სისტემურ მანკიერებას ამხელს პერსო-

9 დუმბაძე ნ., იუმორისტული მოთხრობები, თბ., 2013, გვ. 10.

ნაჟის ეს ფრაზაც: „ვზივარ ჩემს სანერ მაგიდასთან და ანონიმკას ვწერ საკუთარ თავზე ზემდგომ ორგანოებს“.¹⁰ ერთია რომ, ამას ძალზედ სხვათა შორის და თითქოს კანონზომიერად ათქმევინებს პერსონაჟს მწერალი, რითაც ხაზი ესმება, რომ ეს განსაკუთრებული ვითარება კი არა, ჩვეულებრივი მოვლენაა. მოთხრობაში „მესამე საუბარი ღმერთთან“, ავტორი მსუბუქი იუმორით ცდილობს ჩამოაყალიბოს ღირსეული მწერლის სახე, სადაც ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტი ასე გამოიყურება: „არ უნდა წერდე ანონიმურ წერილებს“,¹¹ რაც კვლავ ამ მანკიერების დამახასიათებლობაზე მიუთითებს, თუმცა არის თუ არა დამახასიათებლობა სისტემური პრობლემა ამასთანავე? ამის გასარკვევად, აუცილებელია გავითვალისწინოთ ქვეტექსტი, რომელიც მწერალს შესანიშნავად გამოუყენებია, იგი კომიკურ ვითარებაში აყენებს ე. წ. „ანონიმკის დამწერს“, მაგრამ თავისთავადია, რომ უნდა ვიგულისხმოთ ანონიმკის მიმღები მხარეც, რომელიც ამდაგვარ გზავნილებზე დგას და შესაბამისად, გზას უხსნის ურთიერთობებისა და გადაწყვეტილებების მიღების ასეთი ფორმის დამკვიდრებას. ამიტომ, ამ პასაჟში პერსონაჟი არის იარაღი „ზემდგომი ორგანოების“ რეალური სახის გამოსააშკარავებლად. „ანონიმკებზე“ და დასმენებზე დაყრდნობილი სისტემა დაავადებულია და ეს დაავადება იმდენად არის ფესვგადგმული, რომ არავინ არის დაზღვეული, იერარქიის ზედა საფეხურებზეც კი. მოთხრობების ციკლში „საუბარი ღმერთთან“ პერსონაჟი ღმერთი, რომელიც ზოგჯერ, აშკარად, კონკრეტული უმაღლესი ჩინოვნიკის ალევორიულ სახედ გამოიყურება, შიშს გამოხატავს დასმენისადმი და ეს ხუმრობაც დასმენების მასიურობის მიმანიშნებელი სატირული მონაკვეთია: „ – სსუუ! – ამაფარა პირზე ხელი ღმერთმა და შეშინებულმა კარისკენ გაიხედა, – ახლა ანგელოზს მოდებული აქვს ყური კარზე, თუ ძმა ხარ, სხვა რამეზე მელაპარაკე“.¹²

როგორც აღვნიშნეთ, სინამდვილის მხატვრული ასახვის ფორმად ავტორი იუმორს და ირონიას საზრიანად და დიდი ოსტატობით იყენებს. ირონიის ის ფორმა, რომელსაც ნოდარ დუმბაძესთან ვხვდებით, ძალიან ჰგავს „სოკრატესეულ ირონიას“, რაც მოჩვენებით გულუბრყვილობას გულისხმობს. ფილოსოფიური სკეპტიციზმი ან „სოკრატესეული ირონია“, მოჩვენებითი გულუბრყვილობაა მოწინააღმდეგის პოზიციის სისუსტის გამოსავლენად. „სოკრატესეული ირონია“ კამათის ელეგანტური, მიუკერძოებელი და თავაზიანი ხერხია, რომლითაც დოგმატური დებატების წარმართვა ბალანსის დარღვევისა და კომპრომისის გარეშე ხერხდება. სწორედ მსგავსი დებატებითა და ირონიით უპირისპირდება ნოდარ დუმბაძე გაუკუღმართებულ ჩვეულებებსა თუ დამკვიდრებულ უზნეობას, ამხელს და სამარცხვინო ძელზე განათავსებს მოხდენილი იუმორის მოშველიებით.

დასმენებთან ერთად, ამ მონოლითური კომუნისტური საზოგადოების მკვეთრი თვისება სიყალბეცაა, იმის კეთება და იმის მტკიცება რაც არ სწამს, არ სჯერა მაგრამ სჭირდება: „ – თუ ძმა ხარ, თავი დამანებე! მასე იცით თქვენ: ჯერ მოთხოვთ, მერე გამოდიხართ ტრიბუნაზე, გადმოაგდებთ ცხრა მეტრ ენას და დე-

10 დუმბაძე ნ., იუმორისტული მოთხრობები, თბ., 2013, გვ. 22.

11 დუმბაძე ნ., იუმორისტული მოთხრობები, თბ., 2013, გვ. 22.

12 დუმბაძე ნ., იუმორისტული მოთხრობები, თბ., 2013, გვ. 46.

დ-მამის სულს მიტრიალებთ“,¹³ – ეუბნება ღმერთი ჯვებზე დუმბავას, რომელიც ასე პასუხობს: „ – რას ბრძანებთ, ბატონო! თქვენ ისე გვიყვარხართ ყველას, მე პირადად პარტიული ვარ და გუშინნინ მეექვსე ბავშვი მოვნათლე დიდების ეკლესიაში“;¹⁴ რითაც მწერალი მიანიშნებს პარტიულთა კომიკურ მდგომარეობაზე, რომლებსაც არც ღმერთის სწამთ ბოლომდე და არც პარტიის, ჭეშმარიტების გზის მგზავრობას იჩემებენ და წარმოდგენა არ აქვთ, სად მიდის გზა, რომელსაც მიუყვებიან, ამიტომ ღმერთთანაც ტყუიან და საკუთარ თავთანაც.

მოთხრობებში დიდი ადგილი აქვს დათმობილი სისტემურ მხილებებს მწერლობისა და მეცნიერების მაგალითზე, ანუ ნოდარ დუმბაძე პრობლემებს წარმოადგენს ეგრეთწოდებული ინტელიგენციის მაგალითზე, რაც ნიშანდობლივია, რამდენადაც ინტელიგენციაა სწორედ ერთგვარი ლოკომოტივი და ტონის მიმცემი მთელი საზოგადოებისათვის და შესაბამისად, მათში განვრცობილი სისტემური მანკიერებანი, უფრო მეტად გააზრებადია განზოგადოებულად სხვა სოციალურ ჯგუფებთან მიმართებითაც.

განსაკუთრებული სიმწვავეთ არის გაშარჟებული საბჭოური პერიოდის ლიტერატურაში დამკვიდრებული ტრაფარეტულობა, რომელიც ძირითადად, სოცრეალიზმის ლიტერატურულ მიმდინარეობად იქნა ფორმირებული. მწერალი აჩვენებს, რაოდენ სასაცილოდ გამოიყურება სიყალბე და ჩარჩოებით შემოსაზღვრული თემატიკა ლიტერატურაში და პირდაპირი გაგებით ილაშქრებს აღნიშნულის წინააღმდეგ. მოთხრობაში „ლიტერატურული ძიებანი“, ნოდარ დუმბაძე ირონიულად დაყოფს მის თანამედროვე პოეზიის მიმდინარეობებს, თუმცა ამ დაყოფაში რომ ირონიაა და არა მხოლოდ იუმორი, ვფიქრობთ დიდი დაკვირვება არც არის საჭირო: „ 1. სამრეწველო პოეზია: ქვედარგები: ა) მძიმე ინდუსტრია; ბ) მსუბუქი მრეწველობა. მოვიყვანოთ მაგალითი მძიმე ინდუსტრიიდან:

„მარტენი,
ბოლტები,
ვინტები,
ქანჩები,
მე ამ ცვლის შემდეგაც
დაზგასთან დავრჩები...
და რომ მომცემენ მე უფლება,
არ ავიღებ შვებულებას“.

საერთოდ, სამრეწველო პოეზია, როგორც შედარებით ახალი დარგი, ჯერ მთლიანად არ არის ათვისებული, ისე კი დიდ პერსპექტივებს იძლევა“.¹⁵ მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი გასაგები და აშკარა ცინიზმით არის დაწერილი, ლიტერატურაში შემოსული კომუნიზმის კიდევ არაერთი ნახნავია ნაჩვენები და გაკრიტიკებული იუმორისტულ მოთხრობებში. თუ წინა ციტატა პოეზიაში კოლმეურნეობისა და ქარხნების შემოტანას დასცინის, სხვა მოთხრობასა და სხვა პასაჟებში პრობლემის კიდევ სხვა მხარეს აკრიტიკებს მწერალი, მაგალითად, პროზაში დამკვიდრებული სოციალიზმი, სადაც კომუნისტი მთავარი პერსონაჟი მუდამ სამართლიანი, მუდამ პატიოსანი, დაულალავად მშრომელი და უცი-

13 დუმბაძე ნ., იუმორისტული მოთხრობები, თბ., 2013, გვ. 42.

14 დუმბაძე ნ., იუმორისტული მოთხრობები, თბ., 2013, გვ. 45.

15 დუმბაძე ნ., იუმორისტული მოთხრობები, თბ., 2013, გვ. 77.

ლობლად გამარჯვებულია, ხოლო სიუჟეტი გარდაუვალად საბჭოთა სისტემის იდეალურობის მაჩვენებელი, რის გამოც ყველა მოთხრობა (როგორც მწერალი აღნიშნავს) „საქორწილოდ გამოცხვარი უმარლი ხაჭაპურივით“ ერთმანეთს დამგვანებია. „რაციონალური წინადადება მაქვს: დაინეროს ერთი დიდი ანონიმური რეცენზია ყველა ასეთ ნაწარმოებზე და მერე ავტორებმა იტყვიან თავი, ვის რომანს ეხება იგი. არადა, არც ის ვარგა, რომ საერთოდ არ ვწეროთ რეცენზიები“,¹⁶ – საკითხთან დაკავშირებით ასე ჩივის ნოდარ დუმბაძის კრიტიკოსი პერსონაჟი მოთხრობაში „ლიტერატურული ძიებანი (რეცენზია)“.

ამავე მოთხრობის სხვა მონაკვეთებშიც საინტერესოდ არის გაშლილი სოციალისტური რეალიზმის ჟანრის საკითხი, ქუჩაში შემთხვევით შეხვედრილი მწერალი ეუბნება კრიტიკოსს „– როგორ, არ წაგიკითხავს ჩემი რომანი? სირცხვილი შენი, არ გეკადრება კრიტიკოსს!“¹⁷ რაზეც კრიტიკოსის (რომელსაც თვალითაც არ უნახავს ამ მწერლის რომანი) პასუხი ძალზედ ნიშანდობლივია და ინფორმატიული ჩვენი კვლევის მიმართულებით.

„– როგორ არ წამიკითხავს, რეცენზიაც თითქმის მზადა მაქვს, მაგრამ ერთ დეტალში არ გეთანხმები, აი, ის კოლმეურნეობის თავმჯდომარე რომ არის, რა ჰქვია?“

– მიხაკო!

... – იმაზე რაღას იტყვი, სანყობის გამგე და ბუღალტერი რომ რაღაცა....

– რა გინდა, ძმაო, ბოლოს ხომ არ შერჩათ მაინც, ხომ გადასცა პროკურატურას მიხაკომ.

... – ის კონფლიქტი მაინც საეჭვოდ მიმაჩნია, ფერმაში რომ ხდება!

– რომელი? ფერმის გამგემ რომ რევიზორს გოჭი არ დაუკლა? ...მართალია, ეს ადგილი ცოტა დამაჯერებლობას მოკლებულია“.¹⁸

დავინწყით იქიდან, რომ, მოთხრობა აშკარას ხდის, როგორ მოუცავს სრულიად ბანალურ ტექსტებს ეპოქის პროზა, საბჭოთა რეჟიმი ფესვგამდგარია ყველგან, ცხოვრებაში, ბიუროკრატიაში, ხელოვნებაში, მწერლობაში და უშუალოდ ტექსტებშიც რეჟიმი დამყარებულია; ამასთან, ტექსტის მიხედვით, დამაჯერებლობას მოკლებულია „ფერმის გამგემ რომ რევიზორს გოჭი არ დაუკლა“, რაც მექრთამეობის დამახასიათებლობას ააშკარავებს, თუმცა მექრთამეობას იმდენად დიდი დოზით ვხვდებით ამ იუმორისტულ ტექსტებში, რომ ამაზე ქვემოთ უფრო კომპლექსურად განვავრცობთ მსჯელობას.

იგივე პათოსს გამოხატავს მორიგი რომანის დახასიათება სხვა პასაჟში („მეცნიერება და ტექნიკა – ერთი საინტერესო წიგნის გარშემო“): „მოქმედება გურიის სოციალისტური საკოლმეურნეო სოფლის ფონზე იშლება, ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი, დადებითი გმირი აბიათარი, ბრუნდება რა სამამულო ომიდან, სათავეში უდგება ჩამორჩენილ კოლმეურნეობას.

აბიათარი თითქოს განწირულია, მაგრამ იგი შრომაში პოვებს შვებას. „...ბოლოს აბიათარი სოციალისტური შრომის გმირი გახდება. გამოასწორებს ასევე ჯარიდან დაბრუნებულ, გალოთებულ ჭიჭიკოს და სოფელს დაუბრუნებს გარდამა-

16 დუმბაძე ნ., იუმორისტული მოთხრობები, თბ., 2013, გვ. 77.

17 დუმბაძე ნ., იუმორისტული მოთხრობები, თბ., 2013, გვ. 83-84.

18 დუმბაძე ნ., იუმორისტული მოთხრობები, თბ., 2013, გვ. 85.

ვალ დროშას“.¹⁹ „რომანის“ შინაარსის ამდაგვარი პათოსით თხრობა, რაც აშკარა დაცინვის იერს ატარებს, სოციალისტური რეალიზმის კრიტიკაც არის და იმ მოცემულობისა ც არსებული რეალობის გაიდვალებას რომ გულისხმობს, სიყალბისა და სიცრუის ტირაჟირების ხარჯზე. კიდევ ერთი საინტერესო პასაჟი გვინდა გავიხსენოთ, კრიტიკოსი აძლევს შენიშვნას ავტორს „ერთ ადგილას წერია: „თითო სიმინდის ოთხი ტარო ებაო“, აჯობებდა „შვიდი ტარო“.²⁰ ეს თითქოს უწყინარი შენიშვნა წარმოადგენს ილუზორული რეალობის შექმნის მექანიზმების მხილებას, რეჟიმის განუხრელი ნებაა, ითქვას და დაიხატოს რაც შეიძლება უზრუნველი და თუნდაც წარმოუდგენლად გაიდვალებული რეალობა, ამ დამოკიდებულების მხილება კი, პრაქტიკულად მინიშნებაა საზოგადოებისთვის, რომ ისინი გაზვიადებულ წარმოდგენებს დაუქვემდებარეს, ხოლო რასაც უყვებიან, უხატავენ და აჯერებენ სიყალბეს; ანუ თუ განზოგადების გაბედულებაც ეყოფათ, მათ შეუძლიათ გაიზარონ, რომ სისტემა მათ ატყუებს და მოჩვენებით ყოფაში აცხოვრებს, ხოლო, განზოგადება, რომ გადაჭარბებული აღქმის შედეგი არ არის, ამაზე მეტყველებს მრავალი სარკასტული კომპონენტის არსებობა მთელ რიგ მონაკვეთებში და ყოველ მოთხრობაში არაერთი. მნიშვნელოვანია დავაკვირდეთ, რომ მწერლისა და კრიტიკოსის ერთ, საერთო, დამკვიდრებულ მოცემულობაში განხილვით ნოდარ დუმბაძე სწორედ განზოგადების აუცილებლობაზე მიუთითებს. სიმბოლური გაზარებით მწერლის, მკითხველისა და კრიტიკოსის შეკრული წრედი სწორედ მასშტაბურობის ჩვენებაა, რამდენადაც, სიუჟეტში თავმოყრილია დამკვეთიც, შემსრულებელიც და პროდუქტის მიმღებიც, ამდენად, პროცესი ყოველსმომცველად არის წარმოდგენილი, რომელიც მთელს საზოგადოებას მოიცავს და დუმბაძისეულ მხილებას სასიცოცხლოდ საჭიროებს, რათა ადამიანები რამენაირად დაუზრუნდნენ რეალობას და იმ მექანიზმებზე რობოტებს არ დაემსგავსონ, რომლებიც ყოველგვარი ანალიზის გარეშე იღებენ სისტემის შეთავაზებას და თანდათან რჩებიან უაღრესად შეზღუდულ საზოგადოებრივ საზღვრებში, სადაც ყველა ადამიანის გზა ერთმანეთს ჰგავს და ნებისმიერ საკითხზე წარმოდგენაც იდენტურია. მას შემდეგ რაც მკითხველი აღმოაჩენს, რომ რეცენზია, რომელსაც იგი ეცნობოდა და რომელსაც მხოლოდღა რომელიმე ცნობილი კრიტიკოსის გვარის მიწერა ესაჭიროება, რეალურად, არა კრიტიკოსი ადამიანის, არამედ კრიტიკოსი მანქანის მიერ არის დანერილი, რაც ყოფის შაბლონურობაზე ხაზგასმის გარდა კვლავ სიყალბესა და სიცრუის ტირაჟირებს უსვამს ხაზს. ამ საფრთხეებს აჯამებს ნოდარ დუმბაძის საფინალო რეპლიკაც: „კიბერნეტიკის ინსტიტუტი უახლოეს დროში აპირებს კრიტიკოსი მანქანის სერიულ გამოშვებას, რაც უთუოდ ხელს შეუწყობს შრომის ნაყოფიერების ზრდასა და კრიტიკული შრომის ინტენსიურობას“.²¹ ეს რეპლიკაც საკმაოდ გასაგები მინიშნებაა შაბლონურობის გამუდმებული დანერგვის მავნე შედეგებზე, რაც საბჭოთა ადამიანის რობოტიზაციისკენ მიმართული გზაა მწერლის პათოსის მიხედვით. როგორც ვიცით, კიბერნეტიკა არის „მეცნიერება მართვის პროცესების ზოგად კანონზომიერებათა შესახებ ორგანიზებულ სისტემებში (მანქანებში, ცოცხალ ორგანიზმებსა და საზოგადოებაში“.²² იმდე-

19 დუმბაძე ნ., იუმორისტული მოთხრობები, თბ., 2013, გვ. 110.

20 დუმბაძე ნ., იუმორისტული მოთხრობები, თბ., 2013, გვ. 111.

21 დუმბაძე ნ., იუმორისტული მოთხრობები, თბ., 2013, გვ. 113.

22 <https://www.ganmarteba.ge/word/%E1%83%99%E1%83%98%E1%83%91>

ნად, რამდენადაც ცენზურის ერთადერთი მიზანი მხოლოდ იმაში მდგომარეობდა – დაედგინა, როგორ პასუხობდა ესა თუ ის ნაწარმოები პარტიულ პრინციპებს, ნოდარ დუმბაძემ ამ მოთხრობით თავად უვარგისი კრიტიკა გააკრიტიკა და საინტერესოდ დაგვიხატა საბჭოთა კრიტიკოსის (ცენზორის) კრებსითი სახე: „წელში გამოყვანილი, კიდურებიანი ყუთი, რომელსაც ზემოდან თივით, ან ჭინჭით გატენილი თავის მაგვარი ბურთი ადევს. მანქანას ორი ჭრილი აქვს: ერთი ამ თავის კოტორზე, ხოლო მეორე იქ, სადაც ჩვეულებრივ ადამიანებს პირი აქვთ. პირველ ჭრილში ვაგდებთ ფულს, ჰონორარის სახით, ხოლო მეორეში – ნაწარმოებს, ვაჭერთ თითს ღილაკს, რომელიც მანქანას დაახლოებით „მაზოლის“ ადგილას აქვს, და მანქანა იწყებს კრიტიკული წერილის წერას“.²³ კრიტიკოსთა ის ნაწილი, რომელთა საქმიანობაც გარკვეულ პირთა სურვილების და დაკვეთების შესრულებას ემსახურება, რომლებიც ჰონორარის გამო არაფერს თაკილობენ უფრო მწვავედ როგორ უნდა მხილებულიყო – ჩვენთვის ყოვლად წარმოუდგენელია. ისიც ბუნებრივია, რომ აქაც აღნიშნული რეალობის მიღმა კიდევ მრავალ პროცესს გულისხმობს მწერალი, რადგან მკითხველმა ზუსტად იცის, რატომ არის კრიტიკა მიკერძოებული, ვისგან მოდის ეს ზოგადი ტენდენცია და რა დგას ამ ყველაფრის უკან. ყოველივე კი მეტყველებს იმ პერიოდში ქართულ სინამდვილეში არსებულ მთელ სისტემაზე და ამ სისტემათა წიაღში არსებულ მრავალ პრობლემაზე.

ზოგადად, მოთხრობათა ეს ციკლი წარმოადგენს, ყოველგვარ მხატვრულ ფანტაზიას მოკლებულ, კომუნისტური პროზის მწვავე კრიტიკას, სადაც, მხოლოდ საბჭოური ყოფაა ასახული, ამ ყოფის განუყოფელი მოქმედი პირებით: საწყობის გამგე, ბუღალტერი, თავმჯდომარე, კოლმეურნეობა, ფერმა და მარტოოდენ ამ რეალობის ირგვლივ განვითარებული მოვლენები. შეიძლება ითქვას რომ, ამ ციკლში, მწერლობის შესახებ გამოთქმული არაერთი მოსაზრება და მთავარი სათქმელი, „მოთვინიერებული მწერლობის“ სახის ჩვენებაა, აკაკი ბაქრაძის ნაშრომის არ იყოს: „ლიტერატურის პარტიულობის პრინციპმა გააღატაკა მწერლობა საერთოდ და მწერალი კონკრეტულად. უნაყოფო გახადა მისი შრომა... როცა მწერლობა ადამიანის ყოველდღიური პრაქტიკული საქმიანობით ფასდება და სხვა, უფრო მაღალი კრიტერიუმში დაკარგული გვაქვს, როცა ადამიანი არ ფიქრობს სიცოცხლის, სიკვდილის, გონიერების, უგუნურების, პატიოსნების, უსინდისობის, სილამაზის, სიგონჯის და სხვა ამგვარ პრობლემაზე და მისი რუასი დაკავებულია მხოლოდ დროებითი და წარმავალი საკითხებით, იგი უზნეობის ქაობში ეფლობა“.²⁴ სწორედ ეს შრეებია გამოვლენილი ნოდარ დუმბაძის მოთხრობათა ამ ციკლშიც. გონებამახვილური სიუჟეტური განვითარებისა და პარალელური სარკაზმის ფონზე, ავტორი გვიჩვენებს იმ წიგნების არარაობას, რომლებიც ან მხოლოდ ჰონორარისთვის არიან შექმნილი, ან სხვა, ანგარებითი თუ მათმებლური მიზნებისთვის და საერთო არაფერი გააჩნიათ ხელოვნებასა და ლიტერატურასთან. მხილებულია პროლეტარიატის წარმომადგენელი მწერლის ზოგადი სახე, რომელიც განსაზღვრულ ჩარჩოში უნდა ჩატეულიყო და ეწერა მხოლოდ ის და ისე, რაც და როგორც რეჟიმს ენება.

ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ სწორედ თავისუფლებისა და განვითარების ფანჯრები იქოლებოდა. „საბჭოთა საქართველოში“ მხოლოდ მწერლობა არ

23 დუმბაძე ნ., მოთხრობები, წიგნი მესამე, თბ., 1990, გვ. 410.

24 ბაქრაძე ა., მწერლობის მოთვინიერება, თბ., 1990, გვ. 67-69.

ინვენეს ამ სასჯელს, აქ ჩართულია ხელოვნებაც და მეცნიერებაც, რაც ასევე სულაც არ არის ჩვენი ინტერპრეტაციის უნარის ამარა დატოვებული ხედვა, ეს განზოგადებაც ამავე მოთხრობათა ციკლში (მაგ. „ლიტერატურული ძიებანი (კომედია)“ იკითხება: „ამასობაში მსახიობები გამოათრევენ რეჟისორს და უკრავენ ტაშს. მეკარე გაფრთხილებულია – გასასვლელი კარი არ გააღოს. ნათესავები გვესვრიან ყვავილებს და ამშვიდებენ მაყურებლებს, რომლებიც გაიძახიან: – რა გააჭირეთ საქმე, გააღეთ კარი და გაგვიშვით! – ბოლოს უნდა იყვეს ბანკეტი და შეისვას ხელოვნების სადღეგრძელო“.²⁵ იუმორისტულ მოთხრობაში აღწერილია ორმოქმედებიანი სპექტაკლის დასკვნითი ნაწილი, რომელიც ძალდაუტანებლად ინვეეს ასოცირებას კომუნისტური პარტიის ყრილობებთან, სადაც ტაშის მომენტშიც კი წინასწარ არის დაგეგმილი, სწორედ ეს პარტიული „მექანიზმები“ და სრულიად გასაბჭოებული შინაარსია შემოსული ხელოვნებაშიც, რომელსაც, ამ შემთხვევაში, თეატრის მაგალითზე აღწერს მწერალი და, ამ კომიკური სიყალბის ფონზე, ბუნებრივია, ძალზედ შეუფერებელია ხელოვნების სადღეგრძელო, რომელიც, კვლავ ილუზორულობის ხაზგასმად გამოიყურება და უკიდურესად ცინიკურად ჟღერს სიტყვისა და რეალობის ამ მასშტაბის აცდენილობის ფონზე.

მწერლობასთან, მეცნიერებასთან და ხელოვნებასთან ერთად სარკაზმს ვერ გადაურჩა საბჭოთა საგანმანათლებლო სისტემაც. აბიტურიენტი გიგილოს ოჯახში შედგა კრება და განაწილდა ოჯახის წევრთა ფუნქციები: „დედას უნდა მოეძებნა პროტექტორი, ბებია-ბაბუსა დაევაღათ ამ საქმის სოფლის მეურნეობის, მემინდვრეობის და მეცხოველეობის ჭარბი პროდუქტებით უზრუნველყოფა“, ხუმრობითა და იუმორით მწერალი რეალურად, შიშველ სააშკარაოზე გამოიტანს იმ პერიოდის განათლების სისტემაში არსებულ კორუფციას, მექრთამეობას და ნეპოტიზმს. ამ მხრივ, საინტერესოა სიუჟეტი რომელიც გიგილოს გამოცდაზე ყოფნას აღწერს:

„ – გვადი ბიგვაზე რას იტყვით ?

– საუცხოო კაცია, მამაჩემის მეგობარია, სწორედ მაგას სთხოვა მამამ, ჩემს შესახებ ეთქვა თქვენთვის – თქვა გიგილომ და თავი მორცხვად დახარა. ყოველთვის ასეა, პროტექტორის ხსენება რომ დაგჭირდება“.²⁶ ამ რეალობის აღწერა ერთგვარად სარკის ფუნქციასაც ითავსებს, ავტორი, გიგილოს მაგალითზე, ისევ ზოგად პრობლემაზე მიანიშნებს, რითაც ცდილობს ყურადღება შეაჩეროს ჩვენს მიერ ზემოთ უკვე დასახელებულ საკითხებზე და მკითხველს მისცეს საშუალება თავად განსაჯოს ავ-კარგი, თვითონ გააკეთოს არჩევანი კარგსა და ცუდს შორის. ამ ნაწყვეტში, ცალკე უნდა იქნას ხაზგასმული ავტორისეული რეპლიკა: „ყოველთვის ასეა, პროტექტორის ხსენება რომ დაგჭირდება“ – ამგვარად, ავტორი პრობლემის სიხშირესა და დამახასიათებლობაზე აქცენტირებს, სიუჟეტში აღწერილი მაგალითის ჩვენებით კი განაზოგადებს და ნათელს ჰფენს პრობლემის გავრცელების მასშტაბებსაც და პირად, ცინიკურ დამოკიდებულებასაც ამ რეალობისადმი.

იუმორისტულ მოთხრობათაგან, იმავე თემატური ნიშნით ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მოთხრობაა „თუ ასეა, მეც მინდა დისერტაცია“, რომელიც, როგორც გარკვეულწილად სათაურიდანვე ხდება საცნაური, განათლებასა და მეც-

25 დუმბაძე ნ., იუმორისტული მოთხრობები, თბ., 2013, გვ. 90.

26 დუმბაძე ნ., მოთხრობები, ნიგინი მესამე, თბ., 1990, გვ. 357.

ნიერებაში არსებული პრობლემების კრიტიკაა კიდევ ერთხელ. მოთხრობის მიხედვით, დისერტაციის დაცვისკენ, მეცნიერის ნოდებისკენ ლტოლვა ადამიანის უნარ-ჩვევებზე, მკვლევრის ალლოსა და ნიჭიერებაზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ ფულზე, სანაცნობო წრესა და „მარიფათზე“; ადამიანთა გარკვეულ წრეს, ყოველგვარი შრომის გარეშე, სხვადასხვა გზებით აქვთ მოპოვებული ესა თუ ის ხარისხი და ნოდება, რაც მეცნიერების ნაცვლად ფსევდო-მეცნიერებას უდებს საფუძველს: „სალამი ძვირფასო კუკური! გავიგე დისერტაცია დაგიცავს, გამიკვირდა, მაგრამ ძალიან გამიხარდა. მე ყოველთვის ვფიქრობდი, რომ შენგან კარგი მეცნიერი დადგებოდა, ბოროტი ხმები დადის, სიმამრმა დაუნერაო, მაგრამ მაგას როგორ დავიჯერებ. მე ხომ ვიცი, რომ იგი კრეტინია“.²⁷ არ არის რთული ამოსაკითხი, რომ პასაჟში კვლავ მკვეთრად არის გაკრიტიკებული საგანმანათლებლო სისტემა და მეცნიერებაში არსებული პრობლემები. ასახული სიუჟეტის, როგორც მოვლენის მიღმა, ბუნებრივად იგულისხმება უამრავი ნიუანსი, რომელზეც მკითხველი თავადვე ახერხებს ლოგიკური დასკვნის გაკეთებას. კუკურის მიერ დისერტაციის დაცვა რომ საეჭვოა, ეს გასაგებია, მაგრამ უბედურება ისაა, რომ მისი დიდი ხნის წინ გაპროფესორებული სიმამრიც არ არის დისერტაციის დამწერი „რადგან კრეტინია“... ასეთი „კრეტინები“ კი ახალგაზრდა თაობის აღმზრდელთა შორის აღმოჩნდებიან და რა როლს შეასრულებენ, რთული წარმოსადგენი არც ეს არის. მოთხრობაში ასახული გარემოებები და „მეცნიერთა“ შერჩეული სხვა და სხვა „საკვლევი თემატიკა“ ნათელ წარმოდგენას გვიქმნის იმ პერიოდში ქართული მეცნიერების წინაშე წამოჭრილ საბჭოურ გამოწვევებზე: „მოკითხვა გადაეცი შენს მეუღლეს ციკოს. გავიგე მასაც გადაუწყვეტია დისერტაციის დაცვა ხელოვნებათმცოდნეობის დარგში ფრიად აქტუალურ თემაზე - „საზღვარგარეთული ფილმები, როგორც მოდების დაუმრეტელი წყარო და მათი როლი მდებრობითი სქესის არსებათა მიმიკების, უესტიკულაციის, ტანთა მიმოხვრისა და ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბების საქმეში“. ამ შემთხვევაშიც, გარდა იმისა რომ სათაურის კომიკურობა ნიშანდობლივი და თვალშისაცემია, ასევე ნაჩვენებია ჩაკეტილი სივრცის პრობლემა, რადგან გარე-სამყარო და მსოფლიო ცივილიზაციის უახლესი მიღწევები მხოლოდ ფილმებიდან არის ხილვადი, რაც განვითარების თანამედროვე ეტაპებზე დიდი დისტანციით ჩამორჩენის საწინდარია.

ფსევდო მეცნიერთა მომრავლების პრობლემაზე, რაც დიდწილად გამოწვეულია სისტემის მიერ თავსმოხვეული რეალობიდან, იუმორისტული ციკლის მოთხრობებში გაჟღერებული „სადისერტაციო ნაშრომების“ აბსურდული სათაურებითაც მიუთითებს ავტორი. ნოდარ დუმბაძე გიგილოს მოთხრობათა ციკლშიც ეხება ხსენებულ თემას და პერსონაჟს ათქმევინებს: „ეჰ, ჩემო ძვირფასებო, რვა დღე როგორ არ არის არაფერი! მე ვიცი ხალხი, ვინც რვა დღეში დისერტაციას წერს და იცავს კიდევაც“.²⁸

განზოგადების მანიშნებელია ის სიმბოლიზმიც, რომელიც „ღმერთთან გასაუბრების“ მესამე ნაწილშია წარმოდგენილი, ჩვენი აზრით, პარალელი წიგნის ბაზარსა და საკოლმეურნეო ბაზარს შორის, სწორედ ამას ცხადყოფს, ამით მწერალი აკეთებს ერთის მხრივ საინტერესო შედარებას და მეორეს მხრივ მინიშ-

27 დუმბაძე ნ., მოთხრობები, წიგნი მესამე, 1990, გვ. 408.

28 დუმბაძე ნ., იუმორისტული მოთხრობები, თბ., 2013, გვ. 36.

ნებს, რომ, ასეთ პირობებში, ერთი წრის, ერთი კონკრეტული საზოგადოების მდგომარეობა დიდად არ განსხვავდება სხვა წრეებში არსებული ვითარებისგან.

ნოდარ დუმბაძის პირადი დამოკიდებულება „ვეფხისტყაოსნის“ მიმართ კარგად არის ნაჩვენები მის წერილში „ჩემი რუსთაველი“, სადაც ავტორი პოემის შესახებ წერს: „უკვდავი ნიგნი დღემდე მიდევს სასთუმალს, როგორც: ავადმყოფს – ნამალი, ხეიბარს – ყავარჯენი, მეომარს – იარაღი და მწერალს ქართული სიტყვის თვალმარგალიტით სავსე, აუნონელი საუნჯე და სალარო...“²⁹ ამ მასშტაბის საგანძურად მიიჩნევს მწერალი „ვეფხისტყაოსანს“ და გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ იგი, რადგან განათლების სისტემას, მწერლობას და მეცნიერებას შეეხება, გვერდს არ აუვლის „ვეფხისტყაოსნის“ კვლევის საკითხებსაც. ამდენად, ქმნის იუმორისტულ ფელეტონს – „ცოტა რამ „ვეფხისტყაოსნის“ გარშემო“, რომელშიც „მგზნებარე რუსთველოლოგ ჯვებე დუმბავას“ სახელით, წარმართავს „ვეფხისტყაოსნის“ მეტად თავისებურ განხილვას. ფელეტონის ერთ მონაკვეთში ჯვებე დუმბავა ყურადღებას ამახვილებს „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ აქცენტზე და ამ კუთხით „განიხილავს“ მას, რის საშუალებითაც ცდილობს ნაწარმოებში არსებული სიტყვები მოარგოს რუსულ ენაში არსებულ სიტყვებს და ამით იქმნება მძაფრი სარკაზმი რადგან, სრული აბსურდია დააკავშირო ერთმანეთთან „ვეფხისტყაოსნის“ ენა და რუსული ენა. ამიტომ, ვფიქრობთ, ამ მეთოდით, ნოდარ დუმბაძე, საბჭოთა საქართველოში ძალზედ გაღრმავებულ გარუსების პოლიტიკის და ამ ქართველთა გარუსების იდეისა და მცდელობის აბსურდულობას უსვამს ხაზს, „ვეფხისტყაოსნის“ კონტექსტი კი ერთგვარი მყარი არგუმენტი და ხელჩასაჭიდი საბუთია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ სამშობლოს გარუსება წარმოუდგენელი და შეუძლებელია.

როგორც ზემოთ გვქონდა საუბარი, იუმორისტულ ციკლში განსაკუთრებით უხვად არის მინიშნებანი მექრთამეობასა და პროტექციონიზმზე, მაგალითად, მისაღები გამოცდიდან დაბრუნებული შენუხებული გიგილოს მამა, ასე ამშვიდებს აბიტურიენტ ვაჟს: „ – არ მიგიღეს, ხვითო, უმაღლესში? ქრთამი უნდოდათ, შვილო?“³⁰ ან ამ ციტატის ქვეტექსტი რას უნდა გულისხმობდეს: „სასურველია, ათწლეულის დამთავრებასთან დაკავშირებით ბავშვს გაუკეთოთ მოულოდნელი საჩუქარი – ოქროს ან ვერცხლის მედალი“.³¹ თუ ბავშვი თავად სწავლობდა სათანადოდ, მაშინ ოქროს მედალი სკოლის დამთავრებასთან დაკავშირებით მისთვის მოულოდნელი საჩუქარი ვერ იქნება, ანუ მედლების განაწილება, ხშირად, მშობლების ვინაობასა და შესაძლებლობებზე გადის, რაც იმ პროცესებს გადაგვააზრებინებს რა პროცესების გავლითაც შეიძლებოდა შვილისათვის „მოულოდნელი მედალის“ მირთმევა. ეს მოულოდნელი მედალი კი, ზოგადად არსებული მიდგომის – დაუმსახურებლის არასამართლიანი გზებით მიღების სიმბოლოც არის, ბუნებრივია.

განათლების სისტემაში დამკვიდრებული მექრთამეობაზე მინიშნება გასაგებია, მაგრამ ვნახოთ ნოდარ დუმბაძის იუმორისტული პოეზიაც:

„ბრიყვო ხაიამ, ინსტიტუტს და დუქანს ვერ არჩევ?!“

29 დუმბაძე ნ., თხზულებანი ოთხ ნიგნად, ნიგნი IV, თბ., 1992, გვ. 65-66; 68.

30 დუმბაძე ნ., იუმორისტული მოთხრობები, თბ., 2013, გვ. 30.

31 დუმბაძე ნ., იუმორისტული მოთხრობები, თბ., 2013, გვ. 130.

აქ ნაღდს იღებენ! ვინ დაგინერს ნიშანს ნისიად!³²

მაგრამ არც იუმორისტულ პოეზიაში შემოიფარგლება მწერალი მხოლოდ განათლების სისტემით: „დარდიანად გულზე ბიძაჩემმა „ვოლგა“ მიყიდა, დამისხით ღვინო, სადღეგრძელოს ვიტყვი რიხითა! გავიტან ვინმეს? – არ მომჭამონ ძირში ფეხები, ერთ წელიწადში გამომაგდებს მამა ციხიდან“.³³ აქ უკვე სასამართლოში ფესვგადგმული კორუფცია და პროტექციონიზმია მხილებული, საინტერესოა, რომ მოგვიანებით, ასევე იუმორისტულ ფელეტონში „ლიტერატურული ძიებანი“ ამ სტრიქონებს თავად ავტორი ასეთ ინტერპრეტაციას აძლევს: „ერთ წელიწადში გამომაგდებს მამა ციხიდანო“, ესე იგი, მამამისი ან ძალიან ფულიანი და შეძლებული კაცი იყო, ან რაღაც საგულისხმო პოსტი ეკავა“.³⁴ „ომარ ხალიანის“ სხვა სტრიქონებსაც ჩავხედოთ, რომ შემთხვევით არ ვიფიქროთ, თითქოს სასამართლოში გამეფებულ კორუფციას მიზანმიმართულად არ შეეხო მწერალი, ან ერთეულ შემთხვევას გულისხმობდა:

„მე სუდიასთან სამდურავი რა დამრჩენია!

რაღაც სტო ტიშჩი დამიჯინა განაჩენია!...“³⁵

ვფიქრობთ, აბსოლუტურად ნათელია, ნოდარ დუმბაძის იუმორისტულ ციკლში წარმოდგენილი ხუმრობების იდეა, არა ღიმის მოსაგვრელად მოგონილი თემები, არამედ, არსებული პრობლემების დემონსტრირება, მათი გაკომიკურება და გაშარჟება.

კორუფციას რომ როგორც სისტემურ მანკიერებას ისე აღიქვამს მწერალი, ეს ასევე საცნაურდება ფელეტონების ციკლში „მეცნიერება და ტექნიკა“, სადაც ერთი პერსონაჟი მიმართავს მეორეს: „ადრე თუ შეგიმჩნევია მექრთამეობის მაგვარი რამ „რწყილსა და ჭიანჭველაში?“ დარწმუნებული ვარ, არა. მე კი შევამჩნიე, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სასაბიუროს დირექტორი გავხდი, პირადად მე რამდენჯერმე მომიხდა ხან რწყილსა და ხან ჭიანჭველას როლის შესრულება“.³⁶

პერსონაჟის ორმხრივი ჩართულობაც კორუფციაში, რა თქმა უნდა პრობლემის მასშტაბურობას გულისხმობს და რაც ყველაზე უფრო მტკივნეულია, ამ პრობლემებს აქვთ საკუთარი უკუშემდეგები, ქრთამით კურსდამთავრებულები ხდებიან კრიტიკოსები, რომლებიც მექანიზებულ ინსტრუმენტს ჰგვანან; ქრთამით კურსდამთავრებულები ხდებიან მეცნიერები, რომელთა კვლევაც და რომელთა მიერ განსაზღვრული მეცნიერული პრიორიტეტებიც სასაცილოა და განვითარების შემაფერხებელი; ქრთამით კურსდამთავრებულები არიან იმ მედიცინის მუშაკთა კატეგორია, რომლებიც განხილულ მოთხრობებში ასევეა გაშარჟებული: „ის არის, მამაზეციერო, ბრმა ნაწლავის ოპერაცია რომ გაუკეთეს ამას წინათ და მაკრატელი ჩაუტოვეს მუცელში“, – წერს მწერალი მოთხრობაში, „პირველი საუბარი ღმერთთან“.³⁷

იუმორისტულ მოთხრობათა ციკლში „ღმერთთან საუბრები“ სახელით, სამი

32 დუმბაძე ნ., იუმორისტული მოთხრობები, თბ., 2013, გვ. 74.

33 დუმბაძე ნ., იუმორისტული მოთხრობები, თბ., 2013, გვ. 70.

34 დუმბაძე ნ., იუმორისტული მოთხრობები, თბ., 2013, გვ. 68.

35 დუმბაძე ნ., იუმორისტული მოთხრობები, თბ., 2013, გვ. 73.

36 დუმბაძე ნ., იუმორისტული მოთხრობები, თბ., 2013, გვ. 107.

37 დუმბაძე ნ., იუმორისტული მოთხრობები, თბ., 2013, გვ. 37.

მოთხრობა გვხდება; სამივეში, მიუხედავად მათი თითქოს ანეგდოტურობამდე იუმორისტული ხასიათისა, სრულად და ძალზე სერიოზულად არის წამოჭრილი რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი და პრობლემა. ამ შემთხვევაში, სამივე ტექსტის მთავარ პერსონაჟად თავად მწერალი უნდა მოვიხაზოთ, რომელიც კვლავ ჯვებზე დუმბავას სახელით ფიგურირებს ნაწარმოებებში. რა თქმა უნდა, პერსონაჟის გვარი საკმაოდ ნიშანდობლივია და ერთგვარი ხაზგასმაა მის მოსაზრებათა დასაკავშირებლად ავტორთან. ამრიგად, რამდენადაც, ავტორი მთავარ პერსონაჟადაც იდენტიფიცირდება, პერსონაჟი – ღმერთის სახეც, სავარაუდოა, რომ ფორმირებული იყოს რომელიმე კონკრეტული, გავლენიანი ჩინოსნის, ან რამდენიმეს გაერთიანების შედეგად. თუმცა, ამ შემთხვევაში პროტოტიპს არ ვგულისხმობთ, ვსაუბრობთ მხოლოდ და მხოლოდ ინსპირაციის წყაროზე.

პერსონაჟი „ღმერთის“ წარმომავლობის ძიება ცდება ჩვენს საკვლევ პრობლემას, თუმცა რამდენიმე კრიტერიუმს მაინც გამოვყოფთ სამომავლო ანალიზისათვის, რომელიც შესაძლოა შემდგომში უკეთ იქნას განვრცობილი. პერსონაჟის წარმომავლობის ძიებისას გასათვალისწინებელია, რომ იგი მეტად დაინტერესებული და გათვითცნობიერებულია ფეხბურთის, ფეხბურთელების, გულშემატკივრების, ასევე, ფეხბურთელთა მოედანს მიღმა ცხოვრების პერსონალურ დეტალებში; აღნიშნულის გამო, ვფიქრობთ, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ზოგადად მიმდინარე საკითხებში ღრმად ინფორმირებული მოხელე იგულისხმება, ვისთანაც თავს იყრის ყველა ინფორმაცია წვრილმანი ნიუანსებთანად; იგი კარგად იცნობს პროცესებში ჩაბმულ ადამიანებს (ამ შემთხვევაში – სიმბოლურად ფეხბურთელებს) და რჩევა დარიგებებს თუ გაფრთხილებებსაც უთვლის: „გადაეცი ჩემგან: ცოტა ღვინის სმას მოუკლონ და საათში ოც კილომეტრზე მეტი სიჩქარით ნუ დადიან თორემ... კიროვის ბალის ბიჭების ბლავილი და კისრის ძარღვების ბერვა ვეღარ უშველით მერე...“³⁸ აშკარაა რომ, ციტატა უსერიოზულეს შენიშვნას მოიცავს საკუთარ იუმორისტულ ბუნებაში: სპორტსმენობა და ცნობადობა ხშირად, გაყოფილების, კანონმორჩილების ჩარჩოებიდან გასვლის და სისტემისგან ამაზე თვალის დახუჭვის საწინდარი ხდება. გარდა იმისა, რომ კანონის დამცველები ხუჭავენ თვალს კანონდარღვევაზე, რომელსაც, როგორც ჩანს, ერთჯერადი ხასიათი სულაც არ აქვს და რომელსაც სიცოცხლისთვის საშიში ზიანის მოტანა შეუძლია, ამავე ციტატაში, ასე ვთქვათ, მედლის მეორე მხარეც არის ნაჩვენები, ანუ, ერთის მხრივ კანონის ფუჭად არსებობა და მეორეს მხრივ, „ქუჩის კანონებით“ ცხოვრება – „კიროვის ბალის ბიჭების ბლავილი“ სწორედ ამაზე მიუთითებს. ამდენად, ჩინოვნიკი რომელიც საფუძვლად უდევს პერსონაჟს, საკმაოდ გამჭრიახი დიპლომატია და სიტყვიერად მაინც სამართლიანობის მხარეს იკავებს. მინიშნებად რა თქმა უნდა, ვერ გამოდგება სახელი – გიორგი, აქ ბუნებრივად უნდა ვიგულისხმოთ, რომ მწერალმა, უბრალოდ, ქართულ რეალობაში ყველაზე გავრცელებული სახელი შეარჩია, თუმცა, არ უნდა გამოვრიცხოთ, უნებლიე მწერლური ინტუიციისა თუ წინასწარმეტყველური გამოვლინების დაშვებაც, რაც არაერთგზის დადასტურებულია კლასიკოს მწერალთა ნაწარმოებებში.

ავარიის შედეგად საიქიოში მოხვედრილი მთავარი გმირი (ავტორის ალტერ ეგო), რამდენიმე, მისთვის საინტერესო, საკითხს განიხილავს ღმერთთან საუბრისას. პირველი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გახლავთ მწერლისა და „ღმერთის“

38 დუმბაძე ნ., მოთხრობები, წიგნი მესამე, თბ., 1990, გვ. 365-366.

საერთო ინტერესის ობიექტი - ფეხბურთი, სწორედ ფეხბურთისა და ფეხბურთელების განხილვას ეთმობა პირველი საუბრის შინაარსი. თუმცა ჩვენი მოსაზრებით, ამ შემთხვევაშიც, ფეხბურთის მაგალითზე, ზოგადად არის მიმოხილული და გაანალიზებული საბჭოთა სისტემის პირობებში სპორტულ საზოგადოებაში არსებულ ნაკლოვანებათა დეტალები. ამდენად კი, გამოდის რომ, განათლება, მეცნიერება, ლიტერატურა, ხელოვნება და ამჯერად სპორტიც, ანუ, პრაქტიკულად, ყველა სფერო მოუცავს იუმორისტულ მოთხრობათა ციკლში წარმოდგენილ სატირას, ეს კი ძალზე მნიშვნელოვანს და საჭიროს ხდის ამ მოთხრობათა ერთობლივ, კომპლექსურ ანალიზს.

ხანგრძლივი საუბრის შემდეგ, ჯვებე დუმბავა თხოვნით მიმართავს ღმერთს, იქნებ როგორმე დაეხმაროს და პირველი ადგილი ააღებინოს „დინამოს“ ბიჭებს, რაც ე. წ. „ჩანყოზის“ ინსტიტუტის არსებობაზე მიუთითებს, სისტემა აკონტროლებს ყველაფერს და ყველაფერი „ზემოთ“ წყდება, ხოლო ფეხბურთი და სპორტი რომ მაკეტური სადემონსტრაციო საშუალებაა, ამის დასასაბუთებლად აღარ შეეჩერდებით, რადგან ზუსტად ანალოგიურ პრობლემებს სხვა სფეროშიც გვიჩვენებენ ეს იუმორისტული მოთხრობები.

პირველი ორი გასაუბრებისგან განსხვავებით, მესამე გასაუბრებაში ფეხბურთისგან სრულიად განსხვავებულ საკითხთან დაკავშირებით მიმდინარეობს მსჯელობა „უფალსა“ და მწერალს შორის. მათი საუბრის საგანი, ამ შემთხვევაში, მწერალთა მეექვსე ყრილობაზე დასწრება და იქ წარმოსათქმელი სიტყვის განხილვა გახლავთ. ფეხბურთიდან მწერლობის პრობლემებზე გადასვლა კიდევ უფრო ნათელს ხდის და ამყარებს ჩვენს ხედვას, რომ მწერლის მიზანი, პრობლემების მოცულობითი, მასშტაბური გამოაშკარავებაა და არა რომელიმე ერთი სფეროს გაშარჟება.

მოთხრობაში „მესამე, გაუთვალისწინებელი, მაგრამ გულახდილი საუბარი ღმერთთან“, მწერალი რჩევა-დარიგების მისაღებად არის მისული „ღმერთთან“, მას სურს მწერალთა ყრილობაზე გამოსასვლელი სიტყვის მომზადებაში დახმარება, რათა დამსწრე საზოგადოებაზე შთაბეჭდილება მოახდინოს, როგორც „ღმერთივით მოსაუბრე მწერალმა“. აქ კი განსაკუთრებით ყურადსაღებია სიუჟეტის იმდაგვარი განვითარება, რომ ღმერთი წინააღმდეგი არ არის მწერალს დაეხმაროს, მაგრამ საქმე მწერლის გამბედაობას ეხება, რამდენად შეძლებს ისეთ თემაზე საუბარს, რომელიც გამბედაობას მოითხოვს და სახიფათოა მოსაუბრისთვის. რა თქმა უნდა, სრულიად აშკარაა სოციალისტური რეალობისთვის მკვეთრად დამახასიათებელი მანკიერი ტრადიცია, რომ თუ მოსაზრება ან საჯარო გამოსვლის ტექსტი შეთანხმებული, ან შესაბამისობაში არ იყო კონკრეტულ კონიუნქტურასთან, შესაძლოა ერთ გამოსვლას ადამიანის მომავალი თავდაყირა დაეყენებინა, რაც საკმაოდ ცნობილი მოვლენა გახლდათ, ამიტომ ჯვებე დუმბავა განიხილავს მრავალ საჭირობოროტო საკითხს და უკვე დასახელებულ საყოველთაო კონტროლისა და შიშის დანერგვასთან ერთად, ეს საკითხებია - პატრონის გარეშე დარჩენილი ახალგაზრდობა, ფსევდომწერალთა დაუმსახურებელი დაფასება თუ ღირსეულ მწერალთა დაუფასებლობის პრობლემა, საზღვარგარეთ გასვლაზე დადგენილი კონტროლი, რეალობის ილუზორული ალტერნატივის გამუდმებული ქმნადობა და ა. შ. ამასთანავე, ჩვენი აზრით, პერსონაჟად ღმერთის შემოყვანა ძალზედ გონივრულ მხატვრულ ფანდს წარმოადგენს, ცენზურის ყურადღების სხვა მიმართულებით კონცენტრაციის

თვალსაზრისით. კომუნისტური საზოგადოება, პირველ ყოვლისა, უფლის ქილიკს, უფალზე სიტყვის შებედავას დაინახავდა მოთხრობაში, რაც ჭკვიანური თვალის ახვევაა ცენზურისათვის, ვინაიდან, სინამდვილეში, სწორედ პერსონაჟი ღმერთის საშუალებით ხდება მხილებული მრავალი სისტემური ნაკლოვანება.

როგორც აღვნიშნეთ, რიგი საკითხების ამდაგვარი გაშარჟებით, რეალურად, ავტორმა ღიად გაილაშქრა საბჭოთა სისტემისა და პარტიული ნომენკლატურის წინააღმდეგ, ამხილა გამეფებული სამოხელეო დანაშაულებები თუ წესად ქცეული მანკიერებანი. განხილულ ფელეტონებში აშკარად იკვეთება, რომ ავტორმა გააკრიტიკა ღირებულებას მოკლებული, პოლიტიკურ კონიუნქტურაში ჩარჩენილი და სასათბურე პირობებს დამონებული მწერლობა მისი პოლიტიკური შემოქმედებით, წარმოადგინა იმ პერიოდის მეცნიერებასა და ლიტერატურაში არსებული ვითარება, რომელიც, როგორც ჩანს, არცთუიშვიათად წარმოადგენდა სისტემის მსხვერპლსაც და მის იარაღსაც ერთდროულად.

ამრიგად, ამ კონკრეტულ ნარკვევში განვიხილეთ იუმორისტული ციკლის მოთხრობები და მათი დაფარული პათოსი. იქიდან გამომდინარე, რომ მწერლის შემოქმედების უმთავრესი ნიშა, სწორედ ხალასი იუმორია და იუმორმა ზოგადად, დიდწილად განაპირობა მისი შემოქმედების წარმატება, ვფიქრობთ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იუმორისტული ციკლის შემოქმედების ცალკე განხილვაც.

შევეცადეთ განსხვავებულად წარმოგვეჩინა ჩვენი კვლევისთვის საინტერესო მოთხრობები. კვლევა მიზნად ისახავდა მკითხველისთვის ხელი შეეწყოს ნაშრომში განხილული მოთხრობების ახლებურად წაკითხვაში, ჩვენ გვსურდა ისეთ საკითხებზე გაგვემახვილებინა ყურადღება, რომლებიც, აქამდე ნაკლებად იყო არა მხოლოდ შესწავლისა და განხილვის, არამედ სამეცნიერო ყურადღების საგანიც. გვსურდა გვეჩვენებინა, რომ იუმორი ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაში, ამ ტიპის მოთხრობებშიც კი, მხოლოდ გართობისა და სახალისო განწყობის შექმნის მისიით არასოდეს შემოფარგლულა, რამდენადაც მას ბევრად დიდი ფუნქცია დააკისრა თავად ავტორმა, იუმორის საშუალებით ამხილა რა საბჭოთა ეპოქისა და საზოგადოების მნიშვნელოვანი მანკიერებანი. მწერალმა გააკრიტიკა კომუნისტური წყობის მრავალი ინსტიტუტი და მათ ირგვლივ განვითარებული მოვლენები, ერთი შეხედვით ლალი და უწყინარი იუმორით საშუალოდ გამოიტანა და ნათელი მოჰფინა საბჭოთა ყოფის მრავალ უარყოფით ასპექტს. კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ყოველგვარი არაპროფესიონალიზმი და პარტიულ ინტერესებზე მდგარი საზოგადოება. სასაცილოდ და შესაბამისად სამარცხვინოდ აღსაქმელი გახდა დამკვიდრებულ სამოხელეო დანაშაულებებში ჩართულ ადამიანთა სახე, ასევე, ღირებულებას მოკლებული, პოლიტიკურ კონიუნქტურაში ჩარჩენილი ავტორები და მათი პოლიტიკური შემოქმედება.

გასათვალისწინებელია, რომ ამ ყველაფრის დაწერა თანამედროვეობის კონტექსტიდან დიდ გამბედაობას და დიდ ნიჭიერებას საჭიროებდა, ეს კარგად ესმის ავტორს, ზუსტად აქვს გააზრებული და ამიტომ, მაქსიმალურად განაზავებს სისტემის მიმართ სარკაზმსა და კრიტიკულ შენიშვნებს სხვა ტიპის იუმორში. მოთხრობაში „მესამე, გაუთვალისწინებელი, მაგრამ გულახდილი საუბარი ღმერთთან“, ასეთ დიალოგს მართავს მწერალი: „ - სალაპარაკოს მეტი რაა, დალოცვილო, მშიშარა ხომ არ ხარ?

- კი ვარ ცოტა მშიშარა, ღმერთო, - გამოვუტყდი უფალს.

- ცოტა ყველა ვართ, შე კაცო, მაგრამ უნდა გავბედოთ, - გამომიტყდა ისიც.³⁹ - მწერალმაც გაბედა და ამ გაბედულებათა გამოვლინება მისსავე ნაწარმოებებშია ამოსაკითხი. საინტერესოა ამ კონტექსტში ამავე დიალოგის გაგრძელება: „მაგის თქმის თუ გეშინია, მაშინ ის მაინც შეახსენე, სულ ერთი და იგივე ხალხი რომ დადის საზღვარგარეთ და წერენ შემდეგ შთაბეჭდილებებს, რამდენ ლიტრ რძეს ინველის ინდონეზიაში ძროხა და როგორ გაახსენათ აფრიკის სპილომ თბილისის ზოოპარკი, გაურიონ ხანდახან უცხოეთში წამსვლელთა სიაში სხვებიც“.⁴⁰ აქ გარდა იმისა, რომ შიშით გამსჭვალულ საზოგადოებრივ ყოფას კვლავ დავლანდავთ და ვიგულისხმებთ მიზეზს, რის გამოც ასე შეფარვით არის მკითხველამდე სათქმელის მოტანა საჭირო, ამასთანავე, კიდევ ერთხელ დავინახავთ იმ ჩაკეტილ სივრცესა და სამყაროსგან მოწყვეტილობის პრობლემას, რომლის გამოც საბჭოთა კავშირში მომწყვდეულ ადამიანებს უჭირთ გარესამყაროსთან ინტეგრაცია და საბჭოთა სახელმწიფოს მიღმა სამყაროს აღიქვამენ იმდენად, რამდენადაც „სულ ერთი და იგივე ხალხი“ მიაწვდით ინფორმაციას. ამ ორი პრობლემის ერთ კონტექსტში გააზრებაც არ უნდა იყოს შემთხვევითი, მეოცე საუკუნეში ადამიანისთვის სივრცისა და სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა და ამის გამო მისი შიშში ცხოვრების ორგანიზება, სწორედ ყველაზე ფუნდამენტური და დიდი მხილებაა კომუნისტური სახელმწიფოსი როგორც რეჟიმისა.

39 დუმბაძე ნ., იუმორისტული მოთხრობები, თბ., 2013, გვ. 56.

40 დუმბაძე ნ., იუმორისტული მოთხრობები, თბ., 2013, გვ. 56.

Sarcastic Criticism of the Soviet Regime in the Cycle of Humorous Stories by Nodar Dumbadze

Summary

When the matter pertains to the exploration of Nodar Dumbadze's work, we can assert that, within this captivating work, the focus of researchers can be directed toward numerous issues; We investigate diverse aspects in the author's work, we try to contemplate this unparalleled literary wealth in various interesting directions, and in this specific article, the subject of research is the segment of Nodar Dumbadze's work that falls within the humorous cycle, and at first glance, its intent appears to be merely a form of anecdotal wit, the aim of which is, as though it is exclusively for the amusement and delight of the reader, but if we dig deeper, the latent paths of this category of works can be interestingly brought to the surface. When examining the series of short stories, it is logical to consider the contemporary era of the writer and the challenges characteristic of that era. Consequently, we tried to scrutinize the mentioned works from a novel perspective and decipher the intriguing subtexts concealed by the author in satire or humor.

As is widely known, Nodar Dumbadze's compositions were published in the publications of that period from the 50s of the twentieth century. It was in 1956-1957 that three volumes of the author's amusing tales saw the light in the pages of the "Niangi" ("The Crocodile") magazine - "Attention, We Are Starting Exercise," "Long Live Gigilo," and "Gladiator." Accordingly, the writer initially entered the literary arena with humorous cycle stories and achieved his initial triumph with works of this genre; And since the most distinctive feature of his work compared to the works of others is his astounding humor, naturally, we would not be deterred by any means and shun the challenge of examining the gravity of his humor, and we attempted to explore the author's creation from this standpoint as well, and in our assessment, we rightfully deduced that beyond humor, there are numerous highly noteworthy aspects to be drawn attention to—a serious matter that essentially exposes systemic or mental predicaments prevalent in the contemporary era of the writer and the pernicious subtleties of the existing regime in primary instances.

უცხოელაჲი თავისუფალი საქართველოს დედაქალაქში (1918-1921 წწ.)

თბილისს, როგორც საქართველოს დედაქალაქსა და კავკასიის პოლიტიკურ ცენტრს, სხვადასხვა დროს უამრავი საზღვარგარეთელი სტუმარი მიუღია. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში (1918-1921 წწ.), ქვეყნის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებიდან გამომდინარე, თბილისში ჩამოსულ უცხოელთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა. სტუმართა შორის იყვნენ პოლიტიკოსები, დიპლომატები, მაღალი რანგის სამხედროები, მწერლები, მსახიობები, ჟურნალისტები და სხვ. თავისუფალი საქართველოს დედაქალაქი სტუმრებს გულლიად და პატივისცემით ხვდებოდა. ოფიციალურ პირებს მასპინძლობას ხელისუფლების წარმომადგენლები უწევდნენ, ქართული ტრადიციული სტუმართმოყვარეობის შესაბამისად, ყურადღება არც დანარჩენებს აკლდათ.

უცხოეთის სხვადასხვა ქვეყნიდან აკადემიური საზოგადოების ვიზიტებს საქართველოში განსაკუთრებით შეუწყო ხელი 1918 წელს თბილისის უნივერსიტეტის დაარსებამ. პოლიტიკურმა, ინტელექტუალურმა თუ კულტურულმა პროცესებმა განაპირობეს არაერთი საინტერესო სტუმრის სტუმრობა საქართველოს პირველ რესპუბლიკაში.

საკუთარი სახელმწიფოს ინტერესების გასაცარებლად, მაგრამ საქართველოსადმი კეთილი განზრახვით, ჩვენს ქვეყანაში დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან ახლო ხანებში გერმანიის სამხედრო-დიპლომატიური მისია ჩამოვიდა, რომელსაც გენერალი ფრიდრიხ ზიგმუნდ კრეს ფონ კრესენშტაინი მეთაურობდა. „კავკასიის უძველეს მინაზე ჩვენ მოგვიყვანა არამარტო სამხედრო მიზნებმა, არამედ უდიდესმა სურვილმა, დავეხმაროთ ქართველ ხალხს, აღიდგინოს თავისი ძველი სახელმწიფოებრიობა და დამოუკიდებლობა. ჩვენ აქ ვიმყოფებით არა როგორც გამარჯვებულები, არამედ როგორც მეგობრები და ეს არის საფუძველი ჩვენი შემდგომი თანამშრომლობისა“¹, – განაცხადა ფონ კრესმა თბილისში მის დასახვედრად შეკრებილი მთავრობის წევრებისა და საზოგადოების წინაშე.

საქართველოსთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული გერმანელი დიპლომატი და სამხედრო მოღვაწე გრაფი ფრიდრიხ ფონ დერ შულენბურგი. იგი 1911-1914 წლებში იყო გერმანიის ვიცე-კონსული თბილისში, ხოლო პირველი მსოფლიო ომის დაწყებიდან ახლო ხანებში მეთაურობდა ოსმალეთში ჩამოყალიბებულ ქართულ ლეგიონის. 1918 წლის მაისში საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების ერთ-ერთი აქტიურ მხარდამჭერად მოგვევლინა და იმავე წლის ბოლომდე ებარა გერმანიის კავკასიური ექსპედიციის დიპლომატიური წარმომადგენლობა თბილისში.²

ფონ კრესსა და ფრიდრიხ შულენბურგთან ერთად, საქართველოში იმყოფებოდა კაპიტანი იენო ფონ ეგან-კრიგერი, გერმანელი სამხედრო მოხელე, რომელიც 1918 წლის ივნისში იყო გერმანიის სამხედრო კონტიგენტის მეთაურის მოვალეო-

¹ ჯანელიძე ო., საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ნარკვევები, თბ., 2018, გვ. 77.

² <http://german-georgian.archive.ge/ka/blog/36>

ბის შემსრულებელი კავკასიაში.³

მას შემდეგ, რაც 1920 წლის სექტემბერში ვაიმარის რესპუბლიკამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და იურე ალიარა, გერმანიამ საქართველოში თავის წარმომადგენლად ულრიხ რაუშერი წარმოგზავნა. გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, დიპლომატი, ჟურნალისტი და მწერალი ულრიხ რაუშერი ელჩის პოსტზე თბილისში 1922 წლის დასაწყისამდე დარჩა.⁴

1919 წელს მაისში თბილისში ჩამოვიდა იტალიელი პოლიტიკოსი და სამხედრო მოღვაწე პოლკოვნიკი მელკიადე გაბბა. იგი 90-მდე წევრისაგან შემდგარი დელეგაციით, რომელშიც სავოის პრინცი ედმონდიც შედიოდა, საქართველოში იტალიის მეფე ვიქტორიო ემანუილ მესამემ გამოგზავნა. მისიის მიზანს საქართველოს ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო მდგომარეობის შესწავლა შეადგენდა, რის საფუძველზეც იტალიის მთავრობას უნდა მიეღო გადაწყვეტილება საქართველოში საექსპედიციო კორპუსის გამოგზავნა-არგამოგზავნის შესახებ. მართალია, იტალიის ეს წამოწყება არ შედგა, მაგრამ საქართველოს და იურე ალიარების შემდეგ ამ ქვეყნის მთავრობა პირველი იყო, ვინც თავისი დიპლომატიური წარმომადგენლობა თბილისში საელჩოდ გარდაქმნა. ელჩად სრულუფლებიანი მინისტრის სტატუსით ვიქტორიო ჩერუტი დაინიშნა.⁵

ქართველი ხალხისადმი კეთილგანწყობით გამოირჩეოდნენ პოლონეთის დიპლომატიური წარმომადგენლები საქართველოში ვაცლავ ოსტროვსკი და ტიტუს ფილიპოვიჩი.

1919 წლის 2 ოქტომბერს თბილისს ეწვია აშშ სამხედრო მისია გენერალ ჯეიმს ჰარბორდის მეთაურობით.⁶ ამერიკელთა პირველი დელეგაცია, რომელსაც სათავეში ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორი ჯედსონი ედგა, საქართველოს 1918 წლის დეკემბერში ესტუმრა, მასზე ადრე თბილისში კონსტანტინოპოლში აშშ უმაღლესი კომისარი, ადმირალი მარკ ლამბერ ბრისტოლიც იმყოფებოდა. ჰარბორდის მისიას, რომელიც 50 კაცისაგან შედგებოდა, თან ახლდნენ მსხვილი ევროპული გაზეთების კორესპონდენტები. მისიას ევალეებოდა სამხრეთ კავკასიის პოლიტიკური, ეკონომიკური, სავაჭრო, ფინანსური და სხვ. შესაძლებლობათა შეესწავლა და სახელმწიფო ადმინისტრაციისათვის დასკვნის მომზადება – შეიძლებოდა თუ არა მანდატის დაწესება რეგიონზე. ჰარბორდმა საქართველოს დედაქალაქის საინტერესო აღწერა შემოგვინახა. მისი სიტყვით: „თბილისი თანამედროვე ქალაქია 150-ათასიანი მცხოვრებით. ის ფრიად კოლორიტული და საინტერესო სანახავია. თითოეულ უბანს ცოტა უცნაური ელფერი კი დაჰკრავს, მაგრამ მთლიანობაში ერთობ მიმზიდველ სურათს წარმოადგენს. ...მხიარული, სანდომიანი და ხალისიანი ქართველები ფრიად მომხიბლავნი არიან“.⁷

1920 წელს საქართველოში სამსახურებრივი მისიით იმყოფებოდა პოლკოვნიკი უილიამ ჰასკელი. იგი პირველად 1919 წლის აგვისტოში, მეუღლესთან ერთად

3 <http://digitallibrary.tsu.ge/book/2019/wignebi/sakartvelos-damoukidebeli-respublikisentsiklopedia.pdf>.

4 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ენციკლოპედია, თბ., 2018. გვ. 329.

5 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1921 წ., 2 თებერვალი.

6 გაზ. „ერთობა“, 1919 წ., 4, 5 ოქტომბერი.

7 გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1990 წ., 25 მაისი.

ჩამოვიდა თბილისში.⁸ უილიამ ჰასკელი იყო მოკავშირეთა უმაღლესი კომისარი სამხრეთ კავკასიაში, მოგვიანებით კი – ამერიკის დამხმარე კომიტეტის ხელმძღვანელი საბჭოთა რუსეთში.

თბილისური ყოფა-ცხოვრების შესახებ საყურადღებო პუბლიკაცია და ფოტოსურათები დაბეჭდა ცნობილმა ჟურნალმა „National Geographic“-მა, რომლის ნამყვანი კორესპონდენტები მ. უილიამსი და და მ. ჩეთერი 1917 და 1919 წლებში სტუმრობდნენ თბილისს.⁹

1918-1921 წლების თბილისისა და ზოგადად, საქართველოს ისტორიაში წარუშლელი კვალი დატოვა ცნობილმა ბრიტანელმა ქართველოლოგმა და დიპლომატმა ოლივერ უორდროპმა. უორდროპი დიდი ბრიტანეთის უმაღლესი კომისრის რანგში თბილისში 1919 წლის 30 აგვისტოს ჩამოვიდა, სადაც, მისივე სიტყვით, განსაკუთრებული დახვედრა მოუწყვეს და „დღემ ჩაიარა, როგორც სახალხო დღესასწაულმა“. დაბინავდა მაჩაბლის ქუჩაზე მდებარე, თვალსაჩინო ქართველი მრეწველისა და ქველმოქმედის – დავით სარაჯიშვილის მიერ აგებულ, იმხანად კი ასევე, ცნობილი მწარმისა და მეცენატის, აკაკი ხოშტარიას კუთვნილ სახლში (დღევანდელი „მწერალთა სახლი“). ამავე სახლში ცხოვრობდნენ ო. უორდროპის შემცველები – ჰარი ლუკი და პოლკოვნიკი სტოქსიც. საინტერესოა აღინიშნოს, რომ იმ 180 ფუტი სტერლინგიდან, რომელსაც დიპლომატი სახლის ქირად უხდიდა აკაკი ხოშტარია, ეს უკანასკნელი ნახევარს თბილისის თვითმმართველობას უგზავნიდა საგანმანათლებლო ხარჯების დასაფარად.¹⁰

ოლივერ უორდროპმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა დიდი ბრიტანეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ცნობა-აღიარების საქმეში. 1920 წლის 12 იანვარს სწორედ მან ახარა საქართველოს მთავრობას მოკავშირეთა მხრიდან ქვეყნის ფაქტობრივი აღიარება.¹¹

მადლიერების ნიშნად, ოლივერ უორდროპსა და მის დას – მარჯორის – „ვეფხისტყაოსნისა“ და ქართული მწერლობის სხვა ნიმუშების ინგლისურ ენაზე მთარგმნელს – ქართველმა ხალხმა 2015 წელს, თბილისში, პარლამენტთან მდებარე სკვერში, ძეგლი დაუდგა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისადმი დაინტერესება გამოხატა საფრანგეთმაც. 1920 წლის ზაფხულში საქართველოში იმოგზაურა და თბილისსაც ეწვია ჰოლანდიელი პოეტი და მოგზაური ქალი ოდეტ კენი.¹² თავისი შთაბეჭდილებები მან აღწერა 1923 წელს პარიზში გამოცემულ ნაშრომში „Au pays de la Toison d'or – En Georgie mencheviste independante“, რომელიც ახლა უკვე ქართულადაც არის თარგმნილი და გამოცემული.¹³

8 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., 16 აგვისტო.

9 „National Geographic“, October, 1918; „National Geographic“, November, 1919.

10 ჯანელიძე ო., ზუბალაშვილები, დავით სარაჯიშვილი, აკაკი ხოშტარია, მიტროფანე ლალიძე და სხვანი, თბ., 2020, გვ. 287.

11 სერ ოლივერ უორდროპი 150, ნიგნი შეადგინა, შენიშვნები და კომენტარები დაურთო, რედაქტირება გაუკეთა, ინგლისური ტექსტი ქართულ თარგმანს შეუდარა ისტორიის დოქტორმა ბექა კობახიძემ, თბ., 2015, გვ. 4.

12 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., 23 ივნისი.

13 კენი ო., ოქროს სანმისის ქვეყანაში. დამოუკიდებელ, მენშევიკურ საქართველოში, თბ., 2023.

თბილისში იმყოფებოდა გაზეთ „ტანის“ შვეიცარიელი კორესპონდენტი პოლ ჟანტიზონი, რომელმაც სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, ფრანგულ ენაზე წიგნიც გამოაქვეყნა სახელწოდებით „La Resurrection Georgienne“¹⁴ („ქართული აღდგომა“).

საქართველოს დედაქალაქში 1918-1921 წლებში საკმაოდ ბევრი ფრანგი ცხოვრობდა. მათ თბილისში, ფრანგული კლუბიც კი დააარსეს, რომელიც განოვის ქუჩაზე (დღევანდელი გალაკტიონ ტაბიძის ქუჩა) მდებარეობდა.¹⁵

1920 წელს თბილისში სამხრეთ კავკასიაში საფრანგეთის უმაღლეს კომისრად გამოიგზავნა ფრანგი დიპლომატი დამიენ დე მარტელი, რომელიც მოკლე ხანში აბელ შევალიემ შეცვალა. საფრანგეთის ახალი წარმომადგენელი, გაზეთ „ტანის“ თანამშრომელი და პარიზის უნივერსიტეტის პროფესორი ა. შევალიე იყო,¹⁶ რომელიც თბილისს 1920 წლის 2 დეკემბერს ეწვია.¹⁷

1921 წლის თებერვალში, მან ასეთი სიტყვებით მიულოცა ქართველ ხალხს საქართველოს რესპუბლიკის იურიდიული აღიარება: „...საქართველოს დიდებული და ბრწყინვალე წარსული აქვს, და მე ვუსურვებდი მას, რომ მომავალიც ისეთი ბრწყინვალე ჰქონდეს. წარსულში საქართველოს არა ერთხელ უხსნია ევროპა მტრების თავდასხმისაგან. ჩემი გულწრფელი სურვილია, რომ საჭიროების დროს, ევროპამაც აღმოუჩინოს დახმარება საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვაში“.¹⁸

შევალიემ დიდი დახმარება გაუწია ემიგრაციაში გახიზნულ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას ქვეყნიდან ეროვნული საგანძურის გატანასა და საფრანგეთში, მარსელის ბანკში მისი დაბინავების საქმეში.

თავისუფალი საქართველოსა და მისი დედაქალაქის ცხოვრებაში მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო სოციალისტური ინტერნაციონალის მრავალრიცხოვანი დელეგაციის სტუმრობა 1920 წლის შემოდგომაზე. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ: კარლ კაუცკი, ემილ ვანდერველდე, პიერ რენოდელი, კამილ ჰიუსმანი, ლუი დე ბრიუკერი, ეთელ სნოუდენი, თომას შოუ, რამსეი მაკდონალდი, ალბერტ ინგელსი და სხვები.¹⁹ „საქართველოს დემოკრატია, მისი ნდობით აღჭურვილი მთავრობა სიამოვნებით ეგებება ჩვენს ახალ სტუმრებს, დაბლად თავს უკრავს და ეუბნება: კეთილი იყოს თქვენი ფეხის შემოდგმა ჩვენს მიწა-წყალზე“, – წერდა გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“.

მწერალი გრიგოლ რობაქიძე კი ამგვარი სიტყვებით მიესალმა საპატიო სტუმრებს: „ორი ათასი წელი გელოდით თქვენ“. ინტერნაციონალის დელეგაციას სათავეში ედგა კარლ კაუცკი, რომელიც, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, საქართველოში მოგვიანებით ჩამოვიდა. იგი იყო ეკონომისტი, ისტორიკოსი, პუბლიცისტი, მარქსიზმის ცნობილი თეორეტიკოსი, ფილოსოფოსი, ჟურნალისტი, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და მეორე სოციალისტური

14 Gentizon P., La Résurrection Géorgienne, Paris, 1921.

15 ჯანელიძე ო., დახვრეტილი თავისუფლება, თბ., 2000, გვ. 11.

16 გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ., 8 სექტემბერი.

17 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., 4 დეკემბერი.

18 გაზ. „ერთობა“, 1921 წ., 2 თებერვალი.

19 ევროპელი სოციალისტების ვიზიტი საქართველოში 1920, ნაწილი I, თბ., 2021.

ინტერნაციონალის ლიდერი.²⁰ აღსანიშნავია, რომ კ. კაუცკიმ წიგნიც მიუძღვნა საქართველოს სახელწოდებით: „Georgien: eine sozialdemokratische Bauernrepublik, Eindrücke und Beobachtungen von Karl Kautsky“, რომელიც 2018 წელს ქართულ ენაზეც გამოქვეყნდა.²¹

ემილ ვანდერველდეს საზოგადოება იცნობდა, როგორც ბელგიის მუშათა პარტიის ერთ-ერთ დამაარსებელსა და ხელმძღვანელს, მეორე სოციალისტური ინტერნაციონალის თვალსაჩინო წარმომადგენელს. მოგვიანებით მას ბელგიის სამეფოს იუსტიციის, საგარეო საქმეთა და სახალხო ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის პოსტები ეკავა.

ვანდერველდეს სიტყვები გამოქვეყნებულია ქართულ პრესაში: „ნება მომეცით გამოვსთქვა ჩემი აღფრთოვანება იმის გამო, რაც მე აქ თვითონ ვნახე. ჩვენ გვეუბნებიან, რომ თითქოს თქვენ ჩვენგან გინდათ ისწავლოთ. ჩვენ, დასავლეთი, უნდა თქვენთან მოვიდეთ სასწავლებლად... გაუმარჯოს საქართველოს“.²²

პიერ რენოდელი იყო ფრანგი სოციალისტი, საფრანგეთის პარლამენტის წევრი, მეორე სოციალისტური ინტერნაციონალის ერთ-ერთი ლიდერი.²³ სექტემბერი. სტუ-მართა შორის ორი სხვა ფრანგიც ერია. 1. ადრიან მარკე – სოციალისტი, შემდგომში საფრანგეთის ტრანსპორტის, შინაგან საქმეთა და სახელმწიფო მინისტრი, მოგვიანებით კი ქალაქ ბორდოს მერი²⁴ და 2. ალბერტ ინგელსი – საფრანგეთის მესამე რესპუბლიკის პარლამენტის დეპუტატი.

თბილისში მისი სიტყვით გამოსვლის შინაარსი გამოქვეყნებულია გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“: „...არ შემიძლია არ გამოვთქვა ჩემი გაკვირვება, იმ უდიდეს ენერჯის გამო, რომელიც საქართველოს ხალხმა სოციალისტურ, ახალ სახელმწიფოს აღმშენებლობის საქმეში გამოიჩინა. ეს მით უმეტეს ძვირფასია და გასაკვირი, რომ ქართველმა ხალხმა ცარიზმთან მძიმე ბრძოლა გადაიტანა. მაგრამ ამ ბრძოლაში ის გამაგრდა და გვიჩვენა თავისი ძალა და სიბრძნე“.²⁵

იმავე დელეგაციასთან ერთად საქართველოს ეწვია მეორე სოციალისტური ინტერნაციონალის მდივანი, ბელგიის მუშათა პარტიის ლიდერი, შემდგომში ბელგიის სამეფოს პრემიერ-მინისტრი კამილ ჰიუსმანსი.

დელეგაციაში მეორე ბელგიელიც შედიოდა, კერძოდ, ჟურნალისტი, ბრიუსელის თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორი, ბელგიის სამეფო აკადემიის წევრი, მეორე სოციალისტური ინტერნაციონალის წარმომადგენელ ლუი დე ბრიუკერი.²⁶

სოციალისტური ინტერნაციონალის დელეგაციის შემადგენლობაში, 1920 წელს საქართველოში ჩამოვიდა ბრიტანელი სოციალისტი, სამოქალაქო აქტივისტი,

20 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., 15 სექტემბერი; გაზ. „ერთობა“, 1921 წ., 13 იანვარი; 2 თებერვალი.

21 კაუცკი კ., საქართველოს გლეხთა სოციალ-დემოკრატიული რესპუბლიკა: შთაბეჭდილებანი და დაკვირვებანი, თბ., 2018.

22 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., 17 სექტემბერი.

23 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., 15

24 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., 15 სექტემბერი.

25 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., 17 სექტემბერი.

26 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921), ენციკლოპედია-ლექსიკონი, თბ., 2018, გვ. 126-127.

ჟურნალისტი, ფემინისტი პოლიტიკოსი ეთელ სნოუდენი,²⁷ აგრეთვე ბრიტანელი ლეიბორისტი, პოლიტიკოსი, დიდი ბრიტანეთის შრომისა და სამხედრო მდივანი, მუშათა საერთაშორისო ინტერნაციონალის მდივანი თომას შოუ.²⁸

დამოუკიდებლობის სამ წლიან პერიოდში თბილისს კულტურისა და სამეცნიერო სფეროს უამრავი უცხოელი სტუმარი ახსოვს. თბილისში თავს იყრიდნენ როგორც რუსეთის იმპერიიდან ისე მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან მწერლები, მუსიკოსები, მხატვრები, პოეტები, არტისტები, მეცნიერები, უბრალო მოგზაურები და ხშირად კულტურისა თუ მეცნიერების სფეროს ამოფარებული სხვადასხვა ქვეყნის მზვერავები. თბილისის თავისი ეგზოტიკური გარემოთი კულტურის და მეცნიერების ერთგვარ ოაზისად იქცა. ამიტომ იყო ამდენ სტუმარს რომ იზიდავდა, არაერთი მათგანის სახელი დაუკავშირდა ჩვენს ისტორიას. მაგალითად, რობერტ ბლეიკი, - ამერიკელი აღმოსავლეთმცოდნე, ქართველოლოგი, პროფესორი. 1911 სწავლა დაიწყო პეტერბურგის უნივერსიტეტში პროფესორ ნიკო მარის ხელმძღვანელობით. 1918 მოწვეულ იქნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორად. ასწავლიდა ბერძნულ ენასა და ბიზანტიის ისტორიას. 1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთის საქართველოზე თავდასხმისას იგი მონაწილეობას იღებდა ტაბახმელასთან ბრძოლაში. 1921 დაბრუნდა ჰარვარდში.²⁹

ჯერ კიდევ 1884 წელს, ილია ჭავჭავაძის მოწვევით, საქართველოში ჩამოვიდა გერმანელი მწერალი, პუბლიცისტი და მთარგმნელი არტურ ლაისტი. მან 1906 წელს თბილისში გერმანული გაზეთი „Kaukasische Post“ დააარსა, რომელიც 1914 წლამდე გამოდიოდა. საქართველოს პირველი რესპუბლიკის წლებში გაზეთის გამოცემა განახლდა. 1918 წელს არტურ ლაისტი ივანე ჯავახიშვილის რეკომენდაციით თბილისის უნივერსიტეტში გერმანული ენის ლექტორად მიიწვიეს. გაზეთების ცნობით, 1918 წლის ივნისში, გერმანელთა ეროვნულმა საბჭომ არტურ ლაისტი რესპუბლიკის ეროვნულ საბჭოში საქართველოში მცხოვრებ გერმანელთა წარმომადგენლად მიავლინა. 1922 წელს თბილისში ფართოდ აღნიშნა ა. ლაისტის მოღვაწეობის 40 წლის იუბილე.³⁰ აღსანიშნავია, რომ თავისუფალი საქართველოს დედაქალაქში გერმანული „Kaukasische Post“-ის გარდა გაზეთები ფრანგულ, ინგლისურ, რუსულ და სომხურ ენებზეც გამოდიოდა. მათ შორის „The Georgian Messenger“-ის („საქართველოს მოამბე“), „The Georgian Mail“ („საქართველოს ფოსტა“, „La Géorgie indépendante“ („დამოუკიდებელი საქართველო“), „La République Géorgienne“ („საქართველოს რესპუბლიკა“) და სხვ.

თბილისში მოღვაწეობდა პოპულარული მოცეკვავე, ოპერის თეატრის პრიმა-ბალერინა მ. ბაუერზაკსი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში მისი არაერთი ფოტო დაიბეჭდა ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“. იოსებ გრიშაშვილმა მას მიუძღვნა ლექსი - „ბაუერზაკსს“ (პატარა სონეტი). მარო თარხნიშვილის მოგონებების თანახმად, მ. ბაუერზაკსს 1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების აღსანიშნავ საღამომოც მიუღია მონაწილეობა.³¹

27 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., 17 სექტემბერი.

28 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., 17 სექტემბერი.

29 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921), ენციკლოპედია-ლექსიკონი, თბ., 2018, გვ. 74. ამ ცნობას ზოგიერთი ქართველი მკვლევარი არ იზიარებს.

30 ბაბუნაშვილ ზ., ნოზაძე თ., მამულიშვილთა სავანე, თბ., 1994, გვ. 228.

31 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921), ენციკლოპედია-ლექსიკონი, თბ., 2018, გვ. 66.

1920 წელს რუსეთიდან თბილისში სამუშაოდ გადმოდის ფერმწერი, მოქანდაკე, ილუსტრატორი, თეატრის მხატვარი, პედაგოგი ევგენი ლანსერე. ქართველ მხატვრებთან ერთად იგი ამზადებდა ესკიზებს ახალი ქართული ფულის ნიშნებისათვის.³²

1920 წლისათვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოღვაწეობს ფიზიკოსი, პროფესორი, შემდეგში აკადემიკოსი ლეონიდ ლეიბენზონი, რომელიც მამამდე ტარტუს (ესტონეთი) უნივერსიტეტის პროფესორი იყო.

1920 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორად, სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის შუამდგომლობით, მოიწვიეს ეკონომისტი, მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი ალექსანდრე მანუილოვი.³³

1918 წელს დამოუკიდებელ საქართველოში, თბილისში, ჩამოდის და აქ სახლდება ფრანგი ეროვნების მოდერნისტი მხატვარი იოსებ შარლემანი. ცნობილია, რომ მან ივანე ჯავახიშვილის კონსულტაციით შექმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო გერბი და იაკობ ნიკოლაძესთან ერთად მუშაობდა სახელმწიფო დროშის პროექტზეც.

განსახილველ პერიოდში თბილისი მასპინძლობდა: კომპოზიტორებს ნიკოლაი ჩერეპნინსა და ტომას დე გარტმანს, მხატვრებს სერგეი სუდეიკინს, საველი სორინს, პოეტ ვასილი კამინსკის, დრამატურგ ნიკო ლაიფერეინოვს, მხატვარსა და მწერალს ილია ზდანევიჩს, მოსკოვის კონსერვატორიის ცნობილ პიანისტს ალექსანდრ ბოროვსკის, მევიოლინე ბელოუსოვსა და სხვ.

რუსი კომპოზიტორი, დირიჟორი და პედაგოგი ნიკოლაი ჩერეპნინი 1918-1921 წლებში პეტროგრადიდან საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდა. 1919-1921 წლებში იგი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პედაგოგი და რექტორი იყო, ხელმძღვანელობდა ასევე კომპოზიციის კლასსაც.³⁴

საგულისხმოა, რომ თავის ქვეყანაში სამოქალაქო ომს გამორიდებულმა არაერთმა რუსმა მოღვაწემ თავშესაფარი საქართველოში პოვა. მაგალითად, თბილისში ჩამოვიდა მოსკოვის სამხატვრო თეატრის თითქმის მთელი დასი, რომელსაც აქ შემოქმედებით მოღვაწეობისათვის საჭირო ყველა პირობა ჰქონდა შექმნილი. 1920 წელს თბილისში იმყოფებოდნენ რუსული მხატვრული სიტყვის ცნობილი წარმომადგენლები იოსებ მანდელშტამი, ილია ერენბურგი³⁵ და სხვ.

თბილისში უცხოელ სტუმართა სიმრავლე ჰქონდა მხედველობაში იუმორისტულ ჟურნალს „ემმაკის მათრახი“, როდესაც წერდა: „ძველათ ამბობდნენ, ყველა გზა რომში მიდისო. ახლა ეს ანდაზა უნდა შეიცვალოს, რადგან დღეს ყველა გზა საქართველოში მოდის“.³⁶

თბილისში მყოფი უცხოელები ხშირად სტუმრობდნენ საქართველოს მუზეუმს, ოპერისა თუ დრამატულ თეატრებს, ადგილობრივ კლუბებს. გენერალ ფონ კრესს, მოგვიანებით კი ოლივერ უორდროპს ოპერის თეატრში ლოჟებიც ჰქონდათ გამოყოფილი.

32 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ. 11 ივნისი.

33 გაიპარაშვილი ზ., ლილუაშვილი მ., ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს ოქმები, 1917-192, თბ., 2006, გვ. 42, 219.

34 ქართული მუსიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბ., 2015, გვ. 531.

35 <https://sputnikgeorgia.ru/culture/20160220/230278103.html>

36 ჟურნ. „ემმაკის მათრახი“, 1922, №22, 18 აპრილი, გვ. 5.

თბილისში მყოფმა არაერთმა უცხოელმა დიპლომატმა თუ მაღალი რანგის ოფიცერმა თავისი ბედი ქართველ ასულებს დაუკავშირა, მათზე დაქორწინდა და ოჯახი შექმნა. სამაგალითოდ შეიძლება დავასახელოთ იტალიის კონსული ფრანზონი, რომელმაც ცოლად შეირთო საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრის მიხეილ მაჩაბლის ქალიშვილი მარინე მაჩაბელი; შოტლანდიელი გენერალ-მაიორი ნილ სტიუარტი, დიდი ბრიტანეთის ორი სამხედრო ჯვრისა და საფრანგეთის საპატიო ლეგიონის ორდენის კავალერი, რომელიც კავკასიაში მოკავშირეთა საოკუპაციო ჯარის ერთ-ერთი მეთაური იყო, ცნობილი ექიმისა და საზოგადო მოღვაწის, ვახტანგ ღამბაშიძის ქალიშვილ ჟორჟეტა ღამბაშიძეზე დაქორწინდა³⁷ და სხვ.

საქართველოს პირველი რესპუბლიკის სწრაფვა გამხდარიყო ჭეშმარიტად ევროპული ტიპის დემოკრატიული სახელმწიფო, რუსეთის ოკუპაციამ შეაჩერა, შესაბამისად განყდა ის კავშირ-ურთიერთობები, რაც მანამდე არსებობდა საქართველოს მეგობრებთან თუ უბრალოდ ამ ქვეყნით დაინტერესებულ უცხოელ საზოგადოებასთან.

Mirian Khositashvili

Foreigners in the capital of free Georgia (1918-1921)

Summary

Due to the state-political life of the Democratic Republic of Georgia, many foreigners visited the country's capital in 1918-1921. Among them were politicians, diplomats, high-ranking military men, writers, actors, journalists and others. The establishment of the University of Tbilisi in 1918 especially facilitated the visits of the representatives of the academic circles from foreign countries to Georgia. Political, intellectual and cultural processes conditioned visits of many interesting figures to the First Republic of Georgia.

The most important event in the life of free Georgia and its capital was the visit of numerous delegations of the Socialist International in the fall of 1920. The delegation included Carl Kautsky, Emile Vandervelde, Pierre Renaudel, Camille Hausman, Louis de Bruker, Ethel Snowden, Thomas Shaw, Ramsay MacDonald, Albert Ingels and others.

During the three-year period of independence, Tbilisi remembered many foreign visitors to the cultural and scientific fields. In Tbilisi, writers, musicians, artists, poets, actors, scholars, visitors, and often spies as travelers from Russian Empire and many other various countries gathered here.

The aspiration of the First Republic of Georgia to become a truly European-type democratic state was halted by Russian occupation, thus disrupting relations that existed before with friends of Georgia or simply with an international community interested in this country.

37 ნაცვლიშვილი პ., მოგზაურობა დროსა და სივრცეში ნათელა ნიკოლაძესა და ნინო სტიუარტთან ერთად, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2016 წ., 28 ივნისი.

ХРОНИКИ ГРУЗИНО-БАЛТИЙСКОЙ СОЛИДАРНОСТИ ВО ВТОРОЙ ПОЛОВИНЕ XX ВЕКА

История грузино-балтийских военно-политических, торгово-экономических и научно-культурных взаимоотношений насчитывает более тысячи лет.¹

На протяжении многих веков отношения между этими народами развивались с различной интенсивностью, в частности, носили порой межгосударственный, а порой частный характер. Прогрессивно мыслящая часть грузинского и балтийского народов бесстрашно боролась с клешнями кремлевской идеологии и политике русификации, что особенно стало заметно начиная с 50-ых годов XX века. В связи с этим между этими народами сформировалось своеобразное внутреннее чувство солидарности, проявлявшееся довольно-таки часто, несколько важных фактов которого мы приведём ниже.

Один из лидеров национально-освободительного движения Грузии – Акакий Викторович Бакрадзе (1928-1999), президент Общества Шота Руставели, критик, искусствовед, литературовед и публицист, как и другие лидеры этого движения, в своих публичных выступлениях никогда не скрывал своей большой симпатии к балтийцам, патриотизм и высокое государственное сознание которых он ставил в пример.

А. Бакрадзе, который в 1956 году путешествовал в Прибалтике, вспоминал: «Настроение великолепное, восторг безмерный. Одним глазком заглянули в Европу. Здесь все само собой разумеющееся – и народ, и язык, и город, и вчерашний день страны, и история, и настоящее... В Вильнюсе первое, что бросается в глаза, это изящность этого города... Здесь вы увидите большое количество коленопреклоненных молящихся. Среди них и молодежь, и женщины, и мужчины. В Литве, Латвии, Эстонии названия улиц переносят на русский в национальной форме... В Вильнюсе также высокая культура издания книг и газет. Мы должны перенять это у них... Увиденное мной в Литве, Латвии и Эстонии дало мне понять, что такое пусть даже лишь 20 лет свободы. Несмотря на то, что начиная с Петра I до Октябрьской революции они находились под господством России, они смогли всего за 20 лет независимости выкорчевать здесь всё русское. Необходимо еще двести лет для того, чтобы русское закрепилось здесь. Но сейчас настало такое время, что, вряд ли Россия долго сможет гулять в своих колониях. Эти народы сумели добиться того, чтобы в каждой области у них был свой человек. Здесь кондуктор, кельнер, рабочий и дворник – все местные «представители коренных народов».²

Театровед профессор В. Кикнадзе (1929-2016) вспоминал о том, в каких дру-

1 Джавахишвили Н., Очерки истории грузино-балтийских взаимоотношений, Тб., 2011 (на грузинском языке); Džavahišvili N., Ieskats Gruzijas un Baltijas tautu attiecību vēsturē, Rīga, 2015; Джавахишвили Н., Очерки истории грузино-балтийских взаимоотношений, Тб., 2019.

2 Джавахишвили Н., Очерки истории грузино-балтийских взаимоотношений, Тб., 2019, с. 370.

жеских отношениях со своими балтийскими коллегами был министр культуры Грузинской ССР в 1965-1984 годах Отар Васильевич Тактакишвили (1924-1989), композитор, дирижер, педагог, общественный деятель, лауреат многих премий, Народный артист СССР, автор музыки Государственного гимна Грузинской ССР.

В. Кикнадзе вспоминал: «Дни грузинской культуры» в ГДР закончились триумфом. Господин Отар проявил себя там как министр высокой культуры. Переводчиками он взял грузинских германистов. Тогда это было очень большой смелостью и уникальным событием. Как правило, переводчиками брали русских, так как русский язык должен был быть языком общения. В данном же случае, русский язык не понадобился ни одной из сторон. После «Дней грузинской культуры» члены Политбюро во главе с М. Сусловым в чрезвычайном порядке рассмотрели вопрос дней культуры братских республик и приняли свойственное им имперское решение. Не только в демократических странах, но и в братских республиках дни культуры не должны были больше проходить в такой форме. Были введены «Дни советской культуры», что означало участие России в культурной декаде каждой из советских республик. В то время Грузия и Эстония уже договорились о проведении «Дней грузинской культуры» в Эстонии. Во время пребывания Л. Брежнева в Грузии этот факт прозвучал даже в докладе Э. Шеварднадзе, однако, после принятия вышеуказанного постановления, всё изменилось. Как я уже сказал, встречи один на один между представителями советских республик были запрещены.

– «И, что нам сейчас делать? Нам запретили одним ехать в Эстонию. Мы должны что-то придумать», – сказал господин Отар и по «Вече» позвонил в Москву, в ЦК. Связался с одним из секретарей – П. Демичевым, который ответил, чтобы тот позвонил через полчаса, так как ему надо переговорить с М. Сусловым. Г-н Отар тут же звонит третьему секретарю ЦК Эстонской ССР. Эстония очень хотела провести у себя «Дни грузинской культуры». Они питали удивительную ненависть к Кремлю. Г-н Отар говорил с секретарем так, чтобы тот догадался, как должно быть проведено это мероприятие: «Вы же помните, что решение о проведении «Дней грузинской культуры» в Эстонии было принято до постановления Политбюро. Вы же уже объявили об этом. Наверное, об этом передавали по радио везде. И как можно обмануть народ, что скажет любимый нами эстонский народ... я через полчаса вновь должен перезвонить тов. Демичеву и скажу, что Эстония уже провела большую подготовку к этому мероприятию. Тем более, что и тов. Л. Брежнев в курсе дела, а Э. Шеварднадзе в своей статье докладывал о днях нашей культуры в Эстонии... Как можно так вводить в заблуждение народ!»

Я понял, что он передал эстонскому секретарю всю информацию по плану действий. Дал ему понять, как действовать. Я поднялся, чтобы выйти из кабинета. – «Не уходи, останься, не интересно, чем кончится?» Спустя десять минут звонит секретарь ЦК Эстонии и говорит г-ну Отару:– «Эстонское радио передало материалы о проведении «Дней грузинской культуры» в нашей стране. Мы уже связались с ЦК в Москве, все знают о проведении дней грузинской культуры в Эстонии. Народ нас не поймет, возникнет недовольство, если это мероприятие сорвется».

Г-н Отар рассмеялся: «Видишь, Васо, какой умный народ эстонцы. Сразу понял, что я имею в виду. За десять минут все сделали. А сейчас я позвоню Демичеву». Позвонил... Демичев сказал ему, что Эстония обеспокоена возможным срывом

предстоящего мероприятия и что раз тов. Брежнев проинформирован, декада должна состояться. Г-н Отар прямо, демонстративно показал мне, как надо делать национальное дело». ³

По сведениям известного грузинского писателя Фридона Халваши (1924-2010), осенью 1964 года, во время поездки в Китай и Вьетнам, руководитель их делегации Максаков, не скрывавший своего шовинистического отношения ко всем нерусским, находясь в нетрезвом состоянии, вспоминал, как их дивизия принимала участие в оккупации независимой Латвии. Халваши вспоминал: «Максаков почему-то вспомнил годы войны. На фронте, оказывается, он был полковником, начальником политуправления дивизии. «Мы освобождали Прибалтику», – начал он. В конце, когда он описал, как латыши обстреливали из окон этих «освободителей» – русских офицеров. «да, да, – русских», как он сам объяснял..., «щадил почему-то только грузин и других нерусских». Тогда уже я не выдержал и высказал ему: «Знаете, почему латыши тогда стреляли по вам? Потому, что вчера в Хайфоне Вы мне не дали сказать и слова!». ⁴

Здесь, Халваши подразумевал то, что Максаков ему, как нерусскому, не предоставил возможности выступить на торжественной встрече.

საპასუხოდ, ამიერკავკასიის კომისარიატის მოთხოვნით, დააპატიმრეს რეგიონში საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელი, კავკასიის საქმეთა საგანგებო კომისარი სტეფან შაუმიანი და რსდმპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის რამდენიმე წევრი, აიკრძალა ბოლშევიკური „Кавказский рабочий“,³⁸ დახურეს გაზეთები „ბრძოლა“,³⁹ „Банвори крик“⁴⁰ და სხვ.

სეიმის გახსნის დღეს, ბოლშევიკებმა თბილისში, ალექსანდრეს ბაღში ხალხმრავალი საპროტესტო მიტინგი მოაწყვეს. მომიტინგენი არ დაემორჩილნენ დაშლისაკენ პოლიციის მოთხოვნას და შეკრებილთ ამიერკავკასიის კომისარიატის დამხობისაკენ მოუწოდეს, რასაც მიტინგის ძალისმიერი საშუალებით დარბევა მოჰყვა. დაიღუპა რამდენიმე ადამიანი,⁴¹ რამაც ჩრდილი მიაყენა ახლადშექმნილ სეიმს.⁴²

სეიმის დაარსებას ხალისით არ შეხვედრია სომხური დაშნაკცუთუნის პარტია. ამ პოლიტიკური ორგანიზაციის მესვეურები ქართველ სოციალ-დემოკრატებს ბრალს ინტერნაციონალის ღალატში სდებდნენ. გაზეთი „აშხატავორი“ აცხადებდა: „მენშევიკების პარტიამ ინტერნაციონალურ-სრულიად კავკასიის დემოკრატიის პოლიტიკა მსხვერპლად შესწირა თავის ქართულ ეროვნულ პოლიტიკას“. გაზეთი იმედს გამოთქვამდა, რომ ქართული სოციალ-დემოკრატია დატოვებდა „თავის ტრადიციულ ანტისომხურ და მაჰმადიანთა გამოსარჩევის პოლიტიკას“ და დაშნაკცუთუნის პარტიასთან ერთად შეეცდებოდა შეექ-

36 Галоян А., Создание и крах Закавказского сейма (февраль-май 1918 г.), с. 158. [http://hpj.asj-oa.am/4491/1/1986-1\(157\).pdf](http://hpj.asj-oa.am/4491/1/1986-1(157).pdf)

37 Борьба за победу Советской власти в Грузии. Документы и материалы (1917-1921 гг.). Тб., 19-58, с. 186-187.

38 რსდმპ (ბ) თბილისისა და შემდეგ კავკასიის სამხარეო კომიტეტის რუსულენოვანი ყოველდღიური გამოცემა 1917-1918 წწ. გამოდიოდა თბილისში, რედაქტორები ს. კრასნოვი და ს. ქავთარაძე.

39 რსდმპ (ბ) თბილისის კომიტეტის ორგანო 1917-1918 წწ. რედაქტორები: მ. ცხაკაია და ფ. მახარაძე.

40 „მუშის ბრძოლა“ - სომხურენოვანი ბოლშევიკური მიმართულების გაზეთი, გამოდიოდა თბილისში 1917-1918 წწ. რედაქტორი ჯერ ასკანაზ მრავიანი, შემდეგ სარქის ხანოიანი.

41 ცნობილი ქართველი მუშა-რევოლუციონერის არაქელა ოქუაშვილის ცნობით, დაღუპულთა რაოდენობა 18 კაცამდე იყო. იხ. ოქუაშვილი ა., ჩემი მოგონებები, თბ., 2018, გვ. 226.

42 ქაზემზადე ფ. ბრძოლა ამიერკავკასიისათვის. 1917-1921, თბ., 2016, გვ. 117.

მნა ძლიერი მთავრობა „რევოლუციისა და კავკასიის დემოკრატიის გადასარჩენად“.⁴³

სოციალ-დემოკრატები უპასუხოდ არ ტოვებდნენ მათ მიმართ გამოთქმულ კრიტიკულ აზრს და მოწინააღმდეგეებს პირდაპირ პასუხობდნენ: „ჩვენებურ ნაციონალ-დემოკრატების და ფედერალისტების გზას რომ დავადგეთ, ამიერკავკასიაში ეროვნებათა ბრძოლა დაიწყება და ჩვენი კუთხეც სამოქალაქო ომის ასპარეზით გადაიქცევა“.⁴⁴ სეიმის თავმჯდომარის კარლო ჩხეიძის განცხადებით, ამიერკავკასიის სეიმი რევოლუციის ძვირფასი მონაპოვარია, რომელიც ხელს შეუწყობს რუსეთის დიდი რევოლუციის ლოზუნგების პრაქტიკაში დამკვიდრებას.⁴⁵

ქართველი სოციალ-დემოკრატები არ გამორიცხავდნენ, რომ თუ შექმნილი პირობების გამო რუსეთში დამფუძნებელი კრების იდეა მოკვდებოდა, სეიმი მხარის დამფუძნებელ კრებად გარდაქმნილიყო. რაც შეეხება ცალკე ერების დამფუძნებელი კრებების მოწვევას, მათი აზრით, ეს მხოლოდ მას შემდეგ გახდებოდა შესაძლებელი, როდესაც გამორკვეული და გადამიჯნული იქნებოდა სამხრეთ კავკასიის თითოეული ერის ტერიტორია.

საინტერესოა მიმდინარე მოვლენათა ერთ-ერთი ფხიზელი მეთვალყურის, მწერალ გრიგოლ რობაქიძის აზრიც. მისი სიტყვებით, „ამიერკავკასიის სეიმი ვერ სტოვებს ხელმწიფებითი მძლავრობის შთაბეჭდილებას“. მასში აბსოლუტურ უმრავლესობას მემარცხენე მიმართულების პარტიები შეადგენენ. „თანადროულს ხანაში „მარცხენობა“ პოლიტიკური იმედობის ერთნაირი იარაღი“⁴⁶, მაგრამ სეიმში, სადაც მხოლოდ მემარცხენენი გამეფებულან, „ეჭვი გებადებათ: ან დღენაკლული უნდა იყოს ასეთი პარლამენტი, ანდა სრულიად შემთხვევითი, სხვადასხვა გარემოების მიხედვით გახსნილი“.⁴⁶

სეიმში შემავალმა პოლიტიკურმა პარტიებმა მხარის საკანონმდებლო ორგანოს მესამე სხდომაზე, 1918 წლის 15 თებერვალს, წარადგინეს დეკლარაციები, რომლებშიც კიდევ ერთხელ მკაფიოდ გამოხატეს თავიანთი პოლიტიკური ორგანიზაციების დამოკიდებულება სეიმისა და ზოგადად, სამხრეთ კავკასიის წინაშე მდგარი გამოწვევებისადმი.

ნოე ჟორდანიამ სეიმის პრიორიტეტულ ამოცანებად ზავის, აგრარული, მუშათა და ნაციონალური საკითხები გამოჰყო. მომდევნო პრობლემების რიგში კი ფინანსები, შეიარაღებული ძალებისა და ქვეყნის მართვის საკითხები დაასახელა. ადგილობრივ ერთა გამიჯვნის საფუძვლად მან ტერიტორიული და ერთა თანასწორობის პრინციპი გამოაცხადა. რაც შეეხება შეიარაღებულ ძალებს, ნოე ჟორდანიას აზრით, იგი ნაცვლად ნაციონალური შენაერთებისა, უნდა ჩამოყალიბებულიყო ტერიტორიული პრინციპით და უშუალოდ დაქვემდებარებოდა სეიმს ან სეიმის რწმუნებულ ორგანოს.⁴⁷

43 გაზ. „ერთობა“, 1918 წ., 30 იანვარი.

44 გაზ. „ერთობა“, 1918 წ., 27 იანვარი.

45 Закавказский Сейм: Стенографический отчет. Сессия первая, заседание первое, Тифлис, 1918, с. 1-2.

46 გაზ. „საქართველო“, 1918 წ., 21 თებერვალი.

47 Закавказский Сейм: Стенографический отчет. Сессия первая, заседание третье, Тифлис, 1918, с. 6-9.

ნოე რამიშვილმა (სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია) უფრო დააკონკრეტა ნოე ჟორდანიას გამოსვლაში ჩამოყალიბებული საკითხები, რომლებმაც ასეთი ფორმულირება მიიღო: ომის ლიკვიდაცია კავკასიის ფრონტზე და მშვიდობიანი, კეთილმეზობლური ურთიერთობების აღდგენა მეზობელ ხალხებთან; მინის უსასყიდლოდ გადაცემა ამიერკავკასიის ყველა ერთა გლეხობისათვის; მთელ მხარეში 8 საათიანი სამუშაო კვირისა და ხელფასის მინიმუმის დანესება, სოციალური დაზღვევის, შრომის დაცვის უზრუნველყოფა; ტერიტორიული გამიჯვნა, ეროვნულ-ტერიტორიული კანტონების შექმნა სრული შინაგანი თვითმმართველობისა და ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვით.⁴⁸

ფინანსური პრობლემის მოწესრიგების გზად ნოე რამიშვილმა დასახა: 1. მასობრივი მოხმარების საგნებზე (პური, შაქარი, ნავთი და სხვ.) მონოპოლიის დანესება, 2. არსებითი მნიშვნელობის მქონე მრეწველობის ზოგიერთი დარგის ნაციონალიზაცია, 3. საკრედიტო დანესებულებათა მოქცევა სახელმწიფო ბანკის კონტროლქვეშ და 4. საგადასახადო სისტემისა და ტარიფების გადახედვა მოსახლეობის უქონელი ფენების ინტერესების შესაბამისად.

ქართველი ესერები სეიმის ჩამოყალიბების მიუხედავად, მაინც „რუსეთის საერთო ფრონტის“ იდეას ემხრობოდნენ. ამასთან, ღიად უჭერდნენ მხარს სეიმსაც, რომელსაც ცხოვრების მიერ წამოჭრილი ყველა საკითხის გადაწყვეტას უკავშირებდნენ. სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის წარმომადგენელმა ივანე ლორთქიფანიძემ დღის წესრიგში დასვა ეროვნულ-ტერიტორიული პარლამენტის შექმნის საკითხიც. მანვე სეიმის ამოცანებად გამოკვეთა: აგრარული საკითხის გადაჭრა მინის სოციალიზაციის გზით, ხელფასის მინიმუმის დანესება მრეწველობაზე სახელმწიფო და პროფკავშირების კონტროლის საფუძველზე, სახელმწიფო დაზღვევის შემოღება, უმუშევრობასთან ენერგიული ბრძოლა და სხვ. ესერთა დეკლარაცია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ასევე, ზავისა და ხელისუფლების საკითხებს, მოითხოვდა დემოკრატიულ – უანექსიო და უკონტრიბუციო ზავს და ერთპარტიული – სახალხო-სოციალისტური ხელისუფლების ფორმირებას.⁴⁹

სოციალისტ-ფედერალისტთა დეკლარაცია სეიმის წევრებს გიორგი ლასხიშვილმა გააცნო, რომელმაც ამიერკავკასიის სეიმის ჩამოყალიბება ფედერალისტთა პარტიის იდეების ზეიმად მოიხსენია. ამჟამინდელი სეიმი ის დანესებულებაა, – განაცხადა მან, რომლის შექმნა ჩვენ რევოლუციის მსვლელობამ გვიკარნახა გადაუდებელ საკითხთა გადასაჭრელად. იგი შედეგია იმისა, რომ ამიერკავკასია მოსწყდა დანარჩენ რუსეთს. ამიერკავკასიის თავისუფალმა ხალხებმა თვითგამორკვევის გზით უნდა ჩამოაყალიბონ ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიები, რომლებიც მხოლოდ ამის შემდეგ შექმნიან საერთო ხელისუფლებას ან საკავშირო სეიმს.

გიორგი ლასხიშვილის სიტყვებით, სეიმს, როგორც ამიერკავკასიის რევოლუციური დემოკრატიის წარმომადგენელ ორგანოს, უფლება არა აქვს დადოს სხვაგვარი ზავი თუ არა ღირსეული და დემოკრატიულ საწყისებზე დაფუძნებული.

48 Закавказский Сейм: Стенографический отчет. Сессия первая, заседание третье, Тифлис, 1918, с. 48-49.

49 Закавказский Сейм: Стенографический отчет. Сессия первая, заседание третье, Тифлис, 1918, с. 18; 21-22.

სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის დეკლარაციაში გაცხადებული იყო, რომ აგრარული რეფორმის დაყოვნება დამლუპველია. იგი, როგორც დიდი და ნამდვილი რევოლუციის ამოცანა, რადიკალური გზით უნდა გადაიჭრას: უნდა გაუქმდეს კერძო საკუთრება მიწაზე და განხორციელდეს მისი განსაზოგადოებრიობა.

რეგიონის ტერიტორიული გამიჯვნის საფუძვლად ფედერალისტთა პარტია ეროვნული განსახლების პრინციპს ასახელებდა ეროვნულ უმცირესობათა უფლებების ფართო უზრუნველყოფით და უმატებდა, რომ განსაკუთრებით პერიფერიებში, საჭირო იქნებოდა მოსახლეობის გამოკითხვა – რეფერენდუმი.⁵⁰

გიორგი გვაზავამ, რომელიც სეიმის სხდომაზე ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სახელთ გამოვიდა, გაუწვილა იმედეები იმათ, ვინც ჯერ კიდევ რუსეთის დემოკრატიასა და დამფუძნებელ კრებაზე ლაპარაკობდა და მათი ეიმედებოდა. განაცხადა, რომ არც ერთი და არც მეორე არ წარმოადგენს რეალურ ძალას და უმჯობესია ოცნებებს გამოვეთხოვოთ, რადგან მათი მოიმედება ხელს გვიშლის გამონვევების დაძლევაში. აუცილებელი იყო ამიერკავკასია აქამდეც ჩამოშორებოდა ბოლშევიკურ რუსეთს. ჩვენ მხოლოდ ჩვენს გადარჩენაზე უნდა ვიფიქროთ და სეიმი, როგორც აუცილებელი ინსტიტუტი, გავხადოთ რეალური ძალაუფლების მქონე ორგანოდ. რაც შეეხება სოციალურ და პოლიტიკურ საკითხებსაც კი, გიორგი გვაზავას აზრით, ისინი უნდა გადასცემოდა ადგილობრივ ხალხთა ეროვნულ საბჭოებს.⁵¹

სეიმის მოღვაწეობა რეგიონისათვის მეტად რთულ საერთაშორისო ვითარებას დაემთხვა. 1918 წლის 3 მარტს საბჭოთა რუსეთმა ბრესტ-ლიტოვსკში გერმანიასთან ხელი მოაწერა სეპარატულ ზავს, რომლის თანახმადაც, გერმანიის მოკავშირე ოსმალეთს, სამხრეთ კავკასიის დაუკითხავად, ბათუმის, არდაგანისა და ყარსის ოლქები დაუთმო.⁵² ამიერკავკასიის სეიმმა არ ცნო ბრესტის ზავის პირობები, რამაც რეგიონში ოსმალეთის ჯარების შემოჭრა გამოიწვია.

ამიერკავკასიის სეიმი და კომისარიატი შეეცადნენ კონფლიქტი დიპლომატიური გზით მოეგვარებინათ. ისინი დაჰყვნენ ოსმალეთის ინიციატივას, გამართულიყო სამშვიდობო მოლაპარაკებები ამიერკავკასიასა და ოსმალეთს შორის და 1918 წლის მარტში ტრაპიზონში (მაშინდელი ტრაპეზუნდი) გაგზავნეს დელეგაცია, რომელსაც აკაკი ჩხენკელი ხელმძღვანელობდა. სეიმი დარწმუნებული იყო, რომ მოლაპარაკებას საბოლოო ზავიც მოჰყვებოდა.

მოლაპარაკებაზე გაგზავნილ ამიერკავკასიის დელეგაციას სეიმმა შემდეგი ინსტრუქცია მისცა: საზავო ხელშეკრულება ოსმალეთთან უნდა დაფუძნებოდა რუსეთ-ოსმალეთის 1914 წლის, მსოფლიო ომის დაწყებამდე საზღვრებს; დელეგაცია უნდა ცდილიყო აღმოსავლეთ ანატოლიის თვითგამორკვევას, კერძოდ კი ოსმალეთის სომხებისათვის ოსმალეთის ფარგლებში ავტონომიის მიღწევას.⁵³

50 Закавказский Сейм: Стенографический отчет. Сессия первая, заседание третье, Тифлис, 1918, с. 30-31.

51 Закавказский Сейм: Стенографический отчет. Сессия первая, заседание второе, Тифлис, 1918, с. 11; Заседание третье, с. 39-44.

52 Мирные переговоры в Брест-Литовске с 22/9 декабря 1917 г. по 3 марта (18 февраля) 1918 г. Т. 1. Пленарные заседания. Заседания политической комиссии. М., 1920, с. 215.

53 Трапезундская и Батумская мирные конференции. Февраль - Май 1918 года. Документы и материалы. Под ред. Ир. Якобашвили, Тб., 2018, с. 108.

ოსმალეთის მხარემ, ფლობდა რა სამხედრო უპირატესობას, ანგარიში არ გაუწია ამ შეთავაზებას. მან მოლაპარაკების საფუძვლად ბრესტ-ლიტოვსკის ზავის უპირობო შესრულება და ამიერკავკასიის სუვერენულ სახელმწიფოდ გამოცხადება მოითხოვა. ვიდრე ტრაპიზონში დელეგაციები ერთმანეთში მემორანდუმებსა და ნოტებს ცვლიდნენ, ოსმალეთის ჯარი წარმატებული სამხედრო ოპერაციებით ყარსსა და არდაგანს უახლოვდებოდა.⁵⁴ მოლაპარაკება ჩიხში შევიდა. სეიმმა თავისი დელეგაცია თბილისში გაიწვია. ოსმალეთმა ამიერკავკასიის ხელისუფლებას 48 საათიანი ულტიმატუმი წაუყენა და მისგან არდაგანის, ყარსისა და ბათუმის ოლქებზე პრეტენზიების უარყოფა დაბეჯითებით მოითხოვა.⁵⁵ პარალელურად, ოსმალეთის არმია ამიერკავკასიის სიღრმეში მოიწვედა.

რადგან მოლაპარაკების გზით ოსმალეთთან საკითხის გადაჭრა ვერ მოხერხდა, 1918 წლის 5 აპრილს, სეიმმა მანიფესტი გამოაქვეყნა ამიერკავკასიის ერებისადმი და მათ იარაღით ხელში თავდაცვისაკენ მოუწოდა. სეიმის „მანიფესტში“ ხაზგასმული იყო, რომ ამიერკავკასიამ ყველაფერი გააკეთა, რათა გამწვავებული მდგომარეობა ოსმალეთთან მშვიდობიანი გზით მოეგვარებინა, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. „ოსმალეთი დაჟინებით იცავს თავის პირვანდელ მოთხოვნებს. მისი მიზანია მოსწყვიტოს ამიერკავკასია გარეშე ქვეყანას, დაახრჩოს და დაამონავოს ის. ...ამიერკავკასიის ერებს ზავი სწყურიათ, მაგრამ ეს ერები არ დასთანხმდებიან, რომ ზავი იყიდონ მონობისა და შერცხვენის საფასურით. ახლა ჩვენ ამოსარჩევათ გვაქვს: სამაცხვინო ზავი და მონობა თუ ომი?

სამშობლოსა და მომავალ თაობათა წინაშე ჩვენი დიდი პასუხისმგებლობის შეგნებით ჩვენ შეურყევლად ვარჩიეთ: სამარცხვინო ზავს ხელი არ მოვანეროთ. საზავო მოლაპარაკება ოსმალეთთან შეწყვეტილია. ამიერიდან ჩვენს შორის დავას გადასჭრის იარაღი ბრძოლის ველზე“⁵⁶ - ხაზგასმულია დოკუმენტში.

მიუხედავად იმისა, რომ ამ მიმართვამ ქართველი და სომეხი მოსახლეობის მხარდაჭერა პოვა⁵⁷ და სეიმმა მონინალმდეგესთან ომის დაწყების გადაწყვეტილებაც მიიღო, თავდაცვა შეუძლებელი გახდა. ოსმალეთის ჯარებმა ბათუმი და ოზურგეთი დაიკავეს, სამცხე-ჯავახეთში შემოიჭრნენ და სომხეთის მნიშვნელოვან ნაწილსაც დაუფლნენ.

სეიმი იძულებული შეიქმნა ოსმალეთის კარნახით ემოქმედა: 1918 წლის 9 (22) აპრილს მიღებულ იქნა გადანყვეტილება მხარის რუსეთისაგან გამოყოფისა და

54 ქაზიმზადე ფ., ბრძოლა ამიერკავკასიისათვის. 1917-1921, თბ., 2016, გვ. 126.

55 Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, Тифлис, 1918, с. 155-156; 138.

56 გაზ. „ერთობა“, 1918 წ., 5 აპრილი.

57 მუსლიმი აზერბაიჯანლები ოსმალეთთან ომს არ აპირებდნენ. მეტიც, მათ იმედი ჰქონდათ, რომ სამხრეთ კავკასიაში თურქთა შემოჭრას ბოლშევიკებისაგან ბაქოს განთავისუფლება მოჰყვებოდა. სეიმის მუსლიმური ფრაქციების რეზოლუციაში ოსმალეთთან ომის წინ აღნიშნული იყო, რომ ისინი მხარში ამოუდგებიან ამიერკავკასიის სხვა ხალხებს ამ გამონვევისას და ყველა ზომას მიმართავენ ომის ლიკვიდაციისათვის. იხ. Протоколы заседаний мусульманских фракций Закавказского Сейма и Азербайджанского национального совета, Баку, 2006, док. № 4.

ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის დაარსების შესახებ.⁵⁸

ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის საკითხი სეიმში აქამდეც არაერთხელ ყოფილა განხილვის საგანი. პირველად იგი 1918 წლის 13 თებერვალს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელმა გიორგი გვაზავამ წამოაყენა,⁵⁹ როგორც პასუხი ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკებაზე, მაგრამ მხადაჭერა ვერ პოვა. 22 თებერვალს დებატებიც გაიმართა. ნოე ჟორდანიამ განაცხადა: „როდესაც დგება არჩევანი – რუსეთი თუ ოსმალეთი, ჩვენ ვირჩევთ რუსეთს, მაგრამ არჩევანისას – ოსმალეთი თუ დამოუკიდებელი ამიერკავკასია, ჩვენ ვირჩევთ ამიერკავკასიის დამოუკიდებლობას. ... როდესაც გვეუბნებიან განადგურება თუ სეპარაცია, – ცხადია, მე სეპარაციის მომხრე ვარ“.⁶⁰ რეგიონის დამოუკიდებლობას მხარი რამდენიმე სხვა ფრაქციამაც დაუჭირა (წინააღმდეგ გამოვიდა სახალხო თავისუფლების ფრაქციის სახელით ი. სემიონოვი), მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება არც მაშინ მიუღიათ. სეიმის რეზოლუციაში ჩაიწერა: „განიხილა რა საკითხი ამიერკავკასიის დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების შესახებ, სეიმი ... საკითხის დადებითად გადაწყვეტას პრინციპულად დასაშვებად მიიჩნევს, ავალებს სპეციალურ კომისიას უმოკლეს დროში მის ყოველმხრივ დამუშავებას და გადადის მომდევნო საკითხზე“.⁶¹

ქართველი სოციალ-დემოკრატები აცნობიერებდნენ პრობლემის სიმწვავეს, მიუთითებდნენ, რომ „ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა ბუნებრივად გამომდინარეობს არსებული მდგომარეობიდან, რეალურ ძალთა განწყობილებისაგან“, რომ ამიერკავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნა ოსმალეთიდან მომდინარე საფრთხის თავიდან აცილების ერთადერთი საშუალებაა⁶², მაგრამ გადაწყვეტილების მიღებას არ ჩქარობდნენ. მათი გაზეთი „ერთობა“ წერდა: „ჩვენ არ შეგვიძლია ერთი დაკვრით გავწყვიტოთ კავშირი რუსეთთან, რომელიც ჯერ-ჯერობით ჩვენი მოკავშირეა. ვიცით, რომ დღევანდელ პირობებში რუსეთი ვერ გაგვიწევს დახმარებას, მაგრამ მასთან კავშირის განწყვეტა ოსმალეთის ხელში ჩაგვავადებს. ამიტომ „თუ კითხვა დადგება: ოსმალეთი თუ რუსეთი, – ჩვენი არჩევანი უკანასკნელისაკენ იქნება, ჩვენ რუსეთის საზღვრებში დარჩენას ვამჯობინებთ“.⁶³

1918 წლის აპრილისათვის შექმნილმა მდგომარეობამ სოციალ-დემოკრატიის ლიდერებს სხვა გადაწყვეტილებისაკენ უბიძგა და ახლა მათ თავიანთი თანა-

58 ამ მოვლენის თანამედროვის, ცნობილი ქართველი იურისტისა და დიპლომატის ზურაბ ავალიშვილის სიტყვებით: „არ შეიძლება ითქვას, რომ ფორმალური გამოსვლა რუსეთის იმპერიის შემადგენლობიდან მომხდარიყოს ეროვნული თავდავინყებული გატაცებით. არა, იგი გამონეული იყო პრაქტიკული საჭიროებით, ხელი უნდა მოეწერათ ზავისათვის“. იხ. ავალიშვილი ზ., საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, ტფ., 1926, გვ. 49.

59 Закавказский Сейм: Стенографический отчет. Сессия первая, заседание второе, Тифлис, 1918, с. 12.

60 Жордания Н., За два года. Доклады и речи. Тифлис, 1919, с. 76.

61 Закавказский Сейм: Стенографический отчет. Сессия первая, заседание девятое, Тифлис, 1918, с. 14; 56; 58.

62 გაზ. „ერთობა“, 1918 წ., 22 თებერვალი.

63 გაზ. „ერთობა“, 1918 წ., 7 აპრილი.

პარტიელებისა თუ მხარდამჭერი მუშათა წრეებისათვის იმის დასაბუთება მოუხდათ, რატომ გახდა საჭირო რუსეთისაგან სამხრეთ კავკასიის ჩამოშორება. მაგალითად, კარლო ჩხეიძე განმარტავდა, რომ „დამოუკიდებლობა აუცილებელი ნაბიჯია დემოკრატიისათვის“.⁶⁴ დავით ონიაშვილი კი, რომელმაც ფრაქციის სახელით სეიმში ამიერკავკასიის რუსეთისაგან გამოყოფის რეზოლუცია წარადგინა, გამოყოფას „პოლიტიკური აუცილებლობის აქტს“ უწოდებდა.⁶⁵ გაზეთი „ერთობაც“ თავის სარედაქციო წერილში განუმარტავდა მკითხველს, ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა „ის უებარი წამალია, რომელიც განკურნავს ხალხის ჭრილობებს და მას აღთქმის ქვეყანაში შეიყვანს, მაგრამ ამ ჟამად იგი ერთადერთი გამოსავალია“. რედაქცია არც იმას მაღავედა, რომ არჩეული გზა ია-ვარდით მოფენილი არ იქნებოდა და წინ კიდევ არაერთი ხიფათი იყო მოსალოდნელი.⁶⁶ ამიტომაც იყო რომ, როგორც კარლ კაუციკი წერდა: „ამიერკავკასია არა ერთბაშად, არამედ თანდათანობით გადგა გვერდზე“,⁶⁷ ხოლო ქართველი პუბლიცისტის იოსებ იმედაშვილის სიტყვებით: ამიერკავკასიის სეიმმა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა „ბევრი ყოყმანისა და ნაჯექ-უკუჯექობის შემდეგ“ დაადგინა.⁶⁸

საინტერესოა რომ, ქართული სოციალ-დემოკრატიის მეთაურმა ნოე ჟორდანიამ რუსეთისაგან ამიერკავკასიის გამოყოფის საკითხზე კენჭისყრისას თავი შეიკავა.⁶⁹ ამასთან ცნობილია შემდეგიც: ნოე ჟორდანიამ ამიერკავკასიის სეიმის თვითლიკვიდაციის შემდეგ, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების წინ, 1918 წლის 26 მაისს, ეროვნული საბჭოს სხდომაზე გამოსვლისას განაცხადა, რომ დაღუპული სახელმწიფოს – ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის ნაცვლად, შეიქმნება სამხრეთ კავკასიის ერთა ახალი სახელმწიფოებრივი კავშირი და ეს სახელმწიფო იქნება კავკასიის კონფედერაციული კავშირი. „ამით დამყარდება ამიერკავკასიის ერთობა და აქ მოსახლე ერების ძლიერება“. ნოე ჟორდანიას განცხადებით, სამხრეთ კავკასიის ერების სავალი გზა, მათი იდეალი უნდა იყოს კონფედერაციული კავშირის შედგენა. „ეს კავშირი იქნება ის სახელმწიფოებრივი ორგანიზმი სახელმწიფოთა კავშირი, – რომელიც საერთო ძალ-ღონე შეკრებილი, მთლიანი წარსდგება გარეშე მტრების წინაშე და დაიცავს თავის თავს. აი, მაშინ შეიძლება ასრულდეს ის, რაც სეიმმა ვერ შექმნა“.⁷⁰ მაგრამ, როდესაც კონკრეტულად დაისვა საკითხი, როგორი ხასიათის უნდა ყოფილიყო ცალკე სახელმწიფოებრივი ამიერკავკასია, მანამდე ცენტრალიზმის ერთგული ქართველი სოციალ-დემოკრატები ფედერაციის მომხრედ გამოვიდნენ და თავიანთი პოზიცია არსებული ვითარებისათვის ანგარიშის განევად, უფრო ტაქტიკური და პოლიტიკური მოსაზრებებით ახსნეს, ვიდრე პრინციპულით.⁷¹

64 გაზ. „საქართველო“, 1918 წ., 3 მაისი.

65 Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, Тифлис, 1919, с. 202-203.

66 გაზ. „ერთობა“, 1918 წ., 10 მაისი

67 კაუციკი კ., საქართველო გლეხთა სოციალ-დემოკრატიული რესპუბლიკა. შთაბეჭდილებანი და დაკვირვებანი, თბ., 2018, გვ. 137.

68 ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1918, # 7, 5 მაისი, გვ. 2-3.

69 ჟორდანი ნ., ჩემი წარსული, თბ., 1990, გვ. 88.

70 26 მაისი 1918. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, თბ., 1919, გვ. 7-8.

71 გაზ. „ერთობა“, 1918 წ., 3 მაისი.

სოციალისტ-ფედერალისტთა აზრით, ერთიანი სახელმწიფოს პრეროგატივა უნდა ყოფილიყო საგარეო პოლიტიკა, შეიარაღებული ძალები, საბაჟო და ფინანსები, ხოლო დანარჩენი საკითხები სამი რესპუბლიკის – საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ადგილობრივ მთავრობათა კომპეტენციად დარჩებოდა. ამ პარტიის ერთ-ერთი ლიდერის გრიგოლ რცხილაძის სიტყვებით, მათი პარტია მხარს არ დაუჭერდა ამიერკავკასიის არც მთლად ფედერაციულ და არც მთლად კონფედერაციულ სახელმწიფოებრივ მოწყობას, რადგან თანამედროვე ცხოვრების რეალობას უფრო შერეული – ფედერაციისა და კონფედერაციის ელემენტების შემცველი კონსტიტუცია შეეფერება.⁷² ზოგადად, ფედერალისტური პრესა უფრო კონფედერაციისაკენ იხრებოდა და მიუთითებდა, რომ „ამიერკავკასიის შემადგენელ ნაწილებს უნდა მიენიჭოთ მაქსიმუმი უფლებისა“.⁷³

ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაუყოვნებლივ გამოცხადება მოითხოვა.⁷⁴ მათი აზრით, თუ ამიერკავკასიის ერთობა შენარჩუნდებოდა, მას კონფედერაციის ხასიათი უნდა მიეღო. საგულისხმოა, რომ მსგავსი თვალსაზრისი მხარდაჭერას პოვებდა ქართული საზოგადოების ინტელიგენტურ ნაწილშიც. მაგალითად, ყურნალი „თეატრი და ცხოვრება“ წერდა: „როცა ჩვენ საკუთარი ძალ-ღონით საკუთარ – საქართველოს მმართველობას და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შევექმნით, მაშინ უფრო თავალებით, გულხალვათად შევალთ ამიერკავკასიის დემოკრატიულ რესპუბლიკის კავშირში“.⁷⁵

ამიერკავკასიის კონფედერაციის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა არც საქართველოს განთავისუფლების კომიტეტს, რომელიც პირველი მსოფლიო ომის დაწყებიდან ახლო ხანებში გერმანიის ხელშეწყობით ევროპაში ჩამოყალიბდა. კომიტეტი მთელ ძალისხმევას რუსეთის იმპერიული უღლისაგან საქართველოს გამოხსნასა და მის სუვერენულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას ახმარდა, თუმცა არსებული ვითარებიდან გამომდინარე, არც ამიერკავკასიის კონფედერაციის იდეას უარყოფდა. კომიტეტის წევრთა აზრით, მომავალი კონფედერაციის შემადგენელ ელემენტებს ჯერ უნდა შეექმნათ საკუთარი პოლიტიკური ცხოვრების საფუძვლები, შემოეფარგლათ საკუთარი ტერიტორია და გაეცლოთ თვითორგანიზებისა და თვითჩამოყალიბების პროცესი. მხოლოდ ამის შემდეგ, თითოეულის მიერ სწორად გაგებული საერთო ინტერესებზე დაყრდნობით, შეიძლებოდა ერთმანეთთან შეექმნათ კონფედერაციული სახის კავშირი.⁷⁶ ამიერკავკასიის კონფედერაციის იდეას იზიარებდნენ ქართველი სოციალისტ-რევოლუციონერებიც.⁷⁷

კონფედერაციის მომხრე იყო აზერბაიჯანული პოლიტიკური პარტიის მუსავატის ლიდერი მ. რასულზადე, რომელიც აცხადებდა, რომ აზერბაიჯანი წა-

72 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1836, ანან. 1, საქმ. 5, ფურც. 107.

73 გაზ. „სახალხო საქმე“, 1918 წ., 9 მაისი.

74 Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, Тифлис, 1919, с. 229-233.

75 ყურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1918, 5 მაისი, # 7, გვ. 2-3.

76 მამულია გ., ასტამაძე გ., საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტატი 1914-1918, დოკუმენტები და მასალები, თბ., 2019, გვ. 592; 603.

77 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1836, ანან. 1, საქმ. 5, ფურც. 110.

რმოუდგენია აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთისა და ჩრდილოეთ კავკასიისაგან შემდგარ კავკასიის სამოკავშირეო სახელმწიფოს კონფედერაციულ ნაწილად.⁷⁸

სეიმის აზერბაიჯანელმა დეპუტატებმა თავიანთი ფრაქციების გაერთიანებულ სხდომაზე 1918 წლის 3 მაისს, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანისა და ჩრდილოეთ კავკასიის კონფედერაციის იდეა წამოაყენეს, ისე რომ, ჩრდილოეთ კავკასიისა და აზერბაიჯანს ერთი ფედერაციული ერთეული შეედგინათ.⁷⁹ საყურადღებოა, რომ დალესტანი და ჩრდილოეთ კავკასიის ნაწილი ამიერკავკასიის რესპუბლიკაში გაერთიანებას ითხოვდა⁸⁰. იმის აღნიშვნაც შეიძლება, რომ სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიის გაერთიანება დასაშვებად მიაჩნდა 1918 წლის მაისში, ბათუმში, ოსმალეთ-ამიერკავკასიის მოლაპარაკებების დამსწრე გერმანიის დელეგაციის მეთაურს გენერალ ფონ ლოსოვსაც.⁸¹

ამიერკავკასიის სეიმისა და ახლად შექმნილი ფედერაციული რესპუბლიკის ფუნქციონირების პერიოდში, საგარეო გართულებებთან ერთად, მწვავედ იჩინა თავი საშინაო სიძნელეებმაც, რაც უმთავრესად განპირობებული იყო ერთაშორის ურთიერთობათა მოუწესრიგებლობით. განსაკუთრებით გაამწვავა ვითარება ჯერ 1918 წლის თებერვლის ტრაგიკულმა მოვლენებმა ერევანსა და ერევანის მაზრაში და შემდგომ ბაქოში, იმავე წლის მარტში, რომლებიც სომეხ-თართა ხოცვა-ჟლეტაში გამოიხატა.⁸² აგრარული საკითხის გადაუჭრელობით განპირობებული გლეხთა უკმაყოფილება ბოლშევიკებმა თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში მათი საპროტესტო გამოსვლებისათვის გამოიყენეს. პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა ექსცესებს სოხუმის ოლქსა და შიდა ქართლის ოსებით დასახლებულ სოფლებში, სადაც ბოლშევიკები საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას ცდილობდნენ, ამ კუთხეების საქართველოსაგან ჩამოშორებისა და რუსეთთან შეერთების მოთხოვნით გამოდიოდნენ. სეიმი სხვადასხვა ფრაქციის წარმომადგენელთა მონაწილეობით ქმნიდა სპეციალურ საგამომძიებლო კომისიებს და გზავნიდა ადგილებზე ხსენებული არეულობათა შესასწავლად, მაგრამ ანარქიის სრულ აღკვეთას ვერ ახერხებდა.

მართალია, გარკვეული ვადით ერთ სახელმწიფოდ თანაცხოვრებაზე შეთანხმდნენ, მაგრამ როგორც საქართველოს, ისე სომხეთისა და აზერბაიჯანის სა-

78 Алиева С. М. Э. Расулзаде и идея объединения Кавказа. Этногенез и этническая история народов Кавказа. Материалы I Международного нахского научного конгресса г. Грозный. 11–12 сентября 2018 г. Грозный, 2018, с. 135.

79 Протоколы заседаний мусульманских фракций Закавказского Сейма и Азербайджанского национального совета, Баку, 2006, док. № 14; Багирова И. Азербайджанское представительство в Закавказском Сейме и Федерации (февраль-май 1918 г.), с. 8. [http://www.clio-caucasus.org/assets/files/Багирова---Азербайджанское-представительство-в-Закавказском-Сейме-и-Федерации-\(февраль-май-1918-г.\).pdf](http://www.clio-caucasus.org/assets/files/Багирова---Азербайджанское-представительство-в-Закавказском-Сейме-и-Федерации-(февраль-май-1918-г.).pdf)

80 Жордания Н. За два года. Доклады и речи. Тифлис, 1919, с. 90; Аветисян Г. К вопросу о Кавказском доме и пантюркистских устремлениях. <http://poli.vub.ac.be/publi/etni-1/avetisyan.htm>

81 ბახტაძე მ., მამულია გ., მასალები საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 2005, გვ. 19.

82 ბაქოს ამბებში აზერბაიჯანელი ისტორიკოსი ზ. ალიზადე ბაქოს ბოლშევიკურ საბჭოს ლიდერებსა და დამნაცუტუნის პარტიასთან ერთად ამიერკავკასიის სეიმის ხელმძღვანელობასაც ადანაშაულებს. იხ. Ализаде З., Азербайджанно-Армянские политические отношения в 1917-1918 годах, Кавказ и глобализация, 2008, т. 2, вып. 2, с. 177.

ზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალები მიიჩნევდნენ, რომ სეიმი დროებითი გაერთიანება იყო. სამივე ხალხის წარმომადგენლები თავიანთ ეროვნულ საბჭოებში იმთავითვე სამომავლო თადარიგს იჭერდნენ, ქმნიდნენ ტერიტორიული გამიჯვნის, საზღვრების დამდგენ, საკონსტიტუციო კომისიებს და სხვ. 1918 წლის 14 აპრილს სეიმში ამიერკავკასიის რესპუბლიკის კონსტიტუციის შესამუშავებლად კომისიაც შექმნეს,⁸³ მაგრამ სეიმის საქმიანობა დიდხანს აღარ გაგრძელებულა.

ამიერკავკასიის სეიმისა და ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის მოკლენიანი არსებობა, მის ისტორიაზე დაკვირვება და ანალიზი საშუალებას იძლევა ითქვას შემდეგი:

ამიერკავკასიის სეიმი საერთაშორისო კონიუნქტურით განპირობებული, ნაჩქარევად შექმნილი, არამყარი ერთობა იყო, რომელმაც ვერ გაუძლო დროის გამოწვევას. სეიმმა ვერ მართა რეგიონის ინტეგრაციული პროცესი, ვერ შეძლო ეროვნული საზღვრების გამიჯვნა, ვერ აღკვეთა ეთნიკური კონფლიქტები და ვერც ამიერკავკასიის ერთა ინტერესები მოაქცია ერთიან კალაპოტში. სწრაფცვალებად, დინამიურ დროში, რომელსაც მისი არსებობა ემთხვევა, სეიმმა მხოლოდ ოთხი არასრული თვე იარსება. 1918 წლის 26 მაისს იგი ცივილიზებული ფორმით დაიშალა და დარჩა, როგორც მოკლე ეტაპი სამი ახალი სახელმწიფოს – საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკების წარმოშობის გზაზე.

მიუხედავად ამისა, ამიერკავკასიის სეიმმა შექმნა გარკვეული გამოცდილება, დაგვიტოვა ისტორიული გაკვეთილი, რომლის ცოდნა საჭირო და აუცილებელია, როგორც წარსულში უკეთ გარკვევის, ისე დღევანდელი საფუძვლიანი გააზრებისა და სამომავლო ურთიერთობათა განვითარების თვალსაზრისითაც.

სეიმის ისტორია ცხადყოფს, რომ რეგიონის სამი დომინანტი ერის ურთიერთობებში იკვეთება სამხრეთკავკასიური ერთობის ორი დონე: 1. თანაცხოვრება ერთ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ ერთეულში და 2. თანამშრომლობა. ამ უკანასკნელს ალტერნატივა არა აქვს არც დღეს და არც მომავალში, ხოლო, რაც შეეხება პირველს, – იმ ფორმით, რა ფორმითაც ის 1918 წლის 22 აპრილიდან 1918 წლის 26 მაისამდე არსებობდა, – უპერსპექტივოა.

83 გაზ. „საქართველო“, 1918 წ., 1 მაისი; Мацаберидзе М., Разработка Конституции Закавказского Сейма и Национальный Совет Грузии, Кавказ и глобализация, 2008, т. 2, вып. 2, с. 151-169; Багирова И., Закавказский сейм: Несостоявшееся объединение центрального Кавказа. Кавказ и глобализация, 2008, т. 2, вып. 2, с. 147.

Transcaucasian Sejm and Georgian Political Spectrum

Summary

In the first decade of February 1918, with the agreement of the Transcaucasian Commissariat and revolutionary bodies of the region, was formed the Transcaucasian Sejm which, in addition to local deputies of the Constituent Assembly of Russia, also included the representatives of the political parties of the region in proportion to the votes received in the elections of the Assembly. The number of Sejm members consisted 111.156 Georgian Social – Democrats got 32 mandates, Azerbaijan Musavat Party got 30 and Armenian Dashnaktsutyun got 27 mandates.¹⁵⁷ The National – Democratic and Socialist – Federalist parties of Georgia in Sejm were represented by each deputy – Giorgi Gvazava and Giorgi Laskhishvili and from SR party Ivane Lortkipanidze got the mandate.

The short existence of the Transcaucasian Sejm and the Transcaucasian Democratic Federative Republic, observation and analysis of its history allows us to conclude the following:

The Transcaucasian Sejm, provided with the international conjuncture, was a hastily formed, unstable unity, which failed to endure time challenge. Sejm failed to manage the integrative process of the region, failed to separate national borders, could not eliminate ethnic conflicts and could not bring the interests of the Transcaucasian nations together. Sejm existed for only four incomplete months in quickly changeable and dynamic period. On May 26, 1918 it broke down in a civilized form and remained as a short stage on the path to the emergence of three new states – Republics of Georgia, Azerbaijan and Armenia.

Despite this, the Transcaucasian Sejm has gained some experience, leaving us a historical lesson which is necessary and essential for us to know in order to better understand the past and realize the present thoroughly and develop future relations.

ზვიად გამსახურდიას საქართველოს მწერალთა კავშირში ბანევერიანების თარიღის დაზუსტებისათვის

საქართველოს მწერალთა კავშირი – „სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის“ სახელწოდებით 1917 წლიდან არსებობს. საბჭოთა ხელისუფლების წლებში მას არაერთხელ შეეცვალა სახელი და არაერთხელ მოხდა მისი რეორგანიზაციაც.

საბჭოთა პერიოდში საქართველოს მწერალთა კავშირი, ფაქტობრივად, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთ იდეოლოგიურ დაწესებულებას წარმოადგენდა. ხელისუფლების მითითებით, მწერალთა კავშირი ახორციელებდა მწერლებზე ზედამხედველობას, ატარებდა ხელოვნურ, სწორხაზოვან ღონისძიებებს „ლიტერატურის პარტიულობის“, „სოციალისტური რეალიზმისა“ და სხვა ანტილიტერატურული პრინციპების დასანერგად. შესაბამისად, ჩამოყალიბდა მწერალ-ფუნქციონერთა კასტა, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება კარგად იყენებდა „მიუღებელი“ მწერლების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ორგანიზაციის წევრებს უბეჭდავდნენ კრებულებს, უწყობდნენ საიუბილეო და შემოქმედებით საღამოებს, უნიშნავდნენ ჰონორარებს, აწინაურებდნენ მაღალ თანამდებობებზე და ა. შ.

ქართველი მწერლების გარკვეული ნაწილი ცდილობდა საქართველოს მწერალთა კავშირში განეწვრიანებულიყო, თუმცა შეფარვით საკუთარ შემოქმედებაში ეროვნული იდეალები დაეცვა და ერის წინამძღოლის ფუნქცია შეესრულებინა.

ამდენად, შეიძლება ითქვას, საქართველოს მწერალთა კავშირი ერთგვარად გარეულ მდგომარეობაში იმყოფებოდა – ერთი მხრივ იდგა საბჭოთა ხელისუფლების სამსახურში, თუმცა მეორე მხრივ, ერის წინამძღოლის ფუნქციის შესრულებას ცდილობდა. ამასთან, საქართველოს მწერალთა კავშირი უპირისპირდებოდა მას, ვინც ერის მესვეურებაში შეეცილებოდა. ამ დაპირისპირების თვალსაჩინო მაგალითია ზვიად გამსახურდიასა და საქართველოს მწერალთა კავშირის ურთიერთობა.

1977 წლის მარტში საქართველოს მწერალთა კავშირმა საქართველოს პროკურატურიდან მასალები მიიღო, სადაც საუბარი იყო ზვიად გამსახურდიას ანტისაბჭოთა საქმიანობის შესახებ. პროკურატურა მწერალთა კავშირს რეაგირებისაკენ მოუწოდებდა. საქართველოს მწერალთა კავშირმაც არ დააყოვნა და 1977 წლის 1 აპრილს გამართულ სხდომაზე მწერლებმა დაგმეს ზვიად გამსახურდიას ანტისაბჭოთა საქმიანობა და ის ორგანიზაციიდან ერთხმად გარიცხეს.¹

ამდენად, საქართველოს მწერალთა კავშირიდან ზვიად გამსახურდიას გარიცხვის ზუსტი თარიღი ცნობილია – 1977 წლის 1 აპრილი, რასაც ვერ ვიტყვით ორგანიზაციაში მისი განეწვრიანების თარიღთან დაკავშირებით.

ქართულ ვიკიპედიაში ზვიად გამსახურდიას საქართველოს მწერალთა კავშირში წევრობის პერიოდად მითითებულია 1970-1977 წლები.² ანალოგიური პე-

1 საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 8, ანან. 1, საქმე 2913, ფურცლები 1-60; სხვათაშორის ფართო საზოგადოებაში გავრცელებულია მოსაზრება, რომ თითქოს მხოლოდ ჯანსუღ ჩარკვიანმა დაიცვა ზვიად გამსახურდია, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს. ჯანსუღ ჩარკვიანი სხდომას საერთოდ არ ესწრებოდა.

2 <https://tinyurl.com/253cbxhp>.

რიოდა მითითებული საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.³ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე ზ. გამსახურდიას საქართველოს მწერალთა კავშირში წევრობის პერიოდად 1966-1977 და 1981-1992 წლებია აღნიშნული.⁴

ამდენად, ქართულ ვებ-გვერდებზე ზვიად გამსახურდიას საქართველოს მწერალთა კავშირში განწევრიანების ორი თარიღია მოცემული: 1966 და 1970 წლები.

საინტერესოა 1977 წლის 1 აპრილს საქართველოს მწერალთა კავშირში გამართული სხდომის სტენოგრამიდან ერთი ადგილი, სადაც ორგანიზაციის წევრი ირაკლი აბაშიძე სვამს კითხვას, თუ როდის განწევრიანდა ზვიად გამსახურდია საქართველოს მწერალთა კავშირში? თავად ზვიად გამსახურდიამ მისი ორგანიზაციაში განწევრიანების თარიღად 1966 წელი დაასახელა, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ გრიგოლ აბაშიძემ კი განაცხადა, რომ მას მაგიდაზე ედო საბუთები, რომლის მიხედვითაც ზვიად გამსახურდია საქართველოს მწერალთა კავშირში 1968 წელს განწევრიანდა. შემდეგ გრიგოლ აბაშიძემ ბოდიში მოიხადა და განაცხადა, რომ 1965 წელს მიუღიათ ზვიად გამსახურდია მწერალთა კავშირში.⁵

ამდენად, 1977 წლის 1 აპრილს საქართველოს მწერალთა კავშირში გამართულ სხდომაზე ზვიად გამსახურდიას მწერალთა კავშირში განწევრიანების სამი თარიღი დასახელდა: 1965, 1966 და 1968 წლები.

ჩვენ გადავამოწმეთ 1965 წელს საქართველოს მწერალთა კავშირის წევრების სია. 1965 წლის 30 დეკემბრის მონაცემებით საქართველოს მწერალთა კავშირში ირიცხებოდა 260 ადამიანი, მათ შორის ზვიად გამსახურდია არ ფიგურირებს.⁶ დოკუმენტს აქვს მინაწერი: „ამ სიაში ჩამატებულია 1966 წ. 24 იანვარს მიღებული ნიკო კეცხოველი და ლევან ხაინდრავა. სულ თბილისში წევრი 262. გარდაიცვალა ჰ. აბაშიძე, რჩება 261“.⁷

ზვიად გამსახურდია არ ფიგურირებს საქართველოს მწერალთა კავშირის წევრებს შორის არც 1966 წელს.⁸

ზვიად გამსახურდიას საქართველოს მწერალთა კავშირიდან გარიცხვის შემდეგ საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა გიორგი ჟორჯოლიანმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის საგამომძიებლო განყოფილების უფროსს ა. მირიანაშვილს გაუგზავნა ზვიად გამსახურდიას დახასიათება, სადაც საქართველოს მომავალი პრეზიდენტის მწერალთა კავშირში განწევრიანების თარიღად 1968 წელია მითითებული.⁹

3 <https://tinyurl.com/2nacxkw6>.

4 <https://tinyurl.com/yez58ea>.

5 საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 8, ანაწ. 1, საქმე 2913, ფურცლები 1-60.

6 საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 8, ანაწ. 1, საქმე 2310, ფურცლები 15-60.

7 საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 8, ანაწ. 1, საქმე 2310, ფურცელი 60.

8 საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 8, ანაწ. 1, საქმე 2372, ფურცლები 1-43.

9 ოქროს საწმისი. ქართული თვითგამოცემა 30 წლისა (ყურნალი „ოქროს საწმისი“ N1, 2, 3,4). შემდგენელი და რედაქტორი მანანა არჩვაძე-გამსახურდია, თბილისი, 2006, გვ. 12.

ამდენად, ზვიად გამსახურდიას საქართველოს მწერალთა კავშირში განევრიანების შემდეგი თარიღებია დასახელებული: 1965, 1966, 1968 და 1970 წლები.

საქართველოს ეროვნულ არქივში ჩვენ მივაკვლიეთ დოკუმენტს, რომელიც ასახავს ზვიად გამსახურდიას საქართველოს მწერალთა კავშირში მიღების თარიღსა და პროცედურას.

1968 წლის 6 თებერვალს გაიმართა საქართველოს მწერალთა კავშირის მიმღები კომისიის სხდომა (ოქმი N36), რომელსაც ესწრებოდნენ: ს. ჭილაია, რ. ჯაფარიძე, კ. ლორთქიფანიძე, მ. მაჭავარიანი, კ. კალაძე, ა. სულაკაური, ნ. ჩაჩავა, ბ. ჟღენტი, მ. ბარათაშვილი, გ. გაჩეჩილაძე, ვ. კანდელაკი, გ. გოგიჩაიშვილი, ე. ფეიგინი, რ. ავაბაბიანი და მარიჯანი.

სხდომას ს. ჭილაია თავმჯდომარეობდა, მდივობდა – მ. ალექსიძე.

სერგი ჭილაიამ მიმღები კომისიის წევრებს აცნობა, რომ ერთი თვის განმავლობაში რევაზ ჯაფარიძე და მარიჯანი (მარიამ ტყემალაძე) ამონმებდნენ საქართველოს მწერალთა კავშირში განევრიანების მსურველთა განცხადებებს (შესული იყო 120 განცხადება). რევაზ ჯაფარიძემ კანდიდატების სია წარუდგინა მწერალთა კავშირის სამდივნოს, რომელმაც თავის მხრივ გადაამოწმა აღნიშნული სია.

რევაზ ჯაფარიძის განმარტებით, კანდიდატებს შორის იყვნენ პოეტები, პროზაიკოსები, საბავშვო მწერლები, დრამატურგები, მთარგმნელები, კრიტიკოსები და რუსი მწერლები. თითოეულ კანდიდატს, მწერალთა კავშირის წესდების შესაბამისად, წარმოდგენილი ჰქონდა ანკეტა, ბიოგრაფია, რეკომენდაციები, სექციიდან შუამდგომლობა, აგრეთვე თავიანთი ნაწარმოებების სია და წიგნები.

კანდიდატებს შორის იყო პროზაიკოსი ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდია. მიმღებ კომისიას წარუდგინა ზვიად გამსახურდიას მოკლე ბიოგრაფია, რომელშიც ვკითხულობთ: დაიბადა ქ. თბილისში 1939 წელს მწერალ კონსტანტინე გამსახურდიას ოჯახში, უმაღლესი განათლებით, 1957-1962 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (დიპლომი N119003). იცის ინგლისური და ფრანგული ენები, თარგმნილი აქვს ოსკარ უაილდის ზღაპრები – „მებადური და მისი სული“, „ვარდი და ბავშვი“, „თავკერძა გოლიათი“, შელის „განთავისუფლებული პრომეთე“, რ. ფროსტის და სტივენსის ნაწარმოებები.

ზვიად გამსახურდიას საქართველოს მწერალთა კავშირში განევრიანებას რეკომენდაციას უწევდნენ: პავლე ინგოროყვა, ელგუჯა მალრაძე და აკაკი განურელია.

მიმღებმა კომისიამ იმსჯელა თითოეული კანდიდატის შესახებ, რომლის შემდეგაც ფარული კენჭისყრა გაიმართა. 120 კანდიდატიდან მხოლოდ 13 მათგანის განცხადება დაკმაყოფილდა.

საქართველოს მწერალთა კავშირის წევრები გახდნენ:

გურამ გეგეშიძე;

გურამ დოჩანაშვილი;

ვალერიან ჩექურიშვილი;

გივი ჭიჭინაძე;

იდა ბესტავაშვილი;

ზვიად გამსახურდია;

ბორის გასი;

კარლო კობერიძე;

სარგის ცაიშვილი;
ედუარდ ელიგულაშვილი;
სერგი წულაძე;
ანზორ აბულაშვილი;
მარინა გელვი.¹⁰

ამდენად, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ზვიად გამსახურდია საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი 1968 წლის 6 თებერვალს გახდა და არა 1965, 1966 ან 1970 წლებში, როგორც ეს დღემდე იყო ცნობილი. შესაბამისად, აუცილებელია გასწორდეს ის მცდარი თარიღები, რომელიც ზვიად გამსახურდიას საქართველოს მწერალთა კავშირში განწევრიანებასთან დაკავშირებით არის ცალკეულ ოფიციალურ ქართულ ვებ-გვერდებზე მითითებული.

Levan Jikia

In order to specify the date when Zviad Gamsakhurdia became a member of the Georgian Writers' Union

Summary

The different dates of membership of Zviad Gamsakhurdia, the first President of Georgia, in the Georgian Writers' Union, are indicated on the Georgian websites. In the Georgian Wikipedia, the year 1970 is mentioned as the date when Zviad Gamsakhurdia became a member of the Georgian Writers' Union. The analog period is indicated on the official webpage of the President of Georgia (www.president.gov.ge). According to the website of the National Library of the Parliament of Georgia (www.nplg.gov.ge) Zviad Gamsakhurdia enrolled the Georgian Writers' Union in 1966.

We tracked down the archive document reflecting the exact date and the procedures of Zviad Gamsakhurdia's admission to the Georgian Writers' Union.

On the 6th of February, 1968 the meeting held in the Georgian Writers' Union should have discussed the issue of accepting new members into the organization. Zviad Gamsakhurdia recommended by Palve Ingorokva, Elguja Maghradze, and Akaki Gatserelia, was among the candidates. The commission judged the issue regarding the candidates represented and issued a positive recommendation for thirteen of them, and Zviad Gamsakhurdia was among these thirteen persons. Respectively, we can doubtlessly say that on the 6th of February, 1968 Zviad Gamsakhurdia became a member of the Georgian Writers' Union.

¹⁰ საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 8, ანან. 1, საქმე 2446, ფურცლები 1-17.

სარჩევი

მისალმებები იუბილარს	3
ოთარ ჯანელიძის ცხოვრება და საქმიანობა.....	43
აღიარება მხოლოდ შრომით მოდის... (პროფესორ ოთარ ჯანელიძის დაბადებიდან 70 წლისთავის გამო) – ალექსანდრე დაუშვილი	45
პროფესორ ოთარ ჯანელიძის სამეცნიერო პუბლიკაციები	59
Scientific publications of Professor Otar Janelidze	59
პროფესორ ოთარ ჯანელიძის 70 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები	93
მიხეილ ბახტაძე – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და 1918-1921 წლების სამხედრო მოქმედებები	95
მანანა დარჩაშვილი – რელიგიის თავისუფლების საკითხი ბალტიის ქვეყნებში.....	102
ალექსანდრე დაუშვილი – საქართველოს კოლმეურნეთა დახმარება ფრონტსა და ოკუპანტებისაგან განთავისუფლებულ რაიონებს	115
რუსუდან დაუშვილი – ქართული ემიგრაციის პირველი ტალღის განსახლება და საქმიანობა საფრანგეთში (1921-1939).....	124
ქეთევან გიგაშვილი, გიორგი გოცირიძე – მეცნიერული სამართლიანობის აღდგენის ერთი ფაქტისათვის ტერმინოლოგიურ დისბალანსთან მიმართებით.....	133
İbrahim Telliođlu – An Evaluation of the Change that Emerged in Anatolia During the 13 th Century.....	146
კახა კვაშილავა – მურზაყან შარვაშიძის ბიოგრაფიისათვის	156
ელდარ მამისთვალიშვილი – თეატინები აღმოსავლეთ საქართველოში	163
მალხაზ მაცაბერიძე – ვარლამ ჩერქეზიშვილის დაბრუნება: საქართველოში წაკითხული ლექციები	178
ივანე მენთეშაშვილი – ნაპოლეონი და მისი ხელისუფლება.....	188

პაატა ნაცვლიშვილი – აქა ამბავი უცხოეთში გამოცემული ერთი ქართული წიგნისა	195
ავთანდილ ნიკოლეიშვილი – ლირიკული წიაღსვლები „ვეფხისტყაოსანში“	229
ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილი – უცნობი დოკუმენტები ევგენი დალევჯიოს არქივიდან: არქიმანდრიტი ნიკოლოზ ნამორაძე და „თავისუფალ საქართველოს კომიტეტი“	234
მურმან პაპაშვილი – სულხან-საბა ორბელიანის რელიგიური დიპლომატია საფრანგეთ-ოსმალეთისა და საფრანგეთ-ირანის კაპიტულაციების კონტექსტში	270
Chinara Gabil Safarova – Azerbaijan-Turkey-Georgia Political and Military Coordination in the South Caucasus at the XX Century and the Beginning of the XXI Century.....	285
დიმიტრი სილაქაძე – კაპიტანი სიმონ შავგულიძე – მეომრის გზა	292
ავთანდილ სონღულაშვილი – რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ავვისტოს ომის შედეგები და შეფასებები.....	305
გიორგი სოსიაშვილი – არბოში მცხოვრები ყურულები და ბოლშევიკური ხელისუფლება.....	316
კახაბერ სურგულაძე – 1863-1864 წლების პოლონეთის აჯანყების ასახვა ჟურნალ „საქართველოს მოამბეში“	323
Муса Джафар Оглу Гасымлы – Этнополитическая ситуация на Южном Кавказе после Октябрьского переворота в России.....	331
როინ ყავრელიშვილი – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანკარის საელჩოს საქმიანობის ასახვა თურქული პრესის ფურცლებზე (07.02-31.03.1921)	345
დიმიტრი შველიძე – დამოუკიდებელი საქართველო და თეთრი რუსეთი (1918-1920 წწ)	356
დავით ჩოჩიშვილი – ებრაელთა სოციალური მდგომარეობისათვის XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში (იეჰუდა ჰალევი ჩორნის მიხედვით).....	379
ირაკლი ჩხაიძე – ქართული იდენტობის ევროპული მოდელი ნაციონალიზმის ეპოქაში	388
მარიამ ჩხარტიშვილი – ლეონტი მროველის მონათხრობი ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის მირიანის შესახებ: ისტორია თუ პოეზია?	402

გიორგი ხორბალაძე – საბჭოთა რეჟიმის სარკასტული კრიტიკა ნოდარ დუმბაძის იუმორისტული მოთხრობების ციკლში	415
მირიან ხოსიტაშვილი – უცხოელები თავისუფალი საქართველოს დედაქალაქში (1918-1921 წწ.).....	434
Николай Джавахишвили – Хроники грузино-балтийской солидарности во второй половине XX века	442
ოთარ ჯანელიძე – ამიერკავკასიის სეიმი და ქართული პოლიტიკური სპექტრი.....	468
ლევან ჯიქია – ზვიად გამსახურდიას საქართველოს მწერალთა კავშირში განწევრიანების თარიღის დაზუსტებისათვის	486